780/2
1989

ISSN 0134-9848

1989/4
ᲘᲕᲚᲘᲡᲘ—ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲡᲐᲣᲒᲠᲘ

№ 271 (4)



რაულ დიუფი. ხამი ქოლგა

სპეცჯე

1989/4

ივლისი
აგვისტო

(91)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

იური ნაგიბინი. მოთხრობა. მოთხრობა. თარგმნა ჯილდა გორდაძემ 3

კონსტანტინე კავაფისი. ლექსები. ბერძნულიდან თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ 42

ეუჯენიო მონტალე. ლექსები. იტალიურიდან თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ 45

ოლდოს ჰაქსლი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა ნანი წერეთელმა 51

კლაუს ელსბერგსი. ლექსები. თარგმნა რენე კალანდიამ 85

ალექსეი ტოლსტოი. ლექსები. თარგმნა აპოლონ ადონიამ 89

მოლდაჰმეტ კანაზოვი. შორეული მზის ნათელი. დასასრული. თარგმნა დოდო ვადაჭკორიამ 97

ესპანური ხალხური პოეზია. ლექსები. ესპანურიდან თარგმნა გივი ნიუარაძემ 133

ძიუნ ტაკამი. ლექსები. თარგმნა ჯაბა ასათიანმა 138

ალბერტო მორავია. ზიზღი. დასაწყისი. იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ 143

სერგო ოჭრიაკასრიძე. ლექსები. თარგმნეს გიორგი ნიშნიანიძემ და ანდრო ბუაჩიძემ 218

ნიკოლოზ რილენკოვი, სტანისლავ ტელნიუკი, პეტრე რებრო. ლექსები. თარგმნა მიხეილ ჩაჩუამ 221

წერილები:

ვიკენტი ვერესაევი. „სიცოცხლით სავსე სიცოცხლე". კარი II „და მთელი დუნია იყოს დლეგრძელი. გაგრძელება. თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ 224

ანტონიო მაჩადო ი რუისი. „ხუან დე მაირენა. მაცვილგონივრული სენტენციები, ესკიზები და მოგონებები ერთი აკადემიკოსი პროფესორისა". დასასრული. ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ 240

ჰერმან ჰესე. ნოვალისი. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ 250

დევიდ ლენგი. საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს. ინგლისურიდან თარგმნა შალვა ყიფშიძემ 259

სულხან ძორდანია. ჰერცენის ოდისეა 278

ნოდარ ნათაძე. რევოლუციის დიდი წინამორბედი 283

სიბრძნე ზირაქისა. დასაწყისი. ძველებერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ 298

მარსელ გერ დე ტიურიკი, ბ. პეროკო. რაულ დიუფი. ფრანგულიდან თარგმნა ნინო მაღალაშვილმა 316

საქართველოს მწერალთა კავშირი
მხოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მმართველი სარედაქციო კოლეგია

ერეკვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია:

ეკლზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი გაძანიძე
მზია გაძრაძე
გაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნანა დარჩია (პ.გ. მდივანი)
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქეგულაძე
იორამ ჭეჭერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შავნაზარი
გივი ძნელაძე (მო. რედ. მოადგილე)
დავით წერეთელიანი
ნუგზარ წერეთელი

გარეკანზე: რაულ დიუფი. გასვირნება დოვილში.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი კ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დიდიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 06. 05. 89 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 27. 09. 89 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. სიღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 1095.
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

ᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲒᲘᲑᲠᲜᲘ

ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲒᲐ

თარგმნა ᲯᲘᲚᲓᲐ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔᲛ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲙᲝᲠᲪᲝᲕᲔᲑᲘ რა ხანია აპირებდნენ კუნძულ ბოგოიარზე გამგზავრებას. ლენინგრადიდან იქამდე მისვლას კომფორტაბელური სამგემბანიანი ტურისტული თბომავლით სულ ერთი საღამო და ღამე ენდოდა. კუნძულის, მთელი მისი მშვენიერებისა და მოკრძალებული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, დიდი-დიდი ნახევარი დღე მოუნდეს, მერე დასვენება მოსდევს ამას, ნაირ-ნაირი გასართობი, ღრმა ძილი, თითქოს აკვანში წევხარ, ტბის ტალღები ნაზად გარწევენ... და აი, ისევ შინა ხარ. უცნაურიცაა, მთელი ცხოვრება ისე გაატარეს ლენინგრადში, ერთხელაც ვერ მოიცალეს ასეთი სასიამოვნო ხანმოკლე მოგზაურობისათვის. ბოგოიარი ბევრად უფრო ახლოა, ვიდრე კიჟი, ასე რომ იზიდავს ადამიანს, და სადაც ყოველ წუთს აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ ვერ კი მოახერხეს, თუმცა გაცილებით შორსაა ორეშკო-შლისელბურგზე. წარმოიდგინეთ, იქაც არა ყოფილან, რასაც აღიარებდნენ კიდეც თვალთმაქცური დარცხვენით.

ოჯახში არცერთი არ გამოირჩეოდა მოგზაურობის, სიძველეების, მშობლიური ისტორიისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრებისადმი ტრფიალით. ოჯახის ცხოვრება მთლიანად აწმყოს მოეცვა. ბავშვები სწავლობდნენ, დედა მეცნიერი იყო — მიკრობიოლოგი, მამა ძალზე დამაჯერებლად ასახიერებდა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ინსტიტუტის დირექტორის როლს.

და-ძმა გარეგნულად ასე განსხვავებული — ვაჟი მაღალი, ტანწვრილი, ფერფლისფერთმიანი, ქალი — პატარა, მკვრივად შეკრული, შავგვრემანი, — საოცრად ჰგავდა ერთმანეთს თავისი კეთილი თვისებებითა თუ ახალგაზრდული მანკიერებებით. ორივე ბრწყინვალე სტუდენტი იყო. ინგლისურს ითლად ითვისებდნენ, იშვიათი მექანიკური მეხსიერებისა და ვადაუღლელი გონების წყალობით. პრაქტიკულად გამოუსადეგარ ცოდნას ისე იბერტყავდნენ, როგორც ძაღლები ჩამოიბერტყავენ ხოლმე წყალს ბანაობის შემდეგ; სულიერსა და გონებრივ სიზანტეს კიდევ უფრო აძლიერებდა გართობის ჟინი და ცივი ირონია ყოველგვარი ენთუზიაზმისა და პათოსის, ან, უბრალოდ, სერიოზულობის გამოვლენისადმი.

და-ძმა ყველაფერს ღიმილით აკეთებდა, მშობლები კი იშვიათად იღიმებოდნენ. სამსახურში სერიოზული მიდიოდნენ, სამსახურიდან სერიოზულები ბრუნდებოდნენ. სერიოზულად, თუმცა იშვიათად, ხვდებოდნენ მეგობრებს, სერიოზულად ისვენებდნენ, თანაც მუდამ ბიჭვინთაში — იქ მათ იზიდავდა შორეული გაცურვები, წყალქვეშა ნადირობა, ჩოგბურთი, მწვადები, კინო, გაუთავებელი, შუალამესგადაცილებული პრეფერანსი. ფიქრობდნენ, ეს ყვე-

საქ. სსრ. ... ეროვნული
სახ. სახ. ... ბ. ...

ლაფელი ისევე გვიყვარს, როგორც საკუთარი შვილები, და ერთმანეთი, თუმცა ქალიშვილს ამაზე განსაკუთრებული აზრი ჰქონდა, და-ძმას საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარდა, მაგრამ ეგოიზმით შეპყრობილნი, სიამეთა ერთგულნი, გარშემო მყოფთადმი ზიზღით მოცულნი, ისე გრძნობდნენ ერთმანეთს, ისე ესმოდათ ერთმანეთის, რომ მათ შორის ნდობით-აღსავსე სიახლოვე გაჩნდა. მშობლებს სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რადგანაც სჭირდებოდათ ისინი, მაგრამ მამისადმი ანგარებიანი გრძნობა შერბილებული [illegible] შეუწყნარებლობით, დედას თითქმის პატივს სცემდნენ მტკიცე გაწდგომისათვის, რომლის ახსნა არც შეეძლოთ და არც ლამობდნენ — დედა ხელს არ უშლიდათ.

სკვორცოვს გული უჩვილდებოდა, რადგან შვილების სახესა და მათ ახალგაზრდა მკვრივ სხეულში შერწყმული იყო, თუმცა სხვადასხვაგვარად, დედისა და მამის საწყისები. მაღალმა, ხმელმა, ძარღვმაგარმა სხეულმა, რომელიც მან გადასცა ვაჟიშვილს, დედის ნაზი მიმოხვრა შეიძინა, ხოლო თხელ მამისეულ ტუჩებზე გაიელვებდა ხოლმე უმისამართო, დაბნეული ღიმილი, რომელსაც შორეული მსგავსება ჰქონდა დედის ღიმილთან; ქალიშვილი უფრო მაღალი და მკვრივი რომ ყოფილიყო, დედის ზუსტი ასლი იქნებოდა თვრამეტი წლის ასაკში, მაგრამ გამჭრიახი, გამომცდელი მზერა გრძელი, ნაზი წამწამების ქვეშიდან მამისა იყო, და ეს ერთადერთი მსგავსება ყველაზე თვალში საცემი იყო მის გარეგნობაში. სკვორცოვი ხედავდა: შვილები მტაცებლები იყვნენ, რაც უზრუნველყოფდა მათ სიცოცხლისუნარიანობას, და ეს ახარებდა არანაკლებ, ვიდრე მათში „დასაბუთებულად" დამტკიცებული მეოთხედსაუკუნოვანი კავშირის უდავობა — დრომ ვერ შეანელა სკვორცოვის მგზნებარე სიყვარული ცოლისადმი.

სკვორცოვს დიდი ჯაფა დასჭირდა ამ ოჯახური მოგზაურობის მოსაწყობად, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა. — მას მუდამ აკლდა ნაადრევად ემანსიპირებული შვილები, და-ძმისთვის სულერთი იყო, სად წავიდოდნენ — ჩრდილოეთში, სამხრეთში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, არც დანიშნულების ბოლო ადგილი აღელვებდათ: ზღვა, მთა, მდინარე, ტბა, კუნძული, ქალაქი თუ საგარაჟო სოფელი. მათ სჭირდებოდათ მხოლოდ შესაფერისი, მათ ტალღაზე მომართული საზოგადოება, კარგი ფირფიტები, ბლომად ღვინო, ერთი შეხედვისთანავე ურთიერთგაგება და ამ გაგების განხორციელება. ისინი არაფრისდიდებით არ დათანხმდებოდნენ ამ ოჯახურ აჯაფსანდალში გარეულიყვნენ, მშობლები რომ არ შეპირებოდნენ ცალ-ცალკე კაიუტას, თანაც უკვე სმენოდათ, რომ თბომავალზე საუკეთესო ბარი და ჯაზორკესტრი იყო. გარდა ამისა, მშობლები შეპირდნენ სრულ თავისუფლებას და, რაც მთავარია, არ დაგაძალებთ ექსკურსიას კუნძულზეო, სადაც, როგორც ყველგან, არაფერია სანახავი. მოზრდილი ადამიანები უბრალოდ იცავენ თავიანთ დრომოჭმულ სამყაროს — ეს ხომ ჩვეულებრივი ბრძოლაა არსებობისათვის — ასპარეზიდან მათი გამძევებლების წინაშე და, ალბათ, ამიტომაც თავს იკატუნებენ, დღემდე ვაფასებთ ჩვენი ასკეტური ახალგაზრდობის მწირ სიხარულსაო.

პაშა და ტანია სკვორცოვებს სამართლიანად მიაჩნდათ, რომ მათ ბედმა გაუღიმა, ასეთი მშობლები რომ ხვდათ წილად — შეიძლებოდა უარესიც ჰყოლოდათ; მშობლების მიერ ახალგაზრდების დროის ყოველი ხელყოფა უხვად ჯილდოვდებოდა ფულითა და საჩუქრებით, ყველაზე ძნელად შესასრულებელი თხოვნის ელვისებური შესრულებით. პაშა გახლდათ ერთოთთახიანი კოოპერატიული ლოჯიანი ბინისა და „ჟიგულის" მფლობელი; ტანიამ იცოდა, რომ უახლოეს

მომავალში მასაც ელოდა ყველა ეს სიკეთე. მაგრამ საკუთარი ძალებისა სჯერდა და უფრო დიდი წარმატების მიღწევას ფიქრობდა. ნაადრევი, საგულდაგულოდ მოფიქრებული ქორწინების მეოხებით. იგი მოსწონდათ როგორც ფატოლებს, ასევე მოწიფულ მამაკაცებსა და მოხუცებსაც, რაც საგონებელში აგდებდა მის ძმას, რომელიც სულაც ვერა გრძნობდა მის მიმზიდველობას. ჩვეულებრივი სანდომიანი გოგონა. ასეთები მრავლად არიან. ფიქრობდა „ნუთუ არ გესმის, რატომ მეხვევიან ასე?" — ჰკითხა ერთხელ ტანიამ, ყველაზე ახლობელი ადამიანის სიბრმავით გაღიზიანებულმა. „გულწრფელად რომ გითხრა, არა". „რაღაცით ვგავარ დედაჩემს". — თქვა იდუმალად და ხმადაბლა. „მერედა, რა მოხდა?" — გულწრფელად გაუკვირდა ძმას. დის გადატკეცილ, ენერგიულ, ძალიან თანამედროვე სახესა და დედის უკვე გადღაბნილ ნაკვთებს შორის რაღაც საერთოს ხედავდა, მაგრამ ეს მსგავსება გახლდათ მოუხელთებელი, თანაც ვაჟიშვილი ვერა გრძნობდა დედის — ამ ლურჯი ინდის მომხიბვლელობას, რომელიც გულგრილი გახლდათ ვაჟიშვილის ბრწყინვალებისადმი. ეს კი პაშას არ მოსწონდა. „დედას აქვს რ ა ღ ა ც. — ამაყად, ქედმაღლურად თქვა ტანიამ, — ამიტომაც გიჟდება მასზე მამა. მეც მაქვს ეს რაღაც და ნამდვილი სულელი უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო". პაშა ალშფოთდა და დას ერთი გვარიანი ქიმუნჯი უთავაზა, მერე გამწარებთ დაეერივნენ ერთმანეთს, თანაც ორივენი საგრძნობლად დაზარალდნენ. პაშა არ ცამოირჩეოდა დიდსულოვნებით და დას ცხვირი დაუსისხლიანა. მხოლოდ ბოკაიარში გამგზავრების წინ შერიგდნენ.

გემზე პაშას გაახსენდა ამასწინანდელი ლაპარაკი, თურმე რაღაამ ის მაინც დააინტერესა. არა, არც ისე... არაფერმა არ უნდა დაგაინტერესოს ძალიან. თორემ ტვინი გაგიწყალდება. თბომავალი ნევის დაბალსა და მოსაწყენ ნაპირთან სულ ახლოს მიცურავდა. ბარი ჯერ არ გაელოთ, და რაკი და მანც მის კაიუტაში იყო დარჭობილი, პაშა მუშტი-კრივით შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა

— შენი აზრით, დედა ლამაზია?

— თუ გინდა იცოდე, ახალგაზრდობაში ჩემზე ლამაზიც კი ყოფილა. — განაცხადა ტანიამ და პაშას კვლავ აექცია ხელები. — დედამ რატომღაც მოსპო თავისი ომამდელი სურათები, მაგრამ მამას აქვს საქალალდეში პაწაწინა ფოტო, ამოჭრილი ჯგუფური სურათიდან. ო, რა სახე აქვს. არა, მე, რა თქმა უნდა, დედასთან შედარებით არაფერი ვარ, — მოულოდნელმა თავმდაბლობამ შეიპყრო ტანია. — სამაგიეროდ, მტკიცე ხასიათი მაქვს! — თავმდაბლობამ უკან დაიხია თვითკმაყოფილების ახალი შემოტევის წინაშე. — maman[1] კი ამით არა ბრწყინავს.

— ო, როგორ გაყოყოჩდა! — აღტაცებაში მოვიდა ძმა. — ეი ახლა კი მიმწონხარ, ხომ იცი!

— მე კი შენ — არა! არ მიყვარს ცინგლიანები.

პაშა თვალის დახამხამებაში ჰკარგავდა წონასწორობას, მაგრამ და რომ თაყვანსა სცემდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, თანაც ახლა სულ სხვა რამე აღელვებდა.

— შენი აზრით, დედას რბილი ხასიათი აქვს?

[1] დედა (ფრ).

— რა თქმა უნდა! მას არ უყვარს მამა, მაგრამ მასთან ცხოვრობს და არცა ღალატობს.

— შენ რა იცი?

— რაც არ უნდა იყოს, მეზობლები ვართ...

— მაგარი ხარ, ხომ იცი! წარამარა რომ საზღვარგარეთ მიდის, მეგაზე რაღა იტყვი? იქნებ გგონია, ლამაზი თვალებისათვის აგზავნიან?

— ჩერჩეტო, დედა გამოჩენილი მეცნიერია. სხვებმა [illegible] ბები და პემიები დაიტაცეს, მაგრამ როცა საქმე მეცნიერებაზე მიდგება, დედას აგზავნიან... — ტანიამ არ დაამთავრა სათქმელი. — არ ვიცი... იქნებ... დედას აქვს ტკიცე ხასიათი.... ან ოდესღაც ჰქონდა, მაგრამ ამაზე უარი თქვა. ასე უცრო იოლია ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, შინ მაინც. სამუშაოზე კი.. — ტანამ მხრები აიჩეჩა, — მას პატივს სცემენ.

— მე კი არა მჯერა, რომ დედა ნამდვილი მეცნიერია. ჩამქრალი ადამიანები უხყოფონი არიან.

— როგორც ჩანს, ძალიან განიცდი, დედას რომ ფეხებზე ჰკიდიხარ!

— ალარო ხომ მამას აქვს. — ანგარიშიანად შენიშნა პაშამ. — დანარჩენი ნაკლებად მაღელვებს, მით უფრო, რომ მამა დედაჩემის მაგიერადაც მევლებოდ, თავს. მაგრამ შენც ტყუილად მოგაქვს თავი დედიკოს შვილად.

— სულაც არა. შენ დედა, უბრალოდ, ვერ გამჩნევს, მე კი... — ტანია შეყოყმანება და უცებ ძალზე გულწრფელად თქვა: — არ ვიცი, ვეცოდები თუ უნდა შემყვაროს...

— ჰადა, არ შეუძლია! ეს ყველაფერი მარაზმია. ესკიმოსები მოხუცმშობლებს ულუკმაპუროდ და უცეცხლოდ ტოვებენ ჟამიანობისას და სწორედაც იქცევიან.

— რა ბრაზობ? ჩვენები არავის უშლიან ხელს. შენ რაღაც ოიდიპოსის კომპლექსიგაქვს თავდაყირა.

— ჰო, კარგი! — ახლა კი მართლა გაცხარდა პაშა. — თავი მომაბეზრე! დროა, ჩავიცვა! — და მკვეთრი მოძრაობით ჩაიძრო სპორტული შარვალი.

— ჯერაც არ მინახიხარ ვითომ! — დამცინავად გამოსცრა სიტყვები დამ. მაგრამ მაინცგავიდა კაიუტიდან.

და-ძმა ბარში შერიგდა, დახლთან, სადაც ჩვეულებისამებრ ნაზი წყვილი გაითამაშეს, რითა მშვიდად, ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე რაიმე სათავისო გამოეძებნათ.

რაც თბომაჟალზე სმენოდათ, მთლად მართალი გამოდგა, ხოლო ბარზე — ნაწილობრივ. აქ ყველაფერი უმაღლეს თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

— ოლონდ, ნუ გაძღები უცებ, — თხოვა დამ, — მე აქ მომწონს და მინდა ბოლომდე დავრჩე.

— ვიღაცას გამოიჭერ და დარჩები. მე კი თავი დამანებე! — უხეშად მოუჭრა პაშამ და გამოცდილი თვალი მოავლო დარბაზს, რომელიც სწრაფად ივსებოდა...

ამასობაში მათმა მშობლებმა ისაუზმეს რესტორანში, დაბრუნდნენ კაიუტა ლუქსში და ახლა ფიქრობდნენ, კიდევ რა გაეკეთებინათ. ადგილობრივ რადიოში გამოაცხადეს გართობის ვრცელი პროგრამა: კინოდარბაზში — ახალი ფილმი, საკონცერტოში — ლიტერატურული ვიქტორინა, ქვედა სალონში —

ტელეგადაცემა ოსტანკინოდან, ზედაში — საჭადრაკო ტურნირი. ჭადრაკის გარდა, ყველაფერი მაცდუნებელი ეჩვენებოდათ და ალექსი პეტრეს ძე სკვორცოვმა ხმამაღლა აწონ-დაწონა თითოეული ღონისძიების შედარებითი ღირსებები, თან თმას იჩეჩავდა, რომელიც როგორღაც თვითონვე ლაგდებოდა აკურატულ ჭალარა ტალღებად პატარა არისტოკრატიულ თავზე. უცებ შეამჩნია, რომ ანა გამოითიშა, ქმრის არსებობაც კი გადაივიწყა. ნევაზე ჩამოწოლილ სქელ ნისლში ინთქმებოდა სანაპიროზე აქა-იქ გაბნეული, სიცივისგან და თბომავლიდან გამოსხივებული შუქი. ქალი არცა ლამობდა, რაიმე დაენახა ამ მოყვითალო-ჭუჭყიან სიმღვრივეში. გეგონებოდათ, თვალები რაღაც გარეშენზე მიუპყრიაო, სინამდვილეში კი საკუთარ სულში იცქირებოდა, საკუთარ წარსულში, აუხდენელ წარსულში, რომელიც მასზე მაგიურ გავლენას ახდენდა. სკვორცოვს რომ სცოდნოდა, ზმანება სამუდამოდ გაჰყვებოდა ქალს, მაინც შეირთავდა, შეგნებულად მიიღებდა იმ ტანჯვას, რომელსაც მეოთხედი საუკუნეა ზიდავდა. რაღაც უფრო საშინელი და გამოუვალი ზარავდა მას ჭაბუკობაში, როცა ანას მისი მეგობარი უყვარდა, ერთადერთი მეგობარი, თითქმის ძმა, რომელიც ომიდან აღარ დაბრუნდა და ამით გზა გაუხსნა. არა, ეს გზის გახსნაზე მეტი იყო. სკვორცოვმა ანა დაისაკუთრა, იმიტომ, რომ მას პაშას სუნი ასდიოდა; ისინი ომშიც განუყრელნი იყვნენ, იმ უკანასკნელ წუთამდე, როცა ადამიანი იძულებულია არჩევანი მოახდინოს საკუთარი სიცოცხლის ფასად. მას ბედმა გაუღიმა, პაშა კი დაიღუპა! პაშკას ყველა ღირსებასთან ერთად ერთგვარი სისუსტეცა ჰქონდა — განწირულობა. სკვორცოვმა ადრევე გამოიცნო პაშკას ხასიათი, ყველა სხვას კი იგი მძლეთამძლე, ჭეშმარიტი ლიდერი, ჭაბუკი ბელადი ოცეოლა ეგონა. მიუხედავად თავისი აშკარა დამარცხებისა, ალბათ იმიტომ არა თქვა უარი ანაზე, რომ გრძნობდა, პაშკას თავდაცვის უნარი არა ჰქონდა. პაშკა დარწმუნებული იყო, რომ მეგობარმა იარაღი დაჰყარა, თვითონაც ასე მოიქცეოდა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო, რადგან ამას უკარნახებდა ძველმოდური ეთიკა, რომელიც შეურაცხმყოფელი იყო ცოცხლებისათვის, ჩვეულებრივი, ცოდვილი, და თან არცთუ ცუდი ადამიანებისათვის. სკვორცოვი მთლად უსასოო წუთებშიც კი არ ფიქრობდა, რომ თავისი უსაფუძვლო, გიჟური, ფანატიკური იმედი — გამარჯვება მაინც მე დამრჩებაო — მეგობრის თუნდაც მცირედი ღალატით განემტკიცებინა, სიბინძურე (პაშკას ადამისდროინდელი მორალის თვალსაზრისით) სწორედ ის იყო, რომ სკვორცოვი ელოდა, როდის დაუცდებოდა ფეხი პაშკას, როდის წაიფორხილებდა, რითაც აუცილებლად ისარგებლებდა. პაშკას კი, ადრე თუ გვიან, ფეხი აუცილებლად უნდა დაცდენოდა. ქარის წისქვილები ხშირად მას ბუმბერაზებად ეჩვენებოდა, ხოლო ნამდვილი, თუმცა იდუმალი ძალის მქონე ადამიანები — ქონდრისკაცებად. სკვორცოვი ელოდა და იმედოვნებდა, მაშინაც კი, როცა ომი დაიწყო, როცა მოხალისეებად მიდიოდნენ, ანამ იოტისოდენა თანაგრძნობაც ვერ გაიმეტა მისთვის, ყველაფერი, ყველაფერი მხოლოდ პაშკასთვის გაილო, მაგრამ სკვორცოვმა იმედი მაინც არ დაკარგა. შესაძლოა, ისინი ორივენი დაღუპულიყვნენ, ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ თუ ერთს ეწერა დაბრუნება, ის ერთი სკვორცოვი იქნებოდა, პაშკასნაირები ომიდან არ ბრუნდებიან. სკვორცოვი კი დაბრუნდა, უფრო სწორად, ძლივს ჩამოაღწია, თუმცა სრულიად ჯანმრთელი იყო, მაგრამ ტყვეობამ და ათასნაირმა გაჭირვებამ დიდი ხნით გააჭიანურა მისი დაბრუნება (ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე) ლენინგრადში. ამ დროისათვის ანა უკვე მიხვდა, რომ პაშკა ცოცხალი აღ-

არ იყო, თუმცა დაღუპვის ცნობა არ მოდიოდა და იგი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ყველგან ეძებდა მას ანა, ყველა ფრონტზე — ამისთვის წავიდა სანრაზმელად, მოგვიანებით კი ჰოსპიტლებშიაც დაუწყო ძებნა, ინვალიდთა სახლებშიც, განცხადებებს აქვეყნებდა გაზეთებსა და რადიოში, მაგრამ სულ ამაო იყო ყველაფერი. პაშკას მშობლები და და ბლოკადაში დაიღუპნენ. სხვა ნათესავები მას არა ჰყავდა, ზოგიერთი გადარჩენილი ნაცნობი კი უიმედოდ შლიდა ხელებს. თუმცა ანამ თვითონაც კარგად იცოდა ყველაფერი. სკვორცოვის მოულოდნელმა დაბრუნებამ ანა ისე გაახარა, რომ ყველაფერს დანატრებულმა გატანჯულ-განაწამებმა კაცმა მისი სევდა გარდასულ სიჭაბუკეზე თითქმის სიყვარულად მიიღო. კაცმა იცოდა, რომ ქალის ეს გრძნობა არ იყო ნამდვილი, მაგრამ მაინც თავს იტყუებდა. ანამ ჯიუტად, რასაც სკვორცოვი მისგან არ მოელოდა, თანდათან ცხოვრებისაკენ შემოაბრუნა იგი. თვით ანას უკვე ბევრი რამ მოესწრო: საკანდიდატოს დაცვაც, რომელიც წიგნადაც გამოსცეს, და სადოქტოროს მომზადებაც. სკვორცოვი დიდხანს იყო დამწევის მდგომარეობაში, რაც სულაც არ ლახავდა მის თავმოყვარეობას, — მას ისე ძალიან უყვარდა ანა, რომ მასთან ქიშპობა არაფრით არ შეეძლო. ანა დათანხმდა ცოლობაზე და სანამ სკვორცოვმა არ დაამთავრა ინსტიტუტი, მის ხელფასზე ცხოვრობდნენ, მალე ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც დაღუპული მეგობრის პატივსაცემად პაველი დაარქვეს, პაშკა. და როცა სკვორცოვი ცოლს გაუტოლდა მეცნიერულ წოდებებში, ხოლო ხელფასით გაუსწრო, კანონიერი კმაყოფილების ნაცვლად რაღაცნაირი უკმარისობის გრძნობა დაეუფლა. მისთვის რაღაც სევდისმომგვრელი, გულის ამაჩუყებელი და ამაღელვებელი იყო ანას საოჯახო პრიორიტეტი.

სკვორცოვს ამქვეყნად უბედნიერეს კაცად მიაჩნდა თავი: მისი გრძნობა ცოლისადმი წლების განმავლობაში არ ნელდებოდა, მას უყვარდა შვილები, განუხრელად წინ მიიწევდა სამსახურებრივ კიბეზე. რამდენი მწარე, მტანჯველი, საშინელი, დამამცირებელი რამ ხვდა წილად, მაგრამ გამარჯვება მაინც მას დარჩა. ჭაბუკობისას პაშკას ჩრდილში იდგა, თუმცა არ ჩამორჩებოდა არც ჭკუით, არც ხასიათის სიმტკიცით და არც ფიზიკური ძალით. როცა ხუმრობით, მაგრამ მაინც გაბოროტებით დაეჭიდებოდნენ ერთმანეთს, პაშკა ჯაბნიდა გამხდარ, მკვირცხლ მეტოქეს, მხოლოდ და მხოლოდ დიდი წონის ანგარიშზე. სკვორცოვი პაშკაზე უფრო ენამახვილი, საზრიანი გახლდათ, მაგრამ სადაც უნდა გამოჩენილიყვნენ, ხალხი უმალ სცნობდა მეთაურს. განსაკუთრებით კარგი იყო პაშკა კოკტებელის პლაჟზე: ბრინჯაოსფერი, ლურჯთვალა, მუქთმიანი, მიქელანჯელოს დავითის კუნთებითა და კეთილი, უშიშარი კაცის ლაღი სუნთქვით. პაშკა ნებისმიერ წრეში მეფობდა, თუმცა ბევრნი მაინცდამაინც დიდი ჭკუის პატრონად არ თვლიდნენ მას. პაშკა კი ჭკვიანი და გამჭრიახი იყო, მაგრამ გამჭრიახობას იშვიათად იყენებდა, რადგან ინდობდა და ებრალებოდა გარშემომყოფთა არასრულყოფილება. სკვორცოვს ესმოდა ეს, თან ოდნავი შურიც ღრღნიდა, რადგან ასეთი რამის ნებას თავის თავს ვერ მისცემდა. ანასაც ესმოდა, ოღონდ აღტაცებული იყო ამით. განა უბრალოდ უყვარდა პაშკა; პაშკა მისი ღმერთი იყო, და ქალს ვერ დაევიწყებინა იგი, ახსოვდა უწყალოდ ჯიუტი ქალური სიყვარულით, თუმცა მათ ფიზიკური სიახლოვე არა ჰქონიათ.

ისე კაცმა რომ თქვას, რა არის ეს ყბადაღებული სიახლოვე? კოკტებელ-

ში გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, სადაც ომის ამბავმა მოუსწროთ. იმ საღამოს პაშკა და ანა ერთად წავიდნენ სარდიონის ყურეში, საიდანაც გამთენიისას დაბრუნდნენ. სკვოროცოვმა იცოდა, რა უანგაროდ უყვარდა ანას მისი მეგობარი და ეჭვიანობდა დაღუპულ მეგობარსა და თავის ცოლზე, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ რომელიც მაინც ვერ გამოაღვიძა. ერთხელ, იმ დაწყეველილ დღეს ანამ თქვა, რომ პაშკამ აქცია ქალად და არა მან. სკვოროცოვმა ანას სიტყვებში მხოლოდ გულუბრყვილო მცდელობა დანახულ[illegible] ცირებინა და ტკივილი მიეყენებინა მისთვის, როცა ეს უაზრობა [illegible] დებოდა, ფიზიოლოგიის უბადრუკი რეალობით მონუსხული აღარაფრად აგდებდა ამ ამბავს, და მხოლოდ ახლახან გაუელვა თავში, რომ ანა საშინელი ტყუილების ჩმახვაში კი არ იწაფებოდა, არამედ ამბობდა იმას, რაც ნამდვილად გადახდა სარდიონის ყურეში. პაშკა ძვალ-რბილში გაუჯდა, პაშკამ მოწამლა, მოაჯადოვა, უგრძნობელი გახადა სხვა მამაკაცებისადმი, სკვოროცოვმა იცოდა, რა პოეტურად და განყენებულად ახსოვთ ადამიანებს თავიანთი პირველი, წმინდა ყმაწვილური სიყვარული. ანას სხვაგვარად ახსოვდა — შვილოსნობის უნარით უხვად დაჯილდოებული ბუნება მთლად ჩაკვდომოდა: შვილებს გარდა, იყო რამდენიმე აბორტიც, მიუხედავად ქმრის ცრემლნარევი მუდარისა — სიგიჟემდე უნდოდა, ანას მისგან შვილები გაეჩინა. მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის წინ, გაბედა სკვოროცოვმა და ცოლს გულცივობაზე გადაუკრა სიტყვა.

— ბევრი რამ კი გესმის!. — თითქმის სიძულვილით მოუჭრა ქალმა.

ეს გაისმა ისეთი ზიზღით და სიბრაზით, რომ სკვოროცოვი ვერც კი წარმოიდგენდა, მაშინლა მიხვდა, რომ ვერ დამშვიდდებოდა მანამდე, სანამ სამაგიერო ტკივილს არ მიაყენებდა ანას. მომთმენი იყო და დიდხანს ელოდა თავის ჟამს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იმ შეკითხვამდე მიიყვანა ქალი, რომელიც რატომღაც არასოდეს მიუცია: როგორ დაიღუპა პაველი? სკვოროცოვი პასუხობდა ფრთხილად, თითოეულ სიტყვას წონიდა. ისინი მარტო დატოვეს მიგდებულ გერმანულ მიწურში გზის გასაყარზე. ბრძანება იყო, ჩვენების მისვლამდე გაეძლოთ. ისინიც უძლებდნენ, ვაჟკაცურად უძლებდნენ... მერე კი სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს დაივიწყა ყველამ — თავისიანებმაც და უცხოებმაც... პაშკას ენერგიულმა ბუნებამ უმოქმედობას ველარ გაუძლო. ჩვენების საძებნელად წავიდა, სკვოროცოვი კი დარჩა. როგორც ჩანს, პაშკა წააწყდა იმ გერმანელებს, რომლებმაც მერე ძელმიწურს ხელყუმბარები დაუშინეს და კონტუზირებული სკვოროცოვი დაატყვევეს. „ტყუილად არ დარჩა", — თქვა ანამ. „იფიქრა, ასე აჯობებსო, — რბილად თქვა სკვოროცოვმა. — ან იქნებ მოთმინება არ ეყო". „უცნაურია, მე კი მეგონა, სწორედ ეს იყო მისი მთავარი თვისება". „შენ არ ყოფილხარ მასთან ერთად ომში". „მაგრამ მე ვიყავი მასთან ერთად სარდიონის ყურეში". ეს იდუმალი სარდიონის ყურე, სადაც პაშკას მოთმინებამ ქალად აქცია ანა. რა სისულელეა! ქალმა ცივად ჩაიცინა: „რა თქმა უნდა, შენთან როგორ მოვა! შენ, ჩემო მომთმენო გმირო, პაშკაა ყოველმხრივ აჯობე. ყველა თვალსაზრისით". სკვოროცოვმა ინანა, ეს ლაპარაკი რომ წამოიწყო, ძალები უთანაბრო იყო — სიყვარული უძლურია გულგრილობის წინაშე. სკვოროცოვი განაწყენდა — ეს გახლდათ ძველი უშეცდომო სვლა. ანას შეეძლო ტკივილი მიეყენებინა მახლობლისათვის, მაგრამ უმალვე შეიცოდებდა, ნანობდა თავის საქციელს, და იმ წუთას შეგეძლოთ, თქვენს ნებაზე გეცეკვებინათ.პაშკამაც იცოდა ასე — შეეძლო ფიცხელ გულზე დაეხე-

თქებინა რაიმე სისულელე, მერე კი კნუტივით მოგლაქუცებოდა. გულფიცხ კაცს უცბადვე გაუვლის წყენა. სკვორცოვი არ ცხარობდა. რკინის ნებისყოფა ჰქონდა. შეეძლო დალოდებოდა თავის ჟამს, მაშინ კი ვერაფერი შეაჩერებდა, ოღონდ კი საწადელისათვის მიეღწია. ასევე შეეძლო უშეცდომოდ განესხვავებინა აუცილებლობა მოჩვენებითი შესაძლებლობისაგან, ამითაც ასე ხშირად თავს იტყუებენ ზომაზე მეტად თავმოყვარე და ფხუკიანი ადამიანები. რა თქმა უნდა, მის ძარღვებში სისხლი დიოდა და არა წყალი და ისიც უშვებდა შეცდომებს, მაგრამ განა გაჯიუტდებოდა და არ აღიარებდა მათ! თავის დროზე რამდენჯერმე კეთილსინდისიერად და მშვიდად სცადა გაერკვია, ანას გარეშე თუ შეეძლო ცხოვრება, მისგან გათავისუფლება, თუნდაც ხუნდების მოშვება, მაგრამ სხვა ქალებთან ჯერ საშინელ მოწყენილობას გრძნობდა, მერე ზიზღს, და შეურიგდა თავის ტყვეობას. რახან ასეა, ხომ უნდა მიიღოს ანასგან სიხარულის მაქსიმუმი და სულაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ანასთვისაც ასევე სასიხარულო იყოს ქმართან ყოფნა. ბოლოს და ბოლოს, ეს ანას პირადი საქმეა.

სკვორცოვი ცოლის ამ განწყობასაც შეურიგდა. მხოლოდ ცოლის პირქუშ ამოვარდნებს სინამდვილიდან ვერ იტანდა, რაც ბოლო დროს უფრო გახშირდა. ალბათ, ასეთივე იქნებოდა მათი მოგზაურობის დასაწყისიც, რომელიც თავიდან დიდ სიამოვნებას აღუთქვამდათ. სასწრაფოდ რაღაც უნდა იღონოს, თორემ ყველაფერი დაიღუპება. საუკეთესო საშუალებაა, საგონებელში ჩააგდოს ქალი, აიძულოს, იცრუოს ან თავი იმართლოს.

— პაშკაზე ფიქრობ? — შეეკითხა განზრახი პირდაპირობით.

— იმას ვფიქრობდი, — თქვა ანამ და სულაც არ გაკვირვებია ეს უცნაური შეკითხვა, — პაშკა რომ გამომეცხადოს, სალაპარაკოც არაფერი გვექნებოდა-მეთქი. „ალიოშკას გაყევი ცოლად?.. ბავშვები გყავთ?.. სად მუშაობ?.. სკვორცოვი რაღას აკეთებს?..“ ჰო, კიდევ ბინაზე მკითხავდა რამეს, ხელფასზეც. იგივე კითხვებს მივცემდი მეც. მერედა, რა?..

სკვორცოვმა იყუჩა. ასეთ პასუხს არ მოელოდა, ეგონა, ანას თავად შეეძლო სახელი დაერქმია მოახლოებული სიბერისაგან მონაბერი ბუნდოვანი სევდისათვის. ქალის ფიქრთა უხეშმა კონკრეტულობამ თავგზა აუბნია. პირველად მოგზაურობდა ოჯახთან ერთად. მათ ლუქსი კაიუტა აქვთ, შორიდან მოისმის მუსიკა, გემზე არც ტელეფონის ზარი შეაწუხებთ, არც ვინმე კეთილი ნაცნობი ესტუმრებათ. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ცოტათი მოეშვა, სული მოითქვა მძიმე კვირის შემდეგ, რომ შენს ახლობელ ადამიანებთან ერთად წინ აღუდგე გულცივსა და საშიშ სამყაროს, ანას კი თავიდან ვერ ამოუგდია ეს რა ხანია გახრწნილი მკვდარი.

— საინტერესოა, — განაგრძობდა ანა ისევ იმ უგუნური მიმნდობლობით, — ადამიანები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ, საკმარისია მოკლე დროით დაშორდნენ ერთმანეთს, ახალი ამბებითა და აზრებით ივსებიან. როცა წლები გადის, და მით უფრო ათწლეულები, ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი აღარაფერი აქვთ სათქმელი ერთმანეთისათვის. ჩვენ სისულელით, ყოველდღიურობით, ცხოვრების წვრილმანებით ვართ გადაჯაჭვულნი, საკმარისია შეუბერო ამ ქაფს და ხელში აღარაფერი შეგრჩება, უდაბნოს გარდა...

— ალბათ, შენ მართალი ხარ... — თქვა სკვორცოვმა და იეშმაკა. — მაგრამ მე მხედველობაში სულ სხვა პაშკა მყავდა, ჩვენი შვილი.

— ა-ა! — დაბნეულობის ნატამალიც არ ემჩნეოდა ანას, თუმცა იგი იმ

ადამიანებს ეკუთვნოდა. ვინც მწვავედ განიცდის საკუთარ შეცდომას. სკვორცოვს გულმა რეჩხი უყო, ხომ არ ამოიცნო ჩემი ხრიკი? — საფიქრალი რა სჭირს? ყველაფერი რიგზე აქვს.

— ასე გგონია?

— თავისი დროის პირმშოა, გაუვლის ახალგაზრდული სიგიჟე, დალხინდება და შენნაირი იქნება.

— რა გვაქვს საერთო? განა მე გიჟი ვიყავი?

— არა, შენ რა შუაში ხარ! — ხმაზე გაღიზიანება დაეტყო.

— ასე სულ დავიბნევით. ლაპარაკი იყო ჩვენს შვილზე. შენ ის არ გიყვარს.

— სანამ პატარა იყო, სულ მეშინოდა მის გამო. მერე კი თანდათან გამინელდა ეს შიში, ახლა კი დავმშვიდდი, სულაც აღარ მაინტერესებს.

— ეს ულმობლობაა!

— ეს შენი საყვარელი გამოთქმაა! ნუთუ ასე ნაზი და გულჩვილი ხარ? მე მგონია, შენცა და შენი გადარეული ვაჟიშვილიც საკმაოდ მაგარი მასალისაგან ხართ შეკრული.

— უგერგილოდ არასოდეს მოვქცეულვარ, მაგრამ ცხოვრებაში მაინც გამიჭირდა. შენ ეს მშვენივრად იცი, და მე მინდა ჩვენი ბიჭი დავიცვა...

— წადი და წამოიყვანე ბარიდან. ჩემგან რა გინდა? განა მე რამეს გავაწყობ მაგ ვირგლასთან და, საერთოდ, ის შენი ქმნილებაა.

— ქალიშვილი?

— რა ქალიშვილი? — ანას სურდა მოთმინებიდან გამოეყვანა ქმარი, მაგრამ ამაოდ.

— ვისი ქმნილებაა?

— შენა გგონია, ჩემია?.. სულაც არ ვიცნობ ამ გოგონას...

— სასარგებლოა გარემოს შეცვლა, — შენიშნა სკვორცოვმა. — ბევრი ახალი რამ ირკვევა.

— ჰოდა, რა გამოვარკვიეთ? — თქვა დაღლილმა ანამ. — რომ ცუდი დედა ვარ? ამისათვის სულაც არ იყო საჭირო ბოგოიარზე გამგზავრება. თუ საჭირო იქნება, შემიძლია შვილების გულისათვის მოვკვდე, მაგრამ მათთვის ცხოვრება არ შემიძლია. ისინი ჩემთვის უცხონი არიან. ისინი შენი შვილები არიან და არა ჩემი. საერთოდ, ჩვენთან ყველაფერი შენია. შენი შვილები, შენი ოჯახი, შენი ბინა, შენი სტუმრები. მეც შენი ცოლი ვარ.

— მე კი არა ვარ შენი ქმარი?

ანამ დუმილი ამჯობინა. სკვორცოვმა არ გაუმეორა შეკითხვა. დღეს რაღაც არაფერი გამოსდიოდა. ანას მოსათვინიერებლად რამდენიმე თემა ჰქონდა: ფრონტული ფათერაკები, საკუთარი ჯანმრთელობა (საერთოდ კი იყო კაჟივით, მაგრამ ეჭვიანი კაცი გახლდათ, ხოლო ეჭვიანი კაცის ტანჯვა ავადმყოფის ტანჯვას რომ არ ჩამოუვარდება, ალბათ მოგეხსენებათ), დაბოლოს, ბავშვები. სკვორცოვს ეზიზღებოდა სიცრუე, თუ მასში სიმართლის მარცვალი მაინც არ ერია. განწყობილება დღეს შესანიშნავი ჰქონდა, თანაც ჯანმრთელობაზე წუწუნს შეიძლებოდა ჩაეშალა ხვალინდელი ექსკურსია. ფრონტულ თემას უკვე შეეხნენ, რომელმაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანა. შვილებიღა დარჩა, რომლებზეც დარდი მართლაც აწუხებდა. მაგრამ იცოდა, რომ ისინი ბარში ისხდნენ, სვამდნენ მეტისმეტად ტკბილსა და ძალზე მაგარ სასმელებს და საეჭვო ნაცნობობასაც აბამდნენ, განსაკუთრებით ღელავდა გოგონას გამო და კიდეც ეჭვიანობდა საზიზღარ, გაფუჭებულ ბიჭებზე, უფრო მეტად კი

იმ ასაკოვან, გარყვნილ კაცებზე, რომლებიც არ ერიდებიან ახალგაზრდებში გარევას, თანაც სულაც არა კულტურტრეგერული მიზნებით.

— ალბათ, მდინარე მოქმედებს ჩემზე, — მშვიდად თქვა ანამ. სკვორცოვი მიხვდა, რომ ქალი ფარ-ხმალს ჰყრიდა, ეს იყო ცოლთან ურთიერთობის ყველაზე უნეტარესი წუთები.

მათ ოჯახურ ცხოვრებას აკლდა სითბო, ნდობა, თუმცა ანა შვილებისა და ქმრისთვის არ დაზოგავდა სისხლის უკანასკნელ წვეთსაც! [illegible] ძლივს თუ გამოიმეტებდა მცირეოდენ სიკეთეს, თანაგრძნობას, უბრუნველ სინაზეს, ღიმილსაც კი. ანა ასრულებდა თავის მოვალეობას უნაკლოდ, ვერაფერში შეედავები (სამწუხარო კი არის, მაშინ ოდნავ გულზე მოეშვებოდა მაინც!), მაგრამ ოჯახის ცხოვრებით არ ცხოვრობს, მხოლოდ ემსახურება მას. ბავშვებმა ადრევე გაიგეს ეს და გულმა მამისაკენ გაუწიათ,რომელიც, მართალია, მაინცდამაინც დიდი ყურადღებით არ ეკიდებოდა მათ მოთხოვნილებებს, მაგრამ, უბრალოდ, უყვარდა და ანებივრებდა მათ (მოგვიანებით გამოირკვა, რომ სალაროს გასაღებიც სკვორცოვს ჰქონდა). ასეთივე იყო ანა მეგობრებთანაც, არა, მეგობრებთან კი არა, სტუმრებთან, რადგან მათთან მიმსვლელთაგან სკვორცოვის არცერთი თანამშრომლისა თუ მფარველისათვის მეგობრის წოდება არ მიუნიჭებია. შესაძლოა, ის კიდეც მეგობრობდა ერთიორ თავის კოლეგასთან, მაგრამ შინ არ პატიჟებდა და სკვორცოვი მათ არ იცნობდა. ვაჟიშვილმა, რომელსაც ვერ წაართმევდით გამჭრიახობას, პირველმა გამოიცნო დედის ოჯახური გუნება-განწყობა: „საბრალო დედა, უჭირს ორ სამუშაოზე".

როგორც ჩანს, მდინარე რაღაც უცნაურად მოქმედებდა სკვორცოვზეც — პირველად იყო, რომ არ შეეგება ცოლს. წარსულმა შეიპყრო, რომელმაც თითქოს ჰერმეტულად დახურულ კაიუტაში ფანჯრის მილმა მოყვითალო-არაჯანსაღი სიმღვრივედან ბოლქვ-ბოლქვად შემოაღწია. ეს სიბერეშეპარული, მშვიდ-ნაღვლიანი, ზოგჯერ პირქუში, გულგადარაზული ქალი, წარსულში რამდენჯერ უნახავს ბედნიერებისაგან გახელებული, ო, ეს სიყვარულისაგან და ბედნიერებისაგან გადარეული სახე!.. რა თქმა უნდა, ანა და პაშკა განწირულები იყვნენ. მოკვდავთა უზომო სიხარული ღმერთებს აღიზიანებთ. მუქთად არაფერი ეძლევა ადამიანს, ყველაფერი უნდა ზღოს. ადამიანები ბედნიერებისაკენ მიიკვლევენ გზას, მაგრამ ეკალბარდებზე ბეწვის ბღუჯებს კი არ ტოვებენ, არამედ სისხლიანი ხორცის ნაფლეთებს. აი, ასე მიაპობდა გზას სკვორცოვიც... პაშკა ამქვეყნისა არ იყო — ის გახლდათ რაინდი, ლეგენდარული დევგმირი, დონ სეზარ დე ბაზანი, მას ეწერა სიცოცხლე ზღაპარში, ლეგენდაში ან თუნდაც ვიღაცის ხსოვნაში. სიცოცხლის ეს უკანასკნელი ფორმა აკი პოვა კიდეც ყოველდღიურობაში კი, აბა, რა ესაქმებოდა ამ გულღია კაცს, რომელსაც ყველასი სჯეროდა. ომში რომ არ დაღუპულიყო (ის კი უნდა დაღუპულიყო), ნაკლებ რომანტიკული საშუალებით მოუღებდნენ ბოლოს.

სკვორცოვი რომ დაბრუნდა, თითქმის ყველას, ვინც იცოდა პაშკასთან მისი ომამდელი მეგობრობისა და მეტოქეობის ამბავი, მიაჩნდა, უმჯობესია, ანას არ დაენახოსო. მოეთრია ტყვეობიდან და დამცირებიდან, საძულველი, გამოუსადეგარი, უღიმღამო აჩრდილი და უვარგისი ასლი იმისა, ვინც არ დაბრუნდა. სკვორცოვი გარშემომყოფთა ბრმა სისულელემ ვერ შეაკრთო. ანა იყო მისი ხსნა, ისევე როგორც თვითონ! იყო ანას ხსნა, იმიტომ რომ მხოლოდ სკვორცოვზე დარჩენილიყო პაშკას ანარეკლი. მაგრამ რა ამტანიც და მოთ-

მენიც არ იყო, ზოგჯერ ეგონა, მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა. ანასთვის აუცილებელი იყო წარსულის ქექვა უსასრულოდ, სკვორცოვიც, თუმცა გული ეკუმშებოდა, მაინც ეხმარებოდა ამაში. ყველაზე ცხარე მეტოქეობის დროსაც მას თავისებურად უყვარდა პაშკა. ანამ კი აიძულა, შეეძულებინა მკვდარი. მას აოცებდა ადამიანური ეგოიზმი: ახალგაზრდა, დახვეწილმა, თანაც [illegible] ოცდაოთხ წლამოვლილმა და ნატანჯმა ქალმა ხომ საკუთარ თავზე გამოსცადა ტკივილიც და ნაღველიც და სატრფოსთან შერწყმის ამაოებაც. და ასეთი ქალი [illegible] ეუბნებოდა სკვორცოვს: პაშკა... პაშკა... პაშკა... ანას შეეძლო [illegible] სულმოუთქმელად ეგრიხა კოკტებელის ყმაწვილური მოგონებების უკანასკნელ წვეთამდე გაწურული ძონძი, კოკტებელისა, მისი კლდოვანი მწვერვალებით, მეჩხერი მცენარეულობით, მშრალი სურნელით, ნაირფერად მოკენჭილი სველი ნაპირით, ყურეებით, პოეტური ტრადიციებით, სასაცილო და ნაღვლიანი სიმღერებით, ლაშქრობებით ოტუზში, კოზასა და ძველ ყირიმში, შორეული გაცურვებით და თავაწყვეტილი ორთაბრძოლებით ჩოგბურთში,— სადაც პაშკა მუდამ იმარჯვებდა, ისევე როგორც ყველა სპორტულ თამაშობაში, — მწვადებით ყარადაღში და თბილი ღვინით.. და უსასრულო ნოსტალგიური ბოდვა ოქროსფრად აციმციმებდა მის დიდრონ უბედურ თვალთა ლურჯ ცისარტყელებს. სკვორცოვმა ესეც აიტანა, როგორც სხვა დანარჩენი, რამაც მისი სიცოცხლის საუკეთესო წლები წარიტაცა: უიღბლო სიყვარული, ომი, ტყვეობა, გერმანული ბანაკი, დამამცირებელი დაბრუნება შინ. მან მიილო ანა, მაგრამ განა დამთავრდა მისი წამება? პაშკა ძველებურად იდგა მათ შუა, ზოგჯერ ოდნავ ხილულად, ზოგჯერ კი ისე, რომ მთელ ქვეყნიერებას ჩრდილავდა. ხოლო როცა მათი პირმშო გაჩნდა, და ანამ მშრალი, დაკბენილი ტუჩებით — მშობიარობდა დიდხანს და მძიმედ — დაიკვნესა, ბიჭს პაველი ერქმევაო, პაშკა ისე საზარლად გაიზარდა, რომ სკვორცოვისათვის აუტანელი შეიქნა. ეტყობა, მაშინ მიხვდა სკვორცოვი ბოლომდე, რომ სძულს პაშკა. წყეული სახელი დიდხანს ხელს უშლიდა. შეეყვარებინა შვილი, ვისზეც ასე ოცნებობდა. მაგრამ ბიჭმა პატარაობაშივე იოლად შეძლო მამის გულის მოგება. სახელის გარდა, მას არაფერი ეცხო პაშკასი, მიუხედავად დედის ფარული და აშკარა სურვილისა, აღეზარდა თავისი კერპის მსგავსი. ბიჭი ჭკვიანი იყო, დამთმობი, გულჩათხრობილი, და ადამიანებისადმი ახალგაზრდა არსებისათვის უცნაური ზიზღით აღსავსე. მას ჰქონდა მომხიბვლელობა, ნაადრევი გარყვნილების დამპალი მომხიბვლელობა, მაგრამ რა საერთო აქვს ამას კეთილი დევგმირის ხელგაშლილ და მიმნდობ ქცევასთან, ყველა ჩაიკრას გულში? მისი ვაჟი ტურა იყო, რაც ხიბლავდა სკვორცოვს, მისი აზრით, ნაადრევად მომწიფებული და უარყოფითი გამოცდილებით გაჟღენთილი ჭაბუკი ნაწილობრივ მაინც აინაზღაურებდა იმ ვალს, რომელსაც მამამისი საზოგადოებას მიაწერდა. ვაჟიშვილი კი გრძნობდა მამის სულიერ ნათესაობას. მან ადრევე ამოიცნო დედის გულცივობა და მამის კალთას შეაფარა თავი. ახლა სახელი პაველი ირონიულად ეღერდა, რამდენადაც ის ერქვა ცინიკოს, ჩუმჩუმელა, ნაადრევად მოწიფულ ვაჟბატონს. სკვორცოვს სხვა შიშიც ჰქონდა. პაშკა და ანა გარეგნულად ერთი ტიპისანი იყვნენ — ტანადი, მოხდენილი, ლურჯთვალა შავგვრემანები. ვაჟს მამისაგან მემკვიდრეობით ერგო სიგამხდრე, ფერმკრთალი კანი, ქერა თხელი თმა, ხოლო მოძრაობის სინაზე და იშვიათი, თითქოს დაბნეული ღიმილი — ეს იყო ის, რაც ანას პაშკასაგან განასხვავებდა და აქ კი სკვორცოვს ნამდვილად გაუღიმა ბედმა. მაშ, რაღა ეშმაკად იშხამებს მოგ-

ზაურობას და რაღად ეფლობა ფიქრთა წებოვან ფსიქოლოგიურ სიბინძურეში? ვითომ პრობლემა იყოს... როგორ არა, არის...

მობეზრდა, პაშკა შუდამ მათთან რომ არის უხილავად, იჯექი შენს ჯარისკაცურ სამოთხეში, თუკი ასეთი არსებობს, და ნუ ჩაეჩრები მოწეულ, დაღლილ ადამიანებში, რომლებმაც ცეცხლი, წარღვნა და ათასი უბედურება გამოიარეს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ეგონა სკვოროცოვს, პაშკა ოემთვის განკუთვნილ ნეტარების ნაწილს იღებსო. ეს ბოდვაა, სისაძაგლე, ეგოიზმი — ის არის, რომ ბერდება და კარგავს ხასიათის მოქნილობას, ყოველ ეროვნულ-ეროვნულ წვრილმანს, ყოველ მარცხს, ანას ხასიათის ცვალებადობას, უმნიშვნელო წყენასაც კი ველარ ისხლიტავს, შემოდგომის სველი ფოთოლივით ეწებება სულში. ასეთი რამ კი არ ეკადრება სკვოროცოვს. განა სიცოცხლე დამთავრდა? არა, ის მხოლოდ დაისისაკენ იხრება და ამიტომ ხარბად და ნაჩქარევად კი არა, გამოცდილი დეგუსტატორის ბრძნული გულისყურით უნდა შეიწოვოს ყოფიერების თითოეული წვეთი, მაგრამ მას ხელსა ჰკრავენ და ბაგეს აცდენილი ღვინო იღვრება.

ნეტავ რა მოხდა, რატომაა, რომ წლებთან ერთად, რომლებიც არბილებენ ყოველგვარ სიმყისეს და წამახულ კუთხეებსაც ავლუვებენ, მას უფრო გაუძნელდა ანასთან ყოფნა, რატომ არის, რომ ახლა უფრო ავადმყოფურად განიცდის ყველაფერს, რასაც უწინ ასე მშვიდად ჩაუვლიდა ხოლმე? მთელი სიცოცხლე უაზროდ ელოდა ანასგან წარსულის პატარა, სულ ნამცეცა ღალატს. პაშკას ღალატს. თუნდაც წუთით მაინც ჩამოეგდო ანას იგი კვარცხლბეკიდან ან ნება მიეცა სხვას გაეკეთებინა ეს. მეოთხედი საუკუნე სხვისი ძეგლის კვარცხლბეკთან დგომას ნამდვილად ფოლადისებური ნებისყოფა სჭირდებოდა. სკვოროცოვი კი ადამიანია, თანაც გვარიანად ნაგვემი. ნუთუ არ შეეძლო ანას, თუნდაც თანაგრძნობის, ზიზღნარევი სიბრალულის გამო — სკვოროცოვი ამაზედაც თანახმა იყო — სულ უმნიშვნელო წყალობა მიეგდო მისთვის. ანაც ხომ ხვდებოდა, რომ ქმარს ეს სჭირდებოდა, მაგრამ მაინც არ გატყდა, თუნდაც დაღლილობისაგან — მთელი ცხოვრება ხომ არ შეიძლება თავს იცავდე კაცისაგან, რომელთანაც ერთად იძინებ და იღვიძებ. რა მტკიცე, სულის შემხუთავი, არაქალური ხასიათია! პაშკას წინაშე კი ცვილივით დნებოდა, მაგრამ თავად პაშკა მეტისმეტად გამოუცდელი იყო, რომ ფორმა მიეცა დამყოლი მასალისათვის, ოუმცა ანამ თვითონ მისცა საკუთარ თავს ფორმა პაშკასთვის...

ძველმა ფიქრებმა და იმ კაცის ფიზიკურმა სიახლოვემ, რომლის სულიც მათთან არ იყო, დატანჯა სკვოროცოვი. ამას, ალბათ, გემის კაიუტის პატარა და დახშული სივრცეც აორკეცებდა.

რას წარმოადგენს სივრცე და დრო არა ფილოსოფიურ, არამედ საყოფაცხოვრებო ასპექტში? ადამიანთა შორის გაწოლილ მანძილს — ვერსებს, კილომეტრებს, ხშირ შემთხვევაში რომ აახლოებს მათ მონატრებითა და შეერთების გზნებით. დრო თითქმის არასოდეს მოქმედებს ადამიანთა სასიკეთოდ. სკვოროცოვი ცრუობდა, როცა საკუთარ თავს წუთის წინ საწინააღმდეგოს უმტკიცებდა. თავდაპირველად ადამიანები, ერთმანეთის ბუნება რომ ამოიცნეს, უახლოვდებიან ერთმანეთს, მერე კი, ადრე თუ გვიან, დგება განშორების, მოცილების, გარდუვალი გათიშვის დღეები, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა ამ აზრს უარყოფს, მცდარად კი არა, მკრეხელურადაც კი მიიჩნია. მაგრამ ქვრივი კაცები უცბად ირთავენ ცოლს იმ მიზეზით, რომ არავინ ეყოლებათ წყლის მიმწოდებელი, ქვრივ ქალებს კი ჯერ არც გასცვეთიათ ფეხსაცმელი, რომლი-

თაც ქმრის კუბოს მისდევდნენ, რომ უმალ ან თხოვდებიან ან ჩვეულებისამებრ თავისზე ახალგაზრდა საყვარელს იჩენენ. ახლობელი ადამიანისაგან განთავისუფლება, ვის გვერდითაც ხანგრძლივად გიცხოვრია, მიუხედავად უეჭველი მწარე განცდებისა თავდაპირველად, არცთუ ისე მცირე სიკეთეა. ადამიანს თავისუფლება სჭირდება, ის კი კარგავს მას მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა ადამიანთან მრავალწლიანი თანაარსებობისას. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... მაგრამ ჩვენი შემთხვევა გამონაკლისი არაა. თუმცა [illegible] ნებებიც რომ გავფშიკო, მაინც არ დაეტყობა გამოცოცხლება: იმასვე [illegible], რასაც აქამდე აკეთებდა დიდი კეთილსინდისიერებითა და მონდომებით. ჩემზე სულაც არ ინაღვლებს და უკვე სრულიად დაუბრკოლებლად გადაეშვება თავის ოჯროს მოგონებებში. ოდესღაც მეც ვეხმარებოდი ამ საქმეში, ვჭირდებოდი, მერე კი შეამჩნია, რომ ჩუმად, თუმცა ჯიუტად ვეწინააღმდეგებოდი, და ვეწინააღმდეგებოდი იმიტომ, რომ მეშინოდა, ბოლოს და ბოლოს კიბორჩხალად არ გადავქცეულიყავი, რომელსაც მხოლოდ უკანსვლის უნარი აქვს. ანას ეს ამბავი აშკარად არ აძლევდა ხელს, რისი დამადასტურებელიცაა ჩვენი ასე მხიარულად დაწყებული მოგზაურობა. ანა სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო იქნება ჩემი, თუმცა, იმავე დროს, ყოველნაირად ეცდება არ გამოამჟღავნოს... კი მაგრამ, ჩემზე ადრე რომ მოკვდეს? — ჰკითხა სკვორცოვმა საკუთარ თავს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დაელოდა, მაგრამ მისი სული დადუმებულიყო. გადაწყვიტა, ამ საკითხისათვის შორიდან მოევლო. ვთქვათ, ანამ მიმატოვა (რაც შეუძლებელია), მე გავგიჟდები, თავს ჩამოვიხრჩობ, მაგრამ თუ არ ჩამოვიხრჩობ, შვილების გულისათვის, მაშინ როგორ მოვიქცევი, რაღაც საშინელებას ჩავიდენ? რას? გავლოთდები და პაპიროსს მივეძალები. ჩემი ორგანიზმი ვერ იტანს ვერც ალკოჰოლს, ვერც ნიკოტინს. კახპა ქალება ჩავეკვრები გულში, თუმცა სადღა არიან ისინი? ჩვენში არ არსებობს პროფესიული სიყვარული. მაგრამ ვიღაცა ხომ მაინც მისდევს ამ ხელობას, თუნდაც თანამშრომლები, ვინც გარს მახვევია ინსტიტუტში, ასე ვთქვათ, შეთავსებით, ცოდვის მოსაწყენი მორევი. არ მგონია, თავდავიწყება მაინც ვპოვო ამაში. ანა თუ მოკვდა, დიდი სიმძიმე მოწყდება სულს, ისე დიდი, რომ რაც დამრჩება, იმით ველარ ვიცოცხლებ. სკვორცოვს შეეშინდა, ძალიან შეეშინდა, და სასოწარკვეთილებამ მოიცვა, ერთიც ვნახოთ და ანა მართლაც ჩემზე ადრე მოკვდესო, და ხმამაღლა დაიკვნესა.

— რა დაგემართა? — შეშინებულმა იკითხა ანამ, მან უმალ შეიგრძნო, წრფელმა განცდამ რომ დაბადა ეს კვნესა, და უმალვე მოწყდა თავისი სულის მრუმე წიაღს არა მარტო გონებით, არამედ ქმრისაკენ გადახრილი სხეულითაც.

— ეშმაკმა იცის, — ჩაიბურტყუნა სკვორცოვმა და უმალ მიხვდა, ბრძოლა მოიგო, მაგრამ რატომღაც ვერა გრძნობდა გამარჯვების სიხარულს. — რაღაცამ მიჩხვლიტა... ეკალივით, — დაუმატა დაღრეჯილმა და ხელისგული ფერდზე მოისვა.

— გული ხომ არაა?

ქალი უკვე ჩანთას ქექავდა, იქიდან იღებდა ლამაზ-ლამაზ საზღვარგარეთულ წამლებს, — თვითონ არასოდეს სვამდა არც საზღვარგარეთულ და არც ჩვენს წამლებს, სამაგიეროდ, გულწრფელად სჯეროდა, რომ ეს წამლები მის მახლობლებზე სასწაულებრივად იმოქმედებდა და განკურნავდა. ავადმყოფს არასდროს სთავაზობდა ერთ აბს ან ერთ ფხვნილს, საგულდაგულოდ ამოარ-

ჩევდა ურთიერთგამანეიტრალებელსა და ამიტომაც უვნებელ წამლებს. მიუნდობელ სკვორცოვს ეს კარგად ესმოდა და მშვიდად გადაუძახებდა ხოლმე ხახაში მხიარულ, ნაირფერ კვერუკებსა და ბურთულებს, თან ზედ წყალს აყოლებდა. ახლაც ჩვეულმა რიტუალმა განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა. ოღონდ თვალი ადევნე, მეგობარო სკვორცოვ, ცოლი ძალიან არ შეაშფოთოს შენმა ჯანმრთელობამ, თორემ ყველაფერი ჩაიშლება. გულუბრყვილო ანას მოტყუება ადვილი იყო, მაგრამ მოვალეობის გამძაფრებულმა გრძნობა მას აფხიზლებდა. სკვორცოვი მოხერხებულად გაძვრა ორცეცხლშუა. ლაბის წუთწუთობით უფრო და უფრო თვინიერდებოდა ანა. ახლა საჭიროა მცირეოდენი სიგიჟე, რომ ცოლს სხვა დათმობაც გამოსტყუოს, რაც ისე დამღუპველი არ არის სკვორცოვის გაცვეთილი გულისათვის, როგორც განზრახვა, ჩავიდეს ბარში და კოკტეილის სმაში შეეცილოს თავის ლოთ შვილებს. არაფერი მიაჩნდა ანას ისე დამღუპველად გულით ავადმყოფისათვის (სკვორცოვს მყვინთავის გული ჰქონდა), ვიდრე ალკოჰოლი. ის ემუდარებოდა ქმარს, დაენდო საკუთარი თავი. რაც გინდა, ისა ჰქენი, ოღონდ ეს საშინელი საწამლავი არ დალიოთ. „აი ასე, ჩემო ჭირვეულო", ნაზად ფიქრობდა სკვორცოვი, თან სურნელოვან, ხშირ, სილურჯედაკრულ თმაზე ჰკოცნიდა.

მას ჰქონდა ბედნიერი ღამე, როგორც ყოველთვის...

ბავშვებს ნაკლებად გაუღიმათ ბედმა. ვაჟმა — პაშამ სმა არ იცოდა. სმის სურვილი იცოცხლეთ, დიდი ჰქონდა, მაგრამ დალევის შნო კი არა. ძალიან კარგად იცოდა თავისი სამარცხვინო სისუსტე, მაგრამ ყოველთვის იმედოვნებდა, რომ დასძლევდა. ამჯერადაც, გემის ბარში პაშკას ეგონა, ყველაფერი ო'კეი იქნებოდა. სიფრთხილის გამო მან გადაწყვიტა ყველაზე სუსტ სასმელს დასჯერებოდა. თანაც უმაღლესი კლასის გოგონა შეხვდა და სულაც არ იყო საჭირო, ისე გამომსკდარიყო, რომ სულელი, თუმცა პრეტენზიული პარიკმახერი ქალი ათენა პალადად მოსჩვენებოდა.

ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, პაშა სკვორცოვმა ვერა და ვერ ამოიცნო ამ ქალის სოციალური მდგომარეობა, ვერც ის — როგორ ცხოვრობდა. ჯერ იფიქრა, ისიც მშობლებთან ერთად მოგზაურობსო — სტუდენტი გოგონაა, განებივრებული შვილი, რომელსაც ჩემსავით და ტანკასავით სრული დამოუკიდებლობისათვის მიუღწევიათ. ახალმა ნაცნობმა გადაჭრით უარყო ეს ვარიანტი: ამგვარი მოგზაურობის მთელი სიმშვენიერე სწორედ ესაა — მარტო იყო უცხო, სრულიად უცნობ ადამიანთა შორის, სული გაიხალისო, თორემ ისე რა აზრი აქვს გამგზავრებას. მოულოდნელად პაშამ აღმოაჩინა, რომ გოგონა ბევრად უფროსია, ვიდრე მოეჩვენა თავდაპირველად. სმისა და სიცხისაგან, შეხუთული ჰაერისაგან, პაპიროსის ბოლისაგან თითქოს დაცვივდა სიყმაწვილის ყვავილს მტვერი და ქალის სახეს მოსცილდა ბუნდოვანი სიმშვენიერე, ნაკვთები გამოიკვეთა და ოდნავ გაუხეშდა. მაინც ვინაა? ერთგვარი იდუმალება ქალისა გაფიქრებინებდათ, ალბათ „ინტურისტში". მუშაობსო. ცეკვავდა ყველაზე კარგად და თანამედროვედ, სვამდა ჩინებულად, ფერფლს სადაც მოხვდებოდა, ყველგან ყრიდა, გარდა საფერფლისა, სიტყვებს სხვას არ დაესესხებოდა. პაშკას ქალის ოდნავ ხრინწიანი, თითქოს მობუზღუნე ხმა აღელვებდა, რითაც მსუბუქად და ენამოსწრებულად იგერიებდა ვაჟის გამოხდომებს, მოსწონდა მისი ნელი, წყვეტილ-წყვეტილი, სილრმიდან ამომსკდარი სიცილი, მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ის უბრალოება,

რომლითაც ქალი ნომერში წაჰყვა, როცა მუსიკოსებმა შუქის ჩაქრობა დაიწყეს, რათა თავაწყვეტილი მოცეკვავეებისათვის ფული წაეგლიჯათ.

ნომერში პაშამ აღებინა. ახალ ნაცნობს მშვიდად და მეგობრულად ეჭირა თავი: წყალი დაალევინა, გრილი ხელისგული შუბლზე დაადო, მერე, სველი პირსახოცით სახე მოუწმინდა. იგრძნობოდა, რომ ეს ყველაფერი უცხო არ იყო მისთვის. მორალს არ უკითხავდა, თუმცა მაინც უკბინა:

— უყურე ერთი! ნაღდ მსმელივით არ ეჭირა თავი!

პაშას რცხვენოდა, ბოღმისაგან ლამის ეტირა, გული მოსდ[illegible] ან ეჯავრებოდა საკუთარი თავი, მაგრამ მაინც სცადა ამ მდგომარეობიდან გამოძვრომა:

— ასეთი რამ არასდროს მომსვლია. სასმელი ჩემზე არ მოქმედებს. სარდელით მოვიწამლე სადილზე, გახსოვს ის საზიზღრობა? — და ზიზღისაგან სახე დაემანჭა.

— გეყოფა ბაქიობა, სარდელი ახალი იყო.. კეთილი, შენ რა, მოწყალების დად მომიწვიე თუ სასწრაფო დახმარება გგონივარ?

— რა გვეჩქარება? — მას უნდოდა დრო გაეყვანა, რათა გონს მოსულიყო. — მთელი ღამე წინა გვაქვს. ჩემთან დარჩები...

— ეგლა მაკლია! დასაძინებლად დავრჩე? ნუ სულელობ, ან...

— ან რა? — შეაწყვეტინა პაშკამ ღვარძლიანად, მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

— გადამიხადე გაფუჭებული კაბის საფასური.

— ხუთმანეთიანი ქიმწმენდაზე, დაე ასე იყოს... მიჩვენე ოლონდ, სად გაგესვარა?

— იაფად გინდა გამოხვიდე! — თქვა მან. — შე ცინგლიანო, დადე ორმოცდაათი, თორემ ისე გაგაფორმებენ, რომ დედ-მამას აღარაფერი ექნება წასაღები სასაფლაოზე.

პაშკა ნაკითხი ახალგაზრდა იყო, მას მაშინვე გაახსენდა სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და ოფიციანტის წკიპურტი, რომელმაც რომანის ნორჩი გმირი ნეხვის გროვად აქცია. ეს კი სულაც არ უნდოდა. ეჰ, როგორ გაება! თუმცა კი საინტერესო იქნება მოსაგონებლად, ბიჭები პირს დააღებენ... მაგრამ ახლა კი უნდა გამოძვრეს ამ მდგომარეობიდან.

— კეთილი, — თქვა მან მორჩილად. — მიყვარს ასეთი დედაკაცები. ფულში არაა ბედნიერება. მაგრამ ჯერ საქმე მიჩვენე. მეც ხომ არიფი არა ვარ.

რაღაც პატივისცემის მსგავსმა გაიელვა ქალის ცივ თვალებში...

ტანიას უფრო ნაკლებ გაუღიმა ბედმა. მან ყურმოკრულად იცოდა, რომ დედას ადრეულ ახალგაზრდობაში სხვა უყვარდა. ის ადამიანი ომში დაიღუპა, მეხსიერებაში გაიელვა მაღალმა, შავგვრემანმა, ლურჯთვალა ვაჟმა... დანარჩენიც ფანტაზიამ შეავსო კინოეკრანის საშუალებით, და მხიარული ყმაწვილი პაშკა აღმოჩნდა შუახნის რომანტიკული გმირი, ჩუმი და იდუმალი, საბედისწერო დამღით შუბლზე. მშვენიერი მელანქოლიური წყვილი დეპატრონა ტანიას წარმოსახვას. ბარში იმავე ტიპის კაცი იყო: მაღალი, გარუჯული, ცისფერთვალება, ჭაღარა, მტკიცე და პირქუში ბაგით, — მან ძალისძალათი გახსნა მშრალი ტუჩები, რათა საცეკვაოდ მიეწვია ტანია. მოედანი ცარიელი იყო, ამან დააბნია ტანია, მაგრამ მაინც წავიდა საცეკვაოდ. და არც ინანა, მამაკაცი ფრედ ასტორივით ცეკვავდა, რომელსაც ხშირად უჩვენებდნენ ტელევიზორით ძველი ამერიკული ფილმების ნაწყვეტებში... მისგან მომდინარე ძალა

19055

თრგუნავდა ადამიანს და ტანია, სულაც რომ არ გახლდათ მორცხვი, მადლობელი იყო დუმილისათვის, რადგან ეშინოდა, სულელი არ მოსჩვენებოდა ამ კაცს. თვითონ ეს კაცი ჭკვიანი იყო თხემით ტერფამდე, ჭკუა გამოსჭვიოდა მის მიხრა-მოხრაში, გამოხედვაში და სიგარეტის წევაშიც, ცეკვაშიც და დუმილშიც, და სულაც ალარ იყო საჭირო სიტყვები, რომ ტანიასთან კაიუტაში ალმოჩენილიყო, და მერე, როგორც ყოველთვის, ტანიამ მოისურვა ყველაფერი შეეწყვიტა შუაგზაზე, ცოტა უფრო შორსაც. სხვა კაცები ეთამაშნენ გაიბრძოლებდნენ და მერე შეურიგდებოდნენ ბედს, მაგრამ ტანიას ალუმალი რჩეული არ მოქცეულა ასე. მისი უძრავი სახე არ შეცვლილა, მაგრამ მან გახსნა მდუმარე ბაგე და ტანიას შეეშინდა.

— მორჩი ბაზარს, — უთხრა ფრედ ასტორმა. — ჩემთან ასეთი ოინები არ გაგივა, ჩაცეცხლა, გამოძღა და ახლა ბაყაყური!

ეს ისე მოულოდნელი იყო, ისე არ შეეფერებოდა მის უწინდელ მოქმედებას და ყველაფერს, რაც ტანიას გაეგო და ენახა თავის სიცოცხლეში, რომ ბრინჯივით დაიბნა.

— რა გსურთ? — შეეკითხა შიშისა თუ ზიზღისაგან აკანკალებული ხმით.

— დანახარჯის ანაზღაურება. — წარმოთქვა მან და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ სილა გააწნა.

ტკივილით არ ეტკინა ტანიას. მაგრამ წყენა და სირცხვილი იგრძნო. ცრემლების ყლაპვით ჩანთა გახსნა და დაჭმუჭვნილი ოცდახუთმანეთიანი გაუწოდა.

— სულ ესაა? — მუქარით შეეკითხა კაცი.

ტანიამ სწრაფად დაუქნია თავი. კაცმა გამოსტაცა ხელიდან ჩანთა, ამოქექა, იპოვა თვლიანი გულსაბნევი გატეხილი საკეტით და ჯიბეში ჩაიდო. მაგიდაზე დააგდო ჩანთა, ტანიას მუშტით დაემუქრა და მშვიდად, ბეჭებში მოხრილი გავიდა.

კაცი თავის კაიუტაში შევიდა, გაიხადა, ტანი გადაიბანა და ბანჯგვლიანი, შავგვრემანი, დაკუნთული, საცურაო ტრუსებისა და მაისურის ამარა მიწვა ლოგინზე. მალე მისი თანამგზავრი ქალიც მოვიდა.

— ყველაფერი რიგზეა?

— ჰო, შენთან?

—ვილაც ლაწირაკი შემხვდა, თანაც უფულო. აი, ეს წავგლიჯე, რამედ ღირს? — მან ქალს გადაუგდო გულსაბნევი. — ამეებისა არაფერი გამეგება.

— ქვა ნამდვილია, ჭირიმე შენი!

კაიუტაში წყვდიადი ჩამოწვა. ფანჯარა კი რიჟრაჟის მკრთალმა შუქმა შეფერა.

ნისლიან, გრილ გარიჟრაჟზე თბომავალი ბოგოიარის ნავმისადგომს მიადგა. ეტყობოდა, მალე გამოიდარებდა, რადგან ნისლში მზის სხივები ატანდა. დიდი, თეთრი, სუფთა, მორთული გემი გაირინდა გორაკებთან, ტყით დაფარულ, კლდოვან კუნძულთან, რომლის მეორე ნაპირზეც ნახევრად დანგრეული მონასტერი იდგა, ძველებური პატარა ეკლესიები და სამლოცველოები ტყის პირებსა და ტევრში მიმოფანტულიყო, ხის ხიდები გაედოთ წყაროებსა და ხევებზე, ტურისტულ და ნადირთა ბილიკებით იყო კუნძული დაქსელილი, ხოლო ფართო შარაგზას მონასტრის მახლობლად მდებარე დაბისაკენ მივყავდით. თბომავალმა ჩააქრო მძლავრი ძრავები და გაირინდა ორი სიგრილის მიჯნაზე — ტბის მკვეთრი და ტყის ნაზი სიგრილის მიჯნაზე — მთელი თავისი

შიგთავსით: კარგი და ცუდი ადამიანებით, გალეშილი ჭაბუკებითა და ცოდვილი გოგონებით, შთაბეჭდილებებს დახარბებული ექსკურსანტებით, ბუნების გულაჩუყებული მოტრფიალეებით, ქალაქისაგან გადაღლილი მშრომელებით, ნაძირალებითა და ყალთაბანდებით, წესრიგიანი და მარჯვე ეკიპაჟით და ბუნტია მუსიკოსებით, მხიარულებით და მწუხარებით, პოეზიით, სიბინძურით, გულისნადების გაუბედავი გამჟღავნებით, გარყვნილებით, სიყვარულიდან შეცდომებით, მოგონებებით, იმედებით, ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთად, შეადგენს ადამიანის ცხოვრებას, თანამედროვე ნოეს კიდობანს, რომლის გემბანზე თავი მოუყრია, როგორც იმ უხსოვარ დროს, ყველა ჯურის წყვილს — წმინდასა და უწმინდურს, მაგრამ ადამიანთა თავშეუკავებლობის სიბილწეშიც კი უცოდველს. წავლენ სასეირნოდ მგზავრები და გამოწვრთნილი ეკიპაჟი ყველაფერს მიალაგებს, დაგვის, მტვერსასრუტით გაწმენდს, გაფხეკავს, გააგრილებს, — და გემი გახდება უნაკლო შიგნითაც და გარეთაც, რათა მომდევნო ღამეს კვლავ იქცეს სამოთხედ და ჯოჯოხეთად, და იმავე დროს თავისი მთავარი არსი — ბრწყინვალე გემის სახელიც გაამართლოს, რომელიც მძლავრად და თანაბრად მიაპობს ტბებისა და მდინარეების ტალღებს.

თბომავალი ზუსტად განრიგით მიადგა ნაპირს და ყველა, ვინც კი უნდა დახვედროდა, დახვდა კიდეც თავის ადგილზე: ნავმისადგომის მოსამსახურენი, მტვირთავები, ფოსტისა და მედიცინის მუშაკები, მილიციელები, ღია ბარათებით,სუვენირებითა და ცოდნის რომელიღაც იშვიათი და განსაკუთრებული სფეროს საეჭვო გამოცემებით მოვაჭრენი, რომლებიც არავინ იცის, რისთვის მოხვდნენ ამ უდაბურ კუნძულზე. ნავმისადგომის ნაგებობათა, ვარდებისა და მიხაკების, შეკრეჭილი ბუჩქნარისა და ყინულოვანი ხანის უზარმაზარი ლოდის უკან გაზეთის ფურცლებზე დაწყობილ დაბრეცილ ფესვაკებთან უკვე მორიგეობდნენ გარდასული ომის ყველაზე ბედკრული ადამიანები, რომლებიც ფოფხვა-ფოფხვით მოსულიყვნენ აქ მონასტრიდან, ოდესღაც ინვალიდთა უდიდესი თავშესაფარი რომ იყო. ახლა მონასტერი თითქმის გაუკაცრიელდა და მის უკანასკნელ მაცხოვრებლებს უკეთეს ადგილას უპირებდნენ გადაყვანას. ფესვაკები, რომლებსაც ამაყად უწოდებდნენ ბოგოიარის ყენშენს, არავითარ სამკურნალო და გამაახალგაზრდავებელ თვისებებს არ შეიცავდნენ, მაგრამ შორეული აღმოსავლეთის ბუნების საკვირველებათა მსგავსად ფორმით მახინჯ, იდუმალ კაცუნებს მოგვაგონებდნენ და ტურისტების დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდნენ.

რა ხანია გემის დიქტორის მხნე და მომთხოვნმა ხმამ გამოაცხადა საღვიძარა და ახლა რეპროდუქტორებიდან, რომლებსაც ვერ გამოთიშავდით, მორაკრაკებდა სასულე მუსიკა, მაგრამ მგზავრები ზანტად იძვროდნენ ადგილიდან. ივლისის ღამის იმედით არავის დაეხურა სარკმლები და ჟალუზები დილისათვის ისე გაიყინა, რომ არავის უნდოდა შალის საბნიდან გამოძვრომა, მაგრამ მგზავრები იძულებული გახდნენ ამდგარიყვნენ, რადგან ძველებურ ვალსებს სულ უფრო ხშირად წყვეტდა დიქტორის მკაცრი ხმა, ექსკურსიის მძღოლები არ დაგელოდებიანო. ცხელი შხაპი სხეულს უბრუნებდა სიცხოველესა და სიმხნევეს, მუსიკა უკვე არ აღიზიანებდა ადამიანს, პირიქით, გარეთ მოუხმობდა. სასიამოვნო იყო ფიჭრი საუზმესა და ნაძვნარით დაფარული ბოგოიარის სურნელოვან ჰაერზე.

ანამ საუზმე მალე მოათავა და ქმარს უთხრა, ნაპირზე მოგიცდიო. იქ ექსკურსანტები უნდა დაეყოთ ჯგუფებად — ლაშქრობები სხვადასხვა სიძნე-

ლისა და ხანგრძლივობისა იყო. შვილების კაიუტებს ისე ჩაუარა, არც კი უფიქრია, მიეკაკუნებინა, არც ნაბიჯი შეუნელებია. გემბანზე გამოვიდა და საბიჯელათი ჩავიდა ნავმისადგომზე, იქიდან კი მყარ, საიმედო მიწაზე დადგა ფეხი. გემის თითქმის შეუმჩნეველი რყევა უცნაურ და უსიამოვნო დაძაბულობას აგრძნობინებდა. ახლა კი თითქოს გულზე მოეშვა.

ნაპირი საკმაოდ უკაცური იყო: პირველ ცვლას ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა საუზმე, მეორე კი თავის რიგს ელოდა. ვიღაც მგზავრებმა — ალბათ, ამელთაც არ სურდათ თავი შეეგოჭათ ოფიციალური ექსკურსიით, ადგილობრივ მცხოვრებთ გამოკითხეს მონასტრისაკენ მიმავალი გზა და მანძილი იქამდე.

— გზა აქ ერთია, — თქვა გლეხმა, რომელსაც ფიჭვის გირჩებით სავსე კალათი ეჭირა და მიუთითა შარაგზაზე. — შორი არაა, ათი კილომეტრი იქნება.

— ხომ არ გადაირიე? — აღშფოთდა ბრეზენტის თათმანებიანი გამხდარი ქალი, რომელიც აგურით სავსე ურიკას მიაგორებდა. — რვაც არაა.

— იქნებ არცაა. — მორჩილად დაეთანხმა გლეხი.

— ყურს ნუ დაუგდებთ მაგათ. — ჩაერია მოჭიდავის აღნაგობის მებაღე, რომელიც ფიჭვებს ტოტებს აჭრიდა. — ზუსტად შვიდი კილომეტრია.

— ექვსი ათას რვაას ორმოცი მეტრი, — პირქუში ჩაცინებით მოუჭრა ვიღაცამ, რომლის ხმაც ანას თითქოს ეცნო.

მგზავრებმა ლოდისკენ გასწიეს, ანაც ანგარიშმიუცემლად აედევნა და დაინახა ხეიბრები, რომლებიც ბინძური, ნუჟრიანი ფესვუკებით ვაჭრობდნენ მხოლოდ ახლა გაახსენდა ბოგოიარის ნაღვლიანი ბედი — იგი უკანასკნელი თავშესაფარი გამხდარიყო ომში დასახიჩრებულთათვის, რომლებმაც არ მოინდომეს შინ დაბრუნება და იმათთვისაც, ვისი მიღებაც არ ისურვეს.

— თითქოს გამოთვალა! — შენიშნა ერთ-ერთმა ტურისტმა.

— კი არ გამოთვალა, არამედ გამოიარა, — სიტყვა აიტაცა მეორემ. — რამდენჯერ დაგიფარია ეს მანძილი შენი უთოებით? — ჰკითხა მან საყელოგაღეღილ ნაცრისფერ პერანგში გამოწყობილ ხეიბარს, რომელიც ფესვუკებიან გაზეთთან აყუდებულიყო.

ხეიბარზე ვერ იტყოდით, დგას ან ზისო, იგი სწორედ რომ ჯირკვით აყუდებულიყო, ხოლო მისი დაჩეხილი ფართომკერდიანი სხეულის ორივე მხარეს, ქვემოდან რომ სქელი მუქი ტყავი ჰქონდა ამოკრული, თვითნაკეთები, ძველი ქვანახშირის უთოს მსგავსი ხის მიმწოლები ეწყო. მისი მეზობელი, ასეთივე მორი, მაგრამ უფრო ხნიერი, და არცთუ ისე მკვრივი აგებულების, ბორბლებიან ურიკაზე მოკალათებულიყო. მას არ შესწევდა უნარი ხტუნვა-ხტუნვით გადაელახა თითქმის შვიდი კილომეტრი მონასტრამდე და იმდენივე უკან.

მგზავრის განზრახ „ძმაბიჭურ" კილოში სურვილი ჩანდა კეთილშობილური პირდაპირობით (ამაში იგულისხმებოდა მხედრული გმირობისა და მძიმე დანაკარგისადმი ღრმა პატივისცემაც), გულითადი მამაკაცური სიახლოვე დაემყარებინა განახევრებულ ადამიანთან. მზით დამწვარ, ტუჩებმოკუმულ სახეზე ნაკვთი არ შესტოკებია ხეიბარს, რომელმაც ზუსტი ცნობა მიაწოდა ტურისტებს, თითქოს არც გაუგია მისი მისამართით თქმული სიტყვები. ნაცრისფერი ულმობელი თვალები შორს მიმართა, გარშემომყოფთა ცარიელ, გამჭვირვალე სხეულებს მიღმა. ტურისტებმა იგრძნეს ამ კაცის სახიფათო შფოთვა და რაღაც უხერხულად განაგრძეს გზა, თან ერთმანეთს აწყდებოდნენ.

ანას გული დასწყდა, რომ ველარ გაიგონა მისი მკვეთრი, ამპარტავნული, არასასიამოვნო ხმა, რომელსაც რაღაც იდუმალი მსგავსება ჰქონდა პაშაკეთილ, თბილ ხმასთან. ხეიბართან ახლოს მივიდა. მაგრამ ის რომ ვერ მიმხვდარიყო მის ცნობისმოყვარეობას, ანა თავის მოწესრიგებას შეუდგა: სამაგრებით დაიმაგრა ქარისაგან აწეწილი თმა, დაიმოკლა მხარზე გადასაკიდებელი ჩანთის წვრილი თასმა, გულდასმით შეათვალიერა მორყეული ქუდი, როგორც მგზავრმა, რომელსაც სურდა გარკვეულიყო სივრცეში, ადგილმდებარეობა შეათვალიერა. მერე ანამ თითქოს მზერა შეანივთა, ყველაფერი ხელმეტი მოარიდა გზიდან, და ახლა გვერდით, ოდნავ უკან გადაიტანა, ნაცრისფერ, უხეშ პერანგში გამოწყობილ ხეიბარზე შეაჩერა.

ანა თავად გრძნობდა, რა ნაზად და მადლიერებით ულიმოდა ხეიბარს იმისათვის, რომ პაშა მოაგონა. აზრი მოწყდა სინამდვილეს, ოცნებად იქცა, გამაბრუებელ ზმანებაში თითქმის შეერწყა პაშას. პაშას რომ ეცოცხლა და ასაკი მომატებოდა, მასაც ასევე გაუმაგრდებოდა და გაუუხეშდებოდა სახე; ყვრიმალები, ყბები, გამობურცული შუბლი, ნაჩევრად დაფარული ბლინისმაგვარი კეპით; ასეთივე სიმტკიცე დაეტყობოდა მის ლამაზ დიდ პირს, ასევე აევსებოდა ძალ-ღონით და გაუფართოვდებოდა ჭაბუკურად მოხდენილი გულ-მკერდი. ოდესღაც ანა ტკბებოდა ბრიტანეთის მუზეუმში ფიდიასის ქანდაკებების ნამსხვრევებით, რომელიც ინგლისელებმა მოიტაცეს პართენონის ფრონტიონიდან, და ერთმა აზრმა თითქმის დამდუღრა: რა საზარელი იქნებოდნენ მარმარილოს მორები, ადამიანის სხეულებად რომ ქცეულიყვნენ. ეს ხეიბარი ბოგოიარმა მოიტაცა ბრიტანეთის მუზეუმიდან, მაგრამ დაჩეხილი სხეული მაინც მშვენიერი იყო, და ანას — დაე ეს მკრეხელურად ეღერდეს — სულაც არ უშლიდა ხელს, რომ მხოლოდ ნახევარი იყო, ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ შეორე ნახევარიც ასევე სრულყოფილი იქნებოდა.

რაც უფრო დიდხანს შესცქეროდა ხეიბარს, მით უფრო აშკარა იყო მისი მსგავსება პაშკასთან. რა თქმა უნდა, სხვადასხვანი იყვნენ: ჭაბუკი და თითქმის მოხუცი. არა, მოხუცს ვერ უწოდებდი, ეს სიტყვა არ ესადაგებოდა მის ჩამოსხმულ ძალას, მზით დამწვარ, მკაცრსა და ლამაზ სახეს. ფოლადისებრ მტკიცე თვალებს. ორმოცდაათისაც არ იყო ალბათ, მაშასადამე, სამამულო ომის მონაწილეც არ არის. იქნებ აქ ისინიც არიან, ვინც მშვიდობიან დროს დასახიჩრდნენ? არა, ეს კაცი ომის მონაწილეა. მხედრული აღნაგობა აქვს. მის პერანგზე მიმაგრებული ღილები გიმნასტერიდანაა არღვეული, თვალების გარშემო ნაოჭები და ყელის ნაკეცები, სადაც მზის სხივს ვერ შეეღწევია, უკვე ახალგაზრდული არაა. რა თქმა უნდა, ორმოცდაათზე მეტისაა. და უცებ პაშკასთან მისი მსგავსება თითქოს გაქრა. პაშა რომ ცოცხალი დარჩენილიყო, სხვანაირად დაბერდებოდა. მისი გულღია ვაჟკაცური სახე უეჭველად წლებთან ერთად შერბილდებოდა, ჭეშმარიტად კეთილი ადამიანები ხომ ასაკში შესვლისას უფრო კეთილები ხდებიან, მათი ჭაბუკური გაუცნობიერებელი შემწყნარებლობა გარშემომყოფებისადმი გადაიქცევა გაცნობიერებულ ალიარებად ცხოვრებისა. და ვერავითარი უბედურება, ყველაზე საშინელიც კი, რომელიც თავს დაატყდა ამ ჯარისკაცს, ვერ გააუხეშებდა პაშას სულს და ვერ ჩააქრობდა მის მზერას. ანას წარმოსახვამ, ლანდთა აღრევამ და თითქმის ნაცნობმა ინტონაციამ, ეს ულმობელი კაცი შემოსა ცრუ მსგავსებით ჭაბუკთან, რომელიც სიკეთის განსახიერება იყო. ამ დროს ხეიბარმა ნელა მოატრიალა თავი, ნადირის ალღოთი იგრძნო, უთვალთვალებდნენ. მზის სხივი დაეცა

მის თვალებს და ტყვიისფერი ფსკერიდან ამოიტაცა კაშკაში გამჭოლავი სილურჯე

— პაშა! — დაიყვირა ანამ, მისკენ გაიჭრა და მიწაზე დაეცა. — პაშა!.. პაშა!.. პაშა!..

ხეიბარი არ განძრეულა. ის იმზირებოდა ცივად, მშვიდად, უცხოსავით, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა.

ანამ გულში ჩაიკრა მკვრივი, ტლანჭი და თითქმისაც [illegible], სახით ჩაეფლო მილიონჯერ გარეცხილ პერანგის სურნელში [illegible] ამ უცხო, მტრულ, დროით, გზებით, უცხო ხალხით და უცხო სამყაროთი მონაბერს მილმა მაინც შეიგრძნო რაღაც მშობლიური, რომელიც ვერ მოატყუებდა...

ანამ იცოდა, პაშა მაშინვე წავიდოდა ფრონტზე, როგორც კი დაბრუნდებოდნენ კოკტებელიდან, სადაც ომმა მოუსწროთ, მანამდე კი ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენ, არა მარტო შტამპით პასპორტში, არამედ სულითა და ხორცით. სწორედ ანამ წაიყვანა პაშკა სარდიონის ყურეში. მაგრამ პაშკა აღმოჩნდა წესიერების ფანატიკოსი,წყეული ფარისეველი!.. მომავალში არაფერს ელოდნენ და სამოთხე, რომელიც ანამ სარდიონის ყურეში პოვა, უმალვე გადაიქცა დაკარგულ სამოთხედ.

ანა მიხვდა, რომ მისი დანაკარგი აუნაზღაურებელია. თუ ალექსეისთან არაფერი გამოუვიდა, მით უფრო სხვასთან არაფერი გამოუვა. მის კოცონს პაშკა აღანთებდა. მან კი უღალატა, სიკვდილზე გასცვალა და ყველაფერი ქალური ჩაკვდა მის არსებაში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ღალატი ათასჯერ უფრო უნამუსობა და ბოროტებაა, სიკვდილმა კი არ წარიტაცა იგი, არამედ სულელურმა თავმოყვარეობამ, უბადრუკმა მამაკაცურმა ქედმაღლობამ, და რაც უფრო სულელურია და არარა, ანას სიყვარულში დაეჭვებამ, რა ტუტუცია, ბისთავა, ნამდვილი ყეყეჩი, გაბოროტებული იდიოტი! დაღუპა ორი ადამიანის ბედი. ადამიანი — სამყაროს საერთო ცხოვრების ნაწილაკია, მას უფლება არა აქვს, ასე უგუნურად მოექცეს საკუთარ თავსაც კი, მით უფრო გადაწყვიტოს სხვისი ბედი. მან გაძარცვა ანა თავით ფეხამდე. დატოვა უქმროდ, ლოგინში ჩაუწვინა თეთრკანიანი ხვლიკი, მოუკლა ნამდვილი შვილები, მათ ნაცვლად ვიღაც უჯიშოები მიუგდო, რისთვის გააუბედურა ასე? ნუთუ შურს იძიებდა თავისი დაკარგული ფეხებისათვის? ღმერთო ჩემო, მან ვერაფერი გაუგო ანას...

ანას ტანში ზარავს, კრუნჩხვები უელის, სული ეხუთება ტკივილისაგან და გაზეთებზე დაწყობილ იმ საზიზღარ ფესვუკებს — პაშკას მორჩილების იდიოტურ სიმბოლოს — ემსგავსება. ანა ყვირის, ლამისაა ცრემლებმა დაახრჩოს:

— გამყიდველო! რა ნაძირალა ხარ! არამზადა!

— ჩუმად, — ამბობს კაცი გაკვირვებით და უწყინრად. — რა დაგემართა?

— კიდეც მეკითხება? სადაა ჩემი სიცოცხლე?

ქალი მუშტებს ურტყამს საყვარელ და საძულველ სახეს, ჯავშანსავით მაგარსა და ბრაგუნა მკერდს, პაშა თავის დიდ ხელში, ტორში, ფეხ-ხელში (ის ხომ ამ ხელით დადის კიდეც) მოიმწყვდევს ქალის წვრილ მაჯებს და მუხრუჭებივით მოუჭერს. რა თქმა უნდა, ანა ვერსად გაუსხლტება და გამწარებული პაშას სახეში აფურთხებს.

— პაველ სერგეიჩ, ნება მომეცით, ქალბატონს ვლეწო, — შესთავაზა მეორე უფეხო კომერსანტმა.

— ნუ ღელავ, დანილიჩ, — თქვა პაშამ, — ყველაფერი რიგზეა! — და უცებ, ისე დაიღრიალა, რომ ძარღვები თოკებივით დაეჭიმა. — უკან, კორსარ, ადგილზე! დაწექი!

ანას მოესმა წკლაპუნი, ჰაერის ტალღამ დაარტყა ზურგში, მერე სულის შემხუთველი მომწარო სუნი, ძაღლისა კი არა, ტყიურის სუნი მოეფრქვია; გარშემო, და ისე, გაფოფხდა მის გვერდით ღრენითა და წკმუტუნით უსარმაზარი ქოფაკი. ეს ქოფაკი კი არა, ნახევრად მგელი გახლდათ, ვეება დინგითა და ჭუჭყიანი მოყვითალო-ნაცრისფერი ბეწვით.

— იწექი! — გაიმეორა პაშკამ. — მშვიდად!

კორსარმა ისე დაამთქნარა, თითქოს დაიკვნესაო. მას გამოეპარა პატრონზე თავდასხმა, მისი უხმაურო, ელვისებური ნახტომი დაგვიანდა, უსარგებლო გახდა.

— დაცვა კარგი გაქვს!..

კორსარმა თავი ასწია, დაიღრინა და ყვითელი ეშვები გამოაჩინა.

პაშკამ მიწაზე დაარტყა ხელი და ძაღლმა ისე დაიმუვლა, თითქოს მას დაარტყესო.

— აბა, წყნარად, — თქვა პაშამ. — ნახევრად მგელია. შეიძლება ვერ ოვასწრო შველა.

— მიმიფურთხებია, — თქვა ანამ. — დაე დამგლიჯოს.

საფეთქლები უსკდებოდა. სიცოცხლეში ერთი-ორჯერ თუ ჰქონია ასეთი უცნაური ტკივილი, თითქოს კვდებაო. თვალწინ ყველაფერი მიცურავდა: სივრცე, ლოდი, ხეიბრები, შემზარავი ძაღლი, ფესვაკები; მოქანავე, კონტურებ და სიღრმედაკარგულ სამყაროდან მხოლოდ შავგვრემანი ჭაბუკური სახე იკვეთებოდა მკაფიოდ. ანა მიხვდა, რომ პაშკამ მოიხადა თავისი საშინელი კეპიბლინი და მისმა კვლავინდებურად მუქმა, ჭაღარაშერეულმა, ხშირმა თმამ სახე დაუგრძელა და ადრინდელ პაშკას დაამსგავსა. მან ისიც შეამჩნია, რომ სამყარო შეივსო: მასში უამრავი თვალი გაჩნდა. მერე რა, მიუფურთხებია ანას მათთვის.

გარემო აღარ ირწეოდა და ანამ კვლავ ნათელი, სუფთა თვალებით ჰეიზაეის სიღრმეში აღმოაჩინა თბომავლიდან გადმომსკდარი ბრბოს უკან სკვოროვის გადაფითრებული და დამანჭული სახე.

სკვოროვი თავპირისმტვრევით უკან მიაწყდა საბიჯელას და გაჭრა. რამ შეაშინა ასე? ამ კითხვაზე თავისმტვრევა საჭირო არ იყო. ტყეში თუ გადავლენ, ანა თვითონ მიეხუტება პაშკას მკერდს და ყველაფერი კარგად იქნება.

— გადამიყვანე აი იმ ტყეში, — შეევედრა ხეიბარს, — როგორც უწინ, გახსოვს.

— ფეხები გაქვს და გადადი, აბა, მე რითი გადაგიყვანო, — ბოროტად გაეცინა კაცს.

— როგორ თუ რითი? — თქვა ანამ გონივრულად და თან შტერულად. — ხელში მინდა ამიყვანო.

პაშამ მიწიდან ასწია ხის უთოები და უჩვენა, როგორ მოძრაობდა მაგი საშუალებით.

— მიხვდი?.. რომ მცოდნოდა, მობრძანდებოდი, კორსარს შევაბამდი ურიკაში.

— ნუთუ არ მელოდი? — შეეკითხა ანა გაკვირვებით.

კაცმა შეშფოთებული მზერა მიაპყრო:

— რაზე ლაპარაკობ? შენ ხომ მოწიფული ადამიანი ხარ... ხნიერი ქალი, — დაუმატა ულმობლად.

— ექვსი ათას რვაას ორმოცი მეტრი, — თქვა ანამ. — რა ზუსტად გამოგითვლია!.. გამოდის, ყოველთვის ხვდებოდი გემს. ვითომ, ფესვუკებით სავაჭროდ მოდიოდი?

— აბა რით? მარგალიტებით ხომ არ ვივაჭრებდი?

— ნუ ტყუი. მატყუარა არასდროს ყოფილხარ. ვისაც კი ვიცნობდი, შენ ერთადერთი მართალი კაცი ხარ. ხომ არ გალოთდი? — შეეკითხა შეშინებული.

— ესეც იყო, — უპასუხა კაცმა გულგრილად. — მაგრამ ბოლო მოვუღე, უკვე დიდი ხანია.

— აი ხომ ხედავ... მე მელოდი, ამიტომაც მოდიოდი აქ.

პაშა არასდროს დაფიქრებულა, რისთვის მიჩლახუნობდა ნავმისადგომისაკენ. ჩვეულებად იქცა, დახვედროდნენ ტურისტულ თბომავალს. და ყველანი, ვისაც კი უნარი ჰქონდა მოძრაობისა, იქითკენ მიემართებოდნენ — მიჩანჩალებდნენ ყავარჯნებით, პროთეზებზე შემდგარნი, მიდიოდნენ ურიკებით, „უთოების" დახმარებით, ცოცვით, ერთ „სამოვარს" კი — ლიოშკას — მოხუცი დედა ზურგით მიათრევდა, თოკებით მიმაგრებულს, იმიტომ რომ შვილს მკლავები არა ჰქონდა, დედისთვის შემოეხვია. ზოგნი ფესვაკებით ვაჭრობდნენ, ზოგნიც სოკოთი, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, განა მხოლოდ ამისათვის გადიოდნენ ერთი მიმართულებით შვიდ კილომეტრს! ბოგოიარზე უმეტესობა საკუთარი არჩევანით მოხვდა და არა გამოუვალი მდგომარეობის გამო: თვითონ არ მოისურვეს ოჯახებში ცოლებთან, შვილებთან დაბრუნება სიამაყის, შიშის გამო, რომ ზედმეტი ბარგი იქნებოდნენ და რადგან ახლობელთა ამტანობაში ეჭვი ეპარებოდათ, თავი გარდაცვლილებად გაასაღეს და აქ დაიმარხნენ. და მაინც გული მიუწევდათ დიდი სამყაროდან მოსული ცოცხლებისაკენ. ვიღაც-ვიღაცებში კიდევ ღვიოდა გიჟური იმედი, რომ თეთრი თბომავლიდან ნაპირზე გადმოსულთა შორის აღმოჩნდებოდა ახლობელი ადამიანი, დამთავრდებოდა თვითგვემა და დაუბრუნდებოდა იმ ცხოვრებას, რომელზეც საკუთარი ნებით თქვა უარი. ისინიც კი, ვინც შინ არ მიიღეს, აქეთ მოიწევდნენ სასწაულის მოლოდინში, რომელსაც არ ელოდნენ, სასწაულისა, რომელსაც მონანიება ჰქვია! ეს ყველაფერი სიმართლეა, ოღონდ მთავარი სიმართლე არა, მთავარი სიმართლე მარტივია. სურდათ ენახათ ადამიანები ი ქ ი დ ა ნ, იმ ღვთაებრივი ცხოვრებიდან, რომელიც ბოგოიარის მკვიდრთათვის აკრძალულია, მაგრამ ე ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ხომ არის, არის და ამით ცხოვრობენ ზოგიერთები, ფრონტზე მათ გვერდით რომ იბრძოდნენ და სისხლი დალვარეს მათსავით. ოღონდ მათ უფრო გაუღიმა ბედმა, არ დასჭირდათ ტყისთვის თავის შეფარება. რა მნიშვნელობა აქვს, რატომ მოხვდა კაცი აქ, საკუთარი არჩევანით თუ აუცილებლობის გამო, მით უფრო რომ, ამას ყოველთვის ვერ მიხვდები — ზოგმა თითქოს თვითონ გადაწყვიტა ყველაფერი, მაგრამ რაღაცამ ხომ უბიძგა ეს გადაწყვეტილება მიეღო, რაღაცამ, რაც ქვეცნობიერად იცოდა. მაგრამ თეთრი თბომავლისაკენ ეწეოდათ ის უბრალო, ყველასათვის გასაგები გრძნობა, რაც პატიმარს აიძულებს მიეკრას გისოსიან სარკმელს: სურს შეისუნთქოს თავისუფლების ჰაერი. ჰაერი, რითაც სუნთქავენ

მხიარული ადამიანები, ხმაურით რომ გადმოდიან ბოგოიარის მწარე მიწაზე...

პაველი უცბად არ მოხვედრილა კუნძულზე. ჰოსპიტლიდან არ მოსულა, მან ხეიბარ-განდეგილის გრძელი გზა გამოიარა და სრული დეგრადაცია რომ არ განეცადა და არ დაღუპულიყო როგორც პიროვნება, აქ მოცოცდა, ალბათ, ძალ-ის იმედი არა ჰქონდა და არავითარი სასწაული არა სურდა, მაგრამ ერთი იდუმალი ოცნება მაინც ასულდგმულებდა: ლენინგრადელები ადრე თუ გვიან აუცილებლად ჩამოდიან ბოგოიარში, ეს ისევე გარდუვალია, როგორც შლისებურგის ან კიევის მონახულება, და პაველს სურდა ენახა, როგორი გახდა ანია. თვითონ დარწმუნებული იყო, ანა ვერ იცნობდა, უბრალოდ, ვერ შეამჩნევდა, ის კი ვერცნობის საფარველიდან მშვიდად შეათვალიერებდა ანას. მშვიდადო, ზუსტად ასე ეუბნებოდა თავის თავს უბედური კრეტინი. ახლა კი რაღაც ბურუსმა დაუბინდა თვალები, რიგიანად ვერც კი ხედავდა ანას, მხოლოდ პირველ წუთებში, როცა ქალი გამოჩნდა, რომელსაც ჯერ ვერც ეცნო იგი, პაშა გააოცა მისმა მსგავსებამ იმ ადამიანთან, ვინც მის ხსოვნაში დარჩენილიყო, მერე კი მიხვდა მტანჯველი გრძნობით, რომ ეს ქალი არაა ისეთი, დიახ, სულაც არაა ისეთი ეს დიდი, ტანსრული, უკვე სიბერეშეპარული, თუმცა ჯერ კიდევ მიმზიდველი ქალი. მაგრამ მსგავსება იყო შემორჩენილი რაღაც მეორეხარისხოვანში: წამწამთა შერხევაში, მუქი თმის ბზინვაში, ხალში, მარცხენა წარბზემოთ, — და ეს წვრილმანები გადასწონიდნენ იმ უფრო ცხადს, რითაც დაემძიმებინა ქალი წლებს, და მაინც პაშამ ვერ შეძლო ფოკუსში მოექცია ანა, რათა მკაფიოდ აღექვა მისი სახება.

— წავიდეთ, — თქვა ანამ. — იქით წავიდეთ.

მათ გადაჭრეს შარაგზა, კაჭარით მოფენილი მწვანე მინდორი და წიწვიან ტყის პირს მიაშურეს. კორსარი უკან მიჩანჩალებდა, თან გრძელი, ვარდისფერი ენა გვერდზე გადმოეგდო.

ტყის პირს ბუჩქნარი მოსდებოდა: ღვია, ანწლი, მაჯალეერი. „რამ წამოგვიყვანა აქეთ, — ფიქრობდა პაველი. — და საერთოდ, რისთვის ვაჭიანურებთ ამ უაზრო შეხვედრას? კარგი, შევხვდით... ეს ჩემი დანაშაულია, არ უნდა მეყარაულა ნავმისადგომზე. რა თქმა უნდა, ანა მართალია, აქ იმისათვის მოვეთრეოდი, რომ მენახა, მაგრამ თვალში რაღად შევეჩხირე?.. თუმცა არ შევჩხერილვარ, თვითონ მიცნო. რა უბადრუკი აზრებია!.. თითქოს გამოვთხოვე, გამოვტყუე ეს შეხვედრა... მე არ მითხოვია მოწყალება არც ხალხისათვის, არც ბედისათვის... ესაა ჩემი ერთადერთი ჯილდო და რამდენი წელი ვიხოხე მისკენ ტყავგამოკრული უკანალით! თუნდაც ეს ყველაფერი უაზრობა იყოს, მაგრამ რაღა არაა უაზრობა ჩემს ვიგინდარულ ცხოვრებაში? რას მიქადდა ახალგაზრდობაში და რა ხელმოცარული დამტოვა!..“

შორს არ წასულან, მაგრამ ნავმისადგომი და მასთან ერთად კუნძულის მთელი მოსახლეობა დამრეცი, უშნო გორაკის უკან გაუჩინარდა და ამ ორს დარჩა განმარტოებული სამყარო, რომელიც მხოლოდ ბუნებისა და ორ სიცოცხლეს მოიცავდა.

— მე ხანში შესული ვარ, მაგრამ მთლად მოწიფული ქალი კი არა, პაშა, — თქვა ანამ კეთილი ხმით. — მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი ქალი, შენთან, სარდიონის ყურეში, როცა ომი დაიწყო.

— ჩვენ შორის ხომ არაფერი ყოფილა.

— ყველაფერიც იყო, მე მაგის მეტი არაფერი მქონია.

— შენ რა შინაბერად დარჩი?

— არა, რა თქმა უნდა. ქმარი მყავს, შვილებიც. ვაჟი ინსტიტუტს ამთავრებს... მე მეცნიერებას ვემსახურები — მიკრობიოლოგიას, მეცნიერებათა დოქტორი ვარ.. ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან, თითქოს რაღაც სასაცილო გაიხსენაო. — შენ ვერც წარმოიდგენ, ჩემი ქმარი ვინაა. ალიოშკა სკვოროცოვი! ისე გამედიდურდა, ინსტიტუტის დირექტორია...

— მოიცა! — შეაწყვეტინა პაშკამ. — შენი ქმარი სკვოროცოვია? განა ცოცხალია?

— ცოცხალია, ცოცხალი!.. ეჰ, პაშკა, მან ყველაფერი [illegible] მოხდებოდა, მასთან რომ დარჩენილიყავი... რისთვის წახვედი?..

მათ როლები შეცვალეს: ახლა ხეიბარი დიდხანს და შტერივით შესცქეროდა ქალს, რომელმაც შეწყვიტა უაზრო ბოდვა, დაუბრუნდა გონება, წინდახედულობა, მაგრამ რატომღაც დაკარგა ყოველგვარი დაკვირვების უნარი: ვერც კი მიხვდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვებმა.

— მისმინე, — თქვა პაშკამ ფრთხილად. — რაზე ლაპარაკობ? შენს აზრებს ვერ ვიგებ, მე ხომ მეცნიერებათა დოქტორი არა ვარ. შემიწყალე, საბრალო უსწავლელი კაცი. რაზე ლაპარაკობ? ვინ დარჩა ან ვინ წავიდა? სად და როდის იყო ეს ყველაფერი?

— არ გინდა, პაშა... მე ვლაპარაკობ ომზე... იმ დღეზე, როცა შენ და ალიოშკა უკანასკნელად იყავით ერთად. არ იფიქრო, გკიცხავდეს, შენ ისე მოიქეცი, უკეთესი როგორც გეგონა... ალიოშკას, რა თქმა უნდა, ბევრი რამ დაატყდა თავს: ტყვეობა და.. შენ თვითონ იცი...

— მოიცა! — კვლავ შეაწყვეტინა პაშამ.. — მაინც რა მოხდა იქ?!

ნეტავ რას გადაეკიდა პაშკა? ამას რა მნიშვნელობა აქვს? რაზე კარგავენ დროს! რა ღმერთი გაუწყრა, რომ ამ თემას შეეხო... ანამ ხომ ხეირიანადაც არ იცის არაფერი. მოეჩვენა, რომ პაშკასათვის რაღაც საწყენი იყო სკვოროცოვის სანახევროდ თქმულში, და ქალმაც შეწყვიტა ლაპარაკი. წავიდა, არ წავიდა... საერთოდ, პაშკა უნდა დარჩენილიყო, ჯარისკაცი იყო და იმიტომ. სკვოროცოვისათვის ბრძანება განა ფეტიშია, მაგრამ მაინც დარჩა. გამოდის, რაღაც სხვა ამოძრავებდა პაშკას — ანაზე ფიქრი ალბათ. პაშკას სურდა გადარჩენილიყო რადაც უნდა დაჯდომოდა, სწორედ ამის ბრალი იყო მისი მოუთმენლობაც. სკვოროცოვს კი არავინ ელოდა. ახლა ბევრ რამეს მოეფინა ნათელი. პაშკა თავს დამნაშავედ თვლიდა საგუშაგოზე დარჩენილი მეგობრის დაღუპვაში, აი რატომ მიუსაჯა საკუთარ თავს ბოგოიარი...

— მისმინე, შენ მართლა ალიოშკა სკვოროცოვის ცოლი ხარ, თუ მეხუმრები?

ანა ლამის ატირდა.

— პაშკა, საყვარელო, გონს მოდი!..

— შენ სკვოროცოვის ცოლი ხარ!.. დიდებულია!.. ცოლი მომთმენი რუსი ჯარისკაცისა, რომელმაც პოსტი არ მიატოვა და ღმერთმა ამისათვის დააჯილდოვა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, გრან-პრი უბოძა!.. არა, ეს დიდებულია!...

სახე გაეშალა, როგორც იშლება დასარტყმელად გამზადებული მუშტი, და ის საოცრად დაემსგავსა ძველებურ პაშკას, როცა კარგ გუნებაზე იყო ჩოგბურთში ბრწყინვალე გამარჯვების გამო და იწყებდა პამპულობას კოკტებელის სანაპიროზე. ანა ლამის გაახარა ამ გარდაქმნამ, მაგრამ გუმანით იგრძნო, რომ ეს პაშკა ახლა ყველაზე ნაკლებ ჰგავდა იმ პაშკას. სადღა იყო

ძველი პაშკა, კეთილი რაინდი, რომელიც მზად იყო მთელი სამყარო ჩაეკრა გულში. იგი ახლა გადაქცეულიყო მტკივნეულ იარად, მწერდავ — ვის ან რის? — მძვინვარებად.

ანას ვერ გაეგო მისი უეცარი აფეთქება. რა არის ეს — ლერმონტოვისეული „Ты мертвецу святыней снова обручена"? მაგრამ ეს ხომ ცხოვრებისეული არაა, ასე არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს: ცოცხალი ცოცხალივით ფიქრობს, ანა არც ფიქრობდა, თავი ემართლა პაშკას წინაშე. [illegible] ტზე არ წასულა სანრაზმელად იმ იმედით, რომ პაშკას იპოვიდა, [illegible] მხოლოდ ცუდ ფილმებში ხდება: წავიდა იმიტომ, რომ სურდა იქ ყოფილიყო, სადაც ხალხს ხოცავდნენ. ანა არ მოკლეს, არც დაჭრეს, დაბრუნდა თავის ქალაქში, რათა ეცოცხლა და დალოდებოდა და ისიც ელოდა, სანამ არ მოვიდა სკვორცოვი და დაუკარგა უკანასკნელი იმედი. ანას ჰქონდა სამუშაო, ჰყავდა მოსიყვარულე განაწამები ადამიანი — პაშას მეგობარი, მათი ხანმოკლე ბედნიერების მოწმე. ანას არ შეეძლო სკვორცოვის შეყვარება, მაგრამ პატივსა სცემდა მის გრძნობას, სიმტკიცეს, თანაც ეგონა, იქნებ პაშას მსგავსი ვაჟი შემეძინოსო. ბევრ ადამიანს კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი აქვს იმისათვის, რომ იცოცხლოს. მაგრამ რა დაემართა პაშას? რისთვის იფეთქა, როცა ანამ უთხრა, სკვორცოვი ჩემი ქმარიაო? უცნაურია!.. სკვორცოვი პაშას მეგობარი იყო ადრეული ბავშვობიდანვე, ათი წელი ერთ მერხს უსხდნენ, ერთ ინსტიტუტში სწავლობდნენ, ერთი ქალიშვილი შეიყვარეს. სკვორცოვმა უფრო ადრე შეიყვარა, მაგრამ ასე ეწერა, ყველაფერი პაშასთვის დაეთმო. შორიდან ეს ბუნებრივი გეჩვენებოდა. სკვორცოვი საინტერესო ახალგაზრდა იყო, პაშკა კი მოვლენა, დღესასწაული, ღვთის წყალობა. ასე ალიქვამდნენ ყველანი. თავდაპირველად ანა დააფრთხო მთელი აგარაკის ნებიერის ძლევამოსილებამ. არიან ასეთი ადამიანები — ზედგამოჭრილნი საზაფხულო დასვენებისათვის. ყველა თამაშობანი იციან, „ჰორიზონტს იქით" მიცურავენ, მუდამ კარგ გუნებაზე არიან, სწრაფადაც ირუჯებიან მზეზე. ბებერები არ უჩნდებათ, ყველაფერი ეხერხებათ: კოცონის დანთება, მსუქან-მსუქანი ცხვრის ხორცის ნაჭრების აგება შამფურზე, ბოთლების ფუტურო საცობების ამოძრობა, გიტარის აწყობა, ქალაქში კი უმეტესად უფერულდებიან, ულაზათო ხდებიან: პლაჟის აპოლონი მოულოდნელად წარმოგვიდგება ხელმოცარულ მოსამსახურედ, შტერ სტუდენტად ან, უბრალოდ, უქნარად. მუქი სიშიშვლის მშვენიერი სამოსის ნაცვლად უბადრუკი ლენვაჭრობის კოსტიუმი აცვია, და სად გაქრა მთელი შემართება, მოხერხებულობა, სიტყვებისა და მოძრაობის სილაღე? და მაინც მას შეუყვარდა პაშკა, უკვე იქ, ზღვის პირას, როცა პაშკა ყურადღებასაც არ აქცევდა გაბრუებული თავისი პირველი დიდური რომანებით. ლენინგრადში კი ანა თანახმა იყო შტერზეც და უქნარაზეც, უკანასკნელ ვიგინდარაზეც — უყვარდა თავდაყიწყებით. მაგრამ პაშკა ქალაქშიც ღმერთად დარჩა. ანა ფიქრობდა, სკვორცოვი არ განიცდის ძალიან, საერთოდაც არ განიცდისო ჩრდილში ყოფნას, ყველა ადამიანი ხომ არ მიისწრაფის ლიდერობისაკენ. არც პაშკა ცდილობდა, მაგრამ ყველგან გამოსდიოდა ლიდერობა, ნებისმიერ საზოგადოებაში, ინსტიტუტსა თუ სტადიონზე, და შეურიგდა კიდეც რჩეულთა ხვედრს, მუდამ და ყოველთვის თავის უპირატესობას, შესაძლოა, ეს დაუჯდა გარკვეულ ემოციურ სიბრმავედ. ანასგან რომ გაიგო, თავისი მეგობრის ილბლიანი მეტოქე იყო, გაოგნებული დარჩა. სკვორცოვის გულჩახვეულობამ გააცოფა; „უბედური იდიოტი, სადამდე მიიყვანა სიჩუმემ!" „შენ რომ გცოდნოდა?"

„როგორც ყარადალს, სიახლოვეს არ გაგეკარებოდი“, — გულღიად უთხრა პაშკამ. „ახლა რაღა გიშლის ხელს?“ — ანას უნდოდა გაბრაზებულიყო. „გვიანაა, მიყვარხარ“. სკვორცოვმა წააგო, მაგრამ თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. პაშკაზე ამას ვერ იტყვი. რაღაც საბედისწეროა მის ხასიათში, უკანასკნელ წამს იცის გააფთრება. ასე მოხდა ფრონტზე, ასე მოხდა ახლაც. მდაბალმა, ისტერიულმა სიავემ მისი სახება გადაშალა. ანას წარმოდგენაც არა ჰქონდა, ასეთი რამ თუ იმალებოდა პაშას არსებაში. იმალება [illegible], ღმერთმა თავად იცის, რასაც იქმს. ჰოდა, დამთავრდა ცდუნება, ანა განთავისუფლდა ამ კაცისაგან, თუნდაც სიბერეში, თუნდაც ცუდად და მწუხარედ განვლილი ცხოვრების ბოლოს, თავისუფალია... ცარიელი, შემსუბუქებული და თავისუფალი. მაგრამ არა, ეს არ იქნება! რა საქმე აქვს პაშკას მდაბალ სიავესთან, სკვორცოვისადმი გამომჟღავნებულ შურსა და ეჭვიანობასთან, იმასთან, რომ პაშა საიდანღაც წამოვიდა, ეშმაკმა წაიღოს ყველაფერი, პაშას გარდა არავინ და არაფერი უნდა. მხოლოდ პაშკაა მისთვის სათაყვანებელი და ერთადერთი არსება. მაგრამ იქნებ პაშკას სურს რაღაცისაგან განთავისუფლდეს, სულიდან ამოაფურთხოს სიბინძურე.

— პაშა, — თქვა ანამ წყნარად, — რა მოხდა იქ?..

პაშაც მაშინვე მიხვდა, რაზეც ეკითხებოდა. თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადაასხესო — მორჩა ხელების ქნევას და „დიდებულია!... დიდებულია!“-ს ძახილს, მხოლოდ მძიმედ სუნთქავდა და ანას მოსწონდა, რომ ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი რეცხვისაგან გაცრეცილი ნაცრისფერი პერანგის ქვეშ. ანამ კვლავ გაიფიქრა, რა მესაქმება ყოველივე ამასთანო.

— შენ ხომ თვითონ იცი, — თითქოს შორეთიდან მოესმა ხმა. — ყველაფერი იცი სკვორცოვისაგან. სხვას ვერაფერს დავუმატებ.

კეთილი და პატიოსანი... მიწაზე უნდა დაჯდეს ანა, რომ დაინახოს პაშას სახე. როცა მზე თვალებში უჭვრიტინებს პაშას, თვალის კაკლები უწინდელივით ლურჯი უხდება, გამთბარ კანს ისეთივე „შავგვრემანი“ სუნი ასდის, ისეთივე ჯანსაღი, სუფთა ცხოვრების სურნელი. ანა ისე სწრაფად, უჩუმრად მოიკეცა პაშას გვერდით, ბალახზე, რომ მან ვერც კი შეამჩნია ქალის განზრახვა და ხელი ვერ შეუშალა.

— პაშა... — მოუხმო ანამ, თან ისუნთქავდა მისი კანის, ოფლის, პერანგის სუნს.

პაშამ თავი დახარა, თვალების სილურჯე განდევნა, სახე გაუქვავდა, ვაეყინა, გაუუცხოვდა, როგორც წელან ლოდთან.

— პაშა.. რაზე ვლაპარაკობთ?... ამდენი წლის შემდეგ... შენი აღდგომის შემდეგ...

— მე არც მოვმკვდარვარ, — შეაწყვეტინა მან შეგუებებული მძვინვარებით, თავი მოთოკა, მაგრამ შიგნით ყველაფერი უდუღდა. — მე მხოლოდ შენთვის მოვკვდი და სკვორცოვისათვის.

— მოვეშვათ სკვორცოვს, — მოღლილად თქვა ანამ. — რა უნდა მექნა? შენ ხომ დაიკარგე. ყველგან ვაგზავნიდი შეკითხვებს. პასუხი ერთი იყო: უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

— დაიკარგაო, არ ნიშნავს, რომ მოკლეს.

— მაგრამ ყველამ იცოდა, რასაც მოასწავებდა ეს პასუხი. განა აზრად მომივიდოდა, რომ მემალები? ეს საშინელებაა. პაშა, რა უფლება გქონდა, ეჭ-

ვი შეგპარვოდა ჩემში? ღმერთო ჩემო, ქვეყნის დასალიერში გამოეფრინდებოდი შენთან.

— იმ ქვეყნის დასალიერში ვერ გამოფრინდებოდი, — თქვა პაშამ თითქმის მშვიდად.

— რატომ?

— იმიტომ რომ, მართლაც ქვეყნის დასალიერია. რა თქმა უნდა, არა გეოგრაფიულად. მე შევეცადე ნორმალურ ხალხში მეცხოვრა. [illegible] მდეგ, როცა საბოლოოდ დამჩეხეს, ლენინგრადში აღარ წამოვედ[illegible] აღარც მშობლები მყავდა. აღარც და... რა თქმა უნდა, შენზე ვფიქრობდი, — ძლივს ამოღერღა ეს სიტყვები, — რისთვის ვიცრუო? რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეც გასაგებია ყველაფერი. გადავწყვიტე თავიდან დამეწყო ცხოვრება, დამემტკიცებინა, რომ მქონდა ორფეხიანთა გვერდით არსებობის უფლება, რომ თანასწორი ვიყავი მათი, თუმცა მათ წელამდე ვწვდები. არ გამომივიდა... გახსოვს, როგორ იყო ომის შემდგომ? ყველა ქუთრე-ქუნჭულში ბედს დამორჩილებული ხეიბრები ყიდდენ ცალფეობით ბაბიროსს. ეს გახლდათ ლატაკთა კომერცია. მე ამ საქმეს არ მივდეოდი. ვსწავლობდი მწახნაგებლის ხელობას, მაგრამ საკმარისი იყო ქუჩაში შევყოფნებულიყავ, რომ უმალ ხურდა ფულს და მანეთიანებს მიყრიდნენ. განა წყენა უნდოდათ, პირიქით. ვეცოდებოდი, თვითონ იკლებდნენ და მე მაძლევდნენ. განსაკუთრებით ქალები. მე ხომ ლამაზი ვიყავი, გახსოვს? მაგრამ ამან ბოლოს მომიღო. შეგონა, ნამდვილ ადგილს მიმითითებენ-მეთქი. სისულელეა ხომ?

ანას ხმა არ ამოუღია. თითოეული სიტყვა ესმოდა. მაგრამ განა ცდილობდა არსს ჩასწვდომოდა. მისთვის მთავარი ის იყო, რაც სიტყვებს მიღმა იმალებოდა. როგორც ჩანს, პაშამ ეს აღსარება დიდი ხანია შეამზადა, საკუთარ თავს უმეორებდა და, ვინ იცის, იქნებ ანასაც მიმართავდა. მაგრამ რა კავშირი აქვს ამ ძველ წყენას მათი შეხვედრის სასწაულთან? პაშას სურდა რაღაც აეხსნა, რაღაცაში თავი ემართლა — ყველაფერი ეს ზედმეტია. დაკარგულ წლებს ვერ დაიბრუნებ. იქნებ ანას ადანაშაულებს რამეში? ესეც ზედმეტია. ყველაფერი ზედმეტია. მაგრამ რატომღაც უნდა ყველაფერი ახლა ითქვას, თითქოს სხვა დროს არ შეიძლებოდეს. „პაშა, — უნდოდა ეთქვა, — გონს მოდი. ეს ხომ მე ვარ, ანია". მაგრამ პაშას არ ესმოდა მისი ჩუმი ვედრება — მოგუდული გააფთრებით განაგრძობდა ბუტბუტს თავის დაცემაზე.

ისიც ვაჭრობდა დანესტიანებული „ყაზბეგითა" და „ბელომორით", მონაგებს კი ძმაბიჭებთან ერთად ფლანგავდა ლუდხანებში, სასაუზმეებში, სადღაც საეჭვო ბინებსა თუ ბუნაგებში, ნაძირალა, ზოგჯერ კი გაუბედურებულ, ბედკრულ დედაკაცებთან, ქურდებთან, რომლებიც ხეიბრებს ასწავლიდნენ თავიანთ ხელობას, „დამოკიდებულებას არკვევდა", ჩხუბობდა, დანის ტრიალიც კი ისწავლა და ისე გაიწაფა, რომ პაშას ხსენებაც კი შიშისზარს სცემდა ყველას. საპყრებს ხელს არ ახლებდა, ხოლო ჯანმრთელებს, იცოცხლე, უმოწყალოდ ფატრავდა. სიამოვნებას ანიჭებდა, დანას ან გალესილ ქლიბს რომ ჩაარჭობდა გაცხარებულ მოწინააღმდეგეს და ამ ნამლევს, ნახევარკაცს, ნებისმიერ ხელფეხიან არამზადაზე ძლიერად მიაჩნდა თავი. ფიქრობდა, ბოლოს და ბოლოს, შეერთებული ძალით ყელს გამომლადრავენო, და, თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი საწინააღმდეგო ჰქონდა ასეთი დასასრულის. მაგრამ უსისხლოდ დამთავრდა ყველაფერი — სამარცხვინო, ამაზრზენი, სასაცილო თავის მოჭრით. ერთხელ, საღამო ხანს, ჩვეულებისამებრ, კარგად შეზარხოშებული, მა-

ლაზიის გომბიოს წაეჩხუბა, რომელიც მოპარული პაპიროსით ამარაგებდა მათ. გომბიომ მოატყუა, რალაც დააკლო, მაგრამ ფული კი არ ადარდებდა. უბრალოდ, მისმა თავხედობამ გააცოფა. პაშკა ურიკით მისდევდა გოგოლის ბულვარზე მეტროდან — „სივცევი ვრაჟკის" დალმართამდე. ჯანიანი გოგო იყო. სულ ხელიდან უსხლტებოდა, თანაც ხითხითებდა. ხოლო ქალისთვის, ალბათ, ბევრიანად მაშინაც კი არ შეეძლო. ასე მიაღწიეს ქუჩის დალმართამდე, აქ პაშკა კვლავ ჩააფრინდა მისი ლაბადის ჯიბეს. ქალმა გაიწია, [illegible] პაშკას შერჩა. მაგრამ ურიკიდან გადმოვარდა და თავდაყირა დაეშვა კიბეებზე. ხელიდან მაშინ უთხრა საკუთარ თავს: მორჩა, დასასრული აქვსო ყველაფერს, და ბოგოიავლენსკის მიაშურა.

— როგორია, მოგეწონა? — შეეკითხა ღვარძლიანად.

ანამ თავი დაუქნია.

ერთ არსებად ქცეულ ადამიანებში სხვადასხვა მუსიკა ყლერდა. ანას აღტაცება სიყვარული იყო, პაშკასი — სიყვარულიც და სიძულვილიც. მამაკაცის დასახიჩრებულ, მძლავრ სხეულში არა მარტო საყვარელი ადამიანის ხორცი ფეთქავდა, არამედ პაშკას მთელი დაღუპული ცხოვრება.

თითქმის უგრძნობლად იყო ანა, როცა პაშამ ხელი გაუშვა. მაგრამ გაუშვა თუ არა, წამსვე დაინახა ანას მობერებული, საყვარელი, სამუდამოდ ახლობელი სახე, მოესმა ღამის ტალღების სუსტი დგაფუნი, რომლებიც მოსწორებულ ნაპირს აწყდებოდნენ და იქ ტოვებდნენ გამჭვირვალე, მოვარდისფრო კენჭებს. ბნელმა, ბოროტმა შურისძიებამ მიატოვა პაშა და სურვილით აუვსო სული. მან ქალის გატანჯულ თვალებს უთხრა:

— მშვიდად იწექი, დაიძინე. მე თვითონ...

სკვორცოვს თავზე ხელები შემოეჭდო და ხელისგულებით შეიგრძნობდა საფეთქლებზე დაბერილ ვენებს; ცდილობდა მიმხვდარიყო, რა ელოდა ახლა და როგორ დაეღწია თავი ახალი და ყველაზე საშინელი ხაფანგისათვის, რომელიც კი ოდესმე დაუგია მისთვის ცხოვრებას. ვინ იცის, რამდენჯერ წასწყდომია ხაფანგს, ზოგჯერ მოჰყოლია კიდეც შიგ, მაგრამ მელასავით მოუღრღნია თათი და სამშვიდობოს გასულა. თათი კი მერე კვლავ ეზრდებოდა. მაგრამ ახლა ხაფანგი ყრუდ ჩაიკეტა. სხეულის ნაწილსაც რომ შეელიო, თავს ველარ დაიძვრენ, ვერ გაფორთხდები თავშესაფარში და მიწას ცხელი, შავი სისხლით ვერ მორწყავ. გამოუვალი მდგომარეობა მხოლოდ ადამიანის თანხმობით იქმნება, მას კი ეს თანხმობა არ მიუცია. აკი შეძლო გაქცეოდა ამქვეყნად ყველაზე მრისხანე მომთხოვნ ძალას. გამოდის, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაუმკლავდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიკია მისი ფასი. პაშკა მას ვერ აჯობებს — სადა აქვს დამამტკიცებელი საბუთები? ცილი შეიძლება ყველას დასწამო. სკვორცოვის მხარეზე ერთობლივი ცხოვრების ათწლეულებია, შვილები, სახლი, მყარი ოჯახური ყოფა, უამრავი უფლება-მოვალეობით, ჩვეულებებით, ურთიერთობებით. ანა ხელ-ფეხშეკრულია, ქსელშია გახლართული, უამრავი ძაფითაა დაბმული, რომელიც დააკავებს სიბერეში შესულ ქალს უგუნური რამ არ ჩაიდინოს. აბა, ხომ არ წავა იგი ინვალიდთა სახლის უფეხო ბინადართან? მაგრამ ის უფეხო ხომ პაშკა იყო და თუმცა გონება უარყოფდა, სკვორცოვს მაინც ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნდა, თუნდაც ყველაზე უცნაური, არაცხოვრებისეული, ფხიზელი გონებისათვის მიუწვდომელი რამ. ანა მიატოვებს ყველაფერს, მიაფურთხებს ბინას, შვილე-

ბსა და სამუშაოს, რომ არაფერი ვთქვათ სკვორცოვზე. ანას დაღლილობის მიღმა უსაზღვრო ენერგია იმალება... ნგრევის. ის ყველაფრის ჩამდენია, სკვორცოვი შეიგრძნობდა ამას იმ ნაზი და მგრძნობიარე ადგილით გულისკოვზის ქვეშ, სადაც იმალება თავდაცვის ინსტინქტი. იქიდან მოისმოდა თავზარდამცემი სიგნალები და უმჯობესი იყო, მათ მინდობოდა, ვიდრე სტიქიის წინაშე უძლურ ლოგიკურ მსჯელობას.

რაღა ახლა მოხდა ეს, როცა ეგონა, ყველაფერმა საშინელმა [illegible] ალარსაიდან ელოდა დარტყმას, თვითონაა დამნაშავე — თავდაცვის გრძნობა შეასუსტა. განა მშვენივრად არ იცოდა, რომ ბოგოიარზე უხსოვარი დროიდან ინვალიდთა თავშესაფარია? მართალია, იმასაც ამბობდნენ, სადღაც გადაიტანესო, მაგრამ რატომ არ შეამოწმა, ვიდრე ამ სანტიმენტალურ მოგზაურობას მოიწადინებდა? ანდა რატომ იყო დარწმუნებული, რომ პაშკა დაიღუპა? ალბათ თვით პაშკის ხასიათის გამო: ასეთები არ ბრუნდებიან ომიდან. ჰოდა, არც დაბრუნდა — სკვორცოვი მთავარში არ შემცდარა. მაგრამ ისიც უნდა გათვალისწინებინა, რომ ცოცხალსაც შეეძლო არ დაბრუნებულიყო. ეჰ, რომ იცოდე, სად დაეცემი, თივას დაიგებდი... დიახ! ასეც უნდა იცხოვრო, მხოლოდ ასე — წინასწარ დაიგო თივა. ამით განსხვავდება ჭკვიანი სულელისაგან, კაცი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია, საცოდავი დოყლაპიასგან. რა ეშმაკად უნდოდა ეს უაზრო მოგზაურობა? მეგობრული ოჯახის გათამაშება მოინდომა? ნუთუ ქვეყნად ცოტაა უხიფათო ადგილები? შეიძლებოდა მანქანით ტალინში წასულიყვნენ, შეეკვეთათ ნომრები „ვირუში", იქ ჩინებული რესტორანია, ასევე ჩინებული ღამის პროგრამა და არ არის არცერთი ომში დასახიჩრებული კაცი. და თუ არიან, მშვიდად სხედან შინ და ჩამოსულებს ფეხებში არ ებლანდებიან. კმარა, მეოცნებევ!.. უკეთესია იმაზე იფიქრო, რა გზას დაადგე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, პაშკა ანას რაებს მოუჩმახავს. თუმცა ეს ისედაც იცის. დამტკიცებით კი არაფრის დამტკიცება არ შეიძლება. მთავარი ისაა, ვის დაუჯერებს ანა. რა თქმა უნდა, პაშკას, თუ... მოინდომებს დაუჯეროს. უმჯობესია ფუჭი იმედით თავი არ მოიტყუოს და სიმართლეს პირდაპირ შეხედოს თვალებში... სკვორცოვმა უცებ შეამჩნია, რომ ფრჩხილებს იკვნეტდა. ბავშვობის დროინდელი საზიზღარი ჩვეულება, რომელსაც გვიან და ძლივძლივობით გადაეჩვია, კვლავ დაუბრუნდა...

უმცროსი სკვორცოვი, როგორც იქნა, გამოერკვია ხანგრძლივი, ჭაბუკურად ღრმა და სანეტარო ძილისაგან, რომელიც ვერც წინადღის სმამ, ვერც დამამცირებელმა თავგადასავალმა (ეს კი თვალის გახელისთანავე გაახსენდა) ვერ ჩაუშხამა. მაგრამ, საოცარია, ახლა გუშინდელ ამბავს გულისტკივილითა და ბოღმით კი არ იხსენებდა, არამედ ერთგვარი სიამოვნებითაც. იგი წააწყდა უცხო, ბინძურ, სახიფათო სამყაროს, რაღაცით მიმზიდველსაც კი, და ასე მიაჩნდა, რომ ღირსეულად გამოვიდა მდგომარეობიდან. ასეც ეტყვის ბიჭებს, ლენინგრადში რომ დაბრუნდება.

სააბაზანოში გავიდა, ცხელი წყლის ონკანი ბოლომდე მოუშვა, ორთქლისაგან გადათეთრებული შხაპის ქვეშ დადგა და სიამოვნებით გაიფუფქა ქაფქაფა წყლით, — „ჭკუის შემშლელად" უგრძნობი კანი ჰქონდა, რითაც ძალიან ამაყობდა. შემდეგ მოუშვა ყინულივით ცივი წყალი; პირდაპირ შხაპის ქვეშ მაგრად გამოიხეხა კბილები და აბაზანიდან ამოვიდა მხნე, განახლებული, შესანიშნავ გუნებაზე, ახალი გმირობისათვის მზადმყოფი...

მისმა დამ ასე იოლად ვერ მოიცილა გუშინდელი შთაბეჭდილებები. კიდეც იტირა მოპარული გულსაბნევის გახსენებაზე, არა, მოპარულის კი არა, თავხედურად წაგლეჯილი თუ ჩამორთმეული გულსაბნევისა. ეს იყო ძვირფასი ნივთი, მამამ რომ აჩუქა, როცა სრულწლოვანი გახდა. თუმცა ეს არც კი ჩაუთვლია საჭიროდ, ეკითხა, რა ღირსო. მამას გულით უნდოდა, რომ ქალიშვილს ეკითხა ეს, მაგრამ რა საჭიროა უფროსების სისუსტეს აჰყვე? ტანია ხომ არ აპირებდა ამ გულსაბნევის გაყიდვას. როგორც ჩანს, მაშინვე ქვეცნობიერად გადაწყვიტა ეჩუქებინა გემის განგსტერისათვის, რა საზიზღრობაა, რა საწყენი და დამამცირებელია ეს ამბავი. ტანიას გაელიმა. შესაძლოა, დედასავით რომ დაბერდება და ჩაქრება, გუშინდელი ამბავი სასაცილოდაც არ ეყოს და უდარდელი ახალგაზრდობის მისატევებელ და სასიამოვნო შეცდომადაც კი მიიჩნიოს. უნდა დააგროვოს რაც შეიძლება ბევრი შთაბეჭდილება მოხუცებულობის შავი დღისათვის. საინტერესოა, თუ გაბედავს ეს საშინელი კაცი საღამოს ბარში მოსვლას. „გაბედავს!..“ უბრალოდ და მშვიდად მოვა, როგორც სამსახურში, რათა კიდევ ერთი სულელი გოგო გააცუროს. იქნებ საჭიროა განაცხადოს ამის შესახებ კაპიტანთან? კარგი სანახავი კი იქნება თვითონ!

ჯგუფებად დაყოფილი ექსკურსანტები, რომლებსაც წინ მიუძღოდნენ მოწყენილობისაგან გადარეული გიდები, ხან ღრმა ხევებში ჩაიმალებოდნენ, ხანაც მაღლა მიცოცავდნენ და ერთმანეთსა და საკუთარ თავს ატყუებდნენ, ვითომცდა აღფრთოვანებული იყვნენ კუნძულის ერთფეროვანი ფლორითა და განდეგილების მიერ აგებული სოფლის ეკლესიებისა და სამლოცველოების ნაშთებით, იმ განდეგილებისა, რომლებსაც ევიწროვათ რუსეთის უკიდეგანო, უდაბური სივრცეები. ტურისტები მალიმალ საათს დასცქეროდნენ, თითქოს შეეძლოთ აეჩქარებინათ თითქმის შეჩერებული დროის დინება და დაბრუნებულიყვნენ თბომავალზე, სადაც მყუდრო კაიუტები, მუსიკა, ტელევიზორი და არაყი ელოდათ...

ტყის პირას მყოფი ორი ადამიანი დედამიწაზე დაეშვა ციდან, თუმცა ქალი, როგორც ჩანს, ამას ვერა გრძნობდა, საჭიროდ არც კი მიიჩნია კაბა გაესწორებინა, ეს კაცმა გააკეთა.

— ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ერთად გავემგზავროთ, — თქვა ანამ.

— არ მესმის.

— ჩვენი თბომავლით.

— სად?

— ჩემთან, რა თქმა უნდა.

— რა სისულელეა.

— აბა, როგორ გეგონა? მე აღარ გაგიშვებ, დიდი ხნით იკარგები ხოლმე. კიდევ ოცდაათ წელს ველარ გადავიტან, — მის ხუმრობაში შიში გაისმა.

სიცარიელე, რომელიც გარდუვალია ვნებათა ღელვის აზვირთების შემდეგ, ივსებოდა რაღაც მწარეთი და არასასიკეთოთი. ახლახან არ იყო, რომ პაშას ეგონა, თითქოს შიგნით გაუქრა ძველი, მჩხვლეტავი სიმაგრე. სინამდვილეში სიმაგრე მხოლოდ შეტრიალდა, ადგილიდან დაიძრა და უფრო უხერხულად, უფრო მტკივნეულად გაწვა. ადრე მხოლოდ ხვდებოდა, რაც დაკარგა, ახლა — იცოდა.

— შენს ოჯახს რაღას უზამ? — ჰკითხა დამცინავად.

— შენა ხარ ჩემი ოჯახი.

— აი თურმე რა!.. სკვორცოვთან ვიცხოვრებთ?.

— თავშესაფარი გვექნება, პაშა. ნურაფერზე იწუხებ. ეს ჩემი საზრუნავია.

— იცი რა, — თქვა პაშამ გაჭიანურებულად. — მარტო შენ არა გაქვს საზრუნავი. აქ ერთი ჭაბუკია, მართალია, ორმოცდაათს გადაცილებული, მაგრამ მაინც ვერ იქცა მოწიფულ კაცად. რატომ — ამას გიამბობ.. ჩემს ნელს თავი გაანებე!.. ჯარში წაიყვანეს ომის დროს, პირდაპირ სკოლიდან. ტაიგის სოფლიდან იყო, რომელსაც შესაფერი სახელი „მედვეჟიე“ ჰქვია. შინ აღარ დაბრუნებულა, პირდაპირ ბოგოიარს მოაშურა. სოფელში მოხუცი დედა დარჩა. მამა და ორი ძმა დიდი ხნის წინ დაეხოცნენ ტუბერკულოზით. ის კი, თუმცა ნაბოლარა, იშვიათი ჯანმრთელი გაიზარდა, მაგარი, ფერ-ხორცით სავსე და არ უნდოდა, დედას ენახა მორად ქცეული, მაგრამ მოხუცმა, უსწავლელმა გლეხის ქალმა არ დაიჯერა შვილის დაღუპვა, მის საძებნელად წავიდა და მთელი რუსეთი შემოიარა. როგორ და სად ცხოვრობდა, რით იკვებებოდა, გაუგებარია, მაგრამ სამწელიწად-ნახევარში აქ გამოჩნდა და დარჩა კიდეც. წასასვლელი არსად ჰქონდა...

— შენ გინდა მითხრა, რომ მე...

— არა, — მოუჭრა მან. — უმჯობესია ბოლომდე მომისმინო. დედა დარაჯად მოეწყო. ყოველ კვირა დღეს შვილს ზურგზე იკიდებდა და ნავმისადგომში მიყავდა, სვამდა სკამზე, კბილებში ანთებულ სიგარეტს ურჭობდა. ისიც აბოლებდა, შესცქეროდა ხალხს და იღიმოდა. დედის სიახლოვე დაეხმარა დარჩენილიყო პატარა ბიჭად ბავშვური ღიმილითა და მზერით, ბავშვური სისპეტაკითა და სიკეთით. დედა რომ მოუკვდა, მე დავატარებდი ნავმისადგომში. ახლა ის უმიზეზოდ იფერფლება, არც ავადაა და არც არაფერი. მისი მიტოვება არ შემიძლია.

— ყველაფერს მივხვდი, აქა ვრჩები.

— შენ? აქ არა სჭირდებათ სწავლული ქალები.

— სანიტრად ვიყავი ფრონტზე. შენმა მეგობარმა დიდხანს იცოცხლოს, მაგრამ როცა აღარ იქნება, ლენინგრადში გავემგზავრებით...

— როგორ? ასე იოლია ყველაფერი! პირველივე ხელის დაქნევაზე მივატოვო მიწა, რომელზეც მეოთხედი საუკუნე ვიცხოვრე... ნუ მაწყვეტინებ!.. მე ქედს ვიხრი შენი დიდსულოვნების წინაშე, შენ მზად ხარ ჩემ გვერდით იყო.. იყუჩე-მეთქი! აქაც სიცოცხლე ჩქეფს, როგორიც არ უნდა იყოს, მაგრამ ადამიანური სიცოცხლე თავისი საზრუნავით, მოვალეობით, ურთიერთობებით, თავში არც კი მოგსვლია, რომ მე შეიძლება ქალი მყავდეს.

— როგორ არა!.. ეჭვიც არ მეპარება, გეყოლება. შეხე, რა მდიდარი ხარ, პაშა. ჩემთან შედარებით. მე შემიძლია ყველაფერი მივატოვო, შენ კი მეგობრებიცა გყავს, საყვარელი ქალიც და მოვალეობის გრძნობაც გაგაჩნია.

— მე არ მითქვამს, საყვარელი ქალი მყავს-მეთქი. მაგრამ იგი თითქმის ათი წელია მითმენს და თვითონაც გესმის, არა სიმდიდრისა და მდგომარეობის გამო.

— მე კი უშენობას ვითმენ ოცდაათი წელი. და სულაც არაა იგი აღფრთოვანების ღირსი. ყოველი ქალი ნებისმიერ მამაკაცს გამჯობინებს.

— დიახ, ნამდვილად გემრიელი ლუკმა ვარ! — თქვა პაშამ, მაგრამ ანას კილოს არ აჰყვა. — მთელ ბოგოიარზე პირველი კაცი! — ასე რომ იოლად ვერ

მოგვერევი. ჩვენ აქ ამაყები ვართ. ანია, გასწი, დაუბრუნდი, შენს ცხოვრებას!

— ალარ გიყვარვარ?

ქალი ხმამაღლა აქვითინდა და წამით კაცს მოეჩვენა, მსახიობობს, თვალთმაქცობსო. მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი მდაბალი ეჭვებისა. რყო კეთილი, ამაში მეტი ლირსება და ძალაა.

— მიყვარხარ და მუდამ მეყვარები, თვითონაც იცი. ერთ-ერთ ბედმა არ გაგვიღიმა. მედვეჭიელ ალიოშას უფრო არ გაუღიმა ბედმა. ალბათ ესეც არაა ყველაზე უბედური. მაინც შეეხვდით ერთმანეთს. შენს ნახვას ველირსე. ასე რომ წრე შეიკრა. დღევანდელი ამბავი სინამდვილეს არ ეკუთვნის. ასეთი რამ არ ხდება. ახლა კი მოხდა და ჩვენს გულში დარჩება...

— მალე დამთავრდება ეს ქადაგება? — მხოლოდ ახლა მიხვდა ანა, რომ პაშას სიტყვებს მილმა ხეიბრის ულმობელი ახირება კი არა, მტკიცე გადაწყვეტილება იყო. — სიტყვებს რად ეფარები? გეშინია მოწყდე ამ ნაპირს, ცვლილებები გაშინებს, დიდი ცხოვრება, რომელსაც გადაეჩვიე.

— გეშინიაო, მეუბნები, რომ შეურაცხმყო, არა? არაფრისაც არ მეშინია. მითხარი: არ გინდა-თქო, და შენ მართალი იქნები. არა მსურს თქვენი ცხოვრება, თქვენ მას შეეჩვიეთ, შეეთვისეთ, მე კი არა. ფიქრობ, იქ ნავმისადგომზე არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი?.. გამაძღარი და მუდამ მოწუწუნე მეშჩანები, აი ვინა ხართ თქვენ!.. სად სიფათი, სად უკანალია — ვერ გაიგებ, სულ კი წუწუნებთ, რომ სურსათის ნაკლებობაა და სათადარიგო ნაწილებიც ვერ გიშოვიათ. გარაჟებიც შორსა გაქვთ სახლიდან, პირდაპირ გული აგერევა. არა, არ მსურს შენი „დიდი“ ცხოვრება, იქ ვიწროდ ვიქნები.

— ცხოვრება სხვადასხვანაირია, პაშა.

— ამაზე ხელს მეც მოვაწერ. ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ, ახლა სხვები განაგრძობენ მუშაობას. მაგრამ მათ მე ვერ დავეწევი, სხვებთან კი არ მინდა. გარშემო, უეჭველია, ისეთი ხალხი გახვევია, სათადარიგო ნაწილებზე, შიფერზე, საზღვარგარეთულ რამერუმეებსა და აშმორებულ ნივთებზე რომ წუხან. ეშმაკმა წაგიღოთ ყველანი! ჩვენ არ გეხებით, თქვენც თავი დაგვანებეთ. — მოთმინების ფიალა აევსო, ხელი ჩაიქნია ყველა კეთილ ზრახვაზე და დაიღრიალა: — არა გვსურს, ეშმაკმა წაგიღოთ!.. რისთვის მოეთრიე, ვინ მოგიხმო?..

— შენ, პაშა, — თქვა ქალმა უწყინრად. — შენ, ჩემო ძვირფასო!

— კეთილი, — პაშამ სული მოითქვა. — ძალიან გავგულისდი. თუმცა ეს არც ისეთი სისულელეა, როგორც გგონია. ოდესმე მიხვდები.

— მე უკვე მივხვდი. შენ არ გინდა ლენინგრადში, გინდა აქ დარჩე. მეც შენთან ვრჩები.

— ჰო, ბევრ რამეს კი მიხვდი!..

პაშა შესცქეროდა ანას მოსიყვარულე, მორჩილ სახეს, მზემოკიდებულ, მომრგვალებულ, მაგრამ უკვე არაახალგაზრდულ ხელებს, ბალახით დაკაწრულ ფეხებს, მოჭმუჭნულ ქვედატანს და მისი ყველაფერი აღიზიანებდა: ახალგაზრდულად რომ გამოიყურებოდა, ისიც, ასაკის ლაქებიც, მიმნდობი უწესრიგობაც, ოქროს ძეწკვიც ყელზე, თვინიერი თვალებიც. მზადყოფნა დამორჩილებოდა თითოეულ მის სიტყვას, ოღონდ პაშას არ მოეთხოვა განშორება. ნამწვივით გაჭყლიტა კვლავ მოძალებული გაღიზიანება და მისი ხმა ისევ გულითადად ჟღერდა:

— მშვიდობით, ანია. მადლობთ საჩუქრისათვის, ამას არასდროს დავივიწყებ. — მიტრიალდა, აიქნია „უთოები“ და სხეული წინ აისროლა.

ანა არ განძრეულა. მას არ სჯეროდა, რომ პაშას შეეძლო წასვლა. კორსარსაც არ სჯეროდა. ისიც ადგილზე დარჩა, მხოლოდ ერთი ყური აცქვიტა, მეორე, გადატეხილი თუ გადაკვნეტილი, უძრავად ეკიდა, პაშა კი იქნევდა და იქნევდა „უთოებს“, მძლავრად ისროდა სხეულს ზევით და წინ — სხეულის ყოველი აქნევა ადამიანის ნაბიჯზე მეტი იყო. ანამ წარმოიდგინა, რომ პაშა ფანჯრიდან წაზე ამაღლდა, რომელზედაც განრთხმული იყო, და მისგან შორს მიფრინავდა, მისი ხელებისა და ტუჩებისაგან, მისი სიყვარულისა და ერთგულებისაგან ისე გაიქცა, რომ ვერც კი შეიგნო, რა სასწაული მოევლინათ. ნუთუ ასეთი წყვდიადია მის სულში?..

კორსარი პირველი მიხვდა სიმართლეს. მან ხმაურით ამოისუნთქა და პატრონს გამოეკიდა.

ანაც წამოხტა და გაიქცა. მაგრამ ჯერ რატომღაც ჭაობისკენ გაუხვია, ხოლო როცა თავი დააღწია მყრალ ჭანჭრობს და განაკაფზე გამოვიდა, მსხვილ ფესვს წამოედო და ფეხსაცმელს ქუსლი მოტყდა. ანამ ფეხსაცმელები გაიძრო და ფეხშიშველა გაიქცა, მაგრამ ფეხები დაიჩხვლიტა, მერე წაბორძიკდა, თითები იტკინა, კოჭლობა დაიწყო, მიხვდა, პაშას ველარ დაეწეოდა, რომელიც სულ შორ-შორ მიფრინავდა მოთეთრო გზაზე მუქი საჰაერო ბუშტივით, რომელიც თანდათან პატარავდებოდა.

პაველსაც ეგონა, მივფრინავო. უფრო მძლავრად აიქნიე, მოზიდე სხეული და ღრუბლებში აფრინდები, იხილავ მთელ კუნძულს ნავმისადგომითა და თეთრი თბომავლით, რომელიც უკანასკნელად შენთვის ჩამოვიდა აქ. კმაყოფილი იყო საკუთარი თავის. მართლაც, ბრწყინვალე მამაკაცური თამაში გამოუვიდა: დაეუფლა ქალს, რომელიც ოდესღაც უყვარდა, სკვორცოვისაგან ძველი ვალი დაიბრუნა, თანაც ქედზე უღელი არ დაიდო. მან შეიბრალა ანას შვილები, დაე იცხოვრონ და ნუ ეცოდინებათ, რომ მათი მამა ლაჩარი და არამზადაა. პაშა კვლავ დარჩა საგუშაგოზე, როგორც დიდი ხნის წინათ, ერთგული მოვალეობისა და ბრძანებისა, რომელიც ამჯერად ახალგაზრდა თეთრფეროვანმა ლეიტენანტმა კი არ გასცა, არამედ პაშას საკუთარმა სინდისმა.

ბიჭებმა, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს, როგორ განვმარტოვდი ჩამოსულ ქალთან ერთად ტყეშიო, ფიქრობდა პაშა, როცა ბოგოიარზე მიფრინავდა. ალბათ მოუთმენლად ელიან მის ვაჟკაცურ მონაყოლს. აქ არ იცოდნენ შური, ერთის წარმატება ყველას წარმატება იყო, რაც ამტკიცებდა მათ საერთო სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ, როცა შევიდა პალატაში და ხარბი, დამცინავი კითხვებით მივარდნენ, მან სერიოზულად და საყვედურით მიუგო:

—გეყოფათ, ბიჭებო.. ჩემი დაა..

ყველანი უმალ დადუმდნენ, განა იმიტომ რომ დაიჯერეს: პაშა მათი მეთაური, ატამანი იყო და მისი სიტყვა მათთვის კანონი გახლდათ.

ანამ ლონივრად შეალო კაიუტის ჩაურაზავი კარი. სკვორცოვს ანა მთვრალი მოეჩვენა: რატომღაც ფეხშიშველაა, დაჭმუჭვნილი ქვედატანიდან კოფთა ამოსჩაჩვია, კალთა მიწითა აქვს მოსვრილი, თმა გაჩეჩვია, სახე გაფითრებული და სველი აქვს, თითქოს უტირიაო.

— რა დაგემართა?.. რას ჰგავხარ?..

— პაშასთან ვიყავი, —აუხსნა მან.

სკვორცოვმა გულახდილობა ცინიზმად მიიღო, ამან გამბედაობა შემატა.

— მე დაგინახეთ, მაგრამ არ მინდოდა ხელი შემეშალა. არ მეგონა, თუ ჩემი ცოლი ასე დაკარგავდა გონს.

— მომწყდი თავიდან... — ძლივს ამოღერღა ანამ და ძირამდე დაეშვა საწოლზე.

— რა გითხრა, — სკვორცოვი მიხვდა, რომ მოხდა ყველაზე საშიშელი რამ და მოგუდული ყვირილი ალმოხდა. — რა გითხრა ჩემზე? რა ბიხძური სიცრუე მოჩმახა?

ერთი ალმაცერად შეხედა ანამ და მის პირქუშ მზერაში სკვორცოვმა თავისი განაჩენი ამოიკითხა.

— ვიცი... სიცრუე თელილი ბილიკით დადის. მოგატყუა ნაძირალამ, რომ მე წავედი, ის კი დარჩა, არა? გამოვიცანი?

ანა მოტრიალდა მისკენ. სახე ამქვეყნიური გაუხდა, აზრიანი.

— სიტყვაც არ უთქვამს...

— როგორ თუ არ უთქვამს, — პირი გაუშრა სკვორცოვს, სასა, ღრძილები და ტუჩები მოიღოკა.

— მაინც რა უნდა ეთქვა?.. ღმერთო ჩემო, ახლა კი ვხვდები!.. როგორ დავიჯერე, მე, წყეულმა, სულელმა, რომ პაშა!.. რა თქმა უნდა, შენ წახვედი, ლაჩარო, გამყიდველო. მიატოვე ამხანაგი, რათა საკუთარი თავი გადაგერჩინა. და პაშა ხეიბარი გახდა, მე კი სამუდამოდ გავუბედურდი.

— რაებს ბოდავ? — ჩაიბურტყუნა სკვორცოვმა.

— რა მარჯვედ მოიგონე?.. არაფერს ამტკიცებდი, ჩრდილი კი მიაყენე. პირდაპირ ლაპარაკს სულ თავს არიდებდი... ვითომცდა ამხანაგის ხსოვნას უფრთხილდებოდი. მეც გავები მახეში და გავჩუმდი. და რატომღაც ვირწმუნე პაშას სიკვდილი... შენ იცნობ ადამიანებს, მართალია, არამზადულად, მაგრამ იცნობ.. თუმცა, როგორც კი კეთილშობილებას წააწყდი, თვითონვე დაისხი თავს ლაფი. როგორ მეზიზღები!

სკვორცოვი დუმდა. შეკამათებას აზრი არა ჰქონდა. უკანასკნელი იდიოტივით გაება. იმაზე უარესი არაფერია, როცა პაშკასნაირებთან გაქვს საქმე, არასოდეს იცი, რას მოიმოქმედებენ. განა თავში მოუვიდოდა აზრად, რომ ხეიბარი კრინტს არ დაძრავდა? ამით ხომ ერთადერთხელ სამაგიერო მიუზღო მას — მიახვედრა ქალი, რომ ცხოვრობს გამცემთან, გამყიდველთან, ლაჩართან. ის კი სულაც არ იყო ლაჩარი, არც გამყიდველი, უბრალოდ, არ უნდოდა ბედის მორჩილი დასაკლავი ხარივით დალოდებოდა სიკვდილს. პაშკა მონების ჯიშისაა. მას უბრძანეს, მორჩა და გათავდა, საკუთარი ნება და აზრი გამორიცხულია. სკვორცოვს კი არა აქვს ეს მონური ბუნება, მიხვდა, ან დავიწყდით, ან თეთრფეროვანმა ლეიტენანტმა ჩვენი ჭირი წაიღოო. განა რამდენ ხანს შეეძლო გაეძლო ორ ადამიანს? თითო-თითო სავაზნე კოლოფიღა რჩებოდა, აბა რისი იმედიღა უნდა ჰქონოდათ? მის არსებაში ღვიოდა სიცოცხლის სურვილი, პაშკას არსებაში კი არა. პაშკას ბედმა არ გაუღიმა, გერმანელებს გადააწყდა, ავტომატის მომარჯვებაც ვერ მოასწრო, მაგრამ სკვორცოვს ხომ შეეძლო თავისიანებთან მისვლა და პაშკას ხსნა. მერე კი შეიძლება ბაფთიანი ხელისმომკიდეც ყოფილიყო მის ქორწილში. დიდებული სურათია! მთელი სიცოცხლე ამას ოცნებობდა, ნეტა გულმოწყალე გამხადაო! ღამღამობით კი თითებს დაიკვნეტდა. გმადლობთ! „ვინც დაეცემა, ალარც სახელი, ალ-

არც დიდება აღარ ექნება.. მწარეა დაღუპულთა ხვედრი — ამაზე უარესი ხვედრი არც ყოფილა და არც იქნება!" ეს იცოდნენ კაცობრიობის ყალბი ისტორიის ყველაზე გმირულ ეპოქაშიც კი. მაგრამ პაშკა არ დაეცა — აი რა ართულებს საქმეს. იმ ქვეყნიდან მოევლინა, რათა მისთვის სიცოცხლე მოეგვარა. სკვორცოვი ტყუილად ცდილობს, პაშკას გადააბრალოს ყველაფერი, პაშკამ სიმართლე დამალა, გაუგებარია რატომ, მაგრამ დამალა. თვითონ სკვორცოვმა კი ყველაფერი წამოროშა, ისტერიკიანმა, ნერვებმა უმტყუნეს. ნეტავ, მომდგარ როგორ წარიმართება მოვლენები? მთავარია, რომ ანა გემბანზეა და თბომავალი უკვე მიდის. ბოგოიარს დაიმახსოვრებ, სამუდამოდ დაიმახსოვრებ, თუმცა ნაპირზე არც კი გადასულხარ.

ანამ, რომელიც უჩინო თვალებით გასცქეროდა ფანჯარას, რაღაცა მოძრაობა შეამჩნია. ისინი ტოვებდნენ ბოგოიარს. მაგრამ კუნძული არ შორდებოდათ, ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდნენ. ფიჭვების წვეროებს ზემოთ წამოიმართა თეთრი ღამისფერი ხის გუმბათი ჯვრით — რომელიღაც ეკლესიაა. როგორც ჩანს, ისინი კუნძულს გარშემო შემოუვლიან, რათა ტურისტებს სრული წარმოდგენა შეექმნათ ბოგოიარზე. ანა წამოდგა და კაიუტიდან გავიდა. სკვორცოვმა კინაღამ ურჩია, ლაბადა წამოისხიო, მაგრამ თავი შეიკავა.

უმჯობესია, ანას ახლა მოეშვას, მაგრამ რა მოუხერხოს საკუთარ თავს. კაიუტაში იყურყუტოს, — მოსაწყენია, გული დაუმძიმდება და თავს ავნებს — ამაოდ გაწამდება ერთ საგანზე ფიქრით. უნდა ჩამოიშოროს ცილისწამება. ამ მძიმე, შესაძლოა, სიცოცხლის ყველაზე მძიმე წუთებში უნდა იყოს თავის შვილებთან. არავინ იცის, რა ოინს ჩაიდენს ეს ქალი. მას შეუძლია საშინელი ქაოსი შეიტანოს მათ ცხოვრებაში, გაითამაშოს განხეთქილება, გაქცევა, დიდი სირცხვილი დაატეხოს ოჯახს. ისინი უნდა შეერთდნენ — არა, ანასი კი არა, ღმერთმა დაიფაროს — იმ გამანადგურებელი ძალების წინააღმდეგ, რომლებმაც მასში გაიღვიძეს. რა თქმა უნდა, სკვორცოვი არაფერს ეტყვის შვილებს, უბრალოდ ერთად უნდა იყვნენ. ყველაზე საშინელი რამ მაინც არ მოხდა — ანა მათთან ერთად გამოემგზავრა. ელემენტარულმა კეთილგონიერებამ გაიმარჯვა. ეს კი იმედს იძლეოდა, თანაც ძალზე სერიოზულს. დადანაშაულება, შეურაცხყოფა, დამცირება, მუქარა — განაწყენებული და სუსტი სულისაგან მონაბერი ნაგვის ქარბორბალა — სულაც არ აშინებდა. სკვორცოვმა იცოდა: ადამიანები სიამოვნებით მიგიჩნევენ იმად, რადაც თავს ასაღებ. ერთი პირობით — შენ თვითონ გჯეროდეს ამისი. მაშინაც კი, როცა ეჭვობენ, რომ თაღლითობ, გულის ამაჩუყებელი მორჩილებით ისეთად მიგიჩნევენ, როგორც შენ წარმოაჩენ საკუთარ თავს. და ეს ვრცელდება ყველაზე მახლობელზეც. როგორც ჩანს, ადამიანი თავისდა უნებურად ზოგავს სულიერ ენერგიას, რომელიც არცთუ ისე ჭარბად აქვს — რაიმეს წინააღმდეგ წასვლა, რაც არ უნდა იყოს, დამღლელი და რთულია, ძალების ასეთი დახარჯვა გამართლებულია მხოლოდ მნიშვნელოვანი მიზნით. სკვორცოვი თავს უკვე კეთილშობილ ტანჯულად გრძნობდა, რომლის ერთადერთი დანაშაულია თავდადებული სიყვარული (ამაში იყო ჭეშმარიტების ნატამალი); ის არ მიატოვებდა პაშკას, ანა რომ არა, მაშინ, იმ გადამწყვეტ წუთებში, სკვორცოვს გაუელვა თავში, რომ უნდა სცადოს ბედი. თავდაცვის ინსტინქტი აქ არაფერ შუაშია. სკვორცოვი მიდიოდა ანასთან!.. ქალი მიუტევებს ნებისმიერ დანაშაულს, თუ დანაშაული ხდება მისი გულისთვის. ეს კი დანაშაულიც არაა. შეიძლებოდა სკვორცოვი დაღუპულიყო, პაშკა კი გადარჩენილიყო. ორივე გადარჩა, თუმ-

ცა თითოეულს ჰქონდა დანაკარგი. სკვორცოვმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიაღწია ანამდე, პაშკამ კი არ დაუჯერა ანას. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა მოიფიქროს ბოლომდე, რათა ყველაფერი ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ მნიშვნელოვანი რაც არის, მიგნებულია: მან იცის, როგორ მოუაროს ანას. თვითონ უკვე როლში შევიდა და საკმაოდ თავდაჯერებულად გრძნობდა თავს. ახლა კი უნდა ჩაიცვას თეთრი პერანგი, ტვიდის პიჯაკი, ჰალსტუხი გაიკეთოს და შვილებისაკენ წავიდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრავები უხმაუროდ მუშაობდნენ. დიდი თეთრი თბომავლის სვლა ისე მშვიდი და ნარნარი იყო, გეგონებოდათ ერთ ადგილზე დგასო, ხოლო კუნძული ნელ-ნელა ტრიალებს, რათა მნახველებმა ყოველი მხრიდან დაათვალიერონ. უკიდეგანო ფერმკრთალი წყლის შუაგულში აღმართულ მცირე მიწას თავისი ნაღვლიანი საიდუმლოება ჰქონდა, რომელსაც უცხო თვალს უმალავდა. ოდესღაც აქ განდეგილთა სავანე იყო, ისინი რის ვაი-ვაგლახით ჩამოდიოდნენ აქ დაუსახლებელი რუსეთიდან სამარისებური სიმარტოვის მოსაპოვებლად; ულრან ტყესა და მდუმარებაში ჩაფლულნი ცდილობდნენ ერთმანეთის არსებობაც არა სცოდნოდათ. მაგრამ მათმა სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. ახალგაზრდა სახელმწიფოს, რომელმაც ის-ის იყო საკუთარი თავი შეიცნო, ეს კუნძული სიმაგრედ დასჭირდა ჩრდილოელი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად (რატომღაც ხალხებს არ შეუძლიათ, უბრალოდ, ერთმანეთის მეზობლები იყვნენ). ჯანმაგარი კაცები გამოგზავნეს კუნძულზე: ბერები და მუშა ხალხი, რომელთაც აქ სიმაგრე-მონასტერი აღაშენეს. განვლო საუკუნეებმა, დაცარიელდა მონასტერი და, როგორც ყველა უყურადღებოდ მიტოვებულმა ნაგებობამ, ამანაც სწრაფად იწყო ნგრევა; და აი ამ სიმაგრეს ახალი მოვალეობა დააკისრეს — ჩვენი საუკუნის შუა წლების განდეგილთა თავშესაფრად ქცეულიყო, რომელთაც უკანასკნელ გამანადგურებელ ომს სიცოცხლეზე მეტი შესწირეს.

ანა ფიქრობდა მონასტერზე, მაგრამ სულაც არ ელოდა, თუ დაინახავდა მას, თანაც ასე ახლოს. ეგონა, მონასტერი კუნძულის შუაგულში იყო, ტყეში, ის კი ზედ ნაპირზე იდგა, კუნძულის გაღმა მხარეს, მისი კრემლი წყალში ეშვებოდა და კედლებს ტალღები ულოკავდნენ, ტაძარი, შრამელები და სახლები კი ბექობზე შეფენილიყვნენ. ანა ხედავდა სამრეკლოს, მის უტყვ შავ ხვრელებს, სადაც ადრე რეკდნენ ზარები, გუმბათმორღვეულ ტაძარს, გრძელ შენობას ახალი თუნუქის სახურავითა და ცოცხალი ფანჯრებით, კიდევ რაღაც აღდგენილ თუ ახლად აღმართულ შენობებს, მერე ეზოს ბოლოც გამოჩნდა და გასაშრობად გაფენილი სარეცხიც, რომელიც რატომღაც არ ჩამოეხსნათ ღამით. გამოჩნდა ეზოში მდგარი გარაჟიცა და ფარდულებიც, აყირავებული ურემი, ჟანგიანი ჭიშკარი და წაქცეული ბოძი. ანა ხარბად ისრუტავდა წაუკითხავი ცხოვრების ძუნწ ნიშნებს და უცებ ერჟოლამ დაუარა მთელ ტანში, ივრძნო, რომ ეს პაშკას სამყარო იყო, რომ პაშკა თავისი ცოცხალი, მხურვალე, მფეთქავი გულით, ლურჯი თვალებითა და მშრალი მუქი კანით, აგერ იყო ახლოს, სულ ახლოს. მათ ჰყოფდა მკრთალი წყლის სულ ორასიოდე მეტრი სიგანისა და ხმელეთის ვიწრო ზოლი, ჭიშკარი, რომელიც კაკუნზე გაიღებოდა, ეზო... ანა მშვენივრად ცურავს, პაშამ თვითონ ასწავლა. კარგა შორს შეათრევდა ხოლმე წყალში და იქა ტოვებდა, თან გზას უღობავდა ნაპირისაკენ.

ანაც იძულებული იყო ეტყაპუნებინა ფეხები და ხელები წყალში — ეცურა. ანა ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. რა შორს მიცურავდნენ! ლამის თურქეთის ნაპირამდე. ღმერთო ჩემო, რა ადვილად შეიძლება ყველაფერი გადაწყდეს: პაშა არ გამოაგდებს, თუკი სველი, გათოშილი ანა კარზე მიუკაკუნებს. ყველაფერი დანარჩენი როგორღაც მოგვარდება. პაშას ქალიც იძულებული იქნება შეურიგდეს ბედს; ანა ხომ პირველი იყო. ის ამას მიხვდება, ალბათ, კარგი ქალია.

ანამ ქვემო გემბანზე ჩაირბინა. ოღონდ ხელი არ შეუშალონ. მაგრამ გარშემო არც არავინაა. პეიზაჟი ყველას ყელში ამოუვიდა, თბომავალი კი სავსე იყო სიამოვნებით, როგორც თოვლის პაპას ხურჯინი საჩუქრებით, და მგზავრებს სურდათ ბოლომდე გამოეყენებინათ უშფოთველი მოცალეობის ყოველი საათი. ანა მძიმედ გადაძვრა ბარიერზე, მძლავრად აიქნია სხეული და წყალში გადახტა. სმენა დაუხშო, დასწვა სიცივემ, მაგრამ ამოყვინთა, ჰაერი ჩაყლაპა და მხარულით ნაპირისკენ გაცურა, პაშასკენ. მრისხანე და უზარმაზარი თბომავალი ნელ-ნელა შორდებოდა, ნაპირისკენ კი, როგორც პაშკა ასწავლიდა, ცქერა არაა საჭირო — ის არ ახლოვდება. ხელ-ფეხი თითქოს სხვისი იყო, ცუდად ემორჩილებოდა. ტბას სულაც ვერ ათბობდა მზე. მაგრამ ნაპირი ხომ სულ ახლოსაა... სხეულში სიცივემ დაისადგურა, გული შეეკუმშა. უკვე წყალს ყლაპავდა, უნდოდა საშველად მოეხმო, მაგრამ შემორჩენილი გონებით მიხვდა, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, პაშკასთან ალარ გაუშვებენ. მან არ იცოდა, რომ თბომავალზე უკვე მისცეს სიგნალი „ადამიანი წყალში" და უკვე ჩაუშვეს ნავი, რომელშიც მეზღვაურებთან ერთად კაპიტანი და გემის ექიმი ჩასხდნენ....

ბარში, სადაც სკვორცოვი იჯდა შვილებთან ერთად, არაფერი იცოდნენ განგაშის შესახებ. ბავშვები, როგორც ჩანს, „ძალიან დაიხარჯნენ გზაში", რადგანაც მამის შეჭრა თავიანთ საგულდაგულოდ დაცულ სამყაროში ფრიად გულმოწყალედ მიიღეს. სკვორცოვს არ უყვარდა შეტისმეტად ტკბილი, მაგარი სასმელები, გამაყრუებელი უხეში მუსიკა, მოცეკვავე ახალგაზრდების კლაკვნა და გრეხა, მათი ოფლიანი, სულელური და გახელებული სახეები, მაგრამ ირგვლივ კეთილგანწყობას აფრქვევდა. მერე მან საცეკვაო წრეში აღმოაჩინა მოქნილი შავგვრემანი ქალი, რომლის თვალის დევნებაც სიამოვნებდა. მისმა ვაჟმა, შემოტმასნილ ჯინსებსა და ზოლიან მაისურში — პარიზი, რომი, კოპენჰაგენი! — გამოწყობილ გამხდარ ქალიშვილთან რომ ცეკვავდა, ჩაიცინა და თვალი ჩაუკრა შავგვრემან ქალს. იმან არ უპასუხა, თავი ასწია. მაგრამ სკვორცოვმა ნამდვილად იცოდა, რომ პაშა მას იცნობდა, თანაც ძალიან ახლოს. შეშურდა კიდეც დღევანდელი ურთიერთობის უბრალოება... ამ ქალის რჩეულიც აოცებდა: უზარმაზარ, ბრგე, მოსულელო, ახალგაზრდა კაცს გრძელი თმა და ეროსმცემლის ტორები ჰქონდა. სკვორცოვისადმი რაღაც დიდი პატივისცემით გამსჭვალული, ვიდრე კიდევ გადაჭარბებდა იმ რაღაც საძაგელ სასმელსა თუ თხლეს, აუცილებლად ჭიქას ჭიქაზე უჩახუნებდა. სკვორცოვმა განაცხადა, დღეს მე გეპატიჟებით, ამან თავმოყვარეობა შეულახა ეროსმცემელს, მაგრამ შეკამათება ხნიერ კაცს ვერ შებედა, დახლისკენ გაემართა და ოთხი ფილა შოკოლადი „ოქროს იარლიყი" და ფორთოხლით სავსე პარკი მოიტანა. თვითონ შოკოლადს არ მიირთმევდა — ისეთი ქავილი ამიტ-

ყდება ხოლმე, სისხლი მდისო, — ხოლო ციტრუსებისაგან, როგორც ფორთოხალს ეძახდა, ტანზე აყრიდა თურმე.

— ალერგია გაქვთ, — დაამშვიდა სკვორცოვმა. — მოდაშია.

გემის ექიმმა ანას თვალები დაუხუჭა და ცოტა ხანს ხელი არ მოუცილებია, რათა აღარ ახელოდა. ანა წყალს არ დაუხრჩვია, გაცვეთილმა გულმა უმტყუნა მხოლოდ. რა თქმა უნდა, ეს არ იყო თვითმკვლელობა, ალბათ ხედავდა მაშველ ნავს, მაგრამ ჯიუტად მიცურავდა მისგან შორს, ნაპირისკენ, რატომ?..

კაპიტანი ფიქრობდა, რაღა სწორედ ჩემს რეისზე მოხდა საგანგებო შემთხვევაო. მთელი წლების მანძილზე, რაც არსებობს მარშრუტი ლენინგრადი — ბოგოიარი, მხოლოდ ერთხელ იყო, რომ მთვრალი გადავარდა გემიდან, მაგრამ მშვიდობიანად ამოიყვანეს. ეს კი, როგორც ექიმები ამბობენ, „არის შემთხვევა სასიკვდილო შედეგით". რამ უბიძგა?.. წესიერი ქალი იყო, მეცნიერებათა დოქტორი, დარბაისელი ქმარი ჰყავდა, შვილები.. ამის გამო მკაცრად მოსთხოვენ პასუხს კაპიტანს. რა თქმა უნდა, იგი არაფერ შუაშია, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი. და, რაც მთავარია, ნაოსნობაშიც გულს გაუწყალებენ: რაღა მაინცდამაინც შენ დაგემართა ეს ამბავიო და, მართლაც, რაღა მაინცდამაინც მას დაემართა. იმიტომ ხომ არა, რომ ახალგაზრდობაში, აქაოდა, ყოჩაღი ბიჭი ვარო, შავი ზღვის ფლოტის ლეგენდარული მეზღვაურის მაკის მიბაძვით, რომელსაც ეთაყვანებოდა ყველა ახალგაზრდა კაპიტანი, ორჯერ აკოცა ნავსაბელს. რა თქმა უნდა, მას დასჯიან. მაგრამ გაივლის დრო, ყველაფერი თავთავის ადგილს დაუბრუნდება, მისი საქმეც მოგვარდება, არ დაბრუნდება მხოლოდ ეს ქალი, რომელსაც ექიმმა ძლივს დაუხუჭა გაოცებული ლურჯი თვალები...

როგორც ყოველთვის, პაველს პირველს გაეღვიძა. ჩვეული დახუთული ჰაერი იდგა — ინვალიდებს არ უყვართ ღია ფანჯრები, სითბოს უფრთხილდებიან. მძიმე სუნთქვა, ხვრინვა, კვნესა, კივილი გაუსაძლისი ტკივილებისაგან — აი ეს არის დასახიჩრებულთა ძილი, ყველაზე ღრმა და ტკბილი დილის ძილი. ისინი კვლავ და კვლავ დაუსრულებლად განიცდიდნენ სიზმრებში, ხან ზუსტსა და ცხად, ხანაც ბუნდოვან, დამახინჯებულ სახეებში იმ წამს, რომელმაც დაუმსხვრია მათ ცხოვრება. თავის ქალაში სკდებოდა ყუმბარები, ჭურვები, მინები, ღრჭიალებდნენ ფოლადის მუხლუხები, ჯავშანი ვარვარებდა, ცეცხლში დნებოდა ადამიანის სხეული. მათ ესიზმრებოდათ ჰოსპიტლები, ოპერაციის შემდგომი გონს მოსვლა და კოშმარი: უწინდელი აღარა ხარ, შენგან დარჩა... დღისით ჩვეულებრივი ადამიანებივით იქცეოდნენ: ღიმოდნენ, ხუმრობდნენ, იხსენებდნენ, უხაროდათ, დარდობდნენ, ჩხუბობდნენ, კამათობდნენ, თუთუნს სწევდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ, გადამუშავებულ საკვებს გამოყოფდნენ—ვინ თვითონ, ვინ სხვისი დახმარებით, ამ უკანასკნელს ძნელად ეჩვეოდნენ. კითხულობდნენ, უსმენდნენ რადიოს, უცქერდნენ ტელევიზორს, გულშემატკივრობდნენ ფეხბურთელებსა და ჰოკეისტებს, წერდნენ საჩივრებს სხვადასხვა ინსტანციაში, აგროვებდნენ ფესვაკებს, სოკოს, ვინ თევზაობდა, ვინ ბალ-ბოსტანში ცოდვილობდა, ზოგიერთები პატარა არტელში მუშაობდნენ სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით, ზოგნი თავის წილ სიყვარულს იტაცებდნენ, ღამით კი მათი სული ჯოჯოხეთში ეშვებოდა.

პაველმა ჩვეული მოძრაობით გადმოისროლა სხეული საწოლიდან და პი-

რდაპირ ტყავის ბალიშზე აღმოჩნდა. ჩასძინებოდა. უკვე მეშვიდე საათი იყო. უნდა სწრაფად დაიბანოს, წვერი გაიპარსოს, შარვალი ჩაიცვას, აიკეცოს ტოტები, მაგრად დაებას სქელ ბალიშზე და გზას გაუდგეს. ნავმისადგომზე წაიხემსებს, გუშინდელი ორი ნაჭერი პური დარჩა, ბადრიჯნის ხიზილალაწასმული.

შეხუთულ ჰაერში შემოღწეულმა ნაზმა სურნელმა გაახსენა ღამის იები, რომლებიც აქ არ ხარობდნენ. საიდანაა? სურნელი გაძლიერდა, ყოველი მხრიდან შემოეფრქვია, აბრეშუმის პარკივით შემოეკვლო და შიგ მოიმწყვდია მის სხეულს. კანს ასდიოდა ეს სურნელი — გუშინდელი ალერსის ხსოვნა. გამოდის, ანა აქ უკვე იყო!.. და გაცოცხლდა მთელი გუშინდელი დღე. პაშამ ანა გააგდო. ახლა ყველაფერი გათავდა. რაღა უნდა ნავმისადგომში, რისთვის მიდის? განთავისუფლდა მრავალწლიანი გუშაგობისაგან. ვითომ რატომ? იქნება დაბრუნდეს ანა? ის ხომ დაბრუნდა ოცდაათი წლის შემდეგ, ისე, რომ არც იცოდა, პაველი ბოგოიარში თუ იმყოფებოდა, ახლა კი, როცა იცის მისი თავშესაფარი, განა შეიძლება არ დაბრუნდეს? ადრე თუ გვიან ანა აუცილებლად მოვა. პაველი თავის საგუშაგოზე უნდა იყოს, რათა არ გამოეპაროს მისი ჩამოსვლა. მაგრამ დღეს რაღა აზრი აქვს ამას, დღეს აღარ დაბრუნდება, მისი თბომავალი უკვე ლენინგრადს უახლოვდება. მეორე თბომავალმა კი გუშინ საღამოს აიღო გეზი ბოგოიარისაკენ. მაგრამ ვინ იცის, ვინ იცის!.. ერთხელ დაგეზარება... და ყველაფერს დაკარგავ. ისევ ისე უნდა იაროს ნავმისადგომზე, როგორც მთელი ამ წლების მანძილზე დადიოდა, ყოველ თბომავალს დახვდეს, სანამ გრძელდება მიმოსვლა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ის უკვე თავისი „უთოებით" ზომავდა გზას, უკან მისდევდა კორსარი. დადგენილ დროს პაველი ნავმისადგომზე იყო. ლოდთან, სადაც ჩვეულებრივ დგებოდა ხოლმე. წელში გამართული. გაშეშებული, სახეუძრავი, ფოლადისფერ-ნაცრისფერ თვალებიანი და სადღაც შორს, სიცარიელეში იყურებოდა. ის ელოდა. დღემდე ელოდება.

□

კონსტანტინე კავაფისი

ლექსები

ბერძნულიდან

თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

კონსტანტინე კავაფისი (1863-1933) დიდხანს არ აღიარეს. დაობდნენ და კითხვის ქვეშ აყენებდნენ მის პოეტურობასაც კი. მერე დაიწყო მის პოეზიაში ჩაწვდომის ხანგრძლივი პერიოდი, რამაც მას ჯერ ნაწილობრივი, შემდგომ კი უფრო ღრმა და საბოლო შემოქმედებითი აღიარება მოუტანა. მან გარკვეული გავლენა მოახდინა შემდგომ თაობათა ლიტერატურულ ძიებებზე. საბერძნეთის ლიტერატურული საზოგადოებისათვის კავაფისი წარმოადგენდა ერთგვარ სასინჯ ქვას, ახალ თაობათა პოეზიის შემმოწმებელს. მის ლიტერატურულ ბიოგრაფიაში მთავარი ფაქტორია ის, რომ კავაფისი დაიბადა და ცხოვრობდა საბერძნეთის გარეთ ალექსანდრიაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

გარკვეული პერიოდი მან დაჰყო ინგლისში, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე. პირველი ლექსები დაწერა ინგლისურ ენაზე. შთამბეჭდავია მისთვის კონსტანტინოპოლში გატარებული სამი წელი, სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 19 წლისა დეეუფლა მშობლიურ ბერძნულ ყოფას და კულტურას.

საბერძნეთის ლიტერატურულ პანორამაში, სადაც რომანტიზმი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში წარმართავდა ხელოვნების მიმდინარეობებს, მეფობდა ათენის სკოლა, რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო სასოწარკვეთა, შორეული წარსულით ტკბობა და ა. შ. ამ სკოლამ კავაფისის ადრინდელ შემოქმედებაზე წარუშლელი კვალი დასტოვა. ამან შებოჭა ერთგვარად ლექსის ლირიკულ უშუალობა. იმ პერიოდში კავაფისი საკუთარი სტილისტური აღმოჩენებისგან ჯერ კიდევ შორს იყო.

კავაფისი ყოველნაირად ცდილობს, არ ამოვარდეს ბერძნული პოეზიის კალაპოტიდან, თუმცა, თავისი კრედოთი და ცდებით, ის უფრო თანამედროვე ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურას უახლოვდება. განსაკუთრებით იგრძნობა მისი სიახლოვე ბოდლერთან.

კავაფისი დიდხანს ეძებდა საკუთარ ხმას, ერთი უკიდურესობიდან გადადიოდა მეორეში, მიმბაძველობიდან საკუთარ დიდ აღმოჩენამდე.

ელინისტურ ლექსებში კავაფისმ თავისი დამთრგუნავი და გამხრწნელი დრო აღბეჭდა.

თანდათან გაფართოვდა საზღვრები კავაფისის პოეზიისა და მან მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა.

მთარგმნელისაგან

ქალაქი

შენ თქვი: „უცხო მხარეში მივდივარ და
სხვა ზღვას მოვნახავ,
სხვა ახალ ქალაქს, უფრო ძვირფასს, ვიდრე ჩემია,
ვით განაჩენი სურვილი და გზა უსასრულო,
გამოკრთის ფიქრში და გულს ჰყინავს, როგორც სამარეს.

როდემდე გასძლებს სული ჩემი უძლურად თვლემას,
როდესაც მზერა ირგვლივ მხოლოდ ნანგრევებს ხედავს,
როცა სიცოცხლე ბრძოლისაგან ღონმილეული,
ბედისწერასთან კამათში და დავაში გაცვდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, ნუ ეძებ უცხო მიწებს და ზღვებს მისეულს,
შენი ქალაქი თან წაგყვება ყველგან
და ნახავ
იგივე სახლებს, და ნელ-ნელა დაუძლურდები,
ნაცნობ ქუჩებზე კვლავ იხილავ მხოლოდ შენს ქალაქს,
სხვა ქალაქებზე ფიქრი დათმე და ნუ ოცნებობ,
იქ მისასვლელად ვერც გზებს ნახავ და ვერც ხომალდებს,
სიცოცხლე არის უდიდესი, როგორც სამყარო,
დროს ნუ დაკარგავ უსაფუძვლოდ ბედთან დავაში.

ჩემი ოთახის ოთხი კედელი

ვიცი ისინი ღარიბები არიან ძლიერ,
მეგობრები და ჭირვარამთა თანაზიარნი,
უფრო მდიდრული და თვალწარმტაცი,
კარგია ჰქონდეთ სულ სხვაგვარი სამკაულები,
თუმცა კამათი რად უნდა ამას,
სულ არ აწუხებთ სიკაშკაშე, ბრწყინვა მდიდრული,
ჩემს მეგობრობას შეეწირენ ამის გარეშეც.
კარგად იციან, და ხვდებიან იმასაც კარგად,
რა არის ჩემი წუხილი და დიდება ჩემი,
ვინ მივიჩნიე მეგობრებად ჩემს ცხოვრებაში,
და ისინიც, ვინც თავშესაფარს ჩემთან ჰპოვებენ,
დაიქცევიან ჩემთან ერთად მტკიცე კედლებიც,
ჩვენთვის მდიდარსაც და ღარიბსაც ერთი ფასი აქვს,
სამაგიეროს მე ისინი არასდროს მთხოვენ,
ერთად ვართ ჩვენ და
ერთმანეთის ავ-კარგი გვესმის.

სარკმლები

ამ ყრუ ოთახში, სად მისჯილივით
ვზივარ, რომ დღენი ცხოვრებისა უხმოდ გავლილ,
ვშფოთავ და, ვითა უსინათლო, ვაწყდები კედლებს,
და სარკმელს ვეძებ სადმე შენში, რომ გამოვალო.
განათდეს არე,
იქნებ ვპოვო სულის სიმშვიდე,
იქნება არის, და ვერ შევძელ მათი მოძებნა,
არსად არ არის ვატყობ, სარკმელი.

იქნებ კიდევაც სჯობდეს ასე, ბნელეთში ჯდომა,
რომ სინამდვილე არ გადმექცეს ახალ წამებად,
რას დამანახვებს ის ფანჯრები,
აბა, ვინ იცის.
იქნება სჯობდეს ისევ ასე, ბნელეთში ჯდომა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი სილაღე

თეთრი სილაღე, — წმინდა გულის ახალგაზრდობა,
ო, უთეთრესი, უნათლესი სილაღე ჩვენი,
ის ხანმოკლეა, მაგრამ ისე უძლეველია
მთავარანგელოზს თითქოს მაღლა ეჭიროს ფრთებით,
როგორც ყველაფერს, მასაც თავის აქვს დასასრული,
დნება და ჰქრება ლურჯ მთათა და ჰორიზონტს იქით, —
სამუდამოდ ჩაესვენება...
და განა გვტოვებს სამუდამოდ?..
ის დაბრუნდება,
თეთრი სამოსით ის მოვა ჩვენთან,
ის მოვა ჩვენთან სიხარულით, ლაღი სიზმრებით,
დაბრუნდება და სადაც წავალთ წაგვყვება ყველგან.
თეთრი მკლავებით შეგვეხება და დაგვამშვიდებს,
თავის ელვარე სითეთრიდან თეთრი სუდარით
დაგვფარავს ყველას, უთეთრესი უქრობ ნათელით,
და სადაც წავალთ, ყველგან გაგვყვება.

კედლები

უმოწყალოდ და მოულოდნელად,
ჩემს ირგვლივ ბჭენი აღიმართნენ უზარმაზარი,
და ვარ ვითა ტყვე, მომწყედეული მაღალ კედლებში,
შეუძლებლობით დათრგუნვილი და დატანჯული...
თუ ბედისწერა სიმაღლეთა ძლევას მექადდა,
ვითა შევიძლო დამშვიდება აბა მითხარით, —
დაუძლეველ ზღვარს ვით გადავევლო.
ისე უეცრად აღიმართნენ დიდი კედლები,
რომ ვერც კი შევძელ დამენახა ზღუდე მაღალი,
ჩემს გარშემო რომ იზრდებოდა თანდათანობით,
ასე აღმოვჩნდი სამყაროსგან მთლად მოწყვეტილი,
უსინათლო და დაყრუებული.

❑

ეუჯინიო მონტალე

ლექსები

იტალიურიდან

თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ

ეუჯინიო მონტალე დღევანდელ იტალიის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პოეტია. დაიბადა 1896 წელს გენუაში, კომერსანტის ოჯახში. ავადმყოფობის გამო ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუხდა სკოლის დატოვება. ამის შემდეგ აღარსად არ უსწავლია. ახალგაზრდობაში სურვილი ჰქონდა მომღერალი გამხდარიყო. მეცადინეობდა ბარიტონ ერნესტო სიკორსთან, მაგრამ მის ამ სურვილს აღსრულება არ ეწერა. ლექსთა პირველი კრებული გამოსცა 1925 წელს, სულ გამოცემული აქვს ექვსიოდე ლექსთა კრებული. მთელი შეგნებული ცხოვრება საზოგადოებრივ შრომაში გაატარა, აქტიურად მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში. დიდი ხნის განმავლობაში იყო გაზეთ „კორიერე დელლა სეროს" თანამშრომელი.

ეუჯინიო მონტალე ძალიან პოპულარულია თავის სამშობლოში. 1967 წლიდან იტალიის პრეზიდენტის დეკრეტით მუდმივად არჩეულია საპატიო სენატორად, 1975 წელს მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ის ცოტას სწერს, მაგრამ მის ნაწერებში ყოველთვის დიდი სიბრძნე, ღრმა დაკვირვება და პოეტური ღელვა იგრძნობა. მის ლექსებს მკითხველები ყოველთვის ინტერესით მოელიან.

ჩვენ ვცადეთ ქართველი მკითხველისათვის წარმოგვედგინა ეუჯინიო მონტალეს ლექსების ერთი ციკლი წიგნიდან — „სატურა"[1].

მთარგმნელისაგან

წლის დასასრული

მაღლა მთვარიდან, თითქოს მთვარიდან,
ვუცქერ პლანეტას, ჩვენს დედამიწას,
ფილოსოფიით, პოლიტიკით, საღვთისმეტყველო
დებულებებით, ხელოვნებით, პორნოგრაფიით,
თვით მისტიკური მეცნიერებით,
და ათასგვარი სხვა წვრილმანით
სავსეს სრულიად.
და ამავე დროს იქ არის ხალხიც,
რა თქმა უნდა რომ
მეცა ვარ იქ და
ეს ყველაფერი მიყვარს ძალიან.

---

[1] სატურა — ზერძნული სიტყვაა — ტკბილ-მწარეს ნიშნავს (სატირულსაც).

შუალამისას წყვდიადიდან ახალი წელი,
შემოანათებს მაშხალებით, აფეთქებებით,
თრობის ყიჟინით, ათასგვარი ჯურის ამქრებით.
და თუკი ამ დროს იღუპება სადმე ვილაცა,
ჩვენ ყველას გვინდა, რომ ის იყოს ვილაცა უცხო,
და არა ვინმე ჩვენიანი.
ასე სჯობია, ალბათ, თავის მოტყუებისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

უსიერი ტყე იფარავდა სანატორიუმს,
იქ პალატაში მომაკვდავი ესვენა ქალი,
ქალი, რომელსაც თითქოს უნდა პასუხი ეგო,
სიცოცხლის დიდი სიყვარულისთვის.
ირგვლივ ყველაფერს მოწყენილი ნაზად უმზერდა,
განჯინაში კი ჭრიჭინა მღერდა.
ტყიდან გუგულიც სევდიანად მოიმღეროდა,
ნაცნობი იყო ყველაფერი და ახლობელი.
მას ამ წუხილში გაახსენდა ინდონეზია,
იქაც ესმოდა სიმღერები, — განგების ხმები,
იქაც ტყე, იქაც მომხიბლავი მოწყალების და,
იქაც პალატის იქით ჩიტი გალობდა ტყეში,
შცირე მაგიდა, ტელეფონი, ალბომიც იქვე,
უცხო ფრინველით მოხატული იმზირებოდა,
რაღა თქმა უნდა, მეც იქ ვიყავი,
და ჩვენ ყველანი მას ვამშვიდებდით,
მაშინ, როდესაც მისგან გვსურდა ჩვენ დამშვიდება,
ჩვენი თვალით რომ შეეხედა სამყაროსათვის.

* * *

მომხიბლავი პატარა არსება,
მწერს რომ ეძახის ყველა სახელად,
და გაუგებარია, რატომ,
დაღამებისას, აივნის ბინდში,
როს ვკითხულობდი წინასწარმეტყველს,
ისევ გამოჩნდა ჩემს გვერდით, თუმცა,
უსათვალებოდ ვიყავი და ვერ შევამჩნიე,
იმავ მიზეზით, ვერც მან შემნიშნა.

* * *

სახურავზე ზის ლაბუა ჩიტი,
პატარა მტრედს რომ მოჰგავს სრულიად.

ქოჩორს უვარცხნის ნიავი ნელი,
და სარკმლის იქით, მისი სრულად დანახვა მიჭირს...
როდესაც ახალ გაწვიმებულზე,
დავაკვირდები ამ პატარა ჩიტს, —
ვფიქრობ, ესაა ის ყველაფერი,
რაც ჩვენ გვახარებს,
ამასთან ერთად მწუხარებაც მიპყრობს სხვაგვარი,
და საეჭვოა, რომ გაუძლოს გულმა ამ წუხილს, —
რადგან სიკეთე, ამ სურათის,
რასაც მე ვხედავ,
ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცის,
და არც ის იცის,
თუ რა უყოს ამ ბედნიერებას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * * (მოჩვენება)

ოთხი ასოსგან წარმოსდგება სახელი მისი,
უცნობი კაცი, ცხოვრებაში რომ თითქოს ერთხელ
შემოგვხვდება მხოლოდ.
ის ახლა, ალბათ, ამ ლექსს რომ ვწერ, უკვე მკვდარია.
მხატვარი იყო, შენ მოეწონე.
შენც, როგორც მახსოვს, ამ გრძნობისთვის
ხელი არ გიკრავს.
ეს ხომ დიდი ხნის ამბავია, აღარც მახსოვდა.
შენ რომ არ იყავ საწუთროში, მისი სახელიც,
დრომ გადაშალა, მერე თითქმის გადამავიწყდა.
მაგრამ ერთხელაც, ძველ ჟურნალებს ვფურცლავდი როცა,
იქ ბევრ, სხვადასხვა მხატვართა შორის,
(მათ შორის, ვინც ვერ გაიკეთა დიდი სახელი),
იმის ნახატსაც წავაწყდი, რა დავხედე სურათს,
ამ საუკუნის დასაწყისში რომ დაუხატავს.
შენი სახება ვიცან უეცრად.
ნახატი იყო, ვით შედევრი ხვალინდელ დღისთვის,
ვნახე და ვიგრძენ, თავის გრძნობა გადმოსცა იმან,
სამხიარულო აღმოჩენა არ იყო ჩემთვის.
ეს ყველაფერი როგორ მოხდა, ვკითხავდი ჩემს თავს,
მაშინ შენ იყავ შემოქმედის
მზე შთაგონების,
მე კი, მე მისი ორეული ვიყავი, ალბათ...

* * *

ხვალინდელ დილის კონცერტისათვის,
მე მოვაბნიე ფანჯრის რაფაზე,
ბელურებისთვის მცირე საკენკი, —

შუქიც ჩავაქრე,
დალამების ვარ მოლოდინში.
აი, გამოჩნდა ღამის ბინდში ყველა აჩრდილი,
ჩემთა ძვირფასთა, მეგობართა, ყველა ნეტართა,
ვისაც ოდესღაც შევხვედრივარ მე ცხოვრებაში,
მსურდა თუ მძაგდა,
ყველასი, დიდთა და პატარათა...
აი, გამოჩნდა ყველა აჩრდილი,
იმათში ვარჩევ უკეთესებს
და რომ შემეძლოს,
გავაცოცხლებდი ცხოვრებაში დასაბრუნებლად
ბევრ იმათთაგანს.
სულ არ შეცვლილან იქაც ისინი,
უსპეტაკესი ბევრნი დარჩნენ საიქიოშიც,
სააქაოს კი, რად შემოსწყრნენ,
ან ასე რატომ შეიმჩნევა სააქაოში,
ქვეყნის და ხალხის სახეცვლილება.
ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო,
რომ შეგვებილწა დედამიწა ულირსი ქცევით!..

დიდება ჩვენი დროისა

მეტი დიდება უფრო მეტად სად გაგონილა,
(ჩვენს პლანეტაზე ვლაპარაკობ ასე ამაყად).
ერთადერთია იგი, სადაც ასე იხარა,
ხელოვნებამ და ჯალათის დაშნამ.
აქ უამრავი შედევრები ერთი დღისათვის
იქმნება, დღე კი, ათასწლობით გაიზომება,
ჩვენი სამყაროს შესაქებად სიტყვა არ გვყოფნის,
ვაქებთ და მუდამ ვამბობთ, სხვათა იმედზე ყოფნა,
ჩვენს ნუგეშად რომ არ გამოდგება.
წამითაც გვერდზე რომ გავიხედოთ,
არას დიდებით არ შეიძლება.
უნდა ვიფხიზლოთ, რათა სამყარო,
გომბეშოსავით არ გაგლიჯონ, არ იავარყონ,
როგორადაც ეს,
ძველ იგავში ჩვენ წაგვიკითხავს...

არავითარი საშინელი

და ეს ზაფხულიც, როგორც ჩანს, მიდის,
ველარ მოისმენ გალაღებულ ფრინველთა გნიასს,
ის ერთი ხმაც კი წაგართმევს იმედს,
მწამს დედამიწა მთლად შეიკუმშა და აფეთქების მიჯნასთან დადგა.

დიდ მოლოდინის გასამართლებლად,
დასამშვიდებლად ამბობენ ამას,
რომ დედამიწა, საცდელ პოლიგონს წარმოადგენსო,
ადამიანი არსება არის გამოსაცდელად მოვლინებული.
სუყველას გწამდეთ, აფეთქება რომ არ მოხდება, —
გვაკმარონ ცუდი, —
ჩვენ რაც გვარგუნა ღმერთმა, ისიც საკმარისია.
წინასწარმეტყველ ქალთა გუნდი, სამება ღვთისა,
ღმერთს და ქალღმერთებს თავს ევლებიან,
სულს უბერავენ მკვდრადვე შობილებს,
კვდება მხოლოდ ის, ვინც კი, ჩიტის გალობას უსმენს,
რომელსაც სჯერა, რომ ცოცხალია.
ჩვენ კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სესილია, შენ იხსენებდი, სენიორ კაპას,
„მე მინახავსო ერთი-ორჯერ, ისკიაზე, ავტობუსშიო,
კლემენფერტიდან ის ვექილი ბარათებს მწერსო,
ჩვენთან ჩამოსვლას აპირებსო, ამბობდი ხშირად...
ის ჩამოვიდა, შენ კი ალარ ხარ,
მე მას ვუამბე შენს შესახებ,
და გაუძნელდა შენი ამბის ჩემგან მოსმენა,
მერე რაღაცას ბუტბუტებდა და ერთხანს სდუმდა,
უეცრად ადგა
და თვალთაგან გაუჩინარდა.
შემპირდა კვლავაც მომილოცავს დღესასწაულებს,
საოცარია, შენი შეცნობა ზოგიერთებს შეეძლოთ მხოლოდ,
მხოლოდ ისეთ ხალხს, ის რომ იყო, დოქტორი კაპა!
და ესეც ზოგჯერ საკმარისია.
ო, სესილია?...
ნეტავ შენ რაღა მოგივიდა,
რატომ დაგვტოვე?...

წაბორძიკება

წაიბორძიკე და მაინც წადი,
უმძიმესი გზებით იარე.
გაოგნებლობის გარემოდან გამოსაყვანად,
სიჩუმე თითქოს სულ არ არის გამოსავალი,
რადგან ბლუთაგან, ნაკლებ ხმაურს
უნდა ველოდეთ,
ამიტომ სჯობს რომ, მათ მივენდოთ უფრორე მეტად
და ენის ჭარტალს დავუხშოთ გზები.

ერთხელ, ვილაცამ,
რაც უნდა ეთქვა,
ყველაფერი უცებ ჩამოფქვა,
და ყველაფერი მაინც დარჩა გაუგებარი.
იგი თავის თავს უზენაეს არსებად თვლიდა,
ნამდვილად კი ის, უსაქმური მოლაყბე იყო.
იმათგან არის ეს სამყარო გაწბილებული,
და უიმედოდ დამუნჯებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სათვალეებისა და ანტენების გარეშე,
პატარა ქინქლა მიაფრიალებს
თავის სუსტ ფრთებს და,
ფიქრობს ალთქმაზე, მას რომ აწვალებს,
არვინ კი იცის, რა არის იგი...
ბნელი ღამეა, იელვებს სადღაც,
არც ქარიშხალი, მხოლოდ სადღაც მეხი დაეცა,
დამშვიდდა მერე ბუნება ისევ.
ნუთუ შენ ისე სწრაფად წახვედი,
რომ არსად სჩანხარ,
გაჰქრი სიტყვის და სალმის გარეშე,
ანდა სად გქონდა საუბრის დრო და ხასიათი?

რითმა

ამოვან ასოთა თანხმობანი, ათასწილად უფრო მოსაბეზრებელია,
ვიდრე სან-ვინ ჩენციის[1] ქალბატონები.
მათი მოთმენა შეიძლება,
თუ არა გაქვთ მათთან საერთო.
წესის მოყვარე, პოეტები მათ იცილებენ,
რითმებს არ სდევენ, ეშმაკობენ,
გარდა ამისა, სხვა აკრძალულ ხერხსაც ხმარობენ.
მაგრამ გაქნილი, ბებრუხანა რითმები კვლავაც,
კარსუკან მდგარნი ადრე თუ გვიან
გამოჩნდებიან და კარებზე გიკაკუნებენ, —
შემოსვლას გთხოვენ...

□

1 სან-ვინჩენელი — ქალთა საქველმოქმედო მაღალი წრის საზოგადოება იტალიაში.

ინგლისურიდან
თარგმნა ნანი წერეთელმა

სერ ჰერკულესი

ბავშვი, რომელსაც ლეპითთა გვარის მეოთხე ბარონეტობა ელოდა, 1740 წელს მოევლინა ქვეყანას. სულ ერთი ციდა დაიბადა — კილო-ნახევარსაც არ იწონიდა — მაგრამ მკვრივი აგებულებისა იყო და ჯანმრთელი. პატარას ჰერკულესი დაარქვეს ოკემის ეპისკოპოსის სერ ჰერკულეს ოკემის პატივსაცემად (იგი პაპად ერგებოდა დედის მხრიდან). ყველა დედის მსგავსად ჰერკულესის დედაც ინიშნავდა, რამდენს იმატებდა მისი შვილი სიგრძეში და წონაში თვიდან თვემდე. ათი თვისამ სიარული დაიწყო; ორი წლისა რამდენიმე სიტყვას ამბობდა; სამისა რომ გახდა, მხოლოდ ათ კილოს იწონიდა; ექვსი წლისა თავისუფლად კითხულობდა და წერდა. შესანიშნავ მუსიკალურ ნიჭსაც ამჟღავნებდა, მაგრამ ალნაგობა ორი წლის ბავშვისა ჰქონდა. ამასობაში და-ძმაც შეეძინა, მაგრამ ერთი დიფტერიით გარდაიცვალა ჩვილობაში, მეორე კი ყვავილს გადაჰყვა. მხოლოდ ჰერკულესი გადარჩა.

თორმეტი წლის ასაკში ოთხმოცდათექვსმეტ სანტიმეტრს მიაღწია (ერთი მეტრიც კი არ იყო). ტანთან შედარებით ბავშვს დიდი, მაგრამ ძალიან ლამაზი და ჯიშიანი თავი ჰქონდა. სხვა მხრივ პროპორციული ალნაგობისა გახლდათ და, მისი ზომა-წონის კვალობაზე, ლონიერი და მარჯვე იყო. ბავშვის ზრდა რომ დაეჩქარებინათ, მშობლებმა იმ დროის ყველაზე გამოჩენილ ექიმებს მიმართეს, მაგრამ მათი რჩევა-დარიგება ამაო გამოდგა. ერთი ხორცის დიეტას სთავაზობდა, მეორე — ვარჯიშს, მესამემ წმინდა ინკვიზიციის მოდელის მიხედვით ააწყო სადგარი, რომელზედაც პატარა ჰერკულესს ყოველ დილა-საღამოს ნახევარი საათით ჭიმავდნენ. ეს პროცედურა ძალზე მტკივნეული იყო. მომდევნო სამი წლის მანძილზე ჰერკულესმა დაახლოებით ხუთი სანტიმეტრი მოიმატა. ამის შემდეგ ზრდა შეწყვიტა და საბოლოოდ ერთი მეტრისა და ორიოდე სანტიმეტრის სიმაღლის ჯუჯად დარჩა. მამა დიდ იმედებს ამყარებდა შვილზე — მის შესაფერისად მხოლოდ მალბოროს სამხედრო კარიერა ესახებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. „უდღეური შევძინე სამყაროს“, — ამბობდა ხოლმე და დროთა განმავლობაში ისე შეიძულა შვილი, რომ ბიჭი მასთან შეხვედრასაც კი ერიდებოდა. ჰერკულესის მამას ხასიათი გაუფუჭ-

---

[1] ინგლისური ფუნტის, პაუნდის, ფუტის, იარდის, ინჩის ნაცვლად თარგმანში ვიხმარეთ კილოგრამი, გრამი, მეტრი, სანტიმეტრი. ინგლისში ხმარებული ზომა-წონის ერთეულების ამგვარი შეცვლა ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ მოთხრობის პერსონაჟთა ურთიერთობანი სწორედ მათ ზომა-წონაზეა აგებული. ამით, ჩვენი აზრით, ქართველი მკითხველისათვის მოთხრობის არსის აღქმა ადვილდება.

და, ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია და სიტყვაძვირი გახდა. სულ მარტოობას ეძებდა, ამიტომ ყოველგვარ თავყრილობას გაურბოდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმალურ, ჯანსაღ ხალხში გარევისა რცხვენოდა, რადგან Lusus natura-ს[1] მამა იყო. მერე მარტო სმას შეეჩვია და ლოთობას თან გადაჰყვა. სრულწლოვანებამდე ჰერკულესს ერთი წელი აკლდა, როცა მამამისს ტვინში სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. დიდხანს აღარ უცოცხლია დედასაც, რომლის სიყვარული შვილისადმი მამის სიძულვილის პროპორციულად იზრდებოდა. ქმრის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ მან ერთ [illegible] ცალი ოსტრიდი[2] შეჭამა, ტიფი დაემართა და სიცოცხლეს გამოესალმა.

ამგვარად, ოცდაერთი წლის ჰერკულესი სრულიად მარტო დარჩა ამქვეყნად. იგი აღმოჩნდა უზარმაზარი ქონების — მამულისა და საგვარეულო სასახლის „კრომის" ერთადერთი მემკვიდრე. ბავშვობისდროინდელი გონიერება და სილამაზე შერჩა. ჯუჯა აღნაგობა რომ არა, შეეძლო თავისი დროის ულამაზეს და სრულყოფილ ჭაბუკებში ეტრიალა. ძალიან კარგად იცნობდა ბერძენ, რომაელ და ყოველგვარი ჯურის თანამედროვე ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ ავტორებს. მშვენიერი მუსიკალური სმენა ჰქონდა და შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, რომელსაც ვიოლონჩელივით ხმარობდა. ძალიან უყვარდა კლავესინი და კლავიკორდი, მაგრამ თავისი პატარა ხელებით დაკვრას ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ ჰქონდა საგანგებოდ მისთვის გამოთლილი სპილოს ძვლის ფლეიტა. როცა ნაღველი შემოაწვებოდა, მარტივ ხალხურ მელოდიებს და ჯიგს უკრავდა. მისი აზრით, მარტივ სოფლურ მუსიკას უფრო შეეძლო ადამიანის გუნებაზე მოყვანა, ვიდრე რომელიმე გამოჩენილი ოსტატის ხელოვნურ ქმნილებას. იგი ბავშვობიდან წერდა ლექსებს. მართალია, შეცნობილი ჰქონდა, რომ ძლიერი იყო პოეზიის სფეროში, მაგრამ მაინც არც ერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია. „ჩემი სიმახინჯე, — ამბობდა ხოლმე ის, — ჩემს ლექსებშიც ირეკლება. საზოგადოება მხოლოდ იმიტომ წაიკითხავს მათ, რომ ჯუჯა ვარ". შემორჩა სერ ჰერკულესის ლექსების რამდენიმე ხელნაწერი კრებული. ეს ერთი ნიმუშიც საკმარისია მისი პოეტური სახის წარმოსადგენად:

„დიდი ხნის წინათ, ოდეს ჩვილი იყო სამყარო,
ოდეს ნოყიერ საძოვრებზე ეხეტებოდა
ფარა აბრამის, აჟღერებდა ჩანგს ჰომეროსი,
იმორჩილებდა სამშვედლოში რკინას თობალი,
მომთაბარობდა ითბელი კარვის მკვიდრი და
ქნარზე უკრავდა ითბალი; სწორედ იმხანად
გაიხრწნა ხორცი, უწმინდური გოლიათები
მომრავლდნენ ქვეყნად და იმათი ტლანქი ტერფები
მანამ ქელავდნენ შიშისაგან გათანგულ მიწას,
ვიდრე უფალმა, კაცთა ცოდვით განრისხებულმა,
არ მოუვლინა მათ ნაშიერს სასჯელად წარღვნა.
მაგრამ ტელუსმა შვა ახალი შთამომავლობა,
ეს იყო გმირის და მეომრის მოდგმა-ჯილაგი,

[1] ბუნების ნაოხუნჯარი (ლათ.).
[2] საბას მიხედვით ოსტრიდი, ოსტრია და ხამანწკა „ნიჟარას ხორცია".

მთას მიაგავდა დაკუნთული ვეება ტანით,
დაუნდობელი, მკვახე, ტლანქი, ხეპრე, უხეში,
გამბედავი და გულმაგარი, თავცარიელი,
საუკუნენი გადიოდნენ, სხეულის ხარჯზე
ის გონებრივად გაიზარდა, დარბილდა სულით,
ოდინდელ ჩუგლუგს შეელია და აღარ ეპყრა
კეთილშობილი, მოხდენილი — აწ უკვე — ხელით.
სენაკისა თუ სახელოსნოს სიმყუდროვეში
ფუნჯსა და კალამს ოსტატურად დაუფლებულმა,
უკვდავყოფილმა სურათებით და ბრძნულ წიგნებით
საუკუნეებს აზიარა სახელი თვისი.
დაიმცრო ტანი და თანდათან ამაღლდა სული,
ჰა, მოკლედ მთელი ისტორია კაცობრიობის:
გოლიათს გმირი ენაცვლება, გულქვას — უტვინო,
პირველი გვზარავს, მეორე კი ღიმილს გვგვრის მხოლოდ;
გმირის შემდგომ კი გაჩნდა ბრძენი ადამიანი
და მის სხეულში ნათელ ალად აინთო სული;
იგი არ ჰგავდა გოლიათთა იმ უნდილ მოდგმას,
რომელსაც სული, დონდლო ხორცში გამომწყვდეული,
მოდუნებოდა და საკუთარ ძვალთა და რბილთა
ზვინქვეშ მთვლემარეს დაჰკარგოდა უნარი განსჯის.
მომცრო სხეულში დანთებული სულის შუქური
გონების სხივით ანათებდა, როგორც ფაროსი.
მაგრამ ვინ იტყვის, რომ ადმასველა კაცობრიობამ
დაასრულა და მიაღწია სრულყოფილებას.
მკრეხელობაა ამის ფიქრი, ალთქმულ ქვეყნისკენ
კვლავ ძველებურად ღმერთს მიჰყვება ადამიანი.
დადგება ჟამი (მე წინასწარ ვჭვრეტ იმ განთიადს,
პირქუშ ცაზე რომ გაიელვებს სხივთა ნათელით),
როს ოქროს ხანის ბედნიერი ადამიანი
მიხედავს ზიზღით ისტორიის იმ ბნელ თარიღებს,
ოდეს სხეულით გალაღებულ, გონებით დაბალ
გოლიათებსა და მეომრებს ეპყრათ ქვეყანა.
დადგება ჟამი, როცა გარსის ზედმეტ სიმძიმეს
ჩამოიშორებს კაცის სული და გალაღდება,
შველივით სხარტი და მოქნილი მისი სხეული
მწვანე ველებზე ინავარდებს ნიავქარულად.
ნაზი, სათუთი, სრულყოფილი ადამიანი
სამარადისოდ დედამიწას დაეუფლება.
მაგრამ ვაი, რომ გოლიათთა მოდგმა კვლავ ზეობს.
აწ დამცრობილი არის თუმცა მათი ჯილაგი,
იგივ სიტლანქე, სიგოროზე შემორჩენიათ,
თავს იწონებენ თავისივე უკეთურობით,
საქებრად უჩანთ სიმახინჯე გოლიათური;
სძულთ ყველაფერი, რაც არ არის დიდი, ზვიადი

და თვით ურჩხულებს ღმერთთა სწორი ჰგონიათ თავი.
მძიმეა ხვედრი მისი, ვისაც სრულყოფილ მოდგმის
მახარობლობა ერგო წილად, ვინც ჰვრეტს წინასწარ
მოახლოებას ოქროს ხანის და ცად მზირალი
ამქვეყნიური ჯოჯოხეთის გამხდარა მკვიდრი".*

როგორც კი „კრომს" დაეპატრონა, სერ ჰერკულესი მამულის გადაკეთებას შეუდგა. თუმცა სრულიად არ რცხვენოდა თავისი სიმახინჯისა, პირიქით, როგორც ლექსიდან ჩანს, ბევრ რამეში ნორმალური მოდგმის ადამიანებზე ღირსეულადაც კი მიაჩნდა თავი, მათთან ყოფნა მაინც ბოჭავდა. ჰერკულესმა იგრძნო, რომ დიდ სამყაროში დაიჩაგრებოდა, ამიტომ გადაწყვიტა, სრულიად ჩამოსცილებოდა დიდტანიანებს და თავის მამულში შეექმნა საკუთარი სამყარო, სადაც ყველაფერი მისი ზომის შესაბამისი იქნებოდა. უპირველესად ყოვლისა, დაითხოვა ყველა ძველი მსახური და მათ მაგივრად ნელრჟელა ჯუჯები შემოიკრიბა. რამდენიმე წელიწადში მან შექმნა შტატი მსახურებისა, რომელთაგან არც ერთი არ იყო ერთ მეტრსა და ოცდაორ სანტიმეტრზე მაღალი და სამოცდაექვს სანტიმეტრზე დაბალი. მამისეული სეტერები, ინგლისური დოგები, მწევრები და მეძებრები ზოგი გაყიდა, ზოგი კი გააჩუქა, რადგან მეტისმეტად დიდი ზომისანი აღმოჩნდნენ მისთვის. სამაგიეროდ მოიყვანა ფინიები, კინგ-ჩარლზს-სპანიელები და სხვა პატარა ჯიშის ძაღლები. მამისეული რემაც გაყიდა. საცხენოსნოდ და ეტლში შესაბმელად დაიტოვა ექვსი შეტლანდური პონი, აგრეთვე საუკეთესო ამლაყები ნიუ ფორესტის ჯიშისა.

ამგვარად, მან თავის გუნებაზე მოაწყო მეურნეობა. ახლა ისღა დარჩენოდა, რომ მოეძებნა არსება, ვისთანაც ამ სამოთხეს გაიზიარებდა. სერ ჰერკულესს მეტად მგრძნობიარე გული ჰქონდა და თექვსმეტიდან ოც წლამდე რამდენჯერმე იყო შეყვარებული. მაგრამ რა! თავისი სიმახინჯის გამო მწარედ შეელახა თავმოყვარეობა — ერთხელ გაბედა და სიყვარული აუხსნა ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ძალიან მოსწონდა. ქალმა ამაზე ბევრი იცინა. ჰერკულესის დაჟინებას კი მხოლოდ ის მოჰყვა, რომ მისმა გულის მურაზმა ხელში აიყვანა, მაგრად შეანჯღრია აბეზარი ბავშვივით და უთხრა, აბა, ახლა მოკურცხლე და აღარ შემაწუხო. ეს ამბავი მალე გავრცელდა საზოგადოებაში — თვითონ ახალგაზრდა ქალი უამბობდა ყველას კარგი ანეგდოტივით. კილვა და აბუჩად აგდება, რაც თან მოჰყვა ამ ამბავს, სერ ჰერკულესისათვის უდიდესი მწუხარების მიზეზად იქცა. ამ პერიოდის ლექსებში იგი მსჯელობს თვითმკვლელობაზე. დროთა განმავლობაში შეურაცხყოფის გრძნობა განელდა. შეყვარებული შემდეგშიც ხშირად ყოფილა, ძლიერი გრძნობებიც გასჩენია, მაგრამ გამჟღავნებას ვეღარ ბედავდა. როცა თავისი თავის პატრონი გახდა და მიხვდა, რომ შეეძლო საკუთარი სამყაროს შექმნა, ასეთ დასკვნამდე მივიდა: თუ ცოლის შერთვას აპირებდა, — ეს კი ნამდვილად უნდოდა, რადგან ნაზი და მოსიყვარულე გული ჰქონდა, — საჭირო იყო ისევე მოეძებნა იგი, როგორც მსახურები მოძებნა, ე. ი. უნდა ეპოვა ჯუჯებში. მაგრამ შესაფერისი საცოლის მოძებნა, მისი აზრით, ძალიან ძნელი საქმე იყო. იგი არაფრით არ შეირთავდა ულამაზო და უგვარო ქალს. მაგალითად, ლორდ ბემბო-

---

*ლექსი თარგმნა ა. ასანიძემ.

როს ჯუჯა ქალი იმისთვის დაიწუნა, რომ მეტისმეტად ჩია იყო და თანაც კუზიანი. მეორე ახალგაზრდა ქალი, ობოლი, ჰემპშირელი კარგი ოჯახის შვილი კი იმის გამო უარყო, რომ ჯუჯათა უმეტესობის მსგავსად დანაოჭებული, გულმიუსვლელი სახე ჰქონდა. ბოლოს, თითქმის იმედდაკარგულმა, სიმღერა წყაროდან გაიგო, რომ ვენეციელ კეთილშობილს გრაფ ტიტიმალოს ჰყავდა ოთხმოცდათორმეტიოდე სანტიმეტრის სიმაღლის ულამაზესი და უნიჭიერესი ქალიშვილი. იგი მაშინვე გაემგზავრა ვენეციაში და ჩასვლისთანავე, ეწვია გრაფის ოჯახს, ცოლთან და ხუთ შვილთან ერთად გრაფი ხელმოკლედ ცხოვრობდა ქალაქის ერთ-ერთ უღარიბეს უბანში. როგორც ჩანს, ძალიან გაჭირვებოდა ცხოვრება, რადგან თურმე ხელშეკრულების დადებას აპირებდა მოხეტიალე ცირკის კლოუნებსა და ჯამბაზებთან (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხმები დადიოდა!) თავისი მინიატურული ქალიშვილის მიყიდვის თაობაზე. იმ ხანებში ცირკს ერთი გაწვრთნილი ჯუჯა მსახიობი მოკვდომოდა. სერ ჰერკულესმა დროზე მიუსწრო და ქალი მეტად არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოიყვანა. იგი ისე მოხიბლა ფილომენას მოხდენილობამ და მშვენიერებამ, რომ სამი დღის შემდეგ ოფიციალურად სთხოვა ხელი. ფილომენამ უდიდესი სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. სიამოვნებით დათანხმდა მამაც, რომელმაც განჭვრიტა, რომ ინგლისელი სიძის სახით შემოსავლის ბარაქიან, დაუღეველ წყაროს მიაგნო. ქორწინება, რომლის ერთ-ერთი მოწმე ინგლისის ელჩი იყო, არ გაუხმაურებიათ. სერ ჰერკულესი თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად ზღვით დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მათი შემდგომი ცხოვრება ბედნიერი და უდრტვინველი გამოდგა.

„კრომის" ჯუჯათა მთელი კრებული აღმერთებდა ფილომენას. მან პირველად იგრძნო, რომ თავისუფალი იყო და თანასწორთა შორის, მეგობრულ სამყაროში ცხოვრობდა. მეუღლეებს ბევრი საერთო მიდრეკილება აღმოაჩნდათ, განსაკუთრებით მუსიკის სფეროში. პატარა ტანთან შეფარდებით ფილომენას საოცრად ძლიერი, ლამაზი ხმა ჰქონდა. იგი სრულიად დაუძაბავად იღებდა ერთი ოქტავით მაღალ ლას. ქმარი უკრავდა ძვირფას კრემონულ ვიოლინოზე, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ვიოლონჩელივით ხმარობდა. ქალი მღეროდა ულამაზეს, უნაზეს არიებს თავისი მშობლიური ოპერებიდან და კანტატებიდან. დროთა განმავლობაში ისინი მიხვდნენ, რომ ოთხი ხელით შეეძლოთ ჰარპსიქორდზე დაეკრათ ორი ჩვეულებრივი ხელისათვის დაწერილი ყოველგვარი მუსიკალური ნაწარმოები. ასეთმა შესაძლებლობამ სერ ჰერკულესს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

თუ მუსიკით არ ერთობოდნენ, ანდა ინგლისურ და იტალიურ წიგნებს არ კითხულობდნენ, დროს სუფთა ჰაერზე ატარებდნენ: ჰაწაწინა ნავით დაცურავდნენ ტბაზე, უფრო ხშირად კი ცხენებით ან ეტლით სეირნობდნენ. ასეთი დროსტარება ძალიან მოსწონდა ფილომენას, რადგან სიახლე იყო მისთვის. როცა ცხენოსნობაში გაიწაფა, ქმარს შორს მიჰყვებოდა სანადიროდ პარკში, რომელიც მაშინ, ახლანდელთან შედარებით, ბევრად უფრო ვრცელი იყო. ისინი მელიებსა და კურდღლებს ვერ ეწეოდნენ, ამიტომ ბაჭიებსა და სხვა მცირე ზომის ცხოველებზე ნადირობდნენ. სანადიროდ გამოჰყავდათ ოცდაათიოდე შავი და თაფლისფერი ფინია. ასეთი ჯიშის ძაღლი, თუ მეტისმეტად მაძღარი არ არის, ბაჭიას და სხვა მომცრო ცხოველს ადვილად ეწევა. წითელ ლივრეებში გამოწყობილი, თეთრ ექსმურის პონებზე ამხედრებული ოთხი ჯუჯა მეჯინიბე ნადირს ერეკებოდა. მწვანე სანადირო ტანსაცმელში გა-

მოწყობილი ბატონი და ქალბატონი კი ამ დროს შავ შეტლანდურ პონებს ან ნიუ ფორესტის ჯიშის ამლაყებს მიაჭენებდნენ.

ეს ჯგუფი — ძაღლები, პონები, მეჯინიბეები და ბატონები — დახატა უილიამ სტაბსმა, რომლის ფერწერა ძალიან მოსწონდა სერ ჰერკულესს. თუმცა მხატვარი ნორმალური სიმაღლის კაცი იყო, სერ ჰერკულესმა მაინც მოიწვია სურათის დასახატავად. სტაბსმა იმ სურათის გარდა დახატა სერ ჰერკულესისა და მისი მეუღლის პორტრეტები —ისინი სხედან [illegible] ჩარჩოებულ ეტლში, რომელშიც შებმულია ოთხი შავი შეტლანდური პონი. სერ ჰერკულესს აცვია ქლიავისფერი ველვეტის პიჯაკი და თეთრი ბრიჯები. ყვავილებიან მუსლინის კაბაში გამოწყობილ ფილომენას ძოწისფერი ფრთებით მორთული განიერფარფლებიანი ქუდი ახურავს. ეს ფერადოვანი ეტლი და ორი ფიგურა მკაფიოდ გამოირჩევა ხეების მუქ ფონზე. სურათის მარცხენა კუთხეში ხეები აღარ ჩანს და უსიცოცხლო, უცნაურად მოქუფრული ცის ფონზე, რომელსაც მზის შუქით განათებული საავდრო ღრუბლის ოქრონარევი ყავისფერი დაკრავს, ოთხი შავი პონია გამოსახული.

ასე გავიდა ოთხი ბედნიერი წელიწადი. ფილომენა ბავშვის მოლოდინში იყო. სერ ჰერკულესი უზომოდ ხარობდა. „თუ ღმერთმა ინება, — ჩაწერა მან თავის დღიურში, — ლეპითთა გვარი არ გადაშენდება. მაშინ ჩვენი იშვიათი და დახვეწილი ჯიში გაგრძელდება თაობებში, ვიდრე მსოფლიო არ დარწმუნდება იმ არსებათა უპირატესობაში, რომლებიც ახლა აბუჩად არიან აგდებულნი“. როცა ვაჟი შეეძინა, ლექსი დაწერა. ბავშვს ფერდინანდო დაარქვეს მათი სასახლის არქიტექტორის პატივსაცემად.

სერ ჰერკულესი და მისი მეუღლე პირველ თვეებშივე შეიპყრო მოუსვენრობამ: ბავშვი გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ერთი წლისა იმდენსავეს იწონიდა, რამდენსაც ჰერკულესმა მიაღწია სამი წლის ასაკში. „ფერდინანდო creschendo-თი იზრდება, — ჩაწერა ფილომენამ თავის დღიურში, — ეს, მგონი, ნორმალური არ უნდა იყოს“. წლინახევრის ფერდინანდო მათი ყველაზე მომცრო ჟოკეის, ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცის სიმაღლე იყო. ნუთუ ფერდინანდო ნორმალური, გოლიათური აღნაგობის კაცი დადგება?! ამ აზრის გამოთქმას ხმამაღლა ვერც ერთი ვერ ბედავდა. იდუმალ წუხილსა და შეშფოთებას უმხელდნენ მხოლოდ დღიურებს.

სამი წლის ფერდინანდო დედაზე მაღალი იყო და მამას მხოლოდ ხუთი სანტიმეტრით ჩამორჩებოდა. „დღეს, — ჩაწერა სერ ჰერკულესმა, — ჩვენ პირველად ვისაუბრეთ ამ საკითხზე. შემზარავ სიმართლეზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია: ფერდინანდო ჩვენი ჯიშისა არ არის. ჩვენი შვილის დაბადების მესამე წელს, როცა უნდა შევხაროდეთ მის ჯანმრთელობას, ძალასა და სილამაზეს, მწარედ დავტირით ჩვენი ბედნიერების დასასრულს. ღმერთს ვთხოვ, ძალა მოგვცეს ამ ჯვრის სატვირთად“.

რვა წლის ფერდინანდო ისეთი ზორბა, ისეთი მჩქეფარე ენერგიის პატრონი იყო, რომ მშობლებმა, თუმცა გული ეთანაღრებოდათ, მაინც ამჯობინეს სკოლაში მიებარებინათ. იგი იტონში გაამგზავრეს მეორე სემესტრის დასაწყისში. ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა. ზაფხულის არდადეგებზე ფერდინანდო უფრო გამაღლებული და ძალამომატებული დაბრუნდა. ერთ დღეს მამის მსახურთუხუცესი წააქცია და ხელი მოსტეხა. „იგი უხეშია, ცეტი და მოუდრეკელი, — ჩაიწერა სერ ჰერკულესმა. — მხოლოდ ფიზიკური სასჯელით

შეიძლება მისი მორჯულება". უკვე ორმოცდასამი სანტიმეტრით მამაზე მაღალ ფერდინანდო დაუსჯელი დარჩა.

სამი წლის შემდეგ ზაფხულის არდადეგებზე „კრომში" ჩამოსულმა ფერდინანდომ უზარმაზარი დოგი ჩამოიყვანა. ძაღლი უინძორში შეიძინა ერთი მეხუცისაგან, რომელსაც მისი შენახვა ძალიან უჭირდა. ეს იყო ბრაზიანი, საშიში ცხოველი. შედგა თუ არა ფეხი სასახლეში, დოგი სერ ჰერკულესის ულაყვარლეს ფინიას ყბებში ჩააფრინდა და ისე ეჯაჭვურა, რომ კინალამ [illegible] ცხლეს გამოასალმა. ამ შემთხვევამ ისე გააღიზიანა სერ ჰერკულესი, [illegible] ბრძანა, დოგი თავლაში დაებათ. ფერდინანდომ ცხვირი ჩამოუშვა და განაცხადა, ძაღლი ჩემია და სადაც გამეხარდება, იქ მეყოლებაო. განრისხებულმა მამამ მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეყვანა ძაღლი სასახლიდან. თან დაემუქრა, ბრძანების შეუსრულებლობას უსიამოვნება მოჰყვებაო. ფერდინანდომ უარი განაცხადა. ამ დროს ოთახში ფილომენა შემოვიდა. ძაღლი შეახტა, წააქცია და თვალის დახამხამების უმალ დაუბეჟა მკლავი და მხარი. ის იყო ყელშიც უნდა სწვდომოდა, რომ სერ ჰერკულესმა ხმალი იშიშვლა და ძაღლს გული განუგმირა. მერე შვილს მიუბრუნდა და გარეთ გასვლა უბრძანა, რადგან ღირსად არ მიაჩნდა ერთ სამყოფელში დარჩენილიყო დედასთან ერთად, რომელიც კინალამ დაღუპა. სერ ჰერკულესი შემაძრწუნებელი სანახავი იყო — ცალი ფეხი უზარმაზარი ძაღლის ლეშზე ედგა, გაშიშვლებულ ხმალს ჯერ სისხლი არ შეშრობოდა, ხმა, მიხრა-მოხრა და გამომეტყველება ისეთი მბრძანებლური ჰქონდა, რომ გაოცებული და შეშინებული ფერდინანდო ოთახიდან გაიძურწა. სკოლაში დაბრუნებამდე იგი სამაგალითოდ იქცეოდა. ფილომენას ნაკბენები მალე მოუშუშდა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაივიწყა განცდილი. ამ დღიდან მას შიში დასჩემდა.

ის ორი წელი, რომელიც ფერდინანდომ კონტინენტზე მოგზაურობაში გაატარა, მისი მშობლებისათვის ბედნიერი შესვენების წლები იყო, მაგრამ მომავალზე ფიქრს მაინც ვერ იცილებდნენ. თან ძალაც აღარ შესწევდათ დამტკბარიყვნენ ძალგაზრდობისდროინდელი გასართობებით. ლედი ფილომენამ ხმა დაკარგა, ხოლო სერ ჰერკულესი ისე დაჯაბნა რევმატიზმმა, რომ ვიოლინოზე ველარ უკრავდა. ცხენოსნობისა და ნადირობისათვის თავი არ დაუნებებია, ფილომენა კი უკვე ხანდაზმულად გრძნობდა თავს — დოგის თავდასხმის შემდეგ ძალიან ნერვიული გახდა და აღარ ეკარებოდა ასეთ გასართობებს. ქმრისთვის რომ ესიამოვნებინა, კაბრიოლეტში აბმევინებდა ყველაზე დინჯ და ხნიერ შეტლანდურ პონებს და შორიახლოს მიჰყვებოდა ხოლმე მონადირეებს.

დადგა ფერდინანდოს დაბრუნების დღეც. აუხსნელი შიშითა და წინათგრძნობით შეპყრობილი ფილომენა თავის საწოლ ოთახში განმარტოვდა. სერ ჰერკულესი მარტო შეეგება შვილს. ოთახში შემოვიდა ყავისფერ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი გოლიათი. „მშვიდობა შენს მოსვლას, შვილო", — წარმოთქვა ოდნავ აკანკალებული ხმით სერ ჰერკულესმა.

„ხომ მშვიდობით ბრძანდებით, სერ", — ფერდინანდო დაიხარა, ხელი ჩამოართვა მამას და ისევ გასწორდა. მამა წელამდე სწვდებოდა შვილს.

ფერდინანდო მარტო არ ჩამოსულა. მას თან ჩამოჰყვა ორი თანატოლი, რომელთაც თავის მხრივ მსახურები ახლდნენ. თითქმის ოცდაათი წელი იყო გასული, რაც „კრომი" არ შეეშფოთებინა დიდტანიანთა ამდენ წარმომადგენელს. სერ ჰერკულესი შეშინებული და თან გაჯავრებულიც იყო, მაგრამ

სტუმართმოყვარეობამ აიძულა თავი შეეკავებინა. ახალგაზრდები კუშტად, მაგრამ ზრდილობიანად მიიღო. მსახურები კი სამზარეულოში გაგზავნა და ლაქიებს უბრძანა, კარგად დაეპურებინათ.

ძველი საგვარეულო სასადილო მაგიდა მზის სინათლეზე გამოიტანეს და მტვერი მოაშორეს (სერ ჰერკულესი და ლედი ფილომენა ნახევარი მეტრის სიმაღლის მაგიდასთან სადილობდნენ ხოლმე). საიმონს, ხანდაზმულ მსახურთუხუცესს, რომელიც მაგიდას ძლივს სწვდებოდა, ვახშმის [illegible] ეხმარებოდა ფერდინანდოსა და მის ამხანაგებს ჩამოყოლილი [illegible]

სერ ჰეკრულესი მასპინძლობდა და ჩვეულებრივი თავაზიანობით საუბრობდა უცხოეთში მოგზაურობის სიამოვნებაზე, ხელოვნების მშვენიერებაზე, ბუნებაზე, რომელიც საზღვარგარეთ მოგზაურობისას შეეძლოთ ენახათ, ვენეციის ოპერაზე, ობლებზე, რომლებიც ამავე ქალაქის ეკლესიებში გალობდნენ ხოლმე. იგი ბევრ ამგვარ თემას შეეხო. ახალგაზრდები უყურადღებოდ უსმენდნენ. მთელი გულისყური მიპყრობილი ჰქონდათ მსახურთუხუცესისაკენ, რომელიც გაჭირვებით ცვლიდა თეფშებს სუფრაზე და რის ვაივაგლახით ავსებდა ჭიქებს ღვინით. სიცილის ჩასახშობად ხველებას აიტეხდნენ ხოლმე და ლამის გაგუდულიყვნენ. სერ ჰერკულესს ისე ეჭირა თავი, თითქოს არ ესმოდა ეს ხმაური, მაგრამ საუბრის თემა მაინც შეცვალა. ახლა იგი სპორტს შეეხო. ამასთან დაკავშირებით ერთმა ახალგაზრდამ ჰკითხა, მართალია თუ არა, რომ ბაჭიებზე ნადირობთ ფინიებითო. სერ ჰერკულესმა უპასუხა, მართალიაო, და ნადირობა დაწვრილებით აუწერა. ახალგაზრდები სიცილით იჭაჭებოდნენ.

როცა ვახშამი დამთავრდა, სერ ჰერკულესი სავარძლიდან ჩამოცოცდა, მოიბოდიშა, ჩემს მეუღლეს უნდა დავხედოო, და სტუმრებს გამოემშვიდობა. იგი სიცილ-ხარხარით გააცილეს. ფილომენა იწვა, მაგრამ არ ეძინა. იგი ყურს უგდებდა შემაძრწუნებელ ხარხარსა და უცნაურად მძიმე ნაბიჯების ხმას დერეფნებსა და კიბეებზე. სერ ჰერკულესმა სკამი მისწია ცოლის საწოლთან, დიდხანს მდუმარებდა, მხოლოდ ხანგამოშვებით ნაზად უჭერდა ხელს ხელზე.

დაახლოებით ათ საათზე ისინი საზარელმა ხმაურმა შეაკრთო. ისმოდა ჭიქების მსხვრევის ხმა და ფეხების ბრაგაბრუგი. ამას თან ერთვოდა შეძახილები და ხარხარი, აურზაური რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სერ ჰერკულესი წამოდგა და, მიუხედავად ცოლის თხოვნისა, ამბის გასაგებად მოემზადა. კიბეზე ბნელოდა. სერ ჰერკულესი ფრთხილად მიიკვლევდა გზას და ყოველ საფეხურზე ყოვნდებოდა. რაც უფრო ქვევით მიიწევდა, ხმაური უფრო მატულობდა. ახლა ხმები გარკვევით ისმოდა და ფრაზების გარჩევაც შეიძლებოდა. სასადილო ოთახის კარჭვეშ სინათლის ზოლი მოჩანდა. სერ ჰერკულესი ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარს. ამ დროს ერთხელ კიდევ გაისმა მინის მსხვრევის ხმა და ლითონის წკრიალი. საინტერესოა, რას უნდა აკეთებდნენ? თითისწვერებზე აიწია და როგორღაც მოახერხა გასაღების ჭუჭრუტანაში შეხედვა. არეულ-დარეული მაგიდის შუაგულში იდგა გალეშილი მოხუცი საიმონი, მსახურთუხუცესი, და ძლივს იცავდა წონასწორობას. იგი ჯიგს ცეკვავდა. მის ფეხებქვეშ დამსხვრეული მინის ხრაშუნი და რაწკუნი ისმოდა. ფეხსაცმელები კი ღვინოში ჰქონდა დამბალი. სამივე ახალგაზრდა გარს შემოჯდომოდა მაგიდას, რომელზედაც ხან ხელებს, ხან ცარიელ ბოთლებს არახუნებდნენ და ყვირილითა და სიცილით სითამამეს მატებდნენ მოხუცს. მსახურები კედელს მიყრდნობოდნენ და ხარხარებდნენ. უეცრად ფერდინანდომ ერთი

მუჭა თხილი დააყარა თავზე საიმონს. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ პაწია მამაკაცს თავბრუ დაესხა, ზურგზე დაეცა და გრაფინი და რამდენიმე ჭიქა წააქცია. იგი წამოაყენეს, ბრენდი აყლაპეს და ერთი კარგადაც ჩასთხლიშეს ზურგში. მოხუცმა გაიღიმა და დაასლოკინა. „ხვალ, — წარმოთქვა ფერდინანდომ, — ჩვენ მოვაწყობთ საცეკვაო საღამოს მთელი ოჯახის შემადგენლობით". „მათ შორის იქნება ლომის ტყავში გახვეული ხელკეტიანი მამა ჰერკულესი"[1] — დაუმატა ერთ-ერთმა და მათმა ხარხარმა იქაურობა გააყრუა.

სერ ჰერკულესს მეტი არც არაფერი დაუნახავს და არც არაფერი გაუგონია. ჰოლი უკან მოიტოვა და დიდის წვალებით აიარა კიბე. ყველაფერი დამთავრებულია, ამქვეყნად აღარაფერი დარჩენია.ის და ფერდინანდო ერთად ველარ მოთავსდებიან დედამიწის ზურგზე.

ცოლს ჯერ არ ეძინა. თვალებით ჰკითხა, რა ამბავიაო. სერ ჰერკულესმა უპასუხა: „მოხუც საიმონს ამასხარავებენ. ხვალ ჩვენი ჯერი დადგება". ცოლქმარი რამდენიმე ხანს დუმდა.

ბოლოს ფილომენამ თქვა:

— ხვალინდელი დღის გათენება არ მინდა.

— არც მე, — უპასუხა სერ ჰერკულესმა, თავის კაბინეტში გავიდა და დღიურში დაწვრილებით აღნუსხა იმ საღამოს მომხდარი ამბავი, თან მსახურს უბრძანა, თერთმეტი საათისთვის წყალი გაეცხელებინა აბაზანისათვის. როცა წერა დაამთავრა, ცოლის ოთახში შევიდა. ფილომენას უძილობა აწუხებდა და დასაძინებელ წამალს სვამდა ხოლმე. სერ ჰერკულესმა მოამზადა ოპიუმის ოცმაგი დოზა, ცოლს მიაწოდა და უთხრა: „აი, შენი დასაძინებელი წამალი".

ფილომენამ ჭიქა გამოართვა. ცოტა ხანს ჩუმად იწვა, მაშინვე არ დაუღევია. მერე თვალები აუწყლიანდა.

„გახსოვს მელოდიები, ჩვენ რომ ვმღეროდით „Sulla terazza"[2] ზაფხულობით? — მან გაბზარული ხმით წამოიწყო სტრადელას „Amor, amor, non dormir piu"[3] — შენ ვიოლინოზე უკრავდი. ასე მგონია, სულ ახლახან იყო ყველაფერი, ისე კი, რა დრო გავიდა. „Addio, amore. A reverderti"[4]—ფილომენამ წამალი დალია, ბალიშზე მიწვა და თვალები დახუჭა. სერ ჰერკულესმა ხელზე აკოცა ცოლს და ისეთი ფრთხილი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, თითქოს ეშინოდა, არ გავაღვიძოო. კაბინეტში დაბრუნდა, დღიურში ჩაწერა ცოლის უკანასკნელი სიტყვები და აბაზანაში ჩაასხა წყალი, რომელიც მსახურს უკვე გაეცხელებინა. წყალი ქაფქაფა იყო, ამიტომ მაშინვე ვერ ჩავიდა აბაზანაში. თაროდან სვეტონიუსის ტომი ჩამოიღო. უნდოდა წაეკითხა, როგორ მოკვდა სენეკა. წიგნი ალალბედზე გადაშალა. „ჯუჯები მას ეზიზღებოდა, — ამოიკითხა სერ ჰერკულესმა, — რადგან თარსებად და Lusus natura-დ მიაჩნდა", სერ ჰერკულესი ისე შეკრთა, თითქოს რაღაც დაარტყესო. მერე მოაგონდა, რომ თვით ავგუსტუსსაც გამოჰყავდა ცირკში ერთი კარგი ოჯახის შვილი, სახელად ლუციუსი. იგი სამოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლისა იყო,

---

[1] მინიშნება ბერძნ. მითოლოგიის გმირის ჰერაკლეს (იგივე ჰერკულესის) ატრიბუტებზე — კომბალსა და ლომის ტყავზე.

[2] ტერასაზე (იტალ.).

[3] არია იტალიელი კომპოზიტორის სტრადელას ოპერიდან („სიყვარულო, სიყვარულო, ნულარ გძინავს").

[4] „მშვიდობით, სიყვარულო, ნახვამდის" (იტალ.).

რვა კილოს იწონიდა, მაგრამ მჭეჭარე ხმა ჰქონდა. სერ ჰერკულესმა წიგნი გადაფურცლა. ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი... სულ უფრო და უფრო საზარელ ამბებს წააწყდა „სენეკა, მისი მასწავლებელი, იძულებული გახდა ცხოვრება თვითმკვლელობით დაემთავრებინა". პეტრონიუსმა კი მეგობრები მოიწვია და სთხოვა, სანამ მისი გახსნილი ვენებიდან სიცოცხლე გაიპარებოდა, ესაუბრათ არა ფილოსოფიის მანუგეშებელ არსზე, არამედ ტრფიალების ჯადოსნურ ძალაზე. სერ ჰერკულესმა კალამი ჩაიწო მელანში და დღიურის ბოლო გვერდზე ჩაწერა: „ იგი რომაული სიკეთით მოკვდა". შემდეგ ფეხსაცმელი წაიძრო და ცალი ტერფი აბაზანაში ჩაყო. წყალი გაგრილებულიყო. ხალათი მოისროლა, ხელში სამართებელი დაიჭირა და აბაზანაში ჩაეშვა. ერთი დასმით ღრმად გაკვეთა არტერია მარცხენა მაჯაზე, ზურგზე დაწვა და ღრმა ფიქრში ჩაიძირა. სისხლი ნელა მოედინებოდა, რგოლებად, სპირალებად იშლებოდა. ძალიან მალე წყალი წითლად შეიღება, მერე თანდათან გამუქდა. სერ ჰერკულესმა იგრძნო, რომ ნელ-ნელა ბურანში ეხვეოდა. ჯერ ბუნდოვან ხილვებში ჩაეფლო, მერე კი ღრმად ჩაეძინა. მის პაწია სხეულში ცოტა სისხლი აღმოჩნდა.

ჯოკონდას ღიმილი

I

— მისს სპენსი ახლავე გეახლებათ, სერ.

— მადლობელი ვარ, — უპასუხა მისტერ ჰატონმა თავის მიუბრუნებლად. ჯენეტ სპენსის მოახლე იმდენად მახინჯი იყო, ჰატონს ყოველთვის ეჩვენებოდა, თითქოს განზრახ დაიბადა ასეთი უსახური; ისე მავნებლურად და დანაშაულებრივად მიაჩნდა მისი სიმახინჯე, რომ თუ აუცილებლობა არ მოითხოვდა, თვალს არიდებდა. ოთახში მარტო რომ დარჩა, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. იგი ფიქრიანად ავლებდა თვალს ნაცნობ საგნებს.

ბერძნულ ქანდაკებათა ფოტოები, რომის ფორუმის ფოტოები, იტალიელ ოსტატთა ფერადი რეპროდუქციები — ყველაფერი დიდი ხნის აღიარებული და კეთილსაიმედო იყო. საწყალი, საყვარელი ჯენეტი, რა ყალბია, როგორი ინტელექტუალური სნობია! მისი ნამდვილი გემოვნება აი, ამ ქუჩის მხატვრის აკვარელში მჟღავნდება, ნახევარი კრონი რომ დაუჯდა (ჩარჩოში ოცდათხუთმეტი შილინგი გადაიხადა). რამდენჯერ მოუსმენია ჰატონს ამ სურათის ისტორია, რას არ მიედ-მოედებოდა ხოლმე ჯენეტი, როცა ოლეოგრაფიის მარჯვედ შესრულებულ იმიტაციას აქებდა. „ნამდვილი ქუჩის მხატვარი", — ამბობდა ხოლმე ის. მხატვარს ისეთი კილოთი წარმოთქვამდა, თითქოს უნდოდა მსმენელისათვის მისი განსაკუთრებულობა შთაეგონებინა. ამავე დროს გაიძულებდათ გეგრძნოთ, რომ მხატვრის დიდების ნაწილი მასაც ხვდა წილად, როცა ოლეოგრაფიის ასლში ნახევარი კრონი გადაიხადა. ამით თითქოს ხოტბას ასხამდა საკუთარ გემოვნებას და შორსმჭვრეტელობას. ნამდვილი ოსტატი ნახევარ კრონად. საწყალო, საყვარელო ჯენეტ!

მისტერ ჰატონმა ჰატარა ოვალური სარკის წინ მოითქვა სული. თავისი სახე უკეთესად რომ დაენახა, ოდნავ მოიხარა და თეთრი, სათუთად მოვლილი თითი ულვაშებზე გადაისვა. ახლაც ისეთივე აწკეპილი და წაბლისფერი ულვაშები ჰქონდა, როგორც ამ ოცი წლის წინათ. თმასაც ძველებური ფერი შეენარჩუნებინა და ჯერჯეროობით სიმელოტის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა — მხოლოდ შუბლი გაფართოებოდა ოდნავ. „შექსპირს დაევემსგავსე“, — ფიქრობდა ჰატონმა და გაიღიმა, როცა ყურადღებით შეათვალიერა თავისი [illegible] აპრიალებული შუბლი.

სხვები იტანენ ჩვენს შეკითხვებს, შენ მათ მიღმა ხარ...[1] ნაკვალევი ზღვაში...[2] დიდებულება... შექსპირ, შენ უნდა ცოცხლობდე ამ წამს...[3] მაგრამ მოიცათ, შექსპირი კი არა, მგონი, მილტონი უნდა ეთქვა — მილტონი, ქრისტეს ქალბატონი.[4] თვითონ მას კი არაფერი აქვს ქალური, პირიქით, ქალები ამბობენ, რომ იგი მამაკაცურია. სწორედ ამისთვის მოსწონთ, მოსწონთ აწკეპილი წაბლისფერი ულვაშებისა და თამბაქოს იმ ნაზი სურნელის გამო, მის ტანსაცმელს რომ ასდის. მისტერ ჰატონმა გაიღიმა. ძალიან სიამოვნებდა საკუთარი თავის გაქილიკება. ქრისტეს ქალბატონი? არაფერიც! ის ქალბატონების ქრისტეა. რა კარგად გამოუვიდა. რა მშვენივრად. ქალბატონების ქრისტე. მისტერ ჰატონს ძალიან მოუნდა ვინმესთვის გაეზიარებინა ეს მოსწრებული ხუმრობა. საწყალი, საყვარელი ჯენეტი ხომ ვერასოდეს ღირსეულად ვერ შეაფასებს ასეთ რამეს. ეჰ!

ჰატონი წელში გასწორდა, თმაზე ხელი გადაისვა და ოთახის თვალიერება განაგრძო. ჯანდაბამდის გზა ჰქონია რომის ფორუმს. საშინლად ეზიზღება ეს მოსაწყენი ფოტოები.

უეცრად იგრძნო, რომ ჯენეტ სპენსი იქვე, კარებთან იყო ჩასაფრებული. მისტერ ჰატონი ისე დაიბნა, თითქოს დანაშაულზე წაესწროს ვინმეს. ასე მოულოდნელად, აჩრდილივით შემოპარვა ჯენეტ სპენსის ერთი უცნაური ნიშთანი იყო. ამ ხნის განმავლობაში ალბათ სულ უთვალთვალებდა და დაინახა, როგორ აკვირდებოდა თავის სახეს სარკეში. არა, ამას, მგონი, არ იკადრებდა! მაგრამ ამგვარი რამის წარმოდგენაც კი გამაღიზიანებელია.

— ოჰ, რა მოულოდნელობაა! — წამოიძახა მისტერ ჰატონმა. ტუჩებს ღიმილი დაუბრუნა, ხელები გაშალა და ჯენეტის შესახვედრად მოემზადა.

მისს სპენსიც იღიმებოდა. ჯოკონდას ღიმილი — ასე უწოდა ერთხელ მისტერ ჰატონმა ჯენეტის ღიმილს. ეს ნახევრად ირონიული შექება ქალს მართალი ეგონა და მას შემდეგ მიზნად დაისახა, არ ჩამორჩენოდა ლეონარდოს ქმნილებას. მისტერ ჰატონს ხელს ართმევდა და თან უხმოდ იღიმებოდა. ეს ჯოკონდას ერთ-ერთი მოვალეობა გახლდათ...

— როგორ ბრძანდებით? — მოიკითხა ჰატონმა ჯენეტი. — გარეგნულად მშვენივრად გამოიყურებით.

რა უცნაური სახე აქვს! ჯოკონდას გამომეტყველების მისაღებად მისს სპენსი ჰატარა ტუჩებს დინგივით წინ წევდა ხოლმე. ამ დროს ბაგეებს შორის

---

[1] ინგლისელი პოეტისა და კრიტიკოსის მეთიუ არნოლდის (1822-1888) ლექსიდან „შექსპირი“.

[2] უილიამ კაუპერის (1731-1800) ლექსიდან „Olney Hymns“.

[3] ციტატა უოდსვორტის (1770-1850) ლექსიდან „ლონდონი“. (შენიშვნ. მთარგმნ.).

[4] ასე ეძახდნენ მილტონს, როცა იგი კემბრიჯის უნივერსიტეტის ქრისტეს სახელობის კოლეჯში სწავლობდა.

მრგვალი ხვრელი უჩნდებოდა და დინგი უკალმო კალმისტრის თავს ემსგავსებოდა. გეგონებოდათ, დასასტვენად ემზადებაო. ტუჩებს დასცქეროდა ლამაზად მოყვანილი არწივისებური ცხვირი. დიდრონი, შავი, ელვარე თვალები ჰქონდა, სწორედ ისეთი დიდრონი, ისეთი შავი და ელვარე თვალები, ჯიბლიბოები და სისხლის ჩაქცევები რომ სჩვევიათ ხოლმე. მშვენიერი იყო ეს თვალები, თუმცა მათში სამუდამოდ ჩასახლებულიყო მუქარით აღსავსე ეჭვიანობა. რამდენსაც არ უნდა ცდილიყო უკალმო კალმისტრის თავი [illegible] ეოინი მაინც არ გამოუვიდოდა — სერიოზულ გამომეტყველებას ამ თვალებში მაინც ვერაფერი წაშლიდა. სქლად მოხაზული შავი წარბები სახის ზედა ნაწილს მბრძანებლის განუმეორებელ იერს აძლევდა და რომაელ მატრონას ამსგავსებდა. თმაც რომაელივით კუპრივით შავი ჰქონდა. წარბებს ზემოთ ნამდვილი აგრიპინა[1] იყო.

— სახლისკენ მივდიოდი და ვიფიქრე, შევუვლი-მეთქი, — განაგრძო მისტერ ჰატონმა. — რა კარგია, აქ რომ ვარ. — მან ხელი გაიქნია ყვავილებიანი ლარნაკებისაკენ, სხივმფინარე მზისა და სიმწვანისაკენ, ფანჯრებიდან რომ მოჩანდა. — რა კარგია სოფელში დაბრუნება დახუთული ქალაქის ორომტრიალის შემდეგ.

მისს სპენსი უკვე დამჯდარიყო და სტუმარი თავის გვერდით სავარძელში მიიწვია.

— არა, არა, ვერ დავჯდები, — ციცი უარი თქვა მისტერ ჰატონმა. — უნდა წავიდე და საწყალ ემილის მივხედო, ამ დილით ძალიან მოტეხილი მეჩვენა. — მერე მაინც დაჯდა. — ისევ გაცივდა და ღვიძლმა შემოუტია. სულ ცივდება. ქალები... — ჰატონმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა და ისე ჩაახველა, თითქოს კინაღამ რაღაცა წამოსცდა და ახლა მიფუჩეჩებას ცდილობსო. უნდოდა ეთქვა, ქალები, რომელთაც საჭმლის მონელება უჭირთ, არ უნდა გათხოვდნენო, მაგრამ ეს მეტისმეტად მკაცრი განაჩენი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ თვითონაც მაინცდამაინც არ სჯეროდა ამ დებულებისა. თანაც ჯენეტ სპენსი ის ქალი იყო, რომელსაც სიყვარულის მარადიული ცეცხლი და სულიერი კავშირი სწამდა. — ემილის იმედი აქვს, რომ ხვალისთვის მომაგრდება, — დაუმატა მისტერ ჰატონმა, — და გთხოვათ, საუზმეზე ეწვიოთ, ხომ მოხვალთ? მოდით, რა! — მან შთამაგონებლად გაიღიმა. — მეც გეპატიჟებით, ხომ იცით?

ქალმა თვალები დახარა და მისტერ ჰატონმა შეამჩნია, რომ ჯენეტს ღაწვები შეუფაკლდა... ეს კუთვნილი ხარკი იყო. მან ხელი გადაისვა ულვაშებზე.

— მოვიდოდი, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ ემილი შეიძლებს სტუმრის მიღებას.

— აუცილებლად შეიძლებს. თქვენი ნახვა დიდ შვებას მოუტანს. ორივეს შვება მოგვეცემა. ცოლქმრულ ცხოვრებაში ხშირად სამნი უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე ორნი.

— ო, თქვენ ცინიკოსი ხართ.

მისტერ ჰატონს დაყეფება მოუნდებოდა ხოლმე, როცა მისი თანდასწრებით სიტყვა ცინიკოსს წარმოთქვამდნენ. უფრო მეტად არც ერთი სიტყვა არ აღიზიანებდა. მაგრამ ამჯერად პროტესტის გამოხატვა ამჯობინა.

---

[1] ნერონის დედა, რომელმაც მოწამლა თავისი ქმარი ,იმპერატორი კლავდიუსი და ხელი შეუწყო ნერონის იმპერატორად გახდომას.

— არა, რას ბრძანებთ. მე მხოლოდ გულის დამამძიმებელ სიმართლეს მოგახსენებთ. თუმცა სინამდვილე ყოველთვის არ ჰგავს იდეალს, მაგრამ მაინც მჯერა, რომ არსებობს იგი. ჩემი იდეალი შეხმატკბილებული ქორწინებაა და ამის განხორციელება შესაძლებლად მიმაჩნია. დიახ, შესაძლებლად მიმაჩნია.

იგი მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა და ქალს მაცდურად გადახედა. ოცდათექვსმეტი წლის ჯერ კიდევ დაუმჭკნარი ქალწული; თავისებურად ეშხიანი; თან რაღაც იდუმალებით მოცული. მისს სპენსი ისევ მდუმარებდა და იღიმებოდა. მისტერ ჰატონს ზოგჯერ ბეზრდებოდა ჯოკონდა. იგი წამოდგა.

— ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდე. ნახვამდის, იდუმალო ჯოკონდავ. — ამ სიტყვებზე ქალის ღიმილი გამძაფრდა — ტუჩები შევიწროვდა და კიდევ უფრო დაემსგავსა დინგს. მისტერ ჰატონი ჩინკვეჩენტოს ყესტით დაემშვიდობა და გამოწვდილ ხელზე ეამბორა. ასეთი რამ პირველად გაბედა, მაგრამ, მგონი, კადნიერებად არ მიუჩნევიათ. — ხვალ მოუთმენლად გელოდებით.

— მართლა?

პასუხის ნაცვლად მისტერ ჰატონი ერთხელ კიდევ ემთხვია ქალს ხელზე, შემდეგ შებრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა. მისს სპენსი უკან გაჰყვა.

— სად დგას თქვენი მანქანა?

— ჭიშკართან გზაზე დავტოვე.

— გამოგყვებით, გაგაცილებთ.

— არა, არა, — მისტერ ჰატონი ანცობის გუნებაზე კი იყო მაგრამ ურყევად ადგა თავის გადაწყვეტილებას.— ნუ გამაცილებთ. იცოდეთ, გიკრძალავთ.

— თუკი მინდა გაგაცილოთ?! —შეეკამათა მისს სპენსი და ჯოკონდას ღიმილი ესროლა.

მისტერ ჰატონმა ხელი აღმართა უარის ნიშნად.

— არავითარ შემთხვევაში, — გაიმეორა მან. მერე ისე აიქნია ხელის მტევანი, თითქოს კოცნას უგზავნისო, და მსუბუქად, ფეხისწვერებზე, ყმაწვილურად ფართო ნაბიჯებით გაჰენდა გზისკენ. თავი მოსწონდა, ასე რომ მიჯირითობდა. თუმცა გასაოცრად ახალგაზრდულად გარბოდა, მაინც უხაროდა, გზა რომ ახლოს იყო. უკანასკნელ მოსახვევში, სანამ სახლიდან კიდევ ხედავდნენ, იგი შეჩერდა და მოტრიალდა. მისს სპენსი ისევ კიბეზე იდგა და ჯოკონდასავით იღიმებოდა. ჰატონმა ხელი დაუქნია. ახლა სრულიად აშკარად, დაუფარავად გაუგზავნა კოცნა. შემდეგ კიდევ ერთხელ თავისებურად გაინავარდა და უკანასკნელ დაბინდულ კორომს ჩაურბინა. როცა დარწმუნდა რომ სახლიდან ველარ დაინახავდნენ, სიჩქარე შეანელა და ჩორთზე გადავიდა. შემდეგ ჩვეულებრივი ნაბიჯით განაგრძო გზა. ბოლოს ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და საყელოს შიგნით კისრის წმენდას შეუდგა. რა ჩერჩეტები არიან, ღმერთო ჩემო, რა ჩერჩეტები! ნეტა თუ კიდევ არსებობს ამ ქვეყანაზე ასეთი ბატისტვინა, როგორიც ეს საწყალი, საყვარელი ჯენტ სპენსია? არა, არა, ის ერთადერთია და განუმეორებელი, თუ, რა თქმა უნდა, თავის თავს არ მიიღებს მხედველობაში. მაშინ გამოდის, რომ ყველაზე ბრიყვი თვითონაა, რაკი ესმის, რომ ბრიყვია, და მაინც ბრიყვად ყოფნა ურჩევნია. რატომ ურჩევნია? ო, ეს უკვე მისი პირადი და მთელი კაცობრიობის პრობლემაა.

ამასობაში ჭიშკრამდე მიაღწია. ფართო, განიერი მანქანა გზის პირას ელოდებოდა. ეტყობოდა, შეძლებული პატრონი რომ ჰყავდა.

—სახლისკენ წავიდეთ, მაკ'ნაბ. — თანხმობის ნიშნად მძღოლმა ორი თითი ქუდთან მიიტანა. — და როგორც ყოველთვის, გზაჯვარედინზე შეჩერ-

დით, — დაუმატა მისტერ ჰატონმა, როცა მანქანის კარი გამოალო. — როგორაა საქმე? — შესძახა მან მანქანაში შემალულ წყვდიადს.

— ოჰ, ჩემო დათუნია, როგორ დაიგვიანე, — გაისმა მანქანიდან ბავშვურად წკრიალა ხმა. მოლაპარაკე ხმოვნებს კოკნის[1] მდაბიო კილოზე უქცევდა.

მისტერ ჰატონმა ზორბა ტანი მოხარა და ისე მარჯვედ შესრიალდა მანქანაში, როგორც ცხოველი დიდი ხნის მონატრებულ ბუნაგში.

— მართლა დავიგვიანე? — ჰკითხა მან გოგონას [illegible] ხურავდა. მანქანა დაიძრა. — რაკი დრო ასე გრძლად გეჩვენა, მოგნატრებივარ. — იგი დაბალ სავარძელში ჩაესვენა და მთელს სხეულში მოალერსე სითბომ დაუარა.

— ჩემო დათუნია, — ამოიკრუტუნა გოგონამ და მისტერ ჰატონს მომხიბლავი პატარა თავი მხარზე დაადო. გრძნობამორეულმა ჰატონმა გვერდიდან დახედა გოგონას მრგვალ, ბავშვურ სახეს.

— იცი, დორის, ლუიზ დე კერუაის[2] პორტრეტებს მაგონებ. — მან თითები შეაცურა გოგონას ხშირ ხუჭუჭ თმაში.

— რა არის ლუიზ დე კერა თუ რაღაც? — დორისის ხმა საიდანღაც, მიუწვდომელი შორეთიდან ისმოდა.

— არის კი არა, იყო, სამწუხაროდ! Fuit[3]. მალე ჩვენზედაც წარსულ დროში ილაპარაკებენ. მანამდე კი...

მისტერ ჰატონმა გოგონას ბავშვური სახე დაუკოცნა. მანქანა რბილად მისრიალებდა. შიდა ფანჯრის მილმა მოჩანდა მაკნაბის გაშეშებული ზურგი, ნამდვილი ქანდაკება.

— ო, ეს ხელები! — წაიჩურჩულა დორისმა. — არ შემეხო, თორემ ელექტროშოკები მემართება და ჟრუანტელი მივლის.

მისტერ ჰატონს მეტისმეტად ხიბლავდა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი ქალწულებრივი მიამიტობა. რა გვიან დგება ადამიანის ცხოვრებაში საკუთარი სხეულის აღმოჩენის ხანა.

— ელექტრობა ჩემში კი არა, შენშია. — მან ისევ აკოცა გოგონას და რამდენჯერმე გაიმეორა: დორისი, დორისი, დორისი. ზღვის თაგვისთვის მართლაც, ზედგამოჭრილი მეცნიერული სახელია, ფიქრობდა ჰატონი და თან კოცნიდა მისკენ გამოწვდილ თეთრად მოქათქათე ყელს, დანის მომლოდინე მსხვერპლის კისერივით რომ წაგრძელებულიყო. ზღვის თაგვს ბეწვი უბზინავს და ძეხვს წააგავს. ძალიან უცნაური არსებაა. ან იქნებ დორისი ზღვის კიტრია, განსაცდელის ჟამს ხელთათმანივით რომ ამოტრიალდება ხოლმე. აუცილებლად კიდევ უნდა გაემგზავროს ნეაპოლში აკვარიუმის სანახავად. ზღვის ცხოველები ისე უჩვეულოდ გამოიყურებიან. პირდაპირ ზღაპრული სანახაობაა.

— ჩემო დათუნია! — (ისევ ზოოლოგია. მაგრამ დათვი ხომ ხმელეთის ცხოველია?! ოჰ, ეს საცოდავი უკბილო ხუმრობა!) — ჩემო დათუნია, ძალიან ბედნიერი ვარ...

---

[1] ლონდონის ერთ-ერთი რაიონი, რომლის მცხოვრებნი მდაბიო ინგლისური ენით ლაპარაკობენ.

[2] ინგლისის მეფის ჩარლზ II-ის (1630-1685) უკანასკნელი საყვარელი, რომელსაც ბავშვური სახე ჰქონდა.

[3] იყო (ლათინ.). იგულისხმება ლათინური გამოთქმა: „იყო ტროა, იყვნენ ტროელები".

— მეც, — უპასუხა მისტერ ჰატონმა. ვითომ მართალს ამბობს?

— მაგრამ მინდა ვიცოდე, სწორად ვიქცევით თუ არა. მითხარი, დათუნია. ხომ სწორად ვიქცევით?

— ოჰ, ჩემო კარგო, ოცდაათი წელია მეც ეს კითხვა მაწვალებს.

— სერიოზულობა მოიკრიფე, დათუნია. მინდა ვიცოდე, სწორი ვარ თუ არა. მინდა ვიცოდე, აქ რომ ვარ, შენთან, სწორად ვიქცევით თუ არა. სწორია თუ არა, რომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და ელექტროშოკებ[illegible] ბოდეს, როცა შენ ხელს მახლებ.

— სწორი კი არა, ნამდვილად შესანიშნავია, ელექტროშოკებს რომ გრძნობ და არ იხშობ სექსუალურ მოთხოვნილებას. იკითხე ფროიდი. მოთხოვნილებათა ჩახშობა ველურობაა.

— აჰ, შენ სულ არ გინდა დამეხმარო. ერთხელ მაინც იყავი სერიოზული. რომ იცოდე, რა უბედურად ვგრძნობ ხოლმე თავს ხანდახან, როცა მგონია, რომ სწორად არ ვიქცევი. ჯოჯოხეთი და მისთანები ხომ გახსოვს? ღმერთმანი, ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ არ უნდა მიყვარდე.

— მერე შეძლებ? — ჰკითხა მისტერ ჰატონმა, რომელიც ღრმად იყო დაჯერებული თავისი მაცდურობისა და ულვაშების ძალაში.

— ვერ შევძლებ, დათუნია, ხომ იცი, რომ ვერ შევძლებ. მაგრამ გავიქცევი, დავიმალები, ჩავიკეტები და თავს ვაიძულებ, ალარ მოვიდე შენთან.

—პატარა სულელო! — წამოიძახა ჰატონმა და უფრო მაგრად მოეხვია.

— ძვირფასო, მე მაინც მგონია, რომ სწორად ვიქცევით. თუმცა ზოგჯერ ესეც სულერთია ჩემთვის.

მისტერ ჰატონს გული აუჩუყდა. მას მფარველის სიყვარულით უყვარდა ეს პატარა არსება. ლოყა თმაზე მიადო გოგონას და ასე ჩახუტებულები ჩუმად ისხდნენ. მანქანა კი ხან რწევა-რწევით, ხან კი ხტუნვით სწრაფად მიიწევდა წინ — ხარბად ნთქავდა გადათეთრებულ გზასა და მტვრიან ლობეებს.

— ნახვამდის, ნახვამდის.

მანქანა დაიძრა, სიჩქარეს უმატა, მერე მოუხვია და გზაჯვარედინზე სანიშნე ბოძთან დატოვა ელექტროშოკებისაგან თავბრუდასხმული და მუხლებაკანკალებული დორისი. გოგონამ ღრმად ჩაისუნთქა და ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო გზის გაგრძელება. სახლამდე ნახევარი მილი ჰქონდა გასავლელი და ამასობაში შესაფერისი ტყუილი უნდა მოეგონებინა.

მარტოდ დარჩენილმა მისტერ ჰატონმა იგრძნო, რომ საშინელი მოწყენილობის მარწუხებში მოექცა.

II

მისიზ ჰატონი ტახტზე იყო მიწოლილი თავის ბუდუარში და პასიანსს შლიდა. ივლისის თბილი საღამო იყო, მაგრამ ბუხარში ცეცხლი ენთო. სიცხისა და მონელების პროცესისაგან მოთენთილ შავ შპიცს ცეცხლის პირას ეძინა.

— ძალიან ცხელა, არა? — შესვლისთანავე იკითხა მისტერ ჰატონმა.

—ხომ იცი, რომ სითბოს ვერ გამოვილევ, ძვირფასო, — ხმაში თითქოს ცრემლი გაერია, — სულ მაჟრჟოლებს.

— მე მეგონა, ამ საღამოს უკეთესად გრძნობდი თავს.

— არც მაინცდამაინც.

ლაპარაკი არ აეწყო. ზურგით ბუხარს მიყრდნობილმა მისტერ ჰატონმა მის ფეხთით წამოწოლილ შპიცს დახედა, მარჯვენა ფეხის წვერით გადმოაბრუნა და თეთრი ლაქებით დაფარული მკერდი და მუცელი მოიფხანა. ძაღლი მოთენთილობის ექსტაზს განიცდიდა. მისიზ ჰატონი ისევ პასიანს შლიდა. ჩიხში რომ მოექცა, ერთ კარტს ადგილი შეუცვალა, მეორე აიღო და დალაგება განაგრძო. მისი პასიანსი ყოველთვის გამოდიოდა.

— ექიმმა ლიბარდმა ლენდრინდოდის[1] წყლებზე [illegible].

— წადი, ჩემო კარგო, წადი.

მისტერ ჰატონი იმდღევანდელ ამბებს იხსენებდა. ის და დორისი დაკიდულ ტყემდე მივიდნენ. მანქანა ჩრდილში დატოვეს, თვითონ კი კირქვოვანი ბორცვების მზიან სიმყუდროვეში შეაბიჯეს.

— ჩემი ღვიძლისათვის აუცილებელია მინერალური წყალი, მასაჟები და ელექტროშოკები.

დორისი ქუდით ხელში ეპარებოდა ოთხ ცისფერ პეპელას, რომლებიც ცეკვა-ცეკვით თავს დასტრიალებდნენ ფოლიოს ყვავილს. მათი როკვა ცისფერი ალის ციმციმს ჰგავდა. აი, ალმა იფეთქა და ბზრიალ-ბზრიალით ნაპერწკლებად დაიფანტა. დორისი პეპლებს დასდევდა, იცინოდა და ბავშვივით ცელქობდა.

— დარწმუნებული ვარ, მკურნალობა მოგიხდება, ჩემო კარგო.

— შენც ჩემთან ერთად ხომ არ წამოხვიდოდი, ძვირფასო?

— ამ თვის ბოლოს რომ შოტლანდიაში მივემგზავრები!

მისიზ ჰატონმა ვედრებით ახედა ქმარს.

— ოჰ, ეს მგზავრობა.. — თქვა მან. — ამაზე ფიქრიც კი კოშმარია ჩემთვის. არ ვიცი, თავს როგორ გავართმევ. შენ ხომ იცი, რომ სასტუმროებში ცუდად მძინავს. თან ბარგი მექნება და კიდევ ათასი თავსატეხი შემაწუხებს. არა, მარტო წასვლა არ შემიძლია.

— მარტო რატომ იქნები, მოახლე თან გეყოლება. — მისტერ ჰატონს მოთმინების ფიალა აევსო. ავადმყოფი უკანონოდ იკავებდა ჯანმრთელის ადგილს. მას ძალით ეწევიან მზით გაბრწყინებული გორაკებისა და მოუსვენარი, მოცინარე გოგონასაგან ამ დახაშმული, გადახურებული ოთახისა და მისი წუწუნა მდგმურისაკენ.

— არა მგონია, წასვლა შევძლო.

— თუკი ექიმი გირჩევს, უნდა შეძლო, ჩემო კარგო. თან ჰაერის გამოცვლაც გარგებს.

— არა მგონია.

— ლიბარდი ასე ფიქრობს, ის კი არასოდეს არ ცდება.

— არა, მეშინია, ძალიან სუსტად ვარ, მარტო ვერ ვიმგზავრებ. — მისიზ ჰატონმა ცხვირსახოცი ამოიღო შავი აბრეშუმის ჩანთიდან და თვალებთან მიიტანა.

— ასე მოქცევა ხომ უაზრობაა, ჩემო კარგო, როგორმე თავს ძალა უნდა დაატანო.

— მირჩევნია, აქ ვიყო ჩემთვის მშვიდად და აქვე მოვკვდე. — ახლა კი მართლა ტიროდა მისიზ ჰატონი.

---

[1] კურორტი ინგლისში, სადაც ცხელი მინერალური წყლებია.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ცოტა გონება მოიკრიბე და მომისმინე, თუ შეგიძლია. — დაწყნარების მაგივრად მისიზ ჰატონი მწარედ აქვითინდა. — არ ვიცი, პირდაპირ, რა უნდა ქნას კაცმა. — ჰატონმა მხრები აიჩეჩა და ოთახიდან გავიდა.

თვითონაც იგრძნო, მოთმინებამ რომ უღალატა, მაგრამ რა ექნა, თუს ვერ მოერია. მან ჯერ კიდევ სიჭაბუკეში შეიცნო, რომ არამცთუ არავითარ სიმპატიას არ გრძნობდა ღარიბების, ავადმყოფებისა და მახინჯების მიმართ, არამედ სძულდა კიდეც ისინი. უკანასკნელ კურსზე სწავლისას ერთხელ საღამოდ ისტენდის საქველმოქმედო მისიაში გაგზავნეს. იგი ღრმა, დაუძლეველმა ზიზღმა შეიპყრო. უბედურების ხილვამ სიბრალულის ნაცვლად სიძულვილი აღუძრა. თავდაპირველად სინდისი ქენჯნიდა თავისი გულქვაობის გამო. ბოლოს შეეგუა იმ აზრს, რომ ასეთი უგულო დაიბადა და მას შემდეგ ეჭვებს აღარ შეუწუხებია. ემილი ლამაზი და ჯანსაღი იყო, როცა შეირთო, უყვარდა კიდეც მაშინ. ახლა კი... რა მისი ბრალია, ასე რომ შეიცვალა.

მისტერ ჰატონმა მარტომ ისადილა.სიმაძღრემ სიკეთის საქმნელად განაწყო. ცოლის ოთახში ავიდა და თავისი სიფიცხის გამოსასყიდად, ხმამაღლა წაგიკითხავო, შესთავაზა. ემილის გული აუჩუყდა, მადლობით მიიღო ეს წინადადება. მისტერ ჰატონი ძალიან ამაყობდა თავისი გამოთქმით, ამიტომ მსუბუქად საკითხავ ფრანგულ წიგნზე შეაჩერა არჩევანი.

— ფრანგული წიგნი? ძალიან მიყვარს ფრანგული. — მისიზ ჰატონი ისე შინაურულად ახსენებდა რასინის მშობლიურ ენას, თითქოს ერთ თეფშ ლობიოზე ლაპარაკობდა.

ჰატონმა ბიბლიოთეკაში ჩაირბინა, პატარა ყვითელი წიგნი ამოიტანა და კითხვა დაიწყო. მთელი მისი ყურადღება იმაზე ფიქრმა შთანთქა, რაც შეიძლებოდა უზადო პრონონსით ეკითხა. რა სრულყოფილი გამოთქმა აქვს! თითქოს გამოთქმის სრულქმნილება იმ რომანის მაღალი ღირსების საწინდარი ყოფილიყოს, რომელსაც ახლა ხმამაღლა კითხულობდა.

თხუთმეტი გვერდი რომ ჩაიკითხა, უეცრად ნაცნობი ბგერები მოესმა, წიგნს თვალი მოსწყვიტა და დაინახა, რომ მისიზ ჰატონს ჩასძინებოდა. ჰატონი მცირე ხანს გულგრილი ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა მძინარეს. ერთ დროს ეს სახე მშვენიერი იყო. ოდესღაც, დიდ ხნის წინათ, მისი დანახვა ან გახსენება ისეთ ღრმა გრძნობებს აღუძრავდა, როგორიც არც მანამდე და არც მას შემდეგ აღარ განუცდია. ახლა ეს სახე დანაოჭებული იყო და მკვდრისფერი ედო. კანი მაგრად გადაჭიმვოდა ღაწვისთავებსა და ჩიტის ნისკარტივით წაწვეტებული ცხვირის კეხზე. ძვლის ჩარჩომოვლებულ ღრმა ფოსოებში დახუჭული თვალები ჰქონდა ჩადგმული. ლამფის შუქი გვერდიდან ეცემოდა და მკაფიოდ აჩენდა სახის ამობურცულსა და ჩაღრმავებულ ნაკვთებს. იგი მორალესის[1] მკვდარ ქრისტეს წააგავდა.

Le squelette était invisible
Au temps heureux de l'art païen.[2]

მისტერ ჰატონი აიწურა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

მეორე დილით მისიზ ჰატონი სასაუზმოდ ქვევით ჩავიდა. ღამით ცოტა

---

1 ცნობილი ესპანელი მხატვარი (1509-1566).

2 ჩონჩხი უჩინარი იყო წარმართული ხელოვნების ბედნიერ ხანაში (ფრანგ.).

გული უფრიალებდა, თორემ ისე უკეთესად გრძნობდა თავს. გარდაცვამისა, სტუმრისაც ეხათრებოდა. მისს სპენსი გულისყურით ისმენდა მისიზ ჰატონის წუწუნს ლენდრინდოდის წყლებზე გამგზავრების თაობაზე, ხმამაღლა გამოთქვამდა თანაგრძნობას, უხვად აფრქვევდა რჩევა-დარიგებას. მის ყოველ სიტყვაში ძალა იგრძნობოდა. იგი მოსაუბრისკენ იხრებოდა, ჯერ უმიზნებდა, შემდეგ კი ტყვიამფრქვევივით აყრიდა სიტყვებს. ტკაცა! მის სულში მუხტი ინთებოდა, სიტყვები სტვენით სწყდებოდა ტუჩების ვიწრო [illegible] დიასახლისის თავზე ტყვიამფრქვევის ჯერივით ეშვებოდა თანაგრძნობის ტვიცხლი. ამას წინათ მისტერ ჰატონიც გახვია ასეთ ცეცხლში, მაგრამ მაშინ იგი ძირითადად ლიტერატურული და ფილოსოფიური ხასიათისა გახლდათ. მას დაუშინეს მეტერლინკი, ქალბატონი ბეზანი[1], ბერგსონი[2], უილიამ ჯეიმზი[3]. დღეს კი ტყვიებმა სამედიცინო ხასიათი მიიღო. იგი გაუთავებლად ლაპარაკობდა უძილობაზე, რაღაცას ჩოშავდა მსუბუქი ნარკოტიკების უვნებლობასა და გულმოწყალე სპეციალისტებზე. ტყვიამფრქვევის კაკანში მისიზ ჰატონი ისე გაიფურჩქნა, როგორც ყვავილი მზის სითბოში.

მისტერ ჰატონი უხმოდ ადევნებდა თვალყურს ყოველივეს. ჯენეტ სპენსის მიერ მოწყობილმა სპექტაკლმა მასში განუმეორებელი ინტერესი გამოიწვია. იგი არც ისეთი რომანტიკოსი იყო, რომ წარმოედგინა, თითქოს ყოველი ადამიანის სახის მიღმა შინაგანი სილამაზე ან რაიმე განსაკუთრებული თავისებურება იმალება. ხოლო ქალების საყოველდღეო ლაყბობა უფსკრულის თავზე ჩამოწოლილ ბურუსს წააგავს. ავიღოთ, მაგალითად, მისი ცოლი და დორისი. ისინი ზუსტად ისეთები არიან, როგორადაც გვეჩვენებიან. ჯენეტ სპენსზე კი ამას ვერ იტყვი. ჯოკონდას ღიმილის და რომაული წარბების მიღმა ნამდვილად რაღაც საიდუმლო იმალება. მაგრამ რა საიდუმლო? ამის გამოცნობა ყოვლად შეუძლებელია.

— ახლა ალბათ, ვერ შეძლებთ ლენდრინდოდში წასვლას, — ამბობდა მისს სპენსი, — მაგრამ თუ მალე გამომჯობინდით, ექიმი ლიბარდი გამგზავრების ნებას დაგრთავთ.

— სწორედ მაგის იმედი მაქვს. დღეს, მართლაც, ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს.

მისტერ ჰატონს შერცხვა. თურმე როგორ გამოკეთდებოდა ემილი, ქმრის თანაგრძნობას რომ არ ყოფილიყო მოკლებული. მაგრამ მერე თავი იმით ინუგეშა, რომ თანაგრძნობა შეიძლება იყოს მხოლოდ განწყობილების წყარო და არა კარგად ყოფნის მიზეზი, თანაგრძნობა ვერც დაავადებულ ღვიძლს კურნავს და ვერც სუსტ გულს.

— ძვირფასო, შენს ადგილას მე ამ მოცხარს არ შევჭამდი. — მოულოდნელად მზრუნველობა გამოიჩინა ჰატონმა. — ხომ გახსოვს, ლიბარდმა აგიკრძალა წიპწიანი და უხეშკანიანი ხილის ჭამა.

— ძალიან რომ მიყვარს, რა ვქნა? — შეეკამათა ქალბატონი ჰატონი. — თანაც დღეს კარგად ვგრძნობ თავს.

— ტირანივით ნუ იქცევით, — სიტყვა ჩაურთო მისს სპენსმა და ჯერ ჰატონს შეხედა, მერე მის ცოლს. — მიეცით ნება საწყალ ავადმყოფს, რაც უნ-

---

[1] ინგლისელი საზოგადო მოღვაწე ქალი (1847-1933).

[2] ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი (1859-1941).

[3] ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი (1859-1940), მწერალ ჰენრი ჯეიმზის ძმა.

და, ის ჭამოს. ეს უფრო არგებს. — მისს სპენსმა ხელი მკლავზე დაადო მისიზ ჰატონს და თანაგრძნობის ნიშნად ორჯერ-სამჯერ მოუცაცუნა.

— მადლობელი ვარ, ძვირფასო. — მისიზ ჰატონი წითელი მოცხარის კომპოტს მიუბრუნდა.

— ისევ ცუდად რომ გახდე, მე არ დამაბრალო.

— როდისმე რამე თუ დამიბრალებია შენთვის, ძვირფასო?

— მე შენ ვერაფერს დამაბრალებ, — გაეკეკლუცა ცოლს მისტერ ჰატონი, — სამაგალითო ქმარი ვარ.

საუზმის შემდეგ სამივენი ბაღში გავიდნენ. ბებერი კვიპاროსის ძირას დასხდნენ და მსხდომნი მისი ჩრდილის კუნძულიდან გასცქეროდნენ მდელოს, სადაც მზეზე თვალისმომჭრელად ბზინავდნენ ყვავილები.

მისტერ ჰატონმა ღრმად ჩაისუნთქა ათასნაირი სურნელით გაჟღენთილი თბილი ჰაერი.

— რა კარგია სიცოცხლე. — წარმოთქვა მან.

— მართლაც, კარგია, ცოცხალი რომ ხარ, — კვერი დაუკრა ცოლმა და მზის სხივებს მიუშვირა ფერმკრთალი, დაძარღვული ხელები.

მოახლემ ყავა მოიტანა. ვერცხლის ყავადანი და ცისფერი ფინჯნები ასაკეც მაგიდაზე დააწყო და მაგიდა სავარძლებთან მისწია.

— ოჰ, ჩემი წამალი! — წამოიძახა უეცრად მისიზ ჰატონმა. — კლარა, გაიქეცი და მომიტანე, თუ შეიძლება. კარადაშია, თეთრ შუშაში.

— მე მოვიტან, — შესთავაზა მისტერ ჰატონმა. — მაინც უნდა წავსულიყავი სიგარეტისათვის.

ჰატონი წამოხტა და სახლისკენ გაიქცა. ზღურბლთან ერთ წამს შეჩერდა და უკან მოიხედა. მოახლემ მდელოზე გადაიარა და სახლისკენ წავიდა. მისიზ ჰატონი შეზლონგზე მიწოლილიყო და თავისი თეთრი ქოლგის გახსნით იყო დაკავებული. მაგიდისკენ დახრილი მისს სპენსი ყავას ასხამდა. ჰატონმა შენობის გრილ ბინდში შეაბიჯა.

— ყავა დაშაქრული გიყვართ? — ჰკითხა ქალბატონ ჰატონს მისს სპენსმა.

— დიახ, თუ შეიძლება, ბლომად ჩამიყარეთ. წამალს დავაყოლებ, მწარე გემო რომ არ დამრჩეს.

მისიზ ჰატონი შეზლონგზე გადაწვა და თვალებზე ქოლგა აიფარა, თითქოს უნდოდა ანთებულ ცას დამალვოდა.

მისიზ ჰატონის ზურგს უკან მისს სპენსი წყნარად აწკარუნებდა ყავის ფინჯნებს.

— სამი სავსე კოვზი ჩავყარე. წამლის გემოს ნამდვილად ველარ იგრძნობთ. აი, წამალიც მოაქვთ.

გამოჩნდა მისტერ ჰატონი. მას ხელში ეჭირა ღვინის ჭიქა, რომელშიც ნახევრამდე ესხა მოთეთრო წამალი.

— მშვენიერი სუნი აქვს, — თქვა მან და ჭიქა ცოლს მიაწოდა.

— რაღაცა აქვს დამატებული სურნელისათვის, — ქალმა წამალი გადაკრა, სიმწრისაგან გააჟრჟოლა და სახე დაეპრანჭა.— უჰ, რა საშინელებაა! მომაწოდეთ ყავა.

მისს სპენსმა ყავა მიაწოდა.

— ბადაგივითაა, მაგრამ სასიამოვნო დასალევია, განსაკუთრებით იმ საზიზღარი წამლის შემდეგ.

ოთხის ნახევარზე მისიზ ჰატონმა თავი ცუდად იგრძნო და სახლში ავი-

და დასაწოლად. ქმარს რაღაცის თქმა უნდოდა მოცხარის თაობაზე, მაგრამ თავი შეიკავა. „ხომ გეუბნებოდი“-ს ტრიუმფი ძალიან ოლად იყო მოპოვებული. ამის ნაცვლად გულისხმიერება გამოიჩინა, მკლავი შესთავაზა და სახლისკენ წაიყვანა.

— დასვენება გარგებს, — უთხრა ცოლს. — სხვათა შორის, სადილად ნუ დამელოდები.

— რატომ, სად მიდიხარ?

— ჯონსონებს დავპირდი მისვლას ამ საღამოს. ომში დაღუპულთა ძეგლის აგების თაობაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

— ოჰ, როგორ არ მინდა, რომ წახვიდე, — ამბობდა მისიზ ჰატონი თითქმის ტირილით. — იქნებ დარჩენილიყავი? არ მიყვარს შინ მარტო ყოფნა.

— მაგრამ, ჩემო კარგო, მე ხომ დავპირდი, რამდენიმე კვირის წინ დავპირდი, — ასეთი ტყუილის თქმამ ცოტა შეაცბუნა. — ახლა მისს სპენსთან უნდა დავბრუნდე.

ჰატონმა ცოლს შუბლზე აკოცა და ბაღში გავიდა. მისს სპენსი დაძაბული და დამიზნებული დახვდა.

— თქვენი ცოლი ძალიან ავადაა, — ტყვიასავით მიახალა მან.

— თქვენმა სტუმრობამ თითქოს ცოტა გამოაცოცხლა, — უპასუხა ჰატონმა.

— ეს წმინდა ნერვიული აღგზნება იყო, წმინდა ნერვიული. სულ ვაკვირდებოდი: მისი გულისა და მოშლილი კუჭ-ნაწლავის პატრონს, დიახ, მოშლილი კუჭ-ნაწლავის პატრონს ყველაფერი შეიძლება დაემართოს.

— ლიბარდი ასე უიმედოდ არ უყურებს საწყალი ემილის ჯანმრთელობას. — ამ ლაპარაკში მისტერ ჰატონმა გააღო ბაღის ჭიშკარი, რომელიც პირდაპირ გზაზე გადიოდა. მისს სპენსის მანქანა შესასვლელთან იდგა.

— ლიბარდი სოფლის ექიმია. უნდა სპეციალისტს გაასინჯოთ.

ჰატონმა თავი ვერ შეიკავა და გაიცინა.

— საშინლად გიყვართ სპეციალისტები.

მისს სპენსმა პროტესტის ნიშნად ხელი აღმართა.

— საწყალ ემილის ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს. ყოველ წუთს მოსალოდნელია... ყველაფერი.

ჰატონმა ქალი მანქანაში ჩასვა და კარი მიხურა. მძღოლმა მანქანა დაქოქა და საჭეს მიუჯდა.

— ვუბრძანო, რომ დაძრას? — ჰატონს საუბრის გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდა.

მისს სპენსი გადმოიხარა, ჯოკონდას ღიმილი ესროლა და უთხრა:

— იცოდეთ, ძალიან მალე გელოდებით.

ჰატონმა ანგარიშმიუცემლად გაიღიმა, ზრდილობისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა და, როგორც კი მანქანა დაიძრა, სტუმარს ხელი დაუქნია. მარტოდ რომ დარჩა, ბედნიერად იგრძნო თავი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისტერ ჰატონიც წავიდა. დორისი გზაჯვარედინზე ელოდებოდა. მათ ოცი მილით დაშორებულ გზისპირა სასტუმროში ისადილეს, კერძები უგემური და ძვირი იყო. ასეთ სადილებს ამზადებენ იმ გზისპირა პროვინციულ სასტუმროებში, სადაც უმეტესად მანქანიანი მგზავრები ჩერდებიან. მისტერ ჰატონი ვერ იტანდა აქაურ საჭმელებს, დორისმა

კი სიამოვნებით ისადილა. არც შამპანური იყო უმაღლესი ხარისხის. ძალიან ნანობდა, რომ საღამო თავის ბიბლიოთეკაში არ გაატარა.

როცა სადილის შემდეგ მანქანით უკან ბრუნდებოდნენ, დორისს შექეიფიანება შეეტყო და სასიყვარულოდ განეწყო. მანქანაში ძალიან ბნელოდა, მაგრამ წინ, მაკ'ნაბის უძრავი ტანის მიღმა, ისინი არჩევდნენ ფორმებისა და ფერების ვიწრო სამყაროს, რომელსაც მანქანის შუქფარები ღამეს სტაცებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერთმეტს გადაცილებული იყო, როცა ჰატონი სახლში დაბრუნდა. ჰოლში მას ექიმი ლიბარდი შეეჩეხა. მომცრო ტანის ექიმს ნაზი ხელები, ქალივით დახვეწილი ნაკვთები და ფართო, მელანქოლიური, თაფლისფერი თვალები ჰქონდა. იგი ხანგრძლივად რჩებოდა თავის პაციენტებთან, სევდიანად იყურებოდა და ასევე სევდიანად, დაბალი ხმით საუბრობდა ხოლმე უმნიშვნელო ამბებზე, მთელი მისი არსება აშკარად ანტისეპტიკურ, მაგრამ ამავე დროს რაღაცნაირ შემპარავ, სასიამოვნო სურნელს გამოსცემდა.

— ნუთუ ლიბარდი ხართ? — გაიკვირვა მისტერ ჰატონმა. — აქ რა გინდათ? ჩემი ცოლი ხომ არ გამხდარა ცუდად?

— უფრო ადრე გვინდოდა გვეპოვნეთ, — უპასუხა ექიმმა წყნარად და სევდიანად. — გვეგონა, ჯონსონებთან იყავით, მაგრამ მათ თქვენი ასავალ-დასავალიც კი არ იცოდნენ.

— დამაგვიანდა, მანქანა გამიფუჭდა, — უპასუხა მისტერ ჰატონმა გაღიზიანებული კილოთი, არ ესიამოვნა, ტყუილში, რომ დაიჭირეს.

— თქვენს ცოლს ძალიან უნდოდა ენახეთ.

— ახლავე ავალ. — მისტერ ჰატონი კარისკენ გატრიალდა.

ექიმმა ლიბარდმა ჰატონს მკლავზე მოუჭირა ხელი.

— სამწუხაროდ, უკვე გვიანაა.

— როგორ თუ გვიან? — ჰატონმა საათის ამოღება დააპირა ჯიბიდან, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა.

— მისიზ ჰატონი ნახევარი საათის წინ გარდაიცვალა.

ლიბარდს კილო არ შეცვლია, არც თვალთა მელანქოლია გაღრმავებია. ექიმი ისე ლაპარაკობდა სიკვდილზე, როგორც კრიკეტის მატჩზე. ყველაფერი ერთნაირად ამაო და სამწუხარო იყო მისთვის.

მისტერ ჰატონი უეცრად ჯენეტ სპენსის ნათქვამზე დაფიქრდა. ის ქალი უცნაურად მართალი აღმოჩნდა.

III

— რა ცუდია, რომ დასაფლავება იტონისა და ჰაროუს მატჩის[1] დღეს დანიშნეს, — ამბობდა მოხუცი გენერალი გრეგო, რომელიც ალაყაფის კარის ჩრდილს შეფარებოდა, ცალ ხელში ცილინდრი ეჭირა, მეორეში — ცხვირსახოცი და სახეზე ოფლს იწმენდდა.

მისტერ ჰატონმა ყური მოჰკრა გენერლის ნათქვამს. ხელები აეჭავა, ისე მოუნდა რაიმე ფიზიკური ტკივილი მიეყენებინა ამ პირუტყვისათვის; მოუნდა ამ ბებერი ცხოველისათვის წითლად გადაბრდღვიალებული ცხვირ-პირი

---

[1] კრიკეტის ყოველწლიური ტრადიციული მატჩი ინგლისის ორ პრივილეგირებულ კერძო სკოლას შორის, რომელიც ტარდება „ლორდზ გრაუნდის" სტადიონზე.

ამოენაყა. ფქვილში ამოვლებულ უშველებელ ხართუთას არ მიუგავს სახე?! განა მიცვალებული ჰატივისცემის ღირსი არ არის? ნუთუ არავის არაფერი არ უნდა ედარდებოდეს! თეორიულად თითქოს არც ჰატონს ადარდებდა რაიმე — დაე, მკვდრებმა დამარხონ თავისი მკვდრები — მაგრამ აქ, საფლავის პირას, უეცრად შენიშნა, რომ სლუკუნებდა კიდეც. საწყალი ემილი! ერთ დროს ხომ საკმაოდ ბედნიერები იყვნენ. ახლა ორმეტრიანი ორმოს ძირში წევს, ეს გრეგო კი საყვედურობს, რომ ვერ შეძლო [illegible] მატჩზე დასწრება.

ბიბლიოთეკა

მისტერ ჰატონმა თვალი შეავლო შაოსანთა კრებულს, რომელთა ნაკადი გუნდ-გუნდად, აუჩქარებლად მოედინებოდა ეკლესიის ეზოდან გზის პირას მოჯარული ეტლებისა და მანქანებისაკენ. ივლისის მობიბინე ბალახის, ელვარე ყვავილებისა და სიმწვანის ფონზე ისინი ბუნების სამყაროში შეჭრილ უცხო სხეულებს ჰგავდნენ. სიამოვნება მოჰგვარა იმის წარმოდგენამ, რომ მალე ყველანი მიცვალებულებად იქცეოდნენ.

ის საღამოს მისტერ ჰატონი გვიანამდე მილტონის ბიოგრაფიას კითხულობდა თავის ბიბლიოთეკაში. განსაკუთრებული მიზეზი მილტონის არჩევისათვის არ ჰქონია. ეს იყო პირველი ხელში მოხვედრილი წიგნი, მეტი არაფერი. მხოლოდ ნაშუადამევს გაათავა კითხვა. სავარძლიდან წამოდგა, დარაბები გახსნა და ქვით მოპირკეთებულ პატარა ვერანდაზე გავიდა. მშვიდი და ნათელი ღამე იყო. მისტერ ჰატონმა ვარსკვლავებსა და ვარსკვლავებს შორის ორმოებივით ჩაღრმავებულ სივრცეს ახედა, მერე მზერა დაბინდულ გაზონებსა და ფერწასულ ყვავილებს მიაპყრო, შემდეგ კი უფრო შორს, მთვარიანი ღამის განაცრისფრებულ, ჩამუქებულ პეიზაჟს მოავლო თვალი. თავში საოცარი სისწრაფით აერია აზრები. არსებობს ვარსკვლავები, მილტონი. ადამიანს შეუძლია რაღაცნაირად ვარსკვლავებსა და ღამეს უთანაბრდებოდეს. სიდიადე, კეთილშობილება! მაგრამ განა არის რაიმე სერიოზული განსხვავება კეთილშობილსა და არაკეთილშობილს შორის? მილტონი, ვარსკვლავები, სიკვდილი და საკუთარი თავი. მხოლოდ საკუთარი თავი. სული, სხეული, მაღალი და მდაბალი ბუნება. იქნებ მართლა აქვს რაღაც აზრი ყველაფერ ამას ბოლოს და ბოლოს. მილტონთან ღმერთი და რწმენაა, მასთან კი რაა? არაფერი, სრულიად არაფერი, მხოლოდ დორისის პატარა ძუძუები. რა აზრია ყოველივე ამაში? მილტონი, ვარსკვლავები, სიკვდილი, ემილი თავის სამარეში, დორისი და საკუთარი თავი, ყოველთვის საკუთარი თავი.

„ოჰ რა უსარგებლო და შესაზარი არსება ვარ", გაიფიქრა ჰატონმა. „ყოველნაირად ვრწმუნდები, რომ ეს ასეა. დადგა გადამწყვეტი წუთი". მან ხმამაღლა წარმოთქვა: „ვფიცავ, ვფიცავ!"

სინდისის ქენჯნისა და ნებისყოფის მოკრების ასეთი წუთები წინათაც ჰქონია, განსაკუთრებით ახალ წელსა და სხვა სადღესასწაულო დღეებში, მაგრამ ის გადაწყვეტილებანი შემდეგ სადღაც უსასრულობაში ჩაკარგულან. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანი წუთია და მან ეს-ესაა წარმოთქვა უსაშინელესი ფიცი. მომავალში ყველაფერი შეიცვლება. დიახ, იცხოვრებს გონების კარნახით, გახდება შრომისმოყვარე, კონტროლს გაუწევს თავის მოთხოვნილებებს და ცხოვრებას შესწირავს რაიმე კეთილ საქმეს. გადაწყვეტილება მიღებულია და მას ველარაფერი შეცვლის.

თავის გადაწყვეტილებას კი ასე განახორციელებს: დილდილობით მეურნეობის საქმეებს მიხედავს — მოურავთან ერთად შემოივლის თავის მამულს

და შეამოწმებს, არის თუ არა დამუშავებული თანამედროვე დონეზე — აი, სილოსია თუ რალაც, ხელოვნური სასუქი, თესლბრუნვა და მისთანები. დანარჩენ დროს სერიოზულ მუშაობას მოახმარს. რამდენი ხანია წიგნი აქვს დასაწერი — „დაავადებათა გავლენა ცივილიზაციაზე".

ბედს დამროჩილებული და სინდისის ქენჯნით შეპყრობილი მისტერ ჰატონი დასაძინებლად გაეშურა იმ აზრით, რომ მის არსებაში ღვთიურმა მადლმა დაივანა. შვიდ-ნახევარი საათი ეძინა და როცა გაიღვიძა, მზე უკვე ამოსულ იყო. შებდა. წინა საღამოს აშლილი განცდები ღამის მოსვენების შემდეგ ჩვეულებრივ ხალისიან განწყობილებად ექცა. დიდი ხნის გამოფხიზლებული არ იყო, რომ უეცრად გაახსენდა თავისი გადაწყვეტილება, თავისი ჯოჯოხეთური ფიცი. მილტონი და სიკვდილი მზის სინათლეზე სხვაგვარად აღიქმებოდა, ვარსკვლავები კი დღისით არ ჩანდა. მაგრამ გადაწყვეტილებათა მიღება რომ საერთო ჯამში მაინც სასარგებლო იყო, ამას დღისითაც გრძნობდა.

საუზმის შემდეგ შეკაზმული ცხენი მოჰგვარეს და თავის მოურავთან ერთად მამულის დასათვალიერებლად გაემგზავრა. მეორე საუზმის შემდეგ გადმოიღო თუკიდიდეს წიგნი, რომელიც ეხებოდა ჭირის ეპიდემიას ათენში. საღამოს რამდენიმე შენიშვნა ჩაიწერა ჩრდილოეთ იტალიაში მალარიის გავრცელების თაობაზე. როცა წვებოდა, ერთი კარგი ანეგდოტი გაახსენდა ოფლის დენაზე სკელტონის ანეგდოტების წიგნიდან. ამაზედაც ჩაწერდა რამეს, მაგრამ ფანქარი ვერ იპოვა.

ახალი ცხოვრების დაწყებიდან მეექვსე დღეს თავის კორესპოდენციაში მისტერ ჰატონმა იპოვა კონვერტი, რომელზედაც მისამართი დორისის აცაბაცა ხელით ეწერა. მან კონვერტი გახსნა და წერილის კითხვას შეუდგა. დორისი იწერებოდა, არ ვიცი, რით დავიწყო, სიტყვებით ვერ გამომიხატავს სათქმელი — შენი ცოლის ამგვარი სიკვდილი, ისიც ასე მოულოდნელად, საშინელებაა. გაღიზიანებულმა ჰატონმა ამოიოხრა, მაგრამ როცა კითხვა განაგრძო, წერილის მიმართ ინტერესი გაუღვივდა.

„სიკვდილის იმდენად მეშინია, რომ ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე. მაგრამ როცა მსგავსი ამბები ხდება, ანდა ცუდ გუნებაზე ვარ, მახსენდება, რომ აღსასრული ძალიან ახლოსაა. ვიხსენებ, თუკი რამე ცუდი ჩამიდენია, ვიხსენებ ჩვენს ამბავს, წარმოვიდგენ, რა შეიძლება მოხდეს და საშინლად მეშინია ხოლმე. ახლა მე ძალიან მარტოდ ვგრძნობ თავს, ჩემო დათუნია, ძალიან უბედური ვარ და არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ. სიკვდილზე ფიქრს თავიდან ვერ ვიშორებ და უშენოდ საცოდავი და უმწეო ვარ. არ ვაპირებდი წერილის მოწერას, მინდოდა დამეცადა, სანამ გლოვას მოათავებდი და მოხვიდოდი ჩემს სანახავად. მაგრამ ახლა იმდენად მარტოდ და უბედურად ვგრძნობ თავს, ჩემო დათუნია, რომ არ შემიძლია არ მოგწერო. ვერაფრით ვერ შევიკავე თავი. მაპატიე. მაგრამ ძალიან მინდა შენთან ყოფნა! შენს მეტი არავინ მყავს ამ ქვეყანაზე. შენ ისეთი კარგი ხარ, ისეთი ნაზი, ისე კარგად გესმის ჩემი. შენისთანა მეორე არ დადის ამ ქვეყანაზე. ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, რა კარგი, რა კეთილი იყავი. შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, იმდენი რამე იცი, რომ მიკვირს, რა საერთოს პოულობდი ჩემთან. მე იმდენად მოსაწყენი და სულელი ვარ, ასე არც უნდა მოგწონდე და გიყვარდე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა ვიცოდე, ოდნავ მაინც ხომ გიყვარვარ, დათუნია?"

მისტერ ჰატონი სირცხვილმა და სინდისის ქენჯნამ შეიპყრო. ამგვარი მადლობა, ამგვარი გულმერთება შეცდენილი ქალისაგან?! ეს ხომ სულელური

ახირება იყო და მეტი არაფერი. სულელური, იდიოტური. სიამოვნება მაინც ეგრძნო. კაცმა რომ თქვას, ეს თავგადასავალი ჰატონს უფრო აღიზიანებდა, ვიდრე ახარებდა. ერთ დროს ჰედონისტად მოჰქონდა თავი, მაგრამ ჰედონისტობა ხომ გულისხმობს აზროვნების გარკვეულ პროცესს, უკვე განცდილ სიამოვნებათაგან შეგნებულ არჩევანს, განცდილ ტკივილთა უარყოფას. მისთვის კი ყველაფერი უაზროდ ხდებოდა. წინასწარ იცოდა და კარგადაც იცოდა, რომ სასიამოვნო არაფერი ეყარა ამ გაუთავებელ სასიყვარულო თავგადასავლებში. და მაინც, საღერღელი რომ აეშლებოდა, თავს ვერ იკავებდა და ბევრჯერ ჩადენილ სისულელეს ერთხელ კიდევ იმეორებდა. ავიღოთ თუნდაც მეგის, მისი ცოლის მოახლის შემთხვევა; ანდა ედიტის, ფერმაში რომ მუშაობდა, იმ გოგონას ამბავი; მისიზ სპრინგლის, ანდა ლონდონელი ოფიციანტი ქალის ისტორია. იყვნენ სხვებიც, რამდენიმე დუჟინი მაინც იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი ძალიან მალე ბეზრდებოდა! წინასწარ იცოდა, რომ მობეზრდებოდა, ყოველთვის იცოდა ხოლმე და მაინც... გამოცდილება არაფერს არ გვასწავლის.

საწყალი პატარა დორისი! გულისხმიერ, მანუგეშებელ წერილს მისწერს, მაგრამ შეხვედრაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ დროს მსახური შემოვიდა და მოახსენა, ცხენი შეკაზმულიაო. იგი ამხედრდა და გაემგზავრა. იმ დილით ბებერი მოურავი წინანდელზე მეტად უშლიდა ნერვებს.

ხუთი დღის შემდეგ დორისი და მისტერ ჰატონი ერთად ისხდნენ საუთენდის[1] პირსზე, ბედნიერებით გასხივოსნებულ დორისს წითლით გაწყობილი თეთრი მუსლინის კაბა ეცვა. მისტერ ჰატონი შეზლონგზე გადაწოლილიყო, პანამა შუბლიდან გადაეწია და ცდილობდა თავი ტურისტად ეგრძნო. ღამით კი მძინარე დორისის სუნთქვისა და თბილი სხეულის შეგრძნებამ, სიბნელემ და დაღლილობამ კოსმიურობის ის განცდა გაახსენა, რომელმაც შეიპყრო ორი კვირის წინ, დიადი გადაწყვეტილების მიღების ღამეს. ამგვარად, საზეიმო ფიცი მის მრავალრიცხოვან გადაწყვეტილებათა კვალს გაჰყვა. გონიერება დამარცხდა, რადგან ნდომის გაღვიძებისთანავე უკან დაიხია. გამოუსწორებელია, გამოუსწორებელი!

იგი კარგა ხანს თვალდახუჭული იწვა და თავის ცოდვებზე ფიქრობდა. გოგონა ძილში შეიშმუშნა. მისტერ ჰატონი გადმობრუნდა და დახედა. ნახევრად დაშვებულ ფარდებში იმდენი სინათლე კი შემოდიოდა, რომ დაენახა დორისის შიშველი მკლავები და მხრები, კისერი და ბალიშზე დაფენილი მუქი თმა. გოგონა მშვენიერი და სურვილის აღმძვრელი ეჩვენა. ნეტა რას დასტირის თავის ცოდვებს. რა მოხდა ბოლოს და ბოლოს? თუ მართლა გამოუსწორებელია, იყოს გამოუსწორებელი. როგორმე გადაიტანს ამ უბედურებას. უეცრად ჰატონი უპასუხისმგებლობის დიდებულმა გრძნობამ შეიპყრო. თავისუფალია, სრულიად თავისუფალი! თავდავიწყებამდე მისულმა უეცრად თავისკენ მიიზიდა დორისი. დორისს გაეღვიძა, მაგრამ ვერ მოასწრო გამორკვევა — ლამის დააფრთხო მამაკაცის უხეშმა ალერსმა.

მალე ჰატონის ვნებათაღელვის ქარიშხალი წყნარმა, ხალისიანმა განწყობილებამ შეცვალა. იქაურობა თითქოს თრთოდა უხმო ხარხარისაგან.

— განა ჩემსავით ვინმეს შეუძლია შენი შეყვარება, ჩემო დათუნია? — გაისმა შეკითხვა ბურანიდან, სიყვარულის შორეული სამყაროდან.

— მეგულება ერთი ასეთი, — უპასუხა მისტერ ჰატონმა. წყალქვეშა სი-

[1] ზღვისპირა კურორტი ტემზის შესართავთან.

ცილი ძალას იკრებდა, კალაპოტიდან გადმოსვლას ლამობდა, მზად იყო დუმილის ზედაპირი გაერღვია და აბმაურებულიყო.

— ვინ არის, მითხარი, ვის გულისხმობ? — ხმა ძალიან მოახლოვდა. იგი ეჭვით, ტკივილით, აღშფოთებით იყო დამუხტული და ახლა უახლოესი სამყაროდან მოედინებოდა.

— აჰა!

— ვინ არის?

— ვერასოდეს ვერ მიხვდები, — მისტერ ჰატონი ქილიკს არ იშლიდა. ბოლოს ესეც მოსწყინდა და წარმოთქვა: — ჯენეტ სპენსი.

დორისი ყურებს არ უჯერებდა.

— ვინ, ის მემამულე მისს სპენსი? ის დედაბერი? — ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ მისტერ ჰატონსაც კი გაეცინა.

— რას იზამ, ასეა, — თქვა მან. — ძალიან ვუყვარვარ. — ოჰ, ეს გაუთავებელი ხუმრობა! დაბრუნებისთანავე ინახულებს ჯენეტს და დაიმორჩილებს. — დარწმუნებული ვარ, ჩემზე გათხოვება უნდა.

— მაგრამ შენ.. შენ ხომ არ აპირებ?... — ქილიკით დამუხტულ ჰაერს სულ ტკაცატკუცი გაუდიოდა. ჰატონმა ახლა კი ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მე შენს შერთვას ვაპირებ, — თქვა მან და გაიფიქრა, რომ ასე კარგად არასოდეს არ უხუმრია.

როცა მისტერ ჰატონი საუთენდიდან ბრუნდებოდა, ისევ ცოლიანი იყო. ისინი შეთანხმდნენ, რომ ჯერჯერობით საიდუმლოდ შეინახავდნენ ამ ამბავს, შემოდგომაზე ერთად გაემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ და საზოგადოებაც მაშინ გაიგებდა მათ დაქორწინებას. მანამდე კი თავთავის სახლებში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

მეორე დღეს, ნაშუადღევს მისტერ ჰატონი მისს სპენსის მოსანახულებლად წავიდა. ქალი ჯოკონდას ღიმილით შეხვდა.

— გელოდებოდით.

— არ შემეძლო არ მოვსულიყავი, — თავაზიანად უპასუხა მისტერ ჰატონმა.

ჯენეტმა სტუმარი საზაფხულო სახლში მიიღო. ეს გახლდათ მარადმწვანე ბუჩქნარში ჩაფლული, გარდასულ დროთა ყაიდაზე მოჩუქურთმებული პაწაწინა სავანე. მისს სპენსს აქაც დაეჩნია თავისი კვალი — სავარძლის თავთან დელა რობიას ქმნილება, თეთრ-ცისფერი ბარელიეფი ეკიდა.

— ამ შემოდგომაზე იტალიაში გამგზავრებას ვაპირებ. — წამოიწყო სტუმარმა. ქილიკის ჟინით დამუხტული მისტერ ჰატონი თავს ისე გრძნობდა, როგორც აბუყბუყებული ლუდი, რომელმაც ეს-ეს არის ბოთლიდან უნდა ამოხეთქოს.

— იტალია.. — გზნებამორეულმა მისს სპენსმა თვალები მილულა, — ძეც მიზიდავს იტალია.

— მერე რატომ არ მიდიხართ?

— არ ვიცი. არც ენერგია მყოფნის და არც დამოუკიდებლობა გამაჩნია მარტო მოგზაურობისათვის.

— მარტო მოგზაურობა... — აჰ, გიტარების ჟღერა და მკერდისმიერი სიმღერები! — დიახ, მარტო მოგზაურობა სასიამოვნო არ არის.

მისს სპენსი უსიტყვოდ მიესვენა სავარძელზე. თვალები ისევ დახუჭული

ჰქონდა. მისტერ ჰატონმა ულვაშებზე გადაისვა ხელი. დუმილი როგორღაც დიდხანს გაგრძელდა.

მისტერ ჰატონს ძალიან სთხოვეს სადილად დარჩენა. უარი არ უთქვამს — სეირი ახლა იწყებოდა. სუფრა ლოჯიაში გაშალეს. თაღებს შორის მოჩანდა ფერდობზე შეფენილი ხილნარი, იმის ქვევით — გაშლილი ველი, შორს კი — მთები. ბინდდებოდა. სიცხე და დუმილი მომჭანცველი გახდა. ვეებერთელა ლრუბელი მიცურავდა ცაზე. ისმოდა ქუხილის შორეული [illegible] ქუხილი თანდათან მოახლოვდა, ქარმა დაბერა და მალე წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა მიწაზე. სუფრა აალაგეს. ლამდებოდა, მაგრამ მისს სპენსი და მისტერ ჰატონი ისევ ლოჯიაში ისხდნენ.

მერე მისს სპენსმა დუმილი დაარღვია და ფიქრიანად წარმოთქვა:

— მე მგონი, ყველასა აქვს უფლება იყოს ცოტად თუ ბევრად ბედნიერი, არა?

— სრული ჭეშმარიტებაა. — ნეტავ, საით უმიზნებს? არავინ მსჯელობს ზოგადად ცხოვრებაზე, თუკი თავის თავზე არ სურს ილაპარაკოს. ბედნიერება. მან გადახედა თავის განვლილ გზას და დაინახა, რომ მის მხიარულ, ულრუბლო არსებობას ხანდახან პაწაწინა ნაღველი, ოდნავი მღელვარება ანდა მსუბუქი ძრწოლა თუ შეერეოდა. ყოველთვის ჰქონდა ფული და თავისუფლება: ყოველთვის შეეძლო სურვილების ასრულება. დიახ, მას შეეძლო ეთქვა, რომ ბედნიერი იყო — ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა უმეტესობაზე ბედნიერი. მაგრამ ახლა ის უბრალოდ ბედნიერი კი არ იყო — მას შეცნობილი ჰქონდა, რომ უპასუხისმგებლობაში იმალებოდა ის საიდუმლო, რომელიც ცხოვრებას სიხარულს ანიჭებდა. ის-ის იყო დააპირა რაღაც ეთქვა თავისი ბედნიერების თაობაზე, რომ მისს სპენსის ხმა შემოესმა.

— ხომ აქვთ უფლება ისეთ ადამიანებს, როგორიც მე და თქვენ ვართ, ერთხელ მაინც იყვნენ ბედნიერები ცხოვრებაში.

— მე? — იკითხა გაკვირვებულმა ჰატონმა.

— საწყალი ჰენრი! არც ჩემთვის და არც თქვენთვის ბედს წყალობის თვალით არ გადმოუხედავს.

— კარგით ერთი, ხომ შესაძლებელია უარესადაც მოგვქცეოდა.

— თავს იმხიარულებთ. ეს, მართლაც, ეაჟკაცობაა თქვენის მხრივ, მაგრამ არ გეგონოთ, ვერ ვიხედებოდე მაგ თქვენი ნიღბის მიღმა.

წვიმამ მოუხშირა. მისს სპენსმაც ხმას აუწია. დროდადრო ელვა კრთებოდა მის ფრაზებს შორის. იგი ყვირილით ცდილობდა ხმაურის ჩახშობას.

— იმდენი ხანია ციგნობთ და მთელი ეს ხანი ისე კარგად მესმის თქვენი.

ელვამ გაანათა ჰატონისკენ ჯიუტად დახრილი და დამიზნებული მისს სპენსი. თვალები —მუქარით აღსავსე ორი ლულა. ერთ წამში ის ისევ სიბნელემ შთანთქა.

— თქვენ იყავით მარტოსული, რომელიც ეძებდა მეგობარს. მე შემეძლო თანამეგრძნო თქვენი მარტოობისათვის. თქვენი ქორწინება...

ქუხილმა შუაზე გახლიჩა წინადადება. მერე მისს სპენსის ხმა ისევ გაისმა.

— ...მეგობარს ვერ შესძენდა თქვენისთანა კაცს. თქვენ გჭირდებოდათ სულიერი მეგობარი.

სულიერი მეგობარი — მე! სულიერი მეგობარი! რა უბადლო ფანტაზიაა.

„ჟორჟეტ ლებლანი[1] მორის მეტერლინკის ყოფილი სულიერი მეგობარი". ეს ფრაზა რამდენიმე დღის წინ წაიკითხა გაზეთში. ესე იგი, ჯენეტ სპენსისათვის იგი სულიერი მეგობრის მაძიებელია, დორისისთვის კი სიკეთისა და გონიერების განსახიერება, კაცმა რომ თქვას, ნამდვილად როგორია? ვინ იცის!

— ჩემი გული თქვენკენ მოისწრაფვის. მე შემიძლია თქვენი გაგება — მეც ხომ მარტოსული ვიყავი. — მისს სპენსმა ხელი მუხლებზე დაადო ჰატონს, — თქვენ ისეთი მოთმინება გამოიჩინეთ... — კიდევ ერთი გაკვირვება. ქალი ისევ დამიზნებული და დამუქრებული იყო. — არასოდეს არ დაგიჩივლიათ, მაგრამ გატყობდით, კარგად გატყობდით.

— როგორ მახარებს, ასე კარგად რომ გამიგეთ. — ესე იგი âme incomprise[2] ყოფილა, — მხოლოდ ქალის ინტუიცია...

დაიქუხა, დაიჭექა. შემდეგ გრუხუნი სადღაც შორს მიწყდა. მხოლოდ წვიმა შრიალებდა ძველებურად. ჭექა ჰატონის სიცილი იყო — ჰიპერბოლიზებული და მატერიალიზებული. უეცრად ისევ ატყდა ქუხილი, ახლა მათ თავზე.

— ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ თქვენს არსებაში ბობოქრობს რაღაც ამ ქარიშხლის მსგავსი? — ჰატონი ვერ ხედავდა, მაგრამ წარმოიდგინა, როგორ გადმოიხარა ქალი მისკენ ამ სიტყვების წარმოთქმისას. — ვნება ადამიანს სტიქიონის ნაწილად აქცევს.

როგორი სვლა უნდა გაეკეთებინა ამჯერად? როგორც ჩანს, უნდა ეთქვა: — დიახ! და გადაედგა გარკვეული ნაბიჯი. მაგრამ უეცრად მისტერ ჰატონი შეშინდა. ლუდის ბოთლში ბუყბუყი დაიცხრა. ქალი მეტისმეტად სერიოზული იყო, მეტისმეტად სერიოზული. იგი შედრკა.

ვნება?

— ო, არა! — სასოწარკვეთილებამ ძალა შემატა და უპასუხა: — მე ვნება არ გამაჩნია.

მისი ნათქვამი ან არ გაუგონიათ, ანდა ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს. მისს სპენსი ისეთი აღმავალი გზნებით, ისე სწრაფად ლაპარაკობდა, ისეთი მხურვალე ინტიმურობით ჩურჩულებდა, რომ მისტერ ჰატონს უჭირდა სიტყვების გარჩევა. მგონი, თავის ცხოვრებაზე ყვებოდა რაღაცას. ახლა უფრო იშვიათად ელავდა და ნათელს უკუნი ჯაბნიდა. ჰატონი ყოველი გაელვებისას ხედავდა, როგორ მიზანდასახულად, როგორი მწვავე სურვილით შეპყრობილი ისწრაფვოდა ქალი მისკენ. სიბნელე, წვიმა, გაელვება. ქალის სახე სულ ახლოსაა, ძალიან ახლოს. ფერმკრთალ ნიღაბს სიმწვანე ერევა, ტუჩების ვიწრო ნაპრალი, სქელი წარბები. ნამდვილი აგრიპინაა, მაგრამ მოიცათ, სულაც ჯორჯ რობის[3] ხომ არ წააგავს?

მისტერ ჰატონი ერთმანეთზე უფრო სულელური გეგმების დაწყობას შეუდგა. წამოხტება, ვითომ ქურდი დაინახა — დაიძახებს, ჰეი, ქურდი, ქურდი! და დასაჭერად სიბნელეში გაუჩინარდება. ანდა იქნებ გულის შეტევა მოიგონოს? იქნებ პარკში აჩრდილი მოილანდოს, ემილის აჩრდილი? თავის გულუბრყვილო გეგმებში ჩაფლულმა ჰატონმა სათანადო ყურადღება ვერ

[1] ცნობილი მწერლის მ. მეტერლინკის მეუღლე, პარიზის კომიკური ოპერის მსახიობი.

[2] ადამიანი, რომელსაც ვერ გაუგეს, მარტოსული (ფრანგ.)

[3] ცნობილი კომიკოსი მსახიობი (1869-1954), რომელსაც „სიცილის პრემიერ-მინისტრს" ეძახდნენ.

მიაქცია მისს სპენსის სიტყვებს. ამიტომ მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა იგრძნო, რა გამწარებით ჩაფრენოდა ჯენეტი მის ხელს.

— მე თქვენ თაყვანს გცემთ ამისათვის, ჰენრი, — ამბობდა იგი.

თაყვანს მცემს? რისთვის?

— ჭორწინება წმინდა კავშირია და თქვენი მისადმი პატივისცემა, თუმცა ბედნიერი არ იყავით, თაყვანისცემისა და აღტაცების გრძნობას ბადებს ჩემში. ვერ ვბედავ გითხრათ ის ერთი სიტყვა...

ოჰ, სადა ხარ, ქურდო, პარკის აჩრდილო! მაგრამ უკვე გვიანია.

— ...მიყვარხართ, ჰენრი, ახლა ხომ თავისუფლები ვართ, ჰენრი?

თავისუფალი? სიბნელეში რაღაც ამოძრავდა და ქალი მისი სავარძლის გვერდით იატაკზე დაჩოქილი აღმოჩნდა.

— ოჰ, ჰენრი, ჰენრი, მეც ძალიან უბედური ვიყავი, — ქალი მოეხვია და მთელი სხეულით აცახცახდა. ჰატონი მიხვდა, რომ იგი ქვითინებდა. ეს ცრემლები უფლის წინაშე პატიების ვედრებას წააგავდა.

— ნუ ტირით, ჯენეტ, — სთხოვდა ჰატონი. — ცრემლები საშინელებაა, საშინელება. — ახლა არა, ახლა არა! დაწყნარდით, დაიძინეთ! — მან მხარზე ხელი მოუთათუნა, წამოდგა და თავი გაითავისუფლა ქალის მკლავებისაგან. ჰატონი რომ წავიდა, ჯენეტი ისევ სავარძლის გვერდით იატაკზე იყო მორთხმული.

სიბნელეში ძლივს იპოვა გასასვლელი, ქუდი არ უძებნია, ისე გავიდა სახლიდან. დიდი დაძაბვა დასჭირდა, რომ კარი უხმაუროდ მიეხურა. ღრუბელი გაფანტულიყო და კრიალა ცაზე მთვარე ანათებდა. გზებზე გუბეები დამდგარიყო. საწვიმარ მილებსა და არხებში წყლის ჩხრიალი ისმოდა. მისტერ ჰატონი ნიაღვარში მიაბიჯებდა და სულ არ ნაღვლობდა, რომ სველდებოდა.

რა გულის გამგმირავად ქვითინებდა ჯენეტი! ჰატონს სინანულისა და შეცოდების გრძნობა მოერია. ამას თან ერთვოდა აღშფოთებაც: რატომ ვერ შეძლო ამ ქალმა ეთამაშა მასავით გულგრილად, თავის გასართობად? კი მაგრამ, ხომ იცოდი, რომ ასეთ თამაშს ვერ მოახერხებდა, არც კი ეცდებოდა. იცოდი, მაგრამ მაინც შენსას განაგრძობდი.

რაო, რას ამბობდა ვნებასა და სტიქიონზე? რაღაცას მეტისმეტად ბანალურს, მაგრამ რეალურს, ნამდვილს. ქალი ელვით დამუხტული შავი ღრუბელი იყო, შენ კი პატარა, თაექარიანი, ბენჯამენ ფრანკლინის მსგავსად საჰაერო ფრანი აუშვი ღრუბლების შუაგულში, ახლა კი წუწუნებ, რომ შენმა სათამაშომ ელვა გამოიწვია.

ის ალბათ ისევ თავის ლოჯიაშია დაჩოქილი სავარძლის გვერდით და ტირის.

მაინც რატომ ვერ მოახერხდა თამაშის გაგრძელება? რატომ გიღალატა შენმა ჩვეულებრივმა უპასუხისმგებლობამ, რატომ მიგატოვა მარტოდმარტო ამ ცივ, მიუსაფარ სამყაროში? ვერც ერთ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობდა. უეცრად ერთი აზრი აუციმციმდა გონებაში — უნდა გაიქცეს, ახლავე უნდა დატოვოს აქაურობა.

IV

— რაზე ფიქრობ, ჩემო დათუნია?

— არაფერზე.

ჩამოვარდა სიჩუმე. მისტერ ჰატონი გაუნძრეველად იდგა, იდაყვებით ტერასის მოაჯირს დაყრდნობოდა, ნიკაპი ხელისგულებში ჩაერგო და ფლორენციას გასცქეროდა. მას ვილა ჰქონდა დაქირავებული ქალაქის სამხრეთით წამოყუდებულ ერთ მთაზე. პარკის განაპირას, შემაღლებული ტერასიდან მოჩანდა ვრცელი ნაყოფიერი ველი, იმის იქით მონტე-მორელოს შიშველი მთა, ხოლო აღმოსავლეთით თეთრი სახლებით შეხუნძლული ფიეზოლე.[1] ყველაფერი კრიალებდა და კაშკაშებდა სექტემბრის მზეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამე გაწუხებს?

— არა, არაფერი.

— მითხარი, დათუნია.

— რა უნდა გითხრა, ჩემო კარგო! — ჰატონი შეიშმუშნა, გაიღიმა და გოგონას ხელებზე მიეალერსა. — სჯობს, შინ შეხვიდე, უკვე სიესტის დროა. აქ ძალიან ცხელა.

— კარგი, ჩემო დათუნია, შენც შემოხვალ?

— სიგარეტს მოვწევ და შემოვალ.

— კარგი, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად მოსწიე შენი სიგარა, დათუნია, — იგი ფეხათრევით, უხალისოდ ჩავიდა კიბეზე და სახლისაკენ გაემართა. ჰატონმა განაგრძო ფლორენციის ჰვრეტა. მას მარტო დარჩენა ესაჭიროებოდა. ხანდახან დორისსა და მის დაუოკებელ ვნებას თავიც უნდა აარიდოს. თვითონ არასოდეს განეცადა უიმედო სიყვარულის ტანჯვა, სამაგიეროდ ახლა იტანჯებოდა სხვისი სიყვარულისაგან. ბოლო დროს თავს რალაცნაირად შეევიწროებულად გრძნობდა. დორისი განუყრელი იყო, როგორც მოუცილებელი ფიქრი, როგორც ცოდვისაგან დამძიმებული სინდისი. დიახ, სასიამოვნოა მარტო დარჩენა.

საფრთხის მოლოდინით შეპყრობილმა ჰატონმა კონვერტი ამოიღო და გახსნა. ძალიან კი ეზიზღებოდა წერილები — მათ ყოველთვის უსიამოვნო ამბები მოჰქონდათ, განსაკუთრებით მისი მეორე ქორწინების შემდეგ. ახლად მიღებული ბარათი ჰატონის დისა იყო. ჰატონმა სწრაფად ჩაიკითხა შეურაცხმყოფელი ფრაზები. ერთბაშად მოაწყდა გამოთქმები — „შეუფერებელი აჩქარება", „სოციალური კრახი", „ჯერ არ გაცივებულა საფლავში", „დაბალი კლასის წარმომადგენელი". ასეთი სიტყვები მოსალოდნელი იყო კეთილად განწყობილი და წესიერად მოაზროვნე ნათესავისაგან. მოთმინება აღარ ეყო და ის-ის იყო ნაკუწებად უნდა ექცია ეს სულელური ბარათი, რომ მოულოდნელად მესამე გვერდის ბოლოს თვალი მოჰკრა ერთ წინადადებას და გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ეს უკვე მეტისმეტია! ჯენეტ სპენსს ხმა გაევრცელებინა, ჰატონმა ცოლი მოწამლა, დორისის შერთვის უფლება რომ მოეპოვებინაო. რა საშინელი ბოროტებაა! მისტერ ჰატონი საზოგადოდ თავშეკავებული კაცი იყო, მაგრამ ახლა ბრაზისაგან აკანკალდა. ბავშვური კმაყოფილება იგრძნო, როცა სალანძღავი სიტყვები ამოაფრქვია — იგი მიწასთან ასწორებდა ჯენეტს.

ჰატონმა უეცრად იგრძნო, რა სულელურ მდგომარეობაში ჩააყენეს: თუ რომე კაცის კვლაზეც არ დაიხევდა უკან, ოღონდ დორისი შეერთო ცოლად. რომ იცოდეს იმ ხალხმა, როგორ ყელში ამოუვიდა ყველაფერი. საწყალი, სა-

[1] უძველესი ეტრუსკული ქალაქი იტალიაში, რომელიც ამავე სახელწოდების მთაზეა შენელილი.

ყვარელი ჯენეტი! ძალიან უნდოდა ძირი გამოეთხარა, მაგრამ მხოლოდ თავი გაისულელა.

ამ დროს მისტერ ჰატონს ფეხის ხმა მოესმა. მიბრუნდა და დაინახა, რომ მოსამსახურე გოგონა ხილს კრეფდა ბაღში. იტალიის ჩრდილოეთში, ფლორენციაში შემთხვევით მოხვედრილი ნეაპოლელი ქალი კლასიკური ტიპის ნიმუში იქნებოდა, ოდნავ მდაბიო იერი რომ არ ჰქონოდა. პროფილით დაცემის ხანის სიცილიური მონეტის გამოსახულებას ჰგავდა, მაგრამ [illegible] დდებულ ნაკვთებს თითქმის სრულყოფილი უტვინობის ბეჭედი [illegible] ანსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა მისი ტუჩები. ბუნებას ისინი კალიგრაფიულად ჩაეხატა გოგონას სახის უჯიათ გამომეტყველებაში. საოცრად უშნო შავ კაბაში ჰატონმა შეიგრძნო ქალის ზორბა, მკვრივი, ღონიერი სხეული. ადრე ჰატონი გოგონას ბუნდოვანი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ხოლმე. დღეს ეს ცნობისმოყვარეობა აშკარა ნდომად ჩამოუყალიბდა. ნამდვილი თეოკრიტეს იდილიაა! ეს კი ქალია, მაგრამ ვაი რომ თვითონ სულაც არ ჰგავს მწყემს ბიჭს, რომელიც ვულკანური წარმოშობის გორაკებზე აძოვებს თხის არვეს.

— არძიდა! — გასძახა მან.

საპასუხო ღიმილი ისე გამომწვევი იყო, ისე იოლად მისაწვდომს ჰგავდა ძისი შფლობელი, რომ ჰატონი დაფრთხა. ისევ ბეწვზე ჰკიდია მისი გამძლეობა. უკან უნდა დაიხიოს, სწრაფად, სანამ გვიან არ არის. გოგონა თვალს არ აშორებდა.

— Ha chiamato?[1] — იკითხა მან ბოლოს.

რა სჯობს, თავქარიანობა თუ გონიერება? ოჰ, ახლა არჩევანის დრო არ არის. როგორც ყოველთვის, ახლაც თავქარიანობამ გაიმარჯვა.

— Schendo[2], — გაეპასუხა ჰატონი. ტერასას ბაღისაგან მხოლოდ თორმეტი საფეხური ჰყოფდა. მან საფეხურები გადათვალა, ქვევით, ქვევით, კიდევ უფრო ქვევით... ჰატონს თვალწინ წარმოუდგა საკუთარი თავი — ჯოჯოხეთის ერთი წრიდან მეორეში ეშვება — ქარაშოტიან-სეტყვიანი ბნელეთიდან ლაფის მორევში ვარდება[3].

V

კარგა ხანს ეკავა ჰატონის საქმეს ყველა გაზეთის პირველი გვერდი. მას შემდეგ, რაც ჯორჯ სმიტმა[4] აბაზანაში ჩაახრჩო თავისი მეშვიდე საცოლე და დროებით ევროპის ომიც კი დაავიწყა ხალხს, ასეთი სენსაციური მკვლელობა არ მომხდარა. საზოგადოების ფანტაზიას ფრთები შეასხა მითქმა-მოთქმამ ბოროტმოქმედებაზე, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოქონა. როგორც ჩანს, ამგვარი შემთხვევები თავისი იშვიათობით იქცევენ ყურადღებას და აძტკიცებენ, რომ განგების ნება ყოველთვის შეუცნობელი არ არის. კაცს აკრძალულმა ვნებამ უბიძგა ცოლის მოკვლისაკენ. ეს ცოდვიანი რამდე-

---

[1] მეძახდით? (იტალ.)

[2] მოებრიეარ (იტალ.).

[3] რემინისცენცია დანტეს „ჯოჯოხეთიდან".

[4] ჯორჯ სმიტმა (1872-1915) აბაზანაში ჩაახრჩო თავისი სამი ცოლი. სმიტის პროცესი გაიმართა 1915 წლის 3 ივნისს.

ნიმე თვე დადიოდა ამქვეყნად და თავი სამშვიდობოს ეგონა — თავისსავე დაგებულ მახეში კი გაება. მაგრამ მკვლელობა არ დაიმალება და აი, საბუთიც. გაზეთების მკითხველები მზად იყვნენ თვალი ედევნებინათ ღვთის მსახვრალი ხელის მოქმედებისათვის. ჯერ მეზობლებში გავრცელდა ბუნდოვანი ჭორი. ბოლოს პოლიციაც ჩაერია საქმეში. ამოთხარეს გვამი, გაკვეთეს, წინასწარ გამოიძიეს, ექსპერტებმა დაადგინეს, მცირე ეიურიმ ვერფერი [illegible] მოიტანა, შედგა სასამართლო, გამოიტანეს განაჩენი. განგებამ კიდევ [illegible] აშკარად, მოურიდებლად, კაცთა ჭკუის სასწავლებლად აღასრულა თავისი ვალი, როგორც მელოდრამაში ხდება ხოლმე. გაზეთების რედაქციები სწორად იქცეოდნენ, როცა მთელი სეზონის განმავლობაში ძირითადად ამ ამბით კვებავდნენ საზოგადოებას.

თავდაპირველად ჰატონი საშინლად აღშფოთდა, როცა იტალიიდან გამოძახების შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს. რა შემზარავი, სკანდალური ამბავია, რომ პოლიცია ასეთ უსაფუძვლო, ღვარძლიან ჭორს სერიოზულად აღიქვამს. როცა ძიება დამთავრდება, პოლიციის კომისარს შეთითხნილი საქმის გამო ეჩივლებს, ხოლო იმ დედაკაცს სამართალში მიაცემინებს.

მერე ძიება დაიწყო და მოულოდნელად გასაოცარი მხილებანი გაიხსნა. ექსპერტებმა გვამში დარიშხანის კვალი აღმოაჩინეს. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განსვენებული ქალბატონი ჰატონი დარიშხანით იყო მოწამლული.

დარიშხანი... როგორ, ემილი დარიშხანით მოიწამლა? გაოცებულ მისტერ ჰატონს აუხსნეს, სათბურებში ისეთი რაოდენობით გქონდათ შენახული მწეერების მოსაწამლი დარიშხანიანი ნივთიერებანი, მთელ არმიას მოუღებდა ბოლოსო.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდა მისთვის ნათელი, რომ მკვლელობაში ედებოდა ბრალი. მონუსხულივით შესცქეროდა, როგორ იზრდებოდა და იზრდებოდა ფაქტების რიგი ტროპიკული მცენარის მსგავსად, გარს ერტყმოდა, ეხვეოდა. მოულოდნელად მისტერ ჰატონი ულრან ტყეში გზადაკარგული აღმოჩნდა.

როდისა აქვს მიღებული საწამლავი? ექსპერტები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ქალბატონ ჰატონს დარიშხანი მიეღო სიკვდილამდე რვა-ცხრა საათით ადრე. ნუთუ ლანჩის დროს? გამოიძახეს კლარა, მოსამსახურე გოგონა, ქალბატონმა ჰატონმა, გაიხსენა მან, წამლის მოტანა მთხოვა, ბატონმა თვითონ ისურვა წამლისთვის წასვლა. ჯენეტ სპენსმა (აჰ, ის ქალიშვილი! ჰატონს კარგად ახსოვდა ქალის აღელვებული და გაფითრებული სახე! რა შემაძრწუნებელი გამომეტყველება ჰქონდა), დიახ, ჯენეტ სპენსმა დაადასტურა კლარას განცხადება და დაუმატა, რომ მისტერ ჰატონს წამალი შუშით არ მოუტანია — თვითონვე გადმოესხა ღვინის ჭიქაში.

ახლა კი დაცხრა ჰატონის აღშფოთება. იგი დადარდიანდა, შეშინდა. ზღაპრივით ამბავი იყო, თითქოს სერიოზულად ვერც მიიღებდა კაცი, მაგრამ ეს კოშმარული ფაქტი მაინც არსებობდა. ყველაფერი რეალურად ხდებოდა.

მაკ'ნაბმა თქვა, ხშირად ვხედავდი, როგორ ეალერსებოდნენ მისტერ ჰატონი და გოგონა ერთმანეთსო. მისიზ ჰატონის სიკვდილის დღეს ეს წყვილი სასეირნოდ წავიყვანე და ხან ქარსაცავ მინაში ვხედავდი, ხან კი ცალი თვალით ვუთვალთვალებდიო.

მერე წინასწარი გამოძიებაც დამთავრდა. იმ საღამოს დორისი თავატკივე-

ბული წავიდა დასაძინებლად. ჰატონი სადილის შემდეგ ავიდა მასთან. დორისი ტიროდა.

— რა დაგემართა? — მისტერ ჰატონი საწოლზე ჩამოუჯდა ცოლს და თმაზე ხელი გადაუსვა. ქალი დიდხანს არ პასუხობდა და ჰატონი ანგარიშმიუცემლად, თითქმის შეუცნობლად განაგრძობდა ალერსს. ხანდახან იხრებოდა და შიშველ მხარზე კოცნიდა კიდეც. მას საკუთარი საქმეები ჰქონდა ასაწონ-დასაწონი. მაინც რა მოხდა? როგორ მოხდა, რომ სულელური ეჭვი მართალი გამოდგა? ემილი დარიშხანითაა მოწამლულიო. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, აბსურდია. ლოგიკის კანონი დაირღვა და უპასუხისმგებლობის მარწუხებშია მოქცეული. მაინც რა მოხდა, კიდევ რაა მოსალოდნელი? ფიქრებში წასული ჰატონი უეცრად გამოაფხიზლეს:

— ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი ბრალი! — აზლუქუნდა დორისი, — არ უნდა შემეყვარებინე და შენთვისაც არ უნდა მომეცა ჩემი შეყვარების უფლება. ღმერთო, რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე!

მისტერ ჰატონმა არ უპასუხა, მხოლოდ უსიტყვოდ დახედა ლოგინზე დამხობილ გასაწყლებულ სხეულს.

— რამე რომ შეგამთხვიონ, თავს არ ვიცოცხლებ!

დორისი ლოგინში წამოჯდა. ისეთი გაშმაგებით შეაცქერდა ქმარს შორიდან, თითქოს უკანასკნელად ხედავდა.

— მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ! — ქალმა თავისკენ მიიზიდა მოდუხებული, უსიცოცხლო სხეული, მაგრად მიიკრა, მოეხვია. — არ მეგონა, ასე თუ გიყვარდი, დათუნია, მაგრამ მაინც რატომ, რისთვის გააკეთე ეს?

ჰატონმა დორისის შემოჭდობილი ხელები მოიშორა და წამოდგა. სახეზე ალმური მოსდებოდა.

— ესე იგი, შენ ნამდვილად გჯერა, რომ მე მოვკალი ჩემი ცოლი, არა? — წამოიძახა მან. — რას მიედ-მოედები? ვერ გავიგე, ვინ გგონივარ, ფილიპის გმირი? — ჰატონს მოთმინების ფიალა აევსო. მთელი დღის ნაგროვები ბრაზი, შიში და გაღიზიანება ამ ქალს დაატეხა თავზე მრისხანებად. — რა უტვინობაა! თუ გაქვს წარმოდგენა ცივილიზებული ადამიანის გონებრივ დონეზე? განა მე მკვლელს ვგავარ? ხომ არ გგონია, ისე გაგიჟებით მიყვარდი, რომ შენი გულისთვის რაიმე სისულელეს ჩავიდენდი. როდის მიხვდებით ქალები, რომ ასეთი სიყვარული არ არსებობს. კაცი ოჯახში სიმშვიდეს ეძებს, თქვენ კი ამის საშუალებას არ იძლევით. ახლაც არ მესმის, რა ეშმაკმა მაიძულა შენი შერთვა. ეს ხომ მტკნარი სისულელე იყო, უშნო ხუმრობა და მეტი არაფერი. შენ კი მეუბნები, რომ მკვლელი ვარ. არა, ეს უკვე მეტისმეტია.

მისტერ ჰატონი მტკიცე ნაბიჯით გაემართა კარისაკენ. გრძნობდა, რომ საშინელება წამოროშა. ისიც იცოდა, ახლავე რომ უნდა გადაეთქვა ყველაფერი, მაგრამ მონანიების ნაცვლად კარი გაიჯახუნა.

— დათუნია! — ჰატონმა კარის სახელური შემოაბრუნა და საკეტის ენამ ბუდეში გაიჩხაკუნა. — დათუნია! — ჩაკეტილი ოთახიდან ტანჯვით აღსავსე ხმამ გამოაღწია. მიბრუნდეს თუ არა? აუცილებლად უნდა მიბრუნდეს. ჰატონმა ერთი კი შეავლო ხელი სახელურს, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და სასწრაფოდ მოსცილდა იქაურობას, კიბე სანახევროდ ჩავლილი ჰქონდა, როცა შეეჭვდა თავისი საქციელის სისწორეში. რაიმე არ აუტეხოს თავს, გაიფიქრა. ყური მიუგდო, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა. მისტერ ჰატონს თვალწინ დაუდგა დორისი—აი, იგი ფეხაკრეფით მიდის ფანჯარასთან, რაც შეიძლება მა-

ღლა სწევს ჩარჩოს და ღამის სიგრილეში გადაეყუდება. ოდნავ წინწკლავდა. ფანჯრის ქვეშ ტერასა ქვით იყო მოპირკეთებული. ნეტა რა სიმაღლეა? ალბათ რვა-ცხრა მეტრი იქნება. ერთხელ პიკადილიზე მისეირნობდა და დაინახა, რომ „რიცის" მეოთხე სართულიდან ძაღლი გადმოხტა. ხედავდა, როგორ მოფრინავდა ჰაერში, ქვაფენილზე დაცემის ხმაც გაიგონა. მიბრუნდეს თუ არა? წყეულიმც იყოს, თუ დაბრუნდეს! ჰატონს ეზიზღებოდა დორისი.

იგი დიდხანს იჯდა ბიბლიოთეკაში. მაინც რა მოხდა! ან ახლა რალა ხდება! გაუთავებლად იმეორებდა გონებაში ერთსა და იმავეს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. ნუთუ ღამის კოშმარი აუცხადდება? სადღაც სიკვდილი იყო ჩასაფრებული. თვალები ცრემლებით აევსო. ძალიან უნდოდა სიცოცხლე. — კარგია, ცოცხალი რომ ხარ, — საწყალი ემილიც ასე ამბობდა, გაახსენდა მას. კარგია, ცოცხალი რომ ხარ. რამდენი ქვეყანაა სანახავი ამ საოცარ სამყაროში, რამდენი მომხიბლავი ადამიანია გასაცნობი, რამდენ მშვენიერ ქალს არ შეხვედრია ჯერ. ისევ შეაბამენ ურმებში ზორბა ხარებს და გაუყენებენ ტოსკანის გზას. წერწეტი კვიპაროსები ისევ აიყრიან ტანს ლურჯი ცისაკენ. ის კი ვეღარაფერს დაინახავს. ტკბილ სამხრეთულ ღვინოებს — „ქრისტეს ცრემლებს" და „იუდას სისხლს" სხვები დალევენ. ლონდონის ბიბლიოთეკის წყნარსა და ვიწრო წიგნთსაცავებში სხვები შეისუნთქავენ დიდი ლიტერატურის ბტვრის სურნელს; სხვები დააკვირდებიან უცხო სათაურებს, გაეცნობიან ახალ-ახალ ავტორებს. თვითონ კი ამ დროს მიწაში დალპება. მაინც რისთვის, რისთვის? შეცბუნებული მისტერ ჰატონი უეცრად მიხვდა, რომ რაღაც უცნაურმა სამართლიანმა ძალამ დასაჯა. წინათ თვითონ იყო თავაშვებული, თავქარიანი და უპასუხისმგებლო. ახლა მას ბედისწერა ექცეოდა თავაშვებულად და უპასუხისმგებლოდ. კბილი კბილისა წილ. ბოლოს და ბოლოს ღმერთი, მგონი, მართლა არსებობს.

უეცრად ლოცვა მოუნდა. ორმოცი წლის წინ ის ყოველ საღამოს იჩოქებდა საწოლის გვერდით. მწუხრის ლოცვის სიტყვები დაუპატიჟებლად შემოიჭრა მეხსიერების რომელიღაც დიდი ხნის წინათ დახშული სარკმლიდან. „ღმერთო, მიცოცხლე დედა და მამა, ტომი. სისი და ბეიბი, მადმუაზელი და ძიძა, ყველა, ვინც მიყვარს. გამზარდე კარგი ბიჭი. ამინ". ახლა არც ერთი ცოცხალი აღარ არის, არც ერთი, გარდა სისისა.

ჰატონი უეცრად მოეშვა. ფიქრმა მდორედ იწყო დენა. მის სულს დიადი სიმშვიდე დაეუფლა და დორისთან ავიდა პატიების სათხოვნელად. დორისი ტახტზე იყო დამხობილი. მის გვერდით, იატაკზე, ეგდო თხევადი მალამოს ლურჯი ბოთლი წარწერით: „არ დალიოთ!" ეტყობოდა, ნახევარი მაინც ექნებოდა დალეული.

— მე შენ არ გიყვარდი... — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა დორისმა, როცა თვალები გაახილა და მისკენ დახრილი ჰატონი დაინახა.

ექიმმა ლიბარდმა დროზე მოუსწრო და ამ ამბავს სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია.

— ასეთი რამ აღარ გაიმეოროთ, — უთხრა მან დორისს, როცა ჰატონი ოთახიდან გავიდა.

— ვისთვისღა უნდა ვიცოცხლო? — გამომწვევად იკითხა მან.

ექიმმა ლიბარდმა ქალს მიაპყრო თავისი ფართო, სევდიანი თვალები.

— არავისთვის, — უპასუხა მან. — მხოლოდ თქვენთვის და თქვენი შვი-

ლისათვის. რა უბედო ყოფილა თქვენი შვილი. მხოლოდ იმიტომ უსპობთ სიცოცხლეს, რომ ამქვეყნიდან გინდათ წასვლა.

დორისი ერთხანს დუმდა.

— კარგი, — წაიჩურჩულა ბოლოს, — მეტს აღარ ვიზამ.

მისტერ ჰატონი მთელი ღამე სასთუმალთან უჯდა დორისს. თან იმის დაჯერებასაც ცდილობდა, რომ უყვარდა ეს საცოდავი არსება, საავადმყოფოში მჯდომს ჩაეყვინთა. მერე გამოფხიზლდა გაყინული და გაშეშებული. ეგონა, რომ გამოიფიტა. როგორც ყოველგვარი ძლიერი განცდის შემდეგ იგი დაღლილ და ტანჯულ ლეშად იქცა. დილის ექვს საათზე რამდენიმე საათით დასაძინებლად წავიდა. იმავე დღეს მცირე ჟიურიმ „წინასწარგანზრახული ძკვლელობა" დაადგინა და საქმე სასამართლოს გადასცა.

VI

ჯენეტ სპენსი მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდა თავს. სასამართლოში ჩვენების მიცემამ ისე გადაღალა, რომ როცა ყველაფერი დამთავრდა, სულ ძოდუნდა, ძილი გაუტყდა და კუჭის მოქმედება მოეშალა ნერვიულობისაგან. ექიმ ლიბარდს ყოველდღე ეძახდნენ. ჯენეტი მას ძალიან ბევრს ესაუბრებოდა, უმეტესად — ჰატონის საქმეზე. საშინლად აღელვებდა ამ შემთხვევის ზნეობრივი მხარე. ხომ შემზარავია იმის წარმოდგენა, რომ სახლში მკვლელი დაგიდის? ხომ დაუჯერებელია, რომ ამდენ ხანს ვერ იცნო ადამიანი? (თვითონ ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა ამ კაცს). ის გოგო კი, რომელთანაც გაიქცა, ისეთი დაბალ წრიდანაა, მეძავობას აღარაფერი უკლია. მასში ზიზღი გამოიწვია ახალმა ამბავმა, რომ რიგით მეორე ქალბატონი ჰატონი ფეხმძიმედ იყო სიკვდილმისჯილი და უკვე იმ ქვეყანას გამგზავრებული ბოროტმოქმედისაგან. ეს სკანდალია, ეს გარყვნილებაა! ექიმი ლიბარდი მშვიდად და გაფანტულად პასუხობდა და დასაძინებელ წამალს უწერდა.

ერთ დილას მან შუაზე გააწყვეტინა ჯენეტ სპენსს მისი ჩვეულებრივი ტირადა.

— სხვათა შორის, — წარმოთქვა ექიმმა ხავერდოვანი, მელანქოლიური ხმით, — მე ვფიქრობ, რომ მისიზ ჰატონი თქვენ მოწამლეთ.

ორიოდე წამი ჯენეტ სპენსი ექიმს გაფართოებული თვალებით შესცქეროდა, შემდეგ კი წაიჩურჩულა:

— დიახ, მე მოვწამლე.

ამის თქმა და ტირილის დაწყება ერთი იყო.

— ყავაში ჩაყარეთ, არა?

ჯენეტ სპენსმა თავი ოდნავ დააქნია. ექიმმა ლიბარდმა ქალმისტარი მოიმარჯვა და თავისი ლამაზი, წვრილი ხელწერით დასაძინებელი წამალი გამოუწერა.

□

კლავს ელსბერგსი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა რენე კალანდიამ

●

ჰა ბრბო ქალაქის ცენტრში
ცეცხლიყლაპიით წრეში

გაქვავებული ვუმზერ —*
(ერთ-ერთი ამ სამებიდან —
პირველი — წარმოსახვაა. მეორე არის
სიგიჟე, ხოლო მესამე — მე (ვარ)
ვუმზერ უძირო ხახას

აი პრომეთე პირიქით
დაკნინებული კლოპსტერი**

შენი უკბილო ოხუნჯობანი ისე ბრტყელი
და სულელურია
რომ უნებლიეთ ტირილი მინდა

მე უშენოდაც ჩავქრები და დავიშრიტები
უკულმა პრომეთევ

●

იქ სადაც ჯაჭვი იკლაკნება მატარებლების
სადაც ქამისებრ მიეთრევა სუსხიან ღამით
ეგ მწვანე თანაც გამურული ღამის მატლები
სადაც გრუხუნით მიღოღავენ მატარებლები

იქ რკინიგზასთან გზის ნაპირას ოცნება ჩემი
ჩამოხრჩობილი კონწიალობს ქანაობს ქარში

---

* თარგმანში დაცულია დედნის პუნქტუაცია.

** იგულისხმება ოიარს ვაციეტისის საბავშვო პოემა შლოპსტერ-კლოპსტერის შესახებ, რომელმაც მთვარე გადაყლაპა (მთარგმ. შენიშვნა).

გათოშილი და უკვე სრულად გამკვრივებული
ისე რომ გზარავს შიში ვინმე არ შემოგაკვდეს

და რომ არ მოხდეს ეგ უაზრო საშინელება
ჩვენ დავუძახოთ სანტა კლაუსს დაე მოვიდეს
წაიღოს თან და შეინახოს ძალიან დიდხანს
სიცივის ტევრში განწირული ოცნების გვამი

მგელი

x რომაელები

თუ სამყაროში დარჩება
მარტოოდენ ერთადერთი რუხი მგელი
და თუ იგი შეეჯვარეთ
სხვადასხვა ჯიშის
ლეკვებთან

ჩვენ მივიღებთ ყოველივეს რაც კი
გნებავთ
მაგრამ მგელი არ გამოვა

x რომაელნი არ გვაპატიებენ

მე არ გირჩევთ არ გირჩევდით
რომაელთა გაღიზიანებას

x მგლის აწმყო

იგი წუხს და იტანჯება
ტოტალური იარაღის
და საბრძოლო მასალის
უკმარობა — სიმცირე — სიმწირე —
დანაკლისისგან

x მომავალი

ნორმალურ ვითარებაში
ადამიანი
იცოცხლებს უფრო დიდხანს
ვინემ მგელი
მაგრამ შესაძლებელია ისეც მოხდეს
რომ მგელმა
ვერ მოასწროს
დაღუპვა.

ვაზა*

მე მავანი შემაწუხებს; დავახეთქებ აქ —
მიწაზე ამ ვაზას. მაგრამ მართლაც შესაძლოა,
მისგან გამოსულიყო — ვაზა ულამაზესი — სადაც მკვდრის სულს
ჩაუფენდნენ მოუწყვეტელ გვირილების ფურცლებს. აწ, წყვდიადში
აღარ ძალგვიძს ჩვენ გარჩევა შტრიხებისა,
რომლებითაც ვაზა იგი დაამშვენა ბავშვმა.
ბალღის გზიდან გარდაცვლილის სულის გზამდე
დაილეწა
მერამდენე ვაზა

ტკივილიდან ტკივილამდე დაბედებულ გზაზე
გამობრწყინდა საკვირველი ყვავილი.
ყველასათვის საერთო ზომიერების საზღვართან მე კბილს კბილზე ვაჭერ.

* ამ შემთხვევაში აღებული სინონიმის უპირატესობა (ლარნაკთან), ლექსის ლატვიურმა სახელწოდებამ (Vaza) განაპირობა.

●

ანეკდოტებს მოვყვებოდი, მაგრამ
ვიცი, ჩემო გვრიტო,
მარტოოდენ ძველი, თანაც უწმაწური.

თავს ცხენივით ვაქნევ, ვფიქრობ თუ
ვმკითხაობ,
ნეტავ, რა სურს ამ ქალბატონს,
რას ინახავს იგი,
ეგრეთწოდებული სულის
გულგრილ მედალიონში?

ჰოდა მიმყავს ქალბატონი შამპანურის
დასალევად
საზაფხულო პავილიონს მივაშურეთ
მიმყავს როგორც იშვიათი მხეცი
ცხოველური მორჩილებით ჩემს
ნაკვალევს მოჰყვება
მე იგი მსურს
იგი მეიმედება
მაგრამ მან ეს ყოველი
იცის უკვე რახანია.

●

ცარიელ დუბულტის ბარში*
მსუბუქი და თანაც ნელი მოძრაობით
მე შევჭამე გაელვება
უზარმაზარ ფანჯრის მილმა
თოვლზე მზერის ჟამს

„გარეთ ცივი ზამთარია
მაგრამ ჩემში ანათებს ათინათი მზისა“
ამნაირი ფიქრით მივჩანჩალებდი თუ
მივლოლავდი
ოთახისკენ
მე ფრანგების სამწყემსავად**

და იყო მხოლოდ სიმარტოვე
უსაშველო მარტოობა

აწ გარდასულ გალების მეამბოხე
სულთა შორის
და ვიყავი ვარსკვლავივით
როცა იგი გულის ნადებს გადაუშლის
შორეთისკენ აჩქარებულ სხივებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

სარკმლის მილმა სიცივეა
მაგიდაზეც ცივა
და ანათებს ნათურა როგორც თვალი
მგლის ლეკვისა

ელნათურის ზემოთ ვითბობ ხელს
რათა თავზე გადავუსვა
თუკი ვიგრძენ მზერა ნაღდი მოკეთისა

მოდის ერთი მეგობარი
გაფუყული გაყინული
ჩემს ხელს შენთვის არ სცალია
შენ თავადაც გადაისვამ

●

მოევლინა შექმნილია
არის ბალღი ასეთი
და ჭყივილით გეძებს

აი უკვე მერამდენედ
ჩიტუნია — სასტვენს იღებ
გაჩუმდა და გაიფურჩქნა

რა კარგია იგი
თან ყოველთვის მზად არის
დაივიწყოს გაბრიყვება

აჰა ნდობით ჩაეჭიდა კაბის კალთას
ბალღი
როგორც ზღვის ფსკერს პაწაწინა
თვალციმციმა კიბორჩხალი

---

* დუბულტში (იურმალა) იმყოფება მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლი.
** პოეტი ინტენსიურად თარგმნიდა ფრანგული პოეზიისა და პროზის ნიმუშებს.

●

ხედავ
იქ გაბობღდა ხანი
უზარმაზარ მგუდავივით

ღამღამობით
ის გვაწვება
ზემოთ შემდეგ დიდხანს გვახრჩობს
თანაც ძალზე მარჯვედ

ჩვენ ვბერდებით
მაგრამ მაინც
ღამღამობით

ვინაიდან დღისით ეს არ არის საჭირო
ჩვენ ხომ დავინახავდით თუ რა ხდება
და როგორ ხდება

თვით ჩვენთვისაც ეგ
იქნებოდა მეტისმეტი

ძიებანი

1

იმ ჩამონგრეულ სილის გვირაბს ქვეშ?
იქ არაფერი არ არის ჩემი.

იქ, იმ ტუტუცი ღრუბლების ჯოგში?
იქაც არ არის მეობა ჩემი.

აქ კი — ბალღსა და ბერიკაცს შორის?
ჯერაც არ არის არსება ჩემი.

2

მე თავად ჩემი ვაჟი მომნახავს
მრჩება იმედი
მაგრამ იგი ხომ უპირველეს ყოვლისა
მაინც საკუთარი თავის ძიებით
მწამს რომ იქნება დაკავებული
ვიცი
მაშინ კი შესაძლებელია რომ სხვა
ვინმემ დამიწყოს ძებნა
მჯერა
რაღაცას მართლაც ალმოაჩენს
მრჩება იმედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მე გამყავს ხაზი ქაღალდის ფურცელზე.
———————————

მე გამყავს ხაზი ქაღალდის ფურცელზე.
———————————

ხაზი სწორია: ———————————.
ხაზი ლამაზია: ———————————

მე გამყავს ხაზი ქაღალდის ფურცელზე,
ხაზი შენამდე მიდის.
მე ვკითხულობ და ვკითხულობ ლოცვას,
ლოცვას ვკითხულობ შენზე.

სხვა არაფერი შემიძლია და
მე გამყავს ხაზი ქაღალდზე.

მე ველოდები და ველოდები.
———————————

პალატის კართან ვიცდი.
———————————

განა არაა მზიანი ჟამი?

ვიცდი და ვიცდი.

დაე, ძვირფასი ჩემი დღეს გადარჩეს
მშვიდობიანად.
რამდენი ვინმე არის ამქვეყნად კარგად,
ძალიან კარგად.

□

ალექსეი ტოლსტოი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **აპოლონ ადონიამ**

●

ეზოში ისევ ღელავს ავდარი,
გარინდულია სახლი;
სარკმლიდან მოჩანს ნისლში ჩამდნარი,
ჩამუქებული ბაღი.

ცა არის ბნელი, ძალიან ბნელი,
ვარსკვლავებს ალბათ სძინავთ.
მშობლიურ სახლში დადის ნაღველი
ღამეულ ავდრის წილად.

წვიმა სახურავს სცემს, არაზრაზებს,
თრთიან ჭაღები ბროლის.
თაგვები დგამის უკან ქაღალდებს
ღრღნიან მომგვრელად ჟრჟოლის.

მალე მოკვდება სახლის პატრონი,
ისინი გრძნობენ ამას...
სამყოფს დასტოვებს მისი გვარტომი,
შეეხიზნება ქალაქს.

მოიცავს სუსხი, წალეკავს ფითრი
კედლების ფერთა გამას...
ო, რა ძნელია ამაზე ფიქრი
ღამეულ ავდრის ჟამად!

●

ოღროჩოღრო და ჩეფენილ შარას,
მესათხევლეთა ბადეებმიყრილს, —
სამგზავრო ეტლი მიჰყვება წყნარად,
ეტლში მე ვზივარ, მოცული ფიქრით.

ვზივარ, გავყურებ გზას მოწყენილად,
დღეა ნესტით და ბურუსით მთვრალი;
ტბის ნაპირებზე მიმოფენილა
შორი სოფლიდან მოსული კვამლი.

ჯებირს პირქუში ჩასდევს ურია,
ჩამოფლეთილი, წვერგაბურძგვნილი.
ტბაზე ქაფია და ხმაურია,
წყალი ხერგს მიღმა გადის შხუილით.

იქ ბავშვი უკრავს სალამურს შვებით
მწვანე ლერწმების ტევრში შემძვრალი.
ტბაზე იხვების გადადის წყება
ვახვახით მღვრიე სივრცის შემძრავი.

აქეთ წისქვილი ჩანს დანჯღრეული,
მოლზე წრიულად სხედან გლეხები.
ფორანით, გვერდებგამორღვეულით,
საფქვავს მიათრევს ცხენი ბეხრეკი.

ახლობელია ჩემთვის ყოველი,
თუმც არ ვყოფილვარ აქ მე არასდროს;
სახურავები ნესტით სოველი,
ბავშვი, წყლის სუნთქვა... სივრცე
საავდრო.

გლეხები, ცხენი, წისქვილი ტბასთან.
ველზე ძველი და დაშლილი კალო, —
ეს ყველაფერი მინახავს სადღაც,
გადამავიწყდა შემდეგ უბრალოდ.

ასე ადგამდა ცხენუკა ფეხებს,
ამნაირადვე მიჰქონდა ტვირთი, —

ველზე გლეხები ისხდნენ და გლეხებს
პირზე ეხატათ ჯანღი და ხვითქი.

ასე ჩასდევდა ურია ფერდობს,
ასე წყლის ჩქაფანს უსმენდა ლოდი...
ეს ყველაფერი მინახავს ერთ დროს,
ოღონდ არ მახსოვს სად, ანდა როდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ქვეყნიერების სული ცაში დაფრენდა წყნარად,
უმძიმეს ხვედრით დალონებულ თვალს დაბლა ხრიდა;
ეწვეთებოდა მისი ცრემლი ვარსკვლავებს მარადს
და ნათელ სხივთა ეხვეოდა მას მწკრივი წმინდა.

ეკითხებოდნენ გზად შემხვედრი მთიებნი ჩუმად:
რად ნაღვლიანობ, რად გდის ასე ცრემლები ცხარე?
ის პასუხობდა: ვერ ვივიწყებ მიწიერ ზრუნვას,
ბევრი წუხილი, ბევრი ტანჯვა დამრჩა იმ მხარეს...

აქ მხოლოდ ნეტარ სახეებს ვმზერ სამოთხის წრეში,
აქ არ იცნობენ დარდ-სიავეს და სიუხეშეს!
დამბადებელო, დამაბრუნე კვლავ სიცოცხლეში,
იქ ისევ ვინმეს შევიბრალებ და ვანუგეშებ...

●

საგანგიოს ბჭესთან მოგროვდა ხალხი ერთად,
ჯგროდ;
სწუხან რომ უჭირთ, რომ დაუდგათ ცარიელი კუჭის
დრო.
— სულელებო! — ამბობს განმრიგე, — თქვენი აწ თქვენივე გაიგეთ
ზადი.
ჩვენ სათათბიროში წუხელ გვეჩვენა ძალიან მწუთხე
თართი.

ბაზრისკენ მიდის გლეხი, მდინარე მოღელავს გრეხით,
კმარა!
ფურგონით მიმაქვს ძენძი, ხიდზე გადავალ ბღენძით,
მა რა!
განმრიგეს ნათელი გონი აქვს, ხიდი შენ ხომ არ გგონია
ნიყვი?
მდინარეს ცურვითაც დასძლევ, ასე ნებივრობს წყალზე
იხვი.

ვასია ვოლოჩკინს ფრთამალი მოჰპარა ქურდმა ყმამალი
ბატი;
ტილოს ნაჭერში გაჰხვია, დარაჯმა გასცა. — ახია!
წადი!..
ტილოც ვასიას ყოფილა, განმრიგეს შვება მოჰფინა
ამან, —
თვით ვასიაა ქურდი, ქურდს მოეწვება კუდი —
სთქვა მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიდა ერთი სნეული განმრიგესთან და ძლეული
ჩივა:
— მეწვის შიგანი სულმთლად, დილითაც ველარ ვსუნთქავ,
მტკივა...
მიჭირს წოლაც და ჯდომაც, სულ აღარ ძალმიძს ბლომად
ჭამა. —
განმრიგე ბრაზობს: ხედავთ, უჭირს თქვლეფა და ხეთქვა
ამას!?

უხმობს განმრიგეს მსაჯული, — თქვენა ხართ ყველა ტანჯულის
მხსნელი;
ხურდა ფული მაქვს ხურჯინით, ერთობ მძიმე და დუხჭირი,
ბევრი!
ჩაგიჩხრიალებ რაც ჩავა თალფაქში დასახარჯავად
მარჩილს, —
აქ კი განმრიგემ ხელმარდად მოიშვლიპა და შემართა
ჩაჩი.

სხვისი დარდი

ბა; გოლიათი დაბურულ ტყეში
მიდის, ალვირი უპყრია ხელში;
მუზარადის და ჯავშანის ეშხით
ირწევა ცხენზე და ერთობ უკვირს;
„ჩემთან რა უნდა დარდსა და წუხილს!“

მიდის ჩორთით და გზის გამოგნებით,
ახმაურებენ ფესვებს ფლოქვები...
მუხიდან ვილაც ზურგს უკან ცხენზე
მოახტა უცებ ვით ყოვლის შემძლე.
ყვირის რაინდი:—ვინ ხარ, რას ეძებ?!—

სინჯავს ცხენის ზურგს, ტახტას,
უნაგირს
შფოთიან მზერით და საზრუნავით, —
მაგრამ პასუხი ტყდება რტოსავით:

— ახლობელი ვარ სამკვიდროსავით,
მე ვარ ნაღველი იაროსლავის! —

— შენს თავს იტყუებ! — ამბობს
ღიმილით
რაინდი ესე, — რის სიმძიმილი!
შენ რა გაქვს მაინც იაროსლავის?
მისი საფლავი ტაძარში არის,
ცად დაფრენს დარდი კიევის
მთავრის!

გზას მიუყვება ზათქით, ზრიალით,
თანამგზავრს აღარ კიცხავს ჭკვიანი, —
მაგრამ ვილაცა კვლავ გამძაფრებით
ცხენს მოახტება სხვაგვარ აღგზნებით
და ამბობს ვარო,—დარდი თათრების,—

გზაზე დანავსულ დღეს გამოვედი
და იგავებით მაწამებს ბედი.
რა გირჩებს მაყრის მკაცრი ამინდი? —
თავს ხრის და ასე ამბობს რაინდი.
ცხენი კი ახლა ნაბიჯით მიდის.

თანდათან უფრო დამძიმდა გული
და ბარდ-ბუჩქნარებს ბორძიკით უვლის,
მაგრამ ვილაცა დაეშვა ვარდნით!
— კვლავ ვინ ეშმაკი მეწვია მარდი? —
— მე ვარ ივანე მრისხანეს დარდი! —

— ხედავთ, უნაგირს გაუჩნდა ბზარი!
ძირს ყველა ერთად, მომერღვა მხარი! —
— არა, რაინდო! მოვთავსდით ლხენით,
ოთხივეს ერთად წაგვიყვანს ცხენი! —
ცხენს კი თანდათან ერთმევა ძალი.

— უნდა დავტოვო ეს ტყე ავსული, —
ფიქრობს რაინდი გულგაბასრული,
როგორ ჩავვარდი ტყვედ
უბრძოლველად,
სულ სხვისი დარდი ვინ დამაწყევლა,
დარდი წინაპრის, დარდი წარსულის!

●

გაგონდება მარია,
სახლი ძველისძველი;
გუბე ვარსკვლავპარია,
ცაცხვნარი და ველი?

ხეივნების რხევაში
ძველი ბალის ვნება,
მაღალ გალერეაში
პორტრეტების წყება?

გაგონდება, მარია,
ჰორიზონტი ბროლის, —
ველმინდვრების არია,
სოფლის ხმები შორი?

ბალთან სუფთა ნაპირი,
მდინარის ხმა წყნარი;
ყანა ოქროდაღვრილი,
ღიღილოფა ქარი?

იქ კოროძებს ნაღვლიანს
კვლავ სურთ ხილვა ჩვენი.
გაგონდება, მარია,
გარდასული დროვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ქრება დასავლით დღის სუნთქვა ნელი,
ცა ჩანს ვარსკვლავთა შუქის
მსურველი,
ბულბული გალობს არყნარში კრძალვით
და ველებს ათრობს ბალახთ სურნელი.

ვიცი, დარდს ვერ სძლევ, ჩუმად
დაგროვილს,
ხმა ნაღვლიანი მოგდევს ჩივილით...
მე აღარ მინდა გამონაგონი,
ნაძალადევი შენი ღიმილი.

შენ გტკივა გული უსიხარულო,
უვარსკვლავებო ცა დაბურული;
იტირე ასე, იტირე, სულო,
იტირე სანამ გალობს ბულბული.

ნაღვლიანია ამ ჩიტის სტვენა,
მუდარასავით ცრემლთა მდენელი.
იტირე, სულო, იტირე წრფელად,
შენ ზეცა გისმენს ყოვლის მსმენელი.

ყორღანი

შორეულ სტეპზე საღამოისას
სდუმს ეს ყორღანი დაუდაფნავი;
გოლიათს, ძლიერს, ძველი დროისას
აქ მიუჩინეს თურმე საფლავი.

სამი დღე-ღამე გაუალაპეს,
ყაბაზზეც დადგნენ თავმოწონებით.
ჭურუმებმა კი ზედვე დააკლეს
თან ჩაატანეს ცხენიც, ცოლებიც.

როცა საფლავი მიწით გაივსო,
ისევ ბარბითთა კვნესა-ხმაურზე.
უთხრეს დიდება სამარადისო
და უკვდავება თვისი აუწყეს:

ლი, დიადი შენი საქმენი
შენს დიდებულ ხალხს მუდამ დარჩება;
შენი სახელი და შენი სახელი
საუკუნეებს შორს გადასცდება.

და ამ ყორღანის მიწა, რაინდო,
თუ ჩამოშალა ქამმა, ღვარეებმა, —
შენი სიმაღლე გწამდეს დაგინდობს,
შენი სიმტკიცე გეყორღანება",

წავიდნენ წლები გულთა მალხენი,
საუკუნენი გაქრნენ ძლიერნი;
ხალხმა შესცვალა ძველი ხალხები,
მიწამ იცვალა ძველ-ბიერი,

ყორღანი ჩუმი, ასე მაღალი
დგას ისევ ისე, თავის ანაბრად;
ჯერ არ ეტყობა დროის აღალი,
მინდორმა ველარ გაითანაბრა.

ხოლო რაინდის დიდი სახელი
ბაქრა, ჩვენამდე ველარ მოვიდა, —
ვინ იყო, რა ზნის, რისი მნახველი,
ანდა რა გვირგვინს ფლობდა, როდიდან?

ვის სისხლს ადენდა ღვარად, მდინარედ,
რა ქალაქები დასწვა, დაბუგა.
ბლებით აჩეხეს ასე მძვინვარე,
თუ სენს გადაჰყვა რამეს, საკუთარს?..

ყორღანი დგას და ნაღვლობს მდუმარი,
ვით მარბიელის ცოდვის კარავი;
ერცელ უდაბნოში არ ჩანს სტუმარი,
ალარ უსრულებს ალაპს არავინ.

ზოგჯერ საიგა გადირბენს უხმოდ
ველზე და ისევ ქრება სრულიად,
ზოგჯერ ტკაცუნით მიდამოს უცხოს
ზედ ქალიები გადაუვლიან.

ხან წეროები დასცქერენ მაღლით,
ოს სტეპზე უწევთ ღამის თენება
და ყორღანს ეუს, ლოდინით
დაღლილს
ფრინდებიან დასასვენებლად.

ზოგჯერ კურდღელი ფრთხილად
ჩაუვლის,
თვალებს შეავლებს, გზის გასაგნებად,
ზოგჯერ ჩაესმის ფლოქვთა ოქროსა,
მიჰქრის მხედარი, მიეკარგება.

არ ემეტებათ ლრუბლებს ... ბინა
სტეპის ცით მფრინავთ ... ბინა
და მხოლოდ ქარი ეწვევა სტვენით
დავიწყებულ ნეშტს ამ ყორღანისას.

ილია მურღვეული

—1—

ჯავშან-აბჯარი და ხემსი ჩიტის,
გზაზე გამხმარი ბუჩიც ტკბილია;
შუადღის ხვატში მიდის და მიდის
პაპა ილია.

—2—

მიჰყვება ფიქვნარს და მისდევს მტკიცე
ფარის წკრიალი, ჯაჭვის ელერანი,
მითელავს ქვერს და მიადნობს სივრცეს
გმირის მერანი.

—3—

ბუტბუტებს იგი, — ვნახოთ ელადიმირ,
შენი მომავლის ჯანი და ლონე...
ჩემი დათმობა ასე ადვილი
არაა ვგონებ.

—4—

შენს კარზე თვლემა მე ალარ მინდა,
ვგმობ ლრეობას და სათრობლის
წყურვილს;
მე გლეხი ვარ და მეყოფა წმინდა
ნატეხი პურის.

—5—

შენ ჩემი საქმე გესმის თამაშად.
რას იზამ? ჩემი გზები ხსნილია...
წინ გააქროლე, ჩემო აბრაშავ,
შენი ილია.

—6—

უკეთ მოილხენს სუფრა რჩეული,
უჩემოდ უკეთ დატკბება ლუკმა;
მტკივნეულია, — სულ ტკბილეული
დიაცებს უყვართ.

—7—

ყოველი შენი გმირ-გოლიათი
გაუწვრთნელია, ჯერ ყმაწვილია,
ნუთუ სიფიცხე გიჯობს იმათი
ჭარმაგ ილიას?

—8—

მე მათზე მაღლა რომ ვდგავარ, მჯერა!
ქალებზე ფიქრიც ხომ მოვიცილე!
არც ისე სუსტი გახლავარ ჯერაც
თავს რომ ვიმცირებ.

—9—

სიმართლეს გეტყვი; მიზიდავს სივრცე,
სამთავროს კარზე ყურყუტს რა მოაქვს?
გავისეირნო ამ ცის ქვეშ ისევ
მგონია დროა.

—10—

მძულს ეს ფათური მდიდართ ხელების
მარმარილოთა ფილებს მიბმული
და ბიზანტიურ ნელსურნელებით
თავი მიბრუის.

—11—

კიევს დღეს ნისლი ფარავს მერწევი,
სისხლს ამჟავებს და ანელებს მზის
ფერს, —
უფალ უდაბურ ველებს ვეწვევი
ისევ და ისევ.

—12—

ყველგან ვიპოვი მე ჩემს სამყოფელს,
მუდამ გამომცდელ გზებით მივლია;
ჩემო აბრაშავ, წინ გააქროლე
შენი ილია...

—13—

შუბლზე გაუკრთა მოხუცს ნათელი,
სიმკაცრეს გაჰყვა იგი, რაც უთქვამს,
მისი არსება ისევ ჯანმრთელი
ჰაერით სუნთქავს.

—14—

ველური ნება გამოულევი
სივრცეს კვლავ ნუსხავს თვისი
სიწყნარით;
გომფისისა და მარწყვის სურნელით
თვრება ფიჭვნარი.

●

ამაოდ ფიქრობ ხელოვანო, თითქოს შენ იყო
შემოქმედი ამ ქმნილებათა!
ესენი მუდამ მიმოდიოდნენ ცა-ხმელეთს შორის.
იყვნენ მხოლოდ შეუმჩნეველნი.
არა! ფიდიასს არ შეუქმნია ოლიმპიელი
ზევსი დიადი!
ფიდიასმა გამოიგონა ეს შუბლი და
ლომის ფაფარი, —
მეხთამპყრობელის მეფური მზერა
წარბთ წყვდიადიდან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა! გოეთეს არ შეუქმნია დიდი ფაუსტი,
        რომელიც
ამ ძველგერმანულ სამოსელშია, მაგრამ უაღრეს,
        კოსმიური სიმართლის ძალით
მარადისმყოფი თვისი სახის მსგავსი არის
        თავით ფეხამდე!
ან ბეთჰოვენმა, სამგლოვიარო მარში როცა
        ალმოაჩინა, —
ნუთუ საკუთარ თავიდან იხმო მან მთელი წყება
        გულისდამფლეთი ამ აკორდების;
უნუგეშო სულის გოდება აწ დალუპული,
        უდიადესი აზრის გარშემო,
მსხვრევა ნათელი პლანეტებისა ქაოსების
        უიმედო ორომტრიალში?
არა! ეს ხმები მუდამ ჰგოდებდნენ
        ამ უსასრულო სივრცეებში
და იგი მხოლოდ, ამ მიწისათვის დაყრუებული,
        არამიწიერ გმინვას ჩუმად აყურადებდა!
უხილავი ფორმებითა და უსმენელი ბგერა-ჰანგებით
        სივრცე სავსეა კიდისკიდემდე;
ბევრია მასში სასწაულებრივი შეხამება,
        სიტყვა და ფერი.
მის გამოხმობას მხოლოდ ის შესძლებს, ვისაც ძალუძს
        ხილვა და სმენა.
ვინც მოიხელთა მონახაზი, მხოლოდ თანხმობა,
        მხოლოდ სიტყვა, —
მასვე ნებდება სრულქმნილება ამ ჩვენს
        საოცარ სამყაროში...
ოი, სიბნელე მოიგარსე შენაც პოეტო, მოიგარსე
        მდუმარება;
იყავი მარტო, იყავი ბრმა ვით ჰომეროსი,
        ბეთჰოვენივით ყრუ იყავი!
სულიერი სმენა შენი დაძაბე მხოლოდ, სულიერი
        ხედვა შენი გაამახვილე
და როგორც ალში უფერული, საიდუმლო ასონიშნები
მეყსეულად ჩნდებიან ხოლმე, — ასე წამიერ იელვებენ
        შენ წინ სახენი,
წყვდიადებიდან უფროდაუფრო ნათლად გამოვა
        ფორმის შემკვრელი,
მწყობრი სიტყვიდან მნიშვნელობა
        გამოანათებს...
შენ უდარაჯე მხოლოდ ამ წამს, მიაყურადე, —
        და შემდეგ როცა
შესაქმნელად ალიმართები, — გაიხსენე ხილვა ესე
        ანაზდეული.

ძველი სარდალი

როცა ძველ სარდალს დააბრალეს სამეფო კარის
ღალატი, — რომ ის არის დიდად ცნობილი გვარით
და ჟამის წყლულებს მეფის ტახტზე ფიქრით იამებს...
უმალვე იხმო მოღალატე მეფე ივანემ.
თვისი გვირგვინი მიაწოდა უცხო მისნობით,
თვალმარგალიტით მოოქვილი მისცა ბისონიც,
სამხრეულებიც მიაყოლა და თავის ხელით
თვისსავე ტახტზე აიყვანა ერთგული მცველი.
თვალი დახარა მის წინაშე, ემთხვია დაღლილს
და სამჯერ მიწას ეამბორა მორჩილი სახით.
გამოსცრა: „აჰა, სიხარულით განლიე დღენი!
მე, მონა შენი, თვითვე გითმობ სამეფოს ლხენით".
სთქვა, აღიმართა იმავე წამს, წინ გადახრილი
და ვერაგულად გაუყარა გულში მახვილი...
აასავსავა განგმირულის ზემოთ ხელები
და ნეშტზე შესდგა მოქარგული ფეხსაცმელებით.
ზედ დააშტერდა, არ უგრძვნია წამით ტკივილი,
გაუუნასდა გესლიანი ბაგე ღიმილით.

□

მოლდავეთ კანაგოვი

ორეული მზის ნათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა დოდო ვადაჭკორიამ

XI

მე წინათაც ბებიასთან ვიძინებდი, შოლფანს კი ყენეშესთან აწვენდნენ. მას შემდეგ, რაც ყენეშე წავიდა, შოლფანი ბებიასთან წვება. მე ბებიას მხარში ცხვირჩარგულს მძინავს. ერთ ფეხს ზემოდან გადავადებდი, თან ყელზე ვხვევდი ხელს. ადგომისას ფრთხილად მაღვიძებდა.

— ერეკე, თხა უნდა მოვწველო.

ან:

— შვილო, ლოცვა უნდა წავიკითხო. შენ დაიძინე, დაიძინე, — მესმოდა ძილში მისი ალერსიანი ხმა. ბებია ფრთხილად იშორებდა ჩემს მკლავებს. მე თვალს ვახელდი, მაგრამ მაშინვე ვიძინებდი. რა კარგია, ბებია რომ აქვე, ჩემ გვერდითაა, ჩემთანაა, რა სიმყუდროვე და სიმშვიდეა მაშინ. ახლა ჩვენ ორივენი ბებიასთან ვიწექით და ორივე მხრიდან ვეხვეოდით. ბებია შოლფანს უფრო ხშირად ეალერსება და უმღერის ნანას, ვიდრე მე.

— ბებია, ბებიკო, — ეუბნება შოლფანი. — როდის ჩამოვა დედა, ჰა?

მე ამ დროს სუნთქვა მეკვრის და სმენად ვიქცევი. ჩვენთვის ყველასათვის უკეთესი იქნებოდა, ყენეშე რომ დარჩენილიყო სახლში, მაგრამ განა სურვილები ყოველთვის გვისრულდება? ბებია გაჩუმდებოდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— დედა გენატრება, ჩემო კვიცუნია? — ფრთხილად ეკითხებოდა იგი პატარა გოგოს.

შოლფანი პასუხად მხოლოდ წაისრუტუნებდა. ბებია მისკენ გადაბრუნდებოდა და გულში ჩაიკრავდა.

— ჩემო სიხარულო, ჩემო ჭკვიანო! შენი დედა თავმჯდომარემ შორს გაგზავნა სამუშაოდ. ახლა კოლმეურნეობაში ბევრი საქმეა. ლულქაშს ჭრიან, მინდვრად ნაკელი გააქვთ. ბოსლებსა და ცხვრის სადგომებს აკეთებენ. მხოლოდ ჩვენა ვართ უსაქმურები, არაფერს ვაკეთებთ. შეიძლება ზაფხულზე ჩამოვიდეს, შენ გგონია, იმას კი არ უჭირს იქ ყოფნა? შვილებს როგორ დაივიწყებს. როგორ შეიძლება შვილების დავიწყება. მე მგონი, არ დავიწყებს. ჩამოვა და ლამაზ კაბას ჩამოგიტანს, ერეკეს ჩექმებს, მე — ინდურ ჩაის, თვითონაც ენატრებით ალბათ.

— ჩექმები ჯობია მე ჩამომიტანოს და ამას კაბა. მე სულ არა მაქვს ჩექ-

---

დასასრული. (დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 3 1989 წ.).

მები. — შოლფანმა საბნიდან ფეხი გარეთ გამოყო; აი ,ვითომ ფეხშიშველი ვარო. მართლაც არა აქვს ფეხსაცმელი.

— იცის დედამ.

— ნეტავი სათამაშოებიც ჩამომიტანოს.

— თუ იქით ვინმე წავიდა, უსათუოდ შევუთვლი. თვითონაც მიხვდება და გიყიდის სათამაშოებს. აბა დაიძინე, ჩემო პატარა, დაიძინე.

როგორც კი ქენეშე მომაგონდება, გული მტკივა. შოლფანს პატარაა. მისთვის სულერთია. დედის ამბავი რომ ვიკითხო, ჩემოვის ისიც არ შეიძლება. მე მუდამ ბებიას შვილად მთვლიდნენ, ჰოდა, რომ გავამხილო, ვიცი, ჩემი დედა ვინცაა, ბებიას შეიძლება ეწყინოს. ამიტომ ქენეშეზე ლაპარაკს რომ იწყებენ, ჩუმადა ვარ. მეც ძალიან მინდა ვიცოდე, მართლა ჩამოვა თუ არა. ეტყობა, უკვე აღარასოდეს დაბრუნდება. თუ დასაბრუნებელი იყო, მაშინ ისე ძალიან რატომ ტიროდა? შეიძლება სტუმრად ჩამოვიდეს, საჩუქრებიც ჩამოგვიტანოს. ნეტავი მართლა ჩამოვიდეს. რა კარგი იქნება. კარგია ქალაქურ ტანსაცმელში სიარული. რაც გვაცვია, ყველაფერი ბებიას შეკერილია. აგე, ამას წინ ბრიგადირის შვილი გამოვიდა ქალაქურ ტანსაცმელში. ჩვენ ფეხდაფეხ დავყვებოდით. საითაც წავიდოდა, ჩვენც იქით მივდიოდით. შეიძლება დედამ მართლა მოახერხოს ასეთი რამეების ჩამოტანა. რა დიდი რამეა მისთვის, მით უმეტეს, თუ მართლა ხშირად დადის ქალაქში.

მთელი ეს უბედურება დიდი ხანია დაიწყო; მე მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და აქამდე მახსოვს, ერთხელ როგორ ატყდა ჩვენს სახლში საშინელი ტირილი და მოთქმა. სალამოვდებოდა, უეცრად მოხუცები მოვიდნენ ჩვენთან. ბებიას დასაძახებლად გამაგზავნეს, ბებია საკუჭნაოში რაღაცას აკეთებდა. დედაც მოვიდა. შიშისაგან თვალები უელავდა. ისინი ერთმანეთის გვერდით დასვეს. არ ვიცი, რა უთხრეს მოხუცებმა, მაგრამ სახლიდან საზარელი ყვირილი მოისმა. ეს ბებია მოთქვამდა. დედა კი ვიღაცებს გაეკვეთებინა და რაღაცას ყვიროდა. მე შევშინდი და ავლრიალი. სახლში დიდხანს არ შეწყვეტილა ტირილი და ხმაური. ვიღაც მეხვეოდა, ვიღაც თავზე მისვამდა ხელს, რაღაცას მეუბნებოდნენ. მალე ჩვენს სახლში მთელი აული მოგროვდა.

დილით ძროხა დაკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ დაკლეს საქონელი და მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენთან სულ დადიოდა ხალხი.

მე უკვე მივხვდი, რომ მამა ფრონტზე დაიღუპა. ჩვენ ახლა ობლები ვიყავით, იმიტომ რომ ქენეშეც წავიდა. მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ არ მიგვატოვებდა. შოლფანს კი არაფერი არ ახსოვს.

ძალიან მომერია ძილი. მაგრად მივეკარი ბებიას. მას ისეთი მშობლიური სუნი ასდიოდა.

მთელ ღამეს რაღაც გაურკვეველ სიზმრებს ვხედავდი. თუმცა დილით ვერც ერთი ვერ მოვიგონე. შოლფანმა კი, ეტყობა, შესანიშნავი სიზმარი ნახა, გაიღვიძა თუ არა, ლოგინზე წამოჯდა და მოითხოვა:

— ბებია, მომაწოდე ჩემი წითელი ჩექმები.

— რომელი ჩექმები?

— აი, ისინი, დედამ რომ ქალაქიდან ჩამომიტანა. შენ ხომ მითხარი. მერე მოგცემ და ჩაიცვიო. სკივრში აწყვია. შენ თვითონ არ შეინახე?

ძლივს მივხვდი, რაში იყო საქმე.

— ეტყობა, ჩემო პატარა, დაგესიზმრა, რომ დედამ ჩექმები მოგიტანა.

— ამოიღე, ამოიღე, — ასლუკუნდა შოლფანი, თან სკივრისაკენ გაიშვირა ხელი.

ბებიამ ღიმილით აშალა საბანი, სკივრზე რომ იდო, და სკივრს სახურავი ახადა. შოლფანმა თავისი ხელით აურ-დაურია შიგ ყველაფერი, მაგრამ წერილი ჩექმები ვერ იპოვა.

— ჩემო სულელო, მოიცა ცოტა და ჩამოგიტანს. არ სცალია ალბათ შენი თუ არა, აბა ვის ჩამოუტანს?

გულდაწყვეტილი შოლფანი გაიბუტა.

XII

აულ უფრო და უფრო ცივი დღეები დაიკავა. ჩრდილოეთიდან დღედაღამ შეუწყვეტლივ ყინულივით ცივი, გამჭოლი ქარი ქროდა. ბებიამ სკივრის ფსკერიდან ჩვენი საზამთრო ტანსაცმელი ამოაღაგა. ბებიას შეკერილი პალტო დიდი მქონდა, რომლის კალთებს ერთმანეთზე ვიხვევდი და ხელით მეჭირა. ხელს გავუშვებდი თუ არა, იმწამსვე ქარი შემიძვრებოდა უბეში, ძვლებში დამივლიდა, ხელ-ფეხი მეყინებოდა.

საღამოთი ბებიას წელი ასტკივდა.

— ვაი წელი. რა მომღის? ოდნავ აცივდა და ველარც ვიშლები, ველარ ვიხრები, — კვნესოდა ბებია და ძლივს დაჩოჩავდა. — ამ ჭირს რა მოიშორებს

დილით ველარ ადგა ბებია ლოგინიდან. გამალვიძა და ჟუმაშთან გამაგზავნა „წადი და ბიცოლას უთხარი, თხა მოწველოს". საყელო ავიწიე, შემოვიხვიე პალტოს კალთები და აბუზული, ცივ ქარში, ჟუმაშის სახლისაკენ გავიქეცი.

ჩვენ არც ფარდული გვქონდა და არც ბოსელი. ერთადერთი თხა გაგვაჩნდა, სახლის გარშემო კი სიცარიელე იყო. გავალებდით თუ არ კარს, იმწამსვე სიცივე შემოვარდებოდა. ოთახის ოთხივ კუთხეს გააცივებდა. ამიტომ განუწყვეტლივ უნდა გვნთებოდა ცეცხლი. როგორც კი ღუმელში ცეცხლი ჩანავლდებოდა, ოთახი იმწამსვე ცივდებოდა, თითქოს არასოდეს არ გამთბარაო.

დღეს შოლფანი ლოგინშიც კი დატოვა ბებიამ. „იწექი, თორემ გაიყინები".

რძე რომ მოვიტანე, პირველ ყოვლისა, ყაზანში წყალი გავაცხელე და სამოვარში გადავასხი, სამოვარი ადუღდა, პატარა ჩაიდანში ჩაი დავაყენე, რძიანი ჩაი დავასხი, ბებიას მივუტანე და დავუდგი. ბებიამ რამდენიმე ყლუპი მოსხა, ფინჯანი დამიბრუნა და კვნესით მიწვა ისევ.

სახლში რომ სითბო დატრიალებულიყო, ღუმელს ბევრი შეშა შევუკეთე. საღამომდე, ხვალინდელ დღეზე არ მიფიქრია ისე. მთელი დღე ვუკეთე დ-ვუკეთე შენგელის ხმელი ტოტები.

საღამოთი ბებიამ მთხოვა. ჟუმაშს დაუძახეო. ჟუმაში მოვიდა, ბებიას საწოლის წინ დაიჩოქა, შუბლი გაუსინჯა.

— ნუ გეშინია, მორჩები. ალბათ გაცივდი. ტყუილად არ დამიჯერეთ. ჩემთან უნდა გაგეტარებინათ ეს ზამთარი, არა. შენ მაინც შენი გაიტანე. ახლა რა გამოვიდა? ყველა ხვრელიდან უბერავს. აქ როგორ არ გაცივდებით!

— შეშა გველაცა. ერექე დილიდანვე უკეთებს შეშას ღუმელს. შინ რომ წახვალ, შეხედე ერთი, რამდენი დარჩა. ერექენი ჯერ პატარაა, მაგას არ შეუძლია, მე კი ხომ ხედავ, ეწევარ

— რამ დაგაბნია, მოხუცო, მე და ეროქე რალაცას მოვიფიქრებთ.

დილით ეუმაშმა ბეშვით დაბრეცილი დაკანგული ლურსმნები მოიტანა. დიდხანს ვასწორეთ, მერე კარს ძველი დიდი ქეჩა ავაკარით.

ეუმაშმა სახლის წინ ადგილი მიჩვენა და მითხრა, როგორ უნდა ამომეთხარა მიწა.

— შეხედე, აქ თხრილი უნდა ამოითხარო. საღამოს [illegible] ადგეთ. სამუშაოდან რომ მოვბრუნდები, ლელქაშის წინკარი [illegible], თორემ სუყველანი გაიყინებით. აუცილებლად მოათავე ვათხრა, გენაცვალე, კარგი?

ლუმელი ისევ დავანთე, იქვე დავსვი შოლფანი და დავავალე შეშა შეეკეთებინა. მე კი მიწის თხრას შევუდექი. დროდადრო მაინც მიხდებოდა საქმეზე მოწყვეტა: ხან შეშა იყო შესატანი, ხან შოლფანი უნდა მენახა. საბანში გახვეული ბებია ოვალს არ გვაშორებდა.

— ჩემო კარგებო, უთქვენოდ რა უნდა მექნა? ღმერთს ემადლობ, რომ თქვენი თავი მაჩუქა, ჩემი ორი ფრთა. ბებიას სიკვდილის უფლებას არ აძლევთ, არა? თუ ღმერთმა მიშველა, თქვენთან არ გამიჭირდება.

მოსაღამოვდა. ეუმაში სამუშაოდან დაბრუნდა. ვახშმის შემდეგ ლელქაშით დატვირთული სახედარი ჩვენს ეზოში გადმოვიყვანეთ. ეუმაში წინკარს აშენებდა, თუმცა ყოველ ნაბიჯზე ლამის ცალ მხარეს იქცეოდა. მან ლელქაშის სქელი კედელი დადგა. რომ არ წაქცეულიყო, სანამ ის ფესვებს მიწაში ფლავდა, მე ხელით ვაკავებდი. ახლა კარი ქარისაგან დაცული იყო, მაგრამ შემოსასვლელში ისე ბნელოდა, კარის სახელურის მოსაძებნად დიდხანს ვაფათურებდით ხელს.

დილით, სამუშაოზე წასვლის წინ, ეუმაშმა გამომიარა, შენგელების ბუჩქნართან მიმიყვანა და თავისი ალესილი ნაჯახი დამიტოვა.

— შეხედე ,აი, ასე უნდა მოჭრა, ფრთხილად უნდა შეხვიდე ბუჩქებში, ძირამდე ჩამოსხიპე ტოტები და თითო-თითოდ გადააგდე. ხედავ? არ იჩქარო, რამდენსაც შეძლებ, იმდენი მოჭერი. არ მოფანტო. ერთ ადგილზე შეაგროვე, თორემ სიბნელეში ჰოვნა გამიძნელდება. როცა დაიღლები, შინ წადი. გზა ხომ გახსოვს? სიბნელემდე ნუ გაჩერდები. ბებია იღელვებს. ხომ გასაგებია ყველაფერი?

თავი დავუქნიე:

— კი.

ეუმაში წავიდა. მე მარტო დავრჩი და საქმეს შევუდექი. მარცხენა ხელით გადმოხრილ ტოტს ვიჭერდი, ძირში ვჭრიდი და იქვე ვყრიდი. ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც ეუმაშმა მასწავლა. ამასთან მარჯვენა ფეხი უთუოდ სხვა ტოტზე უნდა მიმეჭირა, თორემ მიშლიდა მიზანში ამოღებული ტოტის მოჭრას. ვჩეხდი, ვჩეხდი, მაგრამ მაინც ცოტა გროვდებოდა. თუმცა ალარ ვჩქარობდი. ისედაც ყური გავიკაწრე. სისხლი მომდიოდა. ფუფაიკის ჯიბეც ჩამომეროლა, ჩამომეკიდა. ხელი მალე დამელალა და ვგრძნობდი, როგორ მიბნელდებოდა თვალი. ყველაფერი თითქოს ნისლში იკარგებოდა. ბუჩქები სადღაც მიცურავდნენ ,გავსწორდებოდი და ველოდი, როდის გადაივლიდა ბურუსი და ისევ გამუქდებოდა ყველაფერი, როდის გამყარდებოდა ისევ მიდამო, ბუჩქები ბუჩქებად იქცეოდა, ქვები — ქვებად. კუბი რომ თან მყოლოდა, მაშინ სხვა იყო. მაშინ არაფრის არ შემეშინდებოდა.

ისევ კი უნდა ვიჩქარო, თორემ ბევრი შეშა თუ ვერ მოვაგროვე, გაყინებით

სუყველანი. ბებიას კი სითბო სჭირდება. ღუმელს ისე გავავარვარებ, ბებიას ოფლი მოუვიდეს... ერთიც ვნახოთ და მოკვდეს.

რას აკეთებს ნეტავ ახლა ბებია? უკვე სამი დღეა არაფერი უჭამია. შიმშილისაგან დაუძლურდა ალბათ. ვინ იცის, მოკვდა კიდეც. სანამ მე აქ ფიჩხს ვტეხავ, ბებიას ... ...

ამ საშინელი ფიქრისაგან გამაცივა ტანში. უეცრად თავი ავწიე და ... ...

ორივენი დავსხედით სახედარზე და ჩაქჩაქით გავუდექით გზას ტბისაკენ. ეუმაშის ქამარზე ჩაფრენილი ჩუმად ვიყავი, ოღონდ ჩემი საფენი ცურავდა და ხშირად გასწორება მიხდებოდა, ძალიან გაგებეზრდი.

დღისით მოჭრილი ფიჩხი პირდაპირ საურმეზე დავაწყვე და ამიტომ პოვნა არ გაგვჭირვებია. ძია ეუმაში გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

— შენ თუ ასეთი ყოჩაღი იყავი, არ ვიცოდი. ერეკე, შენ ბალოელა ჯიგიტი ყოფილხარ. რას იზამ, სხვა რა გზაა? როცა სახლში მაგ[illegible] შენა ხარ. მთელი სიმძიმის აწევა საკუთარი მხრებით მოგიხდება. შენი ბებია რაც შეუძლია იბრძვის, იმისათვის რომ შენ შენს საკუთარ სახლში იცხოვრო და კარდაკარ არ იწანწალო. თუ გინდა იცოდე, ყველაფერი ამისათვის კეთდება. ამიტომ თავს ნუ დაზოგავ. ცეცხლსა და წყალში ჩადგომაც რომ მოგიხდეს, მძიმეა? აბა, შეუშვირე მხარი. ჰოპ, მიდი-მიდი! შენკენ გაქაჩე, ქამანდი მოსდე და, მეორე ბოლო მე მომაწოდე. ხომ ხედავ, დღეს რამდენი შეშა მოიმარაგე! აი, ამას ჰქვია ოჯახის პატრონი. თუ შეშას არ მოჭრი და შინ არ წაიღებ, ციდან ხომ არ ჩამოცვივა.

ილაპარაკოს, რამდენიც უნდა, ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს. ჯერ კიდევ გუშინ ჩამიჯდა ეს ფიქრი თავში და მოსვენებას არ მაძლევს...

— ძია ეუმაშ, ბებია მორჩება?

ეუმაში ერთ ადგილზე გაშეშდა, გაოცებულმა შემომხედა და ყრუ ხმით მითხრა:

— ღმერთმა იცის, გენაცვალე, რაც უნდა იყოს, მოხუცია. რასაკვირველია, საშიშია. მაგრამ უიმედოდ ამქვეყნად მხოლოდ ეშმაკი ცხოვრობს. დღეს თითქოს ოფლი მოუვიდა, ვნახოთ, გამოკეთდება.

მე კი მაინც ეჭვი მღრღნიდა. მაგრამ მეტი შეკითხვა აღარ მიმიცია. რატომ უნდა შევაწუხო კაცი?

სახედარი რომ დავტვირთეთ შეშით, ცოტა შენგელი კიდევ დაგვრჩა. ეუმაშმა შეშა თოკით შეკრა და ზურგით წამოიღო. უკან მოდიოდა, თან სახედარს მჭაჟე ხმით ერეკებოდა: „ჰეი, აჩუ! აჩუ!“

შეშა კარის ახლოს გადმოვცალეთ, ძია ეუმაში იმწამსვე წავიდა თავის სახლში. ხვალ განთიადისას სამუშაოზე უნდა წავიდეს.

შოლფანი, ბებიას თბილ ჩასაცმელში გახვეული, ღუმელთან იჯდა, თან ფიჩხს უმატებდა ცეცხლს, თან ყვინთავდა. ნამძინარევ სახეზე ალის შუქი დაჰნათოდა და ჩემი დაიკო საოცრად ლამაზი მეჩვენა.

თბილ ოთახში მეც მომერია ძილი. თვალები მეხუჭებოდა. ფეხები მიბეჟოდა დაღლილობისაგან. გავიხადე, კარი ჩავრაზე და ლოგინზე მივეგდე. შოლფანი თავის ადგილზე დაწვა.

ჩემ გვერდით ჩემი ბებიაა. მთელ ქვეყანაზე ბებიაზე უკეთესი არავინაა. ბებია არასდროს და არაფრის გულისთვის არ მიგვატოვებს.

XIV

ღილით ფიჩხი დავამტვრიე და ის იყო ღუმლის დანთებას ვაპირებდი, რომ ამ დროს თაბიგა შემოვიდა.

— რამდენი შეშა მოგიგროვებიათ. რაც უნდა იყოს, კაცი მაინც კაცია, — აღფრთოვანებულმა პირი გააწკლაპუნა და თავი გადააქნია, — ერთი ამათ უყურეთ, მაინც როგორ კარგად ახერხებს ზოგი ცხოვრების მოწყობას.

ბებიას ჩემი და შოლფანის გათვალვის მუდამ ეშინოდა. ახლაც დაქანცულად დაეღმიჭა სახე:

— ნუთუ ამ გუდურა ფიჩხის მეტი ვერაფერი ნახე? შენ რაში გეკითხება სხვისი შეშა?

— ღმერთო ჩემო! აჰა, ფუი, ფუი, თვალი არ გეცეთ! მე იმას ვამბობ, მამაკაცი, როგორიც არ უნდა იყოს, მაინც ჩვენ, ქალებს გვჯობია, ალერ მეტყვი, ალარ. მესიამოვნა, ამოდენა რომ მოუგროვებია. ფუი, ფუი, ეს ბიჭი, ჩუმად ვიქნები. როგორ ხართ, უკეთესად არა ხართ? არა... დედი, დღეს უკეთ გამოიყურებით. აბა თქვენი ხელი მომეცით, გავსინჯო. მე მგონია, ერთი კარგად უნდა მოიდინოთ ოფლი. რამდენი დღეა, რაც არაფერი არ გიჭამიათ. სისუსტეც ჯაბნის ადამიანს. ახლა თქვენ ბულიონი მოგიხდებათ. ბულიონი რომ ბლომად დალიოთ, უცბად წამოდგებით ფეხზე. ეე, ბულიონი ბულიონია. ძალას მოგცემს. ისე კი მთავარი ოფლის მოდენაა.

სახლში სანოვაგე გველეოდა. ორი-სამი ჯამი ქერიღა იყო დარჩენილი ტომარაში. სკივრში, მგონი, ცოტა სიმინდი ეყარა. რისი ბულიონი უნდა მოგვეხარშა, ხორცი დიდი ხანია თვალით ალარ გვინახავს. სად ვიშოვო ხორცი? რა იქნება, ისევ წავიყვანო კუმაი სანადიროდ? ამდენ ხანს როგორ ვერ მოვიფიქრე. ამ შეშაზე ზრუნვამ ნადირობა დამავიწყა.

ბებიას არ ვეტყვი არაფერს, თორემ არ გამიშვებს, დაიკარგებიო — მეტყვის. ისე, კურდღლის ხორცის ბულიონი გემრიელია. მახსოვს, მაშინ როგორ სიამოვნებით დალია ბებიამ.

ავდექი და შეუმჩნევლად მივედი კართან. აუცილებლად უნდა წავიდე ტბისკენ, ვინ იცის, იქნებ არც ახლა მიმტყუნოს ბედმა.

კუმაი მზეზე იწვა და თბებოდა. დამინახა თუ არა, პირდაპირ ხელებში ჩამიდო თავი, მომელაქუცა.

— წამო, კუმაი, კურდღელზე! კურდღელზე! —ტბისაკენ გავიქნიე ხელი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. თავი გვერდზე გადაეხარა და შემომცქეროდა. ფიქრე და ისევ ძველებურად გავიქეცი.

— ჰაიტ! ჰაიტ!

კუმაი დამედევნა. ესეც ასე. სიხარულისაგან გული კინაღამ ამომიგარდა ბუდიდან. გზა შორია და გვიან დავბრუნდებით, მაგრამ ჩვენთან თაბიგა ზის. სანამ ყველაფერს არ ამოთქვამს, არ წავა. ლაპარაკი კი შეაღამემდე შეუძლია. მერე აუცილებლად ჩაიზე დარჩება. შეშაც საკმარისია. ისე რომ, საღელვებელი არაფერი მაქვს. შორს წავალთ, იქ, სადაც ხალხი არ დადის და აულის ხმაურიც ვერ ატანს. კურდღელი, ნუ გეშინია, ბევრი იქნება, ორი კურდღელი, მე მგონია, კმარა. მოვუხარშავთ ბებიას, დალევს ხახვიან ბულიონს, ოფლს მოიდენს და გამოჯანმრთელდება.

ერთი ვნახოთ და არ მორჩა? მაშინ ხომ მე და შოლფანი სულ მარტოკები ვრჩებით? არ ვიფიქრებ ამაზე. მაგრამ რატომ მიტრიალებს სულ ეს აზრი თავში? ბეშინია. ჯობს საერთოდ არ ვიფიქრო. არ ვიფიქრო.

კუმაი მიხვდა, რომ სანადიროდ წამოვედით. დიდი ხანია გორაკი გადაირბინა და დაიკარგა, უკან გამოვეკიდე და ვხედავ, დგას და მელის. ყურები დაუცქვეტია, თვალებში მოუსვენრობა ეტყობა. დამინახა და თითქოს დამშვიდდა, რომ აქა ვარ, და ისევ გაიქცა კუდის ქნევით. ძალა რომ შემენარჩუნებინა, ნელა წავედი. უეცრად მარტოხელა ცხენოსანი გამოჩნდა. დიდხანს ვუცქირე ყურადღ-

ლებით. მინდოდა მეცნო, ვინ იყო. ცხენოსანი რომ მომიახლოვდა, ნათლად დავინახე, როგორ ფართხუნებდნენ მისი ჭუდის ყურები. ეს ხომ... ეს ხომ მამაა! ვაშა, მამა დაბრუნდა! მამიკო! მამიკო! მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. რალაც სისუსტე ვიგრძენი. პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. ალბათ, მე დამეძებს. მისკენ გავიქეცი, გზას ყურადღებას აღარ ვაქცევ. ფეხი დამიცდა, მაგრამ რაღაცის ფესვს წავაკარი ხელი და თავი შევიკავე. ისევ გავიქეცი. მივრბივარ მამისაკენ! ვაშა! რა ბედნიერებაა! ჩემი მამა ჩემკენ მოდის!

აი, შეეხვდით ერთმანეთს, შეეყურებ, მაგრამ უცხო კაცი დგას ჩემ წინ. ეს ვილაც სხვაა. ეს მამა არ არის. ერთბაშად შემოებრუნდი და უკან გავიქეცი.

— ვაი სირცხვილო! თქარათქურით მომიახლოვდა და გამისწორდა ცხენოსანი.

— შენ ვისი ხარ?

— აითმამბეთის.

— განა აითმამბეთს ამოდენა ვაჟი ჰყავს?

ახლა კი გავბრაზდი. მაშ ვინა ვარ მე, თუ აითმამბეთის შვილი არა ვარ?

— რას აკეთებ აქ? თქვენ ხომ აშაგანდში ცხოვრობთ.

— ახლახანს გადმოვედით.

— გადმოხვედით? ეს ვისი მწყეტარია? — ქამჩა დაიშვირა ძაღლისკენ.

— ჩვენია,

— ნუ ტყუი. აითმამბეთს რამდენი ხანია ძაღლი დაეკარგა. აპ! აპ! — დაუძახა ძაღლს. — რა ჰქვია?

— კუმაი! კუმაი! აპ-აპ!

მწყეტარი კუდისქნევით მიუახლოვდა კაცს. კაცი ჩამოქვეითდა, ძაღლს ჯერ თავზე გადაუსვა ხელი, მერე ზურგზე მოეფერა და აუჩქარებლად კისერზე ყულფი ჩამოაცვა, თან გაჭაჩა. შემეშინდა.

— ძია, ხელი არ ახლოთ. ჩვენი არ არის. ეს ძაღლი თაბიგასია.

— იმ ჭორიკანა თაბიგასია? ეე... კიდევ უკეთესი. თუ ეს მწყეტარი მართლა თაბიგასია, ესე იგი ჩემია. შენ ამ ძაღლზე ნუ იდარდებ. აულში დაბრუნდი. — კაცი მოახტა ცხენს და წავიდა. კუმაი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მიჰყავდათ. ძაღლი ოთხივე ფეხით ჩაერჭო მიწაში და წასვლა არ უნდოდა. მაგრამ გაათრიეს.

— ძია! გეუბნებით, თავი დაანებეთ ძაღლს! — ყვირილით გამოვედევნე ცხენოსანს. მეწყინა და გავმწარდი. ალბათ ავტირდი კიდეც.

— ძია, დაანებეთ თავი! ნუ მიგყავთ ძაღლი!

კაცმა ცხენი შემოაბრუნა და დამელოდა. ბრაზიანი სახე ჰქონდა. ახლოს მისვლა შემეშინდა, შორს გავჩერდი.

— აი, შე ლეკვო! მგლის ბუნაგიდან გამომძვრალო ლეკვო! შეხედე ამას, როგორ მეკამათება? ვის ვუთხარი აულში დაბრუნება?! ნომ არ გინდა ამ ქამჩით კარგად მიგბერტყო?! სად მორბიხარ? აბა გაბრუნდი უკან, სანამ სული გიდგას!

ჩემკენ წამოვიდა და ქამჩა მომიღერა. შემეშინდა და უკან დავიხიე. თვითონ კი ჩემკენ არც მოუხედავს, ისე გაქუსლა, ვიდექი და ცრემლებით სავსე თვალებით ვუცქეროდი, სანამ თვალს არ მოეფარა. რისი იმედი უნდა მქონოდა, თავჩაქინდრული წავედი აულისაკენ. ვცდილობდი არ მეტირა, მაგრამ მაინც ჩამომდიოდა ცრემლი.

ბებია რომ დავინახე, ველარ მოვითმინე და ავტირდი.

— რა მოხდა?

— კუმაი ვილაც ძიამ წაიყვანა, — ძლივს ამოვილაპარაკე, ცრემლი მახრჩობდა.

— ნუ ტირი! შენი ცრემლი არ დავინახო. გეყოფა, — გამიჯავრდა ბებია, — კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ეგრე დამთავრდა.

ჩემდა უნებურად გავჩუმდი. მაგრამ ბოღმა მახრჩობდა, თან კუმაი მეცოდებოდა, ჩემი ნებით აბა როგორ მოვშორდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV

კლასში შევედი და გოცებული შევჩერდი, არც ერთი ბავშვი, რომელიც ჩემზე ადრე მოსულიყო, თავის ადგილზე არ იჯდა, დაბნეულები კართან იდგნენ. იქვე დაფიქრებული და შუბლშეკრული ბრიგადირი და მასწავლებელი იდგნენ. სახლის პატრონი — პატარა, გამხდარი, შრომისაგან ჩაშავებული ქალი ტრიალებდა, კუთხიდან კუთხეში გარბოდა და გამორბოდა, თან რაღაცას გაცეცხლებული ამტკიცებდა, მერე ბრიგადირის წინ გაჩერდა და ცხვირთან დაუტრიალა ხელები:

— აი, რას გეტყვი, ჩემო კეთილებო! როგორც თავიდან მოვილაპარაკეთ, ისე უნდა მოქცეულიყავით, თავმჯდომარეც აქ იყო, ყველას წინაშე პატიოსანი სიტყვა მომეცით, ერთი თვით შემომეშვით. მერე? გავიდა თვე, მე ხმა არ ამომიღია, ვიფიქრე — იქნებ ოთახი ვერ მოძებნეთ, — არაფერი არ გითხარით, ახლა კი მესამე თვე თავდება, თქვენ კი საშველი არ დაგადგათ. აბა რა გამოდის, ჩემო კეთილებო? ჩვენ თვითონ ერთ ოთახში ვიჭყლიტებით, ამას კიდევ რა უშავს, მოითმენს კაცი. ამ ხბოს რა ვუყო, რას მიბრძანებთ? სად წავიყვანო? ლოგინში ხომ ვერ ჩავიწვენ?

გავიხედე დაფისკენ და რას ვხედავ. ალოკილბეწვიანი ლამაზი, პატარა წითელი ხბო ძლივძლივობით ქანაობით წამოდგა, ფეხები გაჩაჩხა და იატაკზე ყვითელი სითხე დაღვარა.

მასწავლებელმა ოღლად დაფარა სუსტი ჩხრიალის ხმა და ქალს უთხრა:

— იყოს მანდ, იდგეს კუთხეში. არაფერს არ დაგვიშავებს.

— თქვენ თუ იმას ფიქრობთ, ამ ყაჩაღებს დავუტოვებ ხბოს გასაგლეჯად, ძალიან უკაცრავად! ხვალ ორმა თხამ უნდა მოიგოს, ისინი სადღა წავიყვანო?... რომ გამიჭყლიტონ და გამითელონ?

— ყურადღებას არ მოვაკლებთ.

— ვიცი მე თქვენი ყურადღება. არა, თქვენ რას ფიქრობთ, მე ყველაფერზე უარი უნდა ვთქვა, არა? ჩვენი საკვები რძეა, თუ იქნებ შენ მოუზიდავ ჩემს შვილებს რძეს?

ქალმა ორი უსუფთაო ბავშვისაკენ გაიშვირა ხელი, რომლებიც ახლაც შემოგვშტერებოდნენ.

მასწავლებელს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და გაჩუმდა.

— ეს ხომ თქვენი აულია? ჩვენ გარდა ხომ სხვებიც ცხოვრობენ აულში. რიგრიგობით შეგიშვებენ. აკი იმათი ბავშვებიც სწავლობენ. ქუჩაში არავინ არ დაგტოვებთ.

კამათი გაგრძელდა. ჩვენ ფეხზე დგომით დავიღალეთ და მერხებისაკენ წავედით. მაშინ კი მორთო კივილი ქალმა.

— მაშ ტყუილად ვილაპარაკე მთელი საათი? ყურში არ გესმით, შტერე-

ბო! თქვენ რა გონიათ, თქვენ წინ ადამიანი დგას, თუ ხარის ბუშტი ტატანებს? ისეთი თვალებით გვიყურებდა, წამოვიშალეთ და გავეცალენით.

— ბავშვებს ნუ გაყრი, გაიყინებიან, ჯერ აქ იყვნენ, ჩვენ ბინას მოვძებნით, — თქვა ბრიგადირმა და მასწავლებელთან ერთად გავიდა.

დიდხანს ველოდეთ, ბოლოს მოგვწყინდა, ჩურჩული დავიწყეთ, ზოგი კედელს მიყრდნობილი ფეხებს ასვენებდა, ზოგი იატაკზე მოეწყო, სახელმძღვანელოებით საძვე ადგილზე დაჯდა.

როგორც იქნა, მობრუნდა ბრიგადირი და მასწავლებელი.

— ბავშვებო, გამოიტანეთ მერხები, დაფაც, ყველაფერი ეუმაშთან წაიღეთ.

მე გამეხარდა. ახლა შორს აღარ მომიხდებოდა სირბილი, რაც მთავარია, ეუმაში ჩვენი ნათესავია. იმწამს მოვხსენით დაფა. მეოთხეკლასელებმა აბგები ერთ ადგილას დაყარეს და მერხების გადაზიდვას შეუდგნენ. მე დაფის გადატანაში მივეშველე. ყველანი ძალიან კმაყოფილები ვიყავით, ქუჩის ჟრიამულით მოვედეთ, ბევრი ვიცეკვეთ და ვიცინეთ. სადილობამდე მოვუნდით გადაბარგებას. ჯერ საკლასო ოთახი გავცალეთ, ეუმაშის ბარგი გადავიტანეთ, მერე კედელზე დაფა მივაჭედეთ, გადატანილი მერხები მწკრივში დავდგით და ჩვენს ადგილებზე დავსხედით. გაკვეთილი დაიწყო. მასწავლებელმა ის იყო ახალი მასალის ახსნა დაიწყო, რომ უკანა მხრიდან ბრაგვანი გაისმა, ყველამ ერთად მივიხედეთ და რას ვხედავთ, ბოლო მერხზე, განაპირას მჯდომი ჟეტკერგენი იატაკზე გორავს და ადგომას ცდილობს. ეტყობა, როგორც ყოველთვის, ჩათვლიმა და ეგონა, მისი საყვარელი ღუმელი ისევ ზურგს უკან ედგა, მიეყრდნო და ზღარბთანი მოადინა იატაკზე. მთელი კლასი ხარხარებდა. მასწავლებელმაც კი ვერ შეიკავა თავი და დაიწყო სიცილი.

XVI

დილაუთენია ეუმაში მოვიდა ჩვენთან, მოწყენილი და შეწუხებული ჩანდა.

— დედაბერო, ჰაი, დედაბერო! — მიმართა ბებიას.

ბებიას უკვე ეღვიძა და თავი წამოსწია.

— ღამით ბოსელი შეუმტვრევიათ და საქონელი წაუყვანიათ... მოისპო იმის სახელი, იმ ძაღლიშვილის... ეჰ, ერთი ხელში ჩამეარდნოდა... ახლალა გავიგეთ. ჩემი ცოლი მოსაწველად გამოვიდა და კარი მოფლეთილი დახვდა. გამოვვარდი, მართლა არ წაუყვანიათ! ჩლიქებიც კი არ დაგვიტოვეს, სუფთად გაგვწმინდეს იმ ძაღლიშვილებმა. ღმერთმა დასწყევლოს მათი თავი. ახლა კვალის საძებნელად უნდა წავიდე. ასეთი რამე თუ გაგიგონია, უკანასკნელი საქონელი წაიყვანონ ეზოდან.

— ახლა სადღა უნდა ეძიო? ქურდი იმიტომ კი არ იპარავს საქონელს, თავისთვის ჯოგი მოაგროვოს.

გული ამომიტრიალდა. ბებიას შევეხვეწე — მშვიდად იყო. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო. თითქოს მისთვის სულერთია. მოიპარეს თუ არა. ახლა რაღა ეშველება ურძეოდ? თვითონ არ ამბობდა, ურძეო ჩაი ყელს მიწვავსო.

— ერალი, შენც წამოდი ჩემთან ერთად, დახვდე მაინც.

უკან გავყევი ეუმაშს და ქუჩაში გავედით. ბოსელი ლელქაშით შემოლობილი ეზოს სიღრმეში იდგა. ბოქლომით იკეტებოდა. საღამოს საქონელს შე-

რეკავდნენ ბოსელში და ჟუმაში კარს კეტავდა. გასალებს კი ჩვეულებრივ კარის უკან კიდებდა. ჟუმაშის ცოლი დილით ძალიან ადრე დგებოდა. თხებს რომ მოწველიდა, ჩვენს რძეს ძველ ჩამომტვრეულ ქვაბში ცალკე გადმოგვისხამდა. მე ხან გვიან მოვდიოდი რძისთვის, ხან მოწველის დროს და ველოდი, როდის მოორჩებოდა წველას. უფრო ხშირად ძალიან მალე ვბრუნდებოდი, თან სავსე ქვაბი მომქონდა.

— ხედავ, — ჟუმაშმა გამოგლეჯილ ურდულზე ჩამოკიდებული ბოქლომი შეარყია, — გაზითაა მოგლეჯილი. ხედავ, ნაკვალევი ეტყობა, — მოფლეთილი კარი გამოსწია და მიჩვენა.

მაინც საიდან მოვიდა? ვინ შეიძლება იყოს?

ჟუმაში ადგილს ვერ პოულობდა. ხან ბოსელში შევიდოდა, ხან გამოდიოდა, გაუთავებლად ბურტყუნებდა, მე გამოვბრუნდი და შინ წამოვედი. ძალიან განვიცდიდი. გული აღშფოთებისაგან მიდუღდა. მზად ვიყავი პირველ შემხვედრსავე დავძგერებოდი, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ახლა თვითონ ქურდი რომ შემხვედროდა, კიდევ უკეთესი იქნებოდა. მე იმას ვუჩვენებდი სეირს.

სადღაც, შუადღისკენ, ჯუმაშმა ჩვენი თხის თავი, ფეხები და ტყავი მოიტანა, პირდაპირ კერიასთან დაყარა.

— ყველა დაუკლავს და ხორცი წაუღია. ტბამდე მივყევი ნაკვალევს და აი, ეს ვიპოვნე, არ შეარგოს ღმერთმა, ასეთ დროს უკანასკნელიც დაკარგო კაცმა?!

ბებიამ ჟუმაშს დამშვიდება დაუწყო.

— თავს ნუ იკლავ. ნუ ლელავ. ეს ყოფილა ჩვენი ბედი. ვერაფერს ველარ გამოასწორებ. ჩათვალე, ჟაკე, ვითომ შეგიწირავს. ეს თავ-ფეხიც იმიტომ დატოვეს, ტყუილუბრალოდ ალარ ვეძებოთ. ამისთვისაც მადლობელი ვართ.

სადილის შემდეგ კვნესითა და ოხვრით წამოდგა ბებია. თბილად ჩაიცვა, წელი შეიკრა. მე გავმხიარულდი.

ბებია ძლივს მოძრაობდა, მაგრამ მაინც ფუსფუსებდა და სახლში რაღაცას ბკეთებდა. სასწრაფოდ შეშა შემოვიტანე, ქვაბში წყალი ჩავასხი. სამოვრის მილიდან ნახშირი გამოვყარე და კერიასთან მივდგი.

— დეიდა თაბიგასთან წადი და გამოართვი რძე, ჩაის გასათეთრებლად.

ტოლჩა ავიღე და თაბიგასთან გავიქეცი. დეიდა ბოსელს წმენდდა. უკმაყოფილოდ შეხედა ტოლჩას და მკითხა:

— ისე მოხვედი, თუ რამე გჭირდება?

— გამარჯობათ, — მივესალმე მე. — ბებია ადგა. გთხოვათ, ცოტა რძე გამომიგზავნეთ.

— თქვენი თხა რა უყავით?

— ღამით ჟუმაშის კარი გაუტეხიათ და ჩვენი თხაც მოუპარავთ. ყველა ერთად წაიყვანეს. დაკლეს და ტყავი დატოვეს.

— რაო? — შიშისაგან თვალები გაუგანივრდა თაბიგას. — ხომ ვამბობდი! რა დრო დადგა. ყოველ დღე უარესდება მდგომარეობა. ეს ხომ ღვთის რისხვაა — დაკეტილი კარიდან საქონლის წაყვანა ვის გაუგია?

თაბიგამ ორთითა კედელს მიაყუდა და მოთქმით შევიდა სახლში.

— აქამდე რძეს ვინ დატოვებდა? ახლავე ვნახავ. ვაითუ გათავდა. დარჩა ნეტა? ვაი, არ მახსოვს.

მე უკან, ფეხდაფეხ მივყვებოდი.

— მომეცი შენი ტოლჩა, — ზურგით დადგა ისევ თაბიგა და ცოტა რძე გადმოასხა ტოლჩაში.

სანამ თაბიგა რძის ჭურჭელს ლოკავდა და პირს აწკლაპუნებდა, ტოლჩაში ჩავიხედე. რძე მხოლოდ ტოლჩის ფსკერს ფარავდა. ორი ყლუპი თუ იქნებოდა, ეს ჩაის გასათეთრებლადაც კი არ კმაროდა.

— ეს ცოტაა, — ვუთხარი და ისევ გავუშვირე ტოლჩა.

— არ მიჯერებ თუ... ადამიანურად გეუბნები, რომ მეტი რძე ალარა მაქვს, ალარ არის!

იმის დასარწმუნებლად, რომ რძე მართლა ალარ იყო, თაბიგამ ჭურჭელს ხელი შემოჰკრა რამდენჯერმე, მაგრამ თავი არ გადმოუწევია.

— შენ თვითონ ხომ ხედავ. სულ ეს დარჩა. აბა, წადი.

შემდეგ სახლში ვინ ცხოვრობდა, არც კი ვიცოდი, მაგრამ ტოლჩით ხელში მაინც წავედი იქით. ბებიას აქ ყველა იცნობს.

იმ სახლში მხოლოდ კუზიანი მოხუცი ქალი დამხვდა. შიგ რომ შევედი, მოხუცი იატაკს გვიდა. მომესალმა, ტოლჩა ჯერ ზურგს უკან მეჭირა, ქალმა ცოცხი გააგდო ხელიდან, მომიახლოვდა, თვალებს ისე ჭუტავდა, ეტყობოდა, თვალს აკლდა. თავი დამიკრა.

— ბებიამ ჩაისთვის რძე გთხოვათ.

— როგორ არის საწყალი? ადგა მაინც?

— ადგა.

— ჭურჭელი გაქვს?

— მაქვს.

ტოლჩა მივაწოდე.

— ეს რა რძეა?

— დეიდა თაბიგამ მომცა.

— ასეთი გულუხვობა როგორ გამოიჩინა? ეს რა არის, თითქოს კატამ ჩააცრემლა ზიგი. მეც არ მომეჭრას თავი, შვილო! — ლამბაქით თავდახურულ თასში რაც რძე იყო, მოხუცმა ჩემს ტოლჩაში გადმოაპირქვავა.

— მაგრამ ტოლჩა მაინც არ გაივსო.

— ბილმართან წადი, გენაცვალე, და შენ რძით სავსე ტოლჩით მიხვალ. იმათ ორი მეწველი თხა ჰყავთ, იქნებ გაგივსონ.

მეზობელ სახლშიც შევედი და პირამდე ავსებული ტოლჩით ძლივს მივაღწიე სახლამდე.

ჩაის დასალევად დავსხედით. ბებია ლუმელს მიეყრდნო და სიამოვნებით დალია რამდენიმე ფინჯანი ჩაი. დამჭკნარ სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ახლა ბებია უსათუოდ გამოჯანმრთელდება, — ვფიქრობდი გახარებული.

XVII

ბებია ყოველდღე უკეთესად ხდებოდა. მაგრამ საჭმელი გველეოდა და ღელავდა. ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ ორივენი ბაზარში წავსულიყავით.

სადილის შემდეგ შოლფანი ჟუმაშთან წავიყვანეთ. სკივრიდან დახვეული დიდი ხალიჩა ამოვიღეთ. შევკარით და ქუჩაში გამოვედით. მე თბილად ჩავიცვი, ბებიამ წელი მაგრად შეიკრა. კარი დავხურეთ. რაზა ბაწრით შევკარით და გარეცხან ქვა მივადეთ.

— მომეხმარე მხარზე შევიგდო. — მეც ვუშველე და ბებიამ ხალიჩა კრუსუნით მოიკიდა. მერე თქვა:

— ღმერთო, ხელი მოგვიმართე. მშვიდობით გვატარე. ერიქე. შვილო, არ ჩამორჩე.

ბებია წამდაუწუმ ისწორებდა ზურგზე ხალიჩას და ტბისაკენ მიმავალი ოლოოჩოლორო გზით მიდიოდა. მე უკან მივყვებოდი. სწორედ იმ მთაზე უნდა გადაგვევლო, სადაც მე და კუმაი მივდიოდით სანადიროდ. შემოვბრუნდი და უკან მოვიხედე. აულის მიღმა მთების დამრეცი წვეროები მოჩანდა. მერე ისინიც, თითქოს ერთიმეორის მიყოლებით, ბურუსში ჩაინთქნენ. ბებიამ ნაბიჯს უმატა და ძლივს ვეწეოდი. ლელქაშის რაყის შორის მიმავალ ვიწრო ბილიკზე გადავედით. აქ ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა და ბებიაც უკანმოუხედავად დროდადრო მეხმაურებოდა. „ერიქე"! მამოწმებდა. ხომ არ ჩამოვრჩი. „აუუ". — ვპასუხობდი და ბებიაც მშვიდდებოდა. მე ჩუმად, ცხვირის სრუტუნით მივდიოდი და ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა თავში. ერთიც ვნახოთ, ბებია ისევ გაბდა ავად და ჩაწვა ლოგინში? სულ ცოტა ხნის წინ ადგა ლოგინიდან. გზას გაუძლებს კია? თან რა მძიმე ტვირთი მიაქვს... რა მოხდება, მე მომცეს? შევძლებ ტარებას. მაგრამ, რამდენიც არ უნდა არწმუნო, არაფრის გულისათვის არ დათანხმდება. ხომ დაიღლება, მოვიცდი.

რა ხშირი ლელქაშია. კედელივით ალმართულა. რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო ხშირდება. ქარი დაქრის რაყაში, აქანავებს და აშრიალებს ვერცხლისფერ ცოცხებს. თავზე ფირუზისფერი ცა დაგვნათის. ერთი ღრუბელიც კი არსად ჩანს.

გზა გამხმარი რტოებითაა მოფენილი. დააბიჯებ და ჩუმი ტკაცუნი ისმის. ბებია სამად მოკეცილი მიდის, მისი კაბის გრძელი კალთები დროდადრო ეხლება ლელქაშის ტოტებს.

— ცოტაც და შეჩერდა. გვერდით გადადგა ნაბიჯი და გზისპირზე ბათქანით ჩამოაგდო ტვირთი ძირს. მერე შეკვრაზე ჩამოჯდა და გაწამებული სახით მხარზე ხელი მოისვა, ალბათ მაგრად აჭერდა ბაწარი.

— რა მძიმეა ეს ოხერი. ლამის მიწაზე დამარტყმევინოს თავი. — სახე გასწითლებოდა და გაოფლიანებოდა. თავსაფრიდან გამოწეწილ თმას აცახცახებული ხელებით ისწორებდა, ვეღარ და ვეღარ მოითქვა სული.

შესვენების შემდეგ მე წავავლე ხალიჩას ხელი.

ბებია აღელდა:

— რას შვრები, რას შვრები, გენაცვალე! წელს მოიწყვეტ.

გადავწყვიტე აღარ დამეთმო, ბაწარს მაგრად ჩავავლე ხელი და აღარ გავუშვი.

— არა, ბებია, მე წავიღებ. ძალიანაც კარგად შემიძლია.

— დაიგდე, ახლავე დაიგდე, — შეეშინდა ბებიას. — რას ამბობ, ასეთ სიმძიმეს როგორ დასძრავ, იტკენ რაღაცას.

არ დავუჯერე. ბებიაც მიხვდა, რომ ჩემი გადარწმუნება შეუძლებელი იყო და თვითონვე მომეხმარა ხალიჩა მხარზე შემეგდო. ბებია ხელებგაშლილი იდგა. ჩემს შესაშველებლად გამზადებული, თუკი წავიქცეოდი. ერთი კი წავბარბაცდი, მაგრამ მერე მაგრად დავდექი ფეხზე და ბილიკზე გავედი. ახლა ბებია ლამის ფეხდაფეხ მომდევდა უკან, ეშინოდა სიმძიმეს ვერ გავუძლებდი, კრიჭაშეკრული, მთელი ძალით დავიძაბე. ბაწრის თავისუფალი ბოლო ქამარზე

შემოვიხვიე და ხელიდან არ ვუშვებდი. თუ ხალიჩა ქვემოთ ჩამოცურდებოდა, სწრაფად ვჩერდებოდი. მუხლებში ვიღუნებოდი და ისევ მხრებზე ვიგდებდი ტვირთს. მერე ისევ გზას ვაგრძელებდი. აქამდე თითქოს სწორი გზა ახლა ოლოჩოლორო გახდა: ხან ფეხი მიცურდებოდა, ხან ორმოში ვვარდებოდი, ხან მიწის გროვას წამოვკრავდი ფეხს. მაგრამ მაინც არ მიფიქრია, ჩემი ტვირთი ბებიასათვის დამეთმო. ცოტა მაინც დაისვენოს, ვფიქრობდი, ჩემზე. უამისოდაც ძლივს დადის, ავადაა და დაღლილია. მე გავუძლებ — [illegible] ვუძლო.

— დაიღალე, ხომ, მომეცი ახლა, მე წავიღებ, — ვებრალები ბებიას.

პასუხად მხოლოდ კბილებს ვაკრაჭუნებ.

— ჩემო საყვარელო, ჩემო იმედო, სულ ჩემზე ფიქრობ, სულ მიფრთხილდები.

ოფლი ჩამდის თვალებში. ფეხები მებლანდება, ალარ მემორჩილებიან. ვერაგი სისუსტე მეუფლება. ბაწარი უმოწყალოდ მჭრის ბეჭებს და ხელებს. თვალთ მიბნელდება და სულის მოსათქმელად ვჩერდები. ბებიამ სასწრაფოდ წაავლო ხელი ხალიჩას და ფრთხილად დაუშვა მიწაზე. სუნთქვა შემეკრა და ნელა, კრიჭაშეკრულმა, ისე რომ ბებიას არ შეემჩნია, ამოვისუნთქე.

ბებია ჩემ გვერდით დაჯდა და მხრებზე ხელი მომისვა, ჩემი ხელები თავის ხელებში მოიქცია და დამიზილა.

— შეხედე, როგორ ჩაგეჭდობია ეგ ოხერი თოკი.

— ვისთან მიგვაქვს, ბებია, ხალიჩა?

— წავიღებ და ბოთბაის დავუგდებ ფეხებთან. საპატივცემულო კაცია. ამ მხარეში დიდად აფასებენ. არა მგონია, უკან ხელცარიელი გამოგვიშვას. უსათუოდ ექნება რალაც. ეს ის კაცია, ხვალინდელ დღეზე რომ ფიქრობს.

ბებიამ უფლება ალარ მომცა ისევ მე მომეკიდებინა ტვირთი და ახლა თვითონ წაიღო ხალიჩა.

უკვე ბნელოდა. ფანჯრებგანათებულ დაბალ სახლთან რომ მივედით, შუაბნის მწითური ქალი ისე მიესალმა ბებიას, ძლივს შეარხია ტუჩები და საბანი საპატიო ადგილას დაუგო. თვითონ კი ცნობისმოყვარეობით დააკვერდა კართან დადებულ შეკრულ ხალიჩას. მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს. ხაი დაადგა. ეტყობა, ბებიას არ იცნობდა, იმიტომ რომ არაფერი უთქვამს, როგორ ბრძანდებით — ისიც არ უკითხავს. თურმე ძალიან დავღლილვარ გზაში, ჩემს სახლში რომ ვყოფილიყავი, უსათუოდ მიეწვებოდი. მაგრამ სხვის სახლში ვიყავით და თავს ვიკავებდი.

ის იყო სამოვარი ადუღდა, რომ ოთახში მაღალი ჭორფლიანი კაცი შემოვიდა. ბებია რომ დაინახა, მხიარულად მიეჭრა მისასალმებლად. ორივე ხელი გაუწოდა, დაწვრილებით გამოჰკითხა ამბები და ჯანმრთელობა. მერეც, ხელჩირს რომ იბანდა, ისევ მხიარულად აყრიდა ბებიას შეკითხვებს.

— ეს შავტუხა, ეტყობა, ყოჩაღი ბიჭია. აითბამბეთის ვაჟია, არა?

— ეს არის. მაგისთვის ვიწყვეტ წელს. იქნებ ფეხზე დავაყენო და კაცი გავხადო.

— ოღონდ ჯანმრთელად იყოს და კაცი ნამდვილად დადგება მაგისაგან. უკან მობედვასაც ვერ მოასწრებ, რომ ჩვენზე მაღალი აიწოწება. ისე თუ აითკენს დაემსგავსა, თავს უსათუოდ გამოიჩენს. ხომ მართალს ვამბობ, ჯიგიტო?

მე გავჩუმდი.

ორი-სამი ფინჯანის დალევის შემდეგ ბებიამ თავისი ფიალა გადააბრუნა და თქვა, უკან დაბრუნების დროაო. სახლის პატრონი შეწუხდა.

— რას ამბობთ, უკვე გვიანია. ღამე აქ გაათენეთ და დილით წადით. ამ ღამეში სად უნდა წახვიდეთ? რამე რომ შეგემთხვეთ?

ბებიამ სასტიკი უარი თქვა.

— მაშინ მითხარით, რა საქმეზე მოხვედით? ასე გვიან უბრალოდ არ მოხვიდოდით!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ჩემი საქმე ასეა: თუ ბავშვებისათვის საქმელს მომცემთ, ამ ხალიჩის გარდა უკეთესი არაფერი გამაჩნია... ჩვენ ეს ხალიჩა არაფერში არ გვჭირდება, როგორც ამბობენ, ფუფუნებისთვის არა გვცალია, თქვენ კი, მადლობა ღმერთს, სტუმრიანი ოჯახი გაქვთ და გამოგადგებათ. თუ გინდათ კედელზე გააკარით. მართალი გითხრა, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. ეს არის, რაც კი ჩემი შვილისაგან დამრჩა, ითაშისაგან... ახლა კი სხვა გამოსავალი არა მაქვს.

ბოთბაი აღშფოთდა:

— რას ამბობთ, კაკე?! როგორ შეიძლება ითაშის დატოვებული ხალიჩა სხვას მისცეთ? ჭკუაზე ხართ? ნუთუ ისე დავკარგე სინდისი, ეგ გამოგართვათ? არც იფიქროთ! ითანი არაა, მაგრამ მისი მემკვიდრე ხომ აქაა, ამას გამოადგება. მე ჩემი ქონება ჩემს სიცოცხლეში მეყოფა.

მწითურმა ქალმა ველარ მოითმინა და საუბარში ჩაერია:

— რამ შეგაშინა, გველს ხომ არ გაჩრიან? ბებია მართალს ამბობს. გაწყენს თუ? ბოლოს და ბოლოს მართლა თუ კედელზე ჩამოვკიდებთ, მარტო შენთვის ხომ არ იქნება. მთელი აული ისარგებლებს. ბოთბაი ხარ, ხალხისათვისაც ბოთბაი ხარ. იმათთვის რამდენს ზრუნავ. შენთან ვიღა არ მოდის? ისეთ უარს ამბობ, გეგონება, ხალიჩა ჩვენთვის ზედმეტია! მე მგონი, შენთან არავის არაფერი არ დაეკარგება. სამაგიეროს გადავიხდით. ასმაგად დავუბრუნებთ.

განრისხებულმა ბოთბაიმ შეხედა ცოლს:

— იქ ეჩრები, სადაც შენი საქმე არ არის. იჯექი მანდ, როცა არ გეკითხებიან. შე უბედურო, შეძენის გარდა სხვა არაფერზე ფიქრობ. მაგ ენის ჭარტალს ისა სჯობს ორი ტომარა მოამზადო. იმდენი ხორბალი და სიმინდი გადმოყარე, რამდენის წაღებასაც შეძლებენ. თუ მხოლოდ ამისათვის მოვიდნენ, ნულარ დაეაყოვნებთ, ადრიანად წავიდნენ, რომ არავინ დაინახოს.

მწითური ქალი სულმოლად გაკაპასდა:

— შენ მზადა ხარ შენი შვილები შიმშილით ლახოცო! კი, კი, დახოცო! ორი ტომარა რა ამბავია? ხორბალი გადმოუყარეო. სად არის ამდენი ხორბალი? რა გგონია, ქერს ველარ ჭამენ? თუ ვალი დაგრჩება, შემოდგომაზე გადაუხდი.

ბებია ლაპარაკში არც ჩარეულა. ელოდა, ჩხუბი როდის დამთავრდებოდა.

— აბა წამომყე.

კაცი კარისაკენ გაემართა. ცოლი ბურდღუნით გაჰყვა უკან. ბებიამ მანიშნა: მოემზადეო, და ჩაცმა დავიწყეთ. სასწრაფოდ ჩავიცვით და ბოთბაი რომ დაბრუნდა, გამზადებულები დავხვდით.

— უკვე მზადა ხართ? მაშ წავიდეთ. ტბამდე მაინც მიგაცილებთ.

მწითური ქალი სიბრაზისაგან გამწვანებული შემოვიდა ოთახში. ჩვენ ოთახიდან ისე გამოვედით, ქალს არც კი გამოვემშვიდობებიანართ. ორი სავსე ტომარა მოჰქონდათ ბებიას და ბოთბაის. ეზო-ეზო ვავედით ტბასთან.

— შეიძლება კი წაღებას? — შემეკითხა ბოთბაი და, ლელქაშებთან როგორც კი მივედით, თავისი ტომარა ზურგზე გადმომიდო, — არ შეჩერდეთ, — ჩურჩულით უთხრა ბებიას, — ეცადეთ, არავის დაენახოთ. ურემს კი გიშოვნიდით, მაგრამ დილამდე ვერ დააბრუნებთ. მერე კიდევ შეიძლება უსიამოვნებაც მოხდეს. როგორმე თქვენ თვითონ მიაღწიეთ სახლამდე.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ღმერთი გადაგიხდის, სამაგიეროს, გაბედნიეროს შენი შვილებით. სხვა გამოსავალი არ მქონდა, ბებიაცვალე, იმიტომ მოვედი შენთან, ვიფიქრე, ჩემს ითანს იცნობდა, ახლობელი კაცია და უარს არ მეტყვის — რა ბედნიერებაა, რომ ხელცარიელს არ მიშვებ უკან.

— ხალიჩას როგორმე გამოგიგზავნი.

— რას ამბობ? ეგ არც იფიქრო! ჩემი ერიქე ცოცხალი იყოს და ქონებას თვითონვე შეიძენს. ეხლა კი მთავარია ესენი გადავარჩინო.

— კარგი ქენით, რომ მოხვედით. თქვენთან მოსვლის დრო არა მაქვს, იმდენი სამუშაოა, არ გეგონოთ, არხეინად შევჭამ ლუკმას, ითმამბეთის შვილები თუ მშიერები იქნებიან. როგორც კი გაგითავდება, ბიჭი გამოგზავნე ჩემთან. თქვენთვის არაფერს დავიშურებ. აბა, გზა მშვიდობისა.

— კარგი.

ლელქაშებში უკუნეთი სიბნელე იდგა, თვალში თითს ვერ მიიტანდი, მაგრამ ჩვენ მაინც მივიკვლევდით გზას. მხოლოდ ბებიას ფეხქვეშ ლელქაშის გამხმარი რტოების ტკაცანითღა ვხვდებოდი. საით უნდა წავსულიყავი. ტომარა ხალიჩაზე მჩატეა. შეიგდებ მხარზე და გრძნობ, როგორ ჩხრიალებს შიგ მარცვალი. ალბათ ქერია. არ ვიცი, დასვენება მოვასწარით თუ ტვირთია სასიამოვნო. ეს კია, ადვილად მივაბიჯებთ. შინიდან გზა გაგვიჭირდა, აქედან კი უფრო სწრაფად მივდივართ.

— ერექე, — მეხმაურება ბებია.

— ჰაუ.

— არ დაიღალე?

— არაა...

— არ ჩამომრჩე, ჩემო კვიცო. სამაგიეროდ მერე დავისვენებთ. ვინ იცის, შოლფანი როგორ ტირის. ვინ იცის, ყვირილი ატეხა და ყველას თავი მოაბეზრა.

ბებია ახლა უფრო მხნედ ლაპარაკობდა.

მხოლოდ ორჯერ დავისვენეთ გზაში. საშინლად დაღლილები დავბრუნდით. აულში ერთი სინათლეც აღარ ენთო, ყველას ეძინა. ერთ ძაღლსაც არ დაუყეფია.

XVIII

ბებიამ წყალი შეისხა სახეზე, ხელები გადაიბანა და კერიასთან ფუსფუსს მოჰყვა. სასწრაფოდ ჩავიცვი, ავიღე ტოლჩა და რძეზე წავედი. კართან შევჩერდი და დაეფიქრდი — სულ ბოლოს რძე ვისგან მოვიტანე? ჰო, გუშინ რძე ბორანბაის გამოვართვი, დღეს უკვე მათთან წასვლა არ შეიძლება. ერთი დღე მაინც დაისვენონ ჩვენგან. დღეს თაბიგას რიგია. მათი სახლის ზღურბლს ჩემს სიცოცხლეში არ გადავაბიჯებდი. მაგრამ ყოველ საღამოს ის და მისი შვილი ჩვენთან ვახშმობენ. იმიტომაც გვიტანს, თორემ წვეთ რძესაც არ მო-

გვცემდა, საკმარისია ჩემი ტოლჩა დაინახოს, რომ თვალებს თოფის ორ ლულასავით მიმიზნებს ხოლმე მოსაკლავად.

ქუჩაში რომ გამოვედი, ყინულივით ცივმა ქარმა სული შემიხუთა — სახე დამისუსხა. ერთბაშად გამეყინა ხელები, შარვალი, საყელოში ჩამიძვრა, რეულებული ვიყავი მოვბუზულიყავი. გამჭვალავი ქარისაგან დასაცავად თავი დავლუნე და ძლივს მივიკვლევდი გზას თაბაგას სახლისაკენ.

ქარი დაკეტილი დამხვდა. დიდხანს ჯიუტად ვაბრახუნე. ქარს არავინ მიღებდა. შეიძლება ჯერ არც კი გაუღვიძიათ. ან შეიძლება თავის გაწრიპულ ძვილთან ერთად სადღაც წავიდა. სარკმელს მივადექი. აქ სახლს უკანაც უბერავდა. ქარმა ჩემი ყურებიანი ქუდის ზონრები ამიფრიალა და პალტოს კალთები ამიფართხუნა. პატარა სარკმელში შევიჭყიტე. სარკმელს გარშემო ყველა ჭუჭრუტანა საგულდაგულოდ იყო შელესილი თიხით, თვითონ მინა კი შიგნიდან შეორთქლილიყო — არაფერი არ ჩანდა. ფრთხილად დავაკაკუნე. სად უნდა წასულიყვნენ ამ ალიონზე? რასაკვირველია, შინ არიან. ვაკაკუნე და ვაკაკუნე. ბოლოს სქლად მოჭირხლული მინის მიღმა ვილაცის თავი გამოჩნდა. ეტყობა, მიხვდნენ, რომ არამც და არამც არ წავიდოდი, სანამ ქარს არ გამიღებდნენ.

ქარს მივადექი. ქარის უკან ბუზღუნი გაისმა.

— აკაკუნებს და აკაკუნებს. რა აბეზარა ვინმეა, რას დადიან ამ ალიონზე და მოსვენებას არ გვაძლევენ? ნეტავი დაგვანებებენ თუ არა თავს ბოლოს და ბოლოს? ჯინაზე ჩვენ გვერდით დასახლდნენ, დადიან და მათხოვრობენ. ეს რა უბედურებას გადავეკიდე. ეს თხა ჩემს სასიკეთოდ კი არა, სატანჯველად მყავს. ვინ არის?

— მე.

— ვინ მე?

— ერალი.

ქარი ოდნავ გამოიღო.

— რამეზე მოხვედი, თუ ისე ტყუილად?

ვითომ არ იცის, რისთვისაც მოვედი.

— რძე... ბებია...

— რა რძე? შემოდი.

ღია კარში ძლივს შევეტიე გვერდულად.

— დღეს რძე არა გვაქვს. თხამ ქვაბი წიხლით წამიქცია და დაღვარა. მე თვითონ, ხომ ხედავ, ურძეოდ დავრჩი, — ჩამოკიდებული ქვაბი ჩამოხსნა და ცარიელი ძირი დამანახა. — ბრმა ხომ არა ხარ, ერთ გზაზე რომ დადიხარ სულ, მარტო ჩვენი გზა ისწავლე. გაცვდა ქარი. დადიხარ და დადიხარ. წადი, აქ სხვა ხალხიც ცხოვრობს, შე საწყალო, ნუ გეზარება, ადექი და იმათთანაც მიდი. ხომ ხედავ, რომ არა გვაქვს. სხვათა შორის, მწევარი სად არის?

მოულოდნელობისაგან ისე შევკრთი, თითქოს თავში ჩამარტყესო.

— რომელი მწევარი? რა მწევარზე მეუბნებით?

უცოდველი სახით შევაჩერდი, ვითომ ვერაფერი გავიგე.

— ეე, მე შენ გეკითხები.

— არ ვიცი, არ მინახავს.

— შენ თუ არ იცი, აბა ვინ იცის? როცა კურდღლის პოვნა გინდა, მაშინ ყველაფერი იცი. ახლა რაღამ დაგაბრმავა? შენი გაკეთებულია ეგ საქმე! ბგონია, არ ვიცი, აგე, ბავშვმა თქვა, რომ შენ წაიყვანე სანადიროდ. რა, სულელებად ხომ არ გვთვლი?

— ერთხელ მაოილა წაიიყვანე, მაგრამ მერე აღარ ვიცი. აღარ მინახავს.

— აგრემც ცეცხლის ლურჯმა ალმა დაგწვას. შე მატყუარა, შენა! — ალილო და თავისი ლონიერი მუშტი მკერდში მატაკა. თვალთ დამიბნელდა.

— დაიწვი და დაიხრუკე შენა!

გამწარებული და გაბრაზებული პირდაპირ თვალებში შევყურებდი.

— წარმოგიდგენია? ერთი მტკაველაა და ნადირობს. მაგის სისხლმა გიყივლა? თუ ძალა გერჩის, თვითონ გაგეზარდა მწევარი. [illegible] როგორ მომშტერებია: ო, რა ჯიუტი ხარ. აქ შენ მეტი არავინაა, ვისაც იმ ძაღლის წაყვანა შეეძლო. როგორ გგონია, უწმინდურმა ძალამ წაიყვანა? ასე გამოდის? მომეცი ტოლჩა.

ხელიდან გამომგლიჯა ტოლჩა და ძალზე ცოტა რძე ჩამიწურა შიგ. ტოლჩა გამოვაოთვი, ერთბანს შევიცალე, მერე რძე ფეხებთან მივუქციე, გამოვბრუნდი და წამოვედი.

თაბიგამ შეჰკივლა:

— ერთი ამას დამიხედეთ, რეებს ჩადის ეს საძაგელი. ჰა? შეხედეთ ამ ობოლ ბუშს! ო, მიწამ არ გატარა შენ! იმიტომაც წაიყვანა ღმერთმა მამაშენი, შენისთანა ამაყი და შენისთანა მედიდური რომ იყო. შენ მოგაკლდეს ეგ მედიდურობა! რამ დაბადა ასეთი! ზედგამოჭრილი მამამისია. ღმერთო, შენ მიშველე, ნამდვილი მგლის ლეკვია, აბა ვის დაემსგავსებოდა, თუ არა თავის მგლის მოდგმას?

უკან არც მიმიხედავს, ისე წამოვედი. სიბრაზე მთელ ტანში მივლიდა და ვგრძნობდი, როგორ ცდილობდა გადმოხეთქვას. მერე შეიკრა და ყელში ბურთივით მომაწვა. მძიმედ ვსუნთქავდი. დეიდა თაბიგამ კარი ჯახუნით მიმიხურა და ურდული ჩარაზა. კართან შევჩერდი და დავფიქრდი. იქნებ სხვა მეზობელთან წავიდე? ურძეოდ როგორ დავბრუნდე. ბებიას ეწყინება. ჩაისაც ვერ დალევს. მეტი რა გზა მქონდა. მოკუნტული წავედი მეზობელ სახლისაკენ.

ეს სახლი კი ამის შემდეგ მხოლოდ ჩემს ზურგსლა დაინახავს. ჩემს სიცოცხლეში აღარ გადავაბიჯებ მის ზღურბლზე.

მწითურმა მოხუცმა ქალმა მოთქმით ჩამისხა რძე. ტოლჩა მკერდში ჩავიკარი და ახლა სხვა სახლისაკენ წავედი. ამ სახლში არასოდეს არ ვყოფილვარ. მაგრამ არა უშავს. ბებიას ვახსენებ, მას კი ყველა იცნობს აქ.

ეტყობა, ლელქაშის ვიწრო და გრძელი მიშენებული წინკარი უნდა გამეელო, რომ სახლში მოვხვედრილიყავი. ბნელოდა, არაფერი ჩანდა. სინათლე მხოლოდ შემოსასვლელიდან შედიოდა. მაგრამ ის უკვე შორს დარჩა.

კედელ-კედელ მივიკვლევდი გზას. უეცრად რალაც რბილს დავადგი ფეხი და იმწამსვე ღრენით დამეძგერა ძაღლი. მე სასწრაფოდ გავვარდი უკან, ერთადერთი გასასვლელისაკენ. ფეხდაფეხ გააფთრებული ძაღლი მომდევდა ყეფით. გარეთ დამდუღრულივით გამოვვარდი. უკვე შორს ვიყავი, უკან რომ მოვიხედე, უშველებელი წითელი ძაღლი კი ისევ გააფთრებული ყეფდა. ტოლჩა უკვე აღარ მქონდა. პალტოს კალთებიც ძაღლს დაეფლითა. ისე კი არც არაფერი მტკიოდა და არც სისხლი მდიოდა. ეტყობა, პალტოში კბილი ვერ გაატანა, იმიტომ რომ ნაკბენს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ხელ-ფეხი მიცახცახებდა. ერთხელ კიდევ გავხედე ძაღლს ზიზღით, რომელიც ისევ განაგრძობდა ყეფას, და ნელი ნაბიჯით წამოვედი შინისაკენ.

ტანსაცმელშემოფლეთილი და თან უტოლჩოდ რომ დამინახა ბებიამ, იმწამს მობეზარდა.

— ერექე, რა მოხდა? რა მოგივიდა?

ხმამაღლა ტირილი მინდოდა, ცხვირში თითქოს რაღაცამ შემიღიტინა.

— ძალლმა მიკბინა.

— ღმერთმა დასწყევლოს ეგ ძაღლ... თაბაგადანვე უნდა დაბოუნებულიყავ.

— რომ არ მომცა ძაღ.

აუჩქარებლად გავიძრე პალტო. ძლივს ვიკავებდი თავს, რომ ᲔᲠᲔᲥᲔᲛᲔᲚᲘ ნებულიყავი, მაგრამ ბებიას ეწყინებოდა. ბებიამ საბნის ნაპირᲬᲐᲒᲔᲠᲘᲚᲘᲐ ჩექმები გამაძრო. პალტო ლოგინზე მიაგდო, ღუმელთან მიმიყვანა და ცეცხლის შუქზე ყურადღებით თავიდან-ფეხამდე დამათვალიერა.

— ნაკბილარი არსად გეტყობა? ო, ჩემო მზეო, ჩემო ერთადერთო, აბა მიბრუნდი, ისწი ფეხი. ნაკბენი არ გეტყობა, ჩემო მარჩენალო.

გულზე მიმიკრა თუ არა ბებიამ და თან ზურგზე ალერსით ხელი მომითათუნა, ორი ცხელი კურცხალი სწრაფად, ძალიან სწრაფად ჩამომიგორდა ლოყაზე.

— ერექე, ასე არ შეიძლება, ჯიგიტის ტირილი ვის გაუგონია? ერექე-ე! — საყვედურით ჩამარცვლა ბებიამ.

თვალის კოლოებ ითითით ᲗᲝᲛᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ, რამდენჯერმე წავისლუკუნე და ტუჩი მოვიკვნიტე. არა, არ ვიტირებ.

XIX

ძილში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა ალერსიანი და ძალიან მშობლიური ხმა.

— ერექე... გელოდებიან... დგანან... უკვე შეგროვდნენ...

საბანი წავიხურე და თავი ბალიშის ქვეშ შევმალე. არ მინდოდა გაღვიძება... ძილი... ძილი მინდოდა...

ვინ მელოდება? რატომ? რაღაცას კი ამბობდა გუშინ მასწავლებელი. აა, მომაგონდა... თავში ბუნდოვნად ამომიტივტივდა: „ხვალ... ზამთრის არდადეგებია... კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გთხოვათ... ბავშვებო... დავალება... ლელქაშის მოგროვების გეგმა... თბილად უნდა ჩაიცვათ... მესამე და მეოთხეკლასელები... მშობლებთან შეთანხმებულები ვართ. დილიან საქუშაოზე უნდა გავიდეთ“.

იმწამსვე წამოვწიე თავი. უუჰ, რა სიცივეა. არა, არ ავდგები. ისევ გავეხვიე საბანში, მოვიკუნტე. მუცელთან მივიტანე მოხრილი ფეხები.

— აუ, შვილო, მასწავლებელი გელოდება...

გადავიძრე საბანი და სწრაფად ჩავიცვი ტანსაცმელი.

აა, აი, აქ არის წყლის დოქი. კერიასთან თითის წვერები დავისველე, თვალებში ამოვისვი. ბებიამ უბეში პატარა შეკვრა ჩამიდო და ჩემთან ერთად გამოვიდა.

მზე ჯერ არ ამოსულიყო. გარიჟრაჟის ბინდში კოლმეურნეობის საქონელში წავედით. აქ უკვე შეგროვილიყო ხალხი. ბიერს კამეჩი მოეყვანა. ოთხიხუთი ბავშვი მასწავლებელთან იდგა. ბავშვები შეწუხებული სახეებით იყურებოდნენ აულისაკენ. ჩვენ დაგვინახეს და გამხიარულდნენ.

ბებია რომ მოვიდა, გამოცოცხლდა ხალხი, მოდიოდნენ ჩვენთან და გვესალმებოდნენ.

— ჩემო თვალისჩინო, ბიჭს თვალი ეთ მოაშორო. ხომ იცი, რე ᲔᲠᲔᲥᲔ

მაგისთვის ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე. უბედურება არაფერი მოხდეს, ღმერთმა დაიფაროს. საჩეხით ფეხი არ მოიჭრას. ფრთხილად იყავით, ფრთხილად.

— ნუ გეშინიათ, ბებია. ჩვენ სულ ბავშვებთან ვიქნებით. ბრიგადირს ყველაფერზე მოველაპარაკეთ. ყოველ მათგანს რომელიმე უფროსს მივამაგრებთ.

— სწორად მოქცეულხართ. ჩემი საქმე რომ იყოს, საერთოდ არ გავუშვებდი, მაგრამ რა ვქნა, თუკი ყველანი მიდიან, რა შეუძლია ამ წრეს? შეძლებს განა რამის გაკეთებას? მაგრამ რადგან შენ მიდიხარ ბავშვებთან ერთად, ეგრე იყოს, წამოვიდეს.

— რა ვქნათ, ბებია? საიდან მოვიყვანოთ სხვა მუშახელი? ასეთი დროა. ახლა ესენი არიან ჩვენი არწივები.

ბებია შინ წავიდა, მაგრამ წარამარა უკან იყურებოდა.

თენდებოდა.

ბავშვები უკვე შეგროვდნენ. ხმამაღალი საუბრით სამუშაოსაკენ დავიძარით.

უფროსები ფეხით მოდიოდნენ. ოთკებით კამეჩები მოჰყავდათ. კამეჩებზე ორ-ორი, ზოგზე სამ-სამი ბავშვი შეგვსვეს. გრძელ მწკრივად დავეშვით გზისაკენ. რაც უფრო ღრმად შევდიოდით რაყაში, მით უფრო სქელი და მაღალი იყო ლელქაში.

დიდ და ტრიალ ტაფობზე გავედით, გაყინული გუბეების ლაპლაპა ზედაპირის ხრაშახრუში ისმოდა.

უეცრად გამოცურდა მზე, ირგვლივ ყველაფერი ნათელით მოჰფინა. იქ, სადაც თავდებოდა ლელქაშის კედელი, მიწაზე ლურჯი ჩრდილები გაწვა. ასე მეგონა, თითქოს ეს ჩრდილები კი არა, მდინარის ფლატეები და მომნუსხავი ღრმა მორევები იყო, რომლის ნაპირზე ურჩხულები ცხოვრობენ — თუმცა ეს ჩვენი უსასრულოდ გაწელილი მახინჯი ჩრდილები ირხეოდა. მოჯადოებული თვალს ვერ ვაშორებდი არაჩვეულებრივ სანახაობას. გასუსული ვუსმენდი თოვლის კრაჭუნს, ყოველ ჩქამს, ლელქაშის ჩუმ შრიალს, მძიმე ნაბიჯების ხმას და ყოველივე ჯადოსნური მეჩვენებოდა.

მოვედით, ხროვად ეყარა ძნებად შეკრული ლელქაში. ბრიგადირმა და მასწავლებელმა კამეჩებიდან გადმოგვსვეს. მეოთხე კლასის მოსწავლეები მთიბავების მისაშველებლად გაუშვეს. ისინი ძნებს შეკრავდნენ და ზვინებად დააწყობდნენ. მე და ჟეტკერგენი ძია ჟუმაშს მიგვამაგრეს. ძია ჟუმაშს მარხილები ებარა და ჩვენც მასთან მივედით. ჟეტკერგენი უხალისოდ მოაბოტებდა ჩემ უკან. ხან გაჩერდებოდა, ფეხსაცმელის ზონრებს შეიკრავდა, ხან გამოქანებულ ფეხს წაჰკრავდა ფესვებს. სულაც არ უნდოდა სამუშაოდ წამოსვლა.

XX

მზე ჩავიდა და ბებიამ ჟუმაშთან გამგზავნა. შეუთვალა, სამუშაოს შემდეგ ჩემთან გადმოდით. ჟუმაში რომ მოვიდა, ჩვენ უკვე ვწვებოდით, ტანთგახდილი ქეჩის პირზე ჩამოვჯექი.

— ქალაქში მინდა წახვიდე და თან ერექეც წაიყვანო. მე თვითონ წავიდოდი. მაგრამ შოლფანის დატოვება არ მინდა. ალბათ თავი მოგაბეზრეთ. ურძეოდ გვიჭირს. ალბათ შემიძლია უკვე ბიჭის გაგზავნა მეზობლებთან. ეზო-ეზო. ტოლჩით ხელში... ეყოფა ამდენი სირბილი და მათხოვრობა. სჯობს ღმერთისა და სა-

კუთარი თავის იმედით ვიყოთ. როგორც ეს ნამცეცი თუ გადავიტანეთ, ძვრე ვნახოთ, რას მოგვიტანს ბედი.

— რასაკვირველია, აჯობებს, — ქუმაში ჩაფიქრდა და თან მიწას ხიჩქნა დაუწყო კერიასთან. — ყველა ერთ ბედქვეშ ვართ. ბუბოილებსაც ეერთ. არც ჩვენა გვაქვს თხის ყიდვის საშუალება. წლის ბოლოს, შორ[illegible] ფულს რომ მივიღებთ, აი, მაშინ ვნახოთ.

— არც მე მაქვს ფულის საქმე კარგად. ზოგი რაღის გაცვლა-[illegible] ბია ადგა და სკივრისაკენ წავიდა. საიდანაც ჩაუცმელი ბავერდის ხიფთანი და აბრეშუმის თავშალი ამოიღო. — ამას ყველაფერს შევკერავ და გაყამზადებ. თან საშ-ოთხ რწყა ხორბალსაც დავამატებ. კარგი იქნება ციკნიან თხას თუ იყიდით, მაკეც რომ იყოს, წამოიყვანეთ, თუ ბედი ჯვწყალობს, კარგი თხა შევეხვდება. წინასწარ ლაპარაკი არ ვარგა.

— ვის რად უნდა ახლა ჭინჭები? ერთიდერთი ხორბლის იმედი მაქვს.

— მაშინ კიდევ დავამატებ ერთ-ორ რწყას, რომ ასეთ შორ გზაზე ტყუილ-უბრალოდ არ მოგიხდეთ წასვლა.

— კარგი, კაქე, ხვალ ადრიანად წავალთ. ახლა გზად ბოიგადირთან შევიე-ლი და გავაფრთხილებ, დილით კი დავიძრათ. ერალი მზად დამხვდეს. მძიმე გზაა. წელს ბევრი თოვლი დადო. სახედარი ალარ მივარგა, დასუსტდა და ძლივს დადის.

ჯერ კიდევ ბნელოდა, მე და ძია ქუმაში ვირით ქალაქის გზას რომ დავადგ-ით. ხელში ჩემი ფუთა მეჭირა. მოუხერხებლად, გაშეშებული ვიჯექი ვირზე, და ძია ქუმაშის ზურგს მივჩერებოდი. მისაყრდენი არაფერი იყო, ხელები კ[illegible] დაკავებული მქონდა. იჯექი და უყურე ახლა ქუმაშის ათას ადგილას გაფლე-თილ ჩაფანს. გახეული ადგილებიდან ბამბა გამოძენძოდა ჩაფანს და დროშე-ბივით ფრიალებდნენ. „გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა" — ყოველი შენ-ღრევისას ცაბცახებდნენ ისინი.

„წყეულიმც იყოს შენი ჯილაგი! გაინძრევი თუ არა?" — წიხლებს ურ-ტყამდა ფერდებში ქუმაში სახედარს, მაგრამ სახედარი ყურსაც არ აბარტყუნე-ბდა. ისე მიდიოდა, როგორც სურდა, ფრთხილად მიაბაყუნებდა ჩლიქებს.

წინათ სულ ახლოს ვცხოვრობდით ქალაქთან, მაგრამ ერთხელაც არ ვყო-ფილვარ. ამბობენ, ქალაქში ბევრი ხალხი ცხოვრობს და ყველა სადღაც მიიჩქა-რისო. სახლები მწკრივში დგანან. ხალხი კი ჭრელია. რამდენჯერ ვაპირებდი ქა-ლაქში გაპარვას ბიჭებთან ერთად. მაგრამ დაგვიჭირეს. სულ ეშინოდათ, უწესო ბიჭებს გადაეყრებითო! ალბათ ქალაქში ყველაზე მეტი უწესო ბიჭი და ჯიბგირი ცხოვრობს. ახლა რისი უნდა მეშინოდეს, ძია ქუმაში ჩემთანაა.

კარგი ამინდია. თოვლის მოყინული ზედაპირი მზეზე კრიალებს. ზოგან ისე ბრჭყვინავს, თვალს გჭრის. ვგრძნობ, ნელ-ნელა მეყინება ფეხები. სახეს კი ყინვა მისუსხავს და ძია ქუმაშის ზურგს ვეხუტები.

— აი იქ... ხედავ გზას? — მათრახის ტარით დამანახა ქუმაშმა. შორს, თო-ვლით დაფარულ ნაცრისფერ მთაზე ძლივს შესამჩნევი გზა დათოვლილ ბუჩ-ქებს შორის ალმართზე ადიოდა და შორს იკარგებოდა.

— ვხედავ.

— ეს გზა ტახის ტბისაკენ მიდის, იმის იქით აული ბულტრიქია. მერე გზა ალაგარისაკენ მიდის. იქ კოლმეურნეობა — „ალგაა". იქედან ეშკოლმესაკენ

მარცხნივ უხვევს გზა. ბახტილში შენი ყვნეშე ცხოვრობს. დრო რომ გვქონდეს, შევიტყობდით, ლამის ეგვათვალეთ, მაგრამ ცოტა შორსაა.

— გული ამოკანკალდა. რატომ მელაპარაკება ყვნეშეზე? მე ხომ არაფერი მიკითხავს. სულაც არ მინდა მასთან წასვლა. აბა წავალ, დაგვტოვებ ბიოტოკები ამ წამებაში და წავიდა. რატომ უნდა ვეძებო მე? რომ გავიხსენებ, მაშინაც არ წავალ, ყელში რალაც მოემაწვა. ისევ ისე მომინდა ტირილი, როგორც მაშინ, ძალლმა რომ დამგლიჯა. რატომ გამოიფუჭდა ყუნება? მაგრამ ძალიან ვეტირები.

— ჰაი, ვაქკაცო, რატომ გაისუსე? რა, შენს ყვნეშეზე ბრაზობ? ჯერ პატარა ხარ, გენაცვალე. ნუ უბრაზდები იმ სიცოდავს. არ უნდა გაუბრაზდე. ოთხი წელი ელოდა აითეკენს. ყველა როდი შეძლებდა ამას. აბა დაელუპა ცხოვრება? თქვენ რომ თან წაეყვანეთ, არ უნდოდა დაყვედრებული ლუკმა გეჭამათ. მძიმე დროა, მერე მოხუცებულის მარტო დატოვებაც არ შეიძლებოდა. რა ექნა? არც ახლაა ალბათ კარგად; წასვლით კი წავიდა. მაგრამ გული თქვენთან დარჩა.

ხმა არ ამომიღია. ჰო, გაბრაზებული ვარ. ყველას გვილალატა და არ გავბრაზდე? ჩვენს მიტოვებას არასოდეს არ ეპატიება. როგორ ენატრება შოლვანს. ის ჯერ პატარაა და არაფერი არ ესმის. ბებიასაც უჭირს. ერთხელაც არ ეხსენებია ყვნეშე, არც კი იგონებს. ხანდახან მინდა წავიდე და მოვნახო. მაგრამ გულში წყენა ლოდად მაწვება და იმწამსვე ვდევნი ამ ფიქრებს.

ქუმაშმა სევდიანად ამოიოხრა.

— ეე, შვილო, შვილო, ჯერ ყერ აპატიებ. მაგრამ გაიზრდები, ყველაფერს მიხვდები და აპატიებ. ბედი, ძმაო, უბრალო საქმე როდია. ხანდახან მოხრდილ ადამიანსაც არ შეუძლია სწორად განსჯოს, ბავშვს კი არა. ლამის თავი გავისკდეს, იმდენი საფიქრალია ამ ქვეყანაზე. თქვენ კი რა უნდა მოგკითხოთ?

XXI

— ორი დღე ვიყავით გზაში, მესამე დღეს ჩავედით ქალაქში. ფეხები მიბეჟოდა, მუხლებდ ისე გამიხევდა. ველარ ვხრიდი. ჩამოვალ სახედრიდან და ფეხით წავალ. მაგრამ ბებიამ ისე შეშფოთნა, მგონი, ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ. უნდა მომეთმინა. ქუმაში რომ ფეხით წამოსულიყო, დავიხოცებოდით. მისი ავადმყოფი ფეხით ისე ნელა დადის, როდის მივალწევდით ქალაქს. ასე ვიარეთ ორმა ერთი სახედრით.

— ქალაქში ბევრი ჯიბგირია. რომ ჩავალთ, ყურადღებით იყავი. აქეთ-იქით არ დაიწყო ყურება. თორემ დაიბნევი. ერთი ნაბიჯით რომ ჩამომრჩე — ჩათვალე, რომ დაკარგული ხარ. მაშინ ჯიბგირებიდან კარგს ნურაფერს ელი. ხელად ჩაგავლებენ ,დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა. ფრთხილად იყავი, — მაშინებდა ქუმაში.

ყველაფერი, რაც ბებიამ გადასაცვლელი მოგვცა, ქუმაშს ეჭირა ხელში. როგორც კი ჩავალთ, ხორბალსაც იმას მივცემ. მაშინ რალას წაილებენ ჩემგან? მე რალად ვუნდივარ ჯიბგირებს?

ხშირ ტყეში შევედით. ხეებს შორის კარგად დატკეპნილი გზა მიიკლაკნება, რომელიც ქალაქისაკენ მიდის. ქალაქი ერთბაშად გადაიშალა ჩვენ წინ. გავედით თუ არა ტყიდან, უეცრად ბევრი სახლი დავინახე. სახლები მჭიდროდ იდგნენ ერთმანეთის გვერდით. ისე კი არა, როგორც აულშია. მაინც როგორ არ-

ჩვენ, სად ვისი სახლია და რომელ კარში უნდა შევიდნენ? სახლების სახურავებიდან სქელი შავი ბოლი ადიოდა და ცას უერთდებოდა.

ქალაქში შესვლისას სამი ვეებერთელა ძაღლი მოგვვარდა. ეუმაში სულაც არ დაბნეულა. მათრახი მოხერხებულად დაიჭირა ხელში და ყურადღება არც კი მიუქცევია მათთვის. ძაღლებმა დიდხანს გვიყეფეს, მერე მოვბეზრდით და ერთმანეთს დაუწყეს დევნა. მალე ხეებს შორის მიიმალნენ. სამაგიეროდ, ქალაქის ქუჩაზე რომ გავედით, ერთი პატარა შავი ძაღლი ეზოდან გამოგვარდა, წკავწკავით დაგვეძგერა და დიდხანს გვდია. ხან მარჯვნიდან დაგვიარა, ხან მარცხნიდან, ხან მიწას გაერთხმოდა და მერე მოგვვარდებოდა, ხან უკან გახტებოდა, ხან განზე და თან გაუთავებლად წკავწკავებდა, ყეფით იხრჩვებოდა. ასეთი ძაღლი წინათ არასდროს მენახა. სასწაულია რა! ეუმაშს შევეკითხე — რა ჯიშისაა-მეთქი ეს ძაღლი? მან კი აგდებულად ჩაიქნია ხელი:

— ფინიაა. გადაშენებული ძაღლის ჯიშია.

ჩვენ დიდხანს ვიარეთ ქუჩებში, სანამ არ მივუახლოვდით დაბალ სახლს, ისეთივე დაქანებული სახურავი რომ ჰქონდა, როგორც აულის სახლებს. პატარა ეზოში ჩამოვქვეითდით. ეუმაშმა სახედარი ხის ფარდულში მიაბა, მაგრად გამოხურა კარი და გარედან თოკით ეშმაკური ნასკვი გაუკეთა.

— ქალაქში ბევრი ქურდი დადის, წაიყვანენ, მერე ეძებე, რამდენიც გინდა.

დაბუჟებული ფეხები მჩხვლეტდა და ფრთხილად ვაბიჯებდი. ეუმაშს სახლში შევყევი. კედელთან, კარის პირდაპირ, მოკუნტული მოხუცი ქალი იჯდა. ღრმა მოხუცებული იყო, ალბათ ჩემს ბებიაზე უფროსი. ეუმაში ვერ იცნო. დიდხანს აცქერდებოდა ხელმოჩრდილული. მერე ჰკითხა:

— ვინა ხარ, შვილო?

— ეუმაში ვარ, ე უ მ ა შ ი! — ყურში ჩაჰყვირა ძიამ.

— ვინ ეუმაში, გენაცვალე?

— ეიენეი ეუმაში, ორკენიდან. თალასის შვილი.

— აა, ახლა მომაგონდა, ვიცი, ვიცი. თვალში ყოველდღე მაკლდება სინათლე. ვერაფერს ვერ ვხედავ, ამიტომაც ვკითხულობ ამასაც და იმასაც. რა ამბავია თქვენს აულში? ყველა ცოცხალია? ნათესაობა როგორ არის? ეს ვისი ბიჭია?

ხელი მოიჩრდილა და ახლა მე მომაჩერდა ქალი.

— ეს? შენი ძმისშვილი თუ გახსოვს, აითმამბეთი, იმისია, სადვაკასთან ერთად რომ წავიდა ჯარში, მისი ვაჟია.

— ეე... საწყალი, ეგრე გეთქვა, ხათირის შვილიშვილია-თქო, თულფარის ნაშიერი, — მოხუცმა თავისკენ მიმიზიდა და მაკოცა, გამხდარი ხელი გადამისვა თავზე.

— ჰო, ჰო, მისია. წელს ჩვენთან გადმოვიდა შვილიშვილებთან ერთად. ეხლა მეზობლები ვართ. ბებია ხათირმა გამოგვაგზავნა ქალაქში...

— ეე, ჩემო კეთილებო, რა უნდა იყოს, სადაც არ უნდა იყოთ, ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ. ეს არის მთავარი...

კვნესითა და კრუსუნით ძლივს წამოდგა მოხუცი ქალი და გასასვლელისაკენ წავიდა, ეტყობა, ჩაის დადგმას აპირებდა.

მე ერთიმეორის მიყოლებით გავიძრე თბილი ტანსაცმელი და კართან დავაწყვე. ცნობისმოყვარეობით დავათვალიერე იქაურობა. წითელი საღებავით შეღებილი იატაკი ჰქონდა ოთახს. დავდიოდი და ბაკუნი ისმოდა. შუა ოთახში ოთხკუთხედი ღუმელი იდგა. ჭერი და კედლები თეთრად ჰქონდა შეფეთქილი.

„ტყუილად რატომ ვსხედვართ, აბა ერთი მოვუსმინოთ“, — თქვა ჟუმაშმა, მივიდა კედელზე ჩამოკიდებულ რაღაც უცნობ საგანთან, ქუდის ფორმისა რომ იყო და ქამარი ერტყა. ჟუმაშმა რაღაც მოატრიალა და ვიღაცამ ხმამაღლა დაილაპარაკა, მე შევხტი. თვალებგაფართოებული მივჩერებოდი ამ კი თურმე რადიო ყოფილა, რამდენი რამე გამიგონია მასზე. ისე კი ჩვეულებრივი შავი ქაღალდია ქამრით. რა საინტერესოა. ოთკუთხა ღუმელში შავიქვა შეყარეს და ძალიან მალე წითლად გავარვარდა. ალბათ ეს არის ნახშირი; ლაბაზე ღუმელია, ალბათ მასზე არც კი ამზადებენ არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ღუმელზე ყაზანი არა დგას.

ჟუმაშმა დაიჩივლა, დაღლილი ვარო, და კედელთან მიწვა. რადიო კი ნამდვილ ადამიანივით დიდხანს ლაპარაკობდა, ხან ჩურჩულებდა, მერე უეცრად ამღერდა კიდეც.

დავისვენეთ, დავლიეთ ჩაი, ჟუმაშმა მოხუც ქალს უამბო, რისთვისაც ჩამოვედით ქალაქში. რა ჩამოვიტანეთ გასაყიდად.

— კადირთან წავალ, შევეკითხები, ახლა ხალხი დამშეულია, საღეჭი არაფერი გააჩნიათ საკუთარი ენის გარდა. ხორბალს უსათუოდ იყიდიან, აი, ნივთებისა კი რა მოგახსენოთ. ბაზარზე წაიღე და ვნახოთ.

ბებია მეზობელთან ერთად დაბრუნდა. ჟუმაშმა ფიალით დარწყული ხორბალი მიჰყიდა. იმან კი იმწამსვე ფული ჩაუთვალა. ძიამ ფრთხილად გადათვალა და ჯიბეში ჩაიდო. ფული ბევრი ყოფილა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თხას ვიყიდიდით.

ერთი ფიალა ხორბალი ჟუმაშმა დიასახლისს გადმოუყარა: „აბა, მოხუცო, ეს შენ საჩუქრად“, — უთხრა. მოხუცს გაუხარდა.

— ყოვლისშემძლე ღმერთო, რა მსხვილი ხორბალია. რა სუნი აქვს! ჩვენ უკვე დაგვავიწყდა ხორბლის გემო.

კარი და სარკმელები რომ დახურეს, ჟუმაშმა ისევ დათვალა ფული. ამას კედლისაკენ მობრუნებული აკეთებდა. გადათვლიდა რამდენიმე ქაღალდს, დაიფურთხებდა თითებზე და ისევ თვლიდა. მერე კოხტად დააღაგა ერთ დასტად და თქვა: „ათასამდე დაგროვდა. ღმერთმა ქნას, იქნებ გამოვიდეს რამე“, შეახვია გაზეთში და თავის დალიანდაგებულ შარვლის უძირო ჯიბეში ჩაუშვა.

— ხვალ ადრიანად გავიდეთ.

ბაზარში რომ წავედით, ჯერ კიდევ ბნელოდა. ჟუმაში კარებში შეჩერდა და სახედარი დიასახლისს ჩააბარა.

— სახედარს მიმიხედე, ჭიშკარი შიგნიდან ჩაკეტე.

— ო, ღმერთო ჩემო, ვის რად უნდა შენი სახედარი?

სიბნელეში მიჩოლავობდა ჟუმაში, თან ჩემი ხელი მაგრად ეჭირა. მე კი უკან ბორძიკით მივჩანჩალებდი, მეძინებოდა. მიხვეულ-მოხვეულ ქალაქის ქუჩებით მივდიოდით. თენდებოდა, ბაზარში რომ მივედით. ბაზარი ქალაქის აღმოსავლეთით იყო მოთავსებული.

პირველად ის ადგილი მოვიარეთ, სადაც საქონელი იდგა. ხუთი-ექვსი თხა მოეყვანათ, ათი სახედარი და ერთი ძროხა, მაგრამ მყიდველი არავინ იყო. არც ფასს ამბობდნენ და არც არავინ ევაჭრებოდათ. პატრონებს ჯიბეებში ჩაეწყოთ ხელი და ჩუმად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. თან გზისკენ იყურებოდნენ და სიცივისაგან იბუზებოდნენ, ჩვენ თხებთან მივედით.

გათენდა. ქალაქიდან ხალხი მოაწყდა. მე ავღელდი.

— ძია, მოდი ჩქარა ვიყიდოთ თხა, თორემ აღარ დარჩება.

— ნუ ჩქარობ, ერეკე. ეე, ეს ბაზარია. ბაზართან ხუმრობა არ შეიძლება: ჯერ ნიადაგი უნდა მოსინჯო. თუ გამყიდველს' შენი სიტყვა არ ესიამოვნა, ისეთ ფასს დაახეთქებს!

ერთხელ კიდევ ჩავუარეთ რიგებს. ერთ ადგილას უზარმაზარი გრეხილქერა-ბიანი ვაცი, ორი მეწველი თხა თავის ციკნებით და შავი პატარა თხა შეჩერებულიყვნენ. ლამაზი ციკნები დედას ეკვროდნენ. თხებს ჯიქნები ერეკნენ, ბაზარამდე დასთრევდათ, ალბათ ბევრ რიგს იწველიდნენ.

ქუმაში თხებთან მივიდა, დაათვალიერა. კბილებში ჩახედა, ფერდები გაესინჯა, დაიხარა, ჯიქანს შეეხო, ცურის თავები დაესრისა.

— რას თხოულობთ? — ჰკითხა მან პატრონს.

— სამი ათასი.

— რა თქვით, სამი ათასი? — გაოცებით იკითხა ძიამ.

მე ერუანტელმა დამიარა.

— აქსაკალ, მე სერიოზულად გეკითხებით. მართალი ფასი მითხარით. ძროხა ხომ არ არის, რაც არ უნდა იყოს, თხაა.

— თუ გინდა ძროხა დაარქვი და თუ გინდა თხა, მაგრამ ორ და რვაასის ნაკლებად არ მოგცემ.

— დამიკელით, აქსაკალ. თუ გინდა ვიყიდო, დააკელით კიდევ.

— ერთ ქაპიკასაც არ დავაკლებ. ამოსარჩევი საქონელი სადა მყავს. გინდა წაიყვანე, არ გინდა — წადი შენი გზით, თავს ნუ იგდებ.

ნაწყენმა ქუმაშმა განზე გაიყვანა.

— ხედავ, ბიჭო, როგორი გაგიჟებულია ხალხი. საქონელს უზარმაზარ ფასს აღებენ, გაიგონე? ვაითუ ხელცარიელები დავბრუნდეთ აულში.

— მოდით, ის შავი ვიყიდოთ.

— იქნებ ბერწია. თუ რძე არ მოგვცა, რაში გამოგვადგება. ბაზარზე სინდისს პატივს არ სცემენ. დაგიფიცებენ, მაკეთ. ერთიც ენახოთ და გაგვაცურეს?

უკვე იმედი დავკარგე, რომ მეწველ თხას ვიყიდიდით. ის შავი თხა მაინც რომ გვაყიდინა. მერე რა ლამაზია, ფაფუკი ბეწვი აქვს და კრიალი გაუდის.

ბაზარს ხალხი ემატებოდა და ემატებოდა. ახლა უკვე იდაყვების დახმარებით მივარღვევდით გზას ხალხს შორის. იმ ქალს მივუახლოვდით, ვისაც თხა ბაწრით ეჭირა. ქუმაშმა პირდაპირ მიახალა:

— თქვი ფასი!

მან ვითომ გულგარეშე უპასუხა:

— ორას ვითხოვ, გენაცვალე.

— ეჰ! რა დროა! პირდაპირ სამოთხეა თხებისათვის. რა ფასი დაედოთ. ნეტავი მეც თხად მაქცია, იქნებ ფასი მომიმატოს.

— შენ, ჩემო კარგო, მთლად უნაკლო არა ხარ. თხა რომ იყო, იაფზე იაფი ელირებოდი. ისე რომ, არ ღირს საკუთარ ბედზე წუწუნი. ისევ ჯობია ცუდი ქალი იყო, ვიდრე ცუდი თხა. რამეში მაინც გამოდგები.

ამ მხიარული ჭილიკაობის მოსმენაზე ყველა გულიანად იცინოდა. ქუმაშმა ისარგებლა პატრონის კარგი გუნებით და მყის დაუწყო ვაჭრობა. რალაც ჩასჩურჩულა ყურში, რამაც ქალი დააფიქრა. მერე განზე გაიყვანა ქუმაშმა. ხალხს რომ არ დაენახა, უბეში შენახული ბებიას ხიფთანსა და შალს წვერი გამოაყოფინა და უჩვენა. ორივემ ცხარე კამათი ატეხა. ქალი ხან უარის ნიშნად აქნევდა თავს და უკან იწევდა, ხან ისევ უჭყიტინებდა ქუმაშს უბეში. ვატყობდი,

ჟუმაში უკან დახევას არ აპირებდა. ცოტა ხნის შემდეგ ხელი-ხელს შემოჰკრეს. ეტყობა, მოლაპარაკდნენ. „მოდი აქ, — დამიძახა ჟუმაშმა — აჰა, დაიჭი, პატრონო“, — და თავის კისერზე გამობმული თოკის ბოლო მომცა ხელში. ერთიმეორის მიყოლებით გამოვედით ხალხის გროვიდან. ბაზარი რომ შორს მოვიტოვეთ, ჟუმაშმა ჩაიმუალა. ქალს ფული გადაუთვალა, უბიდან ხავერდის ხიფთანი, აბრეშუმის თავშალი ამოაძვრინა და ისიც მისცა.

ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობნენ.

ჩვენ სასწრაფოდ ბინისაკენ წავედით. თხა მე მომყავდა.

— ხმა არ ამოიღო, ბიჭი. ჩათვალე, რომ ბედმა გაგვიღიმა, ხედავ, ბეწვი როგორ უპრიალებს? ერთი-ორი თვე როგორმე გავძლებთ. მერე თავზე სასხმელად გექნებათ რძე.

ო, რას გაიხარებს ბებია!

XXII

დილით სწრაფად მოვემზადეთ და უკან, შინისაკენ გავუდექით გზას. ჟუმაში ჩქარობდა.

— რადგან წასასვლელები ვართ, წავიდეთ. გზაზე ვინმესთან შევიაროთ, გავთბეთ და ცოტა დავისვენოთ.

ბებიას დაძონძილი ქურქი, მე რომ პალტოს ზემოდან მეცვა, ჟუმაშმა უნაგირს გადააფარა. თვითონ სახედარზე შეჯდა, ხელში თხის დასაბმელი ბაწარი დაიჭირა, მე კი უნდა გამედინა. წელი შევიკარი, ხელში წკეპლა დავიჭირე, კირზის ჩექმებში სიარული მიძნელდებოდა. მაგრამ სხვა რა გზა მქონდა.

ქალაქის უკანასკნელ სახლს ჩავუარეთ თუ არა, თხამ საცოდავად დაიწყო პეტელი, თავს აქნევდა, მიწას ფეხებს აჭერდა. უეცრად დადგებოდა და ფეხს ალარ იცვლიდა, ამიტომ თითქმის თრევა მიხდებოდა. ჟუმაშმა შეამჩნია, შეიძლება თხა გაიქცესო, და ამიტომ უნაგირის კოტაზე ბაწარი მაგრად მიაბა.

ახლა ყელარ გაწყვეტდა. თან მეც ჯოხით ვერეკებოდი უკნიდან. ბოლოს დაგვნებდა და ძალაუნებურად გვერდების თანთალით დაედევნა სახედარს.

ქალაქს საკმაოდ გავშორდით. უკვე ტყეც უკან მოვიტოვეთ. ბოლოს თხაც მიხვდა, გამოსავალი არა მაქვსო, და პეტელსაც დაანება თავი. ჭკვიანურად მოდიოდა.

ციოდა, მაგრამ არ გავყინულვარ. თხასთან ბრძოლაში, მგონი, ცოტა გავოფლიანდი კიდეც. ოღონდ დიდი ჩექმებით მიჭირდა სიარული. რამდენი ფეხსახვევებიც არ უნდა დაეხვია ბებიას, სულერთია, მაინც დიდი მქონდა. ჩექმებში ფეხები მიცურავდა და ძალიან ვწვალობდი.

მთელი ღამე მოდიოდა თოვლი. ირგვლივ ყველაფერი ფაფუკი და სპეტაკი თოვლით დაიფარა. ჩვენ მაინც მოვდიოდით, ფეხი ცურავდა და თან თოვლზე ნაფეხურებს ვტოვებდით. სიარული ჭირდა, ჰოდა ჟუმაში ჩემკენ მთელი ტანით მობრუნდა და მკითხა:

— დაიღალე?

მე თავი გავაქნიე. „არა“-მეთქი. მაგრამ იგი მაინც ჩამოცურდა სახედრიდან, დაჯექი, ფეხებს შეასვენებ, გაგიგრილდებაო. მეც უნაგირზე ავფოფხდი.

შუადღე ჩამოდგა. მზეზე თოვლი თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა. უნაგირზე მართლა ცოტა დავისვენე და გავმხიარულდი. ფეხებში ცოტა ხნის წინ თითქოს ტყვია მქონდა ჩასხმული. ახლა კი დამიმშვიდდა და ალარ მაწუხებდა.

იმას, რომ გაგიგებინებდი, თხის დანახვაზე რას იტყვის ბებია. ჩემდაუხებლად ლიმილი მეკრებოდა მთელ სახეზე: მიდიოდი და მიხაროდა. რა ახის თვალი ორი თვე? რაგორმე მოვითმენთ, რა კარგი იქნება, ციკნებს რომ მოვიგებ, ცოლს შესანშავი. მაშინ ალარ დამჭირდება კარდაკარ წანწალი, და რძის ოხოვა. ბაფხულაძე კი სახლის წინ ლელქაშის ბოსელს დავდგამთ.

სანამ ამაზე ვოცნებობდი, რა ბედნიერები ვართ, თხა რომ გვყავს, ამის შემდეგ რა კარგად ვიცხოვრებთ, ჩვენ მარჯვნივ ბოლი გამოჩნდა. ... შემდეგ მთის ძირას მიყუჯული ხუთი-ექვსი სახლი დავინახე.

— ძია, შეხედე, სახლები.

— აული კოჟაკია. იქით გაუხვიე, ცოტა დავისვენოთ. გავთბეთ, სულერთია, დღეს მაინც ვერ მივალთ. მადლობა ღმერთს, რისთვისაც ვიყავით წამოსულები, ის საქმე გაკეთებულია. ახლა დამშვიდებული ვარ.

მე აულისაკენ გადავუხვიე. რამდენიმე თიხით შელესილი დაბალი სახლი უწესრიგოდ იყო მიყრილი. ტორფით ნაშენი ბოსლები სახლებზე მაღლები იყვნენ. განაპირა სახლთან შევჩერდით. არ ვჩქარობდით. დაველოდე. სანამ ჟუმაში ბოსლის კარს გააღებდა. მერე სახედრიდან ჩამოვედი, თხა და სახედარი ბოსელში მივაბით, ჩვენ კი სასწრაფოდ გავწიეთ სახლისაკენ.

სახლში თბილოდა. ღუმელთან ჩემზე ცოტა უფროსი გოგონა იჯდა, ღუმელში ლელქაშს უნთებდა, ყაზანში წყალი ცხელდებოდა.

ზემოთა ტანსაცმელი კართან დავტოვეთ და საპატივცემულო ადგილებზე გამოვიჭიმეთ. ვიჯექი და ლელქაშით დახურულ ჭერს ვათვალიერებდი. თან კი სიხარულისაგან ალარ ვიცოდი, რა მექნა, რომ თხა გვყავდა. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებს ბებია, როგორ იხტუნავებს შოლფანი და თან ტაშს დაუკრავს.

ბებია, რასაკვირველია, ალერსით დამახვრეტს. აბა რას იზამს, განა ვინ წავიდა ბაზარში? ციკნები რომ გაჩნდებიან, რამდენს ვიცინებთ და ვირბენთ, რა კარგები არიან მერე. შოლფანი მთელი დღეები მათთან ითამაშებს. ზურგზე ხელს გადაუსვამს, იხტუნავებს, იცელქებს მათთან ერთად. მეც ძალიან მიყვარს პატარა ციკნები. ისეთი ლამაზები არიან, სასწაულია პირდაპირ.

ჟუმაშმა ხვრინვა ამოუშვა. მეც ჩამეძინა. დაღლილი სხეული ჭომიდუნდა. დღეს დილით ალიონზე ავდექით. ფეხით რამდენი ვიარეთ, რამდენი დღე უკვე გზაში ვართ და სული არ დაგვისვენია. სანამ ჩაის გაამზადებენ, იქნებ ცოტა ჩავთვლიმოთ. თუ საჭირო იქნება, გამაღვიძებენ. რასაკვირველია, გამაღვიძებენ. თვალები მისდათავად მეხუჭებოდა.

...ბებიამ ხელში აყვანილი თხა შემოიყვანა. შავი, პრიალა ბეწვი აქვს თხას, შუბლზე თეთრი ნიშანი, წინა ფეხებზე თეთრი წინდები აცვია თითქოს. შემოიყვანა და პირდაპირ შუა ოთახში დასვა. დედის და ბებიარებული იცინის. ჭერე უტარო ხის კასრი შემოიტანა (საიდან გაჩნდა?) და თხის მოწველა დაიწყო. „შხიფ-შხიფ" — წველის ბებია. წველის და წველის. ძაძე კი არ ილევა. აი, გადმოვიდა კასრიდან, მიწაზე ილვრება. ბებია კი ყურადღებას არც აქცევს. წველის და წველის. შოლფანი დარბის, ეცემა, ძაძეს სავსე კასრიდან ვედროში ასხამს, მერე ყაზანში, მერე სამოვარში, ჩაიდანში, ფიალებში, თასებში, ფინჯნებში. ასხამს და ასხამს! მე ორი შავი ციკანი ილლიებს ქვემოთ მიჭირავს, ისინი დედისაკენ იქაჩებიან. მე არ ვეშვები. ციკანი ხან ორია, ხან ხუთი, ერთი, აი, ციკნებმა ერთად დამკრეს ჩლიქები. წამაქციეს, მაგრამ რატომღაც დედისაკენ კი არა, კუჩაში გაცვივდნენ. რას შვრებიან? რაღაც მიზეკავს ყურთან.

თვალი გავახილე. გოგონას სინით ფინჯნები მოუტანია და ჩემთან დაუდგამს. საბოვარი უკვე დუღს და ჩვენთვის ჩაის დასხმას აპირებს. ქუმაში კი ისევ ჩვრინავს.

— ძიას! ძიას!

მივწვდი და ცალ ფეხზე მოვქაჩე.

— ჰა? ჰა?

წამოხტა ადგილიდან და თვალებს სრესით ეფხვა. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— არა უშავს! როგორ მკვდარივით მეძინა. ნეტავი რას ნიშნავს?

სუფრა მოიტანეს. სუფრაზე ორი ნაჭერი ყერი გაჩნდა და ფინჯნებით ჩაი. ჩაი დავლიეთ, ჩავიცვეთ და გამოვედით. წინ ქუმაში მოდიოდა. მე უკან მივდევდი. ბოსელში შევედით. მაგრამ თხა აღარ დავხვდა. თოკი მიწაზე ეგდო. ერთმანეთს შევხედეთ. ქუმაში ლაპარაკობდა. ირგვლივ ყველაფერი დაძებნა. ძალიან ლაიბნა.

— ღმერთო, ეს რა ხდება? ნუთუ მართალია? ეშმაკი ხომ არ წაიყვანდა. სად ჯანდაბაში წავიდა? იქნებ თვითონ გაძვრა?

მე ერთ ადგილზე გავშეშდი. თავით ფეხამდე ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

— შენ ხომ არ გამოსულხარ სანახავად?

— არა.

— ეს რასა ჰგავს! ეს რასა ჰგავს, ჰა? — დაიკვნესა ქუმაშმა, ერთმანეთის გასწრებაზე დავრბოდით ორივე ბოსელში. ალბად ალაფერი არ იყო. შინ შევბრუნდით. გოგონას შეეკითხეთ. მაგრამ — არა, არ მინახავსო. ოქვა. ყველ სახლი მოვიარეთ. ყველას ბოსელში შევედით. ეკითხებოდით ყოველ შემხვედრს. აღლია შემოგარენიც დავათვალიერეთ. თხის ასავალ-დასავალი გაქრა. ტყეც კი ალბად ვეძებ. ბოლოს მაშინ, ახლაც ისე გაკრა. გაფხა. თითქოს მაგნე სულმა წაიყვანოს. თვალები ჩავლილი. განსაკუთრებით საცოდავი იყო ქუმაში. ისეთი სახე ჰქონდა. თითქოს ანგელოზი ჩაეფოს.

— ეს ფინდა ვეთხოთ ახლა ჩვენს მეზობლებს? ბოლოს დავეკახოთ? რა სინდისით ვიკადე მასთან? ეს ეშმაკი წამიყვანდა მე ოჯახი აქლევს? ასეთი რამე შეიძლება! ჯანდაბა! ჯანდაბა! რა ფინდა ექნათ ახლა?

სასოწარკვეთილი მომჩერებოდა. მე თვალს ვაცილებდი. ვიდექით თავდახრილები. ქუმაში ტიროდა და ბერი ოხრავ.

— წამოდი, მილიციაში წავიდეთ. მეტი ვეღარ ვარ.

მე ჩუმად ვიდექი. ეტყობა, ჩვენს მოლოდინს ტანჯვა ელწერია. ალბად ვიცი ფიქლილობა სად აქვთ. — ისევ შევხედეთ სანდალიზეს და მილიციაში წავედით. ეუბნაში მთელი გზა კბილებს აკრაჭუნებდა და მოთქვამდა:

— შენ კი მოიხედე ეუბაზ, ალბად მოვბოლოდა. ოხელეტობა. რა უნდა ქნა ახლა? თავიდანვე ბრიალოდ ტანჯვა და გასაჭირი გიწერია. ფეცრად საიდან უნდა მოსულიყო ბედბერეობა? ასეთი რამ აუცილებლად უნდა მომხდარიყო. უამისოდ ალბად შეიძლებოდა? ალბად შეიძლება ავადმყოფი რიგზე და წესიერად იყოს?

ბოლოს სიმძიმე მაწვა. ახლა სულელური იყო, ეს ალბალაც არ უნდა მიეგებმარა. სადაც არ უნდა წავსულიყავით, ხმას მაინც ვერ დავიბრუნებდით. ვეღარ ვიბრალებდით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თხასაც იგივე ბედი ეწია, რაც წინა თხას. ბილიკის ალბალ დაკლა და ხორცი დამალა. მილიციის თუ ყველაფერი შეუძლია, მაშინ სად იქნებ, ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ ალბალ?

მილიციაში მწითური ჭორფლიანი კაცი იჯდა. წამწამებიც კი მწითური ჰქონდა. სიბრაზისაგან გონდაკარგულმა ჟუმაშმა პირდაპირ კარიდან დაუწყო რუსულად ჩვენი უბედურების მოყოლა. მე სახედარი კანტორის წინ მივაბი და შესასვლელში გავჩერდი. შიგ შესვლა არ მინდოდა, სად ნახულა, დაკარგული თხები კანტორაში ეძებონ? ნეტა ძია რას ფიქრობს?

— ეი, მილიტსა! ეი, მილიტსა! ბარანშუკ დაიკარგა ორი ბაზარიანული ბერე შინ. გზაში დაკარგე. შავი ტყავი, თეთრი შუბლი.

— შენ გეტყობა, რუსულის მაგარი მცოდნე ხარ, ეგრე უბრალოდ ნუ დახარჯავ, მერე გამოგადგება, — გაემასხრა მწითური, ჩვენი კი რუსი გვეგონა. ჟუმაშს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, მაგიდას დაეყრდნო და წინ გადაწეულმა დაწვრილებით უამბო მთელი ჩვენი ტანჯვა-წამება და ვაი-ვაგლახი.

— რაც მოყევი, ყველაფერი ქაღალდზე დაწერე და ჩემთან დატოვე. თუ რამე გაირკვა და კვალს მივაგენით, შეგატყობინებთ.

ჟუმაშმა ვილაც წერა-კითხვის მცოდნე მოძებნა და განცხადება უკარნახა. ასე ვიტრიალეთ სალამომდე. სალამოს ძლივს მივაღწიეთ იმ მოხუცებულის სახლამდე, რომელთანაც მაშინ გავჩერდით.

მხოლოდ მეხუთე დღეს დავბრუნდით აულში. როგორც კი ბებიამ გულში ჩამიკრა, ველარ მოვითმინე და ავქვითინდი.

ბებია შეშინდა.

— თქვენ ხომ კარგად ხართ? თუ რამე უბედურება შეგემთხვათ?

მინდოდა ყველაფერი მეამბნა, მაგრამ ვერ შევძელი. ძალიან მომენატრა აული, სახლის სუნი, ბებიას ჩახუტება. მხოლოდ ბებია თუ უშველიდა ჩემს სიმარტოვეს, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ბებიას შეეძლო გადაეერჩინე ბოროტებისაგან, გასაჭირიდან. ბებიას მაგრად მოვხვიე ხელები, მის ძველ ხიფთანს ჩავეკარი, ყური აღარ ვათხოვე მის შეგონებას და დიდხანს უნუგეშოდ ვტიროდი.

XXIII

მისრიალებენ ტვირთით დამძიმებული მარხილები. დასტა-დასტად დაწყობილი ლელქაში ბაწრით მაგრადაა დაკრული.

პირველი ჟუმაში დაიძრა, მერე მე მივყვები, ბოლოში კი ქეტკერგენი ერეკება კამეჩებს. თითქოს პატარა სახლები დაიძრნენო, ისე მიცურავენ ველზე. როგორც არ უნდა გეჩქარებოდეს, კამეჩებისათვის სულერთია. მაინც აუჩქარებლად მიაბიჯებენ. დაღვრემილებს დაბლა დაუხრიათ თავები და ჭახაჭუხი გაუდის მათ სახსრებს.

ჟუმაში ტვირთზე მთის არწივივით წამომჯდარა და ჩვენს შესამოწმებლად დროდადრო უკან იცქირება, მობრუნდება და შემოგვძახებს:

— ჰეი, ეცადეთ არ ჩამორჩეთ! უფრო ცოცხლად გამორეკეთ.

აგერ გაშალა გრძელი მათრახი და ზურგზე უტყლაშუნებს კამეჩებს. მაგრამ იმის მაგივრად ნაბიჯს აუჩქარონ, მოკლე კუდებს ატრიალებენ მხოლოდ.

— თითქოს ქარბუქი აპირებს მოვარდნას. თქვენ, ჰეი, გესმით? არ ჩამორჩეთ.

— გვესმის, გვესმის, — ვყვირი მე პასუხად.

— გვესმის, აბა როგორ, — ცხვირში დუდუნებს ქეტკერგენი.

ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲤᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚ ᲪᲐᲡ ᲨᲔᲪᲮᲣᲠᲔᲑᲡ.

ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲤᲘᲤᲥᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲤᲐᲢᲔᲑᲔᲜ.

— ᲰᲔᲘ, ᲨᲣᲨᲐᲙᲔᲑᲝ, ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲛᲙᲐᲕᲘᲗ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲝᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲛᲐ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲒᲕᲘᲡᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲬᲘᲠᲓᲐ. ᲟᲣᲛᲐᲨᲛᲐ ᲛᲙᲐᲕᲘᲗᲘᲗᲝᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲓᲝᲛᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲐᲚᲕᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚ ᲚᲝᲠᲬᲘᲠ ᲙᲐᲛᲔᲩᲘᲡ ᲛᲘᲰᲧᲐᲒᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲑᲔᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲓᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲠᲘᲙᲚᲐᲜ, ᲟᲣᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ ᲙᲐᲛᲔᲩᲘᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲩᲭᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲡ ᲕᲣᲢᲣᲚᲐᲨᲣᲜᲔᲑᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲭᲠᲐ. ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲛᲐᲢᲐ. ᲒᲐᲓᲐᲗᲔᲗᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲔᲑᲘ, ᲫᲘᲐ ᲟᲣᲛᲐᲨᲡ ᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲣᲗᲔᲗᲠᲓᲐ. ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ, ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲤᲐᲤᲣᲙᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲩᲜᲓᲐ. ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲡᲥᲔᲚ ᲑᲣᲠᲨᲘ ᲟᲣᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲗᲝᲕᲚᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲩᲐᲐᲮᲨᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲧᲠᲣᲐ. ᲥᲔᲢᲙᲔᲠᲒᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲓᲐᲓᲠᲝ ᲐᲚᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲗᲣ ᲒᲐᲙᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲑᲣᲖᲣᲚᲘ.

ᲔᲢᲧᲣᲝᲑᲓᲐ. ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐᲘᲚᲐᲚᲜᲔᲜ. ᲫᲚᲘᲕᲚᲐ ᲛᲘᲐᲗᲠᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲔᲑᲡ. ᲪᲝᲢᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲕᲐᲓᲔᲥᲘᲗ. ᲫᲘᲐ ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲛᲝᲒᲕᲓᲒᲝᲛᲝᲓᲐ.

— ᲗᲝᲕᲚᲛᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲐ. ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲡ. —ᲐᲛᲝᲘᲝᲮᲠᲘᲐ ᲛᲐᲜ.

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲪᲝᲗᲮᲓᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘᲓᲐᲜ. ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲗ? ᲡᲐᲬᲧᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲚᲛᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲚᲘᲐᲗ ᲫᲐᲚᲐ, ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲐᲣᲓ-ᲩᲐᲣᲓᲘᲝᲓᲐᲗ ᲤᲔᲠᲓᲔᲑᲘ. ᲗᲝᲕᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲘᲓᲝ. ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲩᲐᲜᲓᲐ. ᲘᲡᲚᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲩᲘᲔ, ᲒᲖᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲯᲐᲓᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲚᲠᲘᲜᲢᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲝᲢᲔᲑᲘ ᲗᲝᲕᲚᲡ ᲓᲐᲔᲤᲐᲠᲐ.

— ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲗ. ᲔᲠᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲜᲣ ᲓᲒᲐᲮᲐᲠᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲒᲐᲘᲧᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲫᲝᲓᲘ ᲘᲠᲑᲘᲜᲔᲗ! ᲰᲔᲘ, ᲥᲔᲢᲙᲔᲠᲒᲔᲜ, ᲫᲘᲠᲡ ᲩᲐᲛᲝᲓᲘ! ᲛᲐᲜᲓ ᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲭᲘᲛᲣᲚᲮᲐᲠ, ᲩᲐᲛᲝᲓᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲐᲠ ᲒᲐᲘᲧᲘᲜᲝ.

ᲥᲔᲢᲙᲔᲠᲒᲔᲜᲛᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲚᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲩᲥᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲙᲔᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲝᲕᲔᲤᲐᲠᲔᲗ.

ᲑᲘᲜᲓᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲣᲥᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲠᲝ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲗ. ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲕᲫᲠᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲛᲐᲪ ᲛᲝᲐᲚᲬᲘᲐ. ᲓᲐ ᲐᲰᲐ, ᲒᲖᲐᲨᲘ ᲭᲐᲠᲑᲣᲥᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲡᲬᲠᲝ. ᲛᲗᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲰᲭᲠᲝᲓᲐ ᲧᲐᲰᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲭᲐᲠᲑᲣᲥᲘᲪ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲡᲐᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲔᲮᲔᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲚᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲐ. ᲤᲔᲮᲘᲗ ᲛᲘᲐᲠᲚᲕᲔᲕᲡ ᲗᲝᲕᲚᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲧᲕᲔᲑᲐ, ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲡ ᲛᲝᲔᲠᲔᲙᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲡ ᲨᲮᲣᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲐᲮᲔ ᲨᲔᲫᲐᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲛᲘᲡ. ᲔᲡ ᲫᲘᲐ ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲪ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲥᲔᲢᲙᲔᲠᲒᲔᲜᲘ ᲙᲐᲛᲔᲩᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲭᲐᲩᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲘᲡᲘ ᲕᲐᲘ-ᲕᲐᲒᲚᲐᲮᲘᲗ ᲛᲝᲐᲑᲝᲢᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲕᲩᲔᲠᲓᲘᲗ. ᲟᲣᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲚᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ.

ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲘᲓ ᲤᲐᲜᲢᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. ᲩᲐᲩᲣᲛᲓᲐ ᲐᲠᲔᲛᲐᲠᲔ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲭᲐᲠᲛᲐ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲭᲐᲠᲑᲣᲥᲘ ᲐᲢᲧᲓᲔᲡ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲖᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ, ᲡᲣᲚ ᲩᲐᲛᲝᲑᲜᲔᲚᲓᲐ. ᲭᲐᲠᲮᲜᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲔᲚᲥᲐᲨᲡ ᲕᲐᲑᲐᲠᲔᲑᲓᲘᲗ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲝᲠᲘᲐ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲥ ᲛᲘᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲚᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲘᲐ-

ლებდნენ, მხოლოდ თოვლი ჭრაჭუნებდა კავების ქვეშ, დღეს კი ალბათ შუალამისას დავბრუნდებით.

ძია ჟუმაში ჩვენს მოსაშველებლად მოვიდა. იგი გამძვინვარებული უტლაშუნებდა ფერდებზე ჩვენს კამეჩებს, მაგრამ ძვრა ვერ უყო. ახლალა მივხვდი, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც მათ ფეხს გადადგმევინებთ. საწყლებს შეუბრალებლად იმდენი ვცემეთ, მაინც ვაიძულეთ დავწეოდით პირველი მარხილს. ჟუმაში ორ მარხილს შორის ისე ბორგავდა, მთლად [illegible] ღვარა.

— არ დაგვხოცეს ამ ძაღლებმა? რა უნდა ვქნათ? მოდი, გამოვუშვათ. მაინც არაფერი არ გამოდის. ტყუილად ვიტანჯებით. რას უნდა გამორჩე ამ საცოდავებს? ფეხზე ძლივს დგანან. ნუთუ ტრამალში მოგვიხდება ღამის გათევა? წამოიყვანეთ ეგენი აქეთ, როგორლაც უნდა მოვეწყოთ.

მან თითო-თითოდ მიაბა კამეჩები მარხილს, მერე თავისი მარხილიდან ხუთი-ექვსი კონა ლელქაში გამოაძრო. ძნები გაწმენდილ ადგილას დააგო.

— ეს ჩვენი საწოლი იქნება. მარხილები კი საფარი, მერე შუაგულში კოცონი გავაჩაღოთ. როგორმე უნდა მოვახერხო არ გამეყინოთ, კოლმეურნეობის სასარგებლოდ ვაკეთებთ საქმეს, მაგრამ ზიანი კი არავის არ უნდა მივაყენოთ. აბა დამეხმარეთ.

ლელქაში დავაგეთ. ძია ჟუმაშმა მომზადებულ საწოლზე დაგვსვა, თვითონ კი ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა. ხმელი ფიჩხები გამოძებნა, დიდხანს უბერავდა სულს. ცეცხლი არ ინთებოდა. ბოლოს სველი ლელქაში ბოლსა და ალში გაეხვია. ჟუმაშმა ლელქაშის ხმელი ძნა გამოაძრო, გახსნა და კოცონში ჩაგდო, თან გვერდით მიუჯდა. ახლა შეიძლება დავისვენოთ, — თქვა...

კოცონი აგიზგიზდა .ალის წითელი ენები იკლაკნებოდნენ. მყის გულზე მოგვეშვა და დავმშვიდდით. გავთბი და უკვე აღარ მეშინოდა ღია ცის ქვეშ ღამის გათევის. ფეხსაცმელები გავიხადეთ და ფეხსახვევები გავაშრეთ. სიცივისაგან გათოშილი ფეხები ვერა და ვერ გავითბეთ. დაწვისაც არ გვეშინოდა, ისე ვყოფდით პირდაპირ ცეცხლის ალში, ხან ცეცხლისკენ ზურგით შემობრუნებულები ვთბებოდით.

სიბნელე შემოგვეხვია. ჩვენ კი ვისხედით, ცეცხლი მხიარულად ტკაცუნობდა, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ძალიან გვშიოდა და არც ძილი გვეკარებოდა.

— ისე მოეწყეთ, პირი ცეცხლისაკენ გქონდეთ და დაიძინეთ. მე კი ცეცხლს ვუდარაჯებ.

ავაშრიალეთ ლელქაში და ძილისათვის მოვემზადეთ. მე და ჟეტკერგენმა საყელოები ავიწიეთ. თბილად რომ ვყოფილიყავით, პალტოები უფრო მაგრად შემოვიხვიეთ, მუხლები მუცელზე მივიჭირეთ.

კოცონი ბრიალებდა, ცეცხლთან კი ჟუმაში იჯდა. ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ცეცხლს ნელინელ უმატებდა საწვავს. კოცონი ჩანავლდებოდა და მერე ერთბაშად ახალი ძალით აბრიალდებოდა. ასე მეგონა, თითქოს ცეცხლის წითელი ალი დაუღალავად ლოკავდა შავ ცას. სიბნელეში თოვლის ფანტელები ირეოდნენ, თეთრი ფარვანებივით ფარფატით მოფრინავდნენ კოცონისაკენ და მერე უჩინარდებოდნენ, დნებოდნენ. მე შევყურებდი ღამის ცას, ფიფქები კი მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ, ასობით, ათასობით, მილიონობით, უამ-

რავი და მათი დათვლა შეუძლებელი იყო. ბევრი, ძალიან ბევრი ფიფქი მოდიოდა ერთად.

ვახელ თვალს და ვხედავ, როგორ თვლემს ჟუმაში კოცონთან, ეტყობა, ძალიან დაიღალა. შეკრთება, გამოეღვიძება და თითქმის ჩამქრალ ცეცხლში სასწრაფოდ ლელქაშს ჩაყრის ძილმორეული; დაღლილი კამეჩები მძიმედ სუნთქავენ და ღამეში მათი თვალები, როგორც ელექტრონის ნათურები, ისე ელავენ. მე ისევ ვიძინებ, მაგრამ სიცივით აცახცახებულს და შეშინებულს მეღვიძება. პალტოში ვიფუთნები, ვიკუნტები. ისევ ვხედავ ძია ჟუმაშს. რა კარგია, რომ აქ არის, ჩვენ გვერდით. მეძინება. დაღლილობისაგან მთელი სხეული დამტვრეული მაქვს. ძილში მაინც ვგრძნობ, როგორ მეყინება ზურგი. ვგრძნობ, თავიც მეყინება, თუმცა კოცონისაგან სიცხე მოდის და სახე ცხელი მაქვს, დავიღალე. ბებიას კი ალბათ არ სძინავს, მელოდება, ზის და კარს შესცქერის. წუხს. ნუ გეშინია, ჩემო ბებია. მე მარტო არა ვარ. ჩემთანაა ძია ჟუმაში. კამეჩებს არ უნდათ წამოსვლა. ნუ გეშინია. დაიძინე.. დაიძინე.

— ჰეი, რა მოხდა? რა?

ღრიალმა გამომაღვიძა, ახალ გამოღვიძებულს ვერაფერი გამეგო. შემეშინდა. ძია ჟუმაშიც შეშინდა ალბათ. ეტყობა, ახლახანს გაიღვიძა. თვალები შეშუპებოდა. ქუდი გვერდზე მოქცეოდა. კოცონი ჩამქრალა. ჟეტკერგენი ზლუქუნებს, ცხვირით სრუტუნებს, ალბათ ის ყვიროდა.

— მე-ში-ნი-ა!

— რისი გეშინია? მარტო ხომ არა ხარ, მგლებმა რომ შეგეამონ? სად არის მგელი?

ჟეტკერგენი გაჩუმდა.

ძია ჟუმაში ადგა, ჩვენ შუა ჩაჯდა, ჩამქრალ კოცონს ლელქაში ჩააყარა და ისევ დაუწყო ცეცხლს გაჩაღება.

— ადექით, გაიქეცა-გამოიქეცით. ემანდ ფეხები არ მოგეყინოთ. მერე ისევ დაწექით. შენ კი, ჩემო სინათლევ, მაგისთანებს თავი დაანებე. რეებს იგონებ? ეშინია. ჩემ გვერდით დაწექი, თუ გეშინია. შეხედე აბა ამას. შენზე უმცროსი არ არის? ხომ ხედავ — არ ეშინია. შენ კი აქლემის ხელა ხარ და მაინც გეშინია.

გასათბობად ცეცხლთან უფრო ახლოს მივიწიეთ. ჟეტკერგენს სახე მოთხუპნოდა და თითქოს ისევ ტიროდა. თოვა, მგონი, უკვე შეწყდა.

ჟუმაშმა ისევ დაანთო კოცონი, მალე გავთბით და ისევ მივწექით, თავები ძია ჟუმაშს ჩავუდეთ კალთაში.

გათენებისას გამოგველვიძა. ეტყობა, ჩაგვძინებოდა. კოცონი ჩამქრალიყო, ჩვენ კი გაყინულები ვიყავით. ჟუმაში უკვე უბამდა კამეჩებს. დაგვინახა თუ არა თვალებგახელილები, მარხილებზე დასხედითო, შემოგვძახა.

— დაუჩქარეთ, მივდივართ.

წამოვდექით, ნამძინარევებმა გამოსაფხიზლებლად გავიზმორეთ. ტანი საშინლად დამმძიმებოდა. ძნელი იყო ფხვიერ თოვლზე სიარული. როგორ არ მინდოდა წასვლა. სიამოვნებით დავწვებოდი და უსასრულოდ ვიძინებდი.

შუადღისას, როგორც იქნა, მივაღწიეთ ქარხანას. იმისი გვეშინოდა, ვაითუ ჟუმაშს ისევ მოენდომებინა ჩვენი წაყვანა სამუშაოზე, მაგრამ მან აულისაკენ გასწია. სულ ორი-სამი კილომეტრი გვქონდა გამოვლილი, რომ ჩვენ

წინ ჯილაც მგზავრი დაილანდა. ჟუმაშმა კისერი წაიგრძელა, დააცქერდა — ვინ უნდა იყოსო.

— ეე, თავს მოვიჭრი, თუ ეს ჩვენი დედაბერი არ არის, — მომიბრუნდა მე. — მაინც ვერ მოითმინა და საძებნელად წამოვიდა, საწყალი, ფეხით მოდის. აბა რა ქნას? როგორ გაბედა მაინც? არ ეშინია, სადმე ველზე რომ გაიყინოს, სულ მარტოკა...

თავი გადააქნია. მე კი სიხარულისაგან კინაღამ სული შემეხუთა. ეკრეფენელი ... ...

— იქნებ სწორედ ის თხაა, ბაზარზე რომ ვიყიდეთ?

— ეე, ჰო, აი, ზამთარში ჟუმაშმა და ბიჭმა ერთად თხა რომ იყიდეს ქალაქის ბაზარში და გზაზე დაკარგეს, იქნებ იმაზე ლაპარაკობთ?

— შესაძლოა, მე თვითონ არ მინახავს.

ყურები ვცქვიტე და ახლოს მივედი.

— ძია, შავი თხა იყო, ძალიან შავი!

— ჰოდა, იპოვეს. სუიუნში მოამზადეთ. გუშინ უბნის მილიციამ დამავალა შემეტყობინებინა, რაიონის მილიციიდან გადმოსცეს, — თხა თემირბულატ ჟანეისოვს ჰყავს კოლმეურნეობა „ულგიში", მალე წაიყვანეთო, ითხოვეს.

ორივეს ძალიან გაგვეხარდა.

— შენს პირს შაქარი, გენაცვალე, ღმერთი გადაგიხდის. სუიუნში ჩემზე იყოს. აუცილებლად იქნება სუიუნში.

ბებია აფუსფუსდა.

— გაიქეცი. ჟუმაში მოიყვანე. გაიქეცი ჩქარა.

მე გავფრინდი ჟუმაშთან, მაგრამ მინდორში იყო წასული.

— რა ვქნათ? რადგან შემოთვალეს, სასწრაფოდ წაიყვანეთო, დაყოვნება არ შეიძლება. თემირბულატოვი ჰქვია, არა? ხომ არ იცი, შორსაა საძოვრები?

ბრიგადირი უკვე მიდიოდა, მაგრამ მობრუნდა.

— არა, შორს არ არის. ყარათიუბის გამოსაზამთრებლიდან, მთავარი გზიდან, კრავების გადასარეკის მანძილზეა. ჯერ არ გაურეკიათ.

— ეე... ეგ ხომ სულ ახლოს არის. ერექე, მოემზადე. რაც არის, არის. ჩვენ თვითონ წავიდეთ. თუ ბედია, დავიბრუნებთ ჩვენს თხას, არ არის ჩვენი ბედი, ფეხები არ მოგვტყდება, დავბრუნდებით შინ. შოლფანს მეზობელთან წავიყვან. მიხედავენ.

ასე მოულოდნელად დავადექით გზას მე და ბებია. ბებიამ ჯოხი შემოიდო მხრებზე და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თან ჩემკენ იყურებოდა. ხუთი ნაბიჯით უკან მივყვებოდი. მიწა ჯერ კიდევ სველი იყო. არხები, ოღროჩოღროები და ორმოები დამდნარი თოვლით იყო სავსე. უპაჭიჭო ფეხსაცმელები დამისველდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა. ფეხზე რომ გავიხადო, ხელად დავეწევი ბებიას, მაგრამ ნებას არ მომცემს.

გამოზამთრების ადგილამდე პირდაპირ გავედით შეუჩერებლად, მაგრამ ფარა საძოვარზე იყო. ჩვენ სახლის წინ მორებზე ჩამოვსხედით, დავისვენეთ და ისევ დავადექით გზას. უკან ჩამოღამებამდე უნდა დავბრუნებულიყავით.

მწყემსის ცოლმა ცოტაზე გაგვაცილა.

— სადმე ახლოს იქნებიან. ზამთრის შემდეგ საქონელს ძალა არ მოუკრეფია. თან ბევრი მაკეა. ისე რომ ორ-სამ გორაკს გადაივლით და ფარასთან გახვალთ. დასავლეთისაკენ დაიჭირეთ გეზი.

მწყემსი მარტოკა ედგა ფარას. დაგვინახა და შემოგვეგება. შავგვრემანი, დაბალი კაცი იყო, პატარა ულვაშები და თხელი წვერი ჰქონდა. თავზე ძველი ქუდი ეხურა, ხელში შენგელის წითელი კომბალი ეჭირა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დედი.

— შენც კარგა მეყოლე, შვილო. დაკარგულს ვეძებთ. კარგი ამბით გაგვახარეს და ჩვენც შენკენ გამოვწიეთ.

— რას იზამ... მარ...თა... ლია, მართ...ალია, — თქვა მწყემსმა. ხელი ჩამოისვა თავის თხელ წვერზე, ჯერ ბებიას შეხედა გამომცდელი თვალით და

მერე მე. ბუჩქის ძირას ჩექმების წვერით მიწა მოჩიჩქნა და ისევ შეხედა ბებიას.

— როგორი იყო? თქვენ იცნობთ, ბებია?

— მე არ მინახავს, ჩემო კარგო. აი, შვილიშვილს და ჩემს მაზლს მოსულა ქალაქიდან და ასევე ვერ ჩამოიყვანეს შინ. თვითონაც არ იციან, გაიქცა თუ მოიპარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსმა ახლა მე შემომხედა ეჭვის თვალით.

—იცნობ?

— ვიცნობ.

— ფრთხილად იყავი. თორემ წაიყვანთ და მერე სხვა მომაკითხავს. გახსოვს მაინც, როგორი იყო?

— შავი თხა იყო, შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა, წინა ფეხებზე თითქოს თეთრი წინდები ეცვა. რქებიც სხვადასხვა ჰქონდა. მარჯვენა სწორი, მარცხენა ოდნავ მოგრეხილი.

— ყურში როგორი საყურე ჰქონდა?

— არავითარი საყურე არა ჰქონია.

კაცს გაელიმა.

— ნახევარი ფარა — თხებია. მიდი და მოძებნე, თუ სხვას დაიჭერ, არ გეწყინოს. ესე იგი სტყუი. ცარიელი დაბრუნდები შინ, წადი, ეძებე.

მე ბებიას მზერა დავიჭირე და შეშფოთებული წავედი ფარისაკენ. მომეჩვენა, რომ ბებიაც შეეჭვდა. გავედი თხებში, ვეძებდი, მაგრამ ჩვენ დაკარგულ თხას ვერ ვპოულობდი.

უეცრად, თითქოს ცეცხლმა გამიკვესა თვალები, ჩვენი თხა დავინახე, მაგრამ ცოტა გამხდარიყო. მაშინ გვერდები გამობერილი ჰქონდა, ბეწვი უკრიალებდა, ახლა კი მუცელი შევარდნოდა. სამაგიეროდ, ნიშანი შუბლზე, თეთრი ჩლიქები და რქები თითქოს ყვიროდნენ — „ეს მე ვარ, თქვენი დაკარგული თხა!"

— ბებია, ვიპოვეე! აგე! აგე ის არის! — გახარებული ვყვიროდი.

მწყემსმა ხელი დამიქნია.

— აქეთ, ახლოს გამოდენე.

ნელა მივდენე იქით თხა. როდესაც ფარისაგან განვაცალკევე, მწყემსი და ბებია ჩემთან მოვიდნენ.

— ძია, აგე ეს არის!

— როდის დაკარგეთ?

— ზამთარში. ქალაქიდან ვბრუნდებოდით. აქ ახლოს შევჩერდით, ჩაი დავლიეთ და საღამოა თხა. არც ვიცით, თვითონ აიშვა თუ ვინმემ წაიყვანა.

— იცანი, ბიჭო, შენი თხა? დაიჭირე ახლა.

ბებიას თვალები გაუბრწყინდა.

— ჩემი ჭკვიანი ბიჭი, ჩემი მზე, ერთადერთი ჩემი იმედი.

დავიჭირე თხა. ბებიამ ჯიბეები მოიჩხრიკა, რაღაც ცხვირსახოცში შეხვეული ამოიღო და მწყემსს მისცა.

— ეს შენ საჩუქრად, ჩემო კარგო. ეტყობა, ბედად გვეწერა. ჩვენი თხა რომ გვეპოვა. ეგ იმის საფასურია, ეჭვსი თვე რომ მწყემსავდი. სიკვდილამდე სიმწარე არ გაჩვენოს ღმერთმა. მადლობთ, შენი შრომა მუდამ სიხარულად დაგიბრუნოს ღმერთმა.

— აქედან რომ წაბვალთ, გამოსაზამთრებელში შეუხვიეთ, ჩემს ცოლს უთხარით, თქვენი თხის ტყუპები იქ არიან.

ჩემდაუნებურად გამელიმა. ბებიას შევხედე. ბებიამაც ვერ შეიკავა სიცინაცული.

გზად მწყემსის სახლში შევიარეთ. ახალშობილების სადგომიდან ორი ციკანი გამოგვიყვანეს. კისერზე ერთნაირი ბაფთები ეკეთათ, ყურებს ჩამოჰყროდათ. ერთი შავი იყო, ზუსტად ისეთი, როგორც დედაბერი. ბებიას დედის რძა და აპეტელდნენ. ზარივით წკრიალა ხმები ჰქონდათ.

აულში მისვლა გვეჩქარებოდა. ბებიას ხელით მოჰყავდა ჩაფანში შებვეული ციკნები. თხას არც კი სჭირდებოდა გადენა, ყოჩაღად მისდევდა ბებიას. როგორც კი რომელიმე ციკანი გამოეხმაურებოდა, ისიც ნაზი პეტელით პასუხობდა, მერე ყურს მიუგდებდა, უპასუხებდნენ თუ არა და კიდევ უფრო მხნედ და სწრაფად მიაბაკუნებდა ჩლიქებს.

განზრახ ჩამოვრჩი მივყვებოდი უკან და ვტკბებოდი. ველარც სიცივეს ვგრძნობდი და ველარც დაღლას.

□

ესპანური ხალხური პოეზია

ლექსები

ესპანურიდან

თარგმნა გივი ნიქარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტე-ხონდო, სეგიდილია და კოპლა ესპანური ფოლკლორის ნაირსახეობებია.

კანტე-ხონდო ანდალუზიაში გაჩნდა XVI საუკუნეში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მას გიტარის თანხლებით ასრულებენ, — ეს სიმღერა — მოთქმაა.

სეგიდილის ლექსისებურ ფორმას ცეკვის რიტმული დალი ადევს.

ფოლკლორის ლექსისებური ფუძე კი უხსოვარი დროიდან აღმოცენებული რვამარცვლიანი კოპლაა.

ესპანური ფოლკლორის ფუძემდებელს მაჩადო-ი-ალვარესს უთქვამს: „გინდათ შეიცნოთ ხალხი? შეისწავლეთ მისი ფოლკლორი".

კოპლა

●

ღამე ისე წყნარი არის,
რომ არ ისმის ფოთოლთ ჩქამიც.
ჩემს ფიქრებს და ჩემს სულს, ღმერთო
ეს სიწყნარე მოეც წამით.

●

წაიქეცი, რომ წამოდგე,
სულს საბრუნავს ნუ დაულევ;
ოქრო გაეც, რომ გამდიდრდე,
და რომ დარჩე, — აღესრულე.

●

უკაცრიელ ერთ საფლავთან
ძვლები ყრია გამოხრული.
ფეხი იმ ძვლებს არ დაადგა,
ეტკინება სატრფოს გული!

●

ბავშვებს ცრემლი ახალისებს,
მეფე ოქროს ფანტავს ქარში.
მონა ცოცხლობს სიკვდილისთვის,
ხალხი ტირის სიმღერაშიც.

●

ოდეს ერთვის ბაგეს ბაგე,
მჯერა, — ვნების ცეცხლში შესულს —
რომ სიცოცხლით გადამთვრალი, —
შენს ტუჩებზე ვკოცნი შენ სულს.

●

ჩიტმა კლანჭში ოქროს ძაფით
გადუფრინა მწვანე დაბას...
ჩიტო, ძაფი გადმომიგდე —
გული გულს რომ გადავაბა.

●

ერთი ბნელი, ვიწრო ქოხი
ავაშენე მალალ მთაზე.
შიგ შევედით — გაანათა
იგი შენმა სილამაზემ.

●

როგორც ხომალდს შუა ზღვაში
არ ასვენებს შმაგი ტალღა —
ჩემი გული ისე ბორგავს,
სატრფოვ, ჩემთან როცა არ ხარ.

●

ცოდვა არ მსურს გაგიმხილო
თანაც — აღსარებას ვლამობ:
აღარ ვიცი, შეგხვდე ისევ
თუ.. დაგკარგო სამუდამოდ.

●

ვხედავ, მოდის საქმრო ჩემი
და მუხლები ეკეცება;
შეიყვარებს ნეტავ ყინულს
ცეცხლოვანი ჩემი ვნება?!..

●

შემიკერეთ წყვილი ჩექმა;
რომ მაღალი ქუსლი ჰქონდეს, —
შევდგე ქუსლზე — ბაგე ჩემი
სატრფოს ბაგეს გაუსწორდეს.

●

— მითხარ, კარგო, პირს რით იბან,
რომ მშვენებით ჰგავხარ ია?
— მე პირს ვიბან წყაროს წყალით,
დანარჩენი ღვთის მაღლია.

●

მდინარეში სარეცხს რეცხდი.
მოვაცურე შენსკენ ტივი,
ვხედავ: შენი სილამაზე
წყალს მიჰყვება ნაფოტივით.

●

სიყვარული მდინარეს ჰგავს,
უცნაური აქვს ბუნება —
ჩემსკენ მორბის, თან გამორბის
და არასდროს არ ბრუნდება.

●

შენ, — ჭიქაში წყალთან ერთად
მომაწოდე შენი სული.
მე, — ის სული დავაქციე
და უზომოს ვძლიე წყურვილს.

●

სიყვარულის ღალატისთვის
რომ დაგსაჯოს მინდა ღმერთმა:
ჩემი თავი დაგასიზმროს,
როცა გძინავს სხვასთან ერთად.

●

სული ლამის განვუტევე,
ლამის დავთმე ეს სოფელი, —
შენ ტირიდი, გიხდებოდა
თავსაფარი ალისფერი.

●

წამომყევი მთაში, ქალავ,
არ გპირდები ოქროს კარავს.
მე ჩემს ლუკმა პურს გაგიყოფ,
პურთან ერთად... ჩემს ჭირ-ვარამს.

●

რატომ კვნესის ასე ქარი?
რა სჭირს სასაფლაოს ტირიფს?
გეგონება იცრემლება,
ვიღაცის ბედს მწარედ ტირის.

●

მიცვალებულ შეყვარებულს
სამარესთან უთხრა ქალმა:
— გეთხოვები სამუდამოდ!
— შენც აქ მოხვალ! — უთხრა
მკვდარმა.

ანტე-ხონდო

●

ვცხოვრობ ქვეყნად მარტოსული,
ჩემი დარდიც სულ თან მახლავს.
ხეს რომ ვთხოვე ცოტა ჩრდილი —
ყველა ტოტი შემოახმა.

●

სიკვდილს მეფეც ვერ გადურჩა.
ან თუ არა — სად და როდის?
მე კი, ვატყობ, მერიდება —
ვეძახი და არც კი მოდის.

●

ქსოვს ცხოვრება ძაფით ძონძებს,
თან ამ ძონძებს ბებკავს, უვლის;
ხშირი არის ძაფი სევდის,
იშვიათი — სიხარულის.

●

ღვარეთ, ღვარეთ ცრემლი, თვალნო,
ტანჯვის დღენი უცვლელია...
თუ სიყვარულს სტირი, ვეჭო, —
მაშინ ცრემლის ნუ გრცხვენია.

●

ამ დამტვერილ სოფლის გზაზე
შენს ნაკვალევს რომ დავცქერი, —
ცრემლის წათხე თვალებს მიწვავს
ზეცა ხდება ბინდის ფერი.

●

მე რომ ვიყო გამჭვირვალე,
ხომ ნახავდი შენი თვალით —
როგორ ტირის სისხლით გული
და როგორ სწვავს ცეცხლის ალი.

●

შენ გკრძალავდნენ, ძველი დროგი
გაწყობილი იყო მწვანით.
სუდარიდან ხელი სჩანდა,
მე იმ ხელით შეგიცანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ჩემზე ცრემლებს არვინ დაღვრის,
არც არავინ ღვრიდა დღემდე,
მხოლოდ შენი გლოვის ზარი
მიმაცილებს სამარემდე.

●

დროს ჩვენ თვითონ ვმარცვლავ
წლებად
ვყოფთ საათად, წუთად, წამად,
ის კი ჩვენგან თვითონ გაობს,
სანამ ერთ დღეს ჩვენც არ წავალ.

●

მან იკითხოს, ვინც არ არის,
ალარა ძგერს ვისიც გული,
ცოცხალ კაცს კი ერთხელ მაინც
მოაკითხავს სიხარული.

●

ვწყევლი ჩემს ბედს, ვწყევლი ციხეს.
ვერ ვისწავლე თავის დახრა.
ჩემო თავისუფლებაო,
ვერა გხედავ, საითა ხარ?

●

ცრემლებს ნუ ღვრი ციხის კართან,
ნუ მეძახი ყოველ სისხამ,
განშორების ცეცხლში ვიწვი
და ცეცხლზე ნავთს ნულარ მისხამ.

●

უხმოდ ვზიდე ჩემი ჯვარი
და გავლილ გზა სავალი.
გოლგოთაზე ფეხი შევდგი,
მოვიხადე ჩემი ვალი.

სევიდილიები

●

საოცნებო შეყვარებულს
შორი გზიდან ველი, —
მოსულიყოს, მოეტანოს
სიყვარული წრფელი.

●

გავიგრძელოთ სიხარული.
რადგან არვინ იცის —
როდის შეცვლის ღმერთი ცრემლით
ოხენასა და სიცილს.

●

ეკბილად გალობს ჩიტბატონა,
ვარდის სუნი მცემს...
რა მწარეა, როს განცხრომას
ხარკად უხდი ცრემლს.

●

მწვანე ზვირთების მარილო,
ესპანეთის ზღვისა, —
ჩემი ოცნების ფერს ჰგავხარ,
ფერსა ფირუზისა.

●

ოგორც ნავი ეული —
ზღვის ზვირთებში შესული, —
ზილფთა ზვირთებს მივანდე
ეს გული და ეს სული.

●

ციდან მოსული, დედილოვ,
მთვარე სავსე და სუფთა, —
ხან — გაჩერდება სარკმელთან,
და ხანაც — კარის ზღურბლთან.

●

შენს შავგვრემან ღაწვებს
ალის ფერი ასდის —
თითქოს ლრუბლის მიღმა
ბრწყინავს განთიადი.

●

ქალწულს თვალი-ბრილი —
სიტყვას გეტყვი მართალს:
სული — სულთან ასაუბრე,
არა თვალი-თვალთან.

●

შენ გეგონა შენი ვიყავ, —
თეთრი — განა შავი.
მაცილებდი რა იცოდი
სხვისი რომ ვიყავი.

●

მიმეორებდა დედაი:
ჯვარს ნუ დაიწერ ისე,
თუ არა ჰყვავის ნარშავა
მინდორში, ნამაისევს.

●

შენთან ყოფნა არ მინდა,
უშენობაც არ მსურს: —
შენთან ახლოს მწყინდება,
მცივა — შენგან წასულს.
დამეცა ელდა:
ხან — არაფერი მინდა,
ხან — ყველაფერი ერთად.

●

მამაკაცს ენდე! —
მე მას უარი ვუთხარი, —
ის ცოცხალია დღემდე!..

●

ისარმა მე განმიგმირა —
განა მტრედი.

ღმერთო, შემინდე
ასეთი ბედი.

●

ატოტილი რქები
ოცებს ყველას.
ვინც ის რქები დარგო —
ვერ მოირთველა.

●

სასო — დაფნისას
მოჰყავს ნათებას: —
ნაყოფს არ იბამს,
მაგრამ არც ჭკნება.

●

ფრთით შემეხო მკერდზე
გაფრენილი გედი.
გედი აღარა სჩანს,
მე კი მტკივა მკერდი.

●

ხან ცვრიან ვარდებს მომართმევ,
ხანაც — დაშნას მკრავ ალესილს...
ჩხუბი რაც უფრო მწარეა,
მერე ტკბილია ალერსი.

●

ოდეს წვიმა და ღრუბლები
არ სტოვებენ ცას, —
თვალთა შენთა ელვანი
მინათებენ გზას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

პირველ სიყვარულს
ვერვინ წამართმევს
ის ჩემთანაა
ბოლო წამამდე.

●

ზღვას რომ შეუვრთდა,
იმ ჩემს ცრემლებს, დედა,
ჩავუდგებით კვალში
მე და ჩემი სევდა.

●

წმინდაო დედავ!
ცოდვილო სულო! —
განშორებისას
თქვენზე ვლოცულობ.

●

როს გაცივდება
გული ნათელი —
დამინთეთ თავთით
კენტი სანთელი.

□

ძიუნ ფაკამი

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯაბა ასათიანმა

ყოველ ღეროზე თითო ყვავილი

ჩამთვლიმა და
მხიარული სიზმარი დამესიზმრა:
საითაც არ გავიხედე —
ყველა ხესა და ღეროს
თითო-თითო ყვავილი გამოესხა...
როგორც ყოველ ადამიანს —
ჰქონდეს საკუთარი ბედნიერება.

კაკუნი

კაკ-კუკ! კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
მიკაკუნებს მკერდზე ფჩიმი.
ნეტა რამდენჯერ მოუკაკუნებიათ ჩემი
მკერდისთვის?

კაკ-კუკ! კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
მკერდი პატიოსნად უპასუხებს,
ჩემთვისაც დაფარულ საიდუმლოებებს
ამხელს.

კაკ-კუკ! კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
მეც მინდა ვინმეს მკერდს მივუკაკუნო.
იმ ადამიანის მკერდს, ვისაც სული
დახშული აქვს.

ზეცა

სად იწყება ზეცა?
იქ, სადაც ქორი დალივლივებს —
ეს არის ზეცა?

ჩუმად მწიფდება
ძეხორციელის თვალს მოფარებული
ნაყოფი.
ო! ნაყოფის გარშემო სივრცე — უკვე
ზეცა ყოფილა.

უძრავი ხე

დრო-ჟამის
დინებასა და დინებას შორის
ვჭვრეტ მარადიულს.
ვით ღრუბელსა და ღრუბელს შორის —
ლაჟვარდ ზეცას.
დიან ღრუბლები,
ზეცა ისევ უძრავად არის,
როგორც შენ, ხეო,
მკვიდრად დგახარ.

ოთახი ჩემს გულში

ჩემს გულში
არის ერთი დაკეტილი ოთახი.
დღემდე იქ არავინ შესულა.
და აი, დადგა კარის გახსნის წამი.
არა! ყველაფერი ძველებურად დარჩეს!
იმ ოთახში საკუთარი თავი გადავმალე.

სუსტი ვარ

სუსტი ვარ,
არ შემიძლია ბრძოლა,
არ შემიძლია სხვები მახეში გავაბა,
რომ გადავრჩე.

სუსტი ვარ,
მაგრამ მრცხვენია ისე დავმდაბლდე,
რომ სხვებს ყელი გამოვჭრა,
თვითონ კი გადავრჩე.

სუსტი ვარ,
მაგრამ მრცხვენია ისე დავმდაბლდე,
რომ სხვათა სიტყვები ჩემად გავასაღო.

სუსტი ვარ.
და ჩემს სისუსტეს გავუფრთხილდები.

როგორც ყურძნის მარცვალში წიპწა

ჩემს მკერდში ისე ჩაჭედილა სევდა,
როგორც ყურძნის მარცვალში —
წიპწა.

მჟავე ყურძენი ღვინოდ იქცევა,
ჩემო სევდავ, სიხარულად იქეცი!

ზამთარი

ზამთრის სუსხი
ხან ხელებს მოგიყინავს,
ხან — ფეხებს.

ნაღველი
მუდამ გულისაკენ მიემართება.

შემოქმედება

რა ამოძრავებს ღრუბლებს?
რა თქმა უნდა, ქარი.
ქარს რაღა ამოძრავებს?
რა თქმა უნდა, რაღაცა.

რა აიძულებს ხეს ნაყოფის მოსხმას?
რა მაიძულებს ლექსების წერას?
და ის ჩუმი „რაღაცა",
რაც ხეს აიძულებს ნაყოფის მოსხმას
და ისიც, რაც ქარს ამოძრავებს, —
ნეტა ერთი და იგივეა ეს ორი
„რაღაცა"?

მამოძრავებელი „რაღაცა"
და ის ჩუმი „რაღაცა"
ახლა სულის სიღრმეში ჩამსახლებია.

შუშა

შუშა
გამჭვირვალეა.
ეს მისი თვისებაა
და არა შრომის ნაყოფი.
მაგრამ თვისება რომ შრომად იქცა,
აღტაცებას იწვევს.

ზეციური ხმები

ჩიტმა რომ გადამიფრინა,
რაღაც ჩუმად მითხრა.
„მე მესმის შენი", —
ვუპასუხე ჩიტს.

აქამდე ნამდვილად დაბნეული ვიყავი —
ყურადღებას არ ვაქცევდი
ზეციურ ხმებს.

ქლიავის ხე

ბაღში ჯერაც არ გამლღვალა თოვლი,
მაგრამ ნახევრადგამხმარ
ქლიავის ტოტებზე კვირტები დაიბერა.

ო, რა დაძაბულად შრომობს ბებერი
სხეული,
სანამ ცოცხალია!

შეუპოვარ ქლიავის ხეს
ახლა, ჯერ კიდევ ზამთარში სურს
გაგვიმხილოს
სილამაზე, რაც მდუმარედ აგროვა
მკაცრ,
გაყინულ სამყაროში.

ო, რა მგზნებარეა სილამაზის სული!

ტოტების თრთოლა

მხოლოდ იქ,
ხეთა წვეროკინებთან თრთის ფოთლები.
ეს არ ჰგავს ქარით შეძრული ფოთლების თრთოლას,
იქნებ ფოთლების ჩრდილში ჩიტი შეფრინდა?
ტოტების უმიზეზო, არაფრისმაუწყებელი
საოცრად მიზიდავს!

ყვავილები

გეორგინებიც
და საუცხოო ვარდებიც...
ნახვის დღეებში პალატა ყვავილებით ივსება.
და მხოლოდ მადლიერნი უნდა ვიყოთ იმათი,
ვინც ჩვენდამი ყურადღებას იჩენს.
ოღონდ ყვავილებს თუ ადამიანებს შევადარებთ,
მაშინ მსურდა მენახა
ყველაზე უბრალო,
მაგრამ ყველაზე გამძლე ყვავილები,
რომლებსაც არავინ აქებს, არავინ ეფერება.
ის ყვავილები მენახა,
რომლებიც ისე ცხოვრობენ,
რომ ყურადღებას არ მოითხოვენ.
მათი ნახვა ხომ — მეგობართან შეხვედრაა.
შეხვედრაა ჩემი სულის ყველაზე მნიშვნელოვან,
ყველაზე ფასეულ ნაწილთან.

ხეები ღამით

გვიან ღამით ხეები სამგზავროდ ემზადებიან,
საიდუმლო შეთანხმებით, თითქმის ყოველ ღამე
გულდაგულ ემზადებიან სამგზავროდ,
სულ უფრო და უფრო
მკვიდრად ეზრდებიან მიწას ფესვებით.

საით მიდიან? არც იციან და არც აინტერესებთ.
გამგზავრება — მათი სიცოცხლის ერთადერთი
გულისთქმაა.
და ამ ღამითაც ხეები სამგზავროდ ემზადებიან,
საიდუმლოდ,
ხელების კანკალით ემზადებიან სამგზავროდ.

ცის მეტამორფოზები

ცა
ავადმყოფს
ათასნაირ სურათებს უჩვენებს:
ხან იახტას,
ხან მაცივარს,
ხან სასაცილო ჭიაყელას,
ხანაც თეთრ ძროხას,
ინდოელთა მიერ
წმინდანად შერაცხულ ძროხას.
მერე —
ფრთაგამოსხმულ უცნაურ ხელჯოხს,
მოელვარე ცარიელ ნიჟარას,
მერე —
ბიბლიურ ბრძოლას.
შემდეგ...

ცაზე იწერება ლექსები,
იხატება შიშველი მენატურე,
მიჰქრიან დელაკრუას ცხენები,
მოჩანს სისხლიანი ნაფურთხი...
მაგრამ რაც არ უნდა ელოდო —
ანგელოზს ვერ დაინახავ.

ტალღები

ქარიშხალი ამოვარდა.
ფანჯრიდან ვხედავ —
ტალღებივით აზვირთებულა
ფრიალო კლდეზე მდგარი ხეები.
ჰო, ასეა. და ხეთა ფოთლები —
დედამიწის ტალღებია.
სწორედ ისე,
როგორც ტალღები — ზღვის ფოთლები.

ო, ზღვის ფოთლები!

როგორც ფოთლები კვებავენ ხეებს,
ზღვასაც ასე ასაზრდოებენ ტალღები.

ქარიშხალი ფანჯრებს მოაწყდა.
ჰო, ასეა. ზღვის არსებობა
განუყოფელია ქარიშხლისაგან,
ისევე, როგორც ადამიანის ცხოვრება
წარმოუდგენელია ქარიშხლის გარეშე.

ო, ქარისაგან შეძრული ფოთლებო!
ო, ნიადაგ შეშფოთებული ტალღებო!

ადამიანშიც არის ფოთლები და
ტალღები!
ის, რაც ზღვას ასაზრდოებს,
ტალღებია.
ის, რითაც ადამიანი სულდგმულებს. —
ესეც ტალღებია
მისი სულისა.

ყველას მთაზე სურს ასვლა

მთებში!
ყველას რაც შეიძლება
მაღლა სურს ასვლა.
და არავის უნდა ჩამოვაკება,
რათა საკუთარ გულში ჩაიხედოს.

სრულქმნილება

დღეს ხე რა დიდებულად შეხვდა
ზაფხულის მცხუნვარე მზის
მობრძანებას!
არც თავი ჩაუქინდრავს, არც სულით
დაცემულა,
რა ჩინებული ხეა!

ყინჩად შემართული, მოფერიანებული,
არც შერხეულა, ვარჯებში
შეყუჟული ჭრიჭინობლების
შეწყობილი სიმღერით დააგვირგვინა
სურათის ჰარმონია.

საკლასო დაფა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაისის მზე ათბობს
ჩვენი პალატის ფანჯრებზე
ჩამოფარებულ თეთრ ფარდებს.
პალატა საკლასო ოთახს მაგონებს.
მახსოვს, ერთხელ, სკოლაში,
ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა
(იგი ინგლისურს გვასწავლიდა)
გულდასმით გაწმინდა დაფა,
ამოიღლიავა სახელმძღვანელო
და გვითხრა:
„მეგობრებო, მომავალ შეხვედრამდე!"
და როცა საკლასო ოთახიდან გადიოდა,
მხარზე დაისის მზის სხივები შეეხო.
მეც მინდა ისე დავტოვო სიცოცხლე,
რომ ყველაფერი წავშალო და გითხრათ:
„მეგობრებო, მომავალ შეხვედრამდე!"
სწორედ ისე,
როგორც ოდესღაც ჩემმა
მასწავლებელმა
დატოვა გაკვეთილის შემდეგ საკლასო
ოთახი.

□

ალბერტო მორავია

ზიზღი

იტალიურიდან

თარგმნა ზაირა სტურუამ

თავი პირველი

ღღეს უკვე შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ქორწინების პირველი ორი წელიწადი მე და ჩემმა ცოლმა სიამტკბილობაში გავატარეთ. უფრო სწორად რომ ვთქვა, ამ ორი წლის მანძილზე ჩვენი გრძნობების სრულყოფასა და ღრმა ჰარმონიულობას თან ახლდა ის მოდუნება, ან თუ გნებავთ, ის დუმილი გონებისა, როდესაც ადამიანი კარგავს საღად განსჯისა და დაკვირვების უნარს და სიყვარულით აღტაცებული საყვარელი ადამიანის მხოლოდ ღირსებებს ხედავს.

ერთი სიტყვით, ემილია ყოველად უნაკლო ადამიანად მესახებოდა, ვფიქრობ, ისიც ამგვარივე აზრისა გახლდათ ჩემზე. შესაძლოა, ვხედავდით კიდეც ერთმანეთის ნაკლს, მაგრამ სიყვარულის მაგიური ძალით ატაცებულთ ეს ნაკლი არა მარტო მისატევებელი, მიმზიდველიც გვეჩვენებოდა, თითქოს ნაკლი კი არა, ღირსება-ყოფილიყოს, თანაც _რაღაც- განსაკუთრებული _ღირსება_

ასე იყო თუ ისე, ვცდილობდით, სამსჯავროზე არ გამოგვეტანა ჩვენი ნაკლი თუ ღირსება; უბრალოდ, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

მინდა მოგითხროთ, როგორ მოხდა, რომ მაშინ, როდესაც ემილია კვლავ ძველებურად მიყვარდა და ვერ ვამჩნევდი მის ნაკლსა თუ ღირსებას, პირიქით, სწორედ მან აღმომიჩინა ნაკლი, — ან ეგონა, რომ აღმომიჩინა. ჯერ ყვედრება დამიწყო, ყველაფერს მიწუნებდა, მერე გული აიცრუა ჩემზე და ბოლოს მთლად შემიძულა.

რაც უფრო დიდია ბედნიერება, მით უფრო ნაკლებად შეიგრძნობ მას. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იმ პირველ ორ წელიწადს მოწყენილობა მიპყრობდა ხოლმე. მე მგონი, უბრალოდ, ვერ ვგრძნობდი, ბედნიერი რომ ვიყავი, ცოლ-ქმარს ერთმანეთი რომ გვიყვარდა. უჩვეულოს აქ ვერაფერს ვხედავდი; ჰაერისა არ იყოს, არც ბედნიერების ფასი ვიცოდი. ჰაერს ხომ სწორედ მაშინ ედება ფასი, როცა არა გვყოფნის. იმ ხანებში ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ბედნიერი ხარო, ალბათ გაოცებული ვუპასუხებდი, ცდებით-მეთქი, რადგან თუმცა ცოლი მიყვარდა და თავის მხრივ იმასაც ვუყვარდი, მაინც არა მჯეროდა ხვალინდელი დღისა. ასეც იყო: ერთ-ერთ მეორეხარისხოვან გაზეთში ვთანამშრომლობდი კინოკრიტიკოსად, ცოტა-ცოტას ვეჟურნალისტობდი კიდეც, გასამრჯელოდ გროშებს ვიღებდი და ამ გროშებით როგორღაც გაგვჭონდა თავი.

ერთი ოთახი გვქონდა დაქირავებული თავის ავეჯიანად. ისე ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ფუფუნების საგნებს კი არა, აუცილებელსაც ძლივს ვყიდულობდით. ჰოდა, ასეთ პირობებში განა შემეძლო თავი ბედნიერ კაცად მიმეჩნია? არადა, მოგვიანებით მივხვდი, რომ სწორედ მაშინ ვყოფილვარ თურმე ბედნიერი.

ქორწინებიდან ორი წლის თავზე, როცა, როგორც ადრე ვიწინასწარმეტყველეთ, მოვითქვეთ სული, გავიცანი კინოპროდიუსერი გვარად ბატისტა და ჩემმა პირველი სცენარიც მას დავუწერე. თუმცა კინოში მუშაობა დროებით საქმიანობად მიმაჩნდა და მე უფრო დრამატურგობა მიტაცებდა, მაინც ბედად მეწერა თურმე, კინოსცენარისტობა ჩემი ხელობა გამხდარიყო. სწორედ მაშინ იყო, რომ მე და ემილიას შორის შავმა კატამ გაირბინა. ჩემს მოთხრობასაც იმ დღიდან ვიწყებ, როდესაც ცოლს ჩემდამი გულაცრუება შევამჩნიე. ეს ორი მოვლენა თითქმის ერთდროულად მოხდა და როგორც შემდეგ გაჩდა ნათელი, ერთმანეთთანაც საბედისწეროდ იყო გადახლართული. როცა ვცდილობ გონების თვალით გადავხედო წარსულს, ბუნდოვნად მახსენდება ერთი შემთხვევა, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, თურმე გადამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

ეს-ეს არის ემილია, ბატისტა და მე რესტორნიდან ქუჩაში გამოვედით. ბატისტამ სახლში მიგვიპატიჟა. ვახშამი იქ გავაგრძელოთო. ჩვენც დავეთანხმეთ. სამივენი მივუახლოვდით ბატისტას წითელ, მდიდრულ, მაგრამ ორადგილიან მანქანას.

ბატისტა საჭეს მიუჯდა. მერე კარი ვამოაღო, ემილია მიიპატიჟა, მე კი მითხრა:

— დიდად ვწუხვარ, მოლტენი, მაგრამ მანქანაში მეტი ადგილი არ არის. ტაქსით მოგიწევთ წამოსვლა, თუ გინდათ, დამელოდეთ და მოვბრუნდები თქვენ წასაყვანად.

ემილია ჩემ გვერდით იდგა, თავისი ერთადერთი შავი საგარეო კაბა ეცვა, ღრმად გულამოჭრილი და მოკლესახელოიანი. ბეწვის მოსასხამი ხელში ეჭირა — ოქტომბერი იდგა და ჯერ კიდევ თბილოდა. შევყურებდი ემილიას და არ ვიცი, რატომ, მის საერთოდ შშვიდსა და უშფოთველი სილამაზის მიღმა ამ საღამოს რაღაც უცნაური მღელვარება, თითქმის შეშფოთება შევამჩნიე.

ემილიას მხიარულად მივმართე:

— ჩაჯექი მანქანაში, შენ და ბატისტა ერთად წადით. მე ტაქსით დაგეწევით.

ემილიამ შემომხედა და ხმადაბლა, უკმაყოფილოდ შემომეპასუხა:

— სჯობს ბატისტა წინ წაგვიძღვეს, მასპინძელია. ჩვენ კი ტაქსით მივყვეთ.

ამ სიტყვებზე ბატისტამ მანქანიდან თავი გამოპყო და ხუმრობით თქვა:

— კარგია, მე და ჩემმა ლმერთმა, გინდათ მარტო წავიდე, ხომ?

— არა, რას ბრძანებთ, მაგრამ... — წამოიწყო ემილიამ და მწყაზარ სახეზე კვლავ შეშფოთება გამოეხატა, დიდი სულიერი მღელვარებისაგან ლამაზი ნაკვთები ნერვიულად დაემანჭა, მაგრამ ჩემდა უნებურად მაინც დამცდა:

— ბატისტა მართალია, ჩაჯექი მანქანაში, მე ტაქსს გავაჩერებ.

ემილიამ ამჯერად დამიჯერა, აღარ შემკამათებია და მანქანაში ჩაჯდა.

მხოლოდ ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მახსენდება, რა მუდარა, წყრომა და სიძულვილი ეხატა სახეზე ემილიას, მაგრამ მაშინ ეს შემოხედვა არაფრად ჩავაგდე და მანქანის კარი ისე ხმაურით მივაჯახუნე, თითქოს სეიფს

ვაკეტავდი. მანქანა დაიძრა და მეც ერთობ მხიარულად, სტვენა-სტვენით გავეშურე ტაქსების მარლობელი გაჩერებისაკენ.

ბატისტას სახლი რესტორნიდან შორს არ იყო. ბელი რომ არ შემშლოდა, ლამის მათთან ერთად თუ არა, სულ რაღაც ორი-სამი წუთით თუ დაბოლოებულ-დებოდა მისვლა. თითქმის ნაცნობი გზა გავლილი გვქონდა, რომ გზაჯვარედინზე ჩვენი ტაქსი რომელიღაც მანქანას დაეჯახა. ორივე მანქანა [illegible] დაზიანდა. ტაქსს ფრთა შეეხვრა, მანქანასაც გვერდი შეეჭყლეტა. [illegible] შინვე გადმოცვივდნენ მანქანებიდან, ერთმანეთს მივარდნენ, იგინებოდნენ, თავს იმართლებდნენ. ხალხი მოგროვდა. პოლიციაც მოვიდა. ძლივს გააშველეს მოჩხუბარნი. პოლიციელმა ორივე მძღოლის გვარები და მისამართები ჩაიწერა. მთელი ეს ხანი მე აუღელვებლად ვიჯექი ტაქსში და ასევე აუღელვებლად ვუცდიდი მძღოლს. თითქმის ბედნიერადაც კი ვგრძნობდი თავს. ჯერ ერთი, ამ სალამოს ლაზათიანად ვივარ[illegible]ში და ღვინოც დავლიე. მეორეც — სცენარის დაკვეთით გამოწვეული სიხარული ჯერაც არ გამნელებოდა.

მთელმა ამ დავიდარაბამ ათ-თხუთმეტ წუთს გასტანა. ბატისტას სახლში დაგვიანებით მივედი. ემილია სასტუმრო ოთახში მოკალათებულიყო სავარძელში. მასპინძელი კუთხეში მოძრავ მაგიდასთან იდგა. იგი მხიარულად შემომეგება, რასაც ვერ ვიტყვი ემილიაზე. პირიქით, საცოდავი. თითქმის განაწამები ხმით მკითხა, ამდენ ხანს სადა ხარო. დაუდევრად ვუპასუხე, ესა და ეს შემემთხვა-მეთქი, მაგრამ თვითონვე ვგრძნობდი, ჩემი პასუხი ისე ეღერდა, თითქოს რაღაცის დაფარვას ვცდილობდი. გულგარეთ ვყვებოდი, რაც შემემთხვა გზაზე. ემილია არ მომეშვა, მის ხმაში რაღაც ახალს მოვკარი ყური.

— რას ამბობ? რა უბედური შემთხვევა?

მაშინ ძალიან გამიკვირდა. ემილია ასე რომ ჩამაცივდა და თავიდან დაიწყე ამბის მოყოლა. ამჯერად დალაგებულად მოვყევი, თითქოს მეშინოდა, ვაითუ არ დამიჯეროს-მეთქი. ახლაც არ ვიცი, რად მჭირდებოდა ეს ყალბი ქილო. ოღონდ არ გავჩუმებულიყავი და ყველაფერს ვყვებოდი. უმნიშვნელო წვრილმანსაც კი. ბოლოს როგორც იქნა, ემილიამ დაამთავრა ჩემი დაკითხვა და გამხიარულებულმა ბატისტამაც გულღიად მიგვიწვია სუფრასთან.

მე მასპინძლის პირდაპირ დავჯექი. მასლაათსა და ხუმრობაში, — უმთავრესად მე და ბატისტას რიგ შეგვეხებოდა — ორი საათი მაინც გავიდა. ბატისტა ისე მხიარულობდა, რომ სულ არ შემიმჩნევია ემილია რომ რაღაცნაირად მოშვებული იჯდა. თუმცა რომც შემემჩნია, არც გამიკვირდებოდა: იგი ბუნებით ჩუმი და გულჩახუხული ქალი იყო. მხოლოდ ის მაოცებდა, ზედაც რომ არ გვიყურებდა, სიგარეტს ეწეოდა და ღვინოს წრუპავდა. იჯდა თავისთვის, თითქოს მის მეტი არავინ ყოფილიყოს ოთახში.

მალე ბატისტამ საქმიანი საუბარი გამიბა ფილმზე. რომლის შექმნაში მეც უნდა მიმეღო მონაწილეობა, გამაცნო სცენარის სიუჟეტი, რეჟისორისა და თანაავტორის გვარები. ბოლოს მითხრა, ხვალ სტუდიაში მოდი, ხელშეკრულებას ველი მოაწერეო.

ემილიამ ისარგებლა მცირეოდენი პაუზით, ამ საუბარს რომ მოჰყვა და წამოდგა. ძალიან დავიღალე. შინ წავიდეთო. გამოვეთხოვეთ მასპინძელს, კიბე ჩავიარეთ და უხმოდ გავეშურეთ ტაქსების გაჩერებისკენ. ჩავსხედით, ტაქსი დაიძრა. მთვრალი ვიყავი სიხარულით. ბატისტას წინადადებამ ფრთები შემასხა თითქოს, ვერ მოვითმინე ჩემი სიხარული ემილიასთვის არ გამეზიარებინა.

— ამ სცენარმა სწორედ რომ სულზე მოგვისწრო, თორემ რა გვეშველებოდა ასევე ვალებში ჩავიფლობოდით.

— რამდენს მოგცემენ? — მკითხა ემილიამ.

მე ვუთხარი, რამდენსაც მომცემდნენ და დავუმატე:

— ალარაფერი გაგვიჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ამ ნამთბრს მაინც მისი ხელი ჩემს ხელში მოვიქცევ. ის მორჩილად დამყვება ალბ მივედით ახლამდე, ხმა ალარ ამოგვიღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

ამ საღამოს შემდეგ ჩემი საქმე მშვენივრად აეწყო. მეორე დილასვე მივედი ბატისტასთან, ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას და ავანსიც მივიღე. რამდენადაც მახსოვს, უნდა დამეწერა უბრალო, სენტიმენტალური კინოკომედია. თავდაპირველად მეგონა, ამ ჟანრში გამიჭირდებოდა მუშაობა ჩემი სერიოზული ხასიათის გამო, მაგრამ როცა საქმეს მოვკიდე ხელი, მერე და მერე გამოირკვა, რომ სწორედ ის ჟანრი ყოფილა ჩემი მოწოდება. იმავე დღეს პირველად შევხვდი რეჟისორსა და სცენარის თანაავტორსაც.

ამგვარად, შემიძლია ზუსტად დავასახელო როდის დაიწყო ჩემი კინოკარიერა. ეს მოხდა იმ საღამოს, როდესაც ბატისტამ მიგვიპატიჟა თავის სახლში, მაგრამ ასევე ზუსტად შემიძლია დავასახელო ის დღე, რა დღიდანაც დაიწყო უთანხმოება ჩემსა და ემილიას შორის. მე მგონი, მისი ჩემდამი გულცრუებაც იმ საღამოს დაიწყო და მიხვედრითაც მხოლოდ ერთი თვის მერე მივხვდი ამას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვსაზღვრავდი, როდის სძლია ერთმა გრძნობამ მეორეს ემილიას გულში, და რა იყო ასეთი ფერიცვალების მიზეზი.

მთელი ეს ხანი თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ბატისტას და ბევრი იმსაღამოსნაირი ეპიზოდის გახსენებაც შემიძლია. ეს ეპიზოდები მაშინ უწნიშვნელო მეჩვენებოდა, არაფრით არ მიშფოთებდნენ ცხოვრებას. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მერე და მერე გამოიკვეთნენ და ყოველ მათგანს თავისი სახელი დაერქვა. მინდა ერთი გარემოება აღვნიშნო მხოლოდ: ყოველთვის, როცა კი ბატისტა შინ გვპატიჟებდა — ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა — ემილია უარს ამბობდა წამოსვლაზე. მართალია, მთლად მტკიცედ არ უარობდა, მაგრამ გასაოცარი ის იყო, ყოველ წამოსვლაზე რომ ჯიუტად იმეორებდა უარს. ცდილობდა რაღაც მიზეზი მოენახა და ბატისტას არ შეხვედროდა, მე კი ჩემი მხრივ ვცდილობდი დამერწმუნებინა ცოლი, რომ უმიზეზო იყო მისი უარი. ხშირად შევკითხივარ, რატომ ხარ ასე ანტიპათიურად განწყობილი ამ კაცის მიმართ-მეთქი. ის კი ყოველთვის ერთნაირად, თუმცა ოდნავ შესამჩნევი ხმით მეუბნებოდა: სულაც არა ვარ ანტიპათიურად განწყობილი, უბრალოდ, ალარ მინდა საღამოობით შინიდან გასვლა, ვიღლები და მომბეზრდა კიდეცო. რა თქმა უნდა, მე ეს პასუხი არ მაკმაყოფილებდა და ყოველნაირად ვცდილობდი სიმართლე მეთქმევინებინა, მაგრამ ამაოდ, ვხვდებოდი, ემილია რაღაცას მიმალავდა. მათ შორის რაღაც მოხდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გამეგო კერძოდ, რა. ყოველ შემთხვევაში, ბატისტას ვერაფერს ვამჩნევდი. ეტყობა, ემილიას ეს გრძნობა ამ კაცის მიმართ თავისდა უნებურად გაუჩნდა.

რაც უფრო ვცდილობდი, ემილიასთვის სიმართლე დამეცდენინებინა, მით უფრო გააფთრებით მიმტკიცებდა იგი საწინააღმდეგოს და გაკერპებული გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას. გულში მიხაროდა. ემილია მამაკაცების

მიბართ ასეთ თავდაჭერილობას რომ იჩენდა. ეჭვის საბაბს არც ბატისტა მაძლევდა და ცოლის სიყვარულში სრულად დაიმედებული, ვცდილობდი ემილია დამერწმუნებინა, რაოდენ სასარგებლო იყო ჩვენთვის პროდიუსერთან გატარებული ეს საღამოები. ბატისტამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მე მარტო არსად დავდიოდი, მას სიამოვნებდა, ემილიაც რომ ესწრებოდა ჩვენს საუბარს ყოველთვის, როცა კი შინ მპატიჟებდა, მეუბნებოდა: მეწვიეთ მეუღლითურთ. ჰოდა, როგორი საქმეა, ასეთი გულითადი მიწვევის მერე ემილია რომ ვერ გამომყოლოდა? ბატისტა ხომ განაწყენდებოდა? ჩვენი მხრიდან დიდ უპატივცემულობად მიიჩნევდა ამას და შესაძლოა შემოგვწყრომოდა კიდეც. ჩვენი სული ხომ ბატისტას ხელში იყო.

ერთი სიტყვით, რაკი ემილიას უარი ყოველგვარ საბუთს იყო მოკლებული, მე კი უამრავი გამაჩნდა, არ ვეშვებოდი: ევ დაღლა და უგუნებობა როგორმე გადაიგდე გულიდან. პროდიუსერს უარს ნუ ვაკადრებთ-მეთქი.

მეჩვენებოდა, რომ ემილია ჩემს სიტყვებზე მეტად ჩემს ქცევას, მოძრაობას ადევნებდა თვალს, ბოლოს ჩემს ნებას დაჰყვებოდა ხოლმე და უსიტყვოდ იწყებდა ჩაცმას.

რამდენჯერ მითქვამს უკვე ჩაცმული ემილიასთვის, ბოლო წამს, სწორედ სახლიდან გასვლისას: თუ მართლა არ გინდა, ნუ წამოხვალ-მეთქი. ამას იმიტომ კი არ ვეუბნებოდი, რომ ეჭვი მეპარებოდა მის პასუხში, არამედ იმიტომ, რომ მეგრძნობინებინა, სრულ თავისუფლებას გაძლევ, როგორც მოგესურვოს, ისე მოიქეცი-მეთქი, ის კი ყოველთვის ერთი და იგივე პასუხს მაძლევდა: არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მხოლოდ ეს კი იყო, სახეზე ჭმუნვა ეხატებოდა. ასე მეორდებოდა ყოველი ჩვენი სახლიდან გასვლისას.

ეს ყველაფერი, ახლა რომ ასე დაწვრილებით ვიგონებ, ხორცს ისხამს ჩემს მეხსიერებაში. ვცდილობ აღვადგინო უმნიშვნელო წვრილმანიც კი, მაშინ რომ ყურადღების ღირსად არ მიმაჩნდა. დღეს კი ვხედავ, სწორედ მათ ჰქონიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ვგრძნობდი, დამძიმდა ჩვენი ურთიერთობა, დაზუსტებით ვერ ვიტყოდი, სად ამემღვრა წყალი, სად გაჩნდა ბზარი. მთავარია, გული ცუდს მიგრძნობდა, ისე ავისმომასწავებლად მიცემდა მკერდში, როგორც მოქრუშული ღრუბელი გვაცნობს ხოლმე ჭექა-ქუხილის მოახლოებას.

ფიქრი მტანჯავდა, ემილიას ძველებურად აღარ ვუყვარვარ-მეთქი. ჩემთან მარტო დარჩენასა და ინტიმურ საუბარს გაურბოდა. ქორწინების პირველ წლებში კი უჩემოდ ვერ ძლებდა. უწმეობა ვერც წარმოედგინა. მახსენდება: ვეტყოდი ხოლმე, საქმეზე მივდივარ, ორი საათით დავტოვებ, მალე დავბრუნდები-მეთქი. — უნდა გენახათ, რა მორჩილება და ნაღველი დაეხატებოდა ხოლმე სახეზე. უსიტყვოდ მემუდარებოდა, ნუ წახვალო. ამის შემხედვარეს ბევრჯერ ხელი ჩამიქნევია, საქმე გადამიდევს და შინ დავრჩენილვარ. მთელ დღეებს მასთან ვატარებდი, ან თუ შესაძლებელი იყო, თან მიმყავდა. როგორც ვთქვი, უჩემოდ ვერა ძლებდა, ერთხელ, მახსოვს, ჩრდილოეთ იტალიაში უნდა გავმგზავრებულიყავი სულ რამდენიმე დღით. მატარებელი რომ დაიძრა, შევამჩნიე, სახე მიატრიალა, ოღონ მისი ცრემლიანი თვალები არ დამენახა. თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს არაფერი შემემჩნიოს, მაგრამ მთელი გზა მისი ცრემლიანი თვალები არ მაძლევდნენ მოსვენებას. სინდისი მჭენჯნიდა, რატომ თან არ წამოვიყვანე-მეთქი; იმ დღის მერე მარტო აღარსად წავსულვარ.

დღეს სადღა გაჭრა ის გრძნობაზ? სახლიდან გასვლისას მის საყვარელ სა-

ხეზე ველარ ვხედავ ჩემთვის ასე ნაცნობ შეშფოთებას. ახლა, საქმეზე მივდივარ-მეთქი, რომ ვეტყოდი ხოლმე, წიგნიდან თავს არც აიღებდა. ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკებდა: „კარგი, წადი. ვახშამზე არ დაიგვიანო", და ამასაც ნაძალადევი სინაზით ამბობდა. მეჩვენებოდა, ჩემი წასვლა უსურვა კიდეც, როცა ვეტყოდი, აუცილებელ საქმეზე მივდივარ, ცოტა დამაგვიანდება-მეთქი, უმალ მიპასუხებდა: „ჩემი გულისთვის საქმეს ნუ მოსცდები, ნუ აჩქარდები, რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი. მეც ოჯახის საქმეს [illegible]".

ერთხელ ხუმრობით შევეპარე: შენ, მგონი გირჩევნია კიდეც, რომ მე მთელი დღე გარეთ ვიყო-მეთქი. პირდაპირ პასუხს მოერიდა, ესლა თქვა: რადგან სცენარის გადამკიდეს სულერთია მთელი დღე არ გცალია, სჯობს ვახშამზე მაინც შევხვდეთ ერთმანეთს, მანამდე მეც უფრო თავისუფლად მივდგებმოვდგები სახლშიო. მართალს ამბობდა, ოღონდ ნაწილობრივ: სცენარზე სამუშაოდ ნაშუადღევს მივდიოდი, დანარჩენ დროს ვცდილობდი ემილიასთან გამეტარებინა. მაგრამ იმ ლაპარაკის შემდეგ უკვე დილიდანვე დავიწყე სახლიდან გასვლა. ვეტყობდი, ემილიას ეძნელებოდა ჩემ გვერდით ყოფნა.

იმ ბედნიერ დროს, როცა ემილია ჯერ კიდევ მძიმედ განიცდიდა ჩემი სახლიდან გასვლას, სამსახურში გულდახდობილი და გამალებული მივეშურებოდი ხოლმე, მისი სევდიანი სახე ხომ ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულის სარკე იყო! მაგრამ როცა შევამჩნიე, ემილია ჩემთან დარჩენას გაურბოდა და, უფრო მეტიც, ჩემთან ყოფნა ალარ სიამოვნებდა, გული შემეკუმშა, ასე მეგონა, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა-მეთქი.

როგორც ვთქვი, ახლა უკვე დილიდანვე გავდიოდი სახლიდან სცენარზე სამუშაოდ. მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა: მინდოდა გამერკვია, მართლა გაუჩნდა თუ არა ემილიას ჩემდამი ის ახალი, უჩვეულო და მწარე გულგრილობა-მეთქი? ჩემდა სამწუხაროდ, ემილიამ უფრო გამიღრმავა ეჭვი, უფრო წარმოჩინდა მისი გულგრილობა. იგი შეეჩვია ჩემ შინ არყოფნას, არა მარტო შეეჩვია, სიხარულსაც ველარ ფარავდა ხოლმე.

თავდაპირველად ვცდილობდი ეს გულგრილობა ჩემებურად ამეხსნა: საერთოდ, ცოლქმრულ ურთიერთობაში დროთა განმავლობაში, რაგინდ ალსავსე არ უნდა იყოს მათი სიყვარული სინაზითა და ერთგულებით, შეჩვევის შედეგად წარმოიშობა ურთიერთნდობა და ამიტომაც თავდავიწყებისა და გატაცების წუთები იშვიათი ხდება-მეთქი.

ასე ვფიქრობდი, ასე მინდოდა ყოფილიყო, წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდებოდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვგრძნობდი, ასე არ იყო. დიახ, უფრო ვგრძნობდი, ვიდრე გაცნობიერებული მქონდა, რამეთუ აზრი, მიუხედავად თავისი მოჩვენებითი ლოგიკურობისა, უფრო გვატყუებს, ვიდრე ბუნდოვანი და გაურკვეველი გრძნობა.

ერთი სიტყვით, ვხედავდი, ემილიას სულაც არ აწუხებდა მარტობა. იმასაც ვხედავდი, ჩემთან დარჩენას გაურბოდა, მაგრამ იმიტომ კი არ გაურბოდა, რომ გინდა არ გინდა ჩვენს ურთიერთობაზე უნდა გველაპარაკა, და გადაწყვეტილიყავით ყველაფერში ჩქარა — არამედ იმიტომ, რომ ნაკლებად ვუყვარდი ან სულ ალარ ვუყვარდი.

თავი მესამე

ბატისტა რომ გავიცანი, ძალიან გაჭირვებული ვიყავი, უფრო მეტიც, არსაიდან არაფრის იმედი ალარ მქონდა. ვერც საშველს ვხედავდი რასმეს, სა-

ღარიბიდან რომ თავი დიმელწია. საქმე ის იყო, რომ ბინა ვიყიდე. თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, საიდან უნდა გადამეხადა ამოდენა თანხა.

მე და ემილია პირველი ორი წელიწადი ქირით ვცხოვრობდით ერთ ოთახში. ავეჯიც სახლის პატრონისა გვედგა. იქნებ სხვა ქალს ასე მტკივნეულად არ განეცადა ასეთ ბინაში ცხოვრება. მაგრამ ემილიასთვის კი ნამდვილი წამება იყო, წამება კი არა, თავგანწირვა იყო, და როგორც ერთგულ ცოლს შეეფერებოდა, თავისი ამ საქციელით უსაზღვრო სიყვარულს მიმტკიცებდა. რომ იტყვიან, ოჯახისთვის იყო გაჩენილი. საკუთარი ბედისადმი უსაზღვრო სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ჩვეულებრივი ოჯახის ქალის სიყვარულს არაფრით არ ჰგავდა. ეს იყო ძლიერი, ცეცხლოვანი, ყოვლისმომცველი გრძნობა, თვით ემილიაზეც ძლიერი, და მისი ფესვები სადღაც ღრმად მიდიოდა.

ემილია ღარიბი ოჯახის შვილი იყო. როდესაც გავიცანი, მბეჭდავ-მემანქანედ მუშაობდა. ჩემის აზრით, ემილიას სიყვარულში ოჯახისადმი მისდა უნებურად გამოსჭვიოდა იმ უსახლკაროთა დამსხვრეული იმედები, ოცნებად რომ ჰქონდათ გადაქცეული — ჰქონოდათ კეთილმოწყობილი თუ არა, პატარა სახლი მაინც. რა ვიცი, იქნებ ემილიას სულაც ჩემი იმედი ჰქონდა, ცოლად გავყვები და საკუთარი სახლი მექნებაო. მაგრამ არა, კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა იმ მრავალთაგან, როცა ატირებულს ვხედავდი მას. ეს ამბავი მოხდა ჩვენი ნიშნობიდან სულ მალე. ემილიას გულახდილად ვუთხარი, საკუთარი სახლის ყიდვა კი არა, გირაოთი აღებაც არ შემიძლია და პირველ ხანებში მოგვიწევს ავეჯიანად დავიქირავოთ სადმე ოთახი-მეთქი. მაშინ მისი ცრემლები დამსხვრეული ოცნებების გამოტირებას რადი ნიშნავდა მხოლოდ; ამ ცრემლებში წარმოჩინდა უძლიერესი და ღრმა გრძნობა და მე მეჩვენებოდა, რომ ემილიასთვის ეს გრძნობა იყო მთავარი.

ერთი სიტყვით, პირველი ორი წელიწადი დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობდით მე და ემილია. ყველაფერს კრიალი გაჰქონდა ჩვენს ოთახში, სისუფთავე და წესრიგი სუფევდა ირგვლივ. რაკი საკუთარი არ გააჩნდა, ცდილობდა ნასხვისარი ბინა და ავეჯი ჰქონოდა წესრიგში. მთელ თავის დიასახლისურ ნიჭსა და გატაცებას ამ საქმეში აქსოვდა.

ჩემს საწერ მაგიდაზე ყოველთვის იდგა ცოცხალი ყვავილებიანი ლარნაკი. ქაღალდები და წიგნები ისე ლამაზად ეწყო, თითქოს სამუშაოდ მეძახდნენ და თან სიმყუდროვეს მპირდებოდნენ. ერთი სიტყვით, მუშაობის გუნებაზე მოვყავდი.

არ მახსოვს, სადილობისას ხელსახოცები არ დებულიყო მაგიდაზე ან ნამცხვრიანი ლანგარი. არ მახსოვს, როდესმე მენახა მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი და საცვლები, როგორც ხდება ხოლმე ასეთ პირობებში, პატარა და მოუხერხებელ ბინაში. მოახლის ნაჩქარევად დალაგებულ ოთახს იგი ხელმეორედ, თავის გემოზე ალაგებდა, გულმოდგინედ ხეხავდა და წმენდდა ყველაფერს. სარკესავით ბზინავდა ფანჯრის გასახსნელი ყვითელი სპილენძის ბურთულა თუ პარკეტი მოფარებულ კუთხეშიც კი, ღამით, დაძინებისას მოახლის დაუხმარებლად, თვითონ შლიდა საწოლს. ბალიშებს მოხერხებულად დააწყობდა, საბნის ერთ კიდეს ლამაზად გადაკეცავდა. ერთ საწოლზე თავის გამჭვირვალე ღამის პერანგს გადაფენდა, მეორეზე — ჩემს პიჟამას, დილით ჩემზე ადრე დგებოდა, საერთო სამზარეულოში საუზმეს მოამზადებდა და ჯერ კიდევ საწოლში მონებიერეს მომართმევდა ხოლმე ლანგრით. ყველაფერ ამას ის

ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა. ძილი რომ არ დაეფრთხო ჩემთვის, აკეთებდა მთელი გულითა და ხალისით, მონდომებითა და უშურველად. და ამ საქმიანობით გამოხატავდა ჩემდამი დიდ გრძნობას.

მაგრამ მიუხედავად ემილიას ყოველნაირი ცდისა, ნაქირავები სახლი მაინც ნაქირავები იყო და ის ილუზია, თავს რომ იტყუებდა, ვითომ საკუთარ სახლში ვდიასახლისობო, — ჩემთვისაც და მისთვისაც [illegible] რჩებოდა. ხანდახან დაღლილობისაგან ღონეგამოცლილი ტ[illegible] ჩვეული მშვიდი ხმით მკითხავდა: როდემდე უნდა ვიცხოვროთ ნაქირავებ და მოუწყობელ ბინაშიო, ვგრძნობდი, ამ სიტყვებს მთელს გულს ატანდა, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა— ვგრძნობდი ამას და მაწამებდა იმაზე ფიქრი, რომ ადრე თუ გვიან რადაც არ უნდა დამჯდომოდა, სახლის ყიდვა მომიწევდა.

ბოლოს, როგორც უკვე ვთქვი, გადავწყვიტე სახლი მეყიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ფული მქონდა, უფრო იმიტომ, რომ ვხედავდი, ემილია იტანჯებოდა და მეშინოდა, ვაითუ ერთ მშვენიერ დღეს მოთმინების ფიალა აევსოს-მეთქი. ამ ორ წელიწადში ცოტათოდენ ფულს მოვუყარე თავი, ცოტაც ვისესხე და პირველი შესატანი თანხა ასე გადავიხადე.

მაგრამ დიდი სიხარული სულაც არ განმიცდია. არაფერი მეტყობოდა იმ კაცისა, რომელმაც საყვარელი ცოლისთვის სახლი იყიდა. პირიქით, შეძრწუნებული ვიყავი, შემდეგი თვის შესატანი ფული სად ვიშოვო-მეთქი. ისეთი სასოწარკვეთილება დამეუფლა, რომ ემილიაზეც კი დავიწყე გაბრაზება, მაგის ახირების ბრალია, ეს დაუფიქრებელი და სარისკო ნაბიჯი რომ გადავდგიმეთქი.

მაგრამ ემილიას გულწრფელმა სიხარულმა და უჩვეულოდ მოზღვავებულმა გრძნობებმა, — ამ ამბის შეტყობამ და ჯერ კიდევ მოუწყობელი ჩვენი ბინის ნახვამ რომ გამოიწვია, — ცოტა ხნით დამავიწყა ადრინდელი შეშფოთება და ნაღველი.

როგორც უკვე ვთქვი, საკუთარი ჰერის სიყვარული ემილიას სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ამ სიხარულმა თითქოს მის არსებაში აქამდე მიძინებული სხვა გრძნობაც გააღვიძა, ბინის ყიდვის მერე თითქოს კიდევ უფრო სასურველი გავხდი მისთვის.

ბინას რომ ვათვალიერებდი, პირველად ემილია, უბრალოდ, ხმაამოღებლად დადიოდა ცარიელ, გამოციებულ ოთახებში, მე კი ვეუბნებოდი, როგორ მოვაწყობდით ჩვენს ბინას, მაგრამ როცა დათვალიერებას მოვრჩით და ფანჯარასთან მივედი გამოსალებად, რათა ჩვენ წინ გადაშლილი ხედი მენახვებინა მისთვის, ემილია მომიახლოვდა, მოულოდნელად კისერზე შემომხვია ხელები, თავისკენ მიმიზიდა და ჩამჩურჩულა, მაკოცეო. ძალიან გამიკვირდა, ემილია საერთოდ თავშეკავებული და თითქმის მორცხვი იყო ცოლქმრულ დამოკიდებულებაში. მისმა ალერსმა ამაღელვა, ცეცხლი მომიკიდა მისმა ვნებიანმა კილომ და მეც ვაკოცე. ეს იყო ყველაზე ცეცხლოვანი, ყველაზე დამათრობელი კოცნა მთელი ჩვენი ცოლქმრობის მანძილზე. ემილია მთელი ტანით ისე მომეკრა, ვიგრძენი, მეტი სიახლოვისკენ რომ მიწევდა. სასწრაფოდ ყურთან მისი ცხელი სუნთქვა ვიგრძენი, მერე ჩურჩულიც მომწვდა: „მოდი". წუთიც და თავდავიწყებაში გადავეშვით ზედ მტვრიან იატაკზე იმ ფანჯრის ქვეშ, რის გაღებასაც ვაპირებდი. მაგრამ სიყვარულის ქარცეცხლში გახვეულმა მაინც ვიგრძენი, ემილიას მოულოდნელი ვნებიანი სურვილი ბინის ყიდვით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე ჩემი სიყვარულით.

ერთ არსებად ქცეულნი ნეტარებას ვეძლეოდით ჭუჭყიან იატაკზე, გაყინულ და ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. იგი მომენდო არა როგორც ქმარს, არამედ როგორც მამაკაცს, რომელმაც სანუკვარი ნატვრა აუსრულა — ბინა აჩუქა. ამ ცარიელმა ოთახებმა, სადაც კედლებს ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ საღებავი, შეძლეს ემილიას არსებაში გაეღვიძებინათ ის გრძნობა, რაც მე აქამდე ვერავითარი ალერსით ვერ შევძელი.

ახალ ბინაში ჩვენი ამ პირველი ყოფნიდან გადასვლის დღემდე ორი თვე გავიდა. ამ ორ თვეში ემილიას სახელზე გავაფორმე ბინის შესყიდვა, ვიცოდი გაეხარდებოდა. შევიძინეთ ერთი-ორი თავი ავეჯი, რამდენსაც ჩვენი ჯიბე გასწვდა. მაგრამ მალე სადღაც გამიქრა ბინის ყიდვით გამოწვეული აღტაცება და მის ადგილას მომავლის შიში, ლამის სასოწარკვეთილება დამკვიდრდა. ფულს საკმაოდ ვიღებდი. საკმაოდ-მეთქი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმდენს, რამდენიც გვეყოფოდა საშუალოდ ცხოვრების პირობებისათვის — ცოტაოდენსაც შავი დღისათვის გადადებულს — მაგრამ მორიგი ბინის შესატანისათვის კი არ გვეყოფოდა.

ჩემს ამ სასოწარკვეთილებას ისიც ემატებოდა, რომ ემილიას ვერ ვუმხელდი დარდს, არადა, ცოტა მაინც შემიმსუბუქებოდა. არ მინდოდა სიხარული ჩამემწარებინა მისთვის. ეს იყო ყველაზე უმძიმესი დღეები ჩემს ცხოვრებაში და დღეები, როცა არც ისე ძალიან მიყვარდა ემილია. ჩემდა უნებურად მიკვირდა ემილიას საქციელი: თუმცა მან ძალიან კარგად იცოდა რისი მქონენიც ვიყავით, სულ არ აინტერესებდა სად უნდა მეშოვა მე ამდენი ფული. ბრაზი მაბრჩობდა, გამოცოცხლებული ემილია რომ მთელი დღე მაღაზიებში დარბოდა, ეძებდა, ყიდულობდა ოჯახისთვის რაღაც-რაღაცებს. საღამოობით კი მშვიდად, უზუნველად მომახსენებდა ხოლმე, დღეს ესა და ეს ვიყიდეო. ფიქრი მკლავდა, ნუთუ მოსიყვარულე ცოლმა ვერ უნდა გამოიცნოს ის შეშფოთება და შიში მომავლისა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს-მეთქი? მაგრამ ალბათ ემილიას ეგონა, რაკილა ბინის ყიდვა შევძელი, ავეჯის ფულიც მექნებოდა. მისი უდარდელობა, მაშინ როდესაც მე ასე ძალიან ვიტანჯებოდი, — ეგოისტური და უგრძნობელი მეჩვენებოდა.

იმ ხანებში იმდენს ვფიქრობდი ფულზე, რომ ლამის საკუთარ თავზეც კი შემეცვალა შეხედულება. აქამდე ინტელიგენტურ, კულტურულ ადამიანად, მოწოდებით დრამატურგად მიმაჩნდა თავი. თეატრალურ მოღვაწეობაზე ვოცნებობდი. ეს, ასე ვთქვათ, ჩემი სულიერი სახე სრულიად ესადაგებოდა ჩემს გარეგნობასაც: სიგამხდრე, სიფერმკრთალე, ახლომხედველობა, დაძაბულობა, დაუდეგარი ჩაცმულობა, — ჩემი აზრით, სწორედ ისეთი გარეგნული ნიშნები მქონდა, რითაც მე შეიძლებოდა დავმსგავსებოდი ლიტერატურულ სარბიელზე გამოსასვლელად გამზადებულ ახალბედა მწერალს. მაგრამ დახეთ ბედის დაცინვას! ფულზე გამუდმებულმა ფიქრმა ასე მრავლისმეტყველი გარეგნობა სრულიად საწინააღმდეგოდ შემიცვალა. გავსაცოდავდი, ნამდვილ ფეხადგმულ საფრთხობელას დავემსგავსე. ცოლის ჟინიან სურვილს ვერ გავუმკლავდი, მის ყურმოჭრილ მონად ვიქეცი, დავივიწყე ანდაზა: საბანი როგორც გაგწვდეს, ისე დაიხურეო; ცოლის სიამოვნებისათვის ჩავიდინე ის, რაც ჩემს ძალას აღემატებოდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი დამცირება მელოდა ამ უფულობის გამო.

აღარ მიმაჩნდა საკუთარი თავი შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდა კაცად. მომავალ თეატრალურ გენიად, ვის ნიჭსაც ჯერ არ გაეშალა

ფრთები. მე უკვე ერთი საწყალი, მშიერი ჟურნალისტი ვიყავი, რომელიც მეორეხარისხოვან ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა, ან უფრო უარესიც, რომელიღაც კერძო ფირმის თუ სახელმწიფო დაწესებულების ერთ ულიმლამო მოხელედაც კი წარმოვიდგინე თავი. მე ვიყავი საცოდავი, ბედრუკი კაცი, რომელიც ვერ ბედავდა ცოლისათვის გაეზიარებინა მტანჯველი ფიქრები, აქაოდა, არ შევაწუხო, სიხარული არ ჩავამწაროო — მე ვიყავი კაცი, რომელიც მთელი დღე დარბოდა ქალაქში სამუშაოს ეძებებლად, ღამდამობით შეშინებულს ელვიძებოდა ვალების გახსენებაზე და ფულის გარდა არაფერი აინტერესებდა ამქვეყნად. ერთი სიტყვით, ჩემს წარმოდგენაშივე შექმნილი პიროვნება შესაბრალისი იყო. მას რა გააჩნდა არც ღირსება და არც რაიმე ხიბლი. იგი ბულვარული რომანების საცოდავ და საძულველ გმირს ჰგავდა და შიში მიპყრობდა, სადაცაა მეც იმას დავემსგავსები-მეთქი. მაგრამ რას ვიზამდი, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! ყველაფრის ღირსი ვარ. ისეთი ქალი უნდა მეთხოვა ცოლად, ვინც შეძლებდა ჩემთან ერთად გაეყო ეირიც და ლხინიც, ახალგაზრდებს ჭკუა თვალებში გვაქვს. სილამაზის გამო ვითხოვე უბრალო, გაუნათლებელი, დაბალი წრიდან გამოსული მბეჭდავი-მემანქანე ქალი, რომელიც გამსჭვალული იყო თავისი კლასის იდეებით. გამგებიანი ცოლის ხელში იოლად გადავიტანდი ამ მოუწყობელ ცხოვრებას. ისიც ჩემთან ერთად გაიზიარებდა ავსა და კარგს, მოითმენდა ნაჭირავებ ბინაში ცხოვრებას, მერე ერთ მშვენიერ დღესაც ჩემს დრამატურგიულ ნიჭს აღიარება მოუვიდოდა და თეატრალურ სარბიელზე წარმატებას წარმატებაზე მივაღწევდი. ეს რომ ასე იქნებოდა, წინათ ეჭვიც არ მეპარებოდა. მაგრამ ახლა კი სასოწარკვეთილი ვფიქრობდი, სანუკვარ ოცნებას ალბათ სამუდამოდ უნდა დავემშვიდობომეთქი. ისღა დამრჩენოდა, ცოლისთვის ოჯახური იდილიის შექმნაზე მეზრუნა.

ერთი სიტყვით, ვგრძნობდი უძლური ვიყავი კარზე მომდგარ სიდუხჭირესთან გასამკლავებლად. ცეცხლი რომ რკინას ადნობს და ალღობს, ისე დაადნო და გაალღო ჩემი სული და ნებისყოფა უფულობამ. ცხოვრების მძიმე ტვირთი წელში მხრიდა. იმ წუთებში მშურდა ყველა მდიდრისა, ვისაც არასოდეს განეცადა მსგავსი რამ, ვინც არ იცოდა რა იყო გაჭირვება. მშურდა მათი და ამ გრძნობას გაბოროტებაც ემატებოდა მათ მიმართ.

ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე უმძიმეს, ფფულობის ხანაში თანდათანობით ჩამომიყალიბდა უსამართლობის წინააღმდეგ აღშფოთება არა ცალკეულ პირთა, არამედ მდიდარია მთელი-კლასის მიმართ. უქონელად მარტო საკუთარი თავი კი არა, ყველა მიმაჩნდა, ვინც ჩემნაირ მდგომარეობაში იყო. ვგრძნობდი, პირად უსიამოვნო განცდებს და არსებული სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ პროტესტს, ჩემდა უნებურად, ყველაზე ვაერცელებდი და ვანზოგადებდი.

და ბოლოს, საკუთარ თავში აღმოვაჩინე გარკვეული სიმპათიები უსამართლობისა და სიდუხჭირის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური პარტიების მიმართ. საზოგადოება, რომელსაც თავისი საუკეთესო შვილები შიმშილით სიკვდილისათვის ჰყავს განწირული — ამ შვილებში საკუთარ თავსაც ვგულისხმობდი — გამოდის რომ უარესებზე ზრუნავს და მათ ელოლიავება. უბრალო, გაუნათლებელ ხალხში ეს პროცესი თავისთავად ხდება სადღაც ღრმად, გონების ბნელ კუნჭულში, სადაც რომელიღაც იდუმალ ალქიმიას ძალუძს ეგოიზმი ალტრუიზმად აქციოს, სიძულვილი — სიყვარულად, შიში — გამბედაობად; მაგრამ ჩემისთანა ადამიანისთვის, ვინც თვალს ადევნებს საკუთარ

თავს და თვითანალიზის უნარიც გააჩნია. — ეს პროცესი. ესე იგი, ყველაფერი ის, რაც ჩემს თავს ხდებოდა, — ისეთი ნათელი იყო, თითქოს სხვას ვადევნებდი თვალს. რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგად ვიცოდი, რომ მხოლოდ მატერიალური და ეგოისტური მიზნები მკარნახობდა ასე მეფიქრა და მთელ ქვეყანაზე ვავრცელებდი იმას, რაც მარტო მე შემეხებოდა. წინათ არასოდეს მქონია სურვილი, რომელიმე პარტიაში შესვლისა. იმ შფოთიან ომის შემდგომ წლებში კი თითქმის ყველა იყო რომელიმე პარტიის წევრი, არ [illegible] უფრო იმიტომ, რომ მეგონა, პირადი მოსაზრებით პოლიტიკაში [illegible] ყვთო-მეთქი. რაღაც განსაკუთრებული შეხედულებები, რწმენა უნდა მქონოდა რისამე, რომ პარტიაში შევსულიყავი. ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ვამჩნევდი, რომ ყველა ჩემი ფიქრი, აზრი, ქცევა, ლაპარაკი მიმართული იყო მხოლოდ პირადული ანგარებისაკენ და, ეს მიმართულება ნელ-ნელა იცვლებოდა ცხოვრებაში გადატანილი სიმძიმეების მიხედვით. „მაშასადამე, საკმარისი იყო, ფული შემომკლებოდა, რომ კაცობრიობის აღზევებაზე მეოცნება". მაგრამ ეს იყო უსუსური გაბრაზება. ბოლოს და ბოლოს — არ ვიცი სასოწარკვეთა იყო მიზეზი თუ ჩვეულებრივზე უფრო მიმტყუნა ნებისყოფამ — ერთი ჩემი ძველი მეგობარი ვაიძულე დავერწმუნებინე კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად. სულ მალე ამის შემდეგ კვლავ შემიპყრო ფიქრებმა: ახლაც არ მოვიქეცი ისე, როგორც შეეფერება ახალგაზრდა, ჯერ უცნობ გენიას, იქნებ ეს გადადგმული ნაბიჯი მშიერ ჟურნალისტს ან ჩინოვნიკს უფრო შეეფერებოდათ, რომელთა ადგილზე ყოფნისაც ასე მეშინოდა ყოველთვის, მაგრამ ნაბიჯი უკვე გადადგმული მქონდა, პარტიის წევრი ვიყავი უკვე და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მართლა, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რა მიპასუხა ემილიამ, ჩემი პარტიულობა რომ გაიგო. „ახლა მხოლოდ კომუნისტები მოგცემენ სამუშაოს... სხვები კი ბოიკოტს გამოგიცხადებენ". გამბედაობა არ მეყო მეთქვა მისთვის, რასაც ვფიქრობდი: იქნებ სულაც არასოდეს შევსულიყავი პარტიაში, ასე ძვირად ღირებული ბინა რომ არ მეყიდა-მეთქი შენთვის. მაგრამ არაფერი მითქვამს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი ბინა უკვე მზად იყო, მეორე დღეს კი — ეს დამთხვევა საბედისწერო მეჩვენება ახლა — გავიცანი ბატისტა და როგორც უკვე მოგახსენეთ, თავისი ერთ-ერთი ფილმის სცენარის შესაქმნელად მიმიწვია. გახარებულმა შვებით ამოვისუნთქე. გავიფიქრე, ოთხ-ხუთ სცენარს კიდევ დავწერ, ბინის ფულს მთლიანად გადავიხდი, მერე კი ისევ დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმეს — ჟურნალისტობას და შევისრულებ სანუკვარ ოცნებასაც — თეატრში მოღვაწეობას-მეთქი. ასე ძლიერ არასოდეს მყვარებია ემილია, სინდისი მქენჯნიდა, სულ ახლახან გუნებაში რომ ვკიცხავდი მას, უგრძნობელ, ეგოისტ ქალად რომ მიმაჩნდა. მაგრამ ჩემი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, ჩემს თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა, თუმცა ჯერ პატარა იყო ეს ღრუბელი, მაგრამ სამაგიეროდ შავი იყო და მოქრუშული.

თავი მეოთხე

ბატისტას ოქტომბრის თვის პირველ ორშაბათ დღეს შევხვდი. ერთი კვირის თავზე გადავედით კიდეც დალაგებულ გაწყობილ ბინაში, რომელიც ამდენ ტანჯვა-წვალებად მიღირდა და ამავე დროს დიდი არაფერი ბინა იყო. იგი ორი ოთახისაგან შედგებოდა: სასტუმრო და საწოლი ოთახებისაგან. სააბაზანო, სამზა-

რეულო და მოახლის ოთახი, როგორც ახლანდელ სახლებშია ხოლმე, პატარ-პატარა იყო. ჩვენს ბინას კიდევ ჰქონდა ერთი უსარკმელო. ძალზე პატარა საკუ-ჭნაოს მაგვარი რაღაც, სადაც ემილიამ გადაწყვიტა თავისთვის კუთხე მოეწყო. ჩვენი ოროთახიანი ბინა ახლად დამთავრებული სახლის ბოლო სართულზე იყო. სახლს არავითარი არქიტექტურული დეტალი არ ამშვენებდა. ქათქათა თეთრი შენობა თაბაშირისა გეგონებოდა. საკმაოდ უსახურ, პატარა და დამ-რეც ქუჩაზე იდგა. ერთ მხარეს ზუსტად ასეთივე სახლები ჩამწკრივებულიყო, მეორე მხარეს ვილაცის საბაღარაკო ბაღის გალავანი ჩასდევდა. გალავანს მაღ-ლი ხეები გადმოფენოდა. ჩვენი ფანჯრიდან ისეთი მშვენიერი ხედი იშლებო-და, რომ ემილიას მაშინვე გავუზიარე ჩემი აზრი. ისე ახლოს ჩანდა ხეებში ჩაფლული პარკის ბილიკები, შადრევნები და პატარ-პატარა მდელოები, რომ მაღლიდან მაცქერალს გეგონებოდათ, თითქოს ჩვენი სახლი პირდაპირ ამ პა-რკში იდგა და როცა მოგესურვებოდა ჩახვიდოდი და გაისეირნებდი იქ.

ბინაში შუადღისას გადავედით. მთელი ის დღე იმდენი საქმე მქონდა, რომ აღარ მახსოვს სად, როდის და ვისთან ერთად ვისადილე, მახსოვს მხო-ლოდ, რომ შუადამისას საწოლ ოთახში სარკის წინ რომ ვიხსნიდი ჰალსტუხს, უცებ სარკეში დავინახე, ემილიამ ჩვენი საწოლიდან ბალიში აიღო და სას-ტუმრო ოთახისკენ გაემართა. არც მოვბრუნებულვარ, გაკვირვებულმა ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი.

სარკეშივე დავინახე, ემილია კართან შეჩერდა, თავი ჩემკენ მოატრიალა და მშვიდად, თითქოს არაფერიაო, მკითხა:

— ხომ არ გამიჯავრდები, დივანზე რომ დავიძინო?

— მარტო ამ ღამით?

— არა, ყოველთვის, — სწრაფად მიპასუხა. — იცი რა? საკუთარი სახ-ლი ამიტომაც უფრო მინდოდა... შენსავით არ შეშინძლია ფანჯრებლია ოთახში ძილი... უთენია მეღვიძება, მერე ვერაფრით ველარ ვიძინებ და მთელი დღე მთვარეულივით ვარ. ხომ არ გამიბრაზდები?.. მე მგონი, სჯობს ცალ-ცალკე ვიძინოთ...

ამ მოულოდნელმა წინადადებამ ჯერ გამაღიზიანა, იმიტომ რომ ბოლომ-დე ვერ მივუხვდი აზრს, ემილიას მივუახლოვდი:

— კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია... სულ ორი ოთახი გვაქვს. ერთში საწოლები დგას, მეორეში — დივანი და საკარძლები... სხვა რომ არაფერი, დივანზე წოლა მოუხერხებელია.

— ვერაფრით ვერ ვბედავდი მეთქვა... — თვალებდახრილ ემილიას სა-ხეში არც შემოუხედავს ჩემთვის.

— წინათ არასოდეს დაგიჩივლია... მეგონა, შეეჩვიე.

ემილიამ ახლა კი შემომხედა. მომეჩვენა, გაეხარდა, საუბარი ასე რომ წარიმართა.

— არა, არ შევჩვეულვარ... ყოველთვის ცუდად მეძინა. ეტყობა, ამიტო-მაც გავხდი ამ ბოლო დროს ნერვიული. თითქმის სულ არ მძინავს.. თანაც გვი-ან ვწვებით... ჰოდა, ახლა... — ემილია წინადადების დაუმთავრებლად გაე-მართა სასტუმრო ოთახისკენ. მე დავეწიე და ხელი დავუჭირე;

— მოიცა, თუ გინდა აღარ გავაღებ ფანჯარას. იყოს ნება შენი, — ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი მისი სიყვარულის გამო კი არ მივდიოდი დათმო-ბაზე, არამედ, უბრალოდ, მინდოდა გამეგო, რას მიპასუხებდა.

ემილიამ თავი გადააქნია და გამიღიმა:

— ო, არა, რას ამბობ,, რა საჭიროა ასეთი მსხვერპლი... შენ ყოველთვის ამბობდი, სული მეხუთება, როცა ფანჯარადახურულ ოთახში მძინავსო... არა, არა, სჯობს, ცალ-ცალკე დავწვეთ.

— გარწმუნებ, მირჩევნია მსხვერპლი გავიღო, ვიდრე....

ემილია ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე გადაწყვეტილად მითხრა:

— არავითარი მსხვერპლი მე არ მჭირდება, არც დიდი, არც პატარა. სასტუმრო ოთახში დავიძინებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რომ გითხრა, მსურს ერთად დავიძინოთ-მეთქი?

ემილია კვლავ შეყოყმანდა, შემდეგ მისთვის ჩვეული წყნარი ხმით მითხრა:

— რა უცნაური ხარ, რიკარდო. მსხვერპლი მაშინ არ გაგიღია, როცა ახალშეუღლებულები ვიყავით და ახლა მოგინდა? რა საჭიროა! ძალიან ბევრი ცოლ-ქმარი ვიცი, ცალ-ცალკე რომ წვანან, მაგრამ ერთმანეთი უყვართ.. დილაობით სამსახურში რომ მიდიხარ, უკეთესი არ არის?... მეც არ გამალვიძებ.

— კი მაგრამ, შენ თვითონ არა თქვი, უთენია მეღვიძებაო?.. მე ხომ უთენია არ მივდივარ სამსახურში?

— ო, რა ჯიუტი ხარ, — მითხრა გაღიზიანებულმა და ისე გავიდა ოთახიდან, ჩემს პასუხს არც დაელოდა.

მარტო რომ დავრჩი, იმ საწოლზე ჩამოვჯექი, ერთი ბალიში რომ აკლდა. უცებ ფიქრი დამეუფლა განშორებასა და სიმარტოვეზე. ერთი ხანობა დაბნეული ვიყურებოდი იმ კარისკენ, სადაც ემილია გაუჩინარდა. „ნუთუ ბართლა ოთახში შემოსული მზის შუქი აწუხებს, იქნებ ჩემთან წოლა აღარ უნდა?“ ვგრძნობდი ეს უკანასკნელი უფრო შეეფერებოდა სინამდვილეს, თუმცა პირველი უფრო მინდოდა დამეჯერებინა. ემილიას ახსნა-განმარტება რომ სარწმუნოდ მიმეჩნია, საეჭვო მაინც ბევრი რამ რჩებოდა. თავს არ ვუტყდებოდი, მაგრამ ერთი კითხვა მოსვენებას არ მაძლევდა: იქნებ აღარ ვუყვარვარ?

ვიდრე ამგვარ უსიამოვნო ფიქრებში ვიყავი, ემილია შემოდიოდა და გადიოდა. კარადიდან ორი ზეწარი გამოიღო და საბანთან და ხალათთან ერთად სასტუმრო ოთახში გაიტანა. ოქტომბრის პირველი დღეები იყო, ჯერ კიდევ თბილოდა და ემილიაც გამჭვირვალე ლამისპერანგის ამარა მიდი-მოდიოდა, ჯერ არ ამიწერია თქვენთვის ემილია და მინდა ახლა აგიწეროთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი იმლამინდელი განცდები უფრო გასაგები გახდეს თქვენთვის.

ემილიას ტანმაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიყვარულით დაბრმავებულს მარტო მაღალ ქალად კი არა, ყველაზე დიდებულ ქალად მეჩვენებოდა, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. ვერ ვიტყვი, ემილიას მართლა ჰქონდა ეს სიმაღლე, თუ მარტო მე მეჩვენებოდა ასე. ერთი კი მახსოვს, ქორწინების პირველ ღამეს, როდესაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაიძრო და მოვეხვიე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: შუბლი მკერდამდე, მწვდებოდა მხოლოდ. მაგრამ ცოტა მოგვიანებით ლოგინში კიდევ მელოდა გაოცება: იგი დიდი, მსუქანი და რაღაცნაირი ფართოც კი მომეჩვენა. თუმცა ვიცოდი, ემილია ზორბა ქალი არ იყო. არასოდეს არ მინახავს ასეთი ლამაზად ჩამოსხმული სავსე და მკვრივი მხრები, მკლავები, ყელი. სახე შავგვრემანი ჰქონდა: ცხვირი სწორი და თხელი, ტუჩები — სქელი და ნამიანი. როცა იცინოდა, ლამაზად მიჯრილი თეთრი კბილები უელავდა. დიდრონ ლა-

მაზ, თაფლისფერ თვალებში მგრძნობიარობა იხატებოდა... თავდავიწყების წუთებში უცნაურად დაბნეული გამოხედვა ჰქონდა. როგორც მოგახსენეთ, ტანადი ქალი არ ეთქმოდა, მაგრამ მოხდენილი კი იყო: წელწვრილს — გამოკვეთილად უჩანდა თეძოები და მკერდი. მხრებგამართული, ნარნარად დადიოდა, თავი მოხდენილად და ღირსეულად ეჭირა, მის ახალგაბრუელ, ლამაზ, ჩამოთლილ ფეხებს აუღელვებლად ვერ შეხედავდა კაცი; ერთი სიტყვით, მთელს მის არსებაში ისეთი მსუბუქი მოხდენილობა [illegible] ბულება გამოსჭვიოდა, მხოლოდ ბუნებას რომ შეუძლია გიბოძოს [illegible] მაც გვაჩვენება იდუმალი და მიუწვდომელი.

ვიდრე ემილია გადიოდა და შემოდიოდა საწოლ ოთახში, მდუმარედ გადევნებდი თვალს. ჩემდა უნებურად გადამქონდა მზერა მისი სახიდან ტანზე, რომლის კანის ფერი და თითოეული ხაზიც კი ჩანდა გამჭვირვალე პერანგში. უცებ ეჭვმა გამტრირნა: ემილიას ალარ ვუყვარდი. მწველი სიცხადით ვიგრძენი, ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა-მეთქი...

აქამდე განუცდელი ეს გრძნობა ისე მოულოდნელად მეწვია, რომ რაღაც ერთი წამით შევცბუნდი კიდეც, არაფრით არ მინდოდა მერწმუნა მისი არსებობა. სიყვარული, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა გრძნობაა, მაგრამ ამავე დროს რაღაც გამოუთქმელი, თითქმის სულჩადგმული ხორციელი ლტოლვაცაა. აქამდე დაუფიქრებლად ყოველგვარი აზრის გარეშე ვტკბებოდი სიყვარულით, რადგან ცოლთან სარეცლის გაყოფა და ხორციელი ტკბობა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. ახლალა მივხვდი იმას, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი და ვიგრძენი, ძველებური სიახლოვე მე და ემილიას შორის ალარ იქნებოდა და ალარც იყო, მგონი, უკვე. თითქოს უფსკრულის პირს აღმოვჩნდი, შეეკრთი, ძრწოლვამ მომიცვა და გული შემეკუმშა: ჩვენი სიახლოვე და სიყვარული შეცვალა გაუცხოებამ.

მე რომ ეს ფიქრები მტანჯავდა, ემილია საბაზანოში ტანს იბანდა, წყლის შხეილზე ეტყობოდა. ვგრძნობდი, უძლური ვიყავი, მაგრამ მაინც ვცდილობდი საკუთარ არსებაში ჩამეხშო მტანჯველი ვნება.

აქამდე ემილია მიყვარდა ბუნებრივად, ისე როგორც ქმარს უნდა უყვარდეს ცოლი. ჩემი მისდამი სიყვარულიც რაღაცნაირი ჯადოსნური ძალით იხატებოდა უგონო, თავდავიწყებულ ვნებად და მე მეგონა ეს ვნება მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული, მხოლოდ ჩემზე. ახლა კი მივხვდი, პირველი ჩემი ბედნიერება უფრო ემილიას საპასუხო გრძნობებზე ყოფილა დამოკიდებული. როცა შევამჩნიე ემილიას შეცვლა, შემეშინდა, ძველებური სითამამითა და ბუნებრიობით ალარ მეყვარება-მეთქი. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, ჩვენს ოჯახურ სიამტკბილობას რომ ბოლო მოელო. ერთი სიტყვით, მეშინოდა, ჩვენს შეხმატკბილებულ სიახლოვეს რომ სიცივე ეპარებოდა და მეშინოდა აგრეთვე ჩემი მხრიდან რაღაცნაირი შებოჭილობისა, ხოლო მისი მხრიდან... მე არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა ემილია ამ შემთხვევაში, მაგრამ ერთს კი ვგრძნობდი წინასწარ, ჩემი მხრიდან ყოველგვარი ძალდატანება გამოიწვევს მის მთლად უარს თუ არა, უგრძნობელ პასიურობას მაინც.

ამ დროს ემილიამ გვერდით ჩამიარა. ჩემდა უნებურად ხელი წავავლე:

— მოდი აქ.. რაღაც უნდა გითხრა.

ჯერ გაბრუნება დააპირა, მაგრამ მერე შედგა და შორიახლო ჩამოჯდა საწოლზე.

— რა უნდა მითხრა?

არ ვიცი რატომ, გულში ტკივილით შემეკუმშა. ეს უკვე რიდს ჰგავდა. ესე იგი, იმ გრძნობას ჰგავდა, ჩვენს ურთიერთობაში ჯერ რომ არ ყოფილა და ამიტომაც უფრო სარწმუნო იყო ემილიას ცვლილება.

— ჰო, უნდა გითხრა... ჩვენ შორის რაღაც შეიცვალა.

ემილიამ შემომხედა და მშვიდად მიპასუხა:

— ვერ გავიგე... შეიცვალაო? არაფერიც არ შეცვლილა.

— მე არ შევცვლილვარ, აი შენ კი შეიცვალე.

— სულაც არ შევცვლილვარ... როგორიც ვიყავი, ისეთივე ვარ.

— წინათ უფრო გიყვარდი... მახსოვს როგორ ნაღვლობდი სადმე რომ მივდიოდი... მერე კიდევ... ჩემთან წოლა უსიამოვნებას არ განიჭებდა... პირიქით...

— აჰ, აი თურმე რა ყოფილა! — წამოიძახა მან, მაგრამ ხმაზე შევატყვე, წინანდელი დამაჯერებლობა აღარ ჰქონდა: — ასეც ვიცოდი, რაღაც ამდაგვარს რომ იტყოდი.. რას ჩამაცივდი? შენ გვერდით წოლა არ მინდა იმიტომ, რომ ვერ ვიძინებ, გაიგე? ეს არის და ეს.

უცნაურია, მაგრამ დავუჯერე და უცებ გუნებაც გამომიკეთდა, ის მძიმე განცდები ცეცხლზე შემოდებულ თოვლივით გადნა, ემილია წინანდებურად მახლობელი გახდა თავის გამჭვირვალე პერანგის ამარა, რომელშიც სხეულის ყოველი ნაკვთი მოუჩანდა. დაუოკებელი სურვილი მომედო, დავუფლებოდი ამ სხეულს. მიკვირდა, წინანდებურად კისერზე რომ არ მხვევდა ხელებს. იმედი მქონდა, ჩემი გულისთქმა იმასაც გადაედება-მეთქი. ხმადაბლა ვუთხარი:

— თუ არაფერი შეცვლილა, დამიმტკიცე.

— განა ყოველდღე, ყოველ წუთს არ გიმტკიცებ ამას?

— არა, ახლა დამიმტკიცე.

წამოვდექი, თითქმის მოვქაჩე თმაში და კოცნა დავუპირე. ჯერ მომენდო, მაგრამ ბოლო წამს თავი გაიქნია და ჩემი ტუჩები მხოლოდ მის ყელს შეეხო ოდნავ. ხელი შევუშვი:

— არ გინდა, გაკოცო?

— კოცნაში არ არის საქმე, — იმავე გულგრილობით თქვა ემილიამ და თმა შეისწორა. — მარტო კოცნას რომ დასჯერდებოდე, გაკოცებდი, მაგრამ ვიცი შენი ხასიათი... ახლა კი გვიანაა.

მისმა მსჯელობამ და სიცივემ გამაბრაზა:

— ამ საქმისათვის გვიანი არასოდეს არ არის, — კვლავ დავუპირე კოცნა, ხელი ჩავჭიდე და მივიზიდე.

— მეტკინა!

შეიძლება ითქვას, ხელი არც კი მქონდა ხეირიანად მიკარებული.. წინათ ლამის ვახრჩობდი მკლავებში, მაგრამ კვნესაც არ დასცდენია ხოლმე.

— წინათ რომ არ გტკიოდა, — ვუთხარი გაბრაზებულმა.

— ხელები კი არა, რკინის მარწუხები გაქვს, სულ არ ფიქრობ, რომ ლუჯად დამაჩნდება...

ეს სიტყვები გულგრილად, ყოველგვარი პრანჭვის გარეშე თქვა.

— ბოლოს და ბოლოს მაკოცებ თუ არა? — ჩავეკითხე მე.

— აჰა, — წამოიძახა და დედაშვილურად მაკოცა შუბლზე. — ახლა კი გამიშვი, მეძინება, უკვე გვიანაა.

ვერაფერი ვერ გამეგო, კვლავ წელზე შემოვხვიე ხელი.

— ემილია, მე ასეთ კოცნას როდი მოვითხოვ შენგან.

ემილიამ ხელი მკრა და ახლა უკვე გაბრაზებულმა მითხრა:

— ხელი გამიშვი... მეტკინა.

— ტყუი, ტყუი.. — დავისისინე მე და უფრო მაგრად მივიკარი მკერდზე.

ამჯერად ემილიამ ერთი-ორჯერ გაიბრძოლა, თავი გაინთავისუფლა ჩემი მკლავებიდან, წამოდგა და თითქოს უცბად გადაწყვიტა, პირდაპირ მომახალა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თუ ალერსიანობა აგიტყდა, მოდი, ბატონო, ოღონდ ძალიან ნუ მიჭერ მკლავებს, მეტკინა...

ამ სიტყვებზე ლამის სუნთქვა შემეკრა: ცივსა და საქმიან კილოზე ნათქვამ სიტყვებში ერთი მისხალიც არ იყო სიყვარულისა. ერთი წამით გახევებული და თავჩაქინდრული ვიჯექი საწოლზე, ხელები მუხლებშუა მეწყო, მისი ხმა მომესმა კვლავ:

— თუ ნამდვილად გინდა, მოდი.. გინდა?

თავი არც ამიწევია, წყნარად ვუთხარი:

— ჰო, მინდა.

ტყუილი ვუთხარი. ახლა აღარ მინდოდა, მაგრამ ერთი სურვილი კი მკლავდა: მინდოდა გამეტეხა მის არსებაში ჩაბუდებული ახალი, უცნაური გაუცხოების გრძნობა. გავიგონე, როგორ თქვა: „კარგი"! მერე ზურგსუკან მომესმა მისი ნაბიჯები, საწოლისკენ მიდიოდა. „მხოლოდ პერანგის გახდა უნდა", — უნებურად გავიფიქრე და გამახსენდა, რა მოჯადოებული შევცქეროდი ხოლმე დასაწოლად რომ ემზადებოდა. ნამდვილ ყაჩაღს ვგავდი რომელიღაც ზღაპრიდან, აურაცხელი, ოქრო-ვერცხლით სავსე გამოქვაბულთან რომ იდგა და კარის გაღებას ელოდა... ახლა კი ემილიასკენ გახედვაც აღარ მინდოდა, რადგან ვიცოდი, მისმა გულგრილობამ ჩემს თვალებს სიწმინდე დაუკარგა, ეს შეხედვა ახლა ხარბი, პირუტყვული და შეურაცხმყოფელი იქნებოდა მისთვისაც და ჩემთვისაც. გახევებული ვიჯექი კვლავ. მომესმა საწოლის ჭრიალი და ზეწრის შარიშური, ეტყობა, ემილიამ მხარი იცვალა. მერე იგივე შემზარავ კილოზე მითხრა:

— მოდი, რაღას უცდი?

არც მივბრუნებულვარ, არ შევტოკებულვარ, უცებ თავს შევეკითხე: იქნებ ჩვენს ურთიერთობაში ყოველთვის ზუსტად ასე იყო-მეთქი, დიახ, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ასე იყო. ასე იძრობდა ტანთ და წვებოდა ლოგინში, აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, მაგრამ წინათ მაინც სხვაგვარად იყო. წინათ არ იყო ეს ცივი, უგრძნობელი მზადყოფნა, რომელიც ახლა მარტო ემილიას ხმაში კი არა, საწოლის ჭრაჭუნსა და ზეწრის შარიშურშიც კი იგრძნობოდა, წინათ დაუკითხავად იფეთქებდა ხოლმე ვნება, წინასწარ მოუმზადებელ თავდავიწყებას ვეძლეოდით, ხორციელ და სულიერ ტკბობას განვიცდიდით ერთურთის სიყვარულით გაბრუებულნი.

ხანდახან, როცა ფიქრებში ხარ გართული, ანგარიშმიუცემლად დებ რაიმე ნივთს — წიგნს, ჯაგრისს, ფეხსაცმელს — და მერე დიდხანს ეძებ, ვიდრე არ იპოვი, სრულიად უადგილო ადგილას — კარადის თავზე, ოთახის რომელიმე კუნჭულში ან მაგიდის უჯრაში. ასე მემართებოდა მეც სიყვარულის გრძნობით მთვრალს. ადრე ყველაფერი ჩვენ უნებურად ხდებოდა, სწრაფად, გონზე მოსვლას ვერც ვასწრებდით, ისე ვეძლეოდით თავდავიწყებას, ემილიას მკლავებში მომწყვდეული და გონს მოსული ვერაფრით ვერ ვიხსენებდი,

რა მოხდა ან როგორ მოხდა, რომ სულ რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთის პირისპირ ვისხედით მშვიდად, უსურველად და ახლა კი საწოლში ჩვენი სხეულები ერთ სხეულად შეკრულა-მეთქი.

ემილიას ახლა აღარ ჰქონდა ის ძველებური გზნება, იგი ცივი და მიუკარებელი ჩანდა. ასეთივე ვიყავი მეც. შემეძლო ხარბად, მაგრამ აუღელვერლად მეცქირა მისი შიშველი სხეულისთვის, ასევე შეეძლო მასაც ჩემთვის ეცქირა. ამ ფიქრებში გართულს ცხადად წარმომიდგა სურათი: ჩემ წინ ... იწვა, ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი, არამედ ცოტა სულსწრაფი და ცუდ ... ტაც გამოუცდელი მეძავი ქალი, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროს მუშტარი, მისი ენინ დააკმაყოფილოს, როგორმე სწრაფად დაამთავროს ეს აქტი. ეს ყველაფერი ისე ცხადად წარმოვიდგინე, რომ მეგონა, მეძავი ქალი გაემართა ჩემი საწოლისაკენ, რათა ემილიას შერწყმოდა. შეძრწუნებული წამოვხტი, ემილიასკენ არც მიმიხედავს, ისე ვუთხარი:

— არ მინდა... აღარ მინდა... შენ აქ დარჩი, მე სასტუმრო ოთახში დავიძინებ... ფეხის ცერებზე გავედი ოთახიდან.

დივანზე უკვე გაშლილი იყო ლოგინი, ზემოდან ემილიას პერანგი იდო. იქვე საწოლთან ფლოსტები ეწყო, სავარძელზე კი ხალათი იყო გადაკიდებული. ეს ყველაფერი ავიღე და ემილიას გავუტანე, სკამზე გადავკიდე. თავი ვერ შევიკავე და შევხედე. იგივე პოზაში იწვა, როგორც იმ სიტყვების წარმოთქმის დროს იწვა: „მოდი, რაღას უცდი?" იწვა შიშველი. ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, ფართოდ გახელილი უაზროდ მზირალი თვალები ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი, მეორე ხელი სხეულის გასწვრივ გაეწვართა. არა, ეს მეძავი აღარ იყო, ეს იყო მოჩვენება, რომელიც შეეპყრო რაღაც შეუძლებელზე დარდს. ემილია აქვე გვერდით იწვა, მაგრამ ისეთი შორეული მეჩვენებოდა, თითქოს არარეალური, არაამქვეყნიური არსება ყოფილიყო.

თავი მეხუთე

იმ საღამოს უკვე ვიცოდი, რომ დამთავრდა ჩემი ხანმოკლე ბედნიერება და ამიერიდან დაიწყებოდა მშფოთვარე ცხოვრება. მაგრამ უცნაურია, ემილიას საქციელიდან სრულიადაც არ გამომიტანია ის დასკვნები, რაც დღესავით ნათელი იყო.

რაღა თქმა უნდა, ემილია გულცივად მომექცა, გრძნობის ნატამალიც არ აჩნდა, როცა საწოლში მიხმობდა, მეც ვამჯობინე უარი მეთქვა ამგვარად შემოთავაზებულ სიყვარულზე. მაგრამ მე მიყვარდა ემილია, სიყვარულს კი ძალუძს დაგაიმედოს და დაგავიწყოს კიდეც. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ წინადღის უსიამოვნება—ასე ახლოს რომ მივიტანე გულთან, მეორე დღეს თითქმის აღარაფრად მიმაჩნდა და ისე შავადაც აღარ მეჩვენებოდა ყველაფერი. წინაღამინდელი შემთხვევა ცოლ-ქმარს შორის უბრალო წაკინკლავებად მივიჩნიე. ასეა ცხოვრებაში: ადვილად ივიწყებ იმას, რისი გახსენებაც არ გინდა. ამასთან, თვითონ ემილიაც დამეხმარა ამის დავიწყებაში: მართალია კვლავ მარტო იწვა, მაგრამ სიყვარულზე უარს აღარ შეუბნებოდა. უნდა გამოვტყდე, რომ ემილია ცივად, უგულოდ მნებდებოდა, უგრძნობლად პასუხობდა ჩემს სურვილს, მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა, ის, რამაც იმ საღამოს ასე აღმაშფოთა, ერთი-ორი დღის მერე, ასატანად კი არა, ჩვეულებრივ ამბად მეჩვენებოდა.

ერთი სიტყვით, ჩემდა უნებურად მოლიპულ გზაზე აღმოვჩნდი და გაყინული, უსულგულო, ჩამქრალი ვნება — მოჩვენებითი სიყვარულობანას თამაშის წყალობით — მგზნებარე, ცეცხლოვან სიყვარულად მესახებოდა; თუ იმ პირველ საღამოს შემზარა ფიქრმა, ემილია მეძავი ქალივით ექცევა-მეთქი, სულ რაღაც ერთი კვირის მერე ამ აზრს უკვე შეგუებული ვიყავი. სადღაც გულის სიღრმეში უკვე მეშინოდა, ემილიას აღარ ვუყვარვარ-მეთქი და მადლიერიც კი ვიყავი მისი, რომ, მართალია, ცივად და უგულოდ, მაგრამ ჩემს სიყვარულს მაინც იღებდა. იქამდე შევეგუე ასეთ ყოფნას, რომ დავიჯერე, ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი იყო ცოლქმრული ურთიერთობა.

ვცდილობდი თავი დამერწმუნებინა, ემილიას ისევ ვუყვარვარ-მეთქი, უფრო სწორად, აღარ მინდოდა მეფიქრა ჩვენს სიყვარულზე, მაგრამ ეჭვი უკვე გამჯდარი მქონდა: ჩვენ შორის ურთიერთობა შეიცვალა, დაიძაბა. ის კი არადა, ჩემს სამუშაოსაც სხვა თვალით დავუწყე ცქერა. როგორც ვთქვი, თეატრზე ოცნებას დროებით მოვეშვი და კინოში დავიწყე მუშაობა, რათა ემილიასთვის სახლი მეყიდა. სანამ დარწმუნებული ვიყავი ემილიას ჩემდამი სიყვარულში, სცენარისტობის დაწყებას მძიმედ არ განვიცდიდი, მაგრამ იმ საღამოს მომხდარი უსიამოვნების მერე კი გული ავიცრუე: უინტერესო და მოსაწყენი მეჩვენებოდა უკვე. მართლაცდა, მე ხომ ემილიას სიყვარულის გამო დავთანხმდი კინოსცენარი დამეწერა, ასევე დავთანხმდებოდი სხვა სამუშაოზეც. ახლა კი, როცა მისი სიყვარული თვალსა და ხელს შუა გამიქრა, ამ სამუშაომ ყოველგვარი მიზანი დაკარგა და უაზრო მონობად მესახებოდა.

მინდა აქვე მოგახსენოთ, რას ნიშნავს სცენარისტობა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გასაგები გახდეს თქვენთვის ჩემი მაშინდელი მდგომარეობა და განცდები. როგორც ცნობილია, სცენარისტი არის ის, ვინც მეორე სცენარისტთან და რეჟისორთან ერთად ქმნის მომავალი ფილმის ჭარგას, რის საფუძველზეც იღებენ შემდგომში ფილმს. სცენარში თანმიმდევრულად, მოქმედების განვითარების შესაბამისად არის აღნიშნულ-მითითებული მსახიობთა მიმიკა, რეპლიკები, სიტყვები, აგრეთვე კინო გადამღები კამერის სხვადასხვა მოძრაობა. ამგვარად, სცენარი არის პიესაც, კინემატოგრაფიული ტექნიკაც და რეჟისორული გააზრებაც. თუმცა რეჟისორის შემდეგ სცენარისტია მთავარი ფილმის შექმნაში, მაინც დღემდე არსებული ტრადიციის მიხედვით სცენარისტი მეორეხარისხოვან მონაწილედ მიაჩნიათ და არსებითად იგი ჩრდილში დგას. თუ ხელოვნებაზე ვიმსჯელებთ, როგორც სინამდვილის უშუალო ასახვაზე — სხვანაირად კი ეს წარმოუდგენელიცაა — მაშინ სცენარისტი არის მხატვარი, ვინც ფილმში დებს მთელ თავის სულს, მაგრამ ამასთანავე არ განიცდის არავითარ კმაყოფილებას, იმის გამო, რომ ფილმში საკუთარი თავი წარმოაჩინა. მისი შრომა შემოქმედებითია, მაგრამ მაინც ითვლება ფილმის ტექნიკური, ფსიქოლოგიური თუ ლიტერატურული მითითებების მხოლოდ უბრალო მიმწოდებლად. შემდეგ კი რეჟისორის საქმეა ამ მიწოდებული მასალის დამუშავება, მხოლოდ მას შეუძლია მთელი სიგრძე-სიგანით გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი გენია და გადაიღოს ფილმი. ამრიგად, სხვათა წარმატების სახელით სცენარისტი მთელ თავის სულსა და გულს, სისხლსა და ნერვებს ახარჯავს ფილმს, და თუმცა ფილმის ბედის ორი მესამედი მაინც არის სცენარისტზე დამოკიდებული, — თავისი სახელი მას არ შეუძლია იხილოს ფილმის ტიტრებში რეჟისორის, პროდიუსერისა და მსახიობების გვერდით. მართალია, ზოგჯერ სცენარისტსაც ძალუძს ნიჭით გაიბრწყინოს და წარმატებებსაც მია-

ღწიოს, ე. ი. მხოლოდ ბევრი ფული მიიღოს. მაგრამ თქმით კი არ შეუძლია თქვას, ეს ფილმი მე გავაკეთე, ამ ფილმში საკუთარი თავი წარმოვაჩინე, ეს ფილმი თვითონ მე ვარო. ეს მხოლოდ რეჟისორს შეუძლია თქვას, მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია ხელი მოაწეროს ფილმზე, სცენარისტი კი იძულებულია მხოლოდ ფულის გულისთვის მუშაობით დაკმაყოფილდეს და უნდა თუ არ უნდა, მაინც ის ფული ხდება მისი მოღვაწეობის ერთადერთი მიზანი. ამრიგად, მას შეუძლია დატკბეს ცხოვრებით, თუკი ამის უნარი [illegible] ხმაროს ფული, — მისი არაქათგამომცლელი შრომის ერთადერთი ნაყოფი ხელშესახები შედეგი, — ერთი სცენარის დამთავრების შემდეგ ხელი მოკიდოს მეორეს, მერე მესამეს, წეროს კომედიები, ტრაგედიები, სათავგადასავლო თუ მელოდრამატული ფილმები. მისი შრომა ემსგავსება შრომას გუვერნანტი ქალისას, რომელიც ვერ ასწრებს ერთ ბავშვს შეეჩვიოს, რომ უკვე მეორე ბავშვის აღსაზრდელად მიდის სხვა სახლში, ხოლო მისი დამქანცველი შრომის შედეგი კი დედებს რჩებათ, მხოლოდ მათ აქვთ უფლება შვილს საკუთარი უწოდონ.

გარდა ამ უსიამოვნებისა, რაც თან სდევს სცენარისტის ხელობას, არის კიდევ ფილმის ხარისხი, ანუ, ფილმზე მომუშავეთა შერჩევა. რეჟისორისაგან განსხვავებით, ვისაც პროდიუსერი სრულ თავისუფლებას ანიჭებს, სცენარისტს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს — შეთავაზებული თემის მიხედვით შექმნას სცენარი, მაგრამ თუ დაეთანხმა, არა აქვს უფლება თანამშრომელთა შერჩევისა. მას ირჩევენ, ის კი — არა, თანამშრომელთა აყვანა მხოლოდ და მხოლოდ პროდიუსერის სიმპათიის ან, უბრალოდ, მისი ჭირვეულობის მიხედვით ხდება. ამის გამო სცენარისტს ხშირად უწევს მუშაობა არასასურველ ადამიანებთან, განათლებითაც და კულტურითაც მასზე ბევრად დაბლა რომ დგანან. იგი იძულებულია ბევრი რამ დათმოს მათი ქცევისა და ხასიათის გამო, რაც მერე მის ნერვებსაც აჩნევს დაღს. სცენარზე ერთობლივი მუშაობა ფაბრიკაში ან რომელიმე დაწესებულებაში მუშაობას როდი ჰგავს, სადაც ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები არიან და სადაც პირადი ურთიერთობა მინიმუმამდეა დაყვანილი ან სრულიად არ არსებობს. სცენარზე ერთობლივი მუშაობა ნიშნავს დილიდან საღამომდე იცხოვრო რამდენიმე კაცის ცხოვრებით, თავაუღებლივ შრომობდე, მთელ ცოდნას, ნიჭსა და გრძნობებს აქსოვდე სამუშაოს და თანაც ყველაფერს უფარდებდე სხვათა აზრებსა და მისწრაფებებს. ერთი სიტყვით, მთელი ორი-სამი თვე სცენარზე მუშაობისას, შენდა უნებურად პირად ურთიერთობაში ხარ (თუმცა მოჩვენებითსა და ხელოვნურში) სხვებთან, რათა შეიქმნას ფილმი, რომლის საბოლოო და ერთადერთი მიზანი ფულია.

სცენარისტებისთვის ყველაზე უფრო უსიამოვნო, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, თანამშრომლებთან სწორედ ეს პირადი ურთიერთობაა. ეს არის მომქანცავი, გამაღიზიანებელი და მომაბეზრებელი რამ. ეს ის როდია, რამდენიმე მეცნიერი ერთ ექსპერიმენტზე რომ მუშაობს — სცენარზე მუშაობა ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ სიტყვას, გაუთავებელ ლაპარაკს.

რეჟისორი სცენარზე სამუშაოდ ჩვეულებრივ ადრე დილიდანვე იბარებს თანამშრომლებს — ასე თხოულობს სცენარის შესაქმნელად მიცემული მოკლე ვადა და სცენარისტებიც დილიდან დაღამებამდე ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, რა თქმა უნდა, ძირითადად ფილმის გარშემო, მაგრამ ხანდახან დასასვენებლად სხვა თემაზე გადაიტანენ ხოლმე ლაპარაკს და ვინ ახალ ანეკდოტს ჰყვება, ვინ თავის პოლიტიკურ შეხედულებებს გამოთქვამს, ვინ ნაც-

ნობ-მეგობრების ავ-კარგზე ლაყბობს, ვინ მსახიობებზე და მათ ცხოვრებაზე და ვინ იცის კიდევ რაზე არა. ოთახი პაპიროსის ბოლშია გახვეული. მაგიდაზე, იქ სადაც სულ ცოტა ხნის წინ ფურცლები ეყარა, ახლა ყავის ცარიელი ფინჯნები დგას. სცენარისტები, დილით რომ ლამაზად დავარცხნილ-გამოწყობილი მოდიან სამსახურში, ახლა თმააბურძგნულნი, აჩაჩულ-დაჩაჩული, გაფლილი და ქანცგაწყვეტილნი გამოიყურებიან. უსულგულო ავტომატიზმი, რის მიხედვითაც კეთდება ფილმები, ტალანტს ახშობს, [illegible]საგან შთაგონებას კი არა, უფრო სიჯიუტეს, ნებისყოფის დაძაბვას [illegible] მით უმეტეს, რომ ზოგს სცენარზე მუშაობის არავითარი ხალისი არ აქვს.

რა თქმა უნდა, შეიძლება შეიქმნას მაღალმხატვრული სცენარი. ამ შემთხვევაში — თუ რეჟისორი და მისი თანამშრომლები ძველი მეგობრები არიან, დიდი ხანია ერთად მუშაობენ, ერთმანეთისა ესმით და პატივს სცემენ ერთმანეთს, მაშინ მუშაობა მიმდინარეობს ისეთ იდეალურ პირობებში, როგორიც შეიძლება იყოს ადამიანთა საქმიანობის, თუნდაც ყველაზე უმადური საქმიანობის გარემოში, მაგრამ ასეთი ბედნიერი დამთხვევა ისევე იშვიათია, როგორც კარგი ფილმები.

როცა მეორე სცენარის ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, — ახლა უკვე ბატისტასთან კი არა, სხვა პროდიუსერთან, — მუშაობის გასაგრძელებლად ძალა, სურვილი და გამბედაობა აღარ მეყო და უფრო მწვავედ ვიგრძენი ის მოსაბეზრებელი და გულის გამაწყალებელი უსიამოვნებანი, რაზეც უკვე მოგახსენეთ.

დილიდანვე უქმური გრძნობა მეუფლებოდა სამუშაოს გახსენებაზე. იმის წარმოდგენა, რომ ერთი პატარა სიამოვნებაც კი არ მელოდა და ეს დღე არასასურველი სამუშაოსათვის უნდა შემეწირა, მაცოფებდა. ვიცოდი, ეს დღეც უშედეგოდ გავიდოდა და ფეხები უკან მრჩებოდა სახლიდან გასულს.

სტუდიაში შესულიც არ ვიყავი, რომ რეჟისორი კითხვებს დამაყრიდა ხოლმე:

— აბა, როგორ არის საქმე? მოიფიქრე რამე წუხელ? მიაგენი რამეს?

ეს შეკითხვები ცოფს მგვრიდა და მაზიზღებდა იქაურობას.

მუშაობის დროსაც ყველაფერი მაღიზიანებდა: უკბილო ანეკდოტები, ლაქლაქი, თანამშრომელთა სიბრიყვე და გონებაშეზღუდულობა. ის კი არადა, რეჟისორის შექებაც კი მაღიზიანებდა, რადგან, როგორც გითხარით, მეჩვენებოდა, რაც კი საუკეთესო გამაჩნია სულში, ამ უინტერესო და უნდომ სამუშაოს ვახარჯავდი. ყველაზე მეტად ეს შექება მძულდა ყოველთვის, როცა კი სცენარზე მუშაობისას რაღაც საინტერესოს მივაგნებდი, რეჟისორი გახარებული წამოვარდებოდა და ამ ხელობის კაცისთვის დამახასიათებელ შინაურულ კილოზე წამოიძახებდა: „ყოჩაღ, ნამდვილი გენიოსი ხარ!“ მე კი გული მეკუმშებოდა, ასე ფუჭად რომ ვფლანგავდი შემოქმედებით ძალებს და ვფიქრობდი, განა უმჯობესი არ იქნებოდა, ჩემი დიდი ხნის ოცნება — დრამა რომ დამეწერა ან ერთი კარგი კომედია-მეთქი? თუმცა, როგორც ვთქვი, სცენარზე მუშაობა გულს არ ეკარებოდა. დიდად არ მსიამოვნებდა, მაინც არ შემეძლო გულგრილად მოვკიდებოდი ამ საქმეს. სცენარზე მუშაობა რაღაცით ჰგავს ეტლს, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული, ამ ოთხი ცხენიდან ერთი-ორი ლონიერი ცხენია და ტვირთს ისინი ეწევიან, ერთი-ორიც სუსტია და ისე მისდევენ ლონივრებს, თითქოს მათაც დიდი ჯაფა ედგათ. თუმცა სცენარზე ნაძალადევად, ყოველგვარი გატაცების გარეშე ვმუშაობდი, როგორც გვიან შევამ-

ჩხიე. მე სწორედ ის ლონიერი ცხენი ვიყავი, ტვირთს რომ ეწევა. თანაავტორი და რეჟისორი გაჭირვების ჟამს ჩემგან ელოდნენ ხოლმე ხსნას და მოთმინებით იცდიდნენ, რას ვიტყოდი. ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ პირველობა მწყუროდა ან ვინმეს დაჯაბნა მსურდა, ამას მაიძულებდა მოვალეობის გრძნობა, რაც ჩემს ნებისყოფაზე ძლიერი იყო, რაკი ფულს გიხდიან, კიდეც უნდა იმუშაო, — ასე მესმოდა მე ჩემი მოვალეობა.

მაგრამ სინდისი ბუდამ მქენჯნიდა და საკუთარი თავისა ისე [illegible] თითქოს გროშად ვყიდდი ყველაზე ძვირად ღირებულს, რომელიც [illegible] ცოტა უკეთ მომეხმარა.

როგორც უკვე ვთქვი, კინოში მუშაობის მთელი ეს უსიამოვნო მხარეები ჩემთვის ცნობილი გახდა ბატისტასთან პირველი ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის თავზე. თავდაპირველად ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, ადრე რატომ ვერ შევამჩნიე ეს ამბავი, ასე დიდი დრო რატომ დამჭირდა-მეთქი. თუ წინათ სცენარზე მუშაობა მიზიდავდა, — თუმცა ეს ფულის შოვნის სურვილით თუ იყო გამოწვეული, — ახლა სიძულვილისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უფრო მიძლიერდებოდა და ეს ამბავი თანდათანობით ემილიასთან ურთიერთობის შეგუებას დავუკავშირე. ბოლოს და ბოლოს მივხვდი: სამუშაოზე გულაცრუების მიზეზიც ეს იყო, ემილიას რომ ალარ ვუყვარდი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვაჩვენებდა თავს. ადრე, ემილიას სიყვარულში ღრმად დარწმუნებული, მონდომებითა და ხალისით ვეკიდებოდი სცენარზე მუშაობას. ახლა კი გამიქრა ეს უნარი... ახლა ჩემი სამუშაო გონების დამშრეტი და დროის ფუჭად წამლები მეჩვენებოდა.

თავი მეექვსე

იმ ხანებში იმ ავადმყოფს ვგავდი, ექიმთან წასვლა რომ ვერაფრით გადაუწყვეტია. ვცდილობდი არ მეფიქრა ჩემსა და ემილიას ურთიერთობაზე, ჩემს სამუშაოზე. ვიცოდი, ადრე თუ გვიან ისედაც მომიწევდა ამ საკითხზე დაფიქრება და სწორედ ამიტომაც მინდოდა მოსახდენი რაც შეიძლება გვიან მომხდარიყო. ის, რაც ეჭვით ვიცოდი, ცოტა იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მაიძულებდა გამეგდო ამდაგვარი ფიქრები, შიშსაც მგვრიდა ამავე დროს. ჩემი და ემილიას ურთიერთობა ოდნავადაც არ შეცვლილა იმ წუთიდან, ასე რომ ალმაშფოთა მისმა საქციელმა. უარესის შიშით ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი, თავსაც ამბოდ ვარწმუნებდი, ჩვენი ურთიერთობა ნორმალურია-მეთქი: დღისით უმიზნოდ, უგულოდ ვსაუბრობდით, ღამით დროდადრო სიყვარულობანას ვთამაშობდით, რასაც მე ვნებაანთებული ვეძლეოდი, ის კი ყინულივით მხვდებოდა. მართალია, ხელი ალარასოდეს უკრავს ჩემთვის, მაგრამ აუღელვებლად და უსურველად მნებდებოდა. რაც შეეხება სამუშაოს, თუმცა გული არ მიმდიოდა და ვგრძნობდი მოსაბეზრებელი ხდებოდა, მაინც რაღაცნაირი გაშმაგებით ვმუშაობდი. იმის გამბედაობა რომ მქონოდა, ყველაფერი გამერკვია, თავ-თავისი ადგილი მიმეჩნია, ნამდვილად უარს ვიტყოდი კინოში მუშაობაზე და ემილიას სიყვარულზე ფიქრზეც. როგორც ცხოვრებამ დამარწმუნა, ეს ორი მოვლენა საბედისწეროდ ეხლართებოდა ერთმანეთს. მაგრამ სად მქონდა ამისა გაბედაობა. დროის დინებას მივანდე ყველაფერი, იმედი მქონდა, დრო უჩემოდ გადაწყვეტდა ამ საკითხს. მართლაც ასე მოხდა. უჩემოდ, მაგრამ ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადაწყვიტა ყველაფერი. ემილიას

თავს აბეზრებდა ჩემი სიყვარული, მე კი — ჩემი სამსახური. ასე უგემურად და ზანტად მიიზლაზნებოდნენ დღეები და კარგს არაფერს მიქადდნენ.

ამასობაში სცენარის დამთავრებას აღარაფერი მაკლდა. ბატისტამ გამაფრთხილა, ხელშეკრულება სხვასთან არ დადო, სულ მალე უკეთეს და მნიშვნელოვან სამუშაოს მოგცემო. ახალი სცენარის დაქვეთა უნდოდა. სხვა პროდიუსერების მსგავსად ბატისტაც საკმაოდ იყო გაქნილი ასეთ საქმეებში, ყველაფერი აწონილ-დაწონილი ჰქონდა, აჩქარება არ უყვარდა, სიტყვას არ იტყოდა ტყუილუბრალოდ. ერთ-ორი წინადადებით ამოწურავდა თავის სათქმელს: „მოლტენი, ამ სცენარს რომ დაამთავრებთ, მეორეს დავიწყებთ... ამჯერად ნაღდს", ან: „მოლტენი, მზად იყავით, ამ დღეებში მსურს რაღაც შემოგთავაზოთ", ან მიუკიბ-მოუკიბავად მეტყოდა: „მოლტენი, ყველას უარი უთხარით ხელშეკრულებაზე. ორ კვირაში ჩემთან დადებთ ხელშეკრულებას". ამრიგად, უკვე ვიცოდი, რომ ამ უინტერესო და უფერული სცენარის დამთავრების შემდეგ ნაღდ. სამუშაო მელოდა და რაღა თქმა უნდა, ბატისტა მეტსაც გადამიხდიდა. და მაინც გულს ვერ ვუდებდი კინოში მუშაობას. პირველი ფიქრი, რამაც თავში გამიელვა, ბინა იყო, რომლის ფული ჯერ კიდევ გადასახდელი მქონდა. ამიტომ ბატისტას წინადადებებმა ძალიან გამახარა. ასეთია კინოსცენარისტის ბუნება: უყვარს თუ არ უყვარს ეს სამუშაო, მაინც უხარია, ახალს რომ შესთავაზებენ (ამ შემთხვევაში საკუთარი თავი მყავს მხედველობაში), ხოლო თუ აღარაფერი უთხრეს, გული წყდება, ეჭვი იპყრობს, თავი ამირიდესო.

ბატისტას ახალ წინადადებაზე ემილიასთვის ამჯერად არაფერი მითქვამს: ჯერ ერთი, დანამდვილებით არ ვიცოდი დავეთანხმებოდი თუ არა სცენარის დაწყებაზე. მეორეც — ვგრძნობდი, ემილიას სულ არ აინტერესებდა ჩემი საქმეები და ამიტომაც ვამჯობინე არაფერი მეთქვა. არ მინდოდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი მის გულგრილობაში, რასაც ჯიუტად ვცდილობ მნიშვნელობა არ მივცე ყველავ. ბატისტას შემოთავაზებულ ახალ წინადადებასა და ემილიას გულცივობას რატომღაც ვუკავშირებდი ერთმანეთს. დარწმუნებული არ ვიყავი, ახალ სამუშაოზე დავთანხმდებოდი თუ არა, რადგან ვგრძნობდი: ემილიას აღარ ვუყვარდი. რომ ვყვარებოდი, რა თქმა უნდა, ვეტყოდი ბატისტას წინადადებაზე, ეს კი იმას ნიშნავდა, კიდეც დავთანხმდებოდი.

ერთ დღეს იმ რეჟისორისკენ გავეშურე, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი ბატისტასთვის დაწერილ სცენარზე — ვიცოდი, საბოლოოდ მივდიოდი მასთან, რადგან სცენარის დამთავრებას აღარაფერი გვიკლდა. ამიტომაც გახალისებული მივდიოდი, როგორც იქნა, ბოლო ელებოდა ჩემს დამქანცველ არასასურველ შრომას და ამიერიდან ნახევარი დღე მაინც იქნებოდა ჩემს განკარგულებაში, რასაც მინდოდა იმას გავაკეთებდი. ორი თვე ვმუშაობდი ამ სცენარზე და როგორც ხდება ხოლმე, ორი თვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ შემძულებოდა ფილმის პერსონაჟებიც და მისი სიუჟეტიც. ვიცოდი, მალე ახალი სცენარი უნდა დამეწყო. ახალი სამუშაო მელოდა, ახალი პერსონაჟები და ახალი სიუჟეტი და ისინიც მალე მომაბეზრებდნენ თავს, მაგრამ ამ სცენარს რომ ვამთავრებდი, დიდად მიხაროდა და შვებას ვგრძნობდი.

სცენარის დამთავრებას სულ ცოტაღა აკლდა. იმ დილით მუშაობის ხალისზე მოსულმა რაღაც ორიოდ საათში მივაგენი იმას, რაზეც მე და რეჟისორი რამდენიმე დღე ვიტეხდით თავს. არ გასულა ორი საათი და სცენარზე მუშაობაც საბოლოოდ მოვამთავრეთ, ხანდახან ხდება ხოლმე ასე: მიდიხარ მთებში,

გზა კი არ ილევა. ის-ისაა, ილაჯგაწყვეტილმა ხელი უნდა ჩაიქნიო, მწვერვალს ველარ მივაღწევო, რომ სრულიად მოულოდნელად აღმართება შენ წინ ის მწვერვალი. დიალოგის ერთი ფრაზა დავწერე და გაოცებულმა წამოვიძახე:

— აქ შეიძლება დაისვას წერტილი. ასე დავამთავროთ სცენარი!

ვიდრე მე მაგიდასთან ვიჯექი და სცენარზე ვმუშაობდი, რეჟისორი ბოლთას სცემდა ოთახში, ამ სიტყვებზე მომიახლოვდა, ზურგს უკან დამიდგა, გადმოიხარა, ჩემს ნაწერს ისე დახედა, თითქოს თვალებს არ უჯერებსო-და გახარებულმა იმანაც წამოიძახა:

— მართალი ხარ, ამით შეიძლება დავამთავროთ!

სცენარის ბოლოს მივაწერე „დასასრული", საქალალდე დავხურე და ავდექი.

რამდენიმე ხანი უსიტყვოდ დავცქეროდი საქალალდეს, სადაც დამთავრებული სცენარი იდო. დაღლილ-დაქანცულ ალპინისტებს ვგავდით, დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ რომ მიაღწიეს მწვერვალს. რეჟისორმა ბოლოს როგორც იქნა ხმა ამოიღო.

— როგორც იქნა, დავამთავრეთ!

— ჰო, დავამთავრეთ, — დავადასტურე მე.

რეჟისორი პაზეტი ახალგაზრდა, კვადრატულ ნაკვთებიანი, რაღაცნაირი მშრალი და გადასლექილი ჩანდა, გეომეტრიის მასწავლებელს თუ ბუღალტერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელოვანს. დაახლოებით ჩემი ხნისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ეს სცენარზე მუშაობისას ხდება, ჩვენი დამოკიდებულება თანამდებობით უფროს-უმცროსობას არ სცილდებოდა. საერთოდ, რეჟისორს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე კინოს სხვა მუშაკს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პაზეტიმ მისთვის დამახასიათებელი არც თუ მოსწრებული იუმორით მომმართა:

— უნდა გითხრა, რიკარდო, შენ იმ ცხენსა ჰგავხარ, ყნოსვით რომ გრძნობს, სად არის საჯინიბო. მეგონა, კიდევ ოთხ დღეს მოვუნდებოდით სცენარზე მუშაობას, ორ საათში კი დავამთავრეთ. ეტყობა, ჰონორარის ეშხით დაიჩქარე!

მიუხედავად ამ კაცის უმეცრებისა და შეზღუდულობისა, იგი არ იწვევდა ჩემს ანტიპათიას. ჩვენ ურთიერთობას განამტკიცებდა ის, რომ, თითქოს ერთმანეთს ვავსებდით. ის იყო ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოკლებული კაცი, აუღელვებელი და თავის ძალაუფლებაში დარწმუნებული, თუმცა საშუალო ნიჭისა იყო, მე კი შემოქმედებითი ცეცხლი მწვავდა, ემოციური და ნიჭიერი ვიყავი.

— რა თქმა უნდა, — მისსავე კილოზე ვუპასუხე მეც. — მართალს ამბობ, ჰონორარის ეშხით...

პაზეტიმ პაპიროსს მოუკიდა და განაგრძო:

— არ გეგონოს, ამით ყველაფერი დამთავრდა... ჯერ მხოლოდ სამუშაოს ძირითადი ნაწილი შევასრულეთ... დიალოგებს თავიდან უნდა გადავხედოთ. ასე რომ, ჯერ ადრეა მხართეძოზე წამოწოლა.

ერთხელ კიდევ გავიფიქრე, პაზეტი ორიგინალურს არაფერს ამბობს, გაცვეთილი ფრაზებით ლაპარაკობს-მეთქი. შემდეგ ქურდულად გავხედე საათს. უკვე დღის პირველი საათი სრულდებოდა.

— დარდი ნუ გაქვს.. შენს განკარგულებაში ვიქნები, როცა კი მოისურვებ.

პაზეტიმ თავი გააქნია:

— გიცნობთ რა შვილებიცა ბრძანდებით სცენარისტები... საძებნელი რომ არ გამიხდე, ბატისტას ვეტყვი, ჰონორარი მთლიანად არ მოგცეს.

პაზეტის ოდნავ დამცინავი და ავტორიტეტული კილო ჰქონდა, რაც სულ არ შეეფერებოდა ასე ახალგაზრდა რეჟისორს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მბრძანებლური ქცევით იგი ადვილად ახერხებდა თანამშრომლები თავის გავლენის ქვეშ მოექცია. მას უნარი შესწევდა გაეკიცხა და შეექო კიდეც თანამშრომელი, მოფერებოდა და მკაცრი შენიშვნაც მიეცა, ეთხოვა და ებრძანებინა კიდეც. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, პაზეტი კარგ რეჟისორად მიაჩნდათ: რეჟისორის მუშაობის ორი მესამედი ხომ იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიხმარს იგი თანამშრომელთა ცოდნასა და შესაძლებლობას.

ახლაც როგორც ყოველთვის მივეცი პაზეტის საშუალება ლაპარაკით გული ეჯერებინა, შემდეგ კი ვუთხარი:

— არა, ბატისტას ეტყვი, ჰონორარი მთლიანად მომცეს, მე კი პირობას გაძლევ, როცა დაგჭირდები, მაშინვე შენთან გავჩნდები.

— კი მაგრამ, რად გინდა ამდენი ფული? — ბრიყვულად იხუმრა პაზეტიმ. — ყოველთვის გეცოტავება, და გეცოტავება... საყვარელი შენ არ გყავს, ბანქოს შენ არ თამაშობ, შვილებიც არ გაწუხებენ...

— ბინის ფული უნდა შევიტანო, — ვუპასუხე სერიოზულად და თვალები ძირს დავხარე. მისმა ასეთმა უტაქტობამ აღმაშფოთა.

— კიდევ ბევრი დაგრჩა გადასახდელი?

— თითქმის მთლიანი თანხა.

— ნიძლავს დავდებ, ალბათ ცოლი ჩაგჩიჩინებს და მოსვენებას არ გაძლევს. თითქოს მესმის კიდეც მისი ხმა: „რიკარდო, ხომ არ დაგავიწყდა, ბინის მორიგი გადასახადი რომ არის შესატანი?“

— ჰო, ჩემი ცოლის სურვილია... ქალების ამბავი ხომ იცი, სახლი მათთვის ყველაფერია...

— ვის ეუბნები! მე უარეს დღეში ვარ. — და დაიწყო მოყოლა თავის ცოლზე, რომელიც, როგორც მივხვდი, რატომღაც ჭირვეულ და უცნაურ ქალად, მოკლედ, ნამდვილ ქალად მიაჩნდა.

პაზეტის თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს დიდი ყურადღებით ვუსმენდი. სინამდვილეში კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ რაც შეგეხებათ თქვენ, სცენარისტებს, კარგად გიცნობთ, ერთი ჯურისა ხართ ყველანი. როგორც კი ფულს მოიგდებთ ხელში, მერე მშვიდობით, თვალსაც ვერავინ მოგკრავთ... არა, არა, ვეტყვი ბატისტას, ჰონორარი მთლიანად არ მოგცეს.

— არ არის საჭირო, პაზეტი, გთხოვ!

— ჰო, ვნახოთ. ისე კი დიდად ნუ დაენდობი ჩემს სიტყვას.

მე კვლავ მალულად დავხედე საათს. ამჯერადაც მივეცი პაზეტის საშუალება საკუთარი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ჩემ წინ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოეჩინა თავისი ავტორიტეტი... ახლა კი კმარა ისედაც ბევრი დრო დავკარგე, უნდა წავიდე.

— დიდად მოხარული ვარ, რომ სცენარზე მუშაობას, ან შენ როგორცა თქვი, ძირითად სამუშაოს მოვრჩით... ახლა კი დროა წავიდე...

— არაფრით არ გაგიშვებ! — ალალად წამოიძახა პაზეტიმ. — აუცილე-

ბლად უნდა შევსვათ ფილმის წარმატების სადღეგრძელო... დალახვროს ეშ-მაკმა! სცენარი დავამთავრეთ და შენ ასე გაგიშვა?

— ეგ სხვა საქმეა, —მორჩილად ვუპასუხე. — საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— წავიდეთ, ჩემს მეუღლეს შენი სტუმრობა გაახარებს.

კაბინეტიდან რომ გამოვედით, ვიწრო, ცარიელ და თეთრად შეფუთჭილ დერეფანს გავუყევით. დერეფანში საჭმელების და ბავშვის ჩვრების სუნი ტრიალებდა. პაზეტიმ სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და შესძახა:

— ლუიზა, მე და მოლტენიმ სცენარზე მუშაობა დავამთავრეთ... გვინდა შევსვათ ფილმის წარმატების სადღეგრძელო!

ქ-ნი პაზეტი სავარძლიდან წამოდგა და ჩემ შესახვედრად გამოემართა.

იგი ტანდაბალი ქალი იყო, დიდი თავი, მშვენიერი შავი თმა და ძალზე ფერმკრთალი, მოგრძო სახე ჰქონდა, მის დიდრონ, მაგრამ უსიცოცხლო თვალებში მხოლოდ მაშინ აკიაფდებოდა ხოლმე სიხარულის შუქი, როცა ქმარს ხედავდა. ისე შესციცინებდა, როგორც ერთგული ძაღლი თავის პატრონს. მაგრამ როდესაც ქმარი შინ არ იყო, იჯდა თავისთვის წყნარად, თვალებდახრილ და მიუკარებელ უბიწოებას განასახიერებდა. სულ ოთხი წლის გათხოვილი იყო და ამ ოთხ წელში ეს პატარა, დალეული ქალი ოთხი შვილის დედა გახდა.

— დღეს აუცილებლად უნდა დავლიოთ... ახლავე მოვამზადებ კოქტეილს,— — მოჩვენებითი მხიარულებით თქვა პაზეტიმ.

— ჩემთვის არ მოამზადო, ჯინო, — გააფრთხილა ქ-ნმა ლუიზამ. — ხომ იცი, არა ვსვამ.

— ჩვენ დავლევთ.

მე იქვე, წითელი აგურით ნაშენი ბუხრის წინ მოვიკალათე ხის სავარძელში, რომელზეც ყვავილებით მოჩითული ქსოვილი იყო გადაფარებული. ქ-ნი პაზეტიც ასეთსავე სავარძელში ჩაჯდა ჩემ პირდაპირ.

სასტუმრო ოთახი ძალიან ჰგავდა თავის პატრონს. ოჯახის უფროსს. ეს იყო ჩვეულებრივი, პროვინციული სტილის ოთახი, სუფთა და კოხტა, მაგრამ ამავე დროს ისეთი უბადრუკი, ბულალტერს ან მოანგარიშეს რომ შეეფერებოდა. ვიდრე რეჟისორს. იძულებული ვიყავი ოთახი მეთვალიერებინა, რადგან ქ-ნმა პაზეტიმ რატომღაც ჩემთან საუბარი არ ისურვა. იჯდა ჩემ წინ სავარძელში თითქმის უმოძრაოდ, თვალებდახრილი და მუცელზე ხელებდაწყობილი, მე ახლა პაზეტის ვადევნებდი თვალს. იგი ოთახის ერთ კუთხეში მივიდა პატარა კარადასთან, რომელშიც რადიომიმღები და ბარი იყო ჩადგმული, თავის წეროსავით გამხდარ მუხლებზე ჩაიჩოქა და ერთი ბოთლი ჯინი, სამი ჭიქა და თერმოსი გამოიღო. ეს ყველაფერი ლანგრით მოიტანა ბუხრის წინ მაგიდასთან.

შევამჩნიე, რომ ორივე ბოთლი გაუხსნელი და ხელუხლებელი იყო, ეტყობოდა, მათი პატრონი ხშირად არ აძლევდა თავს კოქტეილის დალევის უფლებას. გამოუცდელი ხელი იგრძნობოდა მის მოქმედებაშიც, ყველაფერს ისე მოუხერხებლად აკეთებდა, ჩანდა, მისთვის უჩვეულო იყო მსგავსი საქმე. ამაზე მეტყველებდა ახალთახალი თერმოსიც, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. პაზეტიმ გვითხრა, ყინულს მოვიტანო და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანს ასე გაჩუმებულნი ვისხედით, შემდეგ კი მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმე დამერღვია, ვთქვი:

— ესეც ასე, სცენარიც დავამთავრეთ!

ქ-ნ პაზეტის თავი არც აუწევია, ისე მიპასუხა:

— დიახ, ჯინომ უკვე მითხრა.

— დარწმუნებული ვარ, კარგი ფილმი გამოვა.

— მეც დარწმუნებული ვარ, ისე ჯინო არ მოკიდებდა ხელს ამ სცენარს.

— ფილმის სიუჟეტს იცნობთ?

— დიახ, ჯინომ მიამბო.

— მოგწონთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაკი ჯინოს მოსწონს, მაშასადამე, მეც მომწონს.

— თქვენი აზრები ყოველთვის ასე ემთხვევა ერთმანეთს?

— ჩემი და ჯინოსი? ყოველთვის!

— თქვენს შორის ვინ არის ოჯახის უფროსი?

— როგორ?

— ვინ უფროსობს ოჯახში, თქვენ თუ ჯინო?

— რა თქმა უნდა, ჯინო.

საუბრის დროს შევამჩნიე, ქ-ნი პაზეტი სულ იმის ცდაში იყო, „ჯინო" იმდენჯერ ეხსენებინა, რამდენჯერაც რაიმეს სათქმელად პირს გააღებდა.

ამიტომ ვაძლევდი ასეთ კითხვებს. ის კი ჩემს ხუმრობანარევ კილოს ვერ ამჩნევდა და სრული სერიოზულობით მაძლევდა პასუხებს.

ამასობაში პაზეტიც დაბრუნდა ყინულიანი კასრით ხელში:

— რიკარდო, ცოლი გირეკავს ტელეფონზე!

არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს სიტყვები ელდასავით მომხვდა გულზე. გუნება მომეშხამა. ანგარიშმიუცემლად ავდექი და კარისაკენ გავემართე. პაზეტიმ შემაჩერა:

— ტელეფონი სამზარეულოშია... მაგრამ თუ გინდა, აქედან უპასუხე, გადმოვრთავ.

ტელეფონი იქვე პატარა მაგიდაზე იდგა ბუხართან ახლოს. ყურმილი ავიღე და ემილიას ხმაც მომესმა:

— რიკარდო, მაპატიე, მაგრამ შუადღისას შინ ნუ მოხვალ, სადილად დედასთან მივდივარ.

— კი მაგრამ, რატომ ადრე არ გამაფრთხილე?

— არ მინდოდა შენთვის ხელი შემეშალა მუშაობაში.

— კარგი, — ვუპასუხე, — რესტორანში ვისადილებ.

— საღამოს შევხვდებით, ნახვამდის, — და ყურმილი დაკიდა. მეც პაზეტებისაკენ მოვბრუნდი.

— რიკარდო, დღეს მგონი შინ არ სადილობ.

— არა, რესტორანში წავალ.

— აი რა, რიკარდო, ჩვენთან დარჩი. საგანგებო არაფერი გვაქვს მომზადებული, მაგრამ რაც არის, იმას დავჯერდეთ... დიდად გვასიამოვნებ.

იმის გაფიქრებამ, რომ რესტორანში მარტოს უნდა მესადილა, გამოუთქმელი სევდა მომგვარა, გუნება გამიფუჭდა, და ალბათ უფრო იმიტომ მეწყინა, რომ მინდოდა სცენარის დამთავრება ემილიასთვის მეხარებინა. ან იქნებ არც მეხარებინა, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ემილიას ჩემი სამუშაო ალარ აინტერესებდა, მაგრამ სცენარი რომ დავამთავრე ჩემდა უნებურად მაშინვე ეს აზრი დამებადა — ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანისათვის გამეზიარებინა სიხარული, როგორც წინათ ვიცოდით.

ქ-ნი პაზეტი, როგორც ყოველთვის, არც ახლა არ აცილებდა თვალს

ქმარს. პაზეტის მიპატიჟებამ ძალიან გამახარა და დიდად მადლობელი დავრჩი. ამასობაში მან ორივე ბოთლი გახსნა. დიდი სიფრთხილით, ჯერ ცოტაოდენი ჯინი გადაზომა, მერე ვერმუტი და შემდეგ ორივე თერმოსში აურია. ამ დროს იგი იმ ფარმაცევტს უფრო ჰგავდა, წამლის დამზადებისას რომ ეშალნია, ბედნიერი დოზა არ მომივიდესო.

ბოლოს კოქტეილი მზად იყო. პაზეტი უკვე ჭიქებში დასხმას აპირებდა, რომ ქ-მა ლუიზამ ქმარს უთხრა:

— სულ ცოტა დამისხი, ჯინო, შენც გირჩევ ცოტა დალიო... არ გაწყინოს.

— დღეს შეიძლება... ყოველდღე ხომ არ ვამთავრებთ სცენარს?

პაზეტიმ ჩვენი ჭიქები შეავსო, ცოლს კი ძალიან ცოტა დაუსხა.

— ეს ერთი და სხვა მრავალი! — წარმოთქვა პაზეტიმ, მხოლოდ ტუჩები დაისველა და ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა. ჩემი ჭიქა ერთი სულის მოთქმით გამოვცალე. ქ-ნმა პაზეტიმ სვენებ-სვენებით მოწრუპა და ადგა:

— მაპატიეთ, ცოტა ხანს უნდა დაგტოვოთ, წავალ მზარეულს დავხედავ, რას აკეთებს.

ის გავიდა. პაზეტი ცოლის საკარძელში ჩაჯდა და ლაყბობას მოვყევით. უფრო სწორად, ის ლაყბობდა, უმეტესად სცენარზე. მე ვუსმენდი, ხმის ამოუღებლივ თავს ვუქნევდი და ვსვამდი. პაზეტის ისევ ის ჭიქა ედგა, მხოლოდ ნახევარი დაელია. მე კი უკვე მესამე გამოვცალე. არ ვიცი, რატომ და იმ წუთებში ძალიან უბედურად ვგრძნობდი თავს და მინდოდა დავმთვრალიყავი, იქნებ სიმთვრალეს დროებით მაინც გაექარვებინა ჩემი უზომო მწუხარება. მაგრამ არაფერმა არ მიშველა, რადგან საერთოდ სასმელს კარგად ვიტან, პაზეტის კი კოქტეილში ბევრი წყალი გაერია. ამრიგად, ამ ორმა-სამმა ჭიქამ არ დამათრო, მხოლოდ გუნება ამიმღვრია და კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი ჩემი უბედურება. უცებ თავს ჩავეკითხე: კი მაგრამ, რატომ ვგრძნობ თავს ასე უბედურად? — და მაშინვე გამახსენდა, ამ გუნებაზე ემილიასთან ტელეფონით ლაპარაკის შემდეგ რომ დავდექი. ემილიას ცივმა და ანგარიშიანმა კილომ ცუდად იმოქმედა და ეს უფრო ნათლად ვიგრძენი აქ, ქ-ნი პაზეტის ახლოს, რომელიც „ჯინოს" ისეთი მოწიწებით წარმოთქვამდა, როგორც რაღაც მაგიურ სახელს. ფიქრებში ღრმად წასვლა ვერ მოვასწარი, რადგან ქ-მა პაზეტიმ სასადილო ოთახში შეგვიპატიჟა.

პაზეტების სასადილო ოთახიც კაბინეტსა და სასტუმრო ოთახს ჰგავდა; აქაც ახალი, მყვირალა შეუღებავი ხის იაფფასიანი ავეჯი იდგა. მაგიდაზე ეფინა სელის სუფრა, ეწყო ფერადი ფაიფურის ჭურჭელი, სქელი მწვანე ჭიქები, ბოთლები.

სუფრას შემოვუსხედით პატარა ოთახში, რომლის უმეტესი ნაწილი მაგიდას ეკავა. ასე რომ მოახლე იძულებული იყო საჭმლის მოტანისას ყველა შეეწუხებინა. უხმაუროდ ვსადილობდით. შემდეგ მოახლემ თეფშები შეგვიცვალა და მხოლოდ იმიტომ, რომ საუბარი წამოეწყო, პაზეტის ვკითხე მომავლისათვის რა გეგმები გაქვს-მეთქი.

მისთვის ჩვეული ცივი ხმით მიპასუხა ზუსტად გარკვევით. გონებაშეზღუდულობა იგრძნობოდა არა მარტო მის სიტყვებში, არამედ გამოთქმებშიც. ჩუმად ვუსმენდი. ან რა უნდა მეთქვა, პაზეტის მომავლის გეგმები სულაც არ მაინტერესებდა. საინტერესოც რომ ყოფილიყო, მისი მონოტონური, ეაზრო და უფერული საუბარი თავს შეგაწყენდა.

მე კვლავ ოთახს ვათვალიერებდი, თუმცა საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი. უცებ ჩემი მზერა პაზეტის ცოლის სახეზე შეჩერდა.

ქ-ნი პაზეტის ნიკაპი ხელებზე დაეყრდნო და ახლაც, როგორც ყოველთვის, ქმარს შესცქეროდა სახეში. განსაკუთრებით მისმა თვალებმა განმაცვიფრა. მის მოჯადოებულ მზერაში უსაზღვრო მადლიერების გრძნობა და თავგანწირული სიყვარული ანათებდა, სიყვარული, რომელიც სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს; მისი თვალები ერთი და იმავე დროს ფფეზიკურ ტკბილვასაც და რაღაც მოკრძალებასაც გამოხატავდნენ.

ეს რატომღაც უცნაური მომეჩვენა. ჩემთვის გაუგებარი იყო, — ასე მშრალი პიროვნება, ულიმლამო გარეგნობისა და საშუალო ნიჭის მქონე კაცი, თანაც ქალის მოსაჭონი რომ არაფერი ჰქონდა, — რითი იმსახურებდა ასეთ სიყვარულს. მაგრამ შემდეგ გავიფიქრე: ბოლოს და ბოლოს ყველა მამაკაცი პოულობს გამგებ, ქმრების მოყვარულ და დამფასებელ ქალებს-მეთქი და ისიც გავიფიქრე გუნებაში: საკუთარი არშინით სხვათა გრძნობების გაზომვა„ სწორი არ არის-მეთქი. უეცრად ქ-ნი პაზეტისადმი სიმპათიით გავიმსჭვალე, ქმარი ასე რომ უყვარდა, ხოლო პაზეტის მდგომარეობამ გამახარა, რადგან, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მიუხედავად მისი საშუალო ნიჭისა, მისადმი რაღაც ირონიულ კეთილგანწყობილებას ვგრძნობდი. სრულიად მოულოდნელად, არ ვიცი საიდან, კვლავ ჩემი მტანჯველი ფიქრი მეწვია. „ამ ქალის თვალებში ქმრისადმი სიყვარულია ჩაბუდებული, პაზეტიც კმაყოფილია საკუთარი თავითაც და სამსახურითაც. იმიტომ, რომ ცოლს უყვარს იგი. ემილიას თვალებში კი კარგა ხანია არ შემიმჩნევია მსგავსი გრძნობა, ემილიას აღარ ვუყვარვარ და ალბათ აღარც ვეყვარები აღარასოდეს“. ამის გაფიქრებაზე გულში მწარე ჩხვლეტა ვიგრძენი და სახე დამელრიჯა. ქ-მა პაზეტიმ თვალი შემასწრო:

— ხორცი ხომ არ გადაგცდათ მოუხარშავი?

— ო, არა, — სწრაფად მივუგე, — პირიქით, გემრიელი ხორცია.

პაზეტი კვლავ თავის მომავალ გეგმებზე ლაპარაკობდა. მე ვითომ დიდი ყურადღებით ვუსმენდი, სინამდვილეში ვცდილობდი კვლავ ჩემს ტკივილს ჩავლრმავებოდი, ასე მწვავესა და ბუნდოვანს.

ახლა კი მივხვდი, ამაოდ ჩაუვლია ჩემს ცდას — ამ აუტანელ მდგომარეობას შევგუებოდი, არაფერი გამომივიდა, ეს კი იყო, ასე ცხოვრება აღარ შემეძლო. ემილიას არ ვუყვარდი, მე კი ამის გამო სამსახურზე მქონდა გული აცრუებული. უცებ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: „ასე გაგრძელება არ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ყოველივეს, ემილიას მოველაპარაკები. თუ საჭირო იქნება, გავეყრები კიდეც და სამსახურსაც მივატოვებ“.

მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, ამ გადაწყვეტილებას შევასრულებდი თუ არა, რადგან ბოლომდე არაფერი არ მჯეროდა, არც ისა, რომ ემილიას აღარ ვუყვარდი და არც ისა, რომ იმდენ ძალას ვიპოვიდი, კინოში მუშაობას თავს დავანებებდი და მარტოხელა კაცის ცხოვრებას დავუბრუნდებოდი. ამ გაორებულ მდგომარეობაში ვიტანჯებოდი და რაღაც მწვავე, გაურკვეველ, აქამდე ჩემთვის უცნობ გრძნობას ვყავდი შეპყრობილი. საყოყმანოდ ვხდიდი იმას, რაც ჩემი გონებისათვის ისედაც ნათელი იყო. მაგრამ ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა:

— რატომ არ ვუყვარვარ ემილიას? რატომ გახდა ასე გულგრილი?

ამის გაფიქრებაზე კვლავ მწარედ შემეკუმშა გული. ვიცოდი, ამ კით-

ხვებზე პასუხი რომ გამეცა, უფრო დამარწმუნებელი სამხილი დამჭირდებოდა, ეს კი ღრმა ტკივილს მომაყენებდა. ერთი სიტყვით, თითქმის დარწმუნებული ვიყავი ემილიას გულგრილობაში, მაგრამ ამის მიზეზი ვერაფრით ამეხსნა. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ემილიას უნდა მოვლაპარაკებოდი. ყველაფერი გამერკვია, გულახდილად მეთქმევინებინა მისთვის ყველაფერი. რა თქმა უნდა, ეს ულმობელი საუბარი მახვილივით დამიტრიალდებოდა ჭრილობაში, რომლის არსებობაშიც კარგა ხანია თავს არ ვუტყდებოდი და [illegible] მნიშვნელობა არ მიმეცა მისთვის. ამ აზრმა შემაძრწუნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მხოლოდ ყველაფრის გარკვევის შემდეგ შემეძლო ძალა მომეკრიბა იმ საშინელი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, რასაც ჩემმა აფორიაქებულმა სულმა განწირულობის ჟამს მიმართა — გავშორებოდი ემილიას და სამსახურისთვისაც თავი დამენებებინა.

ამ ფიქრებში გართული ვერაფერს ვამჩნევდი, ვჭამდი, ვსვამდი და პაზეტისაც მოჩვენებითი ყურადღებით ვუსმენდი.

დაბოლოს, როგორც იქნა, ღმერთმა ინება და სადილი დამთავრდა. ჩვენ კვლავ სასტუმრო ოთახში გავედით და იძულებული გავხდი ერთხელ კიდევ შემესრულებინა მეშჩანური სტუმართმოყვარეობის სხვადასხვა ფორმალობანი: დამელია ფინჯანი ყავა ერთი-ორი ნატეხი შაქრით ან ტკბილი თუ მშრალი ლიქიორი, რომელზედაც ყოველთვის შეგიძლია თავაზიანი უარი განაცხადო. ავყოლოდი უმიზნო, დროის გასაყვან საუბარში...

ბოლოს, როცა ჩემი აზრით საკმაო დრო დავყავი მასპინძლებთან, აჩქარებად არ ჩამეთვლება წასვლა-მეთქი, გავიფიქრე და ავდექი.

სწორედ ამ დროს გუვერნანტმა ქალმა ოთახში პაზეტის უფროსი გოგონა შემოიყვანა, როგორც ყოველთვის, სეირნობის წინ მშობლებისთვის რომ ეჩვენებინა.

ეს იყო შავთმიანი, ფერმკრთალი გოგონა, ძალზე დიდი შავი თვალები ჰქონდა და თავისი მშობლებივით შეუმჩნეველი და ულიმლამო გარეგნობისა იყო.

მახსოვს, როცა დავინახე როგორ ეხვეოდა და ეფერებოდა დედა შვილს, მაშინვე თავში გამიელვა: „არასოდეს არ მელირსება მე ასეთი ბედნიერება. მე და ემილიას ალბათ არასდროს არ გვეყოლება შვილი“. ამას მეორე, უფრო მწარე ფიქრი მოჰყვა: „რა უბედურეკია ჩემი ცხოვრება, ცოლებისაგან უარყოფილ ქმრებს ვემსგავსები. ყოველ ცოლ-ქმარს შურით შევყურებ, როცა თავის ნაშიერს ჰკოცნიან და ეფერებიან, ალბათ ასეთი გრძნობა აქვს ჩემს მდგომარეობაში მყოფ ყველა ქმარს“...

ამ ფიქრებმა უფრო ამიმღვრიეს სული და ჩემთვის აუტანელი გახადეს დედობრივი სიყვარულის გამოვლინების ამაღელვებელი იმ სურათის ცქერა, რის მოწმეც ესესაა გავხდი. უცებ მასპინძლებისთვის სრულიად მოულოდნელად უხეშად გამოვთქვი წასვლის სურვილი. პაზეტი კბილებში ჩიბუხგაჩრილი გამომყვა კარებამდე.

ჩემმა აჩქარებამ ცოტა არ იყოს გააკვირვა და გაანაწყენა პაზეტის მეუღლე. ალბათ ეგონა, დედაშვილობის მადლი ჩემი სულის უნაზეს სიმებს შეეხებოდა და გულს ამიჩუყებდა

თავი მეშვიდე

მეორე სცენარზე მუშაობას ოთხ საათზე ვიწყებდი. ჯერ კიდევ მთელი საათნახევარი მქონდა დრო. ქუჩაში რომ გავედი, ანგარიშმიუცემლად გავემართე სახლისაკენ, ვიცოდი, ემილია შინ არ იქნებოდა, რადგან საღილად დედასთან უნდა წასულიყო, მაგრამ ისე მქონდა სული აფორიაქებული, რომ ამის დაჯერება არ მინდოდა. რატომღაც გული მიმიწევდა [illegible] ვგრძნობდი, ემილიამ იცრუა, თუ მართალი იცრუა-მეთქი, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — მაშინ მთელს გამბედაობას მოვიკრებ, დავსვამ და ვთხოვ, გულახდილად მითხრას ყველაფერი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირკვას ის, რაც ასე დიდი ხანია მაწვალებს.

ჩემთვის ნათელი იყო, ამ საუბარს უნდა გაერკვია არა მარტო ჩემი ურთიერთობა ემილიასთან, არამედ სამსახურის ბედიც. ახლა სხვა გზა არ მქონდა. ამდენი უბადრუკი და ამაო ცდის შემდეგ ვგრძნობდი, ძალა ალარ შემწევდა კვლავ მეთვალთმაქცა საკუთარ თავთან, თვალი მომეხუჭა ყველაფერზე. ათასჯერ მერჩია ბოლო მოღებოდა ამ ორჭოფულ მდგომარეობას, რაც დღითი დღე აუტანელი ხდებოდა ჩემთვის. შესაძლოა ამ საუბრის მერე ემილიას დავშორდე და ბატისტას მიერ შემოთავაზებულ მეორე სცენარზეც უარი ვთქვა. მით უკეთესი. სიმართლე რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს, მაინც ჯობს ამ ბუნდოვანებას, გაურკვევლობას, დამამცირებელ სიცრუესა და საკუთარი საცოდაობის ცქერას.

ჩემს ქუჩას რომ მივაღწიე, კვლავ ყოყმანი დამეუფლა: რა თქმა უნდა, ემილია სახლში არ იქნება. ისედაც უცხოსავით ვიყავი ამ ახალ ბინაში და ფიქრებით დამძიმებულმა მთლად მტრული თვალითაც შევხედე ფანჯრებს. იმ ოთახებში ხომ უფრო მარტოხელად და უბედურად ვიგრძნობ თავს, ვიდრე სხვა ადგილას.

ის იყო გადავწყვიტე, მახლობელ კაფეში შევალ და იქ გავატარებ ამ საათ-ნახევარს-მეთქი, რომ ჩემს მეხსიერებაში უცებ ამოტივტივდა წინა დღის დანაპირები — ბატისტას ვუთხარი, ამ დროს სახლში ვიქნები და ტელეფონით დამიკავშირდი-მეთქი. უნდა შევთანხმებულიყავით მომავალ შეხვედრაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი საბაბი იყო. ბატისტა საბოლოოდ უნდა მომლაპარაკებოდა ახალ სცენარზე, რეჟისორთანაც წარვედგინე.

კარგად მახსოვს, ბატისტას დაბეჯითებით ვუთხარი — ამ დროს ყოველთვის სახლში ვარ-მეთქი. რა თქმა უნდა, შემეძლო თვითონ დამერეკა კაფედან, მაგრამ ჯერ ერთი არა მგონია იგი ამ დროს სახლში ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცოდი მისი ჩვეულება — რესტორანში სადილობდა ხოლმე, მეორეც — არ ვიცი რატომ, ფიქრებაშლილი საბაბს ვეძებდი, სახლში მივსულიყავი და აი, საბაბიც ნაპოვნი იყო: ბატისტას უნდა დაერეკა.

ლიფტისკენ გავეშურე, შევედი, კარი მჭიდროდ მივიხურე და თითი უკანასკნელი სართულის მაჩვენებელ ღილაკს დავაჭირე. მაგრამ როცა ლიფტი ჩემს სართულზე გაჩერდა, უცებ გადავიფიქრე. სახლში დაბრუნებას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ჯერ თვითონაც არ ვიცოდი ზუსტად, მივიღებდი თუ არა ბატისტას წინადადებას. ყველაფერი ემილიაზე იყო დამოკიდებული. თუ გამომიტყდებოდა და გულწრფელად მეტყოდა, აღარ მიყვარხარო, მაშინ მარტო ამ სცენარზე კი არა, — მტკიცედ მქონდა გა-

დაწყვეტილი, — საერთოდ ხელი ამეღო სცენარებზე. ჩემს ცხოვრებაში ახლოსაც არ გავკარებოდი კინოს.

ემილია ახლა სახლში არ იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატისტას ვერაფერს ვეტყვი გადაწყვეტილად და სცენარზეც ვერ ვილაპარაკებთ, რომ დავთანხმდე და მერე გადავთქვა — ეს ჩემი მხრიდან დიდი უგუნურება და სასულელე იქნება, ამის გაფიქრებამაც კი შემზარა და ლამის ისტერიულ სიშმაგემდე მიმიყვანა. ლიფტი გავაჩერე და კვლავ პირველი სართულისკენ დავეშვი. უმჯობესია ბატისტამ დარეკოს და სახლში არ დავხვდე. ჯერ ემილიას მოველაპარაკები ამ საღამოსვე, ხვალ კი ბატისტას გადაწყვეტილ პასუხს ვეტყვიმეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

ამასობაში ლიფტი ნელ-ნელა ეშვებოდა და მის გაკრიალებულ ფანჯრებში ერთმანეთის მიყოლებით მოჩანდნენ სართულები და მეც ისეთი თვალებით შევცქეროდი მათ, როგორც ალბათ თევზი შეაცქერდებოდა წყლის დონის დაკლებას აქვარიუმში.

ლიფტი პირველ სართულზე გაჩერდა და ის იყო კარის გაღება დავაპირე, რომ მოულოდნელმა ახალმა აზრმა გამიელვა: მართალია, ემილიაზეა დამოკიდებული ჩემი ახალი სამუშაოს ბედი, მაგრამ ხომ შეიძლება ამ საღამოს ემილიამ თავის სიყვარულში დამარწმუნოს-მეთქი. ბატისტასაც შინ რომ არ დავხვდები, იქნებ გაწყრეს და სამუშაო სულ დავკარგო? გამოცდილებით ვიცი, პროდიუსერები, პატარა ტირანებისა არ იყოს, ჭირვეულები არიან. მეტი კი არ უნდა, ადგება და სხვა სცენარისტს მოძებნის.

ამ ფიქრებმა ელვის სისწრაფით გამიელვეს ამღვრეულ გონებაში და უფრო მწვავედ მაგრძნობინეს ჩემი შავბნელი მდგომარეობა: „ნამდვილად საცოდავი ხარ, — ვეუბნებოდი თავს, — ისე გაქვს თავგზა აბნეული, თვითონაც არ იცი, რა გინდა. ხან სიყვარულს მისდევ, ხან ფულს, არჩევანისა და გადაწყვეტის უნარი კი არა გაქვს". ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიდგებოდი ლიფტში ასე გაოგნებული, მოულოდნელად ნავაჭრით დატვირთული ახალგაზრდა ქალს რომ არ გაეღო ლიფტის კარი.

ჩემს დანახვას არ ელოდა და შეშინებულმა წამოიყვირა. როცა შიშმა გაუარა და გონს მოეგო, ლიფტში შემოვიდა და მკითხა, რომელ სართულზე მიბრძანდებითო. მე ვუპასუხე.

— მე მეორე სართულზე ვცხოვრობ, — თქვა მან და ღილაკს თითი დაეჭირა. ლიფტი კვლავ ზემოთკენ დაიძრა.

ჩემს სართულზე რომ აღმოვჩნდი, თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ, ჩემდა უნებურად, მწარე ფიქრმა გულში მაინც გამკენწლა: „რა ხდება ჩემს თავს, ხალხს ვაშინებ. რას მოვესწარი".

ამ ფიქრებში გართული სახლში მივედი, კარი ჩავკეტე და სასტუმრო ოთახისაკენ გავეშურე.

დივანზე საშინაო ხალათში გამოწყობილი ემილია იწვა და ჟურნალს კითხულობდა. იქვე, პატარა მაგიდაზე, ჭუჭყიანი თეფშები ეწყო, მაშასადამე, ემილია სახლიდან არსად გასულა. დედასთან არ უსადილია. ერთი სიტყვით, მომატყუა.

ალბათ ძალზე საშინელი სახე მქონდა ,რადგან ემილიამ გაოცებულმა მკითხა:

— რა დაგემართა?.. შეგემთხვა რამე?..

— შენ ხომ დედაშენთან უნდა გესადილა? — გაბაწამები ხმით ვკითხე,— რატომ ხარ სახლში? ხომ მითხარი, სადილად დედასთან მივდივარო?!

— შენ რომ გელაპარაკე, მერე დედაჩემმაც დარეკა და მითხრა, დღეს არ მოხვიდეო, — მიპასუხა ემილიამ წყნარად და აუღელვებლად.

— რატომ არ გადმომირეკე?

— დედაჩემმა გვიან დარეკა. მეგონა, უკვე აღარ იქნებოდი პაზეტებთან.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ დავასკვენი, ემილიასთან ... და რაკი ამას ვერ დავუმტკიცებდი ვერც საკუთარ თავსა და ვერც იმას, ამიტომ დუმილი ვამჯობინე და იქვე დივანზე ჩამოვჯექი.

ცოტა ხნის შემდეგ, ისე რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ჟურნალს ფურცლავდა, მკითხა;

— შენ სად იყავი?

— პაზეტებმა მიმიპატიჟეს სადილად.

სწორედ ამ დროს გვერდით ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. „ნამდვილად პატისტაა... ჰოდა, ვეტყვი, გადავწყვიტე უარი ვთქვა ახალ სცენარზე-მეთქი... ეშმაკმა წაიღოს ყველაფერი.. ამას რა ბევრი მტკიცება ჭირდება, ამ ქალს იოტისოდენადაც არ ვუყვარვარ".

ემილიამ მისთვის ჩვეული გულგრილობით მითხრა:

— წადი ნახე, ვინაა, ნამდვილად შენ გირეკავენ.

დივანიდან ავდექი და მეორე ოთახში გავედი.

ტელეფონი საწოლთან, პატარა მაგიდაზე იდგა. სანამ ყურმილს ავიღებდი, უნებურად საწოლისაკენ გამექცა თვალი. სასთუმალთან მხოლოდ ერთი ბალიში იდო ყენტად. გული ტკივილით შემეკუმშა და კიდევ უფრო მტკიცედ გადავწყვიტე პატისტასათვის უარი მეთქვა. ბატისტას ნაცვლად ყურმილში ჩემი სიდედრის ხმა შემომესმა,

— რიკარდო, ემილია სახლშია?

დაუფიქრებლად ვუპასუხე:

— არ არის... ისე თქვა, დედასთან მიედივარ სადილად... წავიდა.... მეგონა, თქვენთან იქნებოდა...

— კი მაგრამ, მე ხომ დავურეკე, დღეს არ მოხვიდე-მეთქი, ჩემი მოახლე ისვენებს დღეს! — მიპასუხა განცვიფრებულმა.

იმ წუთში თავი ავწიე და ლიად დარჩენილი კარიდან დივანზე წამოწოლილი ემილია დავინახე. იგი დაკინებით შემომცქეროდა. თვალებში გაოცების ნაცვლად სიცივე და სიძულვილი ედგა. მივხვდი, ჩვენ ორში, ვინც ტყუილი იკადრა, მე ვიყავი, მან კარგად იცოდა, რა მიზეზითაც ვთქვი ტყუილი, კიდევ რაღაც წავიბუტბუტე, სიდედრს დავემშვიდობე და მოულოდნელად წამოვიძახე:

— არა, მოითმინეთ... ემილია ეს-ეს არის შემოვიდა... ახლავე დაგალაპარაკებთ! — ემილიას ხელით ვანიშნე, ტელეფონთან მოდი-მეთქი.

დივანიდან ისე ადგა, ჩემთვის არც კი შემოუხედავს. ყურმილი აიღო. მე სასტუმრო ოთახისაკენ გავემართე. ემილიამ მოუთმენლად მანიშნა ხელით, კარი გაიხურეო, ისეც მოვიქეცი. შეშფოთებული და აფორიაქებული ჩამოვჯექი დივანზე და დაველოდე.

ემილია დიდხანს ლაპარაკობდა. ლოდინისაგან გულგადალეულს მეჩვენებოდა, რომ ამას განზრახ აკეთებდა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, დედასთან ყოველთვის დიდხანს საუბრობდა ხოლმე. ემილიას უდიდოდ გაძლება

არ შეეძლო. ჩემი სიდედრი რაც დაქვრივდა, მარტო ცხოვრობდა, ემილიას მეტი არავინ ჰყავდა. მე მგონი, ემილია არაფერს უმალავს დედამისს.

ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და ემილია გამოჩნდა. სუნთქვაშეკრული, გაუნძრევლად ვიჯექი დივანზე. სახეზე ეტყობოდა, ძალიან გაბრაზებული იყო ჩემზე.

— შენ რა, გაგიჟდი? — მკითხა მაშინვე, თან მაგიდიდან თეფშების აღებას მოჰყვა. — რაში დაგჭირდა დედაჩემისთვის გეთქვა, სახლში არ არის-ო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა ცივმა კილომ ისე გამაოგნა, სიტყვა ვერ დავძარი.

— გინდოდა გაგეგო, სიმართლე გითხარი თუ არა? — განაგრძო მან. — გინდოდა დარწმუნებულიყავი, რომ დედაჩემმა ნამდვილად უარი მითხრა თუ არა?

როგორც იქნა, გაჭირვებით ამოვილუღლუღე:

— შესაძლოა მაგიტომ...

— იცი რას გეტყვი, ძალიან გთხოვ, სხვა დროს ასეთი რამ აღარ გაიმეორო.. მე ყოველთვის სიმართლეს გეუბნები... თანაც არაფერი მაქვს დასამალი. ეგეთი საქციელი კი მძულს.

ეს სიტყვები მეტისმეტად ხაზგასმულად წარმოთქვა და თეფშებიანი ლანგრით ხელში ოთახიდან გავიდა.

მარტო რომ დავრჩი, ერთი წუთით თითქოს რაღაცნაირი მწარე კმაყოფილება ვიგრძენი. საეჭვო აღარაფერი იყო. ემილიას არ ვუყვარდი.

ეს ყველაფერი ჩემთვის ნეტარ დროს, ჩვენი ქორწინების პირველ წელიწადს რომ მომხდარიყო, რა თქმა უნდა, ასე არ დამელაპარაკებოდა; ნაზად და მოჩვენებითი გაკვირვებით მკითხავდა:

— ეგ როგორ გაიფიქრე, რომ მოგატყუებდი? — შემდეგ კი ამ ბავშვური საქციელის გამო დამცინებდა და ბოლოს მაგრძნობინებდა კიდეც, რომ სიამოვნებდა ჩემი ეჭვიანობა. „ეჭვიანობ? განა არ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ?" მერე დედობრივად მაკოცებდა, გრძელ თითებს შუბლზე გადამისვამდა, აქაოდა, თავიდან ამოიგდე ასეთი ფიქრებიო. თუმცა წინათ აზრადაც არ მომივიდოდა, ეჭვი შემპარვოდა ემილიას საქციელში, არ მერწმუნა მისი სიტყვები.

ყველაფერი შეიცვალა: მისი სიყვარულიც და ჩემი სიყვარულიც. ვატყობ, უარესს უნდა ველოდო.

მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს მაშინაც კი, როცა სანუგეშო თითქოს აღარაფერია: ემილიამ თავისი საქციელით დამარწმუნა, რომ აღარ ვუყვარვარ. და მაინც ვეჭვობდი, უფრო სწორად, თავს იმით ვიიმედებდი, უმნიშვნელო შემთხვევა გავაზვიადე-მეთქი.

„აჩქარება არას გვარგებს, ვეუბნებოდი თავს. — ემილია თვითონ გეტყვის, აღარ მიყვარხარო. მხოლოდ ემილიას შეუძლია შენი დარწმუნება, შენ ხომ ჯერ არავითარი საბუთი არა გაქვს ხელთ..."

ეს ფიქრები ელვის სისწრაფით მიელავდნენ თავში. დივანზე ვიჯექი და თვალები სიცარიელისთვის მიმეშტერებინა. მერე კარი გაიღო და ემილია შემოვიდა, ჩემ უკან ჩაჯდა სავარძელში და ჟურნალი აიღო. მისკენ არ მივბრუნებულვარ, ისე ვთქვი:

— სადაცაა ბატისტა დამირეკავს, ახალი სცენარი უნდა შემომთავაზოს... სერიოზული სცენარი...

— მერე, კმაყოფილი ხარ? — მომესმა მისი მშვიდი ხმა.

— ამ სცენარში საკმაო ფულს მომცემენ... ყოველ შემთხვევაში, იმდენს, ბინის ორი შესატანი რომ გადავიხადო.

ამჯერად არაფერი უთქვამს, მე განვაგრძე:

— გარდა ამისა, ეს სცენარი ჩემთვის სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. თუ გავაკეთებ, მომავალში სხვასაც შემომთავაზებენ. ლაბარაკია დიდ ფილმზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, როგორც იქნა, უგულისყუროდ მკითხა, ოლონდ ჟურნალიდან თავი არ აუღია:

— რა ფილმია?

— არ ვიცი. — ვუპასუხე.

ცოტა ხანს ვიყუჩე, შემდეგ კი მაღალფარდოვნად, საზეიმოდ წარმოვთქვი:

— მაგრამ გადავწყვიტე უარი ვთქვა ამ სამუშაოზე.

— რატომ?

მისი ხმა ჩვეულებისამებრ წყნარი და აუღელვებელი იყო.

ავდექი, დივანს შემოვუარე და ემილიას პირისპირ დავჯექი. ხელში კვლავ ჟურნალი ეჭირა. დივანზე მის წინ ჩამომჯდარი რომ დამინახა, გვერდზე გადადო და შემომხედა.

— იმიტომ, რომ — ვთქვი გულწრფელად, — ძალიან კარგად იცი, ჭირივით მძულს ეს სამუშაო და თუ ვაკეთებ, ამას მხოლოდ შენი სიყვარულისათვის ვაკეთებ... იმისთვის ვაკეთებ, რომ ბინის ფული გადავიხადო, ბინისა, შენთვის რომ ასე ძვირფასია, ან, ყოველ შემთხვევაში, თავს მაჩვენებ, ძვირფასიაო... მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცი, აღარ გიყვარვარ... სხვა დანარჩენი კი აღარაფრად მესაჭიროება.

ემილია ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

— აღარ გიყვარვარ, — განვაგრძე. — დღეიდან ამ სამუშაოს ხელსაც არ ვახლებ. რაც შეეხება სახლს, დავაგირავებ, ან გავყიდი... მოკლედ, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია და, მგონი, დადგა დრო, ეს გითხრა... ახლა შენ ყველაფერი იცი... სადაცაა ბატისტაც დარეკავს, ჯანდაბას მისი თავი, უარს ვეტყვი.

მე ჩემი ვთქვი. ახლა დადგა ნანატრი წუთი მისთვის მომესმინა, წუთი, რასაც ასე დიდი ხანია მოუთმენლად ველოდი, რისიც ასე მეშინოდა. ჩემი სათქმელი რომ დავამთავრე, შვება ვიგრძენი, თავისუფლად ამოვისუნთქე და პასუხის მოლოდინში მოულოდნელი გამბედაობით შევხედე ემილიას. სანამ რამეს მიპასუხებდა, ცოტა ხანს იყუჩა.

მისთვის, რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო ჩემი უკმეხი სიტყვები და დრო რომ მოეგო, შორიდან დამიწყო:

— რამ გაფიქრებინა, რომ აღარ მიყვარხარ?

— ყველაფერმა. — მივუგე აგზნებულმა.

— მაგალითად?

— ჯერ მითხარი, ეს ყველაფერი მართალია თუ არა?

ემილიამ ჯიუტად გაიმეორა:

— ჯერ შენ მითხარი, ეგ რამ გაფიქრებინა?!

— ყველაფერმა! — კვლავ წარმოვთქვი. — იმან, როგორ მელაპარაკები, როგორ მიყურებ, როგორ მექცევი... ყველაფერმა... ერთი თვის წინ კი ცალკე წოლაც მოისურვე... წინათ ასე როდი იყო...

ემილია დიდხანს ყოყმანობდა პასუხის გაცემას. უცებ მის თვალებში სხივმა გაიელვა და მიბვდი, რაღაც მოისაზრა. სწორედ ამ წუთში გადაწყვიტა როგორ მოიქცეს. და რაც არ უნდა ვუთხრა და რაც არ უნდა მოვინდომო, ამ გადაწყვეტილებას იგი არ გადაუვა.

ემილიამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და ტკბილად მითხრა:

— გარწმუნებ, შემიძლია დავიფიცო კიდეც... როცა ოთახში ფანჯრები ღიაა, ვერ ვიძინებ... სიბნელე და სიმყუდროვე მიყვარს... გეფიცებიან

— მე ხომ გითხარი, დავკეტოთ-მეთქი ფანჯრები?

— კიდევ იცი რა?.. — ყოყმანით დაიწყო მან. — მშვიდი ძილი არ იცი...

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა?

— ხვრინავ... — ოდნავ გაიღიმა და განაგრძო, — ყოველღამე მაღვიძებდი... ცალკე წოლა ამიტომაც გადავწყვიტე.

მისმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს, შემაცბუნა.

ვერაფრით ვერ დავიჯერებ. სხვა ქალებთანაც მიძინია, მაგრამ არც ერთს არ უთქვამს, ხვრინავო.

— შენ არ გიყვარვარ. — ვთქვი მე — ...იმიტომ, რომ როცა ცოლს ქმარი უყვარს... — შემოცხვა წინადადების დამთავრება და გავჩუმდი, შესაფერის სიტყვებს დავუწყე ძებნა. — ცოლქმრულ ურთიერთობაში ისე არ იქცევა, როგორც შენ იქცევი ეს რამდენიმე ხანია...

ემილიამ იფეთქა, გაღიზიანება დაეტყო:

— ნამდვილად ვერ გამიგია, რა გინდა. როცა კი მოისურვებ, ყოველთვის შენი ვარ... ოდის ყოფილა, უარი მეთქვას.

როცა მსგავს თემაზე ჩამოვაგდებდით ხოლმე საუბარს, ჩვენ ორში მხოლოდ მე მოცხვენოდა. საკვირველი იყო, ბუნებით მოკრძალებული და ლამის მორცხვი ემილია ინტიმური სიახლოვისას არავითარ რიდსა და სირცხვილს არ გრძნობდა. ამიტომ მოცებდა და მიზიდავდა კიდეც, მისი ასეთი უშუალობა. გულუბრყვილობამდე დასული სითამამე, მოურიდებლობა, პირდაპირობა. წავილუღლუღე:

— არა, უარი არ გითქვამს, მაგრამ...

ემილიამ წინადადების დამთავრება არ დამაცალა და განაგრძო:

— როცა კი მოგისურვებია, ყოველთვის დაგნებებივარ... შენ იმ მამაკაცებს არ მიეკუთვნები, ასეთი სიახლოვე რომ აკმაყოფილებთ მხოლოდ. შენ სიყვარული შეგიძლია...

— მართლა ასეა? — ვკითხე ცოტა არ იყოს ქათინაურით ნასიამოვნებმა.

— ჰო. — თქვა მან მშრალად, ჩემთვის არც შემოუხედავს, — მაგრამ რომ არ მიყვარდე, მარტო ეს შენი სიყვარული მომაბეზრებდა თავს.. ქალს ყოველთვის შეუძლია საბაბი მონახოს უარისათვის. ხომ მართალია?

— ჰო. — ვთქვი, — ეგ მართალია, უარი არასოდეს არ გითქვამს, მაგრამ ჩემს სიყვარულს შენ ისე არ იღებდი როგორც მოსიყვარულე ცოლს შეეფერება.

— მაშ როგორ, საინტერესოა!...

უნდა მეპასუხა: „როგორ და მეძავივით, რომელიც აუღელვებლად ემორჩილება მუშტარს და მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ყველაფერი.. აი, როგორ..." მაგრამ მისი და საკუთარი თავის პატივისათვის კვლავ გაჩუმება ვამჯობინე.

კიდეც რომ მეთქვა, რა გამოვიდოდა აქედან? — არაფერი. მიპასუხებდა,

მართალი არა ხარო, და გაშიშვლებული ტექნიკური სიზუსტით უსიცოცხლოდ გამახსენებდა თავის არაერთ ენებიან აღტყინებას, რომელშიც გამოცდილებაც იგრძნობოდა, წუთიერი სიამოვნებისაკენ ლტოლვაც და ეროტიკული, ცეცხლოვანი სიშმაგეც. ყველაფერი — სინაზისა და თვალთმაქცობაში გადასული ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა. მივხვდი, რომ ემილიასთან ლაპარაკმა, რასაც ასე დიდი ხანია ველოდი, არავითარი სხივი არ მოჰფინა ჩვენს ურთიერთობას, და სასოწარკვეთილი ვიყავი.

— ერთი სიტყვით, რაც არ უნდა თქვა, დარწმუნებული ვარ, აღარ გიყვარვარ, მორჩა და გათავდა.

სანამ მიპასუხებდა, ყურადღებით შემომხედა, ეტყობა, ჩემს სახეზე უნდოდა ამოეკითხა, როგორ მოქცეულიყო, თავი როგორ დაეჭირა. უნდა ითქვას, შემჩნეული მქონდა მისი ერთი თვისება: როცა რამეზე ყოყმანობდა, როცა რაღაცა უნდა გაეკეთებინა, თავისი რწმენის საწინააღმდეგო, შავგვრემანი, მშვენიერი ,სიმეტრიული სახე მთლად ეცვლებოდა: ერთი ლოყა ჩამოუვარდებოდა, ტუჩები მოელრიცებოდა, სახის პროპორცია ერღვეოდა; ხოლო დაბნეული, ჩამქრალი, უსხივო თვალები ისე ჩაეკარგებოდა ხოლმე ღრმად, თითქოს დაულუქიათო.

ასე იყო ყოველთვის, როცა თავისი სურვილის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ან რის გაკეთებაც გულით არ უნდოდა და იძულებული კი იყო გაეკეთებინა. უცებ გრძნობამორეულმა ხელები კისერზე შემომაჭდო:

— რიკარდო, რატომ მეუბნები მაგას, მე ხომ მიყვარხარ.. წინანდებურად მიყვარხარ, არც მეტად, არც ნაკლებად...

ემილიას სიტყვებში სიყალბე შევამჩნიე. ყურთან მისი ცხელი სუნთქვა ვიგრძენი. შემდეგ ხელი გადამისვა შუბლზე, საფეთქლებზე, თან მკლავებში მომწყვდეულ ჩემს თავს მთელი ძალით იკრავდა მკერდზე.

უცებ გონებაში გამიელვა: ასე იმიტომ მეხვევა, რომ უნდა სახე არ დამანახოს, ალბათ ამ წუთში შეშფოთებული და შეწუხებული აქვს სახე იმ ადამიანივით, ვინაც იძულებულია თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცეს.

მის ალერსს მოწყურებული ნახევრად შიშველ მკერდს მივეკარი, მაგრამ თავში მაინც რაღაც ეშმაკი შემიჯდა და უცნაური ფიქრი ამეკვიატა: ეს ყველაფერი მოჩვენებითია, არ შეიძლება თავი არ გასცეს, კილოზე არ დაეტყოს, რაღაც სიტყვა არ დასცდეს.

ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია, ცოტა ხნის შემდეგ მომესმა მისი ფრთხილი, შემპარავი კითხვა:

— რას იზამდი, რიკარდო, მართლა რომ გადამეყვარებიე?

„აჰა, გამართლდა ჩემი ეჭვი. — გავიფიქრე სიმწარენარევი აღტაცებით. — თავი გასცა. აინტერესებს, როგორ მოვიქცევი, როცა გავიგებ, რომ აღარ ვუყვარვარ. სურს წინასწარ ასწონ-დასწონოს, რა ფასად დაუჯდება ეს გაბედულება და სიმართლის თქმა".

არ შევრხეულვარ, ისე ჩავილაპარაკე მის ტკბილ და თბილ მკერდზე მიკრულმა:

— მე უკვე გითხარი... პირველ ყოვლისა უარს ვეტყვი ბატისტას ახალ სცენარზე, — მინდოდა აქვე დამემატებინა — და შენც გაგშორდები-მეთქი, მაგრამ სახით მის მკერდზე მიკრულს ენა არ მომიბრუნდა ამის სათქმელად, თან მისი ხელი ჩემს შუბლს ეალერსებოდა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც

მქონდა იმედი, ემილიას ისევ ვუყვარდი და შემეშინდა, ეს ჩემი გადაწყვეტილება ემილიას რომ გავუმხილო, ვაითუ მართლა გავშორდეთ ერთმანეთს-მეთქი, ემილიამ უფრო ძლიერ მიმიზიდა თავისკენ, მკერდზე მიმიკრა და მითხრა:

— კი მაგრამ, მე ხომ მიყვარხარ.. რასაც შენ ფიქრობ, სისულელეა.. იცი რას გეტყვი? ბატისტა რომ დაგირეკავს, შეთანხმდით მომავალ შეხვედრაზე და აუცილებლად აიღე ახალი სცენარი.

— რატომ უნდა ვაკეთო არასასურველი სამუშაო, როცა ვხედავ, რომ გიყვარვარ! — წამოვიძახე გაავებულმა.

ამჯერად მან საყვედურით მიპასუხა:

— მიყვარხარ და ნუ მაიძულებ რამდენჯერმე გავიმეორო... მე მინდა ამ სახლში დავრჩე... თუ ეგ სამუშაო არ გიზიდავს, ძალას არ გატან.. მაგრამ თუ იმიტომ არ იღებ ახალ სცენარს, რომ ეჭვი გეპარება ჩემს სიყვარულში და არ გინდა ამ სახლში დავრჩე, იცოდე, ძალიან სცდები.

იმედის სხივმა ჩამანათა სულში. იმ წუთში მჯეროდა, ემილია არ ტყუოდა. ყოველ შემთხვევაში, შესძლო იმ დღეს მაინც დავეჯერებინე. უცებ მომინდა უფრო მეტის გაგება, მინდოდა ბოლომდე დავრწმუნებულიყავი ამ ბედნიერებაში. თითქოს ჩემი სურვილი ამოიკითხა, ემილიამ ხელი მიშვა და ჩამჩურჩულა:

— მაკოცე, გინდა?

ავდექი და სანამ ემილიას ვაკოცებდი, უცებ სახეზე შევხედე. მხოლოდ ახლა დავინახე იგი. სახეზე ისეთი დაღლილობა, მწუხარება და ენით გამოუთქმელი ტანჯვა ეხატა, რომ გავოგნდი. ასე მეგონა, ჩემთან საუბარმა და ხვევნა-ალერსმა დაღალა, ძალა წაართვა-მეთქი, ახლა კი იდგა და სასოწარკვეთილი ელოდა ჩემს კოცნას, როგორც უმძიმეს სასჯელს. ნიკაპზე ხელი მოვკიდე და საკოცნელად მოვიზიდე.

სწორედ ამ დროს ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ეს ბატისტაა, — დაუფარავი სიხარულით თქვა ემილიამ, ჩემი მკლავებიდან თავი გაინთავისუფლა და გვერდით ოთახში გაიქცა.

დივანზე ჩამოვჯექი და იქიდან ვხედავდი, როგორ აიღო ემილიამ ყურმილი და უპასუხა:

— დიახ, შინ არის, ახლავე დავუძახებ. როგორ ბრძანდებით?

ემილიამ კიდევ რამდენიმე სიტყვა თქვა.

ის ლაპარაკობდა, თან ხელით მანიშნებდა, ტელეფონთან მოდიო.

— სწორედ ახლა ვლაპარაკობდით თქვენს ახალ ფილმზე, — შემდეგ რაღაც გაურკვეველი ფრაზები მომესმა, ბოლოს წყნარად თქვა: — კი, მალე შევხვდებით... ახლა რიკარდოს ელაპარაკეთ.

ავდექი, ოთახში გავედი და ყურმილი ავიღე.

როგორც მოველოდი, ბატისტამ მითხრა, ხვალ შუადღისთვის ჩემთან მოდით სტუდიაშიო. შევპირდი, აუცილებლად მოვალ-მეთქი. კიდევ რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს და ყურმილი დავდე. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ემილია ოთახში არ იყო.

უცებ გამახსენდა, ემილია მხოლოდ მაშინ გავიდა ოთახიდან, როცა მოისმინა, ბატისტას სტუდიაში მისვლაზე რომ დავთანხმდი, ახლა აღარც მისი ალერსი მინდოდა და აღარც მისი აქ ყოფნა.

თავი მეოთხე

მეორე დღეს დანიშნულ დროს მივედი ბატისტასთან. მის ფირმას ანტიკური სასახლის მთელი პირველი სართული ეჭირა. სავარაუდოა, რომ წინათ ეს სასახლე პატრიციების რომელიღაც ოჯახს ეკუთვნოდა; ახლა კი იქ რამდენიმე სააქციო საზოგადოება მოკალათებულიყო:

ფრესკებით მოხატული ვრცელი დარბაზები ბატისტას ხის უბრალო ტიხრებით დაეყო პატარ-პატარა ოთახებად და უბრალო საკანცელარიო ავეჯით მოეწყო.

ოდესღაც ამ კედლებს წმინდანთა თუ მითოლოგიური სიუჟეტების ამსახველი ნახატები ამშვენებდა, ახლა კი მათი ადგილი ვეებერთელა და ჭუჭყიანი კინოაფიშებს დაეკავებინა. ერთი სიტყვით, აქ ნახავდით სხვადასხვა საილუსტრაციო ჟურნალებიდან ამოჭრილ მსახიობთა და კინოვარსკვლავთა ფოტოსურათებს, ფესტივალებზე მიღებულ ჩარჩოში ჩასმულ დიპლომებს, საპატიო სიგელებსა და სხვა მსგავს მოკაზმულობას, რაც ასე დამახასიათებელია ყველა კინოფირმისათვის.

მისაღებ ოთახში ფერწასული ფრესკების ფონზე, მთელ სიგრძეზე გასდევდა მწვანე ფერის ლითონის ბარიერი, რომლის იქით სამი თუ ოთხი მდივანი ქალი უფროსთან შესვლის მსურველებს იწერდა.

ბატისტა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროდიუსერი იყო. ბოლო ხანებში მან მართალია, მხატვრულად საშუალო ფილმები შექმნა, მაგრამ სამაგიეროდ, ფილმების შერჩევის გასაოცარი უნარი ჰქონდა და სწორედ ამ უნარს მოჰქონდა მისთვის სახელი და დიდი მოგება. მისი ფირმა, რომელსაც საკმაოდ „უპრეტენზიო" სახელი ერქვა — „ტრიუმფ-ფილმი", — ყველაზე მომგებიანი და წელმაგარი იყო. შეიძლება ითქვას, რომ იმ ხანებში ჰყვაოდა.

შუადღისთვის ბატისტას მისაღები ოთახი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. კინოში მიღებული გამოცდილება მეხმარებოდა უშეცდომოდ ამომეცნო მოსულები. აი, სცენარისტები, რომელთაც ადვილად იცნობდი მათი დაღლილი, მაგრამ მოჩვენებითი, უზრუნველი ადამიანის იერით, ჩაცმულობით, იღლიაში ამოჩრილი გატენილი საქაღალდეებით, სანუკვარი განძივით რომ ჩაებღუჯათ, აგერ ხანში შესული ადმინისტრატორი, რომელიც ფერმერს ან საქონლით მოვაჭრეს უფრო ჰგავდა, ვიდრე კინოში მომუშავეს. იქით ორი-სამი გოგონა იდგა. ის გოგოები ოცნებობდნენ, მსახიობები, ან უფრო სწორად, სტატისტები გამხდარიყვნენ . ჯერ კიდევ ახალგაზრდები და თითქმის მოხდენილები იყვნენ, მაგრამ კინოს ნაადრევად გაეფუჭებინა ისინი: არაბუნებრივი, დასწავლილი მიხრა-მოხრა, სახეც ზომაზე მეტად დათხაპნილი ჰქონდათ და ჭუჭყიანი, ყოველგვარ სისადავეს მოკლებული ტანსაცმელი ეცვათ.

აქ იყვნენ აგრეთვე უმუშევარი მსახიობები, უნიჭო სცენარისტები და ათასნაირი ჯურის მთხოვნელები. მათ ხშირად შევხვდებით კინოპროდიუსერთა მისაღებებში. ახლაც ზოგი ბოლთას სცემდა მოზაიკით დაფარულ ჭუჭყიან იატაკზე, ზოგიც კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ მოოქროვილ სკამებზე ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ, მოწყენილობისგან ამთქნარებდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

მდივანი ქალები თუ ტელეფონზე არ ლაპარაკობდნენ, უმოძრაოდ ისხდნენ ტიხარს იქით და მოწყენილობისაგან გამოფიტული, არაფრისმთქმელი, შუშის თვალები სიცარიელისთვის მიეშტერებინათ. ყოველ წუთს უსიამოვნოდ და გა-

მუდმივით რეკავდა ზარი. მის ხმაზე მდივანი ქალები კრთებოდნენ, შემდეგ რიგ-რიგობით იძახებდნენ მნახველებს. ისინიც თავის მხრივ, საკუთარი გვარის გაგონებაზე სწრაფად წამოხტებოდნენ და თეთრ, ოქროსფრად მოვარაყებული მოძრავი კარის უკან უჩინარდებოდნენ.

მდივან ქალს ჩემი გვარი და სახელი ჩავაწერინე და მოშორებით დავჯექი კუთხეში. გუშინდელივით დღესაც დამძიმებული მქონდა სული, მაგრამ შედარებით თითქოს უფრო დამშვიდებული ვიყავი. ემილიასთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, აღარ ვუყვარდი. ეჭვი არ მეპარებოდა, თვალთმაქცობდა, როცა ცდილობდა სიყვარულში დაეერწმუნებინე.

მაგრამ ამჯერად, — ერთი მხრივ იმიტომ, რომ ძალიან დავიღალე და მეორე მხრივ იმიტომ, რომ მინდოდა ემილიასთან ამ თემაზე საუბარი ბოლომდე მიმეყვანა და ყველაფერი გულახდილად ელიარებინა,—გადავწყვიტე ჯერ არაფერი მეღონა და ბატისტას ახალ სცენარზე უარი არ მეთქვა, თუმცა ვგრძნობდი, არავითარი მიზანი მას აღარ ექნებოდა, როგორც საერთოდ, მთელ ჩემს ცხოვრებას მომავალში. როგორც კი ემილიას სიმართლეს ვათქმევინებ, — განვაგრძობდი ფიქრს, — თავს მივანებებ სამუშაოს, ჯანდაბაში ჰქონია გზა ყველაფერს! აყალმაყალსა და ხმაურს მშვიდობიანი გზა ვარჩიე. თანაც სცენარზე უარის თქმა ჩემს ჯიბეს შეეტყობოდა, ეს კი უფრო გატეხდა ჩემს ნებისყოფას და გამიჭირდებოდა ამ საყოყმანო მდგომარეობისა და უაზრო კომპრომისებიდან თავის დაღწევა.

როგორც ზემოთ ვთქვი, თავს უფრო დამშვიდებულად ვგრძნობდი, მაგრამ ეს სიმშვიდე აპათიითა და გულგრილობით იყო გამოწვეული.

საერთოდ, ასეთ დროს იდუმალი უბედურების წინათგრძნობა მოუსვენარი მღელვარებით იპყრობს ადამიანს. სადღაც გულის სიღრმეში უკანასკნელ წუთამდე მჯეროდა, იქნებ არ გამართლდეს ჩემი ეჭვები. იმის შეგნება, რომ უბედურება არ აგცდება, რაღაცნაირი მტანჯველი სიმშვიდე გიპყრობს.

დამშვიდებული ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი დიდხანს არ გასტანდა ჩემი სიმშვიდე. პირველი საფეხური — ეჭვიანობის საფეხური — უკვე გავიარე. ახლა იგი მტანჯველ ფიქრებთან ჭიდილსა და ღრმა სინანულის საფეხურს უნდა შეეცვალა. კარგად ვიცოდი, ამ ორ საფეხურს შორის მხოლოდ დროებით იყო ჩამოვარდნილი ავის მომასწავებელი, სამარისებური სიჩუმე, როგორც ქარიშხლის წინ იცის ხოლმე.

სანამ ბატისტას გამოძახებას ველოდი, თავში ათასნაირი აზრი მიტრიალებდა. აქამდე მხოლოდ იმას ვფიქრობდი — ვუყვარდი თუ არა ემილიას. ახლა კი ჩემთვის თითქმის ყველაფერი ნათელი იყო. ამ ახალმა აღმოჩენამ მოულოდნელად გაანათა ჩემი გონების აქამდე ბნელი კუნჭული და ახალი კითხვა დაბადა. მაშასადამე, თუ ემილიას აღარ ვუყვარვარ, რა თქმა უნდა, ამის მიზეზიც ექნება. ეჭვი არ იყო, თუ ამ მიზეზს მივაგნებდი, ბევრად გამიადვილდებოდა, ემილიასთვის მართალი მეთქმევინებინა.

უნდა გამოვტყდე, ეს აზრი როგორც კი დამებადა, მაშინვე უარვყავი. რასაც ვფიქრობდი, ეს ხომ სრული უაზრობა იყო, დაუჯერებელი რამ!

არავითარი საბაბი არ შეიძლებოდა ჰქონოდა ემილიას, არ ვყვარებოდი. თვითონაც არ ვიცი რას ემყარებოდა ჩემი ასეთი თვითდაჯერება, ისევე როგორც არ შემეძლო ამეხსნა, რატომ არ უნდა ვყვარებოდი. მაგრამ ცხადი იყო. ემილიას აღარ ვუყვარდი.

გულსა და გონებას შორის ასეთმა წინააღმდეგობამ ერთი წუთით დამა-

ბნია. დაბოლოს, როგორც ამას გეომეტრიაში თეორემის დამტკიცებისას მიმართავენ ხოლმე, ჩემს თავს ვუთხარი: — ვთქვათ, არსებობს მიზეზი. რა შეიძლება იყოს ეს მიზეზი?

დაკვირვებული ვარ, როცა ადამიანი ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე დგას, გაურკვეველ მდგომარეობაშია, ცდილობს გონების ძალით მოჰფინოს ნათელი იმას, რაშიც გრძნობები უძლურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ასე ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მიტრიალებდა თავში, გადავწყვიტე, ლოგიკური ანალიზისათვის მიმემართა, როგორც ეს კრიმინალისტურ რომანებშია.

ვილაც მოკლეს. საჭიროა მიზეზის დადგენა. რისთვის მოკლეს, ?მიზეზის პოვნის შემდეგ ადვილია მკვლელის ვინაობის დადგენა... — მიზეზი ან ემილიასთან უნდა მეძებნა, ან ჩემთან.

რადგან ჩემის მხრივ ყოველგვარ მიზეზს გამოვრიცხავდი, მივხვდი, მიზეზი მხოლოდ ემილიასი უნდა ყოფილიყო. აქედან ასეთი დასკვნა გავაკეთე — ემილიას მე აღარ ვუყვარვარ, ესე იგი, უყვარს სხვა.

მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს ფიქრი, რადგან ბოლო ხანებში ემილიას საქციელში ვერაფერს ვამჩნევდი ისეთს, რაც ჩემს ჰიპოთეზას დაადასტურებდა. არაფერზე არ ეტყობოდა, რომ მის ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გაჩნდა, პირიქით, უფრო ჩაკეტილიც გახდა. თითქმის მთელი დღეები სახლში იჯდა, ან წიგნებს კითხულობდა, ან დედამისს ელაპარაკებოდა ტელეფონზე, ან რაღაცას საქმიანობდა. რაც შეეხება გართობას — კინოს, გასეირნებასა თუ ვახშამს რესტორანში, მუდამ ჩემთან იყო, მუდამ თან მახლდა. რა თქმა უნდა, ქორწინების პირველ წლებში უფრო მრავალფეროვანი იყო მისი ცხოვრება, უფრო მეტად ტრიალებდა ხალხში. მაშინ ჯერ კიდევ მეგობრობდა ქალიშვილობის ამხანაგებთან, მაგრამ ისინი ხელ-ნელა ჩამოშორდნენ და საბოლოოდ ისე ახლოს აღმოვჩნდი მასთან, რომ სადღაც შებორკილიც ვიყავი ასეთი დამოკიდებულების გამო. ეს დამოკიდებულება არც მაშინ შეცვლილა, როცა ემილიას ჩემზე გული გაუცივდა. იგი სულაც არ ცდილობდა ვინმეში გავეცვალე. ან თავის ცხოვრებიდან ჩემი არსებობა ამოეშალა და თუმცა აღარ ვუყვარდი, მაინც წინანდებურად ელოდა სამსახურიდან ჩემს დაბრუნებას და მისი პატარ-პატარა გართობანიც ჩემზე იყო დამოკიდებული. მის ასეთ უსიყვარულო ურთიერთობაში იყო რაღაც ამაღლებული და ნაღვლიანიც. იგი იმ ქალს ჰგავდა, ვისაც თავის მოწოდებად ქმრის უსაზღვრო ერთგულება გაუხდია და მაშინაც ერთგული რჩება, როცა ამისთვის ძალიან მცირე საფუძველი აქვს. ერთი სიტყვით, თუმცა აღარ ვუყვარდი, სხვა მამაკაცი მას ნამდვილად არ ჰყავდა ჩემ გარდა.

გარდა ამისა კიდევ ერთი მოსაზრება მკარნახობდა უკუმეგდო აზრი, თითქოს ემილია სხვა მამაკაცზე იყო შეყვარებული. კარგად ვიცნობდი მის ბუნებას. ემილიას ტყუილის თქმა არ შეეძლო. პირიქით, ზომაზე მეტად გულახდილიც იყო. ყოველგვარი ტყუილი მას არა მარტო სამარცხვინოდ, არამედ დამღლელ, მოსაბეზრებელ და მოსაწყენ საქმედ ეჩვენებოდა. ამასთან, მდიდარი ფანტაზიის უნარს მოკლებულს, არ შეძლო შეეთხზა და დამაჯერებლად ეცრუა იმაზე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.

რადგან მისი ბუნება კარგად ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, ემილია სხვა მამაკაცზე შეყვარებული რომ ყოფილიყო, უკეთესს ვერც მოიფიქრებდა, ადგებოდა და მისთვის ჩვეული უხეში გულახდილობით, სიმართლეს პირ-

ში მომახლიდა, რაც ასე დამახასიათებელია იმ მეშჩანურ წრისათვის, რომელსაც ის ეკუთვნოდა.

ემილიას შეეძლო ჩუმად და გულჩათხრობილად ეცხოვრა. სწორედ ასე ცხოვრობდა ახლა, რადგან აღარ ვუყვარდი. მაგრამ მისთვის მეტად ძნელი ექნებოდა — თუ საერთოდ შესაძლებელია — გაორებულად ეცხოვრა, ეთვალთმაქცა თავისი მრუშობის დასაფარავად. მაგალითად, მოეგონა მკერდგამოჭრილი სიარული, ნათესავების ან მეგობარი ქალების გვიან მონახულება, ან — თუ შინ გვიან მოვიდოდა, როგორც სჩვევიათ ხოლმე მსგავს შემთხვევებში ქალებს, თავი ემართლებინა, სპექტაკლი გვიან დამთავრდაო ან დაგვიანება ქალაქის ტრანსპორტისათვის გადაებრალებინა.

არა, მისი გულგრილობა ნამდვილად არ იყო სხვა მამაკაცის სიყვარულით გამოწვეული. ამრიგად, თუ მიზეზი არსებობდა, და შეუძლებელიცაა არ არსებულიყო, ამჯერად საკუთარ თავში უნდა მეძებნა.

ისე ვიყავი ამ ფიქრებში გართული, რომ დიდხანს ვერ შევამჩნიე მდივანი გოგონა, რომელიც ჩემ წინ იდგა და ღიმილით ალბათ მერამდენედ იმეორებდა:

— სინიორ მოლტენი, დოქტორი ბატისტა გელოდებათ.

უცებ გამოვერკვიე, დროებით შევწყვიტე ჩემი ძიება და აჩქარებით შევედი პროდიუსერის კაბინეტში. ბატისტა ჭერმოხატულ და ოქროსფრად მოვარაყებულ კედლებიან ფართო დარბაზში იჯდა ლითონის მწვანე საწერ მაგიდასთან, სწორედ ისეთთან, როგორიც მისაღებში იდგა.

თუმცა ბევრჯერ ვახსენე ბატისტა, აქამდე არ ამიწერია მისი გარეგნობა. ვფიქრობ, დროა ეს ახლა გავაკეთო.

ბატისტა ერთი იმ უფროსთაგანი იყო, ვისაც თანამშრომლები და ხელქვეითები ზურგსუკან ისეთი მომხიბლავი ეპითეტებით ამკობენ, როგორიც არის: „უშნო ცხოველი", „მაიმუნი", „პირუტყვი", „გორილა". თუმცა არ შეიძლება არ ვაღიარო ამ სახელების შემრქმევთა უდავო ნიჭი, პირადად მე არასოდეს მომსვლია აზრად მსგავსი ეპითეტები მეხმარა მის მიმართ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზედმეტი სახელების შერქმევა ჭირივით მძულს და უკადრისად მიმაჩნია, მეორეც იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ეს სახელები სრულიად არ ესადაგებოდა ბატისტას პიროვნებას, მის მტკიცე ხასიათს, განსაცვიფრებელ ეშმაკობას, უფრო სწორად, გაქნილობას, რაც მის გარეგნულ სიტლანქეში იმალებოდა. რა თქმა უნდა, ბატისტა მართლაც სქელკანიანი ცხოველი იყო, მაგრამ ცხოვრების შნო და მარიფათი კი დიდი ჰქონდა. უზარმაზარი სასიცოცხლო ძალა იგრძნობოდა არა მარტო ფულის შოვნის მის ზღაპრულ მადაში, არამედ მის საქმიანობაშიც. დაუცხრომლად ილტვოდა მიზნისაკენ, ფაქიზად და ზუსტად ასრულებდა ყველაფერს, რასაც სამსახური მოითხოვდა და წარმატებებსაც აღწევდა.

ბატისტა საშუალო ტანის კაცი იყო. ჰქონდა ზომაზე მეტად განიერი მხრები, ვიწრო თეძოები და მოკლე ფეხები, რითაც მართლაც ჰგავდა მაიმუნს და იმსახურებდა შერქმეულ ზედმეტ სახელს. სახეზე ჰქონდა რაღაც მაიმუნის მაგვარი: უკან გადავარცხნილი მეჩხერი თმა, დაბალი, გამელოტებული შუბლი, მოკლე და განიერი ცხვირი, მსხვილი, მოძრავი წარბები, მოუსვენარი წვრილი თვალები, დიდი, მაგრამ თითქმის უტუჩო და დანისპირივით თხელი პირი და ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი. მუცელი სულ არ ეტყობოდა, სამაგიეროდ მკერდი ჰქონდა წინ გამოშვერილი, დაკუნთული ხელები ჯაგარივით შავ თმას

დაეფარა, ერთხელ ზაფხულში ზღვაზე ყოფნისას შევამჩნიე, მხრებიც და მკერდიც ამ შავი ბალნით ჰქონდა დაფარული.

მაგრამ ასეთი ტლანქი გარეგნობის კაცი ლაპარაკობდა საოცრად ტკბილად, შემპარავად, დამაჯერებლად, დამრიგებლურად, ოდნავ უცხოური აქცენტით, — იგი ხომ არგენტინაში იყო დაბადებული. პირდაპირ მაჯადოებდა მისი ტკბილი ხმა, მისი ლაპარაკის მანერა, მაოცებდა ამ ხმის ასეთი არაბუნებრივი შეუსაბამობა გარეგნობასთან, მაგრამ აქაც ბატისტა [illegible] ბულობასა და ცბიერებას ვხედავდი.

ბატისტა მარტო არ იყო კაბინეტში. მის საწერ მაგიდასთან ვიღაც უცნობი მამაკაცი იჯდა. შესვლისთანავე გამაცნო, რეინგოლდიაო, ბევრი რამ გამეგო მასზე, მაგრამ ნახვით კი პირველად ვხედავდი.

რეინგოლდი გერმანელი კინორეჟისორი იყო. გერმანიაში დადგმული ჰქონდა არაერთი ფილმი, რომლებსაც თავის დროზე დიდი წარმატება ხვდათ წილად. რა თქმა უნდა, რეინგოლდი არ იყო ისეთი დიდი კინორეჟისორი როგორც პაბსტი ან ლანგი, მაგრამ იმ დროისათვის მაინც საკმაოდ ცნობილი გახლდათ. არასდროს მისდევდა სუფთა კომერციულ მოგებას, ჰქონდა გარკვეული ესთეტიკური მოსაზრებანი, თუმცა საკამათო, მაგრამ ყოველთვის სერიოზული და პრინციპული.

მას შემდეგ, რაც გერმანიაში ხელისუფლებას ჰიტლერი ჩაუდგა სათავეში, არავინ არაფერი იცოდა რეინგოლდზე. ამბობდნენ, ჰოლივუდში მუშაობსო, მაგრამ ბოლო წლებში არც ერთი მისი ფილმი არ გამოჩენილა იტალიის ეკრანებზე.

ახლა კი აგერ სულ უეცრად გამომეცხადა იგი პროდიუსერის კაბინეტში. სანამ ბატისტა ლაპარაკობდა, ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი რეინგოლდს. გინახავთ ოდესმე ძველ გრავიურაზე ამოკვეთილი გოეთეს სახე? დიახ, რეინგოლდს სწორედ ამ ოლიმპიელივით კეთილშობილი და მკაცრი სახე ჰქონდა. გოეთესავით მასაც თვალისმომჭრელად თეთრი თმის შარავანდედი მოსავდა. ერთი სიტყვით, გენიოსის თავი ჰქონდა.

მაგრამ ეს იყო პირველი შთაბეჭდილება. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა დაკვირვებით შევავლე თვალი მის სახეს, რატომღაც ის თვალშისაცემი კეთილშობილება და ბრწყინვალება ცოტა ხელოვნური მეჩვენა. მისი მსხვილნაკვთებიანი და რამდენადმე მოშვებული, ფოროვანი სახე მუყაოს ნიღაბს მოგაგონებდათ. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ამ ნიღბის ქვეშ არაფერი არ იყო, ისევე როგორც არაფერი არ იყო იმ დიდ თავებში, კარნავალებზე ქონდრის კაცები რომ ჩამოიმხობენ ხოლმე თავზე. რეინგოლდი ხელის ჩამოსართმევად წამოდგა. თავი ოდნავ დახარა, ხელი გამომიწოდა და სუფთა გერმანული მანერით ქუსლი ქუსლს შემოჰკრა. ახლა ისიც შევამჩნიე, რომ რეინგოლდი ტანდაბალი კაცი იყო, თუმცა განიერი მხრები წარმოსადეგ და დიდებულ შეხედულებას აძლევდა. ხელის ჩამორთმევისას მომხიბლავად, ნახევარმთვარისებურად გამიღიმა და გამოაჩინა ერთმანეთზე მიჯრილი, გასაოცრად თეთრი კბილები, რომლებიც, არ ვიცი, რატომ, ხელოვნური მომეჩვენა, მაგრამ დაჯდა თუ არა, სახეზე ღიმილი უკვალოდ გაუქრა, თითქოს მთვარეს ღრუბელი გადაეფარაო, და კვლავ მკაცრი, უსიამო მბრძანებლური და მომთხოვნი იერი მიიღო.

ბატისტამ, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკი შორიდან დაიწყო. რეინგოლდზე მანიშნა და თქვა:

— მე და რეინგოლდი ახლა კაპრზე ვლაპარაკობდით. მოლტენი, თქვენ იცნობთ კაპრს?

— ცოტათი. — ვუპასუხე.

— კაპრზე ვილა მაქვს, — განაგრძო ბატისტამ, — სწორედ ახლა ვეუბნებოდი რეინგოლდს, საოცრად წარმტაცი ადგილია-მეთქი კაპრი... ისეთი საქმიანი კაციც კი, როგორიც მე ვარ, შეიძლება იქ პოეტად იქცეს.

ეს ბატისტას ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფანდი იყო. [illegible] დაემტკიცებინა, როგორ აღიქვამდა ყველაფერ კარგს, მშვენ[illegible] ვებელს, კეთილშობილს — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც იდეალურს განეკუთვნება. ყველაზე მეტად მანცვიფრებდა ის, რომ ამ დროს ბატისტას ალტაცება გულწრფელი — თუმცა არც უმიზნო და უანგარო — მეჩვენებოდა.

თავისივე სიტყვებით გულაჩუყებულმა ბატისტამ ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— წარმოიდგინეთ თვალწარმტაცი ბუნება, განსაცვიფრებელი ზეცა, მუდამ ლურჯი ზღვა... ყვავილები, ყვავილები, საითაც გაიხედავ, ყველგან ყვავილები... მოლტენი, შენსავით მწერალი რომ ვიყო, სხვაგან ცხოვრებას არც ვისურვებდი. იქ ყველაფერია შთაგონებისათვის... საოცარია, მხატვრებს რატომ არ სურთ დახატონ კაპრის მომხიბლავი პეიზაჟები, მაშინ როცა რაღაც უცნაურ გაუგებარ სურათებს ხატავენ. კაპრზე, შეიძლება ითქვას, უკვე მზა ნახატებია, საკმარისია მიხვიდე და გადმოიღო...

არაფერი მითქვამს, მხოლოდ ქურდულად გავხედე რეინგოლდს, რომელიც მოწონების ნიშნად იქნევდა თავს. მის სახეზე აკიაფებული ღიმილი კვლავ ულრუბლო ცაზე მთვარის გამონათებას დამსგავსებოდა. ბატისტა კი განაგრძობდა:

— რამდენჯერ მინატრია, ერთი თვე მაინც გამეტარებინა კაპრზე-მეთქი, არაფერს გავაკეთებ, არაფერზე ვიფიქრებ-მეთქი, მაგრამ ვერასოდეს მოვიცალე. აქ, ქალაქში, არანორმალურად ვიტვირთავთ თავს, განა ესაა ცხოვრება?! ადამიანი სრულიად არ არის იმისთვის შექმნილი, საქაღალდეში ჩაფლულმა იცხოვროს კაბინეტში. კაპრელები კი ჩვენზე ბედნიერად გამოიყურებიან... საღამოობით, როდესაც ქალ-ვაჟნი ქუჩებში გამოეფინებიან ხოლმე, მათ შეხედვას არაფერი სჯობია. მოდიან მომღიმარნი, სიცოცხლით სავსენი, მშვიდნი, მოხდენილები, მხიარულები... და ასეთები იმიტომ არიან, რომ დიდს არაფერს მოითხოვენ ცხოვრებაში, პატარა მოთხოვნები, პატარა მისწრაფებები აქვთ... ეჰ, ბედნიერები ისინი არიან...

ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ ისევ განაგრძო:

— როგორც გითხარით, კაპრზე ვილა მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ჩასვლას ვერ ვახერხებ. რაც ეს ვილა ვიყიდე, ორი თვეც არ გამიტარებია იქ. სწორედ ახლა ვეუბნებოდი რეინგოლდს, ჩემი ვილა ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია სცენარზე სამუშაოდ-მეთქი... მომხიბლავი პეიზაჟი მუშაობის განწყობას შეგიქმნით, შემოქმედებითი ცეცხლით აგანთებთ, თანაც ეს პეიზაჟი მთლიანად ემთხვევა ფილმის სიუჟეტს-მეთქი...

— სინიორ ბატისტა, მუშაობა ყველგან შეიძლება... თუმცა შესაძლოა, კაპრიც შესაფერისი ადგილი იყოს ამისთვის, მით უმეტეს, თუ გადაღებები ნატურიდან ნეაპოლის ყურეში უნდა გავაკეთოთ, — თქვა რეინგოლდმა.

— სწორედ ეგრეა. რეინგოლდი ამბობს. სასტუმროში მირჩევნია ცხოვრებაო. რას იზამ, ასეთი ჩვეულება აქვს. თანაც მარტო მუშაობა ჰყვარებია.

ვფიქრობ, მოლტენი, ეს შენთვის უკეთესიცაა, შეგიძლია — ცოლთან ერთად იცხოვრო ჩემს ვილაში... ამით მეც მასიამოვნებ, ჩაკეტილი არ იქნება ვილა, ვინმე მაინც იცხოვრებს. იქ ყოველნაირად მოწყობილი ვილაა. მოსამსახურე ქალის შოვნაც არ გაგიჭირდებათ.

როგორც ყოველთვის, ახლაც ემილიაზე გავიფიქრე. ისიც გავიფიქრე, რომ კაპრზე ბრწყინვალე ვილაში ცხოვრება ბევრ რამეს შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობაში. სიმართლე რომ ვთქვა, თვითონაც არ ვიცი საიდან დამებადა ასეთი აზრი, რომ კაპრზე ცხოვრება ჩემთვის ყველაფერ თავსატეხ საკითხს საბოლოოდ გადაჭრიდა. ამიტომ დაუფიქრებლად მომადგა ენაზე გულწრფელი მადლობის სიტყვები:

— დიდად გმადლობთ, სინიორ ბატისტა. მეც ასე ვფიქრობ, კაპრი სწორედ შესაფერისი ადგილი იქნება სცენარზე სამუშაოდ... მე და ჩემი მეუღლე სიამოვნებით ვიცხოვრებთ თქვენს ვილაში.

— კეთილი, — თქვა ბატისტამ და ხელი ისე ასწია, თითქოს სურდა სიხარულით გამოწვეული ჩემი მადლობის სიტყვების ნაკადი შეეჩერებინა, რასაც მე სულაც აღარ ვაპირებდი.

— მაშ ასე, შევთანხმდით: თქვენ კაპრზე გაემგზავრებით, მე კი ხანდახან სტუმრად გეწვევით... ახლა კი დროა საქმეზე, ცოტა ფილმზეც ვილაპარაკოთ.

„ნამდვილად დროა", — გავიფიქრე და ყურადღებით შევაჩერდი ბატისტას. ახლა უკვე ვნანობდი, ასე რომ ავჩქარდი და უცებ დავეთანხმე ბატისტას მიპატიჟებას, არ ვიცი რატომ, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, ემილია ამ აჩქარებას არ მომიწონებდა. უნდა მეთქვა, ვნახოთ, მოვიფიქრებ, ცოლს მოველაპარაკები-მეთქი. ვერ მეპატიებია ჩემი თავისთვის, რა დაუფარავი აღტაცებით და მადლობით დავთანხმდი მის წინადადებას. უნდა ითქვას, ჩემი თანხმობა ახლა უადგილო და სასირცხვილოც კი მეჩვენებოდა.

— ყველანი იმ აზრისა ვართ, რომ კინოში რაღაც ახლის პოვნაა საჭირო... ომისშემდგომი პერიოდი დამთავრდა და უკვე ახალი ფორმულის შექმნის აუცილებლობა წამოიჭრა... ავიღოთ მაგალითისათვის, ნეორეალიზმი... ნეორეალისტურმა ფილმებმა ყველას თავი მოაბეზრა. თუ გავაანალიზებთ და აქედან გამომდინარე, დავაზუსტებთ იმ მიზეზებს, მაშინ იქნებ ამოვხსნათ, როგორი უნდა იყოს ახალი ფორმულა...

როგორც ზემოთ ვთქვი, ბატისტა ყოველთვის შორიდან მოვლას ამჯობინებდა, ის ცინიკოსი არ იყო, ყოველ შემთხვევაში ,ცდილობდა, არ ყოფილიყო. სხვა პროდიუსერებისგან განსხვავებით, ძალზე იშვიათად ლაპარაკობდა მოგებაზე. ფულის საკითხი არა მარტო აინტერესებდა, არამედ, შეიძლება ითქვას, სხვა კინოპროდიუსერებზე მეტადაც ანიჭებდა მნიშვნელობას, მაგრამ არასოდეს ლაპარაკობდა მასზე.

თუ ფილმის სიუჟეტი მომგებიანი არ ეჩვენებოდა, სხვა პროდიუსერებივით როდი იტყოდა ხოლმე, ამ სიუჟეტზე აგებული ფილმი ერთი ლირის მოგებასაც ვერ მოგვიტანსო, — ასეთ დროს ბატისტა ამბობდა, „ეს სიუჟეტი იმიტომ და ამიტომ არ მომწონს". განსაცვიფრებელი ის იყო, რომ მის მიერ დასახელებული მიზეზები ყოველთის ესთეტიკური და მორალური ხასიათისა იყო.

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ყველაფერს მოგება სწყვეტდა. მისთვის კინოხელოვნებაში — კარგსა და მშვენიერზე ბევრი ლაპარაკის

შემდეგ, რასაც მე ბატისტას „კვამლის ფარდას“ ვეძახდი, — მისი არჩევანი ბოლოს და ბოლოს მაინც მომგებიან ვარიანტზე ჩერდებოდა. ეს ფანდი ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო და ძალზე უგულისყუროდ ვუსმენდი, ტყუილად დროს დაკარგვად მიმაჩნდა ბატისტას გრძელი მსჯელობა კარგ და ცუდ, მორალურ და ამორალურ ფილმებზე, რაც არაერთხელ მომესმინა.

მოთმინებით ველოდი ხოლმე, როდის მივიდოდა დასკვნამდე. ეს უთუოდ ფილმის ფინანსური მხარე იქნებოდა. ამჯერადაც გავიგე, ნეორეალისტურ ფილმებს იმიტომ აძაგებს და ამბობს, ხალხს მობეზრდათ, რომ პროდიუსერებს მოგებას არ აძლევთ.. ვნახოთ, ახლა რას იტყვის... და მართლაც, ბატისტამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

— ჩემი აზრით, ნეორეალისტური ფილმები მაყურებელს იმიტომ მობეზრდა, რომ ჯანსაღი არ არიან.

ბატისტა გაჩერდა, მე რეინგოლდს გადავხედე. მას თვალიც არ დაუხამხამებია. ბატისტას ამ პაუზით ხაზი უნდოდა გაესვა სიტყვა „ჯანსაღისათვის“. შემდეგ კი განმარტა:

— როცა ვამბობ, ნეორეალისტური ფილმები ჯანსაღი არაა-მეთქი, იმას ვგულისხმობ, რომ ისინი მაყურებელს ვერ ამხნევებენ, არ უნერგავენ სიცოცხლის რწმენას... პირიქით, ნეორეალისტური ფილმები აბეჩავებენ მათ. პესიმისტურ განწყობილებას უქმნიან. გარდა ამისა, უცხოელთა გულის გასახარად, ამ ფილმებით იტალია წარმოდგენილია როგორც მათხოვართა და უპოვართა ქვეყანა, უცხოელებს კი ხელს აძლევთ ასეთი წარმოდგენა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, არის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც. ნეორეალისტურ ფილმებში გამოკვეთილად არის ნაჩვენები ცხოვრების უარყოფითი მხარეები, ყველაფერი მდაბალი, ჭუჭყიანი, არანორმალური... ერთი სიტყვით, არის პესიმისტური, უსარგებლო ფილმები, ისინი ხალხს წარამარა ახსენებენ ცხოვრებისეულ სიძნელეებზე, ნაცვლად იმისა, რომ მათ გადალახვაში დაეხმარონ.

ვუყურებდი ბატისტას და განცვიფრებული ვფიქრობდი: ნუთუ მართლა იმას ფიქრობს, რასაც ლაპარაკობს, თუ მხოლოდ თავს გვაჩვენებს? არადა, გულწრფელობაც კი ერია მის სიტყვებში. შესაძლოა, ეს იმ ადამიანის გულწრფელობას ჰგავდა, ვინც სიამოვნებით იჯერებს იმას, რაც მისთვის სასარგებლოა. ყოველ შემთხვევაში, ახლა იგი ნამდვილად გულწრფელი ჩანდა.

ბატისტამ განაგრძო მსჯელობა. ხმა რაღაც არაბუნებრივი ჰქონდა, თითქოს ლითონისებური მაშინაც კი, როცა ცდილობდა ალერსიანად ელაპარაკა:

— რეინგოლდმა ერთი წინადადება შემომთავაზა, რამაც, უნდა გამოვტყდე, ნამდვილად დამაინტერესა... ამ ბოლო ხანებში თურმე დიდი წარმატება აქვთ ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებულ ფილმებს... ეს ფილმები თურმე ბევრ მაყურებელს იზიდავენ...

ბატისტამ ეს ისე თქვა, სასხვათაშორისოდ, თითქოს ფრჩხილებში მოაქცია, თითქოს მხოლოდ ამბავი აღნიშნა, რომელსაც თვითონ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

— რატომ იზიდავენ? იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ბიბლია ერთადერთი ჯანსაღი წიგნია, რაც კი ოდესმე ქვეყნად შექმნილა... ჰოდა, რეინგოლდმა მითხრა: თუ ანგლოსაქსებს ბიბლია აქვთ, თქვენ, ხმელთაშუაზღვის კულტურის ხალხებს, ჰომეროსი გყავთ.. ასე არაა? — მიმართა რეინგოლდს თითქოს იმის დასამოწმებლად, სწორად გადმოვეცი თუ არა შენი აზრი.

— სწორედ ეგრეა! — დაუდასტურა რეინგოლდმა, მაგრამ ღიმილით გაბადრულ სახეზე შეშფოთების ჩრდილმა მაინც გადაურბინა.

— თქვენთვის, ხმელთაშუაზღვის კულტურის ხალხებისათვისო, — განაგრძო ბატისტამ რეინგოლდის სიტყვები, — ჰომეროსი იგივეა, რაც ბიბლია ანგლოსაქსებისათვისო... რატომ არ შეიძლება, მაგალითად, გადაღეთო ფილმი „ოდისეას“ მიხედვით?..

სიჩუმე ჩამოვარდა. განცვიფრებისაგან პირი დავაღე. გონების მოსაკრებად დრო რომ მომეგო, გაჭირვებით ამოვილუღლუღე:

— ლაპარაკია მთელ „ოდისეაზე“ თუ მის რომელიმე ეპიზოდზე?

— ამ საკითხზე უკვე ბევრი ვიმსჯელეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ უმჯობესია მთლიანად გამოვიყენოთ იგი ფილმისათვის, მაგრამ ამას ჩვენთვის ისე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს... უფრო მნიშვნელოვანი სულ სხვაა, — ხმას აუწია მან. — „ოდისეას“ ხელმეორედ გადაკითხვისას წავაწყდი იმას, რასაც ძარგა ხანია ამაოდ ვეძებდი... წავაწყდი იმას, რასაც ვერ ნახავთ ვერცერთ ნეორეალისტურ ფილმში... და ვერცერთ იმ სიუჟეტშიც, რასაც ამ უკანასკნელ ხანებში შენ მთავაზობდი, მოლტენი. ვიპოვე რაღაც ისეთი... ვგრძნობ, მაგრამ ვერ გამომითქვამს... რაღაც ისეთი, რაც ისე სჭირდება კინოხელოვნებას, როგორც ცხოვრებას — პოეზია.

ისევ რეინგოლდს შევხედე. ის ცვლავ იღიმებოდა წელანდელზე უფრო ფართოდ და მოწონების ნიშნად თავს იქნევდა. უცებ, ჩემდა უნებურად, საკმაოდ უხეშად ვთქვი:

— რა თქმა უნდა, „ოდისეაში“ პოეზია ბევრია, მაგრამ მთავარია, ფილმში როგორ შევძლებთ მის გადმოცემას.

—მართალია, — ბატისტამ მაგიდიდან სახაზავი აიღო და მომიმიზნა — მართალია... სწორედ ამისთვის არსებობთ თქვენ ორნი: თქვენ, მოლტენი და ბატონი რეინგოლდი... ვიცი, რომ იქ პოეზიაა, იმის ამოღება კი თქვენი საქმეა.

— „ოდისეა“... — შევნიშე, — ეს ხომ მთელი სამყაროა.. იქიდან შეიძლება რაღაც-რაღაცების ამოკრება, ოღონდ უნდა იცოდე, რომელი კუთხიდან მიუდგე...

ეტყობა, ბატისტას გაუკვირდა, დიდად რომ არ აღმაფრთოვანა მისმა წინადადებამ. დაჟინებით შემომაცქერდა, თითქოს სურდა გაეგო, რა იმალებოდა ჩემი გულგრილობის მიღმა. ბოლოს, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ეს საქმე მცირე ხნით გადაედო. ადგა, თავი უკან გადააგდო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, ჩვენც სკამები შევაბრუნეთ და მის მოძრაობას თვალს ვადევნებდით. ის ოთახში დადიოდა და თან ლაპარაკობდა:

— ყველაზე მეტად „ოდისეა“-ში გამოაცა ჰომეროსის პოეზიის სანახაობითმა მხარემ. როცა სანახაობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ის, რაც ყოველთვის მოსწონს და იზიდავს მაყურებელს... მაგალითისათვის ავიღოთ ეპიზოდი ნავზიკაასთან. მომხიბლავი შიშველი ქალწულები წყალში ბანაობენ. ამ დროს ულისე[1] ბუჩქებიდან უთვალთვალებს მათ — ეს ხომ უკვე ვარიანტია კადრისა „მობანავე მზეთუნახავები“. ან აიღეთ პოლითემი: ცალთვალა საშინელება, გოლიათი, ზღაპრული ურჩხული... ეს ხომ კინგ-კონგია, ომისშემ-

[1] იტალიური მითოლოგიის მიხედვით, ოდისეესს ულისე ჰქვია. რადგან ფართო მკითხველისათვის ოდისეესი უფრო ნაცნობი პერსონაჟია, თარგმანშიც ულისეს ნაცვლად ოდისეესად იქნება მოხსენიებული. ორიგინალში ყველგან ულისეა (მთარგმნ.).

დგომი კინოს სახელმოხვეჭილი და პოპულარული პერსონაჟი. ანდა გაიხსენეთ კირკეი, თავისი სასახლით. ეს ანტინეაა „ატლანტიკიდან". აი, რას ვეძახი სანახაობას. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს არა მარტო სანახაობაა, არამედ დიდი პოეზიაც. — ბატისტა აღტაცებული იყო. ჩვენ წინ გაჩერდა და წარმოთქვა: — აი, როგორა მაქვს წარმოდგენილი ფირმა „ტრიუმფ-ფილმის" მიერ გამოშვებული „ოდისეა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩუმება ვამჯობინე, რადგან ვიცოდი, რომ პოეზია ბატისტასათვის არ იყო, რაც ჩემთვისაა იგი. უკვე წარმოდგენილი მქონდა, რომ იქნებოდა „ტრიუმფ-ფილმის" მიერ გამოშვებული „ოდისეა". ეს იქნებოდა ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი ჰოლივუდის ყაიდის ფილმები ურჩხულებით, შიშველი ქალებით, მაცთუნებელი სცენებით, ეროტიკითა და თეატრალური ზარზეიმურობით. ბატისტას ხომ ისეთივე გემოვნება აქვს, როგორიც ჰქონდათ დ'ანუნციოს ეპოქის იტალიელ პროდიუსერებს! ბოდა, რაღა გასაკვირია მაშინ მისი ასეთი მსჯელობა?

— აბა, ამაზე რას იტყვი, მოლტენი?

ვინც კი კინოს სამყაროს კარგად იცნობს, იცის, რომ არის ფილმი, რომლის სცენარი ჯერ არც დაწერილა, მაგრამ ყველანი დარწმუნებული არიან, ამ ფილმს უსათუოდ გადაიღებენ. არის ისეთი ფილმიც, რომლის ასეულობით გვერდი სცენარიც დაწერილია, ხელშეკრულებაც დადებულია, მაგრამ ყველამ იცის, ამ ფილმს დადგმა არ უწერია.

ვიდრე ბატისტა ლაპარაკობდა, გამოცდილი სცენარისტის პროფესიულმა ალღომ მიკარნახა, „ოდისეა" ისეთი ფილმი იქნებოდა, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ეკრანზე მაინც არ უშვებენ. ასე რატომ ვფიქრობდი, ამის ახსნა არ შემეძლო. არ ვიცი, შეიძლება ბატისტას ლაპარაკმა იმოქმედა ჩემზე, ასე დიდ მოთხოვნებს რომ უყენებდა ფილმს. ან შეიძლება რეინგოლდის მაცდუნებელმა გარეგნობამ მოახდინა გავლენა, რომელიც სანამ იჯდა, დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ხოლო როცა ადგა, პატარა და უბადრუკ კაცუნად წარმომიდგა. მივხვდი, რომ რეინგოლდის მსგავსად ეს ფილმიც თავისი სათაურით ბრწყინვალე ეფექტს მოახდენდა, მაგრამ თვითონ ფილმი სუსტი იქნებოდა. ამის დასამოწმებლად სირინოზებზე ნათქვამი, ცნობილი ფრაზა მოვიშველიე: „desinit in piscem"[1].

ჩემთვის გაუგებარი იყო, ბატისტას რამ აფიქრებინა ამ ფილმის დადგმა. ვიცოდი, ბატისტა ძალიან ფრთხილი კაცი იყო და ასეთ რისკზე ძნელად წავიდოდა. მაშ,რა იყო მიზეზი? იქნებ დიდი ჰომეროსის სახელის წყალობით დიდძალი თანხის მიღება იზიდავდა ამერიკიდანაც კი?

ვიცოდი, ჰომეროსის სახელი და რეინგოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ხმელთაშუაზღვის ბიბლია — „ოდისეა", ნამდვილად დიდ ეფექტს მოახდენდა. მაგრამ, ისიც ვიცოდი, თუ ფილმი არ დაიდგმებოდა, რაშიც ეჭვიც არ მეპარებოდა, სხვა პროდიუსერებივით ბატისტაც მონახავდა რაიმე საბაბს და სამუშაოს ანაზღაურებამდე უარს მეტყოდა. ასეა ყოველთვის: თუ ფილმი არ დაიდგმება, პროდიუსერი ამ სამუშაოს ანაზღაურებას მომავალი ფილმის წარმოებამდე გადასდებს ხოლმე და საწყალ სცენარისტსაც სხვა გზა არ რჩება, უნდა ელოდოს.

ამიტომ, პირველი, რაც გავიფიქრე ეს იყო გამეთვალისწინებინა ეს საკი-

[1] ყველაფერი თევზის ბოლოთი მთავრდება (ლათ.).

თხი და თავიდანვე მომეთხოვა ხელშეკრულების გაფორმება და რაც მთავარია, ავანსიც. ამისთვის კი საჭირო იყო, მომემიზეზებია შემოთავაზებულ სამუშაოს სიძნელე. რათა ბატისტას აქეთ ეთხოვა ჩემთვის ამ ფილმზე თანამშრომლობა.

— ჩემის აზრით, საუცხოო იდეაა, — მშრალად ვუპასუხე მე.

— რალაც დიდ აღფრთოვანებას ვერ გატყობ.

— მე მგონი, ეს ჩემი ჟანრი არ არის.. ვერ შევძლებ [illegible] საკმაოდ გულწრფელად.

— რატომ? — ბატისტა უკვე გაბრაზებული ჩანდა. — ყოველთვის მარწმუნებდით, სერიოზულ ფილმებზე მუშაობა მსურსო, ახლა კი, როცა ამას საშუალება გეძლევათ, უკან იხევთ, უარს ამბობთ.

ვცადე მისთვის ამეხსნა:

— იცით რა, ბატისტა, მე ფსიქოლოგიური ფილმები უფრო მიზიდავს... ეს კი... პირიქით, თუ სწორად გაგიგეთ, ამერიკული ფილმებივით, სანახაობითი უნდა იყოს, ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი კინოსურათი.

ამჯერად პასუხის გაცემა ვერ მოასწრო ბატისტამ, მოულოდნელად საუბარში რეინგოლდი ჩაგვერია:

— სინიორ მოლტენი, — თქვა მან და სახეზე კვლავ ნახევარმთვარისებური ღიმილი ისე აიკრა, როგორც მსახიობები აიკრავენ ხოლმე ხელოვნურ ულვაშს სცენაზე გამოსვლის წინ. ოდნავ წინ წამოიხარა და მოკრძალებით, თითქმის ენის ბორძიკით დაიწყო: — სინიორ ბატისტამ შესანიშნავად გადმოსცა ჩვენი ჩანაფიქრი... მან სწორად წარმოგვიდგინა ფილმი, რომელიც მე უნდა დავდგა თქვენი დახმარებით, მაგრამ სენიორ ბატისტა ლაპარაკობდა როგორც პროდიუსერი,მან უმთავრესი ყურადღება ფილმის სანახაობით მხარეს დაუთმო... თუ ფსიქოლოგიური ფილმები გიზიდავთ, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ამ ფილმზე მუშაობას, რადგან იგი სხვა არა არის რა, თუ არა ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება ცოლ-ქმარს — ოდისევსსა და პენელოპეს შორის... სწორედ ჩემი მიზანიც ესაა, მინდა გავაკეთო ფილმი ადამიანზე, რომელსაც უყვარს ცოლი, მას კი არა...

ამ სიტყვებმა ძალზე დამაბნია. უფრო იმიტომ, რომ რეინგოლდმა თავისი ხელოვნური ღიმილით გასხივოსნებული სახე ზედ ჩემს სახესთან მოიტანა. ასე რომ, უკანდასახევი გზა მოჭრილი მქონდა. უნდა მეპასუხა და რაც შეიძლება მალე. მაგრამ ის იყო შეკამათება დავაპირე რეჟისორთან, ეგ ხომ მართალი არაა, პენელოპეს ოდისევსი უყვარდა-მეთქი, რომ მის მნიშვნელობას ახლა ჩასწვდა ჩემი გონება: „ქმარს უყვარს ცოლი, ცოლს კი არა". ამის გაფიქრებაზე მოულოდნელად გამახსენდა რალაც ისეთი, რომელსაც ,როგორც მაშინ მივხვდი, შეეძლო პასუხი გაეცა იმ კითხვაზე, რაზედაც რამდენიმე წუთის წინ ასე ვიმტვრევდი თავს ბატისტას მისალებ ოთახში: „რატომ ალარ ვუყვარვარ ემილიას?"

ახლა, როცა ამ ამბავს ვყვები, მკითხველს ალბათ ეგონება, დიდი დრო გავიდაო, მაგრამ ამ ფიქრებმა სულ რალაც ერთ წამში გაიქროლეს ჩემს ტვინში, სანამ რეინგოლდს თავისი მომღიმარე სახე ჩემკენ მოჰქონდა, მე უცებ ფიქრით ჩვენს ადრინდელ ნაქირავებ ბინის სასტუმრო ოთახში გავჩნდი. უცებ თვალწინ წარმომიდგა სურათი. ხელში სცენარი მიჭირავს და მბეჭდავ ქალს ვკარნახობ. სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდება. რამდენიმე თვე იყო, ერთად ვმუშაობდით და ჯერ კარგად არც შემეხედა ქალისათვის. ვინმეს რომ

ეკითხა, ლამაზი იყო თუ არა, ვერაფერს ვიტყოდი. მხოლოდ ერთმა უბრალო შემთხვევამ ამიხილა თვალები. არ მახსოვს, რა წინადადებას ბეჭდავდა მანქანაზე, დავიხარე და საჩქაროდ ჩავბეჭდე საჭირო სიტყვა. ჩაბეჭდვისას ჩემდა უნებურად მის თითებს შევეხე, შევამჩნიე, ხელები დიდი და ლონიერი ჰქონდა. გამიკვირდა, ასეთი ნაზი აგებულების ქალს ასეთი ხელები რომ ჰქონდა. ეს ხელი არ მოუშორებია, არც უკმაყოფილება გამოუთქვამს. შემდეგი სიტყვაც ჩავბეჭდე და ამჯერად უკვე განზრახ დავადე ხელი თითებზე. სახეში [illegible] მანაც ჯიქურ შემომხედა, თითქოს მაქეზებდა კიდეც. მეც, თითქოს [illegible] ვხედავო, უცებ აღმოვაჩინე, რომ ლამაზი იყო. პატარა, ოდნავ მოსქო, მიმზიდველი ტუჩები, ყინიანი ცხვირი და დიდი შავი თვალები ჰქონდა. უკან გადავარცხნილი ხშირი და ხვეული თმა ძალზე უხდებოდა. მაგრამ მის ნაზ და ფერმკრთალ სახეზე უკვე აღბეჭდილიყო გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება. კიდევ ერთი რამ შევამჩნიე: როცა ქალმა პრანჭვით წარმოთქვა — მაპატიეთ, ყურადღება დამეფანტაო, — განმაცვიფრა მისმა მკვეთრმა და მშრალმა, საკმაოდ უსიამოვნო ხმამ. სახეში რომ შევხედე, თვალები ძირს არ დაუხრია, პირიქით, გამომწვევადაც დამიწყო ცქერა. ცოტა არ იყოს, დავიბენი და იმ დღიდან მოყოლებული რამდენიმე დღე მხოლოდ ერთმანეთის ცქერაში ვიყავით, უფრო სწორად, ის მიყურებდა ხოლმე, თანაც ურცხვად და გამომწვევად. ვცდილობდი მისი მზერა ამერიდებინა, ის კი თვალს არ მაცილებდა, ჯიუტად მომაჩერდებოდა, სანამ თავისას არ მიაღწევდა. ხოლო როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდა, მისი მზერა ჩემს თვალებში იძირებოდა. პირველ ხანებში ქალი იშვიათად შემომაცქერდებოდა ხოლმე, შემდეგ კი უფრო და უფრო მოუხშირა. ბოლოს და ბოლოს გაბეზრებულმა რომ აღარ ვიცოდი, თვალები საით წამეღო და მისი დაჟინებული მზერაც ამეცდინა, მის ზურგს უკან მოვყევი ბოლთის ცემას და კარნახს. მაგრამ ჯიუტმა კეკლუცმა ქალმა აქაც მონახა გამოსავალი. პირდაპირ კედელზე დიდი სარკე ეკიდა. როგორც კი თავს ავიღებდი, სარკეში მის დაჟინებულ მზერას ვაწყდებოდი. ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა თვალებით ამგვარ თამაშს და რასაც ის კარგა ხანია დიდი მონდომებით ცდილობდა.

ერთ დღეს ჩვეულებისამებრ ვკარნახობდი, შეცდომა შევამჩნიე და მის გასასწორებლად დავიხარე. ქალს შევხედე, მანაც შემომხედა და უცებ ჩვენი ტუჩები აჩქარებულმა, მოკლე კოცნამ შეაერთა. საგულისხმოა მისი სიტყვები კოცნის შემდეგ: „ოჰ, როგორც იქნა! უკვე იმედს ვკარგავდი, გამბედობა არ ეყოფა-მეთქი". ერთი სიტყვით, ისე იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში — რომ უკვე ხელთ ვყავდი, კოცნა აღარც მოუსურვებია. მაშინვე განაგრძო ბეჭდვა. შეცბუნებული ვიყავი, სინდისის ქენჯნას და სინანულს ვგრძნობდი. არა, გოგონა აშკარად მომწონდა, ასე რომ არ ყოფილიყო, არც ვაკოცებდი. მაგრამ ცოდნით ნამდვილად ვიცოდი, არავითარი გრძნობა არ გამაჩნდა მის მიმართ. მხოლოდ მისი დაჟინებული და უტიფარი გამომწვევობით გაღიზიანებულმა მამაკაცურმა პატივმოყვარეობამ მაიძულა მეკოცნა მისთვის. ქალი თავაუღებლად მუშაობდა, თვალები დაბლა დაეხარა. არასდროს ისე მომხიბლავი არ მჩვენებია მისი მრგვალი და ფერმკრთალი სახე, უკან ლამაზად გადავარცხნილი, მხრებზე დაყრილი მშვენიერი შავი თმის კულულები. შემდეგ, როგორც ეტყობა, განზრახ დაუშვა შეცდომა. კვლავ მის გასასწორებლად დავიხარე. გოგონა თვალს მადევნებდა, არც ერთი ჩემი მოძრაობა არ გამოჰპარვია. მისკენ რომ დავიხარე, უცებ სკამზე შემოტრიალდა, მკლავები კისერ-

ზე შემომხვია, თავი დამიჭირა და ტუჩებზე დამეკონა. სწორედ იმ წუთში კარი გაიღო და ოთახში ემილია შემოვიდა.

ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის დაწვრილებით აღწერა, რაც შემდეგ მოხდა. ემილია უცებ გაბრუნდა.

— ქალიშვილო, დღეს სამუშაო დამთავრებულია, შეგიძლიათ სახლში წაბრძანდეთ, — აჩქარებით ვუთხარი მბეჭდავს და თითქმის გავაგდე ემილიას ოთახში. მეგონა, ეჭვიანობის ნიადაგზე წამეჩხუბებოდა. [illegible] მხოლოდ ეს მითხრა: „პომადა მაინც მოგეცილებინა ტუჩებიდან". პომადა მაშინვე მოვიცილე, ახლოს მივუჯექი და თავის მართლება დავიწყე. ყველაფერი ისე მოვუყევი, როგორც სინამდვილეში იყო. ემილია რაღაც უნდობლად, მაგრამ შემწყნარებლურად მისმენდა. ბოლოს თქვა: თუ ნამდვილად გიყვარს ეგ ქალი, ყოველგვარი ბოდიშების გარეშე შეგიძლია თქვა და თანახმა ვარ დამშორდეო. ეს სიტყვები რბილად, ყოველგვარი გაბრაზების გარეშე წარმოსთქვა, თითქოს მთხოვდა, პასუხად ჩემგან „არა" გაეგონა. ბოლოს, ბევრი ახსნა-განმარტებისა და სასოწარკვეთილი ფიცის შემდეგ (პირდაპირ შიშით ვძრწოდი იმის გაფიქრებაზეც კი, რომ ემილია გამშორდებოდა) მგონი შევძელი დამერწმუნებინა ჩემს სიმართლეში, ემილია ცოტათი გაჯიუტდა, მაგრამ ბოლოს მაინც მაპატია, იმავე დღეს, ემილიას თანდასწრებით დავურეკე იმ მემანქანე გოგონას, აღარ მჭირდებით და ნუღა მოხვალთ-მეთქი, მან მაინც სცადა ჩემთვის ქალაქში პაემანი დაენიშნა. მაგრამ ორჭოფულად ვუპასუხე და მას შემდეგ აღარსად მინახავს.

როგორც უკვე ვთქვი, შეიძლება ადამიანს მოეჩვენოს, ამის გაფიქრებას დიდი დრო მოანდომაო. სინამდვილეში ერთ წუთში გამიელვა თავში ამ მოგონებამ. ელვასავით გაანათა გონების ის ბნელი კუნჭული, სადაც ამდენი ხნის მანძილზე იყო მიჩქმალული ეს შემთხვევა. მიკვირდა, რატომ აქამდე არ გამახსენდა-მეთქი, აი პასუხი იმ კითხვაზე, რამაც დიდი ხანია მოსვენება დამიკარგა. ახლა კი ეჭვი აღარ მეპარებოდა, მიზეზი სწორედ ეს იყო, კვლავ წარმომიდგა თვალწინ: როგორ შემოვიდა ოთახში ემილია და როგორ წამასწრო მბეჭდავ ქალთან კოცნაში გართულს, ახლა უკვე შემეძლო ზუსტად წარმომედგინა, შემდეგში როგორ განვითარდა მოვლენები: ემილიამ თავდაპირველად ისე მომაჩვენა თავი, თითქოს ამ შემთხვევას არაფრად აგდებდა, სინამდვილეში ეს ამბავი ალბათ ძალიან სტანჯავდა, მაგრამ არ უნდოდა თავს გამოტყდომოდა. მერე და მერე, როცა კი ემილიას ეს შემთხვევა გაახსენდებოდა, გულგატეხილობა ეუფლებოდა და ეს გულგატეხილობა თანდათანობით იზრდებოდა და გორგალივით ეხვეოდა, კოცნამ, რაც ჩემი წუთიერი სისუსტის შედეგი იყო, შეუხორცებელი ჭრილობა მიაყენა მის სულს. ხოლო დრომ კი არ განკურნა, უფრო მტკივნეული გახადა იგი.

ამ ფიქრებში გართულს ალბათ ძალიან დაბნეული და გაფანტული მზერა მქონდა, რადგან უცებ თითქოს ჩასქელებული ნისლიდან მომესმაო, ჩემამდე მოაღწია რეინგოლდის შეშფოთებულმა ხმამ:

— თქვენ მისმენთ, სენიორ მოლტენი? — გამოვერკვიე. უცებ ჩემ წინ ნისლი გაიფანტა და შევკრთი, ჩემკენ მომართული რეინგოლდის მომღიმარი სახე რომ დავინახე.

— მაპატიეთ, ფიქრმა წამიღო... თქვენმა ნათქვამმა ჩამაფიქრა: კაცი, რომელსაც უყვარს ცოლი, მას კი არა... — არ ვიცოდი, რა მეთქვა და რაც პირველად მომადგა ენაზე, ისა ვთქვი: — პოემის მიხედვით პენელოპეს უყ-

ვარს ოდისევსი... შეიძლება ითქვას, მთელი პო[illegible]ა ძირ[illegible]ადად სწორედ პენელოპეს ოდისევსისადმი უსაზღვრო სიყვარულზეა აგ[illegible]ული.

— ერთგულება, სენიორ მოლტენი, — გაიღიმა რეინგოლდმა, — სიყვარული როდია... პენელოპე ოდისევსის ერთგულია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად უყვარს იგი... როგორც თქვენთვის ცნობილია, შეიძლება უერთგულესი იყო, მაგრამ არ გიყვარდეს... ხანდახან მეტისმეტი ერთგულება, ერთგვარი შურისძიებაცაა, შურისძიება სიყვარულისათვის... ერთგულება სიყვარულს არ ნიშნავს, მოლტენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეინგოლდის ამ სიტყვებმა მთლად გადამრია. ჩემი ფიქრი ისევ ემილიას გადასწვდა. საკუთარ თავს ჩავეკითხე: ასეთ ერთგულებას და გულგრილობას მერჩია თუ არა ღალატი, რასაც შემდეგ მონანიება მოჰყვებოდა-მეთქი? რა თქმა უნდა, მერჩია. ღალატის შემთხვევაში მარტო ემილია იქნებოდა დამნაშავე, მე კი სინდისი სუფთა მექნებოდა და შემეძლო თამამად შემეხედა მისთვის თვალებში. თუმცა რომელ სინდისზე ვლაპარაკობ, როცა ეს-ესაა ჩემს თავს დავუმტკიცე, რომ ემილიას მე ვუღალატე და არა მან მე. ისევ ფიქრებს გავყევი, მაგრამ ამჯერად ბატისტას ხმამ გამომარკვია.

— ერთი სიტყვით, შევთანხმდით, მოლტენი, თქვენ იმუშავებთ რეინგოლდთან.

— შევთანხმდით, — გაჭირვებით ამოვილუღლუღე.

— ძალიან კარგი, — კმაყოფილებით წარმოთქვა ბატისტამ. — ახლა ასე მოვიქცევით: რეინგოლდი ხვალ დილით პარიზს გაემგზავრება, იქ ერთ კვირას დაჰყოფს. თქვენ კი, მოლტენი, ამ ხნის განმავლობაში „ოდისეის“ სცენარის მონახაზს გააკეთებთ და მომიტანთ... ხოლო როგორც კი რეინგოლდი პარიზიდან დაბრუნდება, ერთად გაემგზავრებით კაპრზე და მაშინვე შეუდგებით მუშაობას.

ბატისტას ამ დასკვნითი სიტყვის შემდეგ რეინგოლდი ადგა. მეც ანგარიმიუცემლად წამოვდექი. ვიცოდი, ხელშეკრულებაზე და ავანსზე უნდა ჩამომეგდო სიტყვა, რადგან ბატისტას შეიძლება მშრალზე დავესვი. მაგრამ ძალზე აღელვებული ვიყავი ემილიაზე ფიქრითა და ჰომეროსის რეინგოლდისებური გაგების გამო, რომელიც საოცრად ემთხვეოდა ჩემს პირად ცხოვრებას.

კარს რომ მივუახლოვდით, მაინც ვერ მოვითმინე და ხმადაბლა ჩავილაპარაკე:

— კი მაგრამ, ხელშეკრულება?

— ხელშეკრულება მზადაა, — მშვიდად მიპასუხა ბატისტამ, — მასთან ერთად, ავანსიც... მოლტენი, თქვენ მხოლოდ კანცელარიაში უნდა შეიაროთ, ხელშეკრულებას ხელი მოაწეროთ და ავანსი მიიღოთ...

მოულოდნელობისაგან დავიბენი. მეგონა, როგორც სჩვეოდა სცენარებზე მუშაობის დაწყებისას, ბატისტა მიკიბ-მოკიბავდა, ეცდებოდა ჰონორარი შემცირებინა, ან ავანსი დაეყოვნებინა. მოხდა პირიქით. ყოველგვარი უთანხმოების გარეშე მაძლევდა ავანსს. სანამ კანცელარიაში შევიდოდით, რომელიც გვერდით ოთახში იყო, ვერ მოვითმინე მადლობა არ მეთქვა ბატისტასთვის და ჩავილაპარაკე:

— გმადლობთ, ბატისტა... ალბათ იცით, რომ მიჭირს.

უცებ ტუჩები მოვიკვნიტე. ვინ მრჯიდა ეს სიტყვები მეთქვა, მით უმეტეს არც ისე მიჭირდა, როგორც ჩემი ნათქვამიდან დაასკვნიდა კაცი. უცებ

მივხვდი, ზედმეტი მომივიდა. ამის თქმა სულ არ იყო საჭირო. ბატისტამ დამწვარზე მდუღარე გადამასხა:

— მივხვდი, ძვირფასო ყმაწვილო. — მითხრა და მხარზე მამობრივი მზრუნველობით დამარტყა ხელი. — წინასწარვე ვიზრუნე. — მერე საწერ მაგიდასთან მჯდარ მდივანს მიმართა: — ეს სინიორ მოლტენი. ხელშეკრულება და ავანსი....

მდივანი მაშინვე წამოხტა, საქაღალდე გახსნა. იქიდან უკვე გამზადებული ხელშეკრულება ამოიღო. მასზე ქინძისთავით იყო მიმაგრებული ავანსის ქვითარი.

ბატისტა ჯერ რეინგოლდს დაემშვიდობა, შემდეგ კვლავ მე მომიბრუნდა, მხარზე ხელი დამარტყა, წარმატება მისურვა და თავის კაბინეტში შევიდა.

— სინიორ მოლტენი, — მითხრა რეინგოლდმა ხელის ჩამორთმევისას.— შევხვდებით, როგორც კი პარიზიდან დავბრუნდები... ამასობაში თქვენ „ოდისეას“ სცენარის მონახაზი გააკეთეთ და სენიორ ბატისტასთან ერთად განიხილეთ...

— კარგი, — ვუთხარი ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა: მომეჩვენა, რომ რეინგოლდმა მრავალმნიშვნელოვნად და მეგობრულად დამიქნია თავი.

ჩემი გაოცება რომ შეამჩნია, რეინგოლდი უცებ მომიახლოვდა, ხელი მკლავში გამომდო, პირი ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა:

— ნუ ღელავთ, ნურაფრისა გეშინიათ. ბატისტამ რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ჩვენ გავაკეთებთ ფსიქოლოგიურ ფილმს, მხოლოდ ფსიქოლოგიურს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სიტყვა „ფსიქოლოგიური“ გერმანულ აქცენტზე წარმოთქვა — „ფსიუკოლოგიური“. შემდეგ გამიღიმა, ხელი მაგრად ჩამომართვა, ჩვეულებისამებრ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და წავიდა. რეინგოლდს თვალი გავაყოლე. უცებ მდივნის ხმა ჩამესმა:

— სინიორ მოლტენი, ინებეთ ფული. აქ მოიწერეთ ხელი.

თავი მეცხრე

ჯერ შვიდი საათიც არ იქნებოდა, შინ რომ მივედი. ამათ ვეძებდი ემილიას ოთახებში. იგი სახლიდან გასულიყო და ალბათ ვახშმობამდე არც დაბრუნდებოდა. გული ჩამწყდა, შინ რომ არ დამიხვდა. მერე როგორ მოვიჩქაროდი! მინდოდა მისვლისთანავე მბეჭდავი ქალის ამბავი გამეხსენებინა. მე ხომ, როგორც იქნა, მივაგენი იმას, რაც დიდი ხანია მაწვალებდა... ჩვენი განხეთქილების მიზეზი ნამდვილად ის უნებური კოცნა იყო და იმედი მქონდა, სულ რამდენიმე სიტყვით შევძლებდი გამეფანტა გაუგებრობათა ბურუსი, შემდეგ კი მეხარებინა ხელშეკრულება „ოდისეაზე“, ავანსი და კაპრზე გამგზავრება. თუმცა ვიცოდი, რომ სულ რაღაც ორიოდე საათით გადაიდებოდა ჩვენი საუბარი, მაგრამ გულზე მაინც მწარე ნაღველი შემომაწვა. ეს ავის მომასწავებლად მენიშნა.

იმ წუთში მჯეროდა, ემილიას ადვილად დავარწმუნებდი ჩემს სიმართლეში, მაგრამ ორი საათის შემდეგ, ვინ იცის, შევძლებდი ამას თუ არა. როგორც ხედავთ, თავს ვირწმუნებდი, ემილიას გულგრილობის ნამდვილ მიზეზს მივაგენი-მეთქი, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, სადღაც გულის სიღრმეში არ მჯეროდა და საკმარისი აღმოჩნდა ემილია შინ არ დამხვედროდა რომ ეს ეჭვი კიდევ უფრო გაღრმავებულიყო და ცუდ გუნებაზეც დავმდგარიყავი.

მძიმე საგონებელში ჩავარდნილი, აღელვებული და დაბნეული შევუდექი კარადაში „ოდისეას“ პინდემონტესეულ თარგმანის ძებნას.

შემდეგ საბეჭდ მანქანას მივუჯექი, ქაღალდი ჩავდე, სიგარეტს მოვუკიდე და „ოდისეას“ მოკლე შინაარსის ბეჭდვა დავიწყე. მეგონა, მუშაობა გულზე შემოწოლილ დარდს გამიქარწყლებდა, ან მცირე ხნით მაინც დამიყუჩებდა ტკივილს. ამ ხერხისათვის წინათაც არაერთხელ მიმიმართავს. წიგნი გადავშალე და დინჯად ჩავიკითხე „ოდისეას“ პირველი სიმღერა. ქაღალდზე ეს სათაური დავბეჭდე: „ოდისეას“ მოკლე შინაარსი“, ქვემოთ კი განვაგრძე:

„ტროას ომი კარგა ხანია დამთავრდა. ელინთა გმირები, ვინც კი ამ ომში მონაწილეობდა, უკლებლივ დაბრუნდნენ სამშობლოში გარდა ოდისევსისა, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა თავისი კუნძულისა და საყვარელი ოჯახისაგან“.

ამ ადგილზე ბეჭდვა შევწყვიტე, ვერ გადამეწყვიტა, „ოდისეას“ მოკლე შინაარსში შემეტანა თუ არა ღმერთების ბჭობა ოდისევსის ითაკაზე დაბრუნების თაობაზე. ჩემი აზრით, ეს მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან პოემაში მას შეჰქონდა აზრი ბედისწერის გარდუვალობაზე, ამავე დროს ადამიანის გმირულ ნებისყოფაზე, სიძნელეთა დაძლევაზე. ამ ეპიზოდის ამოღება ნიშნავდა უარი მეთქვა პოემაში აღწერილ არამიწიერ სამყაროზე, ზებუნებრივ მოვლენებზე, ზეციურ სასწაულთმოქმედებაზე, სცენარში უალრესად პოეტური და სათაყვანო ღმერთების შემოყვანაზე. ეჭვი არ მეპარება, ბატისტა უარს იტყოდა სცენარში ღმერთების მონაწილეობაზე: აქაოდა, ღმერთები ლაყბობის მეტს არაფერს გააკეთებენო, თანაც ტყუილად გაირჯებიან იმაზე, რასაც პოემის გმირებიც შესანიშნავად შეძლებენო.

რაც შეეხება რეინგოლდს, მისი არაორაზროვანი ნათქვამი — ფსიქოლოგიური ფილმი უნდა დავდგათო, — ჩემს ღმერთებს კარგს არაფერს უქადდა, რადგან ფსიქოლოგიზმი ბედისწერის იდეას და ყოველგვარი ზეციური ძალის ჩარევას გამორიცხავს. მისი მიმდევარნი უკეთეს შემთხვევებში ბედისწერის გარდაუვალობას ადამიანის სულის სიღრმეში ეძებენ, მის ბნელ ლაბირინთებში, ეგრეთ წოდებულ ქვეცნობიერებაში.

აქედან გამომდინარე, ღმერთების გამოყვანა ზედმეტი იყო. ისინი არც სანახაობითი ფილმის სცენარისათვის გამოდგებოდნენ და არც ფილმის ფსიქოლოგიური ვარიანტისათვის... ასეთ აბურდულ და დახლართულ ფიქრებში იყო გართული ჩემი დაღლილი გონება. დროდადრო საბეჭდ მანქანას გადავხედავდი და თავს ვაიძულებდი მუშაობა განმეგრძო, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. თითის განძრევაც არ შემეძლო. უმოქმედოდ ვიჯექი საწერ მაგიდასთან და ღრმად ჩაფიქრებულს თვალები სიცარიელისთვის მიმეშტერებინა. სინამდვილეში, „ოდისეას“ სიუჟეტზე ისე არ ვფიქრობდი, როგორც ვცდილობდი გავრკვეულიყავი იმ ჩემთვის უსიამოვნო გრძნობებში, რომლებიც ჩემს სულს მწარე ნაღველითა და სიცივით ავსებდნენ. მაგრამ ისე ვიყავი ამ ფიქრებისაგან დაღლილ-განაწამები, გამოფიტული და სულდამძიმებული, რომ თვითონაც ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს.

უცებ სრულიად მოულოდნელად, უმოძრაოდ დამდგარ გუბურას წყლის ჭავლი რომ გადაურბენს ხოლმე, ისე გამიელვა გონებაში: ახლა მე „ოდისეაზე“ ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას ვაპირებ, როგორსაც ატარებენ ყოველთვის მხატვრული ნაწარმოების ეკრანიზაციისას, ხოლო როცა სცენარი დამთავრდება, წიგნს კარადაში დავაბრუნებ, ის კვლავ დაიკავებს თავის ადგილს იმ წიგნთა შორის, რომლებიც ასევე გამოვიყენე სცენარისათვის...

გავა რამდენიმე წელი და როცა რომელიმე ახალი ფილმისათვის სხვა წიგნს დავუწყებ ძებნას დასამახინჯებლად და გამოსაშიგნავად, „ოდისეა“ ალბათ კვლავ მომხვდება ხელში და ვიტყვი, ეს ის „ოდისეაა“, რომლის მიხედვით სცენარი გავაკეთე რეინგოლდთან ერთად.. ფილმი, რომელიც ვერ გავიდა ეკრანებზე... არაფერი არ გამოვიდა. ფუჭად ჩაიარა რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიურმა, დილიდან დაღამებამდე ლაპარაკმა ოდისეაზე, პენელოპეზე, ციკლოპებზე, კირკეზე, სირინოზებზე... ყველაფერი ამაოდ ჩაივლიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ... საკმარისი სახსრები არ აღმოჩნდა ფილმის დადგმისათვის. ამის გაფიქრებაზე უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ზიზღი ვიგრძენი იმ ხელობისადმი, რომლის შერსულებაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. აქამდე ემილიას სიყვარულისათვის ვმუშაობდი, მხოლოდ მისთვის, მაგრამ ახლა, როცა შევამჩნიე, აღარ ვუყვარდი, ჩემმა სამუშაომ ყოველგვარი მიზანი დაკარგა.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავყავი ასეთ მდგომარეობაში. უძრავად ვიჯექი სავარძელში, თვალები ფანჯრისკენ მქონდა მიპყრობილი. როგორც იქნა, გავიგონე შემოსასვლელი კარის ჯახუნი. შემდეგ სასტუმრო ოთახიდან ჩემს სმენამდე მოაღწია ნაბიჯების ხმამ და მივხვდი, ემილია დაბრუნდა. არ გავნძრეულვარ, ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს ზურგს უკან კაბინეტის კარი გაიღო და ემილიამ მკითხა:

— შენ აქა ხარ? რას აკეთებ? მუშაობ?

მისკენ შევბრუნდი. ის კარის ზღურბლზე იდგა. ჯერ ქუდიც არ მოეხადა. ხელში შეკვრა ეჭირა. მაშინვე ვუპასუხე მშვიდად და აუღელვებლად, რამაც თვითონ გამაკვირვა, ამდენი განცდებისა და თავისმტვრევის შემდეგ.

— არა, არ ვმუშაობ... ვფიქრობ, ხელი მოვკიდო თუ არა ბატისტას მიერ შემოთავაზებულ ახალ სცენარს.

მან კარი მოიხურა და მომიახლოვდა.

— ბატისტასთან იყავი?

—ჰო...

— რა, ვერ შეთანხმდით? საკმარისს არ გიხდის სცენარში?

— კი, როგორ არა, შევთანხმდით. ფულსაც საკმაოდ მაძლევს.

— მაშ, რა მოხდა? იქნებ სიუჟეტი არ მოგწონს?

— არა, სიუჟეტი კარგია.

— რა სიუჟეტია?

ვიდრე ვუპასუხებდი, წამით შევხედე, მომეჩვენა, როგორც ყოველთვის, ის ახლაც გაფანტული და გულგრილი იყო. ეტყობოდა, მოვალეობის მოხდის მიზნით ლაპარაკობდა.

— „ოდისეაა“, — მოკლედ ვუპასუხე.

მან შეკვრა საწერ მაგიდაზე დადო, შემდეგ ცალი ხელი თავისკენ წაიღო და ქუდი ნელა მოიხადა. თავი გააქნია, რათა დატკეპნილი თმა გაესწორებინა. სახე უმეტყველო ჰქონდა, მზერა დაბნეული. ან ვერ გაიგო, რომ ლაპარაკი ეხებოდა უკვდავ პოემას, ან, რაც უფრო სინამდვილესთან ახლოა, ეს სათაური გაეგონა. მაგრამ არაფერი იცოდა.

— ოჰ, — თქვა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა. — არ მოგწონს?

— ხომ გითხარი, მომწონს-მეთქი.

— „ოდისეა“ ის არ არის, სკოლაში რომ სწავლობენ? რატომ არ გინდა გააკეთო?

— იმიტომ, რომ საერთოდ მინდა ხელი ავიღო კინოში მუშაობაზე.

— კი მაგრამ, ჯერ კიდევ ამ დილით არ დათანხმდი?

და უცებ მივხვდი, რომ ახლა დადგა წუთი ახალი, ამჯერად უკვე გადამწყვეტი ახსნა-განმარტებისათვის. წამოვხტი, მკლავში ხელი ჩავავლე და ვუთხარი:

— სხვა ოთახში გავიდეთ, უნდა მოგელაპარაკო.

ემილია იმან უფრო შეაშინა, მთელი ძალით რომ ვუჭერდი ხელს მკლავზე, ვიდრე ჩემმა კილომ.

— რა დაგემართა... გაგიჟდი?

— არა, არ გავგიჟებულვარ, გავიდეთ მეორე ოთახში და იქ ვილაპარაკოთ.

კაბინეტის კარი გავაღე, ჩემს მკლავზე დაყრდნობილი ემილია სასტუმრო ოთახში შევიყვანე და სავარძლისაკენ ვუბიძგე:

— დაჯექი.

მე მის პირდაპირ დავჯექი.

— ახლა მოვილაპარაკოთ.

მან იჭვნეულად და ჯერ კიდევ შიშჩამდგარი თვალებით შემომხედა:

— აჰა, ილაპარაკე, გისმენ.

დავიწყე ცივი და ჩავარდნილი ხმით:

— გახსოვს, გუშინ რომ გითხარი, აღარა მაქვს სურვილი კინოში ვიმუშაო, რადგან შენი სიყვარულის აღარ მჯერა-მეთქი. შენ კი ამაზე მიპასუხე, მიყვარხარ და გირჩევ ხელი მოჰკიდო სცენარზე მუშაობასო. ასე იყო, ხომ?

— ჰო, ეგრე იყო.

— ასე და ამგვარად, — წარმოვთქვი მტკიცედ. — არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგონია, ტყუილი მითხარი... ეს ან ჩემი სიბრალულით მოგვიდა, ან საკუთარი ანგარებისათვის.

— საკუთარი ანგარებისათვის? რა გინდა მაგით თქვა?

— ის მინდა ვთქვა, რომ, — დავიწყე ახსნა, — შენ შეგიძლია დარჩე ამ ბინაში, რომელიც ძალიან მოგწონს.

მისმა უხეშმა პასუხმა გამოაცა. ადგილიდან წამოხტა და თითქმის ყვირილით მითხრა:

— კი მაგრამ, ვინ მოგახსენა რომ ეს ასეა?.. ამ ბინას ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს, სრულიად არავითარი... მზადა ვარ ახლავე დავბრუნდე ნაქირავებ ბინაში... როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მიცნობ კარგად... სულ არ მჭირდება შენი ბინა...

მისმა მწარე სიტყვებმა გული მატკინა. აბა როგორი საქმეა, ხელი გიკრავ საჩუქარზე, რის გულისთვისაც დიდი მსხვერპლი გამიღია. არა ერთი სანუკვარი ოცნება შემიწირავს, ბინა, რომელზეც ემილია ასე აგდებულად და ზიზღით ლაპარაკობდა, სიცოცხლის ფასად მიღირდა. მთელი ორი წლის მანძილზე მხოლოდ მას შევალიე ძალა და ენერგია. ხელი ავიღე ჩემთვის საყვარელ საქმიანობაზე. დავთმე საუკეთესო მისწრაფებები. მისი სიტყვების დაჯერება არ მინდოდა, ამიტომ ჩავეკითხე კვლავ:

— მაშ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხომ?

— ნამდვილად არავითარი.

ხმა ბრაზისა და სიძულვილისაგან უკანკალებდა. — არ მჭირდება, გაიგე? ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს!..

— გუშინ რომ თქვი, მინდა ამ ბინაში დარჩენაო?

— ეს იმიტომ ვთქვი, რომ მინდოდა შენთვის მესიამოვნებინა, მეგონა, გაგახარებდი... მეგონა, შენ გინდოდა აქ ცხოვრება...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: მისი ლაპარაკიდან გამოდიოდა, რომ მე, ვინც უარი ვთქვი სანუკვარ ოცნებაზე — თეატრზე, ანდ ბევრი რამ გავიღე მსხვერპლად იმისათვის, რისთვისაც არასოდეს მნიშვნელობა არ მიმიცია, თურმე მე ვგიჟდები ამ ბინისთვის. ჩემთვის ყოველთვის სულ ერთი იყო, როგორ ბინაში ვიცხოვრებდი, ნაქირავებში თუ საკუთარში. მიეხვდე, ემილია რატომღაც ცდილობდა ყველაფერში მე გამოვეყვანე დამნაშავე. მისი მხრივ, ეს დიდი უსამართლობა იყო. რა საჭიროა ასეთი გულქვაობა, მე მხოლოდ ის გავახსენე, რაც წინათ ძალიან უნდოდა ჰქონოდა და ახლა კი უარს ამბობს. თუმცა რა შუაშია ბინა, აქ სულ სხვა რამ არის მთავარი.

— მოვეშვათ ბინას. — ვცდილობდი ხმა შემერბილებინა და მშვიდად, გონივრულად მელაპარაკა: — ბინაზე სრულებით არ მინდა შენთან ლაპარაკი, სულ სხვა რამეზე მტკივა გული... შენს ჩემდამი გრძნობაზე... გუშინ, არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ნამდვილად იცრუე, როცა მითხარი, მიყვარხარო... დარწმუნებული ვარ, ეს ტყუილია და ამიტომაც არ მინდა კინოში მუშაობა... აქამდე თუ ვმუშაობდი, მხოლოდ შენი გულისთვის ვმუშაობდი. ახლა კი, როცა ვიცი, აღარ გიყვარვარ, ჩემთვის არავითარი აზრი აღარ აქვს სცენარებზე მუშაობას.

— კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ გატყუებ? ეგ რამ გაფიქრებინა?

— არაფერმა და ყველაფერმა... ამის თაობაზე გუშინ უკვე ვილაპარაკეთ და არ მინდა ახლა კვლავ დავუბრუნდეთ... არის ისეთი რამ,რომლის ახსნა არ შეიძლება, ამას გრძნობ მხოლოდ... ჰოდა, ვგრძნობ, რომ აღარ გიყვარვარ...

ამ სიტყვებზე ემილიას, პირველად მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში, თავისდა უნებურად გულახდილად აღმოხდა:

— რას ჩამაცივდი, რაში გჭირდება ამის გაგება? — თქვა მოულოდნელად ნაღვლიანი და დაღლილი ხმით, თან ფანჯარაში იხედებოდა. — რად გინდა... მოეშვი... გარწმუნებ, ორივესათვის ასე სჯობია...

— მაშასადამე, — შევაწყვეტინე სიტყვა, — შენ აღიარებ, რომ მე არ ვცდები და ჩემი ეჭვები მთლად უსაფუძვლო არ არის?

— არა, არაფერსაც არ ვაღიარებ... მინდა მხოლოდ რომ მომეშვა... ნუ ჩამაცივდი, ძალიან გთხოვ თავი დამანებე... — ეს სიტყვები თითქმის ტირილით წარმოთქვა. შემდეგ დასძინა: — მე წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი!

ამ სიტყვებზე ფეხზე წამოდგა და კარისაკენ გაეშურა. უცებ ხელი მაჯაში წავავლე და შევაჩერე. სხვა დროსაც ასე ვიცოდი ხოლმე, როცა მეტყოდა, უნდა გავიდეო, მოულოდნელად ხელს წავავლებდი ხოლმე გრძელსა და ნატიფ მაჯაში, რაც მოულოდნელად მწველი სურვილით მანთებდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა, ამიტომ მორჩილად ჩერდებოდა, მოთმინებით ელოდა ჩემს ალერსს. დამჯდარივე მოვხვევდი ხოლმე ხელს ფეხებზე, მოვიზიდავდი, სახეს მის მკერდში ჩავმალავდი, ან მუხლებზე დავისვამდი. ეს ყველაფერი ცოტაოდენი წინააღმდეგობისა და ალერსის შემდეგ თავდავიწყებით მთავრდებოდა იქვე, სადაც ვიყავით ,სავარძელსა თუ დივანზე. ამჯერად კი ჩემს ქცევაში გრძნობა არ ერია, რის გაფიქრებამაც გული მწარედ მატკინა.

არც ახლა დამსხლტომია ხელიდან. ამჯერადაც იდგა და ზემოდან დამყურებდა დამჯდარს.

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, რა გინდა ჩემგან?!

— სიმართლე.

— შენ მაინცდამაინც გინდა ჩვენი ურთიერთობა გაუარესდეს... აი, რა გინდა!

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ სიმართლე არც ისე სასიამოვნო იქნება ჩემთვის, გულს მატკენს, ხომ?

— მე ეგ არ მითქვამს...

— ახლა არა თქვი, გინდა რომ ჩვენი ურთიერთობა გაუარესდეს?

— ეს ისე ვთქვი.: ახლა კი გამიშვი...

მაგრამ ადგილიდან არც დაძრულა, არც ხელის განთავისუფლება უცდია. უბრალოდ, იდგა და მოთმინებით იცდიდა, თვითონ როდის გავუშვებდი. მის ასე ცივსა და ზიზღით სავსე მოთმინებით ლოდინს ათასჯერ მერჩია გაცხარებულიყო, უხეშად მომქცეოდა.

ხელები შემოვხვიე ფეხებზე იმ იმედით, იქნებ ჩამქრალი სიყვარული გავუღვივო-მეთქი. ემილიას გრძელი, ფართონაოჭებიანი კაბა ეცვა და, როგორც დაშვებული აფრა შემოევლება ხოლმე ხომალდის ანძას, ისე შემოვავლე კაბის კალთები მის ჩამოსხმულ, მკვრივ ფეხებს და ვიგრძენი, როგორ აღმეძრა დაუმორჩილებელი და ამავე დროს განუხორციელებელი მწველი სურვილი ემილიას დაუფლებისა. გულდამძიმებულმა ავწიე თავი და ვკითხე:

— ემილია, რას მერჩი, რა გინდა ჩემგან?

— სრულიადაც არაფერი. ახლა კი გამიშვი!

მთელი ძალით მოვეხვიე ფეხებზე, თავი კაბის კალთებში ჩავრგე. წინათ ცოტა ხნის შემდეგ თავზე მისი ხელის შეხებას ვიგრძნობდი ხოლმე. ნაზად, ალერსით მისვამდა ხელს და ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩემს სურვილს თანაუგრძნობდა. ახლა კი მისი ხელი უმოძრაოდ და უსიცოცხლოდ ეკიდა. მისმა ასეთმა განსხვავებულმა საქციელმა წინანდელსა და დღევანდელს შორის გული მატკინა. ფეხებზე ხელი შევუშვი და ახლა მაჯაში ვწვდი გამწარებული:

— არა, არ წახვიდე... ახლავე, ამ წუთში სიმართლე უნდა მითხრა... აქედან ვერსად ვერ წახვალ მანამ, სანამ სიმართლეს არ მეტყვი.

ის იდგა და კვლავ ზემოდან დამყურებდა. მე თავჩაქინდრული ვიჯექი და თუმცა მის სახეს ვერ ვხედავდი, მაინც ვგრძნობდი, როგორ ყოყმანობდა იგი, რაღაცის თქმა სურდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა ეთქვა:

— ღმერთმა იცის, თანახმა ვიყავი ყველაფერი წინანდებურად ყოფილიყო, ორივესთვის უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ რაკი ასე ისურვე... რაკი სიმართლე გინდა იცოდე, გეტყვი... მე მართლა აღარ მიყვარხარ...

ადამიანებს ძალგვიძს უამრავი უსიამო ამბავი, ათასი უბედურება წარმოვიდგინოთ და ვივარაუდოთ კიდეც, რომ ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაგვატყდეს თავზე, მაგრამ როცა ეს წარმოდგენები, უფრო სწორად, ეს ვარაუდი გამართლდება და თანაც გამართლდება მოულოდნელად, მაშინ კი აღარაფერი დაგვრჩენია გულის ტკივილის გარდა.

თუმცა დიდი ხანია ვგრძნობდი, ემილიას აღარ ვუყვარდი, მაინც პირადად მისმა ნათქვამმა სიმართლემ სხვანაირად იმოქმედა. აღარ ვუყვარვარ — ამ სიტყვებს ხომ გუნებაში არაერთხელ ვიმეორებდი, მაგრამ ახლა მათ თავზარი დამცეს და სულ სხვა, ახალი მნიშვნელობა მიიღეს. ეს უკვე სინამდვილე იყო და არა ვარაუდი. უფრო მეტიც, მწარე სინამდვილე. ახლა ეს სიტყვები ნათლად ჩამოყალიბდა ჩემს გონებაში, რაც აქამდე ყოველთვის ბუნდოვნად მესახებოდა. ახლა უკვე აღარ მახსოვს კარგად, როგორ შევხვდი ამ სიტყვებს.

ალბათ იმ ადამიანივით ამიტანა ძაგძაგმა, რომელიც ყინულივით ცივი შხაპის ქვეშ დადგა, თუმცა იცოდა, რომ წყალი ცივი იქნებოდა. ვცადე ჩამეხშო ამ სიტყვებით გამოწვეული მწვავე ტკივილი და შეძლებისდაგვარად მშვიდად, ტკბილად განმეგრძო დაწყებული საუბარი:

— ემილია, მოდი აქ, დაჯექი და ამიხსენი, რატომ აღარ გიყვარვარ.

ემილია მორჩილად ჩამოჯდა დივანზე და ცოტა გაბრაზებით მიპასუხა:

— რა უნდა გითხრა, აღარ მიყვარხარ, მორჩა და გათავდა. ესაა და ეს, რაც შემიძლია გითხრა.

რაც უფრო ვცდილობდი თავს მოვრეოდი და აუღელვებლად მელაპარაკა, მით უფრო ეკალივით მჩხვლეტდა გულზე მისი სიტყვებით მოყენებული აუტანელი ტკივილი. ნაძალადევი ღიმილით ვუთხარი:

— ემილია, ერთში მაინც უნდა დამეთანხმო, მოვალე ხარ ცოტათი მაინც ამიხსნა მიზეზი... მსახურს რომ ითხოვენ სახლიდან, მიზეზს ხომ იმასაც უხსნიან...

— აღარ მიყვარხარ, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— კი მაგრამ, რატომ?.. ადრე ხომ გიყვარდი?

— ჰო, მიყვარდი და ძალიანაც... მაგრამ ახლა აღარ მიყვარხარ.

— მართლა ძალიან გიყვარდი?

—ჰო, ძალიან, მაგრამ ახლა ყველაფერი დამთავრდა.

— კი მაგრამ, რატომ? რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს?..

— მიზეზი?.. შესაძლოა კიდეც არის... მაგრამ ამის ახსნა არ შემიძლია... მხოლოდ ის ვიცი, რომ აღარ მიყვარხარ.

— ნუ იმეორებ ეგრე ხშირ-ხშირად, — ჩემდა უნებურად ალმომხდა ხმამაღლა.

— თვითონ მაიძულებ გავიმეორო... არ გინდა გაიგო ჩემი ნათქვამი, ამიტომაც ვიმეორებ.

— კმარა, გავიგე..

სიჩუმე ჩამოვარდა. ემილიამ სიგარეტს მოუკიდა, თავი არ აუწევია, ისე ეწეოდა სიგარეტს. მე თავი ხელებში მქონდა ჩარგული, ბოლოს ვთქვი:

— რომ დაგისახელო მიზეზი, დამეთანხმები?

— როგორ უნდა დაგეთანხმო, როცა მიზეზი თვითონაც არ ვიცი.

— მე თუ გეტყვი მიზეზს, შეგიძლია დამეთანხმო ან უარი თქვა?

— კარგი,რა გაეწყობა, თქვი!

მინდოდა მთელი ძალით მეყვირა, ასე ნუ მელაპარაკები-მეთქი, რადგან გულზე მომხვდა მისი აუღელვებელი, ცივი და გულგრილი კილო, მაგრამ თავს მოვერიე და ვცადე ისევ მშვიდად მელაპარაკა:

— გახსოვს ის ქალიშვილი, რამდენიმე თვის წინ სახლში რომ მოდიოდა ჩემი სცენარის დასაბეჭდად?.. აი, ის მემანქანე.. შენ რომ შემოგვისწარი კოცნის დროს... რა თქმა უნდა, მაშინ სულელური სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ, გეფიცები, ის კოცნა პირველი და უკანასკნელი იყო. იმის შემდეგ ის ქალიშვილი არსად მინახავს. მითხარი, მიზეზი ხომ ის კოცნა იყო, ჩემი სიყვარული გულიდან რომ ამოგაღებინა? სიმართლე მითხარი... ნუთუ ამ კოცნისათვის აიყარე ჩემზე გული?

ლაპარაკის დროს ყურადღებით ვაკვირდებოდი ემილიას. თავდაპირველად მის სახეზე გაკვირვება გამოისახა, შემდეგ უარყოფის ნიშნად ისე გააქნია თავი, თითქოს, აქაოდა, შენი ვარაუდი სრული უაზრობაა. მერე ნათლად დავი-

ნახე, გამომეტყველება უცებ შეიცვალა. თითქოს რაღაც აზრი დაებადაო, და წყნარად მიპასუხა:

— ვთქვათ, ეგ კოცნაა მიზეზი... ახლა ხომ დამშვიდდი?

მივხვდი, ეს კოცნა არც ახსოვდა. მაგრამ ახლა რატომღაც უნდოდა/დაგერწმუნებინე, მიზეზი ეგ არისო. ყველაფერი ნათელი იყო: ემილია პირველად გააკვირვა ჩემმა ვარაუდმა, ისე შორს იყო სინამდვილისგან. შემდეგ კი, უცებ გადაწყვიტა დამთანხმებოდა და ამით მოვეცილებინე: ვიგრძენი, ემილიას ჩემდამი გულგრილობის მიზეზი უფრო ღრმა იყო, ვიდრე ის უცოდველი კოცნა. ეტყობა, ნამდვილი მიზეზის თქმა უჭირდა, არ უნდოდა მოვეშხამე, რადგან ჯერ კიდევ არ გაქრობოდა ჩემდამი პატივისცემა. ვიცოდი, ემილია ბუნებით არ იყო ცუდი ადამიანი, არ შეეძლო ვინმეს წყენინება, რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ნამდვილ მიზეზს არ მიმხელდა, არ უნდოდა გული მოეკლა ჩემთვის.

ტკბილად ვუთხარი:

— რატომ ტყუი, ის კოცნა არ არის მიზეზი...

მან გაიკვირვა:

— რატომ?.. ხომ გითხარი, მიზეზი ეგ არის-მეთქი.

— არა, მიზეზი სულ სხვა რამეა...

— არ მესმის, რა გინდა მაგით თქვა.

— მშვენივრად იცი.

სახეზე მოუთმენლობა გამოეხატა და თითქოს პატარა ბავშვს ჭკუას არიგებსო, იმ კილოზე დამიწყო ლაპარაკი:

— კი მაგრამ, რაში გჭირდება ამის ცოდნა?.. რა კაცი ხარ, ვერ გამიგია. ჩაციება გიყვარს.. შენთვის სულერთი არაა?

— არ არის სულერთი, მირჩევნია სიმართლე ვიცოდე, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ვიდრე ტყუილით დავკმაყოფილდე... გარდა ამისა, თუ სიმართლეს არ მეტყვი, ვინ იცის, რამდენი რამ შემიძლია წარმოვიდგინო, შესაძლოა ძალიან ცუდიც...

ერთი წუთით გაჩუმდა, შემდეგ კი რაღაც უცნაურად შემომხედა:

— რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? შენ ხომ სინდისი სუფთა გაქვს.

— მე, ჰო, რა თქმა უნდა.

— ჰოდა, აბა სხვისა რაში გეკითხება შენ?

— მაშასადამე, არ შევმცდარვარ, ნამდვილად უფრო ცუდი რამაა მიზეზი, — არ მოვეშვი მე.

— მე ეგ არ მითქვამს... მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ შენ თუ სინდისი სუფთა გაქვს, ის კოცნა არ უნდა გაღელვებდეს-მეთქი.

— სინდისი სუფთა მაქვს, მართალია, მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან ზოგჯერ სინდისიც ტყუის...

— ყოველ შემთხვევაში, შენი არა, ხომ მართალია? — თქვა ოდნავ შესამჩნევი ირონიით, მაგრამ ეს ირონია მე არ გამომპარვია, ამან უფრო მატკინა გული, ვიდრე მისმა გულგრილმა კილომ.

— შეიძლება ჩემიც... — ვუპასუხე.

— ჰო, კარგი, კარგი, უნდა წავიდე. — თქვა მოულოდნელად. — კიდევა გაქვს რამე სათქმელი?

— არა, შენ ვერსად ვერ წახვალ, სანამ სიმართლეს არ მეტყვი.

— უკვე გითხარი: აღარ მიყვარხარ.

გულში ისარივით მეძგერა ეს ორი სიტყვა, გავფითრდი და თითქმის ტირილით წამოვიძახე:

— ხომ გთხოვე, მაგ სიტყვებს ასე ხშირად ნუ იმეორებ-მეთქი!.. გულსა მტკენ.

— შენ მაიძულებ გავიმეორო, თორემ არც მე მეხალისება მაგის თქმა.

— რატომ გინდა დამარწმუნო, რომ ვითომ იმ სულელური კოცნის გამო გადამიყვარე? — ხმამაღლა მოვყევი ფიქრს, — ის კოცნა ნამდვილად არაფერ შუაშია. ის ქარაფშუტა გოგო მეტი აღარსად მინახავს. ეს ყველაფერი შენ კარგად იცი და გაგეგება... აღარ გიყვარვარ, ამას წყალი არ გაუვა. — ახლა უკვე ნელა ვლაპარაკობდი, საჭირო სიტყვებს ვეძებდი, რათა ჯეროვნად, დალაგებულად გამომეთქვა ჯერ კიდევ ბუნდოვანი ვარაუდი, — არა, მხოლოდ მაგიტომ არ გადამიყვარებდი.. შენს ცხოვრებაში ნამდვილად მოხდა რაღაც ისეთი, რამაც გული გაგიცივა. ან უფრო სწორად რომ ვთქვა, ჯერ აზრი შეგიცვალა, შემდეგ კი გრძნობაც...

ეტყობა,რაღაც ენიშნა ემილიას, ჩემი მსჯელობით გაოცებულმა — გულწრფელად, ლამის შექებით წარმოთქვა:

— უნდა ვაღიარო, ჭკვიანი ყოფილხარ...

— მაშ, მართალი ვარ...

— მე ეგ არ მითქვამს...მხოლოდ ის აღვნიშნე, ჭკვიანი ყოფილხარ-მეთქი.

ვცდილობდი ჭეშმარიტების დადგენას და ვგრძნობდი, სულ ახლოს ვიყავი მასთან.

— მაშასადამე, ვიდრე ის რაღაც მოხდებოდა, კარგი შეხედულებისა იყავი ჩემზე, შემდეგ კი აზრი შეგეცვალა და გულიც აიყარე...

— შესაძლოა ეგრეც იყოს...

გაუსაძლისად დამიმძიმდა გული. საკუთარი აუღელვებელი და მშვიდი კილო თავადვე მომეჩვენა ყალბი. სინამდვილეში ბოლმა ამოხეთქვას ლამობდა, უიმედობისგან სასოწარკვეთილი თავს ვაიძულებდი, მშვიდად განმესაჯა ყოველივე. რაში მჭირდებოდა ეს მოჩვენებითი, ყალბი კილო? თვითონაც არ ვიცოდი, იმ წუთში რა დამემართა. სანამ გონს მოვიდოდი, ფეხზე წამოვხტი და მთელი ძალით ვიყვირე:

— ხომ არ გგონია, ცარიელი ლაპარაკისთვის ვიკლავ თავს!

უცებ ვეცი ემილიას, ხელები ყელში წავუჭირე და დივანზე დავახეთქე.

—სიმართლე მითხარი, ახლავე, ამ წუთში!

მისი ჩამოსხმული სხეული, ასე ძალიან რომ მიყვარდა, ახლა ჩემი სხეულის ქვეშ ფართხალებდა. ემილიას სახე წამოუწითლდა, გაუსივდა, ალბათ ძალიან ვუჭერდი ხელებს, ცოტაც და დავახრჩობდი. — ახლავე, ამ წუთში სიმართლე მითხარი!

მისი დუმილით გააფთრებულმა გაორკეცებული ძალით წავუჭირე ხელები ყელში, თავში გამელვა: „ახლა კი ნამდვილად შემომაკვდება, მაგრამ სჯობს მოკვდეს, ვიდრე ჩემი მტერი იყოს“. ვიგრძენი, როგორ ცდილობდა ემილია მუხლი ჩემთვის ამოერტყა. კიდეც შესძლო, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ სიმწრისაგან სუნთქვა შემეკრა და ისეთივე ტკივილი მომაყენა, როგორც მისმა ნათქვამმა — „აღარ მიყვარხარ“... ეს დარტყმა ნამდვილად მტრის დარტყმას ჰგავდა, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი ტკივილი მიაყენოს მოწინააღმდეგეს. მაგრამ იმავე წუთს ჩემი გაშმაგებაც დაცხრა: ოდნავ შევუშვი კისერზე მარწუხებივით შემოჭერილი თითები. თავი გაინთავისუფლა თუ არა,

ისეთი ძალით მიბიძგა, კინაღამ დივანიდან გადმომაგდო, სანამ გონს მოვიდოდი, გააფთრებულმა მომახალა:

— მეზიზღები, მხოლოდ ზიზღსა ვგრძნობ შენ მიმართ. ზიზღია მიზეზი, რომ ალარ მიყვარხარ, ყოველ შენს შეხებაზე გული მერევა... აი ხიმარილე თუ გინდა. მეზიზღები, მძულხარ!

წამოვდექი, მთელი სხეული მიცახცახებდა. უცებ ჩემი მზეთა[illegible] მძიმე ბროლის საფერფლეს მისწვდა. ხელი გავიშვირე მის ასაღებ[illegible] გაიფიქრა, ახლა კი ნამდვილად მომკლავსო, შეშინებულმა წამოიყვირა და სახეზე ხელები აიფარა. მაგრამ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა მიხსნა, არ ვიცი, თავს როგორ მოვერიე, საფერფლე ისევ მაგიდაზე დავდე და ოთახიდან გავედი.

თავი მეათე

როგორც უკვე ვთქვი, ემილიას დიდი განათლება არ ჰქონდა მიღებული. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სულ რაღაც ორიოდე წელი იარა საშუალო სასწავლებელში და მერე თავი მიანება. შეისწავლა მანქანაზე ბეჭდვა, სტენოგრაფია და უკვე თექვსმეტი წლისა ერთი ადვოკატის კანტორაში მუშაობდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ როგორც იტყვიან ხოლმე, კარგი ოჯახიდან იყო. წარსულში დიდი შეძლება და გარკვეული ქონებაც ჰქონიათ მის წინაპრებს რომის გარეუბანში, მაგრამ მის თავქარიან პაპას მთელი მამულები კომერციულ სპეკულაციაში გაენიავებინა, მამა კი სიკვდილამდე ფინანსთა სამინისტროს უბრალო მოხელედ დარჩენილა. ისე რომ, ემილია სიღარიბეში გაიზარდა. მისი აღზრდისა და გონების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მას ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულ ქალებს მივაკუთვნებდით. ამ ქალებივით მასაც მხოლოდ თავისი საზრიანობის იმედი ჰქონდა და მართლაც, ამ ერთადერთი, ღვთისგან მომადლებული ნიჭის წყალობით, ჩემდა განსაცვიფრებლად, ემილია შეუცდომლად მსჯელობდა ხოლმე ამა თუ იმ მოვლენებზე. დაბალი წრიდან გამოსულ ხალხს სჩვევია ასე და ეს ალბათ იმიტომ, რომ ისინი უფრო ახლოს არიან ბუნებასთან და თავი გამოტენილი არა აქვთ ათასგვარი პირობითობითა და სხვათა შეხედულებებით. ემილია მოუფიქრებლად არაფერს იტყოდა. ამიტომაც იყო მისი ნათქვამი ყოველთვის პირდაპირი, გულწრფელი და დამაჯერებელი. მაგრამ თვითონ ემილიას თავისი მსჯელობა არასოდეს მიაჩნდა საკმარისად გამართულად და ჩამოყალიბებულად და მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ცდილობდა ხოლმე დასარწმუნებლად მეტი საბუთი მოეტანა, ნათქვამი უფრო საფუძვლიანი გაეხადა. ამიტომაც იყო, რომ ემილიას წამოსროლილ სიტყვების სიმართლეში — მეზიზღებიო — ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. თუმცა სხვა ქალისგან იგივე რომ გამეგონა, შესაძლოა არაფრად ჩამეგდო. მაგრამ ეს სიტყვა ემილიამ თქვა და, მაშასადამე, მართალი თქვა, მაშასადამე, — ნამდვილად ვეზიზღებოდი და ამ შემთხვევაში მე ულონოდ ვიყავი. ემილიას ბუნებაც რომ არ მცოდნოდა, მარტო კილო, რითაც ეს სიტყვა წარმოთქვა, ყოველგვარ ეჭვს ფანტავდა. ეს იყო მართალი სიტყვა, ეს იყო იმ ადამიანის ნათქვამი სიტყვა, ვისაც შესაძლოა ცხოვრებაში არც არასოდეს უთქვამს, მაგრამ რაკილა შემთხვევა მიეცა, გულის სიღრმიდან ამოისროლა და ამოხეთქა. ასე სჩვევიათ ხოლმე გლეხებს: საუბრობენ სოფლურ, კუთხურ ყაიდაზე და უცებ ისეთ მნიშვნელოვან, ღრმააზროვან, ზუსტად მორ-

გებულ სიტყვას ჩაურთავენ, რომ გაგიკვირდება, გლეხის პირით ნათქვამი დაუჭერებელი გეჩვენება.

„მეზიზღები", — ამ სიტყვაში ისეთივე დამაჯერებლობა და სიმართლე იყო ჩაქსოვილი, როგორც ემილიას ნათქვამ სრულიად საწინააღმდეგო სიტყვაში „მიყვარხარ", — სიყვარულში რომ გამომიტყდა პირველად, და როცა ეს საერთო მსგავსება აღმოვაჩინე, გული ტკივილმა დამისერა.

ისე ღრმად ვიყავი დარწმუნებული ამ სიტყვის სიწრფელეში და სიმართლეში, რომ კაბინეტში მარტო დარჩენილი უთავბოლო ბოლთის ცემას მოვყევი, ნერვიულობისგან ხელებს ვიმტვრევდი, თვალებს უაზროდ ვაცეცებდი. არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავი. ეს სიტყვა ეკალივით მჩხვლეტდა გულზე და გაუსაძლისად მტკენდა და ამ ტკივილის გარდა ველარაფერს ვგრძნობდი. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, იმის შეგნება მტანჯავდა, რომ ემილიას არა მარტო არ ვუყვარდი, არამედ ვეზიზღებოდი კიდეც. ამაოდ ვეძებდი საკუთარ თავში ისეთ რამეს, თუნდაც უმნიშვნელოს, რითაც შემეძლო მისი ზიზღი გამომეწვია. ვგრძნობდი, დაუმსახურებლად მაწყენინეს. მაგრამ თან შიში მიპყრობდა, იქნებ ეს ზიზღი საფუძვლიანია, იქნებ რაღაც ობიექტურ მიზეზზეა დამყარებული, იქნებ მე ვერ ვამჩნევ ამ მიზეზს, სხვებისთვის კი აშკარა და თვალნათლივია-მეთქი. აქამდე ასე მეგონა. მთლად პატივისცემას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შებრალებანარევ პატივისცემას მაინც ვიმსახურებდი იმ უიღბლო კაცივით, ვისაც ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ ზიზღს კი არაფრით არ მოველოდი. ემილიას წამოსროლილმა სიტყვამ მთლად თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეპარა ეჭვი საკუთარი თავის შეცნობაში: თურმე აქამდე მცდარი აზრისა ვყოფილვარ საკუთარ თავზე.

ემილიას სიტყვით დანთებული ხანძარი ტვინს მიწვავდა. სააბაზანოში შევედი და თავი შხაპს შევუშვირე. ყინულივით ცივმა წყალმა ცოტა გამომაკეთა. პირი დავიბანე, თმა დავივარცხნე, ჰალსტუხი გავიკეთე და სასტუმრო ოთახში დაებრუნდი. გაწყობილი სუფრის დანახვაზე კვლავ აღვშფოთდი. ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. განა შეიძლებოდა წინანდებურად მივსხდომოდით სუფრას იმ ოთახში, სადაც ემილიას გულისგამგმირავი სიტყვები ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა?! სწორედ იმ წუთში კარი გაიღო და ზღურბლზე ემილია გამოჩნდა. სახეზე უკვე ჩვეული წყნარი და აუღელვებელი იერი ედო. არც შემიხედავს, ისე ვუთხარი:

— ამ საღამოს არა მსურს სახლში ვივახშმოთ... მოსამსახურე გააფრთხილე, მივდივართ-თქო... ჩაიცვი ჩქარა, რესტორანში მივდივართ...

გაკვირვებულმა შემომხედა:

— კი მაგრამ, სუფრა უკვე გაწყობილია, ხომ არ გადავყრა!

უცებ ავენთე:

— კმარა! გადაყარე, რაც გინდა ის ქენი, ახლა კი სასწრაფოდ ჩაიცვი, მივდივართ...

არც ახლა შემიხედავს მისთვის, მხოლოდ მომესმა, როგორ ჩაილაპარაკა:

— არ მესმის, რა საქციელია... — და კარი გაიხურა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან გავედით. ვიწრო ქუჩაში, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულიყვნენ ჩვენი სახლივით ვერანდიანაივნიანი ერთნაირი ახალი სახლები, ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანა გვიცდიდა. იგი საცოდავად ჩაკარგულიყო გაკრიალებული, მდიდრული მანქანების

ზღვაში. ამ ახალი შენაძენისა და ბინის ვალის გადახდასაც მომავალი სცენარის ჰონორარის იმედით ვაპირებდი. სულ რამდენიმე თვე იყო, რაც მანქანა ვიყიდე, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამომნელებოდა ის ბავშვური პატივმოყვარეული გრძნობა, რასაც მსგავსი ფუფუნების საგნების შეძენა იწვევს ხოლმე. ამგვარამ ამ სალამოს, როცა მე და ემილია ერთმანეთის გვერდიგვერდ უსიტყვოდ მდუმარედ მივდიოდით მანქანისაკენ, მწარედ გავიფიქრე: „ისევ როგორც ბინას, ამ მანქანასაც მსხვერპლად შევწირე მთელი ჩემი საუკეთესო [illegible] ბები და შევწირე თურმე ამაოდ, თურმე არავის სჭირდებოდა ეს მსხვერპლი". და მართლაც იმ წუთში განსაკუთრებულად შევიგრძენი, რა უაზროდ დაუპირისპირდა ერთმანეთს გაკრიალებული ავტომანქანებით გაჭედილი ქუჩა, — სადაც ყველაფერი ახალი და მდიდრული იყო, ჩვენი ბინა, — რომლის ფანჯრებიც მესამე სართულიდან გადმოგვყურებდა, მანქანა, — რომელიც სადარბაზოს შორიახლოს გველოდა — და სულისშემძვრელი გრძნობა თავს დატეხილი უბედურებისა. სწორედ ამ უკანასკნელის გამო ყველაფერი მეჩვენებოდა ამაო და გამაღიზიანებელი.

მანქანაში ჩავჯექი და ვიდრე ემილია არ მოკალათდა, კარის მოსახურად ხელი არ გამიწევია. ჩვეულებრივ, როცა ამას ვაკეთებდი, ხელისგულებით მის მუხლებს ვეხებოდი, ან ლოყაზე ნაზად ვკოცნიდი ხოლმე. მაგრამ ამჯერად უნებურად ერთსაც და მეორესაც თავი მოვარიდე და ხმაურით მოვიხურე მანქანის კარი.

მცირე ხანს ორივე ვდუმდით. შემდეგ სიჩუმე ისევ ემილიამ დაარღვია:

— საით მივდივართ?

ცოტა ხანს ვიყუჩე, შემდეგ კი ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ალაღბედზე წამოვისროლე:

— აპიის გზაზე...

ემილიამ ოდნავი გაოცებით თქვა:

— რა დროს აპიის გზაზე წასვლაა. შეგვიცვდება. თანაც ახლა იქ არავინ იქნება...

— ნუ იქნება, ჩვენ ხომ ვიქნებით...

ის გაჩუმდა. მთელი სისწრაფით მივაქროლებდი მანქანას აპიის გზისაკენ. ჩვენს კვარტალს გავცდი, ქალაქის ცენტრი გადავჭერი და ტრიუნფისა და პასეჯიატა არქეოლოჯიკას ქუჩაზე გავედი. უკვე გამოჩნდა ქალაქის უძველესი დახავსებული კედლები, ბოსტნები, ბაღები, ხეებში ჩამალული საგარაჟო სახლები აპიის გზის დასაწყისში. აი, ფარნების მკრთალი შუქით განათებული კატაკომბების შესასვლელი. მართალი იყო ემილია: აქ სულიერი არ ჭაჭანებდა.

შევედით რესტორანში, რომელიც არქეოლოგების სახელს ატარებდა. ძველებურ ყაიდაზე ამოყვანილ, უხეშად თლილი ქვის კედლებზე აქა-იქ დაეტანებიათ მარმარილოს ნატეხები — საფლავის ქვების ნაწილები, და დარბაზიც თიხის ამფორებით მოერთოთ.

რესტორანში ცარიელი მაგიდებისა და ოფიციანტების გარდა არავინ დაგვხვდა. მარტო აღმოვჩნდი ამ უკაცრიელ და ცივ დარბაზში. სინანულით გავიფიქრე, ცნობისმოყვარე უსაქმო ოფიციანტებით გარეშემოჯარული ალბათ ვერც მოვახერხებთ ჩვენი ურთიერთობის გარკვევას-მეთქი. შესაძლოა პირიქითაც მომხდარიყო. უცებ მივხვდი: შემთხვევითი არ იყო, ასე საძაგელი ამინდის მიუხედავად, ჩემი არჩევანი სწორედ ამ რესტორანზე რომ შეჩერდა. ჩვე-

ნთვის იმ ბედნიერ დროს, იმ ორ წელიწადს, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, ყოველთვის აქ ვვახშმობდით ხოლმე.

თვალისდახამხამებაში გაჩნდნენ ჩვენ წინ ოფიციანტი და ბარმენი. ერთი კერძების მენიუს გვთავაზობდა, მეორე — სხვადასხვა მარკის საუკეთესო ღვინოებს. კერძებს ვარჩევდი, თან ემილიას ვუთანხმებდი, მოიყვარულე და მზრუნველი ქმარივით.

ემილიას თვალები დაეხარა და თავაუღებლივ მხოლოდ ერთი სიტყვით მპასუხობდა:

— ჰო... არა... კარგი...

ერთი ბოთლი ძვირფასი ღვინოც დავუკვეთე, რაზედაც ემილიამ გადაჭრით განაცხადა, არ დავლევო.

—მე დავლევ, — ვთქვი მე.

ბარმენმა შეთქმულივით გამიღიმა და ოფიციანტთან ერთად გაშორდა ჩვენს მაგიდას.

არ მინდა აღვწერო ამ ვახშმობის თვითეული წვრილმანი, მსურს მხოლოდ დავხატო იმსალამომდელი ჩემი სულიერი მდგომარეობა ასე ახალი და უჩვეულო, რომელსაც შემდეგში ჩვეულებრივ მოვლენად გახდომა ეწერა.

ამბობენ, ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ენერგიის დახარჯვა არ გვიწევს, ყველა მოქმედება სრულდება დროთა განმავლობაში გამომუშავებული ავტომატიზმის წყალობით. ბევრ მოძრაობას ჩვენ სრულიად ანგარიშმიუცემლად ვასრულებთ. ერთი ნაბიჯიც რომ გადავდგათ, ამ საქმიანობაში არაერთი კუნთი მონაწილეობს. მაგრამ ამას ვერ ვამჩნევთ. სწორედ ასევეა ადამიანთა ურთიერთობაშიც. სანამ მჯეროდა, რომ ემილიას ვუყვარდი, ერთგვარი ბედნიერების ავტომატიზმი მართავდა ჩვენს ურთიერთობას. გონების შუქით განათებული იყო ჩემი მოქმედების მხოლოდ გარეგნული მხარე, დანარჩენი კი — გაუცნობიერებელი — დიდი სიყვარულით ალსავსე ჩვენების წყვდიადში რჩებოდა. მაგრამ ახლა, როცა სიყვარულის ილუზია დამემსხვრა, აღმოვაჩინე, რომ თვითეულ ჩემს უმნიშვნელო მოქმედებასაც კი ვზომავდი, ვაკვირდებოდი — სასმელს ვთავაზობდი თუ მარილს ვაწოდებდი, სახეში შევხედავდი თუ თვალს მოვაცილებდი, თვითეული ჩემი მოძრაობა წინასწარ იყო მოფიქრებული და ამის შეგნება აუტანლად მტკენდა გულს, კიდევ უფრო მაგრძნობინებდა უძლურებასა და სასოწარკვეთილებას. მთლად შებოჭილად ვგრძნობდი თავს, გონებაამღვრეული, თითქოს დადამბლავებული ვიყავი. ყოველ განძრევაზე უნებურად თავს ვეკითხებოდი: სწორედ მოვიქეცი თუ არა? ერთი სიტყვით, დავკარგე ყოველგვარი შინაგანი კავშირი ემილიასთან, მავანთან და მავანთან მსგავს შემთხვევაში შესაძლებელია აღადგინო კავშირი, მაგრამ ემილიასთან ის მხოლოდ წარსულის დამარხულ მოგონებებადღა უნდა დამრჩენოდა. სიჩუმეს მხოლოდ ჩემი, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვები არღვევდა:

— ღვინოს დალევ? პური ხომ არ გინდა? ხორცი ხომ არ მოგაწოდო?

მსურს აღვწერო მხოლოდ ჩვენთვის გასაგები ამ დუმილის ხასიათი. ეს დუმილი ამ სალამოს პირველად გვეწვია, მაგრამ ალბათ არა უკანასკნელად. როგორც ჩანს, დღეის შემდეგ არც არასოდეს დაგვტოვებდა. ამ მძიმე, აუტანელ დუმილში ჩამალული იყო ჩვენი ღრმა განხეთქილება, იგი სავსე იყო იმ სიტყვებით, რომელიც უთქმელი დამრჩა დიდი სურვილის მიუხედავად, სურვილი სურვილად დამრჩა, რამეთუ ვერც სიტყვებს ვპოულობდი და ვერც

ძალას. მტრულ დუმილს ვერ დაარქმევდით ჩვენს დუმილს. ჩვენ (ყოველ შემთხვევაში, მე) არავითარ მტრობას არ ვგრძნობდით ერთმანეთის მიმართ, ერთადერთი რამ, რასაც ამ წუთში ვგრძნობდით, ეს იყო სრული უძლურება ყოველგვარი ახსნა-განმარტების მიმართ.

ძალიან მინდოდა ბევრი რამ მეთქვა მისთვის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ახლა სიტყვები ვერაფერს მიშველიდნენ, რომ გამიჭირდებოდა სასურველი კილოს მოძებნაც. ამიტომ დუმილს ვამჯობინებდი. მაგრამ ჩემი დუმილი თავაზიანობის იძულებითი სიმშვიდე როდი იყო, რომელიც მხოლოდ იმიტომ დუმს, რომ არაფერი აქვს სათქმელი. პირიქით, ლაპარაკის სურვილი მაშმაგებდა. რამდენი რამის თქმა მინდოდა ემილიასთვის! იმის შეგნება, რომ უძლური ვიყავი, სიმშვიდეს მიკარგავდა, გამოუთქმელი სიტყვები სულში ბორგავდნენ და ყელს ისე ეხებოდნენ, როგორც პატიმარი რკინის სარკმელს. მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ: ვგრძნობდი, ეს აუტანელი დუმილი ჩემთვის უკეთესი გამოსავალი იყო. თუნდაც ძალზე ტაქტიანად და რბილად რომ მეთქვა რამე, ვინ იცის, იქნებ უფრო უარესი საუბრის მოწმე გავმხდარიყავი, იქნებ უფრო მწარე სიტყვები მომესმინა ემილიასაგან, ვიდრე თვით ეს დუმილი იყო — მწარე და აუტანელი.

მაგრამ, საერთოდ, შეჩვეული არ ვიყავი დუმილს, ისე მივირთვით პირველი კერძი, შემდეგ მეორე, რომ სიტყვა არ დაგვიძრავს, ხოლო როცა ხილი მოგვიტანეს, ველარ მოვითმინე და ვკითხე:

— რატომ დუმხარ?

მან მაშინვე მიპასუხა:

— იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი.

ემილია არც მტრულად განწყობილი და არც გაბრაზებული ჩანდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, მის სიტყვებში სიმართლე გამოსჭვიოდა.

მოსამართლის კილოზე განვაგრძე:

— მომისმინე, ემილია, ცოტა ხნის წინ შენ ისეთი სიტყვები მითხარი, რაც შესაფერის ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

ემილიამ კვლავ გულწრფელად მიპასუხა:

— დაივიწყე ისინი... ვითომ არც მითქვამს.

— როგორ უნდა დავივიწყო? დავივიწყებდი მაშინ, რომ ვიცოდე, მართალი არაა... რომ ის სიტყვები მხოლოდ უნებურად წამოგცდა გაბრაზებისას...

ამჯერად ემილიას არაფერი უთქვამს, გაჩუმდა. კვლავ იმედის ნაპერწკალმა გამიელვა გულში. შეიძლება მართლაც ასე იყო: ჩემი უხეშობის პასუხად მომახალა, „მეზიზღებიო“.

— თქვი, ემილია, — არ ვეშვებოდი მე, — დღეს რომ გულისმომკვლელი სიტყვები მითხარი, ხომ არ არის მართალი. ხომ იმიტომ მითხარი, რომ იმ წუთში მოგეჩვენა, გეზიზღებოდი. გინდოდა ამით ჩემთვის შეურაცხყოფა მოგეყენებინა.

შემომხედა, კვლავ დუმდა. მომეჩვენა, — თუმცა შესაძლოა ვცდებოდე, მის დიდრონ და მუქ თვალებში ცრემლმა გაიკიაფა. გამბედაობა მოვიკრიბე, ემილიას თითებს დავწვდი, ხელში მოვიქციე და თითქმის მუდარით ვუთხარი:

— ემილია, რაც მითხარი, ხომ ტყუილია?

ამჯერად მან უჩვეულო ძალით გამომგლიჯა ხელი, მთელი ტანით შეტრიალდა, ზურგი შემაქცია და წარმოთქვა:

— არა, მართალია.

მისმა გულწრფელმა, მაგრამ სევდანარევმა პასუხმა განმაცვიფრა. მან თითქოს იცოდა, საკმარისი იყო იმ წუთში ტყუილი ეთქვა, რომ ყველაფერი გარეგნულად უცვლელად დარჩებოდა, დროებით მაინც. ნათლად დავინახე, რაღაც წამით თითქოს ცდუნებას ებრძოდა, ტყუილი ეთქვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. განუზომელი ტკივილი ვიგრძენი გულში, თავდახრილმა კბილებში გამოვცერი:

— ემილია, არის რაღაცა, რაც ასე უბრალოდ დაუჯერებელია. შეიძლება უთხრა ადამიანს, მით უმეტეს, საკუთარ ქმარს.

ემილიას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ლამის შეშინებულმა შემომხედა. ეტყობა, სახე ბრაზისგან დაღრეჯილი და შეცვლილი მქონდა.

ბოლოს მიპასუხა:

— თვითონ მკითხე და მეც გიპასუხე.

— შენ უნდა ამიხსნა...

— რა უნდა აგიხსნა?

— რადა, რა მიზეზით გეზიზღები?

— აჰ, ამას კი არასოდეს გეტყვი... სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი. — გამოაცა მისმა სიმტკიცემ, მაგრამ გაოცება მალე რისხვამ შეცვალა, მშვიდად ლაპარაკი აღარ შემეძლო:

— მითხარი, — და კვლავ ავიღე მისი ხელი, მაგრამ ამჯერად არცთუ ალერსიანად. — მითხარი, რატომ გეზიზღები?

— ხომ გითხარი, არ გეტყვი-მეთქი!

— მითხარი, თორემ, იცოდე, გატკენ. — მოთმინებადაკარგულმა მთელი ძალით, მარწუხებივით მოვუჭირე ხელი მის თითებს. ცოტა ხანს გაოცებული მიყურებდა; მერე ბრაზისაგან ტუჩები მოკუმა და ის ზიზღი, რაზეც აქამდე მხოლოდ ლაპარაკობდა, ახლა სახეზე გამოეხატა.

— გეყოფა, თავი გამანებე. — უხეშად წარმოთქვა. — კიდევ გინდა მატკინო?

სიტყვა „კიდევ" ისე ხაზგასმით თქვა, გულზე მომხვდა, თითქოს რომელიღაც წინანდელ წყენაზე გადამიკრა სიტყვა. წუთით სუნთქვა შემეკრა.

— გეყოფა... არა გრცხვენია? ოფიციანტები გვიყურებენ.

— მითხარი, რატომ გეზიზღები?

— კარგი ერთი, ნუ სულელობ, მომეშვი.

— მითხარი-მეთქი, რატომ გეზიზღები?

— გამიშვი ბოლოს და ბოლოს.

მან თითები გამომგლიჯა ხელიდან, ჭიქას გაჰკრა და იატაკზე გადააგდო. ჭიქა ხმაურით დაიმსხვრა. ემილია წამოდგა, კარისკენ გაემართა და ხმამაღლა მომიგდო;

— მანქანაში დაგელოდები, მანამ ფული გადაიხადე.

ემილია გავიდა. მაგიდასთან გახევებული და შემცბარი ვიჯექი არა იმდენად სირცხვილისაგან (მართალი აღმოჩნდა ემილია, იმ უსაქმო ოფიციანტებს მთელი საღამო თვალი არ მოუცილებიათ ჩვენთვის, არც ერთი სიტყვა და მოძრაობა არ გამოპარვიათ ჩვენი საუბრიდან), რამდენადაც განცვიფრებისაგან, გამოაცა მისმა უჩვეულო საქციელმა. აქამდე არასდროს დამლაპარაკებია ამ კილოზე, არასოდეს შეურაცხყვიფარ ასე. თანაც მისი ნათქვამი სიტყვა „კიდევ" ისევ ყურებში მედგა ახალ, უსიამო გამოცანასავით, რაც ახლა სხვა

თავსატეხთან ერთად უნდა ამომეხსნა. ნეტავ რაზე მანიშნებდა, კიდევ როდის მივაყენე ასეთი ტკივილი? ნეტავ რას გულისხმობდა ამ „კიდევ"-ში?

ალბათ ადრეც ვაწყენინე რაღაც, ხაზგასმით იმიტომაც მითხრა „კიდევ"-ო. საინტერესოა რას გულისხმობდა? ნეტავ როდის ვაწყენინე? ეს ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდა. ბოლოს და ბოლოს ოფიციანტი მოვიხმე, დაფული გადავიხადე. რესტორნიდან რომ გავედი, ვნახე, ამინდი მთლად გაფუჭებულიყო. დილიდან მოსაწყენი და ღრუბლიანი ამინდი იდგა, ახლა კი წვიმა სცრიდა. მალე სიბნელეში ემილიაც დავინახე. იგი მანქანასთან იდგა წვიმაში და მოთმინებით მელოდა. მანქანის გასაღები მე მქონდა.

— მაპატიე, დამავიწყდა, გასაღები თან რომ მქონდა, — უხერხულად ჩავილაპარაკე მე. პასუხად ემილიას წყნარი, დამშვიდებული ხმა მომესმა:

— არა უშავს, არც ისე წვიმს.

მისმა მორჩილმა პასუხმა — თუმცა ეს სიგიჟე იყო — კვლავ შერიგების იმედი გამიღვივა, განა ასე მშვიდად და ნაზად დაელაპარაკებიან ადამიანს, ვინც ეზიზღებათ? მანქანა გავაღე და საჭეს მივუჯექი. ემილიაც გვერდით მომიჯდა. ძრავა ჩავრთე და მოულოდნელი სიხარულით ატაცებულმა ლამის ხუმრობით ვუთხარი:

— აბა, ჩემო ემილია, საით ისურვებ გასეირნებას?

ემილია წინ იყურებოდა, არც მოუხედია, ისე მიპასუხა:

— არ ვიცი... საითაც გინდა...

სტარტერს ფეხი დავაჭირე და მანქანაც დაიძრა. როგორც უკვე ვთქვი, გაელვებულმა იმედის ნაპერწკალმა მეტად მხიარულ გუნებაზე დამაყენა. იმ წუთში ლამის ვირწმუნე, რომ თუ ჩვენს შორის მომხდარ უსიამოვნებას ხუმრობაში გავატარებდი და არაფრად ჩავაგდებდი, მდუმარების ყინულიც გალღვებოდა და ძველი ურთიერთობაც აღდგებოდა. თვითონაც არ ვიცოდი, რა მემართებოდა, ეტყობა, მეტისმეტი სასოწარკვეთილება მაგარ ღვინოსავით ამივარდა თავში, მოჩვენებით უდარდელობას მივმართე:

— ეგრე იყოს, ვიაროთ, სანამ გზა არ დაილევა...

ვგრძნობდი, ამ სიტყვების წარმოთქმისას ისევე სასაცილოდ გამოვიყურებოდი, როგორც კოჭლი კაცი, რომელიც ცდილობს რთული საცეკვაო ილეთი გააკეთოს. მეგონა, ჩემი მხარულება დაუშრეტელ ნაკადად იდინებდა, მაგრამ ის მხოლოდ პატარა რუ აღმოჩნდა. ემილიას ჯიუტმა დუმილმა სათავეშივე დაწყვიტა იგი. მთელი სიჩქარით მივაქროლებდი მანქანას აპიის გზაზე. ფარნების შუქზე წვიმის ბრჭყვიალა ძაფებში ხან კვიპაროსები გაიელვებდნენ, ხან ძველი ნანგრევები, ხან თეთრი მარმარილოს ქანდაკებები გაიელვებდნენ ჩვენს თვალწინ, ხან საგანგებოდ მოუასფალტებელი, უსწორმასწორო ქვებით მოკირწყლული ძველი რომის გზა. ცოტა რომ გავიარეთ, უცებ ყალბ, თეატრალურ ყაიდაზე წარმოვთქვი:

— მოდი ერთი წუთით დავივიწყოთ, ვინცა ვართ და წარმოვიდგინოთ, რომ ვითომ შეყვარებული სტუდენტები ვართ, მყუდრო ადგილს ვეძებთ, რათა უცხო თვალთაგან მოფარებით თავისუფლად მივეცეთ სიყვარულის თავდავიწყებას.

არც ახლა უთქვამს ემილიას რამე. მისი დუმილით გათამამებულმა მანქანა დავამუხრუჭე. ახლა უკვე კოკისპირულად წვიმდა. საწმენდები გახელებული დარბოდნენ აღმა-დაღმა საქარე მინაზე და ვერ ასწრებდნენ წვიმის მსხვილი წვეთების გადაწმენდას.

— ვითომ სტუდენტები ვართ, — განვაგრძე არცთუ ისე გაბედულად, — მე მარიო მქვია, შენ — მარია... ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მოვნახეთ მყუდრო ადგილი. მერე რა, რომ წვიმს. კარგიცაა ამ დროს მანქანაში ყოფნა... მაკოცე...

ამ სიტყვებზე მთვრალი კაცის სიჯიუტით მოვხვიე ხელები მხრებზე, ჩემკენ მოვიზიდე და კოცნა დავუპირე.

არ ვიცი, რისი იმედი მქონდა, ამას რომ ვაკეთებდი. რესტორანში მომხდარი ამბის მერე რა დიდი ცოდნა ჭირდებოდა, რაც მოჰყვებოდა ამ ხუმრობას. ჯერ მშვიდად სცადა ემილიამ თავი დაეღწია ჩემი ხელებისაგან, შემდეგ როცა შეამჩნია, არ ვეშვებოდი, ნიკაპზეც წავავლე ხელი და საკოცნელად მოვიზიდე. მთელი ძალით მიბიძგა:

— ხომ არ შეიშალე?.. მთვრალი ხარ?

— არა, მთვრალი არა ვარ, — ჩავილუღლუღე, — მაკოცე...

— არც ვიფიქრებ, — დაუფარავი რისხვით თქვა მან და კვლავ ხელის კვრით მომიშორა. შემდეგ დასძინა: — შენ კიდევ გიკვირს, როცა გეუბნები, მეზიზღები-მეთქი. როგორ შეგიძლია ასე მოიქცე ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა...

— მე შენ მიყვარხარ, ემილია.

— მე კი — არა.

ვგრძნობდი, სასაცილო ვიყავი და გული აუწერელი ტანჯვით მევსებოდა. ახლა ,მარტო სასაცილო კი არა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიც ვიყავი. მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდოდა თავს გამოვტყდომოდი, დავმარცხდიმეთქი.

— ისე მაკოცებ, როგორც დაგიბარებია! — ამ სიტყვების წარმოთქმისას ვცდილობდი ხმისთვის მამაკაცური სიუხეშე მიმეცა, და ემილიას ვეცი.

ემილიამ ამჯერად ბლარძუნს ამჯობინა მანქანის კარი გაეღო და გადასულიყო. ასეც მოიქცა, მე კი ცარიელ საავარძელზე დავენარცხე. გარბოდა იგი თავსხმა წვიმაში.

წუთით გაბევებული დავცქეროდი ცარიელ საავარძელს, შემდეგ თავს ვუსაყვედურე, ნამდვილი სულელი ხარ-მეთქი და მანქანიდან გადმოვედი.

გადაუღებლივ წვიმდა. თითქოს ცამ პირი მოიხსნაო. მანქანიდან რომ გადმოვედი, წყლის გუბეში ჩავტოპე. ამან კიდევ უფრო გამაბრაზა და უფრო მწვავედ მაგრძნობინა საკუთარი უმწეობა.

— ემილია, მოდი აქ, ნუ გეშინია, ხელს არ გახლებ!

— თუ არ მომეშვები, იცოდე, რომში ფეხით დავბრუნდები, — სიბნელეში საიდანღაც, არცთუ შორიდან, მომესმა ემილიას ხმა.

— მოდი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა, — ვთქვი აკანკალებული ხმით.

წვიმა შეუბრალებლად ასხამდა. საყელოში ჩამდიოდა, კეფას და კისერს მისველებდა, შუბლსა და საფეთქელზე ნაკადად ჩამომდიოდა.

მანქანის ფარები წინ მხოლოდ გზის ერთ მონაკვეთს ანათებდნენ. სინათლის ზოლები სიბნელეს სტაცებდნენ რომელიღაც უძველესი ნაგებობის ნანგრევებსა და მაღალ ჩაშავებულ კვიპარისს, როგორადაც არ დავძაბე თვალები, ვერსად ვერ დავინახე ემილია. ავფორიაქდი. კვლავ დავუძახე:

— ემილია!... ემილია!.. — ხმაში ლამის ცრემლი გამერია.

ბოლოს, როგორც იქნა, უკუნიდან გამოვიდა ემილია — მანქანის ფარების სინათლეზე.

— მაშ, მპირდები, რომ ხელს არ მახლებ?

— ჰო, გპირდები.

ემილია მანქანაში ჩაჯდა და ჩაილაპარაკა:

— რა სულელური ხუმრობაა, მთლად გასაწური ვარ. თმაც დამისველდა, ხვალ დილით მომიწევს სპპარიკმახეროში წასვლა.

უსიტყვოდ დავჯექი და მაშინვე დავძარი მანქანა. ემილიამ ჯერ ერთხელ დააცემინა, რამდენიმე წუთის შემდეგ მეორედ, მესამედ და თანაც ხმამაღლა და არც მთლად ბუნებრივად. ამას, რა თქმა უნდა, განგებ აკეთებდა, უნდოდა ეჩვენებინა, შენი გულისთვის გავციოდიო. მაგრამ ამჯერად მის ანკესზე არ წამოვეგე. ისე მიმყავდა მანქანა, თითქოს სიზმარში ვიყავი, ოღონდ მეტისმეტად ცუდი იყო ეს სიზმარი: მე სინამდვილისამებრ რიკარდო მერქვა და მყავდა ცოლი, სახელად ემილია, მე იგი მიყვარდა, მას კი არამარტო არ ვუყვარდი, ვეზიზღებოდი კიდეც.

თავი მეთერთმეტე

მეორე დილით მთლად გაბრუებულმა და დამტვრეულმა გავიღვიძე. ყველაფერი მძულდა, იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რაც იმ დღეს, ან მომდევნო დღეებში მელოდა. ემილიას ჯერ კიდევ ეძინა საწოლ ოთახში, მე კი ნახევრად ჩაბნელებულ სასტუმროში ვიწექი დივანზე. დიდი ხანია მელვიძა, მაგრამ ადგომას ვაყოვნებდი. ნელ-ნელა მოვდიოდი გონს, მეხსიერებაში ნელ-ნელა ცოცხლდებოდა ის უსიამოვნო ამბები, რაც ძილმა დროებით მიმავიწყა. უპირველესად სასწრაფოდ უნდა გადამეწყვიტა, მემუშავა თუ არა „ოდისეას" სცენარზე. შემდეგ გამერკვია, რატომ ვეზიზღებოდი ემილიას და ბოლოს მისი სიყვარულის დაბრუნებაზე მეზრუნა.

როგორც უკვე ვთქვი, გაბრუებულს, დაღლილს და დამტვრეულს გამომელვიძა. ჩემი ცხოვრების ამ სამი გადამწყვეტი საკითხის ასე ბიუროკრატიული სიზუსტით ჩამოყალიბება სინამდვილეში წარმოადგენდა — და ამას მე მაშინვე მივხვდი — თავისმოტყუების ცდას, ვითომ ძალაც შემწევდა და ჭკუაც მათი გადაწყვეტისათვის, მაგრამ ვაი რომ არც ერთი არ გამაჩნდა.

გენერალი, პოლიტიკოსი თუ საქმოსანი ასევე ცდილობენ რაც შეიძლება დახვეწონ, მოკლედ, სხარტად და ნათლად ჩამოაყალიბონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, დაიყვანონ ისინი ზუსტ, უსიცოცხლო მშრალ სქემამდე, რომელიც მოხერხებულია სამოქმედოდ.

მაგრამ მე არც ერთი მათგანი არ ვიყავი. პირიქით, მეგონა, ჭკუაც მიჭრიდა და ძალაც გამაჩნდა ამ წუთში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ როგორც კი ფიქრიდან საქმეზე გადავდიოდი, ყოველგვარი განსჯის უნარი დამეკარგებოდა.

კარგად მესმოდა, სწორედ ამ ჩემი ნაკლის გამო ვერც ერთი საკითხის გადაჭრასაც ვერ შევძლებდი. ის კი არადა, აი, ახლაც დივანზე გულალმა წამოწოლილი და თვალებდახუჭული ვგრძნობდი, რომ როგორც კი გონებაში დავიწყებდი ამ საკითხებზე გასაცემი პასუხის ძებნას, ნაღვლიან სინამდვილეს ეშორდებოდი და სამაგიეროდ სადღაც ზეცაში დავფრინავდი ოცნების ფრთებით.

ტკბილ ზმანებაში წასულმა წარმოვიდგინე, რომ „ოდისეაზე" მუშაობა

დავამთავრე, თანაც ძალზე ადვილად. მე და ემილიას ურთიერთობაც გავარკვიე და ბოლოს ისიც გაირკვა, რომ მის მიერ წამოსროლილი გულსაკლავი სიტყვები, ვითომ ვეზიზღებოდი, მხოლოდ უბრალო გაუგებრობის შედეგი იყო და სხვა არაფერი, და რაც მთავარია, შევრიგდით.

ასე კი ვფიქრობდი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ოცნების ნაყოფი იყო. ასეთი ბედნიერი დასასრული მხოლოდ ჩემს დიდ სურვილს გამოხატავდა. ხოლო მას და სინამდვილეს შორის ისეთი უფსკრული იდო, ვერაფრით რომ ვერ ამოვავსებდი, თუნდაც მცირე ხნით. ერთი სიტყვით, მინდოდა როგორმე თავი დამეღწია ამ გამოუვალი მდგომარეობიდან, მაგრამ როგორ — წარმოდგენა არა მქონდა. ასე ძილ-ღვიძილში რამდენიმე წუთის შემდეგ კიდეც ჩამეძინა. მაგრამ მოულოდნელად გამეღვიძა და ჩემს ფერხთან დილის ხალათში გახვეული ემილია დავინახე. სასტუმროოთახში ისევ ნახევრად ბნელოდა, ფარდები ჩამოშვებული იყო. დივანთან ახლოს პატარა მაგიდაზე ღამის ნათურა ენთო. ემილია ისე შემოსულიყო, შუქი აენთო და ჩემ ახლოს დამჯდარიყო, არაფერი გამიგია.

ემილია ჩემი საწოლის ფერხთით ძველებურად სათნოდ მჯდარი რომ დავინახე, მაშინვე ის ბედნიერი დრო გამახსენდა, როცა ერთმანეთი გვიყვარდა. გაღვიძებისას ხშირად ვყოფილვარ ასეთი სურათის მოწმე და ახლა წუთით კვლავ ტკბილ ოცნებას მივეცი თავი. საწოლიდან წამოვიწიე და მთრთოლვარე ხმით, თითქმის ენის ბორძიკით ვკითხე:

— მაინც გიყვარვარ, ემილია?

სანამ მიპასუხებდა, ცოტა შეყოყმანდა, შემდეგ კი მითხრა:

— ყური მიგდე, უნდა მოგელაპარაკო...

ცუდი წინათგრძნობისაგან ტანში ავად გამაჟრჟოლა. ვიგრძენი, მთლად გავცივდი, მინდოდა მაშინვე მეპასუხა, არაფრის მოსმენა არა მსურს, თავი დამანებე, მეძინება-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ვთქვი:

— მაინც რაზე უნდა მომელაპარაკო?

— ჩვენზე, ორივეზე.

— უკვე ვიცი, რომ აღარ გიყვარვარ, გეზიზღები კიდეც... მეტი რაღა უნდა მითხრა?! — ვუპასუხე, თან ვცდილობდი წინათგრძნობით გამოწვეული მღელვარება დამეოკებინა.

— არა, მე მინდოდა მეთქვა... — დაიწყო ემილიამ აუჩქარებლად. — დღესვე გადავდივარ დედაჩემთან... ვიფიქრე, სანამ დედას დავურეკავ, ჯერ შენთვის შემეტყობინებინა ჩემი განზრახვა. აი, ეს არის სულ. ახლა, შენ იცი...

არაფრით არ მოველოდი მისგან ასეთ ნაბიჯს, თუმცა იმის შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, ასეთი ფინალი სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელი იყო. უცნაურობად მოგეჩვენებათ, მაგრამ ფიქრადაც არასდროს გამივლია, რომ ემილია მიმატოვებდა. იგი ისედაც შეუბრალებლად და გულქვად მომექცა და როგორ მეგონა, ამას არ მაკმარებდა? მაგრამ აი ახლა, როგორც ხედავთ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ისე რომ წუთითაც არ შეყოყმანებულა, ეს სიტყვები გულცივად მომახალა.

გაურკვევლად წავიჩურჩულე:

— მაშ, გინდა მიმატოვო?

— ჰო.

ერთი წუთით ვიყუჩე, შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა,

გულში ტკივილი ჩამეყუჩებინა. დივანიდან წამოვხტი, ფანჯრებს მივვარდი, რომ მძიმე ფარდები გადამეწია და ოთახში დღის სინათლე შემომეშვა. მაგრამ კვლავ შემოვბრუნდი და მთელი ხმით ვიყვირე:

— არა, შენ ასე ვერ წახვალ! მე ეს არა მსურს, გესმის!

— ნუ სულელობ. — ბავშვივით დამტუქსა ემილიამ— ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ეს არის ერთადერთი გზა. ჩვენ აღარაფერი გვაკავშირებს. ყოველ შემთხვევაში, მე... ორივესთვის ასე აჯობებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მახსოვს, რა გავაკეთე ამის შემდეგ. უფრო სწორად, მახსოვს ძნელად საუბრის ნაწყვეტები, ცალკეული მოძრაობები. ალბათ სიცხიანი ავადმყოფივით ვლაპარაკობდი და ისე ანგარიშმიუცემლად ვეხლეჩოდი აქეთ-იქით, როგორც ბოდვისას ხდება. მახსოვს, პიჟამოიანი დავრბოდი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში დიდი ნაბიჯებით, თმააბურძგნული, ჩემს უილაჯო მდგომარეობას ვუხსნიდი ემილიას, ვემუდარებოდი არ მივეტოვებინე, საკუთარ თავსაც ისე ვეკამათებოდი, თითქოს ოთახში ჩემ გარდა არავინ იყო. „ოდისეას" სცენარი.. ბინა, ბინის გადასახადი, ჩემი ფრთაშესხმული ოცნებები, დრამატურგები, ემილიას სიყვარული, ბატისტასა და რეინგოლდთან ურთიერთობა. ერთი სიტყვით, საგნები თუ ადამიანები ისე აირივნენ ჩემს მონოლოგში, როგორც ჭრელაჭრელა შუშის ნამსხვრევები მაგრად შენჯღრეულ კალეიდოსკოპში. იმასაც ვგრძნობდი, კალეიდოსკოპის უწესრიგოდ მიმოფანტული ნამსხვრევებივით უაზრო და უბადრუკი რომ იყო ჩემი ლაპარაკი. მორჩა, ჩემი ფიქრების კალეიდოსკოპი დაიმსხვრა და ახლა ჩემ ფერხთით უწესრიგოდ ყრია მისი ნამსხვრევები, ხვალინდელი მარტოობა შიშსა მგვრიდა, ფიქრის უნარს მართმევდა, სუნთქვას მიკრავდა. მთელი არსებით ვძრწოდი ცოლთან განშორებისა და მარტოდ დარჩენის გამო... მაგრამ მიუხედავად ჩემი გულწრფელი აღიარებისა, ჩემს სიტყვებს მაინც აკლდათ დამაჯერებლობა და სულ რაღაც წამებში, როცა დაბნეულობისა და შიშის ბურუსი გაიფანტებოდა და გონებაც გადამეწმინდებოდა ხოლმე, ვხედავდი ემილიას, რომელიც დივანზე იჯდა და მშვიდად მესიტყვებოდა შიგადაშიგ:

— კარგი, რიკარდო, დაფიქრდი, რიკარდო, ჩვენთვის ეს ერთადერთი გზაა...

— არ მინდა, გესმის, არ მინდა! — ეს მერამდენედ ვიმეორებდი ერთსა და იგივეს.

— რატომ არ გინდა? კარგად დაფიქრდი...

არ მახსოვს, ამაზე რა ვუპასუხე. ოთახის კუთხეში მივიკუნჭე და თავზე თმის გლეჯა დავიწყე; მაგრამ იმ წუთშივე მივხვდი, ამ მდგომარეობაში მყოფი ვერ შევძლებდი ემილიას დარწმუნებას, ჩემი გრძნობებისა და აზრის დალაგებულად გამოხატვას. ამიტომაც სიმხნევე მოვიკრიბე, თავს მოვერიე, კვლავ დივანზე დავჯექი, თავი ხელებში ჩავრგე და ემილიას ვკითხე:

— როდის აპირებ წასვლას?

— დღესვე.

ამ სიტყვებზე ის ადგა, ჩემთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევია და ოთახიდან გავიდა . ისევ საცოდავად მოხრილი, ხელებში თავჩარგული ვიჯექი დივანზე, არ მოველოდი, თუ წავიდოდა. ცოტა ხანს გაოგნებული ვიჯექი, თითქოს არ მჯეროდა, ყველაფერი ეს ცხადში ხდებოდა და არა სიზმარში. მივიხედ-მოვიხედე და უცებ შიშმა ამიტანა: აი, ისიც, განხეთქილება და მარტოობა. ოთახი რატომღაც უფრო დიდი და სხვანაირი მეჩვენა. თით-

ქოს ერთი განზომილება დააკლდაო: ვერ წარმომედგინა ეს ოთახი უემილიოდ. არადა, ვინ იცის, რამდენი წელი დამჭირდებოდა შევგუებოდი აზრს, რომ ემილია აქ აღარ ცხოვრობდა და არც მომავალში იცხოვრებდა. ჰაერიც მარტოობის გრძნობით იყო გაჟღენთილი. ირგვლივ ყველაფერს მარტოობის კვალი ეტყობოდა, მაგრამ საოცარი იყო: ამას მაგრძნობინებდა არა საკუთარი თავი, არამედ ნივთები, საგნები. ეს ყველაფერი გაცნობიერებულიც არ მქონდა, არამედ სადღაც დატანჯულ და განაწამებ სულის ტიალზე ვგრძნობდი. ლოყაზე რაღაც ჩამომიგორდა, ხელი მოვისვი! ლოყა ცრემლით მქონდა სველი. ოხვრა აღმომხდა მკერდიდან, თავი ველარ შევიკავე და ხმამაღლა ავქვითინდი. მერე ავდექი და ტირილისგან თვალებდასიებული სასტუმრო ოთახიდან გავედი.

ნახევრად ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახის შემდეგ საწოლ ოთახში გაჩახჩახებულმა დღის სინათლემ თვალი მომჭრა. ემილია აუღლაგებელ საწოლზე იჯდა და ტელეფონზე ლაპარაკობდა, უფრო სწორად, უსმენდა. მივხვდი, დედამისს ელაპარაკებოდა. ემილიას ახლა რატომღაც სახეზე დაბნეულობა ეტყობოდა, რაღაცით იყო შეშფოთებული. იქვე ჩამოვჯექი და ასლუკუნებულმა თავი კვლავ ხელებში ჩავრგე. თვითონაც ვერ გავრკვეულიყავი, რა მემართებოდა, რატომ ვტიროდი. შესაძლოა, იმიტომ კი არ ვტიროდი, რომ ცხოვრება მენგრეოდა, არამედ რომელიღაც ძველი ტკივილი მგვრიდა ცრემლს და იმ ტკივილს არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ემილიასთან და არც მის დღევანდელ გადაწყვეტილებასთან. ამასობაში ემილია დედამისთან ლაპარაკს განაგრძობდა. ეტყობოდა, დედამისი რაღაცას ურჩევდა, უხსნიდა, ემილიას კი ვერაფერი გაეგო. ცრემლით დაბინდული თვალებით მაინც შევამჩნიე, — როგორც შავი ღრუბელი დაჩრდილავს ხოლმე ლამაზ პეიზაჟს, ისე გადაურბინა ემილიას სანდომიან სახეს უსიამოვნების ჩრდილმა: ჯერ გულგრილობა გამოეხატა, შემდეგ ნაღველი და სასოწარკვეთილება. ბოლოს თქვა:

— კარგი, კარგი, გავიგე. ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ... — მაგრამ, ეტყობა, დედამისმა შეაწყვეტინა სიტყვების ნიაღვარით. ემილიას მოთმინება აღარ ეყო ბოლომდე მოესმინა მისი გრძელი საუბარი: — ხომ გითხარი, გავიგე-მეთქი. ყველაფერი ნათელია. კარგად იყავი. ნახვამდის.

დედამისს რაღაცის თქმა უნდოდა კიდევ, მაგრამ ემილიამ კვლავ გაუმეორა, „ნახვამდის" და ყურმილი დადო, თუმცა დადებამდე კიდევ ისმოდა დედამისის ხმა. ემილიამ თავი აიღო და ისე შემომხედა, თითქოს სიზმარში იყო და ვერ მამჩნევდა. ანგარიშმიუცემლად ხელები დავუჭირე და შევემუდარე:

— ნუ წახვალ, ემილია. გთხოვ. გეხვეწები, ნუ მიმატოვებ.

მოზრდილთა გრძნობებზე რომ იმოქმედონ, ბავშვები მიმართავენ ერთადერთ ხერხსა და საშუალებას — ტირილს. ასევე იქცევიან ქალები და, საერთოდ, სუსტი ნებისყოფის ადამიანები. თუმცა იმ წუთში მე გულწრფელად ვტიროდი ბავშვივით, ქალივით და თუნდაც სუსტ არსებასავით, მაინც სადღაც იმედი მქონდა, ჩემი ცრემლები ემილიას გრძნობაზე იმოქმედებდა და ჩემგან წასვლას გადაათქმევინებდა. ამის შეგნება ცოტათი მამშვიდებდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, სინდისი მქენჯნიდა: თითქოს ვპირფერობდი და ვცდილობდი, ჩემი ცრემლებით თავი შემეცოდებინა ემილიასათვის. უცებ შემრცხვა. ემილიას პასუხისთვის არც დამიცდია, ისე ავდექი და გავედი ოთახიდან.

სასტუმრო ოთახში ხალათი მოვისხი და საკარძელში ჩავჯექი. ნელ-ნელა კრ'მვიდდებოდი, ცრემლიც შემაშრა. ასანთი მოვიმარჯვე სიგარეტის მოსაკი-

დებლად, თუმცა სულ არ მინდოდა მოწევა. რამდენიმე წუთში ოთახში თვითონ ემილია შემოვიდა, დაჯდა და მაშინვე თქვა:

— შეგიძლია დამშვიდდე, ნუ გეშინია... არსადაც არ მივდივარ... — ხმაში ეტყობოდა სასოწარკვეთა და უიმედობა, რაღაცნაირი გულგრილობა და დაღლილობა. შევხედე. თვალები დაეხარა და ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. ტუჩის კუთხეები უთრთოდა, ხალათის საყელოს აწვალებდა. ასე იცოდა ხოლმე აღელვებისას ან დაბნეულობისას. შემდეგ ძალიან ნელად გაბოროტებით დასძინა:

— დედაჩემს არ უნდა მასთან გადავიდე... მითხრა, შენი ოთახი გაქირავებული მაქვსო. აქამდე ორი მდგმური ჰყავდა, ახლა სამნი არიან, სახლი სავსეა მდგმურებითო. ისიც მითხრა, არა მგონია, მაგას სერიოზულად ამბობდეო, კარგად დაუფიქრდიო... და ახლა, არ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე... არავის არ ვუნდივარ, იძულებული ვარ ისევ შენთან დავრჩე.

ამ მწარე, მაგრამ გულწრფელად ნათქვამმა სიტყვებმა გული დამიკოდეს. მახსოვს, მათ გაგონებაზე ისე შევტორტმანდი, თითქოს რაღაც დამარტყესო და გულნატკენმა შევძახე:

— მაგას როგორ მეუბნები, ემილია, იძულებული ვარ შენთან დავრჩეო? რა დაგიშავე? რატომ გეჯავრები ასე ძალიან?

ამჯერად ემილია ატირდა. დავინახე, რომ ატირდა, თუმცა ხელები სახეზე აიფარა. შემდეგ თავი გაიქნია და თქვა:

— შენ გინდოდა, დავრჩენილიყავი... ჰოდა, ვრჩები... ხომ კმაყოფილი ხარ?!

სავარძლიდან წამოვდექი, ემილიას მივუჯექი და მოვეხვიე. ის ცოტათი გვერდზე გაიწია, შეუმჩნევლად სცადა თავის განთავისუფლება ჩემი მკლავებიდან.

— რასაკვირველია, მინდა რომ დარჩე, — ვთქვი, — მაგრამ არა ასე იძულებით. ემილია, რა დაგიშავე, ასე რომ მელაპარაკები?!

— თუ გინდა წავალ... ოთახს ვიქირავებ, მხოლოდ პირველ ხანებში დამჭირდება შენი დახმარება... ისევ მემანქანედ დავიწყებ მუშაობას. როგორც კი სამსახურს ვიშოვი, არასდროს არაფერზე არ შეგაწუხებ.

— არა, ემილია, შენ ვერ გამიგე! — წამოვიძახე. — რა თქმა უნდა, მსურს რომ დარჩე... მაგრამ არა იმიტომ, რომ სხვა გზა არა გაქვს. მერწმუნე, ემილია, არ მინდა იძულებით დარჩე...

— შენ კი არ მაიძულებ დავრჩე, — სლუკუნით მიპასუხა. — ცხოვრება...

ხელები კვლავ ღონივრად შემოვხვიე და მივიზიდე. გულში მყავდა ჩაკრული, ენაზე კი მიტრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა: რატომ აღარ ვუყვარვარ, რატომ ვეზიზღები? რატომ? რა მოხდა ისეთი? ბოლოს და ბოლოს რა დავაშავე? — მაგრამ მისმა დაბნეულმა სახემ და ცრემლებმა ცოტა დამამშვიდეს.

გავიფიქრე, ახლა შეკითხვების დრო არ არის და კიდეც რომ ჩავაცივდე, ვერაფერ პასუხს ვერ მივიღებ-მეთქი. საჭირო იყო უფრო შესაფერისი წუთი გამომენახა და პირდაპირ კი არა, მოიარებით გამომეწვია გულახდილ საუბარზე და ამ გზით მიმეღწია სიმართლისათვის.

ცოტა შევიცადე. ვიდრე ჩემგან ზურგშექცეული ჩუმად ტიროდა, შემდეგ ვუთხარი:

— მომისმინე. ემილია, შევწყვიტოთ ამ თემაზე ყოველგვარი კამათი.

მით უმეტეს, რომ ვერაფერს მივაღწევთ ერთმანეთის გულის ტკენის გარდა. აღარაფერს შეგეკითხები, ახლა მაინც... სჯობს ყურადღებით მომისმინო. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე „ოდისეას“ სცენარი დავწერო, მაგრამ ბატისტას უნდა, რომ მე და რეჟისორმა ნეაპოლის ყურეში ვიმუშაოთ სცენარზე. სწორედ იქ უნდა გადაიღონ ფილმის უმეტესი ნაწილი ნატურიდან... ასე რომ ,გადავწყვიტეთ კუნძულ კაპრზე გამგზავრება. იქ არ შეგაწუხებ, შენთვის იქნები წყნარად, ხელს არ [illegible] ეფიცები, ძალიანაც რომ მინდოდეს, ამისი საშუალება არც მექნება, რადგან დილიდან საღამომდე უნდა ვიმუშაოთ. შესაძლოა, მხოლოდ სადილ-ვახშამზე შევხვდეთ ერთმანეთს, ისიც არა ყოველდღე. კაპრი მომხიბლავი ადგილია, იქ მალე გაიხსნება ბანაობის სეზონი, დაისვენებ, იბანავებ, სანაპიროზე ისეირნებ, დაწყნარდები, შემდეგ კი კარგად მოიფიქრებ და გადაწყვეტ, როგორ მოიქცე... დედაშენი, სხვათა შორის, მართალს ამბობს... საჭიროა კარგად მოიფიქრო, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებ. რამდენიმე თვის შემდეგ კი მეტყვი, რა გადაწყვიტე და მხოლოდ მაშინ დავუბრუნდებით ამ საუბარს...

ემილია კვლავ ზურგშექცეული იჯდა, თითქოს ჩემი დანახვა არ სურდაო. შემდეგ სრულიად დამშვიდებულმა მკითხა:

— როდის უნდა გავემგზავროთ?

— მალე, ასე ათი დღის შემდეგ, როგორც კი რეჟისორი პარიზიდან დაბრუნდება.

თუმცა ემილია ისევ მკლავებში მყავდა მოქცეული და ვგრძნობდი მისი მრგვალი და რბილი ძუძუების შეხებას, კოცნა მაინც ვერ გამებედა, იგი ცივი და მიუკარებელი ჩანდა, ეტყობოდა, მოთმინებით იტანდა ჩემს ხვევნას. მაგრამ მე მაინც არ ვკარგავდი იმედს, იქნებ ეს გულგრილობა მთლად გულცივობას არ ნიშნავს-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ემილიამ დამშვიდებულმა, მაგრამ კვლავ მტრულად მკითხა:

— სად უნდა ვიცხოვროთ კაპრზე? სასტუმროში?

მინდოდა მისთვის მესიამოვნებინა და გახარებულმა მივუგე:

— არა, სასტუმროში არ ვიცხოვრებთ... სასტუმროში ხომ მუდამ ხმაურია... უკეთეს ადგილას ვიცხოვრებთ... ბატისტა გვთავაზობს თავის აგარაკს, იგი ჩვენს განკარგულებაში იქნება რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ სცენარზე მუშაობას არ დავამთავრებთ.

უცბად ვიგრძენი, რომ ემილია რატომღაც არ იზიარებდა ჩემს სიხარულს. ზუსტად ასე მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათაც, როცა ბატისტას მეტისმეტად ჩქარა, თითქმის მოუფიქრებლად დავეთანხმე. მართლაც, ემილიამ უბოდიშოდ გაინთავისუფლა თავი ჩემი მკლავებიდან, ასევე უბოდიშოდ გადაჯდა სავარძლის კუთხეში და ჩამეკითხა:

— ბატისტას აგარაკზე? და შენ უკვე დაეთანხმე?

— მეგონა, გაგეხარდებოდა, — ვცდილობდი თავი მემართლებინა. — აგარაკზე ცხოვრება არა სჯობია სასტუმროში წვალებას?

— და შენ უკვე დაეთანხმე?

— ჰო, მეგონა, ასე უკეთესი იქნებოდა.

— რეჟისორიც აგარაკზე იცხოვრებს?

— არა, ის სასტუმროში იცხოვრებს.

— ბატისტა?! ბატისტა არ ჩამოვა?

— ბატისტა? — ძალიან გამაკვირვა ამ შეკითხვამ. — ალბათ ჩამოვა ხანდახან. „უიკ-ენდიზე" ერთი-ორი დღით, ხომ უნდა ნახოს, როგორ მიდის სცენარზე მუშაობა.

ამჯერად ემილიას არაფერი უთქვამს. ხალათის ჯიბეში ცხვირსახოცი მოიძია და ცხვირი ხმაურით მოიხოცა. ცხვირსახოცის ძებნისას ხალათი გადაეხსნა. ფეხიფეხზე გადადებული იჯდა. თითქოს სურდა ნაწილობრივ, მაინც დაეფარა თავისი სიშიშვლე, მაგრამ გადახსნილი ხალათიდან თვალსაჩინოდ ლი სითეთრით გამოკრთოდა ოდნავ შემრგვალებული მუცელი. ჩაძრესილი ფეხები, ვერავითარი აკრძალვა ვერ გაუძლებდა ამ თეთრი, მარმარილოსებრ მკვრივი და მშვენიერი შიშველი სხეულის ხილვას. ემილია თავისდა უნებურად მიზიდავდა, მალიზიანებდა. უცებ დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო. წუთით წარმოვიდგინე, რომ სულ ადვილად შემეძლო ხელი მომეხვია და დავუფლებოდი.

მაგრამ გონს მალე მოვეგე და მივხვდი, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი სურვილი, მისი აღსრულება შეუძლებელი იყო. ისღა დამრჩენოდა მხოლოდ, მისი ხილვით დავმტკბარიყავი. ამასობაში მან ცხვირი მოიწმინდა და თვალები შეიმშრალა. მე თითქმის ქურდულად ვუყურებდი. მეშინოდა, ჩემი უტიფარი მზერა არ შეემჩნიოა და არ შერცხვენოდა. ეს რომ გავიფიქრე, თავს ვუსაყვედურე: „აი, სადამდე მიხვედი. საკუთარი ცოლის სიშიშვლეს ისე ქურდულად უმზერ, როგორც პატარა ბიჭი უმზერს ხოლმე შიშველ ქალებს ჰუჰრუტანიდან პლაჟის გასახდელებში".

გაცეცხლებული წამოვხტი ადგილიდან, ხელი გავიწვდინე და მუხლებზე ხალათი გადავაფარე. ემილიას მგონი ჩემი მოძრაობა არც შეუმჩნევია. ცხვირსახოცი კვლავ ჯიბეში ჩაიდო და ამჯერად წყნარად მითხრა:

— კარგი, წამოვალ კაპრზე... მაგრამ ერთი პირობით...

— არავითარი პირობა! არაფრის გაგონება არ მსურს. ახლა კი გადი აქედან!

ეტყობა,ისეთი გაშმაგებით ვყვიროდი, რომ ემილიას შეეშინდა. მაშინვე წამოდგა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სერგო ოქროპირიძე

ლექსები

თარგმნეს გიორგი ნიშნიანიძემ
და ანდრო ბუაჩიძემ

სერგო ოქროპირიძე დაიბადა ციმბირში, სადაც 30-იან წლებში მამამისი იყო გადასახლებული, გერმანულენოვან ოჯახში; ამ გარემოებამ მის შემდგომ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. მრავალი წელი მან მთლიანად გერმანული ლიტერატურისა, და საერთოდ გერმანული კულტურის შესწავლასა და სიყვარულს მიუძღვნა. ათ წელზე მეტ ხანს წერდა ლექსებს გერმანულ ენაზე, რამდენიმე მათგანი გერმანიაშიც დაიბეჭდა. წერს რუსულ ენაზეც. იბეჭდებოდა ჟურნალში «Лит. Грузия» და ალმანახში «Дом под Чинарами». მთავარი სარედაქციო კოლეგიისათვის წლების მანძილზე ქართველ პოეტთა ნაწარმოებებს თარგმნიდა გერმანულ ენაზე პწკარედულად. თარგმნა გერმანულიდან რუსულად გრ. რობაქიძის რომანები „მეგი" (დაიბეჭდება ალმანახში «Кавкасиони») და „გრიალის მკვლელნი" (დაიბეჭდება ჟურნალში «Лит. Грузия» 1989 წ.).

მთარგმნელებისაგან

* * *

ეს ქალი არ თხოვს მოწყალებას ადამიანებს
დგას, სასოებით გაუწვდია ქათქათა ხელი,
ხელზე ემჩნევა თხელი ბადე ნაოჭებისა
და სისხლძარღვების მკრთალი სილურჯე.
ცვივა თოვლი და გაწვდილ მტევანს თხლად ეფინება
ჯერ სულ უბიწო, პირველი თოვლი.
ქალი გულღიად ულიმის ზეცას,
ხოლო გამვლელნი, ვერც თოვლს ხედავენ
ვერც ამ ქალის ბედნიერ მზერას, —
იღებენ ხურდას სპილენძისას
და ხელში სჩრიან.
ხურდა თოვლს ალღობს
და ქალის თვალებს
ბედნიერების სხივი უქრება...
ახლა ის უკვე მათხოვარია.

ზემოდგომა

ჰე, გადამფრენი ფრინველები გაფრინდნენ უკვე,
ფოთლებმაც ფრთები გამოისხეს
და გადამფრენ ფრინველთა ბაძვით
წყდებიან ტოტებს და ცდილობენ
ხეებს და ჩირგვებს დაშორიშორდნენ,
წელიწადის ერთ დროში რომ
მეორეჯერ დაიობლეს საწყალი თავი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

მემკვიდრე

ვუძღვნი მეგობრის —
დათო დავლიანიძის ხსოვნას.

კვდებოდა ბრძოლის ველზე ელინელი,
ულმობელი ბარბაროსის ტლანქმა ხელმა რომ გაიმეტა.
სიკვდილის კრუნჩხვებში
მიწას ფხოჭნიდა
მისი ნატიფი ხელები.
დახვეწილმა თითებმა მოხიბლა
დაუნდობელი მტერი —
დაიხარა,
მომაკვდავს უბე მოუჩხრიკა
და, ჯერ კიდევ თბილი,
ფრჩხილების მოსაქლიბი
ციცქნა ქლიბი ამოაცოცა.
ბრძოლის ველი მაშინვე მიატოვა,
იქვე, ბორცვზე, მოხერხებულად მოკალათდა
და დარუმბული ტორებით
ფრჩხილების მოლამაზებას გულმოდგინედ შეუდგა.

გუდა

იგი მიიქცა შორს კაცთაგან და ცისქვეშეთი
მთელი თავისი სილამაზით და სიდიადით
დაუფიქრებლად, უყოყმანოდ ჩვენ დაგვიტოვა.
თითქოს მარქაფად კიდევ ჰქონდეს მზე მირიადი,
ერთიმეორის მიყოლებით რომლებიც ისევ
დაუფიქრებლად და უანგაროდ
უნდა დაგვითმოს ჩვენ, ხორციელთ, მარადისობის
უდასასრულო გზაზე...

* * *

ბატონ-პატრონი ბუნებისა არ არის კაცი,
როგორც ოდესლაც დაიჩემა ფრიად უაზროდ —
ის სტუმარია. ხანდახან რომ იწვევენ მხოლოდ,
კაცს ძალუძს თავი შინაურად იგრძნოს მეწვევი
მაგრამ ნურც იმას დაივიწყებს, ბიბლიოთეკა
რომ მაინც სტუმარია.

ელეგია

მე ყოველლამე შენ შემოგცქერი —
კიდევ უფროდაუფრო მიოცებ,
როგორი მყავხარ — რა შორეული,
რა შორეული და სანატრელი!
თითქმის აკვნიდან მესიზმრებოდი
და იმის მერე სულ შენ მოგტირი —
შენ ხარ ნათელი ჩემი სულისა
და ერთადერთი გზა და მიზანი.
სიყვარული ხარ დაუცხრომელი!
შემომხვევია გარს ახლობელი,
ხელოვნური და თვალისმომჭრელად
მაცთუნებელი სხვა ვარსკვლავებიც —
როგორ ცდილობენ, გული მომიგონ,
გზა დამიმოკლონ და მიღწეულად
წარმომიჩინონ დიდი მიზანი!
მე მათ ვპატიობ — სული არა აქვთ,
და არ უწყიან, რა სიყვარულით
მიყვარხარ, ჩემო მზევ შორეულო!

კავკასია

დიდებული ხარ და შეუვალი,
ძალშემოსილი შენი მკლავებით
დიდხანს გეჭირა თვითონ ღმერთი
მკერდზე მიკრული.
გაგექცა ბოლოს,
მაგრამ მისი უზადო სულის
ციური ექო დღესაც ისმის
შენს ხეობებში...

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

□

ნიკოლოზ რილენკოვი, სტანისლავ ტელნიუკი, პეტრე რებრო

ლექსები

თარგმნა მიხეილ ჩაჩუამ

ნიკოლოზ რილენკოვი

გამარჯობა, საქართველოვ!

მშობელი მხარის ვქცეულვარ ტყვედა,
მისთვის გამიდგამს მიწაში ფესვი.
შენც, საქართველოვ, მომნუსხე,
ვხედავ, —
„დამნაშავეა“ პუშკინის ლექსი,

ასე თბილი და ფერებით უხვი,
შენი თავი რომ გამაცნო მოყვრად...
და ლერმონტოვის ლექსების ქუხილს
შენი ბალების შრიალიც მოჰყვა.

მეოცნებე და ჯერ კიდევ ბავშვი
შორიდან გეჭვრეტდი ტურფას ესოდენ
და არყის ხეთა ჩურჩულში მაშინ
შენი ჭადრების სუნთქვაც მესმოდა.

ჯერ არ შემეგრძნო მშვენება მთელი
ამ დალოცვილი ცის და მთა-ბარის,
როცა პოლონსკიმ მიამბო შენი
აღზევებული სულის ამბავი.

არ ჩაქრობია მის სტრიქონს ცეცხლი
და დღესაც, დღესაც მე ისე მიყვარს,
ვით ესენინის ლამაზი ლექსი,
ვით ტიხონოვის ლექსი და სიტყვა.

სხვა სიხარულის მსურველი არ ვარ,
მე პოეზია სიცოცხლედ ვიცან
და შევიყვარე რუსულად, მძლავრად
ქართული ცა და ქართული მიწა.

ვარ მეგობრობის მეხოტბე წმინდა,
მეც შენთან ერთად მიგულე ბარემ
და ბედნიერმა შევძახო მინდა:
შენ გაგიმარჯოს, ქართველთა მხარევ!

სტანისლავ ტელნიუკი

დავით გურამიშვილის ხსოვნას

შეეძლო ცრემლში ჩაეხშო დარდი,
ეჯერებინა გული ლოცვებით,
გადაეგიწყა სამშობლო — ხატი.
მთები მაღალი და საოცნებო,
ნამგალივით რომ ჰკიდიათ მთვარე
და მზეს სწვდებიან განიერ მხრებით...
გადაეგიწყა ზღაპრული მხარე,
დედის სიმღერა, ქართული ხმები.

მას სულ იოლად შეეძლო ასე:
იმ ქვეყნის ქუდი მოერგო თავზე,
სად უბედობის გასტყორცნა ქარმა
და მის მოტივზე აეწყო ქნარიც,
უცხო მხარეში ეპოვა ბედი —
ჰქონოდა ფულიც, ჩინიც, დიდებაც,
მას არ დასჯიდა ამისთვის ღმერთი,
ამ „ცოდვას“ ყველა აპატიებდა.

მაგრამ ახსოვდა მშობელი მხარე,
რომელიც ძილშიც არ ასვენებდა,
ესიზმრებოდა ცხრათვალა მზე და
ესიზმრებოდა ნამგალა მთვარე,
დედის სიმღერა ესიზმრებოდა,
ქართული ენა ესიზმრებოდა
უცხოობაში,
უცხოობაში.

ბნელში იმედის ქრებოდა შუქიც —
ჩასჩურჩულებდა ვიღაცა მიწყივ,
რომ საქართველო მკვდარია უკვე
და აღგვილია პირისგან მიწის,
მხოლოდ და მხოლოდ კვამლი და ნისლი,
სხვა არაფერი დარჩაო მისგან,
მას ერთადერთი გადურჩა შვილი —
ეს შენ ხარ, დავით გურამიშვილი.

„დაემხე მიწას და ცრემლი ღვარე,
ვინძლო ტირილით გული იჯერო!
მკვდარია შენი მშობელი მხარე
და აწ ამაოდ ნუ გაირჯები!
სხვა გზა ეძიე, ბეჩავო, ბნელში,
დროს ნულარ კარგავ, სხვა გზით იარე,
სხვა წყაროს წყალით აივსე პეშვი
დაბიე შენი „დავითიანი“.

„სტყუი, წყეულო, ბნელეთის მკვიდრო,
განვედი ჩემგან! მიხურე კარი!
ვერ მოესწრება ვერავინ იმ დროს,
რომ საქართველო იხილოს მკვდარი.
ჩვენ არ გვჩვევია სიმხდალე, შიში,
მუდამ ჯიუტად გაგვქონდა ლელო,
ხედავ? მე ვდგავარ — ეს იმას ნიშნავს,
ხმალშემართული დგას საქართველო.

მარად იცოცხლებს იმედით სავსე
თავის მზიანად,
თავის მთიანად
და უკვდავების შუქმისელ გზაზე
გაჰყვება ჩემი „დავითიანიც“.

ბნელს მიაშურებს ბნელეთის მკვიდრმა
და ავის მაცნე შეწყდა სიცოცხლეც...
ფიქრში წასული დავითი იდგა
და გაჰყურებდა შორეთს ნისლიანს,
ჰორიზონტს იქით ხედავდა იგი
როგორ იბრძოდა სამშობლო მისი.
და იქმნებოდა უკვდავი წიგნი,
იწერებოდა ცრემლით და სისხლით.
წერდა მაშვრალი,
წერდა დაღლილი
და ტყვიას ჰგავდა სიტყვა ფრთიანი.
საქართველოსთვის იარაღივით
იჭედებოდა „დავითიანი“.

...მას კი შეეძლო ჩაეკლა დარდი,
ეჯერებინა გული ლოცვებით,
გადაეგიწყა სამშობლო — ხატი,
მთები მაღალი და საოცნებო,
ნამგალივით რომ ჰკიდიათ მთვარე
და მზეს სწვდებიან განიერ მხრებით,
გადაეგიწყა ზღაპრული მხარე,
ქართული ენა, ქართული ხმები
და გამხდარიყო ბედის მორჩილი.
შეეძლო მტკივან გულის მორჩენა,
შეეძლო სხვისთვის ელეწა კალო
და გამჭრალიყო ბოლოს უკვალოდ...
შეეძლო, მაგრამ...
მას არ შეეძლო!

პეტრე რებრო

●

ნუ, ნუ დავანგრევთ ამ ხატას, გვედრით,
მერე რა მოხდა, რომ არის ძველი.
მას ახსოვს ჩვენი მოხუცი დედა
და ღარიბული ბავშვობა ჩვენი.

ჩვენ აქ ვცხოვრობდით — ეს წარსულია.
ამ კედლებიდან რომ გვიმზერს ახლა.

ო, შევიბრალოთ ეს ძველი სახლი,
ბრალს ვერაფერში დავდებთ სრულიად.

აქ ყველაფერი ნაცნობი არის:
დაბალი ჭერიც, სარკმელიც, კარიც
და ეს სოხანე, მგონია, თითქოს
დედის ნაქსოვი ხალიჩა იყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმებო, შევინდოთ ეს ძველი სახლი,
და გავირბინოთ ბავშვური გზნებით
კვლავ იმ ბილიკზე, რომელზეც ახლა
უკვალოდ რბიან მხოლოდღა წლები.

სადაც არ ვიყო, მარად და მარად
თრთოლვით ვიხსენებ თვითეულ
წვრილმანს —
როგორ წრიალებს კარებთან ქარი
და უკაკუნებს სარკმელზე წვიმა.

და ქარებისგან დაღლილი ტოტი
ეხათქუნება სახურავს ისლის...
ო, ნუ დავანგრევთ ამ ხატას, მოდით,
შევინდოთ, ძმებო, შენდობის ღირსი.

□

ვიკენტი ვერესაევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ

„სიცოცხლით სავსე სიცოცხლე“

კარი II

„და მთელი დღენია იყოს დღეგრძელი“

●

შეუძლებელია სიცოცხლით სავსე სიცოცხლე რაიმე კონკრეტული შინაარსით განისაზღვროს. რა წარმოქმნის სიცოცხლეს? რა არის სიცოცხლის საზრისი? რა არის მისი მიზანი? პასუხი მხოლოდ ერთია: თვითონ სიცოცხლე. ის თვითონვეა იდუმალი შრეებით სავსე უმაღლესი ღირებულება. ყოველი ცოცხალი არსება შეიძლება სიცოცხლით აღივსოს და მაშინ ის მშვენიერი, ნათელი და თვითღირებული იქნება, ხოლო თუ იქლო სიცოცხლემ, იგივე არსება შავბნელი და უსიცოცხლო გახდება და შიგ საფლავის ჭიებივით აფუთფუთდებიან კითხვები: რატომ? რისთვის? რა აზრი აქვს?

ჩვენ იმისათვის კი არ ვცოცხლობთ, რომ სიკეთე ვაკეთოთ, არც იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ, გვიყვარდეს, ვქამოთ ან ვიძინოთ, — ჩვენ სიკეთეს ჩავდივართ, ვიბრძვით, ვქამთ და გვიყვარს **იმიტომ, რომ ვცოცხლობთ.** და თუკი ჩვენ ასეთნაირად ვიცხოვრებთ, თუკი ეს იქნება ჩვენი სიცოცხლის გამოვლინება, მაშინ შეუძლებელია გაგვიჩნდეს კითხვა — „რატომ?“

ტოლსტოი მოგვითხრობს: „ერთხელ კურდღელმა ჰკითხა მწევარს: „ყეფა-ყეფით რატომ მოგვდევ, უხმოდ რომ გამოგვეკიდო, უფრო მალე არ დაგვიჭერ? შენ ყეფ და მონადირისკენ გვერეკები, მასაც ესმის საითაც გავრბივართ, გზას გვიდლობავს თოფით ხელში, გვხოცავს, შენ კი ერთ ჩიჩქსაც არ გიწილადებს.“

„ძაღლმა უთხრა: „მე მაგიტომ როდი ვყეფ, მე ის მაყეფინებს მხოლოდ, რომ სული მცემს შენი, ვგრაგნავ და თან მიხარია, რომ აი ახლა დაგიჭერ და მეცარ ვიცი რატომ, მაგრამ ყეფისაგან თავის შეკავება კი არ შემიძლია.“

მელა ან მგელი ვერაფრით ამას ვერ გაიგებენ. იმიტომ ვერ გაიგებენ, რომ ნადირობის დროს ყეფის სასიცოცხლო მოთხოვნილება არ არის მათში. ისინი ალბათ კურდღლებივით იკითხავდნენ „რა საჭიროა ეს?“ მაგრამ მწევარი ძაღლისთვის ეს კითხვა უაზროა.

იგივე ითქმის ადამიანებზეც. ცხოვრება უსასრულოდ მრავალფეროვანია, ადამიანებიც ათასი ჯურის არიან. ყველასთვის საერთო და ყველა მათგანისთვის საზრისის მიმცემი — მხოლოდ სიცოცხლეა. მისი გამოვლინება კი სხვადასხვა ადამიანთან სხვადასხვაა.

აი, დოლი „ანა კარენინადან“. რას წარმოადგენს ის უმაღლესი თვალსაზრისით? ადამიანი არც კი ეთქმის, რაღაც სამშობიარო მანქანასავით თუ კრუხივითაა. არავითარი უმაღლესი ინტერესები ,მთელი ცხოვრება ბავშვების ჩვრებს და ქაშებს შეალია. რისი გულისათვის?

ფუნდუკში დოლიმ ერთ ახალგაზრდა ქალს ჰკითხა, შვილები თუ გყავსო. „ახალგაზრდა, ლამაზმა ქალმა მხიარულად მიუგო:

— მყავდა ერთი გოგონა, მაგრამ უფალს ჩაბარდა, დიდმარხვაში დავასაფლავე.

— მოდა, ძალიან დარდობ, არა? — ჰკითხა დარია ალექსანდროვნამ.

---

* დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 1989 წ.

— რაღას ვიდარდო, წვალების მეტი არაფერია, არც მუშაობას დაგაცლის და არც არაფერს. — ხარ შეხორკილი.

ახალგაზრდა ქალის გულუბრყვილო და სათნო გამომეტყველების მიუხედავად დარია ალექსანდროვნას ეს პასუხი საზიზღრობად ეჩვენა; მაგრამ ახლა მისდაუნებურად გაახსენდა მისი სიტყვები. ამ ცინიკურ სიტყვებში სიმართლის ნასახიც ერია.

„და ხერთოდ, — გაიფიქრა დარია ალექსანდროვნამ, როცა თავის თხუთმეტწლიან ცოლქმურ ცხოვრებას გონების თვალი მოავლო. — ფეხმძიმობა, გულის რევა, გონების ბაჩლუნგება, გულგრილობა ყველაფრისადმი და რაც მთავარია სიმახინჯე... მშობიარობა, ტანჯვა ის უმხგავსო ტანჯვა, ეს ბოლო წუთები, ჭრე ძუძუს წოვება, ეს უძილო ღამეები, ეს საშინელი ტკივილები ძუძუს დამსკდარი კერტებისაგან... რისი გულისთვის ხდება ეს ყველაფერი? რა გამოვა ყოველივე ამისაგან? ის რომ ერთ წუთს ვერ დამიხვენია: ხან ფეხმძიმე ვარ, ხან მეძუძური, მიდღემრი ვბრაზობ და ვანჩხლობ, თვითონაც ვეწვალები და სხვასაც ვაწვალებ, ქმრისგან მოძულებული ვარ; გავლევ ცხოვრების დღეებს და დავზრდი უბედურ, უზნო ბავშვებს... ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ახალგაზდები არ გამოვლენ. სულ ეს არის, რაც შემიძლია ვინატრო, არადა უნდა ვიტანჯო და ვიწვალო ყოველივე ამის გულისათვის... წაწყმედილია ჩემი ცხოვრება! დარია ალექსანდროვნას იხევ ის ახალგაზრდა ქალი გაახსენდა და ახლაც საზიზღრობად ეჩვენა მისი ნათქვამი. მაგრამ იძულებული იყო ელიარებინა, რომ მის სიტყვებში უკმეხი სიმართლეც ერია.“

დოლი ანას და ვრონსკის ცხოვრებას აკვირდება სოფლად. გრძნობს, რომ მათი გარეგნულად ესოდენ ბრწყინვალე ცხოვრება გულიხგულში უსიცოცხლოა. შეძრწუნებული ისმენს ანას სიტყვებს: გადავწყვიტე მეტად აღარ ვიყოლიო ბავშვები ,საამისო საშუალებებიც არსებობსო. „მოგონებები ოჯახსა და ბავშვებზე მისთვის უცხო მშვენიერებით, რაღაც ახლებური ბრწყინვალებით წამოეშალნენ თვალწინ. ეს მისი საყვარო ახლა ისე ძვირფასი და სასუყვარი ეჩვენა კიტის, რომ უმისოდ ერთი დღეც აღარ უნდოდა გაეტარებინა.“ დოლი თავისი ხამყაროს ცხოველმყოფელობას, შიგ მფეთქავ ამ სიცოცხლეს უღებს ალღოს, რომელსაც არაერთი უაღრესად ლოგიკური და გონივრული დასკვნა გაუქარწყლებია და სისულელედ უქცევია.

„— მაშინ რისთვის მაბადია ჭკუა-გონება, — ამბობს ანა, — თუკი ხაიმისოდ არ მოვიხმარ, რომ ამ ქვეყნად სვედამწვარი ბავშვები არ ვამრავლო? მე ხომ თავს მუდამ დამნაშავედ ვიგრძნობდი იმ სვედამწვარი ბავშვების წინაშე. თუკი ისინი არ იარსებებენ, უბედურები მაინც არ იქნებიან, სხვა თუ არაფერი.

ეს ხწორედ ის დასკვნები იყო, დარია ალექსანდროვნამაც რომ გამოიტანა. მაგრამ ახლა, როცა ამ სიტუაციას ისმენდა, ანას არ თანაუგრძნობდა. „როგორ შეიძლება დამნაშავე იყო არარსებული არსების წინაშე — ფიქრობ მან და უცებ ასეთი [illegible] ნებოდა თუ არა მისი საყვარელი ბიჭუნასათვის — გრიშასათვის რამენაირად მაინც უკეთესი, ამქვეყნად სულ რომ არ გაჩენილიყო? ეს აზრი ისე ბარბაროსული და უცნაური მოეჩვენა, რომ თავი გააქნია, რათა გიჟური ფიქრების კორიანტელი გაეფანტა.“

„რისთვის?“ — ამ უაზრო კითხვას თავისთავად უკუაგდებს ყველა, ვინც სიცოცხლით არის სავსე. გულგატეხილობის წუთებში დოლიმ თავის თავს სიცოცხლის უსაზრისობაზე, თავის ტანჯვა-წვალებასა და შვილებზე ზრუნვის ამაოებაზე დაუსვა კითხვები, მაგრამ ამოდენა გაჭირვების მიუხედავად დოლის სიცოცხლე მაინც სრულყოფილი და მშვენიერია, იმიტომ არის მშვენიერი, რომ **დოლისთვის** სიცოცხლის გემო სწორედ ამნაირ საქმიანობაშია.

„არაფერი ისე არ ხიამოვნებდა დარია ალექსანდროვნას, როგორც ბავშვების ბანაობა. ხათითაოთ ეფერებოდა მათ ფუნჩულა ფეხუკებს, ზედ წინდებს აქაჩავდა, ხელში აჰყავდა ტიტლიკანა ბავშვები და წყალში ავლებდა, ესმოდა მათი მხიარული, შიშნეული ჭყლოპინი; მათი სულშეგუებებული, შეშინებული და თვალებდაჭყეტილი სახეების, ამ მოჭყუმპალე ქერუბიმების ყურება მისთვის დიდი ნეტარება იყო.

საბაბაზანოს დედაკაცები მოადგნენ.

— იშ, რა ლამაზქალაა, შაჭარივით თეთრია, ეგ არის ოღონდ, რომ გამხდარია.

— დიახ, ოვალდმყოფა და...

— შენცა გყავს შვილები?

და საუბარი დარია ალექსანდროვნასათვის მეტად საინტერესო შეიქნა: როგორ იმშობიარა? რით იყო ავად? ქმარი ხადა ჰყავს? ხშირად თუ აკითხავს? და დარია ალექსანდროვნას ქალებთან განშორება აღარ უნდოდა, ისე გაიტაცა მათთან საუბარმა, ისე მთლად ერთნაირი გამოდგა მათი ინტერესები. სხვა რამეზე უფრო კი დარია ალექსანდროვნას ის ეხიამოვნა, რომ ნათლად ხედავდა, ამ ქალებს ყველაზე მეტად ის მოსწონდათ, რომ დარია ალექსანდროვნას ამდენი და ასე კარგი შვილები ჰყავდა.“

●

ერთი და იგივე ხასიცოცხლო ძალა თავს კრუხშიც იჩენს, — ხალიხით და ფუსფუსით რომ გამოყავს წიწილები ეზოში, — და ლრუ-

ბელქვეშ ლაღად მონავარდე ქორშიაც. თუკი კრუხისთვის სიცოცხლე სწორედ საქათმეშია მშვენიერი და მნიშვნელოვანი და სხვაგან ვერსად ვერ იქნება ასეთი, — ქორისთვის იგივე საქათმე ერთი ხაზარელი და მოხაწუენი ადგილი იქნებოდა.

დიახ, ის ძალიან ლამაზია, — ფიქრობდა პიერი, დოლოხოვის შემყურე, — მე ვიცნობ მას, ერთი სული აქვს ჩირქი მოსცხოს და მასხრად ამიგდოს, და სწორედ იმიტომ სურს ეს, რომ მე ვუშუამდგომლე — რომ ვეპატრონე და დავეხმარე.

პიერს გაახსენდა, როგორ ეცვლებოდა სახე დოლოხოვს სისასტიკის წუთებში, როგორც, მაგალითად, მაშინ, უბნის ზედამხედველი რომ მიათოკა დათვს და წყალში გადაგდო, ანდა როცა უოვლად უმიზეზოდ გამოიწვია კაცი დუელში, ანდა, როცა მეეტლის ცხენი მოკლა პისტოლეტით."

უოველდღიურ, მშვიდობიან ცხოვრებაში დოლოხოვს ისე ეხუთება სული, როგორც ქორს საქათმეში. მან ბანკოში მოუგო ნიკოლაი როსტოვს. „მის ლიმილში როსტოვმა ის განწყობილება დალანდა, უოველდღიური ცხოვრებისაგან გაბეზრებულ დოლოხოვს რომ ეუფლებოდა ხოლმე, როცა გრძნობდა, რომ მისთვის გამოსავალი უსათუოდ უცნაური საქციელის, უმთავრესად სისასტიკის ჩადენა იყო."

ძლიერი და ონავარი დოლოხოვის ცხოვრება მხოლოდ ბრძოლისა და საფრთხის დროს იძენს ბრწყინვალებას. არ არსებობს ისეთი ვითარება, რომელშიც დოლოხოვი სულით დაეცემოდა — რომელშიც დაუვავება, თანაგრძნობა ან დახმარება დასჭირდებოდა. ის ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს. მისი პოლკი გზაზე ომახიანად და ხალისიანად მიიმღერის. პოლკს კუტუზოვი წამოეწევა თავისი ამალით. „მეორე რიგში მარჯვენა მხარეს თვალში უნებლიეთ ბეცემოდათ ცისფერთვალება ჯარისკაცი დოლოხოვი, რომელიც უველაზე მხნედ და მოხდენილად მოაბიჯებდა სიმღერის ტაქტზე და გამვლელებს ისეთი გამომეტყველებით შესჩერებოდა სახეში, თითქოს ებრალებათ, ვინც ამ წუთას მის ახეულთან ერთად არ მოდიოდა." მასთან ამალის ოფიცერი ეარკოვი მივიდა, აქამდე რომ თვალს არიდებდა ჩამოქვეითებულ მეგობარს, ახლა კი, — მას მერე, რაც დოლოხოვს კუტუზოვი დაელაპარაკა, — უცებ იცნო და გაეხარდა.

„— შემოგვიარე, თუ რამე დაგჭირდეს, შტაბში უველანი დაგეხმარებით... — უთხრა ეარკოვმა.

დოლოხოვს გაეცინა.

— შენ შენს საქმეს მიხედე. მე ხვისი სახვეწარი არაფერი მჭირს, თვითონ ვიშოვნი, თუ რამე დამჭირდა."

რვაას თორმეტში ხელახლა ჯარისკაცად ჩამოქვეითებული დოლოხოვი კუტუზოვის წინაშე დგას.

„— თუ თქვენს უგანათლებულესობას დასჭირდეს კაცი, რომელიც სიკვდილს ტყავს არ დაზოგავს, მაშინ მე, [illegible] იქნებ რამეში გამოვადგე თქვენს, [illegible]ობას.

ფრანგების უკანდახევისას დოლოხოვი პარტიზანული რაზმის უფროსია. წარბსაც არ შეიხრის, ისე შეიპარება გადაცმული ფრანგების ბანაკის შიგ შუაგულში; აუღელვებლად და გულგრილად ხვრეტს ტყვეებს, დენისოვის გულჩვილობაზე კი ეცინება.

„— მაგათმა მზემ, ერთი ოცჯერ მაინც კი არ ექნებათ ნაბრძანები ჩემი დაჭერა; დაგვიჭერენ და დაგვრჩება ოხრად შენი რაინდობა, — დაგვკიდებენ ვერხვის ტოტზე."

თქმა არ უნდა, ის ხახრჩობელიდანაც დაჭერილი ქორივით ყინჩად და ამაყად შემოგვხედავდა.

დოლოხოვის ნიმუშად ტოლსტოიმ პარტიზანი ფიგნერი და ცნობილი „ამერიკელი" თეოდორ ტოლსტოი გამოიყვანა. ეს სწორედ ის თეოდორ ტოლსტოია, რომელზეც გრიბოედოვი წერდა:

> კამჩატკაზე გაახახლეს, ალეუტი დაბრუნდა
> კაცი ხელბოროტი და მზაკვარი.

ეს მასზე წერდა პუშკინი:

> ცხოვრების უბნელეს წიაღში
> ჩაძირულ იყო მუდამ,
> ყველაფერს რუვნიდა, ყველაფერს სვრიდა,
> ყველაფრის წახდომა სურდა.

ეს ტოლსტოი ლევ ტოლსტოის შორეული ნათესავი იყო. ლევ ნიკოლაევიჩს ადრეულ ბავშვობაში ენახა იგი. და სიბერეშიც, როცა ტოლსტოი ცხოვრებას უპირატესად მორალური თვალსაზრისით აფასებდა, ის ასე იხსენებდა ადამიანს, რომელიც მხოლოდ ზიზღს გვრიდა გრიბოედოვსა და პუშკინს. „ბარემც ბევრის თქმა შეიძლებოდა ამ ARACHVEULEBRIV, PIRSHAV DA MIMZIDVELI ADAMIANZE."

●

ბრძოლა და მასთან დაკავშირებული ხიფათი, როგორც ტოლსტოი მიიჩნევს, ძალიან ზრდის სიცოცხლის ტემპს, ასხივოსნებს, აღრმავებს და ხალისს მატებს ცხოვრებას. ბრძოლა იწყება: „აბა, დაიწყო! საშიშია და ხახალისო! — ამბობდა ყოველი ჯარისკაცის და ოფიცრის სახე".

ხიდთან ბუსარები დგანან. სერზე ფრანგები გამოჩნდნენ.

„მკაფიოდ შეიგრძნობოდა ის მკაცრი, მრიხანე და უჩინარი საზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავდა ორ მტრულ ჯარს. ერთი ნაბიჯი საზღვარს იქით და — გაურკვევლობა ტანჯვა და სიკვდილი გელოდა. მაინც რა არის იქ? ვინ არის? არ იცი, მაგრამ, გინდა იცოდე; თან გეშინია საზღვარზე გადასვლა, თან გინდა... ძალა გერჩის, ჯან-ღონით სავსე, ხალისიანი და გახელებული ხარ, გარსაც ასეთი ჯან-ღონით სავსე და გახელებული ხალხი გახვევია. ეს გრძნობა განსაკუთრებულ ბრწყინვალებას და ხალისს მატებს ყოველ შთაბეჭდილებას, რომელსაც ამ წუთებში ღებულობ“.

„სევასტოპოლურ მოთხრობებში“ ტოლსტოი აგვიწერს ჯარისკაცს სახელგანთქმულ მეოთხე ბასტიონზე. „დააცქერდით ამ ადამიანების სახეს, წარმოსადეგობას და მოძრაობას... აქ ყოველ სახეზე ომის საფრთხემ, გაბოროტებამ და ტანჯვამ საკუთარი ღირსების, მაღალი აზრის და გრძნობის შეგნების კვალი დასტოვა.“

როგორც ვხედავთ, გულისწყრომა რომ გულისწყრომაა, მასაც კი შესწევს უნარი, ტოლსტოი-ქადაგის საწინააღმდეგოდ, ღირსებით, მაღალი აზრით, გრძნობით აღავსოს ადამიანი, ხამწუხაროდ ბრძოლით, ხიფათით და გულისწყრომით გაათკეცებულ სიცოცხლეს ტოლსტოი უპირატესად ომის ტრადიციულ სფეროში გვიხატავს. ის იშვიათად და გაკვრით თუ შეეხება ხოლმე სხვა სფეროებს, სადაც დღესდღეობით უზარმაზარი ძალისხმევით და დაბეჭითებით ვლინდება ბრძოლის, გულისწყრომით და ხიფათით აღზევებული სიცოცხლე.

ამდენ მართალია ლევინი, თავისი ძმის კოზნიშევის საზოგადო მოღვაწეობისადმი მისწრაფებაში სასიცოცხლო ძალთა უკმარისობას რომ ხედავს, — „იმ ძალთა უკმარისობას, რომელიც ადამიანს აიძულებს, უთვალავ შესაძლო გზათაგან ერთი ამოირჩიოს და იმას დასჯერდეს.“ მაგრამ მაინცდამაინც სამოცდაათიან წლებში, — არადა სწორედ იმ ხანად იწერებოდა „ანა კარენინა“, — წარმოშვა რუხულმა ხინამდვილემ ადამიანთა ნათელი, უბადლო სიწმინდის ტიპები, რომლებიც საზოგადოებრივ საქმიანობასა და ბრძოლაში თავისი სიდიდით ესოდენ განსაცვიფრებელმა სასიცოცხლო ძალამ ჩაბა.

და მაინც, როცა კი ტოლსტოი ამ სფეროსაც შეხებია, ქველმოქმედების პირველ წყარო მოვალეობის იმპერატივებსა და ხიკეთისადმი მისწრაფებაში კი არ დაუნახავს, არამედ, იმავ სასიცოცხლო ძალაში. „რევოლუციონერების აზლოს გაცნობამ ნებლიუდოვი დაარწმუნა, რომ ისინი არც დედაბუდიანად ყვაზაკები ყოფილან, როგორც ზოგიერთს წარმოედგინა, და არც სულ ერთიანად გმირები, — როგორც ამას სხვები მიიჩნევდნენ. რევოლუციონერები ჩვეულებრივი ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთა შორის, როგორც ყველგან, აქაც ერევნენ ცუდები და საშუალოები... უმრავლესობა რევოლუციაში ნებლიუდოვისათვის ომში მონაწილეობის დროიდან ნაცნობმა ხიფათისა და რისკის სურვილმა, საკუთარი სიცოცხლით თამაშით ტკბობამ რაება, — იმ გრძნობამ, რომელიც ყოველად ჩვეულებრივ, დაუდეგარ ახალგაზრდობას ახასიათებს.“

მოსკოვის აღწერის დროს ტოლსტოი სტუდენტ-აღმრიცხველებს აკვირდებოდა. „როგორც ბავშვებს მოუნდებათ ხოლმე სიცილ-კისკისი, როცა მხიარულ ხასიათზე არიან და ვერც კი მოუფიქრებიათ, რაზე იცინონ, ოღონდ, რაკი მხიარულ ხასიათზე არიან ყოველად უმიზეზოდ კისკისებენ, — ასევე ეს საყვარელი ახალგაზრდობაც მსხვერპლად ხვდებოდა თავს; მათ ჯერ არც მოუფიქრებიათ, რისთვის უნდა გასწიროს თავი და თავიანთ ყურადღებას, შრომას და ცხოვრებას ბარათების შევსებას ხვდებოდენ, რომლიდანაც რაღაც უნდა გამოვიდეს ,ან არც გამოვიდეს.“ და უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რასაც ტოლსტოი შემდეგ წერს. „რა იქნებოდა, — კითხულობს იგი, — ისეთი საქმე არსებულიყო, ამ თავგანწირვად რომ ღირდეს? იყო, ახლაც არის და მუდამაც იქნება ეს საქმე. ეს არის ადამიანების ადამიანებთან მოსიყვარულე ურთიერთობა და იმ ზღუდეების მსხვრევა, რომლებიც ადამიანებმა ერთმანეთში ააგეს, რათა მდიდრის მხიარულება გაპირუტყვებულ ადამიანთა ველურმა ყიჟინამ და ურწმუნო, მშიერი, შეცივნებული და დასნეულებული ადამიანების კვნესის ხმამ არ დაარღვიოს.“

მაგრამ ეს „საყვარელი ახალგაზრდობა, მარტო ბარათებს როდი ავსებს. ის მართლაც აკეთებდა. და აკეთებს იმ საქმეს, რომელზეც ტოლსტოი ლაპარაკობს, და სწორედ ისე აკეთებს, „როგორც ბავშვებს მოუნდებათ ხოლმე სიცილ-კისკისი, როცა მხიარულ ხასიათზე არიან.“ და ამას მარტო „საყვარელი ახალგაზრდობა“ როდი ხჩადის.

V

ზეზეურად მცვდრები

თავის ნაწარმოებებში ტოლსტოის არაერთი ადამიანი გამოჰყავს, რომელსაც თავიდან ბოლომდე აშკარად ათვალწუნებით უყურებს, მაგრამ ეს ათვალწუნება აქ ისევ და ისევ ყველაზე ნაკლებად განისაზღვრება მოცემულ პირთა ამა თუ იმ მორალური შინაარსით, რა თქმა უნდა, სხვებზე მზრუნველ ცვარენკას მეტი

„სიკეთის საზრისი" შეაქვს ცხოვრებაში, ვიდრე მემოვრალე, მპარავ და ქაცისმკვლელ ძია ეროშკას; რა თქმა უნდა, ზნეობრივი თვალსაზრისით კეთილშობილი საზოგადო მოღვაწის კოზნიშევის დარდიმანდ სტივა ობლონსკისთან თვით შედარებაც კი სასაცილოა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მხატვარს გულზე ეს „ქველმოქმედები" მაინცდამაინც არ ეხატება. „სიკეთის" უქონლობას ტოლსტოი კიდევ ურიგდება, მაგრამ რასაც ის ვერ იტანს, რაც მას აღონებს, რაც მას ზიზღსა გვრის და ლამის თავზარს სცემს, ეს — ისევ და ისევ სიცოცხლის, ისევ და ისევ **სასიცოცხლო ძალის** უქონლობაა. მას სულს უზუთავს, გულზე ლოდად აწვება, როცა ადამიანებს სასიცოცხლო მაჯისცემას ვერ ატყობს. გაბლეჭილი, გულგაყინული ინგლისელები ლუცერნის ტაბლდოტთან: „სულ მეჩვენება, თითქოს დამნაშავე ვარ რაღაცაში, თითქოს ახლაც ისე ვარ დასჯილი, როგორც ბავშვობაში, როცა ცელქობისათვის სკამზე დამსვამდნენ და ირონიულად მეტყოდნენ: „დაისვენე, ჩემო კარგო!" ძარღვებში კი ახალგაზრდული სისხლი მიჩქეფდა, ხოლო გვერდითი ოთახიდან და-ძმების ყივილ-ხივილი მესმოდა. უწინ ვცდილობდი ავჯანყებოდი ამ დამთრგუნველ გრძნობას, მაგრამ ამაოდ; ახლა ეს მკვდარი სულები ჩემზე მომნუსხველ გავლენას ახდენენ და მეც მათსავით მკვდარი სული ვხდები."

რამდენი სიხარულისკენ, რამდენნაირი ბედნიერებისკენ აქვს ხსნილი გზა ადამიანს, ის კი ვერ ხედავს ამას, ყურს არ უგდებს სულში ამღერებულ ხმას სიცოცხლისას, გაქვავებია გული, — ყინულოვან ლოდად ქცევია. „არადა, არც ერთი ეს ადამიანი არ არის ბეყეჩა და უგნური, — წერს ტოლსტოი, — და ალბათ ბევრ ამ გულგაყინულ ადამიანში იგივე შინაგანი ცხოვრება სწარმოებს, რაც ჩვენში, ბევრ მათგანში კი გაცილებით უფრო რთული და საინტერესოც. მაშ რატომღა ისპობენ ისინი ცხოვრების ერთ-ერთ უველაზე საუკეთესო ხიამოვნებას, — ერთმანეთით ტკბობას, ადამიანით ტკბობას?.. გაგიკვირდებათ, რომ დაფიქრდებით, რამდენი მეგობარი და შეყვარებულია აქ, ვინ იცის, იქნებ, ყველაზე ბედნიერი მეგობრები და შეყვარებულები ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან და არც კი იცნობენ ერთმანეთს. ღმერთმა უწყის, რატომ ვერ უნდა გაიგონ მათ ეს ვერასოდეს და რატომ არ უნდა მიანიჭონ ერთმანეთს ბედნიერება, რომელიც ასე იოლად შეუძლიათ მიანიჭონ და ასე ძალიან სჭირდებათ."

ეი ბორის დრუბეცკოი „ომსა და მშვიდობაში". ნათელ, ხალიხიან სიცოცხლეს გული გადაუშლია მის წინაშე, მას კი ზურგი შეუქცევია სიცოცხლისათვის, ხულის ყოველი ცოცხალი მოძრაობისთვის ამოუდევს ლაგამი, არახოდეს ის არ ეძლევა თავდავიწყებას, არასოდეს არ მიჰყვება ცხოვრების თავისუფალ მდინარებას, გულცივად და ანგარიშიანად ცხოვრობს და მხოლოდ საკუთარ კარიერაზე ზრუნავს. კარიერის გულისთვის უკაბშირდება მშვენიერ ელენს, თავს ანებებს ნატაშას, შეძლებულ ოჯახიშვილზე, ტოლზე იქორწინებს.

აგრიალებულ-ნალისანი და დაძაბული გამტანჯველი ცხოვრების ატმოსფეროში, რომლითაც ფეთქავს „ომი და მშვიდობა", ბორისის საქციელი სწორედ რომ გასაოცარია. ვითომ რად სჭირდება მას სულში ნიაღვრად მოვარდნილი სიცოცხლის ახე გამუინვარება, რაში სჭირდება მკვდარი კარიერა? რაღაც შეუსაბამობად, ყოვლად გაუგებარ უგნურებად გეგონებოდა ეს ამბავი. აქ ისეა, როგორც ტოლსტოი წერდა ოთხმოციან წლებში თავის დღიურში: „უველა ჩალიჩობს, საქმეებს აგვარებს, ნეტა როდისდა დაიწყებენ ცხოვრებას? იმიტომ როდი ირჯებიან, რომ იცხოვრონ, არამედ იმიტომ, რომ სხვაც ახე იქცევა. ვაი, თქვე უბედურებო, თვალსა და ხელს შუა გაგეპარათ სიცოცხლე."

მაგრამ ბორიხში ათასში ერთხელ მაინც გაკიაფდება სიცოცხლის მკრთალი ნაპერწკალი, როგორც მაგალითად, ნატაშასთან შეხვედრისას; — მთლად მკვდარი და უმოქმედო „ომსა და მშვიდობაში" მისი უჩინებულესობა ბერგის ის თვით ზეზემკვდარიც კი არ არის, უფრო მისხალ-მისხალ აწყობილი ავტომატია, — უხისხლო, უსიცოცხლო; მისი ერთადერთი მამოძრავებელი ზამბარაა სურვილი: მანაც ისე იცხოვროს, როგორც ყველა ცხოვრობს. ბერგი ნამდვილი ნიცშესეული „უკანასკნელი ადამიანია", „მათ თავიანთი წილი ციცქნა სიამოვნება შეიგულეს ხალამისოდ და ციცქნა სიამოვნება — სიდლეისოდ. ეს რა ბედს ვეწიეთ, — ამბობენ უკანასკნელი ადამიანები და თვალებს აფახულებენ."

„— იცით, — ეუბნება ბერგი თავის ამხანაგს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ეძახდა მეგობარს, რომ მოეხვენებოდა, ყველა ადამიანს ჰყავს მეგობარიო. — იცით, მე ყოველივე ავწონ-დავწონე, არც დავოჯახდებოდი, მოფიქრებული რომ არ მქონოდა ყველაფერი და ქორწინება რაიმე მხრივ ხელსაყრელი არ ყოფილიყო... მეც მიყვარს ის, რადგან წინდახედულია, ძალიან კარგი ხასიათი აქვს, ეი, მოხვალთ ჩვენთან.. ბერგს უნდოდა ეთქვა „სადილად", მაგრამ გადაიფიქრა და თქვა „ჩაიზე", — სწრაფად გაჩხვირა ენით თუთუნის კვამლი და პატარა რგოლი გამოუშვა, ხავსებით რომ განახახიერებდა მის ოცნებებს და ბედნიერებას."

და, ცხადია, ბედნიერებასაც არ დაუბანებია.

„ბერგი წამოდგა, ცოლს ფრთხილად მოეხვია, — მამახისხლად ნაუიდი გაფუშფუშებული საქელო არ დავუჭუჭკნოო, და შიგ ტუჩებში აკოცა.

— ერთია ოღონდ, ბავშვები არ უნდა ვიყოლიოთ ასე ნაადრევად — თქვა მან იდეათა ჩასდაუნებლივ ფილიაციით.

— დიახ, — უპასუხა ვერამ. — მეც არ მინდა რომ გვეყოლოს. ხაზოგადოებისათვის უნდა იცხოვრო ადამიანმა.

— სწორედ ასეთი ეკეთა ქალბატონ იუსუპოვასაც ,— თქვა ბერგმა ბედნიერი და თავაზიანი ღიმილით და საყელოზე მიანიშნა.“

ეს ავისმომასწავებელი, უსიცოცხლო მოჩვენება „ანა კარენინაში“ — „სამინისტროს მანქანა“ კარენინი. ყველაზე უცხო, ყველაზე აუტანელი და გაუგებარი მისთვის სიცოცხლით სავსე სიცოცხლეა. „ალექსეი ალექსანდროვიჩს ახლა ცხოვრებისთვის უნდა გაესწორებინა თავალი, რაც დიდ უბედურებად და გაუგებრობად ეჩანდა. მთელი თავისი ცხოვრება ალექსეი ალექსანდროვიჩი სამსახურებრივ სფეროში იღწვოდა, სადაც საქმე მხოლოდ ცხოვრების ანარეკლთან ჰქონდა, ახლა კი მის წინაშე თვითონ ცხოვრება დამდგარიყო. ყოველთვის, როცა კი პირისპირ ეჭახებოდა ცხოვრებას, ალექსეი ალექსანდროვიჩი განზე დგებოდა.“

დანახვა შეგეშარებათ, ისე ბმება და ჭკნება ყველაფერი ამ მოარული გვამის გარშემო: ფაქიზი, ფეოქია, ხალისით სავსე სიცოცხლე გულის ამრევ კონსერვად იქცევა.

„— თქვენთვის ახალი ვარსკვლავი მოუცია, არ გიხარიათ მამა? — მკითხა სერიოჟამ.

— ჯერ ერთი, თუ შეიძლება, ნუ ყუნცულებ, მეორეც, ძვირფასია არა ჯილდო, არამედ შრომა და ჩემი ხურვილია იცოდე ეს. აი, თუ ჯილდოს გულისთვის იშრომებ და ისწავლი, მაშინ შრომა ძნელი მოგეჩვენება, მაგრამ თუ ისე იშრომებ, რომ საქმეც ვეყვარება, ჯილდოს შრომაშივე მპოვებ.

ბავშვს ალერსით გაბრწყინებულ, ხალისიან თვალებში ხმივი ჩაუქრა და მამის შემოხედვაზე თვალები დახარა. ეს სწორედ ის დიდი ხნის ნაცნობი კილო იყო, რომლითაც მამა მუდამ ელაპარაკებოდა და რომლის წინაშეც თავის მოკატუნება სერიოჟას უკვე ესწავლა. მამა ყოველთვის ისე მიმართავდა, — ასე გრძნობდა სერიოჟა, — როგორც ვიღაც ოცნებით წარმოსახულ ბიჭს. ერთ-ერთ იმათგანს, რომლებიც წიგნებში არიან, მაგრამ სერიოჟას სულაც არ გვანან. და სერიოჟაც მამის წინაშე ყოველთვის ცდილობდა ამ წიგნის ბიჭს დამსგავსებოდა.

— იმედია, შენ ამას ხვდები, — უთხრა მამამ.

— დიახ მამა, — უპასუხა სერიოჟამ და შეეცადა წიგნის ბიჭს დამსგავსებოდა.“

და ხულ უფრო მეტი მოარული გვამი წარმოდგება ჩვენს წინაშე: ივან ილიჩი, „ივან ილიჩის სიკვდილში“, ცოლ-ქმარი ალბერტინები... მათ შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ... „ალგომაში“ როგორც კოშმარში, ისე ავსებენ ჩვენს თვალსაწიერს ეს ზეზემკვდრები [illegible] ლიკებული მოდიან დიდმოხელეები [illegible] ნრის ქალები, ჩსაჯულები და ცხის ზედამხედველები; ყველა მათგანი ლაპარაკობს, ირჯება, ცხოვრობს, მაგრამ ეს რაღაც თავისებური, უსიცოცხლო ცხოვრებაა, თითქოს დაძაგრულ ძარღვებში მჩქეფი ცხელი სისხლის ნაცვლად მღვრიე სითხე მიიღვენთება და მიიზლაზნება მათ ლაბირინთებში. ამ ცოცხალლეშად ქცეული ადამიანების გზაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება სიმწუხარე და ტანჯვა, ყოველთვის ცუდად უღამდებათ ხოლმე წუთისოფელი, მაგრამ ეს თითქოს არასოდეს ჩვენ არ გვაშფოთებს: როცა მათ სიცოცხლის ტოლსტოისეული გაგების მიხედვით ვუყურებთ, კი არ ვბრაზობთ და გულისწყრომას კი არ განვიცდით, არამედ გაოცებულები და შეძრწუნებულები ვრჩებით: რანაირად ცხოვრობენ ასე ადამიანები? რა ცხოვრებაა, ასე ცხოვრება? მოგვიანებით, თავისი მდივნის ნ. ნ. გუსევას გადასახლების თაობაზე ტოლსტოი წერდა: „ყველა ცოდვაა, ვინც გადასახლებასა და ციხეში დაიღუპა, იღუპება ან ბოროტდება, — ვინც სიძულვილით და ბოღმით კვდება საბრჩობელაზე. მაგრამ არ შეიძლება, ის უბედური ადამიანები არ შეგებრალოს, რომლებიც ამას აღასრულებენ და, რაც მთავარია, — განკარგულებას იძლევიან ამ საქმეზე. ამის ჩადენით ისინი ხომ ცხოვრების ყველა ნამდვილ და საუკეთესო სიხარულს ურაზავენ კარს. და სწორედ ამ ადამიანებს უნდა ვუთხრა: დაფიქრდით თქვენს თავზე, თქვენს ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რაში ხარჯავთ ღვთისგან ნაბოძებ სულიერ ძალებს, ჩაიხედეთ თქვენს გულებში, შეიბრალეთ თქვენი თავი“.

●

ზეზემკვდრების კიდევ ერთ წყებას შევხვდებით ტოლსტოისთან. ეს ის ხალხია, რომელიც სიცოცხლის აზრს სიყვარულსა და სხვებზე თავგადაგებაში ხედავს. რა უცნაურად ეღერს ეს ტოლსტოის მიმართ, რომელიც ასე დაბეჯითებით და ჭიუტად ქადაგებს სწორედ სიყვარულსა და სხვისთვის თავგამეტებას,მაგრამ ეს მაინც ასეა. ტოლსტოი — შემოქმედს ვერა და ვერ გაუგია, რანაირად შეიძლება სხვებზე თავგადაგება სიცოცხლით სავსე სი-

ცოცხლეს შეუთავსდეს. მხოლოდ სიხხლსავსედ და შეუბოჭავად მცხოვრებ ადამიანს შეუძლია ტოლსტოისთან ნამდვილი, პირუთვნელი სიყვარული და თავგანწირვა. თუ სულში სიცოცხლე არ ბობოქრობს, თუკი სხვის შესაყვარებლად ადამიანი ცდილობს „თავისი თავი დაივიწყოს", მაშინ თვითონ სიყვარული შეიქნება გულის გამაწყალებლად უხალისო და მოსაწყენი. — ჩალის ფახი აქვს ასეთ სიყვარულს. ნატაშა როსტოვა ამბობს სონიაზე: „რომელსა აქუნდეს მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელი—იგი აქუნდეს, მოვე-ეღოს მას." სონიაზეა ნათქვამი, „რომელსა არა აქუნდესო". **იმნაგ ეგოიზმი არ არის მასში** და „მოელო" კიდეც ყველაფერი. ის ფშუტყვავილაა. „ოჯახური ბედნიერების" გმირი წერს: „ახლა აღარ მეხმის ის, რაც ადრე ასე ნათელი და მართებული მეჩვენებოდა: ბედნიერება სხვისთვის ცხოვრებაშიაო. **რანაირადაა ბედნიერება სხვისთვის ცხოვრებაში, როცა თავიც არ მინდა ცოცხალი.**"

იმავე საუბარში ტოლსტოისთან, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ, „სიყვარულის ბედნიერების" შესახებ იმავე დავაში, ლევ ნიკოლაევიჩს ერთი ამბავი მოვუყევი, ჩემს ნაცნობ ქალს რომ გადახდენოდა: ნელ-ნელა, დაბეჯითებით. ხამუდამოდ იღუპავდა ის თავს, თავისი ხელით ითხრიდა საფლავს, რათა მეორე ადამიანი გადაერჩინა დასამარებისაგან. არადა ის კაცი მაინც დასაღუპად იყო განწირული. თავისი სუსტი ჯანმრთელობა, საყვარელი საქმიანობა, თავისი ყველაზე ძვირფასი გატაცებები, ყველაფერი უყოყმანოდ გაწირა და ფიქრადაც არ გაუვლია გულში, ღირდა თუ არა საქმე ამხელა მსხვერპლად. ეს ამბავი გულუბრყვილოდ მოვყევი ,იმ ვარაუდით, ტოლსტოის სულს ყველაზე უფრო მიესადაგება-მეთქი: ის ხომ ასე დაბეჯითებით გვასწავლის: ჭეშმარიტმა სიყვარულმა არ იცის და არც სურს იცოდეს თავისი საქმიანობის შედეგებიო; ის ხომ ასე გრძნობამორევით გვიყვება ხოლმე ლეგენდას, როგორ შეეგმევინა ბუდა ბოკვრებიან მშიერ ძუ ვეფხვს.

და უცებ, — უცებ რას ვხედავ: მოთმინებადაკარგულ ტოლსტოის სახე ლამის ტკივილით შეეკმუხნა, სული შეუგუბდა, მხრები აიჩეჩა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— ღმერთმა უწყის, რა არის ეგ!

მე მაშინ საგონებელში ჩავვარდი. ახლა კი ვხვდები. ეს ნატაშა აღშფოთდა მის სულში და სხვისთვის თავგანწირულ გონებაზე თქვა: ეს არის, „რომელსა არა აქუნდეს"; ეგოიზმი არ არის მასში და მისი სიყვარულიც „ფშუტყვავილაა". ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება: ტოლსტოის ცხოვრებაში რომ შეხვედროდა დეკადენტი ინდუსი, რომელმაც თავი მშიერ ვეფხს შეაჭმევინა, ამ საქციელში მხოლოდ სიცოცხლის გაუგონარ გმობას დაინახავდა და სული შეეხუთებოდა, როგორც კუბოში ნიწის ქვეშ.

ჩვენ უკვე ვნახეთ: ვინც ტოლსტოისთან სიყვარულსა და სხვებზე ზრუნვაში ცხოვრობს, იმას სასიცოცხლო ძალები არ მოეფინის, ცეცხლი აკლია, როგორც [illegible] — ანიშნავს მხატვარი. მართალია, ტოლსტოისთან ჩვენ ღვთისმოსავ მოხუცებს და სათნო ყმაწვილებსაც ბლომად შევხვდებით, მათში სიყვარული და თავგანწირვა თითქოს სულის სიღრმიდან ამოფრქვეულ ცეცხლად ანთია, მაგრამ ეს გმირები ტოლსტოის შემოქმედების მხოლოდ ერთ, მკვეთრად განკერძოებულ სფეროში, მის „ხალხურ მოთხრობებში" სახლობენ. როგორც კი ამ სფეროში შევა, ტოლსტოი უმოწყალოდ ტრიტავს თავის არაცნობიერ არხებასთან, — ჭეშმარიტი მხატვრობის ერთადერთ წყაროსთან, — დამაკავშირებელ ყველა ძაფს. ის მხოლოდ გონების ამარა ქმნის, — სადამრიგებლოდ და ცოცხალი ნიმუშების ნაცვლად ცვილის უსიცოცხლო ფიგურები გამოუდის.

ერთი ასეთი ვრცელი მოთხრობა აქვს ტოლსტოის: „იარეთ ნათელში, სანამ გინათებთ ნათელი", მასში ერთი მოქმედი გმირია, უაღრესად სათნო ყმაწვილი პამფილია, რომელსაც ცხოვრების ჭეშმარიტება შეუცვნია. ეს ყმაწვილი მართლაც რომ შემზარავია — შემზარავია თავისი ზეზემკვდარობით, თავისი უსიცოცხლობით და მშვიდი, გაწონასწორებული, თვითკმაყოფილი მორალურობით. ცვილის ფიგურა კეთილშობილი ხახით, თვალების ნაცვლად კი ცივი, უსიცოცხლო შუშის ბურთულები; ოდნავადაც არ ფეთქავს სიცოცხლე მის სულში, მთქნარების მომგვრელი და მოსაწყენია მისი ქრისტიანული სათნოებანი. და რა ხალიარია! მოთხრობა ეხება პირველქრისტიანობის ეპოქას — იმ ბობოქარ, დაძაბულ ეპოქას, რომლებშიც ადამიანები სიხარულით ატანილები ეწამებოდნენ, რომელშიც ამდენი ეზნება, აღმაფრენა და თავგანწირვა — ამდენი სიცოცხლე იყო.

და აქ, ასეთ ეპოქაში ეს გაქვავებული და თვითკმაყოფილი, ეს დამამშვიდებელი სათნოება?!.. რამდენად უფრო ცოცხალია, რამდენად მაღლა დგას ზეზეურად მკვდარ სათნო პამფილიზე თუნდაც თვით ლევინი. დიახ, ის მეშჩანია, მომჭირნე მეურნეა და თავის ნაჭუჭში ცხოვრობს, მაგრამ მასში მაინც არის იმ „ხაშინელი შინაგანი ცეცხლის" რაღაც ნაწილი, რომლითაც იწვის მუსიკოსი ალბერტი; ის ეძიებს, და ეძიებს კეთილსინდისიერად, მასში არის ცინცხალი დინამიკა. და იქნებ შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს დინამიკა ლევინს

ისეთ „უყაირათიანობის“ მორევში ჩაითრევს, რომ ოჯახის მუშუკი კიტი გულგაბეთქილი გაა-სავსავებს ხელებს. ხოლო ჭაბუკ პამფილიის ვერაფერი ვერ ჩაითრევს, ის არსად არ წავა, როგორც არსად არ წავა საფლავის ქვა, თუნდაც ყველაზე ღვთისმოსავური წარწერებით გაკრელონ იგი.

რაღაც ორგანული ხინჯია ტოლსტოიში, რაც მას არ ანებებს სიცოცხლიანი ცხოვრებით მცხოვრებ ადამიანებად დაგვიხატოს ისინი, რომლებიც პირად სიკეთეზე ხელაღებულები და სხვებზე თავგადაკლულები არიან; მოსინჯეს ხოლმე და ან მკვდარი ადამიანების ცოცხალი ნიმუშები გამოუდის, ან — მკვდარი ნიმუშები თითქოსდა ცოცხალი ადამიანებისა. ცხადია, ტოლსტოი თვითონვე გრძნობს ამას: თითქოს მძლავრი იარაღის — თავისი მხატვრული გენიის — გამოსადეგობაში იმედი გასცრუებიათ. თავს ანებებს მას და დაუინებით **ბვიმტკიცებს** რა ხელსაყრელი იქნებოდა ადამიანებისათვის პირად სიკეთეზე ხელის აღება და ხიყვარულში ცხოვრება.

„ქრისტე ამბობს: უტყუარი საქმეა სარგებელი ეს არის: ნუ ზრუნავთ საქმეა ცხოვრებაზე... ის გვასწავლის როგორ დავაღწიოთ თავი უბედურებას, როგორ ვიცხოვროთ ბედნიერად... ქრისტე ადამიანებს ასწავლის, ხიხულელე არ ჩაიდინონ... ქრისტეს არც უფიქრია მსხვერპლის გაღებისაკენ მოეწოდებინა ხალხისთვის, პირიქით, ის გვასწავლის რაც უკეთესია აქ, ამ ცხოვრებაში.“

აი ნამდვილი ბენტამისეული „მორალური არითმეტიკა“!.. ის ყველგანაა ტოლსტოის სტატიებში: ყველგან ჭკუისაკენ, ლოგიკისკენ მოწოდებაა. ეს გულის გამაწყალებელი „საკმარისია გაიგო კაცმა“, ეს გაუთავებელი მტკიცებები, რომ ბედნიერება ხიყვარულშია, გაუთავებელი მსჯელობები ხიყვარულზე — და შენც გინდება შეახსენო ტოლსტოის ის, რაც ჯერ კიდევ ნიკოლენკა ირტენევმა თქვა: „ადამიანის ტვინი საბრალო, უმნიშვნელო ზამბარაა მორალური მოღვაწეობისა.“ შენც გინდა იკითხო: ნუთუ სახარების ძალა გაიზრდებოდა, თუ ხის ნაცვლად ასობით „ბროშურის“ სახით რომ დაეწერათ?

და აი, ნაზი, სათუთი და ნათელი გრძნობა — სიტყვებსა და აზრებში რომ ვერ ეტეოდა — ახლა გამომხმარ, გულგამოჭრილ, უღიმღამო, ოლმოსახელთებელ და სამუდამოდ მკვდარ პრეპარატად გადაქცეულა. და ხწორედ იმავ ხიყვარულის სახით, რომელსაც ტოლსტოი ქადაგებს, გვინდა ხმა ავიმაღლოთ მის წინააღმდეგ და მისივე სიტყვებით მივუგოთ:

ხიყვარული გონების დასკვნა არ არის, ის თვით სიცოცხლის ხალისიანი საქმიანობაა, და ყოველი მხრიდან გარს გვახვევია... ადამიანები უხეშად სტაცებენ ხოლმე ხელს ხიყვარულის ნერგს და გაიძახიან: „ეჰა ისიც, ვიპოვეთ თუ არა, უკვე შევიცანით, ამიერიდან გავზრდით მას. ხიყვარული, ხიყვარული! უზენაესი გრძნობა, აგერა ისიც!“ და ადამიანებიც მის გადარგვა-გადმორგვას იწყებენ; ხელით ახვრეტენ. ფესვებიანად ძირკვავენ, და ...ერი მიწას აყრიან, ნერგი კი აუვავებამდე ხმება და ისინი ან ამის შემყურე სხვა ადამიანები ამბობენ: „ხისულელე ყოფილა ხიყვარული, უმნიშვნელო რამ, გრძნობის აყოლა და გულჩვილობა.“

VI

ლამაზი მხეცი

ტოლსტოისთვის ხიცოცხლის ხაზრისი სიკეთეში არ არის, — სიცოცხლის ხაზრისი სიცოცხლეშიეა. უფრო სწორად სიცოცხლე, სიცოცხლით სავსე ცხოვრება მისთვის ხრულიად განხაკუთრებულ ხიბრტყეში დევს, — არა იქ, სადაც „ხაზრისის“ თაობაზე კითხვის წამოჭრა შეიძლება.

მაგრამ თუკი ასეა, მაშინ ნადირისაგან რითილა განსხვავდება ადამიანი; მხოლოდ ნადირი ცხოვრობს თავშეუკავებლად, — არავითარი მოვალეობა არ ანაღვლებს, მხოლოდ მხეცი არ იმძიმებს თავს სიკეთეზე და ცხოვრების ხაზრისზე ფიქრით. ვაითუ ტოლსტოის იდეალიც სწორედ მხეცია — ლამაზი, თავისუფალი, ლაღი და ძველისძველი მხეცი?

ძია ეროშკა ოლენინს ჰპირდება, მაგ ლამაზ გოგოს ხელში ჩაგაგდებინებო. ოლენინი ამუნათებს, ცოდვად მოგვეკითხებაო, ეუბნება.

„— ცოდვადო? რატო ცოდვად? — გულდაჭერებულად უარყო ბერიკაცმა. — ლამაზ გოგოს რომ შეხედო, ცოდვაა? მისი შეყვარება ცოდვაა? ასეა თქვენში? არა, მამილო, ეს ცოდვა კი არა, სულის ცხონებაა! შენც ღმერთმა შეგქმნა და გოგოც ღვთის დანაბადია, მამილო, ყველაფერი იმის გაჩენილია. ამიტომ კაი გოგოს ცქერა ცოდვა არაა. ამიტომაც შეუქმნია ღმერთს, რომ შეტრფოდე და შეხაროდე. მე რომ მკითხო, სულ ერთია... ღმერთმა ყველაფერი კაცის გასახარად გააჩინა. კაცი არაფრით არა სცოდავს, აგე ნადირის მაგალითი აიღე.“

„კაცი არაფრით არა სცოდავს, ნადირის მაგალითი აიღე“ — ახლა ეს შეგონება ხშირ-ხშირად გაიხმის, მას ბევრი იმეორებს. ადამიანები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ცხოვრებაში სიცოცხლეა უმთავრესი, თავის თავსაც და სხვა ადამიანებსაც გარშემო ისინი სიცოცხლის შემაძრწუნებელ ნაკლებობას ატ-

ყობენ; უგულო, ნაძალადევი ქველმოქმედების უხალისობასა და უსიცოცხლობას გრძნობენ და ხელსაც იღებენ ქველმოქმედებაზე; თვალი ლამაზ, მტაცებელ, ძველისძველ მხეცზე უპირავთ; „ქერა ბესტიას", ცეზარე ბორჯას, რკინის კონდოტიერს, ინგლისელ დამპყრობს, არჯალ სალტიჩიხას განადიდებენ: სიცოცხლის სურვილს გაბატონებისა და მორჩმულობის სურვილთან აიგივებენ. მორჩმულობაზე წუწუნებენ დოსტოევსკის გადაგვარებული გმირები, ამასვე ნატრობს ახალი დროის ბევრი უაღრესად ნიჭიერი მწერალი. რაკი სიცოცხლის საკუთარი, ადამიანური შეგრძნება აღარ გააჩნიათ, მხოლოდ ლამაზი მხეცის სასტიკ და ზარ-ზეიმა ხაჭიელსღა მიიჩნევენ სიცოცხლის გამოვლენად.

„ლამაზი მხეცის" მომხრეებისადმი ტოლსტოის მიკუთვნება, მხოლოდ დიდი გაუგებრობის შედეგი იქნებოდა. მხეცი განმბოლოებულია. ის ხასიცოცხლო ძალის ტყვეობაშია, ოღონდ თავისი ინსტინქტური შემეცნებით მხოლოდ უახლოესი, პრაქტიკული მიზნებისათვის ეხება გარემოს. უმაღლესი, რისი შეწვდომაც მას შეუძლია, თავის ნაშიერთან — ანდა ჯოგურ ცხოვრებაში, თავის ჯოგთან — ერთიანობის შეგრძნებაა. ცოცხალი სამყარო მთლიანობაში ცხოველისთვის უცხო და არაფრისმთქმელია, ის მხოლოდ გარემოა მისთვის, მხოლოდ საკბილოა ,ანდა — საფრთხე.

ტოლსტოისთან სულაც არ არის ასე.

„ეროშკა ბურანიდან გამოერკვა, თავი ასწია და ფარვანებს მიაშტერდა, სანთლის მოფარფატე ალს რომ ებვეოდნენ და დროდადრო შიგ ცვიოდნენ.

— ჩურჩუტო, ჩურჩუტო! — აძრახდა იგი: — სად მიფრინავ? ჩურჩუტო! ჩურჩუტო! — წამოდგა და თავისი მსხვილი თითებით ფარვანების გარეკვა დაიწყო. — დაიწვები შე ჩურჩუტო, აი იქით იფრინე, ადგილი დიდია, — ალერსიანად ეუბნებოდა და ცდილობდა. მსხვილი თითები ნაზად წაევლო ფრთებზე, დაეჭირა და ხხვა მხარეს გაეშვა. — შენვე იღუპავ თავს. რა ვქნა, მეცოდები."

ეროშკა ამბობს: „კაცი არაფრით არა ხცოდავს, აგე, ნადირის მაგალითი აიღე." მაგრამ ამას მხოლოდ ქალთან დამოკიდებულების შესახებ ამბობს. ამ სფეროში კი ცოდვის ცნება უაღრესად ბუნდოვანი, გაურკვეველი და ხადავოა. ხაზოგადოდ კი სიცოცხლისადმი ძია ეროშკას დამოკიდებულება არაფრით არ ჩამოჰგავს მხეცის განმბოლოებულ თავდაჯერებულ უცოდველობას.

„ზიხარ ხალამოთი ტყეში, ელოდები, — ყვება მოხუცი, — შორს სადმე თოფი თუ გავარდა, დარდები აგეშლება. ფიქრობ, ვინ ისროლა? ეგებ ჩემსავით სამზირზე გამოხულ ყაზახს მოუვიდა ნადირი, ნეტა კარგად მოარტყა თუ გააფუჭა-მეთქი? ჰოდა, წაუვა ბეჩავი ლელიანში, ტუუილადღა დაღვრის სისხლს. არ მიყვარს! ჰაი, როგორ არ მიყვარს ასეთი აშშავიარად გააფუჭე ნადირი? ბრიყვი ყოფილხარ! ბრიყვი-მეთქი... ერთხელ ოყო, მდინარის ნაპირას ვიყავ სამზირში, გავიხედოთ და ზემოდან აკვანი არ ამოაქვს [illegible] ზეშინ ამერია ფიქრები. ვისი [illegible] -მეთქი? ალბათ თქვენი ვერანა ხალდათები ავიდნენ აულში, ქისტის ქალები გამოირეკეს, ბალღი კ ვიღაც ოხერმა მოკლა. ფეხებში მოსჭიდა ხელი და კედელს მიუნაყა თავი-მეთქი. განა არ უქნიათ აგრე? ეჰ, გული არ უდეგს ადამიანს!".

არადა ამასთან ერთად „კაცის სისხლი ქისტისაც ბევრი ედო და რუსისაც". ოღონდ ის ამ მკვლელობებს მედიდური გულდამშვიდებით როდი იხსენებს.

„იცი, ვინა მღერის? — მკითხა გამოფხიზლებულმა ბერიკაცმა. — ლუკაა, ჯიგიტი. ქისტი მოკლა და უხარია. რა ახარებს? ბრიყვი, ბრიყვი!

— შენ თუ მოგიკლავს კაცი? — მკითხა ოლენინმა.

ბერიკაცი ორივე იდაყვს დაეყრდნო, წამოიმართა და ოლენინს სახეში ჩახედა.

— ოხერო! — დაუყვირა მან. — ეს რა იკითხე? ამისი თქმა როგორ იქნება. სულის წაწყმედა ძნელია, ჰაი, რა ძნელია!".

და უცებ მოხხიბა საუბარი.

მხეცი ასეთი როდია. სისხლის დინახვაზე თვალები მომწვანო ცეცხლით უელავს, გახარებული ფრიწავს მხხვერპლის მშვენიერ სხეულს, სისხლიან ხორცად აქცევს მას და გაავებული ხრუტუნით ითხვრის სისხლში დრუნჩს. ჩვენ ვიცით მწერლები, რომელთა სულშიც ეს სტიქიური და სასტიკი მხეცი ბინადრობს, — სისხლი და სიკვდილი რომ ახარებს. ყველაზე სამაგალითო ასეთ მწერლებზე რადიარდ კიპლინგია. უსახრულოდ შორს დგას მათგან ლევ ტოლსტოი.

„ახლა მთელ ბოროდინოს ველს ნისლისა და კვამლის ბურუსი ადგა თავზე. ჰაერი გვარჭილისა და სისხლის უცნაური, მწკლარტე სუნით გაეღენთილიყო. ღრუბლის ფთილები ერთად შეგროვდნენ და ცრიატი წვიმის წვეთები გადმოაპკურეს დაჭრილ-დახოცილ, შიშნაქამ, შეეპვებულ და ქანცგაწყვეტილ ადამიანებს. წვიმა თითქოს ამბობდა: „კმარა, ხალხო კმარა! გეყოფათ... გონს მოდით, რას ჩადიხართ?".

„როგორც ერთი, ისე მეორე მხარის განაწამებ ადამიანებს ეჭვმა ერთნაირად დარია ხელი: ნუთუ ისევ უნდა ვეღლიტოთ ერთმანეთი. ყველას სახეზე ყოყმანი დასტყობოდა, ყოველი კაცის სულში ერთი და იგივე კითხვა აღძრუ-

ლიყო: „რატომ, რისი გულისთვის უნდა დავხოცო ხვები ან მე რად უნდა მომკლან. ვინც გინდათ დახოცეთ, როგორც გინდათ ისე მოიქეცით, მე კი ხელი ამილია!" საღამოსათვის ეს აზრი ერთნაირად მომწიფდა ყოველი კაცის სულში. ყოველ წუთს შეიძლებოდა ეს ადამიანები თავიანთი საქციელით შეძრწუნებულიყვნენ, ყველაფერი მიეტოვებინათ და უკანმოუხედავად გაქცეულიყვნენ."

იქნებ „ომისა და მშვიდობის" ერთ-ერთი ნაკლი სწორედ ის არის, რომ სინამდვილეში ხისხლის მხეცური წყურვილი გაცილებით მეტი აქვს ადამიანს, — გაცილებით ნაკლები რიდი და კრძალვა აქვს სისხლისღვრისადმი, ვიდრე ამას რომანში ვხედავთ.

●

მხეცის სული ეთნევა და ეძვირფასება ტოლსტოის. — უყვარს იგი, რადგან ეს სული პირთამდე სავსეა ხასიცოცხლო ძალით. მაგრამ ადამიანისაგან მხეცს მაინც ღრმა უფსკრული ჰყავს. ხასიცოცხლო ძალის ის გამოვლინება, რომელიც მხეცის კვალობაზე კანონზომიერი და მშვენიერია და ხიცოცხლის გაძლიერებას ემსახურება, ადამიანში სულმდაბლური, საზიზღარი ხდება.

„ფეხარშინაში" ორი მშვენიერი მხეცის თავგადასავალია მოთხრობილი: ოთხფეხის და ორფეხის — ფეხარშინა ამლაკ იაბოსი და პირმშვენიერი ბუსარის, თავად სერპუხოვსკოისა. იაბო თავის პატრონზე თავად სერპუხოვსკოიზე კვიამბობს: „თუმცა ის გახდა ჩემი დალუპვის მიზეზი, თუმცა თვითონ იმას არაფერი და არავინ ჰყვარებია, აი სწორედ ამიტომ მიყვარდა და მიყვარს იგი. ამ კაცის სწორედ ის მომწონდა, რომ ლამაზი იყო, ბედნიერი, მდიდარი და ამიტომაც არავინ უყვარდა... მას არავისი და არაფრის შიში არ ედო გულში და ამიტომაც ყველას უყვარდა."

ორივემ ლამაზად და შთამბეჭდავად გალია ახალგაზრდობა. აგერ უკვე ოცი წელიც გავიდა. ხევრი ტანჯვა-წვალების მერე დაბერებულ და დაჩაჩანაკებულ იაბოს თავლაში შეაგდებენ. იქაური ცხენები აწვალებენ და ჩაგრავენ მას. „იგი ბებერი იყო, ისინი ახალგაზრდები იყვნენ; იგი ნაღვლიანი იყო, ისინი მხიარულნი იყვნენ. ჰოდა რაღა უშლიდა ხელს, რომ იგი სრულიად უცხო ყოფილიყო, გარეგანი, სულ სხვა არსება და არავის შეჰბრალებოდა. ცხენებს მხოლოდ თავისთავი ეცოდებათ და იშვიათად კი ისეთ ვინმესაც შეიბრალებენ, ვის დღეშიც ადვილად წარმოიდგენენ თავისთავს. მაგრამ გარა ამლაკ იაბოს უძღოდა რაიმე ბრალი, რომ ბებერი იყო, გამხდარი და მაიმახი. თითქოს არაფერი ცოდო არა ჰქონდა. მაგრამ ცხენური ჯაუიი იგი დამნაშავე იყო და მართალნი ყოველთვის მხოლოდ ისინი იყვნენ, რომელთაც მოსდგამდათ ძალა, ახალგაზრდობა და ბედნიერება."

იაბო გამწარებულია და სწყინს ახალგაზრდა ცხენები რომ ჩაგრავენ, მაგრამ ხვდება, რომ მისი ბრალია. „დიახაც ჩემი ბრალია, — ეტყვრობს იგი, — რადგან ცხოვრებაც [illegible] და ახლა ამ ცხოვრების საფასური უნდა ვზღო." ცხოვრებაზე მისი შეხედულებები მწყობრი და თანმიმდევრულად სასტიკია, სასტიკია, როგორც ხვების, ისევე თავის მიმართაც. ეს პირუტყვული სიმართლე ნადირთა ხულის ბუნებრივი არსია, და რაკი თავისი სიმართლით ცხოვრობს, იაბო მისი ხიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხასარგებლოა ცხოვრებაში. კვდება და — თვით ეს სიკვდილიც „ქვეყნის პირის განახლებას" ემსახურება. მისი ტყავი სალახმა წაიღო, ხორცს ძაღლები და ყვავები დაესივნენ, დაბურულ ხევში მხიარულად ყმუოდნენ მგლის თავგორა ლეკვები, რომელთათვისაც გამხდარმა ძუ მგელმა ფეხარშინას ხორცის ნაგრები ამოარწყია. იაბოს ძვლები რომ ძვლებია, ისიც კი ძვლების შემგროვებელმა გლეხმა წაიღო და თავის საქმეში მოიხმარა.

იაბოს არავინ ჰყვარებია და ისინი მოსწონდა, ვისაც არავინ ჰყვარებია. და მაინც სამარის კარამდე და სიკვდილის მერეც კი სიცოცხლეში დარჩა. არც მის პატრონს პირმშვენიერ თავად სერპუხოვსკოის ჰყვარებია ვინმე და უკვე სიცოცხლეშივე გაირიყა ცხოვრებისაგან. აგერა ისიც: მელოტი, დონდლო, თვალებფაციცა, — თამბაქოსა და ღვინის ხუნით აქოთებული, მიხჩუებული ბებერი. არავის ის არ სჭირდება, ყველასათვის ზედმეტი ბარგია. მისი „მკვდარი სხეული ქვეყანაზე მიდი-მოდიოდა, ჭამდა და სვამდა." არც მის სიკვდილს მოჰყოლოდა რამე. სხვათა დაშვრომის და საზრუნავის გარდა.

არადა, მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ თავადი სერპუხოვსკოი იმავე გრაფ ტურბინმამის ორეულია, რომელსაც ტოლსტოი აგრერიგად თანაუგრძნობს, ცხოვრების გაგება ორგვარდება. მწერალი თითქოს თავის თავს ეწინააღმდეგება. მაგრამ ამ წინააღმდეგობის ახსნა არაა ძნელი. ტოლსტოი სიცოცხლით ვერ ძღება, „გულგვამით" უყვარს იგი, ამიტომ არ შეუძლია არ უყვარდეს „ლამაზი მხეცი", თუნდაც თვით ადამიანში. მაგრამ რაც უფრო ღრმად მიდის იგი, მით უფრო ძლიერად გრძნობს, რომ განმხოლოებული, მხეცური ხიცოცხლის ძალა ადამიანში სწორედ რომ ხიცოცხლის დაძაბუნებას განაპირობებს. ცუდად აშმორებულ სანეხვეზე ველური შამბი ამოჭინჭილდება ხოლმე „ეთილშობილი ზრო-

შანი კი ლაპება, საწყალი, რომელიც ესოდენ ძალუმად ასაზრდოებს „ლამაზ მზეცს" — ამახინჯებს და სპობს ადამიანს, რადგან ადამიანის არსება, მზეცის არსებასთან შედარებით განუზომლად უფრო ფაქიზი, ღრმა და ნათელია.

VII

„ბანა ანგელოზებზე დაგლა"

ერთ-ერთ თავის პედაგოგიურ სტატიაში ტოლსტოი წერს:

„ჯანსაღი ბავშვი, მოეკლინება რა ქვეყნიერებას, მთლიანად შეესატყვისება სიმართლის, მშვენიერების და სიკეთისადმი უპირობო მარმონიის მოთხოვნილებებს, რომლებიც ჩვენშია ჩანერგილი .ყოველ ხალხში ბავშვი მუდამ უმანკოებისა და უცოდველობის, მუდამ სიკეთის, სიმართლის და მშვენიერების ნიმუშად იყო მიჩნეული. ადამიანი სრულქმნილი იბადებაო, — დიდებულად უთქვამს რუსოს, და ეს ნათქვამი ქვას გახეთქავს თავისი სიმართლით.

ჩვენი აღზრდა, ჩვენი აწეწილი ცხოვრება, სიკეთისა და სიბოროტის გაუკუღმართებული გაგება ამახინჯებს დასაბამით მშვენიერ ადამიანურ სულს, რომელშიც მუდამ მკაფიოდ გაისმის მოწოდება, „ის უტყუარი და სანუკვარი ხმა", რომელიც ადამიანს აგრერიგად ახლო და ხელმისაწვდომ დიად სიხარულს ჰპირდება.

როგორც მოეპრიანათ, ისე დაახარისხეს სიკეთისა და სიბოროტის ეს მარად დაუდეგარი, მუდმივი ქაოსი. წარმოსახვითი მიჯნები გაავლეს ამ ზღვარზე და ბგონიათ ზღვაც ასევე დაიყოფაო... აი, სწორედ ამ მოჩვენებით ცოდნას სპობს ადამიანური ბუნების ინსტინქტური, უნეტარესი და ძირძველი მოთხოვნილებები სიკეთისქმედებისა .ერთი, მხოლოდ ერთი უცოდველი ხელმძღვანელი გვყავს, — მსოფლიო სული, ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე რომ გვმხეკვალავს და ყოველ ჩვენგანს გვინერგავს იმისკენ მისწრაფებას, რაც სახამსო და უპრიანია. ეს ის სულია, რომელიც თუკი ხეშია, — ხეს აიძულებს მზისკენ იზარდოს, თუ ყვავილშია — თესლს დააყრევინებს შემოდგომაზე, და თუ ჩვენშია — გვაიძულებს ჩვენ-დაუნებურად მივეტმასნოთ ერთმანეთს".

ყველაზე გულქვა, მძვინვარე ადამიანებსაც — თუმც არ უწყიან — მაინც უდგათ ერთიანობის ეს მსოფლიო სული. ჩამორეკს ღამე და სიზმარივით გაქრება მათრობელა ყოველდღიური ცხოვრების ზეგავლენა. გულში დიადი, მსოფლიო სულის ხმა გაისმება, — მსოფლიო სული თავს შეგვახსენებს, ტუვედ ჩავარდნილი პიერ ბეზუხოვი სისასტიკით სახელგანთქმულ მარშალ დავუს მიჰგვარეს.

„— ვინაა თავდები, რომ არა ტყუიან?

— თქვენო აღმატებულებავ! — შეხძახა ბატმა არა ბრაზით, არამედ ვედრებით.

დავუმ აიხედა და თვალჩაცეებით მიაჩერდა პიერს. რამდენიმე წამს უყურებდნენ ერთმანეთს და ამან პიერი გაოგაარჩინა. იმიხა და სახამართლოს მიუხედავად, ამ რამდენიმე წამში მათ შორის ადამიანური ურთიერთობა დამყარდა. იმ წუთში ორივენ აუარებელი რამ განიცადა ბუნდოვნად და ორივე მიხვდა რომ ერთიც და მეორეც ადამის შვილები იყვნენ, — ერთმანეთის ძმები."

ადამიანს ერთიანობის მსოფლიო სული ეგგას? ის ჩვენ გვაიძულებს ძალაუნებურად მივეტმასნოთ ერთმანეთს?... ღვარძლიანად და უნდობლად გაიცინებდა ამის გამგონე დოსტიევსკი. როგორ? ჩვენ ისე, უბრალოდ, ჩვენდაუნებურად ვეტმასნებით ერთმანეთს, როგორც „ბე იზრდება მზისკენ?" და ამასთან ერავითარი სულის უკვდავება არა გვჭირდება? მერედა საც შეუძლიათ ეს ადამიანებს, ამ „ნაკლულოვან, საცდელ, გახართობად შექმნილ არსებებს?" ადამიანი აკი ეშმაა. ეშმასავით არაფერი ადამიანური არ არის უცხო. „თუ ეშმა არ არსებობს და მაშასადამე თუ ის ადამიანმა გამოგონა ,მაშინ თავის ხატად და მსგავსად გამოუგონებია იგი."

ჩაბნელებულ ოთახში დივანზე როსტოვების მოზარდები სხედან. ფანჯრებიდან შემოკრილი მთვარის ვერცხლისფერი შუქი იატაკზე ეცემა. ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობენ. ნათელი, იდუმალი განწყობილება დაუფლებიათ; ყველაზე შორეულ წარსულში განცდილს იხსენებენ ,— როცა სიზმარ-ცხადი ერთმანეთში ირეოდა; რაღაც უხარიათ და ჩუმად ხითხითებენ.

„— იცი, მე მგონი, — ჩურჩულით წამოიწყო ნატაშამ და ნიკოლაის და სონიას მიუჩოჩდა, — როცა ახეთნაირად იხსენებ, ყველაფერს იხსენებ, იმ ზომამდე გაიხსენებ, რომ ისიც მოგაგონდება, რაც იმაზე უწინ იყო, ვიდრე მე ვიყავი ქვეყანაზე...

— ეს მეტამფსიქოზაა, — თქვა სონიამ, რომელიც ყოველთვის კარგად სწავლობდა და ყველაფერს იმახსოვრებდა, — ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ჩვენი სულები ცხოველებში სახლობენ და იხევ შევლენ ცხოველებში.

— არა, იცი, მე არ მჯერა, რომ ჩვენ ცხოველებში ვიყავით, — იხევ ჩურჩულით თქვა ნატაშამ, თუმცა მუხიკა უკვე გათავებულიყო, — ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ანგელოზები ვიყავით სადღაც, იქ — და აქაც ვართ ნამყოფები, — ამის გამოა ყველაფერი რომ გვახსოვს.

— თუ ანგელოზები ვიყავით, დახლა რაღაზე აღმოვჩნდით? — თქვა ნიკოლაიმ. — არა, ეს შეუძლებელია.

— განა დაბლა აღმოვჩდით, ვინ გითხრა, რომ დაბლა? საიდან ვიცი მე, რაც ვიუავი უწინ — თავმოწონედ მოუჭრა ნატაშამ."

„განა ანგელოზებზე დაბლა"... ეს გოგონას კი არ დასცდენია, — თვითონაც რომ არ იცის რას ამბობს, — ეს ტოლსტოის სულმა თქვა, ვინაიდან სწორედ ნატაშაა ტოლსტოის ნამდვილი სული.

ადამიანური სულის ნათელი არსების წარუზოცელი რწმენა ტოლსტოის ერთ-ერთი უველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა. „ადამიანი ეს ქმნილებაა, რომელიც არ შეიძლება შეფასდეს, რომელზე მაღლაც არაფერი არ არის." — ამბობს ის. აი სწორედ ეს რწმენა უდევს საფუძვლად ბოროტებისადმი შეუწყნარებლობის მის მოგვიანებით შემუშავებულ მოძღვრებას. მხოლოდ ამ რწმენით აიხსნება ის უცნაური სიბრმავე, ის სიჯიუტე, რომლითაც ტოლსტოი არ ეპუება ხოლმე სინამდვილეს; მხოლოდ ამ რწმენით აიხსნება ალექსანდრე III-ისადმი მიწერილი ცნობილი წერილი, რომელიც 1881 წელს დაწერა ხიკეთის ძალაში ბავშვურად დარწმუნებულმა ორმოცდაცამეტი წლის მოხუცმა. და ამავე რწმენით აიხსნება მაგალითად მისი ამასწინანდელი წერილი თავისი მდივნის გუსევის დაპატიმრების თაობაზე. ჩვენ ვნახეთ, როგორ გამოიხატა ტოლსტოის გულისწყრომა ჩვენებური დავუების უგუნური ძალადობის წინააღმდეგ: „დაფიქრდით თქვენს თავზე, თქვენს ცხოვრებაზე... ჩაიხედეთ თქვენს გულებში, შეიბრალეთ თქვენი თავი."

აი სწორედ ასეთ განცდას განიცდიდა ყოველი ჩვენთაგანი ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, ადრეულ ბავშვობაში, მაშინ იყო, რომ ვერ ვხვდებოდით და გვიკვირდა, როგორ არ აძრწუნებს ადამიანებს სიხასტიკე, რომელსაც ახლა ჩვენ ვხედავთ? მაშინ გვქონდა გულში ის უშუალო, სულის სიღრმიდან ამოხეთქილი ცოდნა, რომელიც იმ გრძელკისერა ბიჭუნამ გამოამჟღავნა, პატიმრებს რომ მისჩერებია „ალდგომაში". „ბიჭუნა პატიმრების ჭარავანს თვალჩაცეებით მისჩერებოდა, მან ჯერაც მტკიცედ და ეჭვმიუტანლად იცოდა, — და ეს თვით ღმერთს ეუწყებინა მისთვის, — რომ ეს პატიმრებიც ზუსტად ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორიც თვითონ, როგორიც ყველა სხვა ადამიანი: ამიტომ ეგონა ვიღაცას ამ ხალხისთვის რაღაც სიხარაგლე დაუწევია, ისეთი რამ, რისი გაკეთებაც ადამიანებს არა მართებთო და ებრალებოდა ახლა, შეძრწუნებული იყო, როგორც იმ ადამიანების გამო, ვინც ბორკილგაყრილი და თავგადაპარსული მიაბიჯებდა, ისე იმათ გამოც, ვინც ახლა შებორკა და გაპარსა".

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ყოველი მწერალი თავისი შემოქმედებით თითქოს ადამიანის ერთ გარკვეულ ასაკს გამოხატავს. გონჩაროვი თავის ჭაბუკობისდროინდელ ნაწარმოებებშიც კი მოხუცია. ჭაბუკი ლერმონტოვი სულმუდამ ასაკოვანი ადამიანი იყო, ასაკში მოხული პუშკინი, სიცოცხლის ბოლომდე ჭაბუკად დარჩა. ლევ ტოლსტოის სახით იშვიათი ნიმუშია გვაქვს, ხადაც მწერალი მუდამ ბავშვად რჩება, ბავშვად რჩება არა მარტო „ბიკეთისადმი" თავისი დამოკიდებულებით, არამედ ბავშვისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებით, ხალისიან გრძნობათა სინედლით, სიცოცხლის მხურვალე შეგნებით, ცხოვრებისადმი გულწრფელი დამოკიდებულებით, სიცოცხლის იდუმალმნიშვნელობის შეგრძნებით და თვით... თვით სიტყვათქმნადობითაც კი.

ოპერის აღწერა „ომსა და მშვიდობაში": „მეორე მოქმედებაში გამოჩნდა სურათები, რომლებიც მონუმენტს გამოხატავდნენ. ტილოში ხვრელი გამოეჭრათ, ვითომ მთვარეთ; რამპებს ამბაჟურები ახსნეს და მარჯვნიდან და მარცხნიდან შავმოსახსამიანი ადამიანები გამოვიდნენ, დაიწყეს ხელების ქნევა, თან ხელში რაღაც ხანჯლებისმაგვარი ეჭირათ; მერე ვილაცები მოცვივდნენ და გოგონას გათრევა დაუბირეს. მაგრამ მაშინვე არ გაუტაციათ, ჯერ კარგა ხანს იმღერეს მასთან ერთად, მერე თრევით წაიყვანეს; კულისებში სამჯერ დაარტყეს რაღაც ლითონს, ყველამ დაიჩოქა და სიმღერით ილოცვიდა".

ვინაა ამის დამწერი? დიდი მწერალი? დიახ. მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ეს რვა წლის ბიჭუნას ჩაეწეროს თავის დღიურში. და იგივე ბიჭუნა ანაფორიანი ღვთისმსახურის აღწერისას იტყვის: „ფარჩის ტომარაგადაცმული მოხუცი" და პოლიციელის შესახებ დაწერს: „წელზე ხმალი ერტყა და წითელი ზორტით პისტოლეტი ეკიდა". (სწორედ პისტოლეტი და არა რევოლვერი).

ბავშვის ღრმად სერიოზული თვალებით შეპყურებს ტოლსტოი ცხოვრებას. ბავშვის არ იყოს, ერთი მისხალი იუმორიც არ არის მასში; მისი დახატული სურათი ზოგჯერ სიცილით მოკლავს კაცს, ოღონდ სასაცილოს განცდა უაღრესად თავისებური ხერხით მიიღწევა: თითქოს უურადღებიანი, თვალსხარტი ბავშვი აკვირდება და აღწევს მოვლენას, — პირობითობის რომ არაფერი არ გაეგება, უბრალოდ აღწერს, როგორც არის და მოვლენასაც ჩვეული მომნუსხველობა ეკარგება, გაშიშვლებული წარმოჩინდება ჩვენს წინაშე, როგორც რაღაც შეუსაბამოს და სასაცილოს განსახიერება.

VIII

სიყვარული სიხარულია

„სიცოცხლით სავსე სიცოცხლის" ღრმა და იდუმალი სერიოზულობა მისი იმ ნათელ არსებაში გამოვლინების ფორმაა, რომელსაც ადამიანი ეწოდება. ბედნიერება, მისი ხიბლოვნებისაგან განსხვავებულობა, სიცოცხლის გაუბამსება და დაუძლურება, როცა ის ზეზემკვდრების მეშვეობით აკეთებს თავის საქმელს — ტოლსტოის მხატვრული მსოფლგაგების ყველა ეს თავისებურება განსაკუთრებით მკაფიოდ და ცხადად ქალისა და მამაკაცის სიყვარულისადმი მის დამოკიდებულებაში ვლინდება.

ადამიანს შეუყვარდა და ისიც აფორიაქებული შეიგრძნობს, როგორ ჩამოწვა მის თავზე უზარმაზარი, მწვეული სიხარულის მომტანი ხიდუმლო და სიხარულით გაოგნებული მიილტვის მისკენ.

„კიტი და ლევინი თავისთვის მუხაიფობდნენ, თუმცა მათ ხაუბარს უფრო იდუმალი თანაზიარობა ეთქმოდა. ამ თანაზიარობის წყალობით ისინი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ორივე შიშნარევ სიხარულს განიცდიდა იმ რაღაც უცნობი სინამდვილის წინაშე, რომელშიც ისინი შედიოდნენ."

ლევინი შჩერბიცკებთან ჩამოდის ბელის სათხოვნელად.

უცებ კარს უკან კაბის შრიალი გაისმა და ლევინი მისი ბედნიერების მოახლოების შიშნარევმა სიხარულმა აიტანა. პარკეტზე ჩქარჩქარი მსუბუქი ნაბიჯების ხმა ისმოდა. ლევინი მხოლოდ ნათელ, ალალმართალ თვალებს ხედავდა, სიყვარულის იმავ სიხარულით შემკრთალს, რომლითაც მისი გული იყო აღვსილი."

ნატაშა რომ შეუყვარდა, ის დღე თავადმა ანდრეიმ როსტოვებთან გაატარა. საღამოთი ნატაშა დედამისის საწოლში ჩაწვა.

„გრაფინია ნატაშასთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

— რაო, ჩემო?

— დედა, თუ ღმერთი გწამს, ახლა ნუარაფერს მკითხავ, არ შეიძლება ამის თქმა, — უთხრა ნატაშამ.

მაგრამ ამის მიუხედავად, იმ საღამოს ხან აღელვებული და ხან შეშფოთებული ნატაშა დიდხანს იწვა თვალგაშტერებული დედამისის ლოგინში.

— ასეთი რამ, ასეთი რამ., არასოდეს არ დამმართია! — ამბობდა იგი. — ეს კია რომ, შიში მიტანს მის წინაშე, მე უოველთვის შიში მიტანს მის წინაშე; რას უნდა ნიშნავდეს ეს, იმას, რომ ეს ნამდვილი სიყვარულია, ხომ? დაგეძინა ,დედა?

— არა, ჩემო სულისდგმავ, მე თვითონაც ზეში მიტანს, — ეუბნებოდა დედა.

— დედიკო, დედი, ასეთი რამ არასოდეს არ დამმართნია, — ამბობდა იგი, გაკვირვებული და შეშინებული იმ გრძნობისაგან, რომელსაც განიცდიდა."

ჭერ კიდევ უალრესად ღრმად, არაცნობიერში იმყოფება ის, [illegible] სხეულებრივი გრძნობა, [illegible] ქმნის შეუვარებულთა ურთიერთლტოლვას განაპირობებს. ადამიანს ჭერ თითქოს არც აგონდება სხეული, მასზე ფიქრიც კი შეურაცხმყოფელ მგონია. იდუმალ და მაიროვან-უზორცო ურთიერთობაში ემზადება სული ხიმისოდ, რაც გარეგნულად ესოდენ მარტივი ჩანს და რაც ასე რთული და ღრმა არის ადამიანში. და მხოლოდ მაშინ, როდესაც სიხარულით ატაცებული სულები უკვე მტკიცედ შეუკავშირდებიან ერთმანეთს, როდესაც ისინი ახალ, ნათელ, აქამდე გამოუცდელ ყაიდაზე შეეწყობიან ურთიერთს, მაშინ მოულოდნელად სხეულიც გაიღვიძებს ხოლმე თავისით.

თუ ახე არ მოემზადება, თუ ადამიანი უხეშად, მხეცური ხაზოსით მიადგება ხიდუმლოს— ნელ-ნელა რომ მწიფდება — მაშინ უცბად ბინძური, სულმდაბლური და წვრილმანი გახდება ის, რაც მზესავით კრიალა და მზესავით მაღალი შეიძლებოდა ყოფილიყო და კიდეც უნდა ყოფილიყო.

თავად ნეხლიუდოვს კატიუშა შეუყვარდება. ცისკრის ლოცვისას ისინი ერთმანეთს ეამბორნენ. „კატიუშა ქვემოდან შესჩერებოდა მას გულუბრყვილო, სიხარულით და სიცოცხლით სავსე, შეყვარებული თვალებით. შავი, მბზინავი უბრალოდ გადავარცხნილი ლომა, თეთრი ნაკეცებიანი კაბა, უზადოდ რომ აჯდა ოდნავ აზიდულ მკერდზე და კენარ ტანზე, ეს შეფაკლული ლოყები, ეს ალერსით სავსე თვალები და ორი უმთავრესი თვისება მთელ მის არსებაში: სიწმინდე მისადმი უმანკო სიყვარულისა და არა მარტო მისადმი სიყვარულისა, — ნეხლიუდოვი ხვდებოდა ამას, — არამედ ყველასა და ყველაფრისადმი, — არა მარტო იმისადმი, რაც კარგია ქვეყნად, არამედ იმ გლახაკისადმიც, რომელიც წელან გადაკოცნა კატიუშამ.

მან იცოდა, რომ კატიუშაში იყო ეს სიყვარული, ვინაიდან ამ ღამით თავის გულშიც განეცადა ეს გრძნობა და ხვდებოდა, რომ ამ სიყვარულში ერთ არსებად ერწყმოდა მას."

მეორე დღეს ნეხლიუდოვში ძველისძველი მხეცი, „ადამიანი—ცხოველი" გაიღვიძებს.

„— მოიცა, კატიუშა, — უთხრა მან.

— რა გემართებათ? — მკითხა კატიუშამ და გაჩუმდა.

ნეხლიუდოვმა თავს ძალა დაატანა და კატიუშას წელზე ხელი მოხვია.

ქალი შედგა და თვალებში შეხედა.

— არ გინდათ, დიმიტრი ივანოვიჩ, ნუ შერცხვებით. — ჩაილაპარაკა ცრემლმორეულმა კატიუშამ და სახე აელეწა, თან თავისი დონიერი ხელით უხეშად მოიცილა წელზე შემოხვეული ხელი.

ნეხლიუდოვი მოეშვა, უხერხულობა იგრძნო, შეიცხვა და წამით თავიც კი შეეზიზღა, მაგრამ მოეჩვენა, ეს სიბრიყვით მომდინარეობს: ხელახლა წამოეწია, ხელახლა მოეხვია და კისერში აკოცა. საშინელი იყო ეს კოცნა და ქალმა იგრძნო ეს.

— რა არის, რაებს აკეთებთ. — ისეთი ხმით წამოიკივლა მან, **თითქოს ნეხლიუდოვს საუდამოდ დაემსხვრიოს რაღაც უზომოდ ძვირფასი, და ხელიდან გაუსხლტა“.**

ამ ბოლო დროს ჩვენში „ლამაზი მხეცის“ ხიცოცხლის ძალას საერთოდ ხიცოცხლის ძალასთან აიგივებენ. ამასვე სჩადიან სიყვარულის ხფეროშიც. სადაც იმავ „ძველისძველ, ლამაზ „თავნება მხეცს“ განადიდებენ, „ხმამაღალი ყმუილით რომ მოუხმობს თავის ძუბასს“. ტოლსტოისთან ძალზე იშვიათად თუ იგრძნობა ამ მხეცის, ზოგჯერ მართლაც უეკველი, მშვენიერება მაგალითად პუსარ ტურბინ—უფროსის ელვისებურ ‹ოიმანში ‹ეკრიკ ანა ფიოდოროვნასთან. მკაფიოდ კი ამ მშვენიერებას ნამდვილი ცხოველების აღწერისას შეიგრძნობთ.

„ყომრალი ფაშატი შეჩერდა და ამაყად, ცოტა გვერდულად მოიღერა ქიხერი, თავი ასწია, ტანი შეიბღერტა და ტკბილად ,ნაზად, გაბმულად დაიჭიხვინა. ამ ჭიხვინში სიანცეც გამოხატა, გრძნობაც და ცოტა ნაღველიც გაურია.

აგე, ღალღა ატეხილ ლელიანში აქეთ-იქით ეხლება და ეინიანად მოუხმობს თავის გულისსწორს. აგე, გუგულსაც და მწყერსაც სატრფისლო გალობა გაუბამთ და ყვავილებიც ერთმანეთთან ნიავს ატანენ თავიანთ სურნელოვან მტვერს“.

„ბოდა, მეც ახალგაზრდა ვარ, ლამაზი ძლიერი, — ისმოდა ანცი ფაშატის ჭიხვინი, — და ჯერ არ ვიცი ამ გრძნობის სიამე, ვიცი კი არა, ჯერ არც ერთ საყვარელს, არც ერთს, თვალიც არ მოუკრავს ჩემთვის.“ და ეს მრავლისმეტყველი ჭიხვინი ქვევით მინდორსა და ყანას განეფინა, ზორიდან ჩაესმა სისუ ბაჩა ცხენს, მან ყური ცქვიტა და შეჩერდა. გლეხკაცმა კეტი ჩასცხო, მაგრამ ბაჩა ცხენი ზორეული ჭიხვინის ვერცხლის ზარიკით წკრიალა ხმამ მოხუხა და თვითონაც შესჭიხვინა. გლეხკაცი გაბრაზდა, ხიდავეები მოჰკრა და მუცელზე ისე შეუმოკრა კეტი, რომ ცხენს ჭიხვინი გაუწყდა და გზა განაგრძო. მაგრამ ბაჩა ცხენს გული ტკბილნაღვლიანად აუძგერდა და ზორეული ჭვავის ყანიდან ‹ოგში კიდევ დიდხანს ეხმოდათ ვნებიანი ჭიხვინი და გლეხკაცის ბრაზიანი ხმა.

თუკი ამ ხმის ერთმა გაგონებამაც გადარია ბაჩა ცხენი, მაშ რაღა დაემართებოდა, თვით ის მზეთუნახავი ანცი ფაშატი რომ ენახა, როცა იგი ყურაცქვეტილი, ნესტოებგაფაფალი-იდგა, ჰაერს ისუნთქავდა ხარბად, ზოგჯერ-ზოგჯერ როლებას ისწრაფვოდა, მთელი ახალგაზრდა და ლამაზი ტანი უთრთოდა და ასე მოუხმობდა.“

დღევანდელ კაცმოსანთა ცხოველურ ოცნებებში მარადაც ასე მოუხმობენ ერთმანეთს ადამიანი — უფლაელი და ადამიანი — ფაშატები: „ხალოკენაც გაჭროლებას ესწრაფვიან, მთელი ახალგაზრდა და ლამაზი ტანი უთრთით“, მაგრამ ტოლსტოისათვის ადამიანური სიყვარული განუზომლად ამაღლებულია ამნაირ ფაშატურ სიყვარულზე. და ამ ზენაარი სიყვარულის შუქზე ადამიანში ჩასაფრებული „ლამაზი და თავნება მხეცი“, როგორც ეს ნეხლიუდოვის მაგალითზე ჩანს, ხაზიზღარ ლირწებად ჩადის.

სიყვარულის ხიბლი ქრება, ცოცხალი გრძნობა იფუკება, იძარცვება ხალისიანი, იდუმალი სიცოცხლე, — წვრილმანდება, ზერელე და ხოცრად მარტივი ხდება.

„ელენის ბიუსტი ,პიერს რომ ყოველთვის მარმარილოსგან ნაკვეთი ეჩვენებოდა, ისე ახლოს იყო მის სახეხთან, რომ თავისი ბეცი თვალებითაც მიხდაუნებურად ამჩნეოდა ქალის მხრებისა და კისრის ცოცხალი ხიმშვენიერეს, რომელიც იმდენად მოახლოვებოდა პიერის ტუჩებს, რომ ,მაროდა თავი ოდნავ დაეღო და შეეხებოდა. ვას ქალის სხეულის სითბო და ნელსაცხებლის სურნელი სცემდა. ესმოდა როგორ ჭრაჭუნობდა მოძრაობისის მისი კორსეტი. ახლა პიერი ქალის სამოსელისგან განუყრელ მარმარილოსებრ სილამაზეს კი არ ხედავდა, არამედ მისი სხეულის მთელ სიმშვენიერეს გრძნობდა, რომელსაც ტანსაცმელი მხოლოდ ჰფარავდა. და რაკი ერთხელ დაინახა ეს, სხვაგვარად ამის ცქერა აღარ შეეძლო, როგორც ჩვენც არ შეგვიძლია დავუბრუნდეთ ერთხელ უკვე გამომეღავნებულ სიცრუეს.

„— მაშ თქვენ აქამდე არ შეგინიშნავთ, თუ რა მშვენიერი ყარ? — უთხრა თითქოს ელენმა. — არ შეგინიშნავთ ჩემი ქალობა? დიახ. მე ქალი გახლავართ, რომელიც შეიძლება ყველანი იყოს და ნათ შორის თქვენიც“, — ამბობდა მისი გამოხედვა. და იმავე წუთს პიერმა იგრძნო, რომ ელენი არა მხოლოდ შეიძლებოდა მისი ცოლი გამხდარიყო, არამედ უსათუოდ უნდა გამხდარიყო, რომ არ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო. და უკვე უწინდებურად ვეღარ უუფლებდა მას, როგორც თა-

ვად ვახილის ქალიშვილს, არამედ ელენის სხეულს ხედავდა, რომელიც მხოლოდ ინიღბებოდა რუხი კაბით.''

პიერმა კაბის შიგნით ტიტველ ელენს დაუწყო ყურება. ქალის თვალებიც, ყომრალი ფაშატის ჭიხვინისა არ იყოს, თითქოს ეუბნებოდნენ: „დიახ, მე შეიძლება ყველანი ვიყო და ნათ შორის თქვენიც.'' ხოლო იმის თვით გაფიქრებაც კი შეგვზარავდა, თითქოს თავადი ანდრეი ან იგივე პიერი კაბის შიგნით ტიტველ ნატაშას დაუწყებენ წკვრილვას, ანდა შეყვარებული კიტის თვალები ეტყვიან ლევინს: „მე ქალი ვარ, რომელიც შეიძლება ყველანი იყოს და მათ შორის თქვენიც''. კიტის თვალებს მხოლოდ ერთი რამის თქმა შეუძლია: „მოხდა რაღაც გამოუცნობი და იდუმალი და ჰა, მე მხოლოდ თქვენი შეიძლება ვიყო და ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიყო სხვისი.''

კიდევ უფრო შიშველი, არაფრისმთქმელი და შემზარავია ანატოლი კურაგინის ნატაშასთან ასე გამარტივებული დამოკიდებულება.

„ის მოლიმარი უმზერდა ნატაშას, მის მხრებსა და შიშველ მკლავებზე რჩებოდა თვალი. ნატაშას სიამოვნებდა, რომ ანატოლი აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ მასთან ყოფნა როგორღაც ეხამუშებოდა. როცა ანატოლის აღარ უყურებდა, გრძნობდა, რომ ის მხრებს უთვალიერებდა და ნატაშაც უნებურად იჭერდა მის მზერას, რათა ეიძულებინა, თვალებში ეცქირა, მაგრამ როცა თვალებში უცქერდა, შეშინებული გრძნობდა, რომ მას და ამ კაცს შორის ხრულებით არ არსებობდა სიტაცვილის ის ზღუდე, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა სხვა მამაკაცების წინაშე. მან თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ ხუთი წუთის შემდეგ უკვე საშინლად დაახლოვებოდა ამ კაცს. როცა ნატაშა შებრუნდებოდა, ეშინოდა, ვაითუ შიშველ მკლავზე წამეტანოს ან კისერში მაკოცოსო.''

აქ ლამის თავზარი დაგვცეს ლრმა და იდუმალი „სიცოცხლით სავსე სიცოცხლის'' ასე გაშიშვლებამ და გამიწიერებამ. მივიდა სიცოცხლესთან ბილწი, „ძველისძველი მხეცი'' და აი, ასე გამარტივდა სიცოცხლე, ასე ანატომიურად ხელშესახები შეიქნა. დილის ოცნებასავით ნათელ, მაეროვან გოგონას თითქოს ჩვენს თვალწინ შემოეცალა ტანისამოსი, ის აკი მხოლოდ სხეულია, მხოლოდ ქალის ხორცი. „დიახ, შენ ქალი ხარ, რომელიც შეიძლება ყველანი იყოს და მათ შორის ჩემიც'' — ეუბნება მას მხეცის გამოხედვა და თავიხკენ იზიდავს, ყომრალ ფაშატად აქცევს დილის ხალისიან ოცნებას.

●

ბნელი და სულმდაბლური ხდება სიყვარული, როცა ადამიანში „ძველისძველი, თავნება და ლამაზი მხეცი იღვიძებს'' — „ბმამაღალი ყმუილით რომ მოუხმობს თავის ძაღლებს''. მაგრამ, მეორეს მხრივ, ტოლსტოისთვის დოსტოევსკის „სერაფიტული სიყვარული'' — ხალულიად უცხო და გაუგებარია. [illegible] ადამიანისთვის უწინარესად და შემდგომ ყოველისა სიცოცხლის ხიდუმლოა, რომელიც „ქვეყნის პირის განახლებას'' ემსახურება. როგორც სიცოცხლით სავსე სიცოცხლეს საზოგადოდ, ისე სიყვარულსაც ტოლსტოისთან თავისი არაცნობიერი, ფარული მიზანდასახულობა გააჩნია. ამიტომ სიყვარული, რომელიც თავისი წიაღიდან მისსავე მაცხოვნებელ მიზანდასახულობას აღმოფხვრის, თვითკმარი სიყვარული, სიცოცხლის უდიდესი შეურაცხყოფაა.

ამიტომ გასაგებია, რომ სიყვარულის პოეზია ტოლსტოისთან იქ არ თავდება, სადაც მას სიყვარულის მომღერლები ამთავრებენ, სადაც უმრავლესობისათვის სილამაზე კვდება და მოწყენილობა ისადგურებს, სადაც პროზა და ცხოვრების ჭაპანწყვეტა იწყება, ტოლსტოისთან სწორედ იქ მატულობს და ძლიერდება სიცოცხლის და ბედნიერების ნათელი, თავისებური, სხვა ვინმესთვის ძნელად ხელმისაწვდომი სილამაზის ცოდალი.

რა უნდა იყოს, მაგალითად, ორსულ ქალზე უმსგავსო და შესაბრალისი? ორსულობა ხიმახინჯე და ავადმყოფობაა, ორსულობა ღვთის წყრომაა. „განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი; მწუხარებით შვნე შვილნი''. მეტი რაღა დარჩენია დედაკაცს, — მორჩილად და მოთმინებით უნდა იტვირთოს „მწუხარებანი მისნი'' და შეძრწუნებული გაიტრუნოს მომავალი განსაცდელის და სატანჯველის მოლოდინში.

მაგრამ ტოლსტოისთვის ასე როდია.

ნორჩი ქალბატონი ბალკონსკაია, ანდრეის ცოლი, ორსულადაა, მისი გამოხედვაც „მხოლოდ ორსული ქალებისთვის დამახასიათებელი, თვალჩაბრუნებული, მშვიდი და ნეტარია.'' ტოლსტოი წერს „ფეხბურთინაში'': დიახ ახლისს „ფეხმძიმობა ძალიან ეტყობოდა, განსაკუთრებით თვალებზე''. ქალს ფეხმძიმობა გაუგვანოებულ სხეულზე, შეურაცხმყოფლად დამახინჯებულ მუცელზე კი არ „ეტყობოდა განსაკუთრებით'', არამედ — თვალებზე, მოზეიმე, რაღაც სულ ახლებური სილამაზით და ღირსებით შემკულ თვალებზე.

ფეხმძიმობა ქალისთვის უდიდესი სიხარულის, სიცოცხლის ხალისიანი გულისძგერის წყაროა.

„ახლა კიტის ნათლად შეეგნო, რომ მასში მომავალი, ნაწილობრივ კი უკვე ახლავე არსებული ბავშვის სიყვარულის ახლებური გრძნობა ჩასახულიყო და ნეტარებით მიეპყრო ყულიხეური მისთვის. ის უკვე აღარ იყო მარტოოდენ ნაწილი დედის სხეულისა და დროდადრო თავისი, დედისგან დამოუკიდებელი სიცოცხლით ცხოვრობდა. კიტის ხშირად ტკივილიც უგრძვნია ამის გამო, მაგრამ ამაზეან ეს უცნაური, ახალი სიხარული სიცილის ბუნებაზეც აყენებდა."

ცხოვრების ნაღველს და კაეშანს იმ იდუმალი სიხარულის ნაელი აჭარვებს, რომლითაც ორსული ქალის შემოქმედებითად მომუშავე სხეულია აღსილი. შემოდგომის ბნელი ღამით ნამუსახდილი კატიუშა სადგურის ბაქნიდან პირველი კლასის ვაგონში გამოჭიმულ ნებლიუდოვს მისჩერებია. მატარებელი გადის.

— „დაიძვრება მატარებელი, ჩავუყვარდები ვაგონს და გათავდა, — ფიქრობდა კატიუშა.

გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო. მაგრამ მაშინვე, როგორც მღელვარების დაცხრომის პირველსავე წუთში ხდება ხოლმე, მისი ბავშვი, — ბავშვი, რომელიც მუცელში ჰყავდა, — უცებ შეტოკდა და რაღაცით დაუბაგუნა, მერე ნება-ნება გაიწოდინა და ისევ აბაგუნა რაღაც პაწაწა, ნაზი და მწველი. ჰოდა, ყველაფერი, რაც კატიუშას წუთის წინ ასე ადარდებდა, როცა ეგონა, თავს ალარ ვიცოცხლებო — მთელი მისი გულისწყრომა და შურისგების სურვილი თუნდაც თვითმკვლელობით, — ეს ყველაფერი უცებ გაუქრა. ის დამშვიდდა, ადგა, თავშალი მოიხვია და შინისაკენ გასწია."

იწყება მშობიარობა, კიდევ უფრო ხაშინელი განსაცდელი, რომელიც ღმერთმა რისხვით თავს დაატეხა დედაკაცს.

კიტი მშობიარობს.

„ატკრეცილ სახეზე თავხაბურავიდან გამოჩრილი ოფლები შემოვლებოდა და სიხარული და გაგიჟებულობა ალბეჰდოდა. კიტი ლევინს ღიმილით შესცქეროდა, მაგრამ უცებ წარბები შეიკმუხნა, თავი აიღირა, ხასწრაფოდ მივიდა ქმართან, ხელი ხელში მოჰკიდა, მთლიან ზედ მიეტმასნა და თავისი ცხელი სუნთქვა მიაფრქვია. იგი იტანჯებოდა და თითქოს ლევინს შეხჩოდა თავის სატკივარს, მაგრამ მის გამოხედვაში იყო ხინაზე, რომელიც ამბობდა, არამცთუ საკვედურს არ გეუბნები, არამედ მიყვარხარ კიდეც ამ ტანჯვის გამოო. „მაშ ვინღაა დამნაშავე, თუ მე არა?" — უნებლიეთ გაიფიქრა ლევინმა. — სურდა მოენახა და დაესაჯა დამნაშავე. მაგრამ ასეთი არავინ იყო. კიტი იტანჯებოდა, წუხდა და თან ზეიმობდა, რომ იტანჯებოდა. უხაროდა და უყვარდა კიდეც ეს ტანჯვა. ლევინი ხედავდა, რომ კიტის სულში ხდებოდა რაღაცა, რაც ეგზომ მშვენიერი იყო, მაგრამ სახელდობრ რა, ამას ვერ მიმხვდარიყო, ამის გაგება მის შესაძლებლობებს აღემატებოდა."

აი, როგორია ნამდვილი „სიცოცხლით სავსე სიცოცხლე". აი, როგორია მის შიერ [illegible] ბედნიერება. ის არ არის „მსუბუქი სიამოვნება" და ტანჯვის არ [illegible] ცარ ცხოველმყოფელ ძალას [illegible] ტანჯვა-წამება ვერ აშინებს, უშიშრად, სიხარულით ეგებება მათ, ზეიმობს ამ სატანჯველებით, ახარებს ისინი, უყვარს და თვითონ ტანჯვა-წამებასავე აქცევს ნათელ, ხალისიან ზეიმად.

მშობიარობა გრძელდება.

„თავგზააბნეული ლევინი ხაძინებელში შეიჭრა. კიტის სახე ადამიანისას ალარ უგავდა. იმ ადგილზე, სადაც წელან ლევინი კიტის სახეს ხედავდა, ახლა რაღაც საზარლად დაწამებული საშინელ ხმას გამოსცემდა. ლევინი თავით საწოლის ბარკაკალს მიეყრდნო; გრძნობდა, საცაა გული გამისკდებაო. შემზარავი კივილი არა წყდებოდა, პირიქით, უფრო და უფრო თავზარდამცემი ხდებოდა და, თითქოს უკანასკნელ ზღვარს მიაღწიაო, უცებ დაცხრა. ეჭვის შეტანა ალარ შეიძლებოდა: კივილი შეწყდა. შეიკნა ერთი ფაცაფუცი და შარიშური, ვილაცების ხშირი სუნთქვის ხმა ისმოდა. ამ დროს კატიმ მისუსტებული, ნაზი, მაგრამ სიცოცხლიანი და ბედნიერი ხმით წაიჩურჩულა: „მორჩა".

ლევინმა თავი ასწია. კიტის ხელები უღონოდ ესვენა საბანზე. თვითონ არაჩვეულებრივად ლამაზი და მშვიდი იყო, ხმაამოუღებლად მისჩერებოდა ქმარს და უნდოდა გაეღიმა. მაგრამ ძალა არ ყოფნიდა.

ლევინმა საწოლთან ჩაიჩოქა, კიტის ხელი ბაგეებთან მიიტანა და კოცნა დაუწყო. კიტი ხელის თითების ნაზი მოძრაობით პასუხობდა. ამასობაში იქ, ფერხთით ლიზავეტა პროკოფიევნას მარჯვე ხელებში ჩირაღდნის ალივით ტოკავდა ადამიანური სიცოცხლე, არსება, რომელიც უწინ არასოდეს ყოფილა და რომელიც ან იმავე უფლებით და ისეთივე მნიშვნელოვანი ცხოვრებით იცხოვრებდა და თავის მსგავსს გაიჩენდა.

და სიჩუმეში სულ სხვანაირი ხმა გაისმა, რომელიც ოთახში თავშეკავებით მოლაპარაკეთა ხმებს არა ჰგავდა. ეს იყო თამამი, გაბედული ყვირილი, საიდანღაც მოვლენილი ახალი ადამიანური არსებისა, რომელიც არაფერს ანგარიშს არ უწევდა."

რა არის ეს? ეს რა სასწაული ხდება ჩვენ თვალწინ? აკი ამჯერად მხოლოდ ქალის მშობიარობას ვესწრებოდით — რაღაც ყოვლად უწმაწურის, უგვანის, შიშველ-უხამსის მოწმე-

ნი ვიყავით! აკი ეს უზრდელობაა, აკი ეს სასირცხვილო საქმეა, უმანკო ბავშვებს ამას აკი ვუმალავთ, წეროებსა და კომბოსტოს ფოთლებს ვიშველიებთ. მაგრამ შეეხო სიცოცხლით სავსე სიცოცხლე ბნელსა და უგვანს და ისიც ერთბაშად თვალისმომჭრელად აკაშკაშდა; ტლანქი, ხისხლიანი, უხამსი და ცხოველური აქტი ხულის შემძვრელ სამყაროულ საიდუმლოდ გადაიქცა.

მწერალი არ მოერიდა პირდაპირ და დაუფარავად აღეწერა ისეთი უზრდელობა, როგორიც მშობიარობაა, და რა საწყენია, რა გულსაწყვეტია, რომ მწერალმა დაიმორცხვა მეორე ასეთივე „უზრდელობის" წინაშე, იმის წინაშე, რისი შედეგიც არის მშობიარობა. არადა, ტოლსტოის დიახაც ხელეწიფებოდა მისი აღწერა, ხელეწიფებოდა თვალხაჩინოდ დაეხატა მისი უძირო ნათელი და უბიწო მშვენიერება, გოგონებს შეეძლებოდათ ტოლსტოის მიხედვით გასცნოდნენ სიყვარულის სერიოზულ და მკაცრ საიდუმლოს, და ერთხელ კიდევ გამოაშკარავდებოდა თუ შინაგანად როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს იგივეობრივი მოვლენები; თუ რა ლრმა უფსკრულია ბნელი სხეულის ავხორცულ ვნებისმოყვარეობასა და სიცოცხლის ნათელფენილი სხეულის წმინდა განცდებს შორის.

IX

სიყვარულის ერთობა

ნატაშა როსტოვა დაოჯახდა.

„იგი გასუქდა და დასრულდა. ახე რომ ამ ჭანით სავსე დედაში უწინდელი ხმელ-ხმელი და ცქრიალა ნატაშას ამოცნობა გაგიჭირდებოდათ. პირსახე დაუნაკვთიანდა, ზედ მშვიდი სილბო და ნათელი ელფერი დაედო. ძველებურად აღარ ეფინა სახეზე ხალისის გაუნელებელი ცეცხლი, ახე რომ ამშვენებდა მას. ახლა ხშირად მხოლოდ მისი სახე და სხეული გეცემოდათ თვალში. სულს კი ველარ შეამჩნევდით, მხოლოდ ძლიერი, ლამაზი და ჭიშიანი მდედრიღა მოჩანდა. ახლა იშვიათად თუ აენთებოდა მასში ძველი ცეცხლი... და იმ იშვიათ წუთებში, როცა მის განვითარებულ, ლამაზ სხეულში ის ძველი ცეცხლი აენთებოდა ხოლმე, მაშინ ნატაშა კიდევ უფრო მიმზიდველი ხდებოდა, ვიდრე წინათ იყო... ნატაშა ისე ძალიან მოეშვა, რომ მისი ჩაცმულობა და ვარცხნილობა, მისი უადგილოდ ნათქვამი სიტყვები თუ მისი ეჭვიანობა ყველა ახლობელისთვის სახუმარო საგნად ქცეულიყო... საგანი, რომელსაც ნატაშა მთელი გულისყურით ჩაეღრმავდა, ოჯახი ანუ ქმარ-შვილი გახლდათ."

მთელი ხაშინაო თუ ოჯახური ცხოვრების სრულუფლებიანი განმგებელი ნატაშაა. „ხოლო ქმრის ყოველნაირ გონებრივ-განყენებულ საქმიანობას ის თუმცა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მისი არაფერი გაეგებოდა და სულ ეშინოდა, ხელი არ შეეფუშალო ქმარს ამ საქმეშიო."

„ნატაშა ძალიან [illegible], — ამბობს თავისი დის შესახებ ნიკოლაი როსტოვი, — პიერი ხომ ლეჩაქის [illegible] გამოობმული, მაგრამ როგორც [illegible] ბაზეზე მიდგება, თავის სათქმელს კი არ იტყვის, მაშინვე პიერის სიტყვებით ალაპარაკდება."

ეი რანაირი შეიქნა სიცოცხლითა და ბალიით სავსე ნატაშა! ეი, ხანამდე მიგვიყვანა ჩვენმა ნაქებმა „სიცოცხლით სავსე სიცოცხლემ"! ცოცხალი ადამიანის მაგივრად — ძლიერ, ჭიშიან მდედრსღა ვხედავთ. შობისუნარიანი მეძუძური სხეულიღა დარჩენილა, გონებადაჩლუნგებული თავით. ყველაზე უფრო ღირებული — ქმრის სულიერი ცხოვრება — მიხთვის უცხოა, არ ესმის ეს საქმე და მხოლოდ თუთიყუშივით იმეორებს ქმრის ნალაპარაკევს...

მაგრამ ნუ ავჩქარდებით. აქ სიცოცხლით სავსე სიცოცხლე არ არის გასამტყუნარი და არც ნატაშას უღალატნია თავისი თავისათვის. აქ თვითონ მწერალი ტყუის, ეს მხოლოდ და მხოლოდ მან უღალატა თავის თავს: თავი ანება მხატვრის დაკვირვებულ, უაღრესად თვითჩაღრმავებულ სიმართლეს. აქეთ-იქით დაიწყო ყურება ნიშნისმოგებით, პუბლიცისტად და ქოლემიკოსად იქცა.

„მითქმა-მოთქმა და მსჯელობები დედათა უფლების შესახებ თუმცა დღევანდელივით საკითხებად არ იწოდებოდა, მაშინაც ზუსტად ისეთი იყო, როგორიც დღეა. მაგრამ ნატაშას ეს საკითხები არამცთუ არ აინტერესებდა, არამედ მათი სულ არაფერი გაეგებოდა. ეს საკითხები, დღევანდელისა არ იყოს, მაშინაც მხოლოდ იმ ადამიანებისათვის არსებობდა, რომლებიც ცოლქმრობაში მარტოოდენ სიამოვნებას ხედავდნენ. მეუღლეებმა ერთმანეთს რომ უნდა განაცდევინონ, ე. ი. ცოლქმრული ცხოვრების მხოლოდ დასაწყისს ხედავდნენ და ვერ ამჩნევდნენ მის მთლიან მნიშვნელობას, რომელიც ოჯახურ ყოფაში ვლინდება. თუ სადილობის მიზანი სხეულის გამოკვებაა, მაშინ ის, ვინც ორ თავ კერძს შეჭამს, ალბათ, მეტ კმაყოფილებას განიცდის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან ორივე კერძს კუჭი ვერ გადაამუშავებს. თუ ცოლქმრობის მიზანი ოჯახია, მაშინ ის, ვინც ხევრი ცოლის ან ქმრის ყოლას მოიხურვებს..." და ა.შ.

„Bilde Kunster! Rede nicht!"[1]

ტოლსტოი კი გვესაუბრება, გვედავება, გვიმ-

[1] „ხატე მხატვარო! ნუ გვესაუბრები!"

ტაციებს, და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მხატვრული პერსპექტივა უეცრად ბინდდება, შუქი და ჩრდილი არასწორად ნაწილდება, ზოგიერთი დეტალი არაპროპორციულად წამოიწევს წინ სხვების საზიანოდ. და ტოლსტოი აქ მშვიდი, თავდაჭერილი მხატვარი როდია, ის პოლემიკოსის გზნებით წარმოგვიჩენს ნატაშას ოჯახური ცხოვრების პირველ ძლანზე ცნობილ სახვევ ჩვარს, ზედ რომ უვითელი ლაქები აჩნია მწვანის ნაცვლად.

„საერთოდ ნატაშას საზოგადოება არ უყვარდა, მაგრამ თავისიანების საზოგადოებას მით უფრო აფასებდა. ის იმ ადამიანთა საზოგადოებას აფასებდა, რომელთა წინაშეც შეეძლო საბავშვო ოთახიდან თმაგაბუწული და ხალათის ამარა გამოფრატუნებულიყო მხიარული სახით და მათთვის სახვევი ჩვარი ეჩვენებინა, ზედ რომ უვითელი ლაქები აჩნდა მწვანის ნაცვლად, მერე დამამშვიდებელი სიტყვები მოესმინა — ახლა ბავშვი ბევრად უკეთაო."

მაგრამ ეს ზომ ხულ მთლად იგივეა, კიტის მშობიარობის სულში ნათლისმომფენი ხურათის ნაცვლად მწერალს ჩვენ წინაშე მშობიარე ქალის გასისხლიანებული ზეწარი რომ გამოეფინა, თვითონ კი ამ ზეწრის წინ დამდგარიყო და ეთქვა: „თუ სიყვარულის მიზანი სიამოვნებაა მაშინ ცხადია, მშობიარობა საშინელი სიმახინჯეა და ზედმეტია, მაგრამ თუ სიყვარულის მიზანი დედამიწაზე სიცოცხლის განგრძობაა, მაშინ..." და ა. შ. და რამდენიც არ უნდა ელაპარაკა და ეზტკიცებინა, ჩვენ მაინც მარტოოდენ გასისხლიანებულ ზეწარს დავინახავდით და ეს ზეწარი ხწორედ ხაპირიხპირო რასმე გვეტყოდა, რომ ჩვენი ნაქები მოვლენა ხწორედ ხაშინელი სიმახინჯეა და ზედმეტიაო.

იგივე ითქმის ნატაშას სახვევი ჩვრის შესახებაც. საქმე თვითონ სახვევ ჩვარში როდია. ის არაფერს არ დააშავებდა, ისევე როგორც გასისხლიანებული ზეწარი არ დააშავებდა რაშეს კიტის მშობიარობისას. საქმე ის არის, რომ სახვევი ჩვრის მიღმა ტოლსტოისთან ჩვენ სიცოცხლის იმ სიღრმეს და დაძაბულობას ვერა ვგრძნობთ, რომელიც სახვევ ჩვარს შეგვაწუხარებინებს.

ნატაშა კი ძველებურად სავსეა ამ ღრმა და დაძაბული სიცოცხლით, იმაში, რომ ის ოჯახსაა გადაყოლილი, არამცთუ გასაკვირია რაშე, არამედ ვერაფრით ვერ წარმოგვიდგენია, ხხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო. მოხუცი გრაფინია ამბობს ნატაშაზე: „მას მეტისმეტად უყვარს თავისი ქმარ-შვილი, ისე რომ, ცოტა არ იყოს, სულელურადაც გამოუდის". ასე ჭრის ნატაშას ბედი — ყველაფერი უკიდურესობამდე უნდა მიიყვანოს, არაფერი სანანევროდ არ უნდა გააკეთოს, ხასიათი აქვს ასეთი. ერთგან ტოლსტოი ამბობს მასზე: „ნატაშას არ შეეძლო, გული არ უშვებდა თავგამოდებით და გულდასმით არ ეკეთებინა, რასაც აკეთებდა".

და გასაგებია, რომ მის წინაშე წამოჭრილმა ახალმა შინაურულმა და მნიშვნელოვანმა ხაქმემ ხულ ერთიანად გაიტაცა იგი.

„რაც უფრო გულმოდგინედ ეკეთებოდა ნატაშა, — არა გონებით, ხულ მთელი თავისი არსებით, — მისი საქმიანობის ხაგანს, ოჯახს, მით უფრო იზრდებოდა ეს საგანი მისი მზრუნველობის წყალობით, ასე რომ, ნატაშა ოჯახზე თავგადაკლული კი იყო, მაგრამ მაინც ვერ ასწრებდა ყველაფერს, რისი გაკეთებაც ხაჭიროდ მიაჩნდა."

მაგრამ ნატაშას ეს უუნარობა, — ისე ეკეთებინა რაიმე, რომ თან არ გადაყოლოდა, დაწყნარებული, „ხტატიკური" ბედნიერების ცუდი საწინდარი გამოდგა. ტყუილად კი არ კარნახობდა დედის გუმანი მოხუცი გრაფინიას, „რომ რაღაც ნამეტნავად მოჭარბებულია ნატაშაში და ეს დაღუპავს მას".

დაუმთავრებელი რომანის „დეკაბრისტების" ნაწყვეტიდან ვტყობილობთ, რა ბედიც ეწია ნატაშას შემდგომში. სასჯელმოხდილი დეკაბრისტი პიერ ლობაზოვი კატორღიდან მოსკოვში ბრუნდება. გულუბრყვილო, ახირებულ პიერ ლობაზოვში და მის მეუღლე ნატალია ნიკოლაევნაში არ უნდა გაგვიჭირდეს პიერ და ნატაშა ბეზუხოვების ამოცნობა.

„როგორც ჩანს, ნატალია ნიკოლაევნა მარტო მგზავრობით და გაჭირვების წლებით დაღლილი არ ეძლეოდა მოსვენებას, ის მთელ თავის ცხოვრებას მოეჭანცა და ახლა მისგან ისვენებდა. ქმრის სიყვარულით ჩადენილი მამაცობის და მისი ერთგულების გამო იყო, თუ იმ სიყვარულის გამო, რომელიც შვილებს არგუნა პატარაობისას, მძიმე დანაკლისის შედეგად მოხდა თუ მისი ხასიათის თავისებურება იყო ამაში დამნაშავე, ოღონდ ქალის შემხედვარე ყველა უეჭველად მიხვდებოდა, რომ მისგან აწ აღარაფერს აღარ უნდა მოელოდეს, რომ ამ ქალმა უკვე ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მთელი ჯან-ღონე შეალია ცხოვრებას და ახლა მთლად გამოფიტულიყო. დარჩა მისგან მხოლოდ რაღაცა პატივისცემის ღირსი და სევდისმომგვრელი, როგორც მოგონებები, როგორც მთვარის ნათელი.

Sie pflegen und weben Himmlischen Rosen ins irdische Leben.

მან იცოდა ეს ლექსი და უყვარდა იგი, ოღონდ არასოდეს მისით არ ხელმძღვანელობდა. თვითონ თხემით ტერფამდე ამ აზრის გამოხატულება იყო, მთელი ცხოვრება ამ უჩინარ

ვარდებს აწნავდა მიხდაუნებურად ყოველი კაცის ხულში, ვისაც კი გადაეყრებოდა...''

●

როგორც ვნახეთ, ნიკოლაი როსტოვმა ასეთი აზრი გამოთქვა თავისი დის შესახებ: „ნატაშა ძალიან სასაცილოა, როგორც კი საქმე მსჯელობაზე მიდგება, თავის სათქმელს კი არ იტყვის, მაშინვე პიერის სიტყვებით ალაპარაკდება''. თვითონ ტოლსტოი აღნიშნავს, რომ ქმრის გონებრივ-განყენებულ საქმიანობას ნატაშა უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მისი არაფერი გაეგებოდათ. ნიშნავს ეს, რომ ნატაშას და პიერს შორის კავშირი მხოლოდ ცხოველურია ,რომ სხეულებრივი სიახლოვისას მათ შორის ხულიერი გათიშულობა და გაუგებრობა სუფევს?

ტყვეობიდან თავდაღწეული პიერი ნატაშა როსტოვას თავისი ტყვეობის ამბავს უყვება.

„ეტყობა, ნატაშა მარტო იმას კი არ გეგულოგდა, რასაც პიერი უამბოგდა არამედ იმასაც, რის თქმასაც პიერი ლამოგდა, მაგრამ სიტყვებით ვერ გამოეხატა... იგი თავის თავგადასავალს უყვებოდა. სხვა დროს არასოდეს ასეთნაირად არ გახსენებია ეს ამბავი. უველაფერი, რაც მას გადახდენოდა, ახლა თითოს რაღაც ახლის მეტყველი შექმნილიყო. ახლა, როცა უველაფერს ამას ნატაშას უამბობდა, ის იმ იშვიათ სიამოვნებას განიცდიდა, რომელსაც ქალები ანიჭებენ ხოლმე მამაკაცს, როცა უსმენენ მას, — არა ჭკვიანი ქალები, რომლებიც გვიგდებენ რა ყურს, ცდილობენ დაიხსომონ ნათქვამი და ამით ჭკუა გაიმდიდრონ, ანდა სურთ ხაჩქაროდ გაგვიზიარონ ჭკვიანური აზრები, თავიანთ ციცქნა ჭკუის სარეწში რომ დაუმზადებიათ, — არამედ ნამდვილი ქალები, რომლებიც დაჯილდოებული არიან უველაფერ იმ საუკეთესოს ამორჩევის და შეწოვის უნარით, რაც კი საერთოდ მამაკაცისაგან შეიძლება შეიტყონ''.

მაშ თურმე ნატაშა ზოგ რამეს იგებს კიდეც პიერის პიროვნებაში, თანაც ისე, რომ თვითონ პიერსაც რაღაც ახალს მმატებს ამით. და ეს გაგება არამცთუ არა ჭრება ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში, — პირიქით, იზრდება და ღრმავდება.

ნატაშა პიერს განმარტოებით ესაუბრება. „ნატაშა ისე ელაპარაკებოდა პიერს, როგორც მხოლოდ ცოლს ხჩვევია ქმართან, ე. ი. ის უჩვეულოდ სწრაფად და ნათლად იგებდა და აგებინებდა ლოგიკის უველა წესის საპირისპირო გზით, — არა მსჯელობებისა და დასკვნების მოშველიებით, არამედ სრულიად თავისებური წესით. ნატაშა იმ ზომამდე მიეჩვია ქმართან ამგვარ ლაპარაკს, რომ ცოლ-ქმარს შორის რაიმე უთანხმოების უველაზე უტკივარ ნიშნად მას პიერის აზრთა ლოგიკური მდინარება მიაჩნდა... ასე საუბარი ლოგიკის უველა კანონს ეწინააღმდეგობოდა. ეწინააღმდეგებოდა უკვე იმით, რომ სრულიად განსხვავებულ საგნებზე ერთდროულად ლაპარაკობდნენ. ეს ბევრ რამეზე ერთდროული ლაპარაკი არამცთუ არ აბრკოლებდა ერთმანეთის აზრის ნათლად გაგებას ,არამედ [illegible] უველაზე უტკივარი ხაბუთი იყო იმისა, რომ მათ სავსებით გაეგებოდათ ერთმანეთის.''

ქმრის გონებრივ-განყენებული საქმიანობის ნატაშას „არაფერი გაეგებოდა''. მაგრამ, როგორც ირკვევა, იმიტომ კი არ გაეგებოდა არაფერი, რომ გაგება არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ ეს ასე ძალიან წვრილმანი და არაარსებითი იყო იმ მნიშვნელოვანთან და ძირეულთან შედარებით, რაც მას გაეგებოდა!

მოგზაურობიდან პეტერბურგში დაბრუნებული პიერი დედაქალაქში შექმნილ ვითარებაზე ლაპარაკობს, იმ საიდუმლო საზოგადოების შესახებ გვიამბობს, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც თვითონ არის. „ნატაშა, შუა საუბარში რომ შემოსულიყო ოთახში, გაბარებული მისჩერებოდა ქმარს. მას ქმრის მონაყოლი რადი ახარებდა, ეს არც აინტერესებდა, ვინაიდან მეტისმეტად მარტივი ეჩვენებოდა და ეგონა, დიდი ხანია ვიცი ეს ყოველივეო (ასე იმიტომ ეგონა, რომ მან უველაფერი იცოდა, რისგანაც ეს გამომდინარეობდა, მან პიერის სული იცოდა)). მაგრამ ნატაშას გამოცოცხლებული და აღფრთოვანებული ქმრის ცქერა ახარებდა.''

ადამიანის გონებრივ-განყენებული საქმიანობა თვითონ ტოლსტოისაც უველაზე უკანასკნელ რამედ მიაჩნია. ის მხოლოდ წარმონაქმნია, რაღაც ბევრად უფრო ხიღრმისეულიდან არის ამოსული, — ადამიანის სულის ნაყოფია. მარტოოდენ საერთო გონებრივ-განყენებული საქმის არსებობა, თვით „საერთო იდეალების'' ქონაც კი ტოლსტოისთვის სრულიად არაფრის მთქმელი არ არის და სულაც უაზრობად და უხამსობად მიაჩნია, თუ ამ საერთო იდეალებს იმ ღრმა, იდუმალი ერთიანობის საფუძვლად შევრაცხავთ, რომელიც შეუვარებული წყვილის ქალურ და მამაკაცურ ბუნებას აერთებს და ადუღებს, თითქოს ტოლსტოი თვითონაც მზადაა პოზდნიშევივით გესლიანად ჩაიცინოს და ცინიკურად მოგვიგოს: „მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, რა საჭიროა ერთად ძილი? (მომიტევეთ უხეში გამოთქმისათვის) იქნებ საერთო იდეალების გამო წვებიან ერთად დახაძინებლად!''.

და მართლაც ,თუ ორ ადამიანს მედიცინა და მუსიკა იტაცებს, ანდა სოციალური იდეა-

ლებისაკენ სწრაფვა აერთიანებს, ეს რა საიმისო საბუთია, რომ მათ ერთად დაიძინონ?

ნატაშას და პიერის ამბავი სულ სხვაა. მათ ნაფიქრი და ნააზრევი როდი აკავშირებს ერთმანეთთან, გარეგნული მიდრეკილებები და მისწრაფებები როდი აერთიანებს; ისინი თავიანთი არსების თვით ულრმეს საფუძველში გამთლიანებულან. მათ ერთმანეთთან ურთიერთობისათვის არა სჭირდებათ „მსჯელობა-დასვენების" უზარმაზარი აპარატი, რომლითაც ადამიანები სარგებლობენ ხოლმე ურთიერთობაში. ისინი „მთლად თავისებური" წესით საუბრობენ ერთმანეთში; ამნაირად მხოლოდ სული ებაასება ხოლმე თავის თავს. ისინი ორნი კი არ არიან უკვე, არამედ — ერთი. სულები ერთმანეთს შეერწყა. და აქ მხოლოდ უცნაურ ახირებად გაისმის პოზდნიშევის შეკითხვა: „რაღა საჭიროა ერთად ძალი?" ერთში ყველაფერი ხელმისაწვდომია მეორისათვის, აკრძალული მიჯნები აღარ არსებობს. სულიერი ურთიერთშერწყმულობა მბრძანებლურად მოითხოვს ხორციელ ურთიერთშეწყმას. საყვარელი ადამიანისათვის ხხეულის საიდუმლოებებიც ისევე ებდება ფარდა, როგორც სულის საიდუმლოებებს აეხადა. გაერთდა სული და გაერთდა ხორციც.

და ამ მტკიცე ერთობაში განუწყვეტელია ქალისა და მამაკაცის სულიერ სამყაროთა უაღრესად ფაქიზი და რთული ურთიერთქმედება, რაც ესოდენ ნიშანდობლივი რამ არის, მწერლობაში კი ასე უგულებელყოფენ. სამწუხაროდ, ტოლსტოისთანაც ეს თუმცა სარწმუნოდ, მაგრამ მაინც ძალიან გაკვრითაა გადმოცემული.

იგულისხმელზე ცოლ-ქმარს არცთუ იშვიათად კამათიც მოსვლიათ, მაგრამ მერე პიერი მისდა გასაოცრად და მისდა სასიხარულოდ ცოლის ნალაპარაკევში, — და არა მარტო ნალაპარაკევში, არამედ მის საქციელშიც, — კარგა დიდხანს ამჩნევდა ხოლმე სწორედ იმ აზრებს, რომელთა წინააღმდეგაც ნატაშა კამათობდა; ამასთან პიერი ხედავდა, რომ ეს აზრები განწმენდილი იყო ყოველივე ზედმეტისაგან, რაც გაცხარებული კამათის გამო ამ აზრების პიერისეულ გამოხატვას ახლდა თან.

შვიდი წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ პიერს საამური და მყარი შეგრძნება დაეუფლა: ურიგო კაცი არა ვყოფილვარო, ეს შეგრძნება იმის შედეგი გახლდათ, რომ თავის თავს ცოლში ახალულს ხედავდა. პიერში, როგორც თვითონვე გრძნობდა, კარგი და ცუდი არეული იყო და ერთმანეთს აბნელებდა, მის ცოლში კი აქედან მხოლოდ ის აისახებოდა, რაც მართლაც კარგი იყო. ყველაფერი, რაც მთლად კარგი ვერ იყო, ნატაშას უკუეგდო. პიერის ეს თვისებები ნატაშაში ლოგიკური აზრის მეშვეობით არ ასახულა, არამედ სხვაგვარი, გამოუცნობი, უშუალო ასახვით აისახა."

ქალისა და მამაკაცის სულიერი სამყაროები უაღრესად სხვადასხვაგვარია. მამაკაცის სამყაროში აზრ-გონება და შემოქმედება ჭარბობს. ქალის სამყაროში — სულ სხვა რამ.

თავადის ქალი მარია ეკითხება პიერს, მაშინ თავად ანდრეის საცოლის, ჯვეი ნატაშას შესახებ.

„— ის ალბათ ჭკვიანია?

პიერი ჩაფიქრდა.

— მე მგონი, არა, — თქვა მან, — თუმცა შეიძლება არის კიდეც, **ოღონდ ეგ სულაც არ ენაღვლება...** ის მომხიბლავია და მეტი არაფერი."

ქალის სამყაროში, „ნამდვილი ქალისათვის", ტოლსტოის მიხედვით, ჭკუა იმდენად უცხო ხილია, რომ, უბრალოდ, ქალთა სამყაროს ჭკუასთან დამოკიდებულების გარკვევაც კი გვიძნელდება. „მე მგონი, არა... თუმცა, შეიძლება არის კიდეც... მო, არა.." ნამდვილ ქალს არ ანაღვლებს, არის თუ არა თვითონ ჭკვიანი. „ჭკუის სარეწის" ხიმცირით, ტოლსტოის მიხედვით, ქალი არ დაიწუნება. მასში ჭარბად არის ის, რაც ზოგჯერ ასე ნაკლებია მამაკაცის „დიდ ჭკუის სარეწში", ჭკუის მოხმარების, აზროვნების, უშუალო შემოქმედების უნარი ქალში სულაც არ არის პირველხარისხოვანი. სამაგიეროდ დიდი და უძიროა ის ირაციონალური ალღო, რომელსაც საბოლოო ჯამში აზრიც ეფუძნება და შემოქმედებაც. ეგების სწორედ ეს მეტისმეტი ალღოიანობა და ირაციონალური გადატვირთულობა ართმევს ქალს უშუალო შემოქმედების უნარს, — რაღაც ფაქიზის და მოუხელთებლის მარად უხეშ და მარად შეზღუდულ ცხოვრებისეულ ფორმებში განხორციელების ნიჭს. ნატაშას, მაგალითად, სრულებით არ ეხერხება წერილების წერა. „მას წერა არ ეხერხებოდა, ვინაიდან ვერ მიმხვდარიყო, წერილში როგორ უნდა გამოეხატა მართებულად იმის თუნდაც ერთი მეათასედი, რის გამოხატვასაც ხმით, ღიმილით და შემოხედვით დასჩვეოდა."

და აი, ორი ერთმანეთისაგან უაღრესად განსხვავებული სულიერი სამყარო ურთიერთობას იწყებს; ორი ერთნაირი ძალა კი არ ერთიანდება, არამედ თვისობრივად განსხვავებული ორი ძალა ურთიერთქმედებს. მამაკაცის ნააზრევი ქალური განურჩევლობის ოქროცურვილ ბურუსში იძირება, იქიდან გამოუცნობი წესით ამოიკლება და გაბრწყინებული, განწმენდილი და გაღრმავებული ბრუნდება უკან. და ვინ გაარკვიოს, სად რამდენია აქ თითოეული ძალის წვლილი?

ნიკოლაი როსტოვს ეცინება: „ნატაშა თავის

სათქმელს კი არ იტყვის, მაშინვე პიერის სიტყვებით ალაპარაკდება". მაგრამ ნიკოლაიმ არაფერი არ იცის იმ საიდუმლო ლაბორატორიის შესახებ, რომლიდანაც ეს სიტყვები გამოვიდნენ. მერე რა, თუ იხინი პიერის ფორმულირებულია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს სიტყვები მხოლოდ პიერისაა და ნატაშისი კი არა.

კი მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს სიტყვები რომ მაინც სხვანაირი იქნებოდა, ნატაშა რომ სხვისი ცოლი ყოფილიყო. სხვისი ცოლი? მაინც ვისი? ბორის დრუბეცკოის თუ ანატოლი კურაგინისა? მათი სიტყვები და აზრები ქერტლივით დასცვივდებოდა ნატაშას სიცოცხლით სავსე სულს. მაგრამ თავადი ანდრეის ცოლი რომ ყოფილიყო? დიახ, მისი სიტყვები მაშინ სხვანაირი იქნებოდა, ისევე როგორც, მისი ბავშვები იქნებოდნენ სხვები. და ჩვენ არ არაფრად გვჭირდება იმის მარჩიელობა, თუ რამდენი იქნებოდა ნატაშას წვლილი ამ „სხვანაირი" სიტყვების შექმნაში. „ოშისა და მშვიდობის" გარჩევისას ჩვენ დავინახეთ, თუ რას უშვრება ნატაშა ანდრეის სულს, დავინახეთ, როგორ თავდაყირა აყენებს იგი ანდრეის მთელ მსოფლმხედველობას. და როცა ანდრეი თავის ამ ახალ მსოფლმხედველობას სიტყვებში მოაქცევდა და ნატაშა მას გაიმეორებდა — უცნაური იქნებოდა ამაზე გაგვცინებოდა. ისლა დაგვრჩებოდა, გველიარებინა: ნატაშას შვილები ,რომლებიც მას თავად ანდრეისაგან ეყოლებოდა, პიერს დიახაც არ დაემგვანებოდნენ, მაგრამ მათშიც, ისევე როგორც პიერის შვილებში, ერთნაირად გადავიდოდა ისევ ის ნატაშა. იგივე ითქმის „სიტყვების" შესახებაც.

X

ზეზემკვდრეებისეული სიყვარული

პოზდნიშევი ამბობს „კრეიცერის სონატაში", „სიყვარული ხუმრობა ხელმე არ არის, სიყვარული დიდი ამბავია." და ჩვენც ვნახეთ: ტოლსტოისთვის ეს მართლაც დიდი ამბავია, — სერიოზული. საიდუმლო, შემოქმედებითი ხიბარულის მომნიჭებელი. სიყვარული ერთიანობის მისაღწევი, ნათელი, „მაცხონებელი" საშუალებაა. მაგრამ ფულგამყინავ სიცარიელედ და შემაძრწუნებელ ბოროტებად იქცევა იგი, როცა მას ზეზემკვდარი ადამიანი მიეხლება და ცოცხალ, დრმა საიდუმლოებას ცხოვრების მხუბუქ სიამოვნებად გადააქცევს.

ეი როგორ უყვარდა ივან ილიჩს, „ივან ილიჩის სიკვდილის" გმირს: „პრასკოვია ფიოდოროვნა ყველაზე მიმზიდველი, ჭკვიანი და ბრწყინვალე ქალიშვილი იყო იმ წრეში, სადაც ივან ილიჩი ტრიალებდა. სხვა საპხის გასართობად ზორის და გამომაძიებლის ჯაფისაგან სულის მოსაგრუნებლად ივან ილიჩს შესაქცევარი, მნუგეში ურთიერთობა დაამყარა პრასკოვია ფიოდოროვნასთან. ქალს შეუყვარდა ივან ილიჩი. მართალია, ივან ილიჩს ნათლად, გარკვევით არ ჰქონია განზრახული ცოლის შერთვა, მაგრამ, როდესაც ქალმა შეიყვარა, ეს კეთილიც დაებადა: „მართლაც და რატომ არ უნდა შევიყვაროთ? — უთხრა თავის თავს."

შეირთო. ამით ივან ილიჩი თავისთვის საამური რამეს აკეთებდა ასეთ ცოლს რომ იძენდა, თან აკეთებდა იმას, რაც მაღლა მდგომ ადამიანებს სწორად მიაჩნდათ. მაგრამ სულ მალე, ქორწინებიდან რალაც ერთი წლის შემდეგ, ივან ილიჩი მიხვდა, რომ თუმცა ცოლ-ქმრულ ცხოვრებას ერთგვარი სიკეთე ახლავს, არსებითად ეს შეტად რთული და საძძიმო საქმეა, რომლის მიმართაც, თუკი შენ ვალის მოხდა, ე. ი. წესიერი, საზოგადოებისათვის მოსაწონი ცხოვრება გწადია, უნდა გამოიმუშავო გარკვეული დამოკიდებულება. ივან ილიჩმა გამოიმუშავა კიდეც ასეთი დამოკიდებულება ცოლ-ქმრული ცხოვრებისადმი. ოჯახური ცხოვრებისაგან ის მოითხოვდა მხოლოდ იმ სიკეთეებს, რომელთა მოცემაც მას შეეძლო — შინაურ სადილს, დიასახლისს, საწოლს და, რაც მთავარია, წესიერების იმ გარკვეულ ფორმებს, საზოგადოებრივი აზრით რომ იყო ნაკარნახევი. სხვა მხრივ კი მხიარული თავშესაქცევის მაძებარი გახლდათ და, თუკი მოიპოვებდა, მადლიერი იყო ხოლმე; მაგრამ თუ წინააღმდეგობასა და ბუზღუნს წააწყდებოდა, მაშინვე თავის განცალკევებულ, სამსახურით შემოფარგლულ სამყაროს შეაფარებდა ხოლმე თავს და იქ ჰპოვებდა ხიამეს."

ამგვარივეა პოზდნიშევის სიყვარული „კრეიცერის სონატაში". პირველად ჩერ კიდევ თხუთმეტი წლისამ შეიცნო სიყვარული, შეიცნო გაშიშვლებულად, უხეშად კაბპის ალერსში. ქალი „რადაც უტკბესად", გემრიელ ხორცად იქცა. „ტირილი მომინდა ქალთან ჩემს სამუდამოდ დალუპულ ურთიერთობაზე... ავხორცს რომ იტყვიან, იმად ვიქეცი. ავხორცობა კი ფიზიკურად მორფინისტის, ლოთის, მწევლის მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავდა... როგორც ლოთს და მორფინისტს მაშინვე იცნობ სახით და საქციელით, ასევე უცბად შეიცნობ ავხორცსაც. უბრალო, ნათელი, წმინდა დამოკიდებულება ქალთან მას არასოდეს ეკნება. მრუში კაცი ერთი შეხედვით იცნობა იმის მიხედვით, თუ როგორ შეხედავს და შეათვალიერებს აბალგაზრდა ქალს. მეც ავხორცად ვიქეცი და ასეთად დავრჩი. სწორედ ამან დაგლუკა".

თავის დროზე პოზდნიშევსაც შეუყვარდა.

დაოკახდა. ცხადია, ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა. ყოველგვარი „თავზარდამცემი ხიხარულების“ გარეშე. ნატაშები და ლევინები რომ განიცდიან. „ჩერხი ძალიან უხდებოდა, კულულებიც შვენოდა. მის გვერდით გატარებული მთელი დღის შემდეგ უფრო მეტი სიახლოვე მომინდა.“ და ეი — ჭორწინებაც. ერთი მხრივ მრუში შამაკაცი, რომელსაც თვალი ქალის ხორცზე რჩება. მეორე მხრივ — ქალი, „ან ბაზარზე გაყვანილი მონა, ან არადა ხაფანგის მიხატუუებელი.“

იმთავითვე ცხადია, რა სიყვარულიც ექნებათ ერთმანეთში.

„შეყვარებულობა მგრძნობიარობის დოკებით ამოიწურა და ორივენი ერთმანეთის პირისპირ ნამდვილი დამოკიდებულებით აღმოჩნდით. ე. ი. ორი ერთმანეთისათვის ხავსებით უცხო ეგოისტი, **რომელთაც სურვილი გამოუნდა რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიგვეღო ერთიმეორის ხარჯზე.**“

სიამოვნების მომგვრელია ქალის გემრიელი ხორცი, თუკი ადამიანი მშიერია. მაგრამ ის გამძღარა, ხორცი კი ისევ თვალში ეჩხირება — ეს ყელში ამოხუული, ადვილად ხელმისაწვდომი და ზიზღისმომგვრელი ხორცი. „მახსოვს, მიჩხუბნია ძმასთან, მეგობართან, მამასთან და ჩვენ შორის არასოდეს ყოფილა ის ზზამიანი ღვარძელი, რაც აქ დავინახე. გონება ვერ ასწრებდა სხვადასხვა საბაბის მოგონებას, როგორმე შეენიღბა გამუდმებული ურთიერთმტრობა. მაგრამ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ შესარიგებლად ხულ უბრალო საბაბიც გვყოფნიდა. იყო ზოგჯერ სიტყვები, განმარტებები, ცრემლები. მაგრამ ზოგჯერ... ფუჰ, რა საზიზღრობა იყო! ნეტავი რამ ამიხვია მაშინ თვალები, რომ ვერ ვხედავდი ყოველივე ამ სიბინძურეს...“

მაშინ ის ვერ ხედავდა ამას, და მხოლოდ დიდმა უბედურებამ — სისხლმა და მკვლელობამ — აუხილა თვალი ზეზეურად მკვდარს და დაანახა, რომ ის თურმე ქალის ხორცით კი არ იყოლიებდა თავს, არამედ მთელი ცხოვრება კლავდა და გაშმაგებული ოცნებობდა ფიზიკურ ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლით ხავსე სიცოცხლეს.

„მე მოგცემდა, რად გვძულდა ასე ერთმანეთი. მაგრამ სხვაგვარად ხომ [illegible] ბელი იყო! ეს სიძულვილი [illegible] ფილა, თუ არა დანაშაულის ჩამდენთა ერთი ერთ სიძულვილი... დანაშაული იყო, მაშ რა, როცა იმ ხაცოდავს პირველივე თვეზე ბავშვი ამყვა, ჩვენი **ლმრთული** კავშირი კი გრძელდებოდა! თქვენ გგონიათ თხრობას გადავუხვიე? სულაც არა! მე იმას გიყვებით, **როგორ** მოვკალი ცოლი. აეკეჩებო! მათ ჰგონიათ, მაშინ მოვკალი, ხოლ ოქტომბერს, დანით. მაგრამ მე მაშინ კი არ მომიკლავს, გაცილებით ადრე მოვუღე ბოლო. სწორედ ისევე, როგორც ახლა ახინი ჰკლავენ — ყველანი, ყველანი...“

და პოზდნიშევის ცხოვრება გაცუდდა. და ივან ილიჩმაც გულჩათხრობილ მარტოობაში გაღაფა სული თავის ოჯახში. შემთხვევით არა ხდება ასე. ულმობელი და უაღრესად ხერხიანი ზულია სიცოცხლით ხავსე სიცოცხლე. თავის თან მკაცრ, თან სიბარულს მომნიკებელ ხაიდუმლოში. ვაი თქვენდა, უგუნურნო, გულარხეინად რომ შეაბოტეთ მის ხაიდუმლო ტაძარში, „კმაყოფილებისა“ და „მსუბუქი ხიმოვნების“ მოლოდინში. სიცოცხლით ხავსე სიცოცხლე ულმობელია მკრეხელთა მიმართ. „რამეთუ საყურძნისა მისგან სოდომელთაისა იყო საყურძნე მათი და ვენახები მათი გომორელთაგან, ყურძენი მათი ყურძენი ნაღვლისანი და ტევანი — სიმწარისა მათისაი; გულისწყრომაი ვეშაპთაი იყო ღვინოი მათი და რისხვაი ასპიტთაი განუკურნებელი. დღესა მას შურისგებისასა მივაგო მათ. ჩემი არს შურისგება და მე მივაგო.“ (ᲛᲝᲬ. 32, 32—35).

□

ანტონიო მაჩადო ი რუისი

ესპანურიდან
თარგმნა მერი ტიტვინიძემ

„ხუან დე მაირენა. მახვილგონივრული სენტენციები, ესკიზები და მოგონებები ერთი აპოკრიფული პროფესორისა“

მუდამ არ მოგიწოდებთ, რომ ილტვოდეთ გაბედეთ უკეთესნი, ვიდრე ხართ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გეტყვით ესპანელები არ იყვნეთ-მეთქი. რამეთუ არაფერს არ ეყვარება ჩვენი მოდგმის ხალხი ჩემზე მეტად და ჩემზე მეტად არავის ეამაყება მისი ღირსებები. მათ არ უნდა ჩაუთვალოთ დაუზოგავ სიმკაცრედ საკუთარი თავის განსჯისა და არცთუ მცირე შემწყნარებლობა ჩვენს მოყვასთა განსჯისას.

მართლაც ესპანელი უნდა იყო, რომ ილაპარაკო ესპანეთზე ისეთი რამეები, რასაც ახლა ლაპარაკობენ. და ამაში არაფერია არაბუნებრივი ანდა აუხსნელი, რამეთუ არავინ იცის მანკიერება, რომელიც თვითონ არ გააჩნდეს და არცა ტკივილი, რაც მას არ განეცადოს. ეს პოზიციაც პატიოსანია, გულწრფელი და ღრმად ადამიანური. მე თქვენ გთხოვთ ერთგულად მიჰყვეთ მას სიკვდილამდე.

ის, ვინც ლაპარაკობს ესპანეთზე, როგორც საგაჭრო ფირმაზე, რომლის პრესტიჟი უნდა შევინარჩუნოთ და დავიცვათ მისი ინტერესები მსოფლიო ბაზარზე, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ის, ვისი პატრიოტული ვალი მდგომარეობს რეკლამაში, ხმაურში, წყლულების დამალვაში, იმსახურებს, მე ამას დავუშვებ, კარგი პატრიოტის ნდობას, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწოდებოდეს კარგი ესპანელი.

კიდევ ერთს ვიტყოდი, მათ შეუძლიათ კიდეც იყვნენ კარგი პატრიოტები, რამეთუ ფიქრობენ, რომ ესპანეთი არის, როგორც ევროპის თითქმის ყველა ერი, რაღაც კორპორაცია, არსებითად მებრძოლი, რომელსაც უწერია ერთ დიდ შეტაკებაში ჩამოვიდეს მთელი ფსონი და ამიტომ არ უნდა გავაშიშვლოთ მისი წყლულები, არამედ პირიქით, მოვამარაგოთ შეიარაღების ყველა სახით და არ დავივიწყოთ, მეტნაკლებად ხელოვნურად შექმნილი ეროვნული სიამაყის გრძნობები, მაგრამ ამგვარი აზრები ღრმად არაესპანურია.

●

ბევრს უკვირს, პატონებო, რომ რიტორიკის გაკვეთილზე ისეთ რამეებზე ვლაპარაკობთ, რაც საკმაოდ უცხოა მჭევრმეტყველების ხელოვნებისთვის; რამეთუ მრავალს, — უმეტესობას, — მიაჩნია, რომ ამ ხელოვნებას შეიძლება ისე დაეუფლო, რომ დიდად არ შეიწუხო თავი: ეს რომ მართლა ასე იყოს, მჭევრმეტყველებაში უნდა გვესმოდეს კარგი ლაპარაკის ხელოვნება, ისე რომ არაფერი ვთქვათ; ანდა ხელოვნება — ვილაპარაკოთ კარგად ერთზე და ვიფიქროთ მეორეზე; ეს კი არ შეიძლება. კარგად რომ ვილაპარაკოთ, კარგად უნდა ვფიქრობდეთ, ხოლო კარგად რომ ვიფიქროთ, მნიშვნელოვანი

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 1989 წ.

თემები უნდა შევარჩიოთ, რაც თავისთავადაც მიიპყრობდა ჩვენს ყურადღებას, სტიმულს მოგვცემდა, აგვაღელვებდა, გაგვიტაცებდა და კიდეც გაგვაჯერვებდა. და კიდევ, სხვათაშორის, მეტისმეტად ნუ გავმიჯნავთ რიტორიკასა და სოფისტიკას, რიტორიკასა და ფილოსოფიას, ფილოსოფიასა და ღვთაებრივსა და ადამიანურზე ჩვენს ფიქრს.

●

იყავით თავისთავადნი, გირჩევთ, ლამის ებედავ და გიბრძანებთ კიდეც. ამისთვის, ცხადია, მოგიწევთ უარი თქვათ იმაზე, რომ ტაში დაუკრათ სნობებს და სისხლის ფანატიკოსებს, რადგან მათ ყოველთვის ეგონებათ, რომ სადღაც წაუკითხავთ ეს რაღაც. თქვენი აზრები და იმასაც იფიქრებენ, რომ თქვენც ასევე სადღაც წაიკითხეთ, მდებიოთა ხელით შებილწულ წიგნებში და რასაკვირველია, მათსავით კარგად მაინც ვერ გაიგეთ. ხოლო თქვენთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ ის, რაზეც ფიქრობთ, უკვე ოთხმოცჯერ წაგიკითხავთ და ხუთასჯერ მაინც გაგიგონიათ, რამეთუ ერთი და იგივე არ არის, როცა თვითონ ფიქრობ და კითხულობ.

●

ერიდეთ ლიტერატურულ მანერულობას, ორიგინალობის ამ ყველაზე დიდ მტერს. იფიქრეთ, რომ თქვენ წერთ უკვე კარგად დალეწილებულ ენაზე, ფოლკლორით, ხალხის სიბრძნით გამდიდრებულ ენაზე, რომელიც იყო ის წმინდა ოხა, რისგანაც გამოძერწა სერვანტესმა ყველა დროის ყველაზე უფრო თვითმყოფადი ლიტერატურული ქმნილება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მანერულობის მოყვარულებს, რომლებიც მიჰყვებიან მსუბუქ თვითმყოფადობას, წმინდა გარეგნულს, შესაძლებელია ჰქონდეთ საფუძველი თქვენ დაგიპირისპირდნენ, თუ თქვენ არ შეასრულებთ მწერლის უპირველეს მოვალეობას და მასალაში ჩასდებთ, ორმაგად თქვენს გონებასა და გულს, ხოლო უფრო მეტ საბაბს მისცემთ, თუ თქვენ გადავარდებით ბარბაროსულ ტრადიციულობაში, თავს რომ იწონებს მსოფლიო კულტურას გვერდს ავუვლიო.

●

წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც ქვები ისე ცივა, როგორც მოესურვებათ, ხოლო ადამიანებს არ ძალუძთ გადაუხვიონ თავიანთ გზას და იძულებულნი არიან იარონ ლიანდაგებზე. ეს იქნება ჯოჯოხეთის ის წრე, სადაც დასტე ათავსებდა დეტერმინისტებს.

პოლიტიკური თვალსაზრისით კი ალბათ არცაა პრობლემა. ამ სამყაროში ყველა ადამიანი იქნებოდა ლიბერალი, ხოლო ქვები... ისევ ისე კონსერვატორებად დარჩებოდნენ.



●

ჩემი მასწავლებელი ბელ, ბარტლეტი, იტყოდა ხოლმე, თავმდაბლობა ისეთი სიკეთეა, რომლითაც ღმერთები ჩვეულებრივად აჯილდოვებენ ყველაზე უფრო ბრწყინვალეთ. გაიხსენეთ სოკრატე, რომელსაც იმის მეტი არაფერი უნდოდა, რომ ყოფილიყო სასიამოვნო თანამოსაუბრე პირველივე შემხვედრისთვის. ახლა ღვთაებრივი პლატონი ავიღოთ, მისი მოწაფე, რომელმაც თავის მასწავლებელს ათქმევინა თავისი ყველაზე უფრო სანუკვარი აზრები; გაიხსენეთ ვერგილიუსი, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, გატოლებოდა ჰომეროსს, ანდა დანტე, სიზმრადაც რომ არ ხმანებია ვერგილიუსისთვის ეჯობნა. მაგრამ ყველაზე უწინ გაიხსენეთ ჩვენი სერვანტესი, რომელმაც თავისი ყიხოტი იმ განზრახვით დაიწყო, რომ საერთოდ რომანებზე პაროდია შეეკმნა, — მისი დროისათვისაც კი ყველაზე უფრო მოწიწებული ლიტერატურული შთანაფიქრი, ხოლო ჩვენი დროისთვის შეიძლება მხოლოდ ლიბრეტოს მთხზველებს მიიზიდავდა ბუფონური სარსუელასთვის. ისტორიის ყველაზე ნაყოფიერი ეპოქები ისაა, როცა თავმდაბალი ადამიანები გულხელდაკრეფილნი არა სხედან.

●

ელ გრეკო არის მიქელანჯელოს აფეთქება, ის, რაც დინამიურია ბაროკოში, იწყება უკვე ბუონაროტისთან და მთავრდება დომენიკო ტეოტოკოპელოსთან. თუ ბაროკოში რაიმე იყო დინამიური, ისევ თეატრის დინამიზმი იყო. ეს ყველაზე კარგად კალდერონმა წარმოადგინა.

●

პრაგმატისტები, — იტყოდა ხოლმე მაირენ, — ფიქრობენ, რომ შეიძლება საბოლოო ჭეშმარიტებად ის მივიღოთ, რასაც სარგებლობა მოაქვს, ის, რაც ჩვენ გვინდა, რომ ვირწმუნოთ, რამეთუ რაც გვწამს, სწორედ ის გვიმსუბუქებს ცხოვრებას. ცხადია, პრაგმატისტები არც ისე სულელები არიან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. არსებითად, ისინი ფილოსოფოს-სკეპტიკოსები გახლავთ, რომელთაც არა სწამთ აბსოლუტური ჭეშმარიტება. პროტაგორას ყველად მათაც სწერია, რომ ადამიანი არის ყველაფრის საზომი და

ნომინალისტების ყველად უარყოფენ უნივერსალურობათა რეალურობას. ამას რომ მიხვდებით, უკვე ისეთ სისულელედაც აღარ მოგეჩვენებათ და უკვე სხვანაირადაც შეხედავთ მათს რჩევასაც, როცა გვთავაზობენ ამოვირჩიოთ ჭეშმარიტებაში ის, რაც ადამიანის ინდივიდუუმისთვის შედარებით ფასეულია, ის, რასაც ყველაზე ნაკლები ვნება მოაქვს ადამიანისთვის ანდა სხვაზე ნაკლებად ანგრევს მისი არსებობის საფუძვლებს. პრაგმატისტები კი მაინც ვერ ამჩნევენ, რომ სინამდვილეში ჩვენ გვიბიძგებენ ამოვირჩიოთ რომელიმე რწმენა და რომ რაციონალიზმი, რომელსაც ისინი უარყოფენ, სწორედაც არის რეზულტატი მათ მიერ შემოთავაზებული არჩევანისა და დღევანდლამდე ყველაზე უფრო გამამართლებელი. გონებამ კი არა, გონების რწმენამ უფრო მოკლა საბერძნეთში ღმერთების რწმენაც. ნამდვილად ადამიანმა აქცია გონების ეს რწმენა ადამიანური მოდგმისთვის გამასხვავებელ თავისებურებად.

●

პრაგმეტისტ-სკეპტიკოსებს აუცილებლად უნდა დაუპირისპირდნენ იდეალისტები პრაგმატისტული თვალსაზრისით, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ისინი მკვდრეთით აღადგენენ პლატონს, მაშინ როცა სინამდვილეში ისინი უბრალოდ გადმოაბრუნებენ პროტაგორეს. ჩვენი ეპოქის თვისებაა ადამიანებმა იცხოვრონ თავის თავთან წინააღმდეგობაში, გაუცნობიერებლად ანდა, რაც უფრო უარესია, თავის თავს დაუმალონ ეს ფარისეველურად. არაფერია ისე დამღუპველი, როგორც გაუცნობიერებელი სკეპტიციზმი ანდა შენიღბული სოფისტიკა, რომელიც ცდილობს მეტაფიზიკური უარყოფის საფუძველზე, რაც წარმოადგენს აგნოსტიკურ რწმენას, ააშენოს პოზიტიური ფილოსოფია. კმარა! როცა ადამიანი დაკარგავს აბსოლუტურ რწმენას, უკვე აღარაფერი სწამს. რამეთუ ყოველგვარი რწმენა არის რწმენა აბსოლუტისა. ყველაფერი დანარჩენი აზროვნებად იწოდება.

●

ყველას გაგვიგონია, რომ პოეტია ის, ვინც ყველაზე ცხადად ხედავს მომავალს, როგორც შექსპირი იტყოდა, „into the seeds of time", ამის რომ ამტკიცებენ, ჩვეულებრივად გოეთე ჰყავთ მხედველობაში, რომლის წინასწარმეტყველება ადამიანურსა და ღვთაებრივზე, უკვე გვღლის კიდეც თავისი წმინდა სიზუსტით. მაგრამ გოეთე არ არის ერთადერთი პოეტი, სხვები მასზე უფრო დიდებიც, ასევე იყვნენ ნათელმხილველები და ყველაზე უწინ ხედავდნენ წარსულს. სინამდვილეში, პოეზია არის ხედვა, ხოლო დანახვა შეიძლება მხოლოდ მანძილიდან, ამიტომ უნდა მივუტევოთ პოეტს, რომ იგი ყურადღებას მიმართავს იქით, რაც მოხდა და რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ვერ ხედავს, რაც ხდება, სახეებს, რომლებიც მას თვალში ხვდება და რომელთაც ჩვენ ფიქრში ჩვენთაც ვებებით.

ქარი, რომელიც ჰომეროსს სახეში სცემდა, მრავალხმიანი ზღვა მის ყურებში რომ შეხუოდა, აი, ამას ჰქვია თანამედროვეობა...

●

(პოლიტიკასა და ახალგაზრდობისთვის)

პოლიტიკა, ბატონებო, — განაგრძო სიუბარი მაირენამ, — არის ყველაზე უფრო ბნიშვნელოვანი სფერო... მე სულაც არ გირჩევთ აპოლიტიკურები იყავით-მეთქი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, გძულდეთ მაინც ცუდი პოლიტიკა, რომელსაც ქმნიან მომხვეჭელები, კარიერისტები და, რომელთაც სხვა მიზანი არა აქვთ, გარდა პირადი განდიდებისა და თავიანთი ნათესავების თბილ ადგილებზე მოყუჩებისა. პოლიტიკა თქვენ თვითონ უნდა შექმნათ, რაც არ უნდა გირჩიონ იმათ, ვისაც უნდა ეთქვენოდ შექმნან პოლიტიკა და ბუნებრივია, თქვენ საწინააღმდეგოდ. გავბედავ და მარტო იმას გირჩევთ, რომ მიჰყვეთ პოლიტიკას გახსნილი სახით, ანდა უარეს შემთხვევაში, პოლიტიკური ნიღბით და არამც და არამც სხვა რამით, მაგალითად ლიტერატურის, ფილოსოფიის, რელიგიის ნიღბით, რამეთუ სხვა შემთხვევაში თქვენ ხელს შეუწყობდით მოღვაწეობის მრავალი სფეროს გადაგვარებას, თუნდაც ისეთივე შესანიშნავის, როგორიცაა პოლიტიკა და ამდენად დაეხმარებოდით პოლიტიკის სფეროს ამღვრევაში, რითაც ეელარასოდეს გაუგოთ ერთმანეთს.

ხოლო იმათ, ვინც თქვენ გისაყვედურებთ ახალგაზრდობას, მშვენივრად შეგიძლიათ უპასუხოთ, რომ პოლიტიკა აუცილებლად მოხუცების საქმე არ არისთქო. არის პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც სათავეს იღებენ ახალგაზრდობის სამართლიან ამბოხში, სამშობლოს თვითმარჭვა მამების უძრაობის წინააღმდეგ. ეს პოლიტიკა, თუ მასში დავინახავთ მხოლოდ უწესრიგობას, რომელიც შემოაქვთ ახალგაზრდებს, შეიძლება მოგვეჩვენოს მეტისმეტად რეაქციურად, თუმცა კი თავის საფუძველში იგი სრულიად კონსერვატულია. დედებმაც კი — ვინა დედებზე უფრო დიდი კონსერვატორები გვგულებათ სადმე? — შე-

ეძლიათ გირჩიონ ეს დაბალოებით ასეთი გამოთქმით, „ჩასჭიდე ხელი საქმეს, შვილო, თორე კუდავ, მამაშენმა შეიძლება გზას ავცდინოს, პირდაპირ ხრამში გადავიჩეხოთ და დავიმსხვრეთ.“

●

და მაინც ყველაფერს სიტყვასიტყვით და პირდაპირ ნუ მიიღებთ, რასაც გეუბნებით. საერთოდ, ჩვენ მოხუცებმა, მოხუცებულობის გამო, ბევრი ისეთი რამ ვიცით, რაც თქვენ ახალგაზრდობის გამო ჯერ არ იცით და აქედან ზოგიერთი რამ — მოდით, ყველაფერი ვთქვათ, — არც უნდა გაიგოთ არასდროს. და მაინც რალაც სხვა... და ა. შ. ა. შ.

●

არიან მწერლები, რომელთა სიტყვები, გეგონებათ, აზრს ეძებენო და არიან კიდევ ისეთებიც, რომელთა აზრი სიტყვებს ელოდება; აზრის და სიტყვის თანხვედრა მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობაა. მაგრამ არიან კიდევ სხვა. საოცარი მწერლებიც, სიტყვის ოსტატებს შორის არცთუ ეარესებად რომ ითვლებიან, რომელთაც იმპროვიზაციული აზროვნება აქვთ და შთაგონებას მხოლოდ შესწორებაღა რჩება.

●

„ახალი გრძნობითი აღქმა“ — ეს გამოთქმა არაერთხელ შინახავს დაწერილი და მე თვითონაც გამომიყენებია. გამოგიტყდებით, მეც არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სინამდვილეში. „ახალი გრძნობითი აღქმა“ ალბათ რალაც ბიოლოგიური მოვლენაა, რაც ძნელად დასაკვირვებელია და ეტყობა, ძნელად შესაფასებელიც ერთი ბიოლოგიური სახეობის სიცოცხლის მანძილზე. „ახალი მგრძნობელობა“ უფრო უარესად ჟღერს, მაგრამ მე მაინც არ მეჩვენება სისულელედ. ისტორიის მსვლელობის მანძილზე და ერთი ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების მანძილზეც კი, გრძნობები იცვლება, როგორც ჩვენი გულის გამოძახილი, ფასეულობებზე ჩვენი გრძნობები იცვლება ისევე, როგორც ეს ფასეულობანი ხუნდება, ობდება ან მეორეთი იცვლება. ზოგი გრძნობა უცვლელად რჩება დროთა მანძილზე; მაგრამ ამის გამო ისინი მარადიული მაინც არ არის. რამდენი საუკუნე გაგრძელდება სიმშობლის სიყვარულის გრძნობა? ანდა მამობის გრძნობა? თვით გრძნობის ამა თუ იმ სფეროს შიგნით, რამდენ სხვადასხვაგვარ ხარისხებსა და ფერებს ვხედავთ. ზოგი ტირის, როცა დროშას ჩაატარებენ, ზოგი პატიოსანი ნიშნად თავს მოიშიშვლებს, ზოგიც გულგრილად გადადგავს; ზოგს შეიძლება ხიხლიც [illegible]. გრძნობებზე უფრო ცვალებადი [illegible]. ეს უნდა შეითვისოს პოეტმაც, ვინც [illegible], რომ საკმარისია გრძნობა, [illegible] დარჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შეიყვარეთ უფალი ღმერთი ყოველივე არსებულზე მეტად, — იტყოდა ბოლმე ჩემი მასწავლებელი აბელ მარტინი; — ეს გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ჩვენ გვგონია, რამეთუ ამისთვის ჯერ ერთი მოგვეთხოვება ის, რომ გვწამდეს ღმერთი, მეორე — გვწამდეს ყოველი არსებული, მესამე — გვიყვარდეს ყოველი არსებული, მეოთხეც — გვიყვარდეს უფალი ჩვენი ყოველივე არსებულზე მეტად; საბოლოოდ გამოდის რომ სიწმინდე სრულყოფილია, მაგრამ თვით წმინდანთათვისაც მიუწვდომელი.

●

თქვენ ალბათ შეამჩნევდით, — განაგრძო მაირენამ და მიმართა თავის მოწაფეებს, რომ სულ არ მისაუბრია თქვენთან მორალზე, ამ უპირატესად რიტორიკულ თემაზე. გულახდილად რომ გითხრათ, ასე მოხდა და რა გაეწყობა, მაინცდამაინც ძლიერი არ ვახლავართ ამ საკითხში, იმიტომ კი არა, რომ კეთილისა და ბოროტის მიღმა ვდგავარ, ნიცშეს ზოგიერთი მკითხველისა არ იყოს, ასეთ შემთხვევაში ჩემთვისაც. ისევე როგორც ნიცშესთვის, მორალი ფიქრის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგანი უნდა ყოფილიყო, — არამედ სწორედ პირიქით, (უკუქცევის ძალით შებრუნებული), იმიტომ რომ ვერასოდეს ოცნებაშიც კი ვერ გამოვაღწიე კეთილისა და ბოროტის ლაბირინთიდან, „კარგისა“ და „ცუდის“ ცნებიდან და ყოველთვის ცხადად შევიგრძნობდი, რომ ნებისმიერი კარგი შეიძლება ყოფილიყო კიდევ უფრო უკეთესი, ხოლო ცუდი — კიდევ უფრო უარესი. დანახვა შეიძლება მხოლოდ რალაც მანძილიდან, თქვენ ვერ გაარჩევთ ნივთს, თუ განზე არ დადგებით. სწორედ ასე სცადა ნიცშემ გაერჩია მორალი და მხოლოდ ამიტომ შევიდა იგი ისტორიაში.

●

ყოველი ცნობილი კაცი უნდა ეცადოს, არ გააქარწყლოს თავისი ლეგენდა, ის ლეგენდა,

რომელიც თან დაჰყვება ყოველ ცნობილ ადამიანს იმ დღიდან, რაც იგი სახელს მოიხვეჭს, თუნდაც ეს იყოს, ჩვეულებრივი ადამიანური მიეჩვეველობის ნაყოფი. ადამიანთა ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, რომ ერთი ლეგენდის შოსპობასა და მეორის შექმნას ვერც მოესწრებაა, ლეგენდების გარეშე კი ისტორიაში არავინ შესულა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენც მოიხვეჭოთ სახელი და თან პრაგმატული ხასიათის რჩევასაც გაძლევთ. მაგრამ თუ უფრო მაღალი საბრეკლოდან გადმოვხედავთ, მაშინ სრულიად საპირისპიროს გირჩევდით, ხურასოდეს გაცვლით თქვენს ნამდვილ სპილენძის გროშს ყალბ ოქროს ფულზე, თუნდაც მასზე თქვენი პროფილის ამოტვიფრას დაგპირდნენ.

●

მუდამ საშიშია ხელმძღვანელი პოსტები მივანდოთ საშუალო ნიჭის კაცს, როგორი კეთილი მიზნებიც არ უნდა ამოძრაევებდეს მას, რამეთუ ამ მიზნების მიუხედავად, — დაე გვაპატიოს კანტმა, — მორალიც ასეთივე საშუალო ექნება. დაუჯერებელია, რომ მან ბოლო წუთში მაინც არ უღალატოს და არათუ უღალატოს, არამედ სასტიკი ბრძოლა არ გამოუცხადოს საქმეს, რომელსაც შესაფერ სიტყვებით რომ ვთქვათ, აქამდე ერთგულად ემსახურებოდა. საშუალო გონების კაცი ხომ ჩვეულებრივად, ებრძვის იმასაც, რაც მის თავში ვერ თავსდება. ჩვენი საერთო ინტერესებისათვის კი ისა აჯობია, ძვირფასო მეგობრებო, რომ მუდამ ჭკვიანი და მცოდნე ადამიანები გვყავდნენ ხელმძღვანელებად.

●

მოაზროვნე კაცი, რასაკვირველია, მეტნაკლებად მოაზროვნეზე მოგახსენებთ, — იტყოდა ხოლმე ჩემი მასწავლებელი, — თუ საკუთარ თავს შიგნიდან დაინახავს, უთუოდ მიხვდება, რომ გარედან მაყურებელი, ე. ი. ყველა სხვა ადამიანი, ვერასგზით ვერ შეიქმნის მასზე გარკვეულ წარმოდგენას, ისევე როგორც თვითონ ვერ იტყვის ვერაფერს თავის მოყვასზე, როცა მის განსჯას მოინდომებს, განა ეს საშინელება არ არის? აკი სიტყვები სწორედ იმისთვისაა შექმნილი, რომ კაცმა კაცზე რაიმე აზრი გამოთქვას!

ისევ ის ჯობია, ყველამ საკუთარი თავი თვითონვე წარმოადგინოს და რაც შეიძლება უკეთესადაც წარმოადგინოს, ოღონდ უწინ თავისი მოყვასი კი გააფრთხილოს „თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩემი ნათქვამიდან რაიმე გაიგეთ, მე, პირადად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სულ სხვანაირად შესმის ჩემივე სიტყვები!"

აკადემიაში არჩევასთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტი

ბატონებო, იმედი [illegible] რომ ოთხი წლის დაგვიანებით [illegible] თქვენს წინაშე. ვყოყმანობდი და დრო მჭირდებოდა, რომ თავს მოვრეოდი. დიდად ვაფასებთ ესპანეთის აკადემიას იმისთვის, რაც გაუკეთებია, რასაც აკეთებს და რასაც მომავალში გააკეთებს. დიდი პატივი დამდეთ, რომ აკადემიაში ამირჩიეთ, მაგრამ ჩემსავით ფიქრს მიჩვეული კაცი არ შეიძლება ესოდენმა პატივმა ცოტა მაინც არ დააბნიოს ახალგაზრდობის ასაკს რომ გავცდებით, — რაიც არის მუდამ და თითქმის მთლიანად ლტოლვა მომავლისაკენ და ამდენად ყოველივეს შეცნობის წყურვილი, — ჩვენ თვითონვე შემოვიფარგლავთ ხოლმე ჩვენივ სწრაფვათა წრეს, რადგან გვგონია, უკვე ვიცით ჩვენი ცხოვრების არათუ დინება, არამედ მისი კანონებიც; თანდათან ვეჩვევით ილუზიებზე უარის თქმას, ესე იგი, გვინდა ვიცხოვროთ მხოლოდ რეალურით, ხოლო რეალურად მარტო იმას მივიჩნევთ, რაც განყენებულ წარმოდგენათა ჩარჩოებში თავსდება და რასაც საკუთარი გამოცდილებიდან გამოვიტანთ, ამ ასაკში უკვე აღარც ილბლისა გვჯერა და აღარც ჯილდოს ღირსად მიგვაჩნია თავი, ამიტომ არც ველოდებით; ასევე ვიბნევით ხოლმე მაშინაც, როცა ჭაბუკობის დროს ქალის გული ვერ მოგვინადირებია, მერე და მერე გვირწმუნებია, დონ ხუანის ხვედრი ჩვენი ხვედრი არ ყოფილაო და ბოლოს ლამის ცხოვრების დასალიერზე, ვინმე ბანოვანის ღირსი რომ გავმხდარვართ. ეს ერთი შეხედვით თითქოსდა შეუფერებელი შედარება იმიტომ მომყავს, რომ დამიჯეროთ და გულგრილობაში არ ჩამომართვათ ჩემი შეცბუნება და დაბნეულობა ამ ბედნიერი შემთხვევისა და ჯილდოს გამო; ანდა მოიძებნება კია ადამიანი, ვინც თავს გამოიდებდა, გულგრილად შევხვდები სიყვარულსო, თუნდაც ეს სიყვარული მას იმ საათში მიაგონ, როცა სამუდამო ძილი ლამის უკვე თვალებს უხუჭავს! და მაინც მაშინაც კი, როცა უკვე აღარაფერს ველოდებით და შემთხვევის წყალობით გვეწვევა ბედი, კიდევ გვიჭირს დავიჯეროთ, რომ ეს სინამდვილეში ხდება. იმედი მაქვს, გაიგებთ ჩემს დაბნეულობასა თუ დამორცხვებას და მაპატიებთ, რომ კარგა ხნის არჩეული აკადე-

მიკოსი ისევ და ისევ ვუმეორებ თავს კითხვას: მაინც რა დამსაბურება მიმიძღვის ისეთი, რომ აკადემიაში ამირჩიეთ? მე თავად რომ მკითხოთ, საამისო მონაცემები სულ არ გამაჩნია; არც მეცნიერი გახლავართ, არც ერუდიტი და არც ფილოლოგი; საკმაოდ მოვიკოჭლებ ლათინურშიც, რადგან სკოლაში კარგი მასწავლებელი არ შემხვდა; თუმცა დიდის ბონდრომებით შევუდექი ბერძნულის სწავლას, ოღონდ კი პლატონი წამეკითხა, მაგრამ ძალზე გვიან დავიწყე და ამიტომ დიდი ვერაფერი სიკეთე ვერ მომიტანა, ვერც მაინცდამაინც ნაკითხობით დავიკვეხნი; მართალია, კითხვით ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ ჩემმა სუსტმა მეხსიერებამ ცოტა რამ შემომინახა; ესეც არ იყოს, კაზმულსიტყვაობაზე მეტად მუდამ ფილოსოფია მიტაცებდა. გამოგიტყდებით, ზოგიერთი პოეტის გამოკლებით, საერთოდ, ლიტერატურა დიდად არ აღმაფრთოვანებს, უფრო მეტიც, ძნელად ვეგუები დახვეწილ ფორმას, ლამაზ ნატიფ სტილს და სხვა ლიტერატურულ ხერხებს, თუ შინაარსით არ გამოირჩევა. მობდენილად ნათქვამი მხოლოდ მაშინ მხიბლავს, როცა საინტერესო საგანზეა ლაპარაკი, მაგრამ თუ დაბეჭდილ სიტყვას ცოცხალი მეტყველების ბუნებრიობა არა აქვს შერჩეული, გულზე სევდა შემომაწვება ხოლმე. მიყვარს ბუნება, ხელოვნებაც მიყვარს, ოღონდ მაშინ, როცა ბუნებას აცოცხლებს ან გვახსენებს და სილამაზეს ყოველთვის ვერ ვხედავ იქ, სადაც მას, ასე ვთქვათ, მზამზარეულს მოგვართმევენ ხოლმე.

თქვენ კი მაინც ამირჩიეთ აკადემიოსად და უკვე ალარც მე შემშვენის ვამტკიცო, ამ როლისთვის შეუფერებელი ვარ-მეთქი. ალბათ რაღაც ყურადღების ღირსი მაინც დაინახეთ ჩემში და მეც ამ პატივს ჩემი სამერმისო ნაწერებისადმი თქვენი ნდობისა და რწმენის საწინდრად მივიჩნევ. უაღრესად დავალებული ვარ თქვენგან და გეახელით, რათა დაგარწმუნოთ, ჩემს გულწრფელ სურვილში, რომ მინდა ეს ველი გადავიხადო.

ახლა კი ორიოდე სიტყვა პოეზიაზეც მინდა მოგახსენოთ. რა არის პოეზია? ეს კითხვა ჩემი თავისთვისაც არასოდეს დამისვამს და არც არასდროს გავხდიდი მსჯელობის საგნად, აკადემიაში რომ არ აგერჩიეთ და არ დაემდგარიყავი აუცილებლობის წინაშე, მკაცრად გამეანალიზებინა ჩემი შეხედულებები. ამის წინათ ამ საკითხზე ფრანგებმა გამიმართეს დისკუსია, მაგრამ ამან ვერც ვერაფერში დამარწმუნა და ვერც შთამაგონა. ყველაზე საღი აზრი კვლავ მუსიე დე ლა პალისმა გამოთქვა: ერთმა ესპანელმა პოეტმა ელემენტარული ჭეშმარიტების ენაზე რომ გადმოთარგმნა, დაახლოებით ეს გამოვიდა: „თუ იმისგან, რადაც სურს პოეზია გადაიქცეს, გამოვრიცხავთ ყველაფერს, რასაც ის სინამდვილეში არ წარმოადგენს, მაშინ დარჩება აუმღვრეველი პოეზია, სწორედ ის წმინდა პოეზია, ოღონდ ... ტებდით." რასაკვირველია, ასეთ ცდის ჩატარების შემდეგ საბოლოო დასკვნა [illegible] არ უნდა გაძნელდეს, მაგრამ [illegible] ტრიელება არ უწერია. აბა დაუკვირდით, ეს ვარაუდობს იმის ცოდნას, რა არ არის პოეზია, რაც თავის მხრივ, უკვე გულისხმობს იმის ცოდნას, რა არის პოეზია. კრიტიკოსისთვის ჩვეულმა ამ აშკარა ტავტოლოგიამ არ უნდა გაგვაოცოს. გონების ეს წარმტაცი თამაში ვარაუდობს მაღალ ოსტატობას, თუმცა კი მუდამ ზედაპირზე ტივტივებს, ხოლო მიღებული დასკვნები მეტწილად უმნიშვნელოა. დოგმატური კრიტიკა განსაზღვრებიდან გამოდის და მასვე უბრუნდება, მაგრამ არადოგმატური — უფრო ხშირად გვაყენებს საკუთარი სიძნელის წინაშე — რანაირად უნდა განვსაზღვროთ რაიმე, თუკი თავს ავარიდებთ განსაზღვრებებს!

მაგრამ მხედველობაში მივიღოთ ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი ფრიად მოსაწონი სწრაფვა ქანრების გამიჯვნისკენ. XIX საუკუნე, განსაკუთრებით მიწურულში, უფრო მეტად იხრებოდა გაბუნდოვნებისკენ და სხვადასხვაგვარი შენარევებისკენ. ხელოვნების გამყოფი საზღვრები გაურკვეველი იყო. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ყოველი ქანრი თავის თავს მეორეში პოულობდა. მაგრამ ახლა, სასაზღვრო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად სასურველი იქნებოდა აღგვედგინა ხელოვნების ყველა სახისთვის დამახასიათებელი ცოდნა მათი საკუთარი მიზნებისა და საშუალებებისა. ეს გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. ამ განზრახვას გარდუვალად მივყავართ ხელოვნების ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს საკითხებამდე, მაგრამ დაე, ეს სხვებმა, ჩემზე უკეთ გათვითცნობიერებულებმა გადაწყვიტონ. ფილოსოფოსები, ესე იგი, ადამიანები, რომლებიც ჩასწვდნენ კულტურის საერთო კანონზომიერებებს, ალბათ როდისმე აგვიხსნიან არსებობს თუ არა დე-იურე ანდა დე-ფაქტო — აბსოლუტური პოეზია და როგორია პირობები, ურომლისოდაც ეგი არ არსებობს. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვუპასუხოთ კითხვას, თუ რა არის პოეზია.

მაგრამ ამთავითვე ვიტყოდი, რომ პოეზია, განსაკუთრებით კი ლირიკული პოეზია, ჩვენთვის პრობლემა გახდა. ავია თუ კარგი, მაინც

ასევე. მაგრამ ამასთან ერთ ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ პოეტები, დიახ, სწორედ პოეტები დაიკავებენ ხოლმე ყველაზე უფრო კრიტიკულ პოზიციას საკუთარი შემოქმედების მიმართ, თვითონვე გაიაზრებენ საკუთარ ქმნილებას და ეუბნებიან თვითონვე აყენებენ. ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში ჩვეული კი არ არის, მაგრამ ერთეულ იშვიათია. ბევრნიერ დღეებში შემოქმედი თავის ქმნილების წარუვალობის ირწმუნდება ხოლმე. ალბ პოეტს მაინც არ სჩვევია დასვას კითხვა, თუ რა არის პოეზია და გამოარკვიოს, საერთოდ, წარმოადგენს იგი რაიმეს, თუ არა. ხოლო ასეთი პოზიცია საკუთარი თავისადმი, როგორც პოეტისადმი, უნდობლობაზე მეტყველებს. ანდა უკეთეს შემთხვევაში, იმას მაინც მოწმობს, რომ იგი ცხოვრობს მისთვის უცხო სულიერ ატმოსფეროში. დასაშვებია ისიც, რომ პოეტები — ხოლო ისინი ერთეულ უკანასკნელნი შეიგრძნობენ კულტურის სიღრმისეულ ძვრებს, — ბუნდოვნად მაინც ხედავენ, როცა მათი ნაწარმოებები დროის ძალმა აღმოჩნდებიან ხოლმე. სხვათაშორის, ესეც უნდა აღინიშნოს, ითქმის არ არსებობენ ისეთი პოეტები, თავიანთ შემოქმედებას გაუთავებელ ადვოკატობას რომ არ უწევდეს. დაახლოებით მაინც არ ხედებოდნენ, რასაც აკეთებენ და ეჭვად მაინც არ იკოდნენ, რომ მათი ხელოვნება უმრავლესობისთვის მეორეხარისხოვანი გახდა. ეს უსიამოვნო შეფიქრიანება ზოგჯერ მცდარი გზისკენაც უბიძგებს და მახინჯ ფორმებსაც ილებს. მაშინ პოეტი, რაც კი მანამდე შექმნილა, ყველაფრის ესთეტიკურ ღირებულებას უარყოფს, ანდა თავის ნაწარმოებს სიტყვაში განხორციელებულ სასწაულად, სრულიად განსხვავებულ მოვლენად, უბადლო ქმნილებად აცხადებს და ამით სპობს შეფასების ყოველგვარ შესაძლებლობასა და განსჯის ყველაზე უფრო ელემენტალურ ნორმებს; არც ისეთების ნაკლებობას განვიცდით, ცინიკოსის პოზიციას რომ ირჩევენ, — ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით, — და არც იმათსას, სიხულელეებს რომ მიედ-მოედებიან.

ამბობენ, ვითომ ჩვენ არაპოეტურ დროში ვცხოვრობდეთ, ვითომ უფრო და უფრო ვშორდებოდეთ XIX საუკუნეს, ამ მეტისმეტად ლირიკულ საუკუნეს. ყოველი საუკუნე უცილობლად ატარებს თავის თავში წინა საუკუნეების მემკვიდრეობას და მათი დახასიათებისას, ძნელია გამოვაცალკევოთ რაიმე სპეციფიკური თვისება; ასე მაგალითად, XIX საუკუნის დახასიათებისას, შეიძლება ყველაზე უფრო გამჭრიახი ადამიანიც კი შეცდეს, ვისაც შეუძლია მთავარი დაინახოს და ეს სულაც არ არის გასაკვირი. როგორც არ უნდა იყოს დავალებული XIX საუკუნე თავისი დროის ადამიანებისგან, მაინც უფრო მეტადაა დავალებული განმანათლებლობისა და ბაროკოს ეპოქებისგან და კიდევ უფრო მეტად აღორძინების უდიდესი ნამოქმედარისგან, ხოლო უზომოდ — ანტიკური [illegible]. მხოლოდ მკვირეოდენი [illegible] შეუძლია შეაფასოს თითოეული ამ საუკუნის წვლილი საერთო საკაცობრიო კულტურაში და შეამჩნიოს მათ მიერ დასმული მახვილების განლაგება.

მაგრამ მე უყოყმანოდ ვამტკიცებ, რომ XIX საუკუნე, ყველაფრის გარდა, ლირიკისთვის და საერთოდ ხელოვნების სუბიექტური ფორმებისთვის კეთილსასურველი საუკუნე იყო.

XIX საუკუნის, კარნოს დიდებული ეპოქის ადამიანი, — კარნოსი, ვინც ბუნების საყოველთაო კანონად დრო აღიარა, — უკვე გრძნობს თავის საუკუნეს, ყურს მიუგდებს მას, ეყვარს იგი, იტანჯება მისთვის და საუკუნე ადამიანისთვის ხდება მისი საკუთარი წარმაელობის სიმბოლო. XIX საუკუნის ადამიანი თავს „საუკუნის პირმშოდ" გრძნობს, „საუკუნის სენიო

ტნება უცხო იყო, არ იცოდა იგი არც ალორძინების ეპოქამ, თუმცა, სხვათაშორის, ამის გამო მათ არც ადამიანურობა დაჰკლებიათ და არც სიღრმე სისამდვილეში დაეცვალა ვინ ვედის მხოლოდ ბრწყინვალე და სწორუპოვარ უკეთესი სწორად, საკუთარ თავსაც კი რომ ეჯობა. — რომანტიკული (ამ სიტყვის ყველაზე უფრო ზოგადი მნიშვნელობით) XIX საუკუნის რომანტიკული პოეზია. მას უეჭველად მიიმწყვდევს ჩიჩში თავისივე ეგზალტაცია, რაც საერთოდ, ბშირად ემართებათ ხელოვნების მოვლენებს. ეს შეიძლება დღესაც დაეინახოთ რომანტიზმის ეპიგონების მაგალითზე, სევე როგორც სულიერი მდგომარეობის ზოგერთი თავისებურება მელავნდება ჩოლმე ცხადად ავადმყოფური მოვლენების დროს.

თუ თვალს მივადევნებთ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს, არ შეიძლება არ შეეჩნიოთ ალბათ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამობამდე სხვადასხვაგვარი ეროტიკა ბიმდიხარეობები, ოღონდ მათ ერთი ნიშანი ანათესაეებთ — ყველა ერთხმად უცხადებს ომს გონებასა და გრძნობას, ესე იგი, ადამიანთა ურთიერთობის როგორც ერთ, ასე მეორე ფორმას. რომანტიკული ინდივიდუალიზმი სულაც არ გამორიცხავდა საყოველთაობას, პირიქით, მისკენ უფრო ისწრაფოდა. საყოველთაოდ ითვლებოდა უფრო ინდივიდუალური, ნებისმიერი გულის მელოდიაში შეიძლებოდა დაგეჭირათ მთელი კაცობრიობის ხმა. დიახ, რომანტიკული ინდივიდუალიზმი, იდეალიზმითია და გრძნობით აღსავსე, კარგავდა გონიერებას, მაგრამ არა მის რწმენას, იგი აღამაღლებდა გრძნობას იმ ქანცგაწყვეტი სწრაფვით, რომ აღმაღლებინა იგი ზრის უსაზღვრო სფეროდან. და მაინც სრულიად დაკარგა კლასიკური წონასწორობა, თანაფარდობის ცნება, რადგანაც არსებითად, სწამდა მხოლოდ სუბიექტისა; მისი დიდებული პოემები ეს არის კანტის შემდგომდროინდელი მეტაფიზიკის ცათამბჯენები. ბოლო როცა რომანტიზმის სული სუსტდება, — ათლეტის მსგავსად, რომელიც კუნთებს დაჭიმვით ამოწურავს თავის ძალას, — რჩება მხოლოდ და მხოლოდ „მე"-ს კულტი, შინაგანი ინდივიდუალურობის კულტი; ადამიანის მარტოობის რომანტიკულ რწმენას უეცრიდება ახალი, ალბათ, მცდარი წარმოდგენები. წარმოიშვება იმის რწმენა, რომ ადამიანურ ინდივიდუალობას არ ეიმსებია თავისი თავის ისე გამოხატვა, რომ სხვათათვისაც გასაგები ყოფილიყო, რომ ადამიანებს სთიშავს სწორედ მათი ადამიანური „მე". გონება და გრძნობა ყოველ ადამიანს აქვს ბოძებული და თვითგამოხატვით გატაცებული პოეტი იწყებს მათის უგულებელყოფას, როგორც გამოხატვის საეველიანად მისაწვდომ საშუალებას, რომელიც ეხლა არ შესწევთ გადმოსცეს ძისი განსაკუთრებული ფსიქიკური რეალობა. ამას შეიმოქმედებს ახალი სირთულეები ლირიკული პოეზიისა და ენის თანიერთობის [illegible] ეხ ზამოყალიბდა დიალოგში, [illegible] ადამიანის დავაში და ამდენად ვამოხატვა. [illegible] რომანტიკული ინტერ[illegible] მანტიკოსთა ლირიკაში ენა [illegible] ება საყოველთაო მიზანს — სულის გამოხატვას, რაც ყველა ადამიანური სულისთვის საერთოა. ძაგრამ მოგვიანებით, პოსტრომანტიზმის ეპოქა, რომელიც მოპყვა მეტაფიზიკური იდეალიზმის ბსნვრევას, პოეტის მიზანი საბოლოოდ ეცვალა. საბოლოოდ იკეტება ძისი შემეცნების ციწრო საზღვრებში — მეზობლის ძიებაში პოეტი ეფუფუტება საკუთარი სულის ყველაზე უფრო ბნელ კუნჭულში. იგი იკვლევს თავის სიზმრების მიწისქვეშეთს, ცდილობს გადმოსცეს სიტყვაში გამოუთქმელი, ამაოდ მიზანი ზენადმდეგობრივობა, რაც თვით [illegible] ეეეეერ აწერებს მას. ეს სიტყვის სიოდაბური მნიშვნელობით, ლირიკული პოეზიის ღრმა პერიოდია. — პოეტი ეშვება თავისი ჯოჯოხეთის სიღრმეებში და უყურებს თვით აზრსაც კი სიბნელეზე.

„ზემი გული, — ამბობს ჰაინე, — ღრმა ზღვასა ჰგავს, მოქცევი და ქარიშხლები აღელვებს მას, მაგრამ მუქ სიღრმეში იმალება ულამაზესი მარგალიტები. არაცნობიერის ყველაზე უფრო ღრმა შრეებში რომ ჩაიღწევს, თავის ყველაზე ღრმა ხეებში რომ ჩაყვინთავს, პოეტი იპოვის თავის განძს!..." და ჭეშმარიტად ფასეულია ჰაინეს პოეზიის მარგალიტები, ჭეშმარიტი ლეგენდა თვალს გვეკრის, ისინი ნამდვილია, მაგრამ მათ შემდეგ გამოჩნდა მრავალი იაფფასიანი რიფმიც. ლირიკული პოეზიის ღრმა პერიოდმა, რომელიც დაემთხვა არაცნობიერის რომელიღაც ცრუმორწმუნეობრივ გალმერთებას, დაგვიტოვა არა ერთი უკვდავი ქმნილება; ასეთებია, მაგალითად ფრანგული სიმბოლიზმის ნაწარმოებები, სკოლისა, რომელმაც თავისებურ სრულყოფას მიაღწია. სიმბოლისტთა პოეზიაში უხვარმაზარი სიგრცეები, რასაც კი გრძნობა მოიცავდა, ვიწროვდება და ბოლოს მიდის შეგრძნებათა შემოზღუდულ ველამდე, რასაც ამასთან ერთად თან სდევს ფიქრების დაბნელება, გონების ამ ჩაუქრობელი თანავარსკვლავედისა, ჰორიზონტს რომ ანათებს. მალე განიდევნება არა თუ იდეები, არამედ ყველაფერი ცნებითი, მალე პოეტები დაიჯერებენ, რომ შესძლებენ თავიანთი ცნობიერების ნაკადის გამოხატვას, ისე რომ არ გაატარებენ ლოგიკის ცხავში; „მესიჯა უპირველეს ყოვლისა!" — მოითხოვდა ვერლენი;

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მისი „მუსიკა" ბგერათა წმინდა არითმეტიკა როდია. XVIII საუკუნის კლავიკორდებზე აყლერებული; ეს არის რაღაც უფრო მეტი და ამავე დროს, რაღაც ნაკლებიც — ვაგნერის უწესრიგო და უსასრულო მელოდია და შმაგი ჯაოფონია.

ფრანგული სიმბოლიზმის შემდეგ იწყება რომანტიკული სუბიექტივიზმის აშკარა დაცემა; ომის წლებში და მას შემდეგაც, სულ მალე, დღემოკლე, მყვირალა სკოლებს შორის, რომლებიც მოითხოვენ სრულ, დაე, თუნდაც უაზრო სიახლეს, — მწიფდება გვიანი, უფრო სწორად, დაგვიანებული ნაყოფები XIX საუკუნის იდეებისა. მე მხედველობაში მყავს მარსელ პრუსტი საფრანგეთში და ჯეიმზ ჯოისი — ინგლისში. ვერც პრუსტსა და ვერც ჯოისს პოეტებს ვერ ვუწოდებთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ აკი არც ჟველა უდიდესი პოემა, რომელსაც მოუცავს მთელი ეპოქა, შეუქმნიათ ლექსთმთხზველებს.

„დაკარგული დროის ძიებაში" — ასე ეწოდება მარსელ პრუსტის უსასრულო რომანს, რომლის ურიცხვი ფურცელი უკვე ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. ეს წიგნი ოქროს გასაღებივით გვიხსნის XIX საუკუნის ფრანგული ბურჟუაზიული რომანების მთელ წრეს. ამ პოემაში ისმის საუკუნის მელოდიის გამოძახილი. პოტი იკვლევს თავის საკუთარ ისტორიას, ჰეროიზმსა და იდეალებს მოკლებულ სანიადაგდღეო არსებობას და ამ ცხოვრების ყოველ მოძრაობაში იგი აღმოაჩენს წარმავალი შიშისა და იმედის დაუსრულებელ რიგს. პოემა თუ რომანი (ეგებ რომანი არის კიდეც გადაგვარებული პოემა), პრუსტის წიგნი, რომანტიკული საუკუნის ამ უკანასკნელი და დიდებული მოჰიკანისა, იბადება მოგონებებიდან და ორა წარმოსახვიდან, მისი თემაა მეხსიერებაში შემონახული წარსული, რომელსაც აღარ შესწევს ძალა გახდეს მომავალი და ამიტომ დასაღუპადაა განწირული, მაგრამ მოგონებებითაა გადარჩენილი. თუ რომანს მივუდგებით ლიტერატურული ცრურწმენების გარეშე, მაშინ ნათელი გახდება, რომ მისი მთავარი გმირი არის დრო, დრო, გარდასული საუკუნის ნიშნით დაღდასმული, დრომოქმული საუკუნისა, რომელიც შიშით უსმენს თავის თავს. პერსონაჟი, რომელიც მოგვითხრობს თავისი სნობური, საწყალობელი ცხოვრების შესახებ, უკვე საკმაოდ დაშორდა სტენდალის გმირს — ნაპოლეონის დროის ემანსიპირებული ბურჟუაზიის ცოცხალ განსახიერებას, თუმცა კი ბევრი რამ უანდერძებია მისთვის ცინიკოსსა და მწვალებელ ჟიულიენ სორელს, ბანოვანთა კერპსა და ჰერცოგინიათა გულთამპყრობელს, მაგრამ იმდენად მაინც არაა დაშორებული, რომ ძირფესვიანად გარდაქმნილიყო; ესეც იგივე ჟიულიენ სორელია, ოღონდ უკვე დაბერებული და გაცრეცილი, თავის თავში რწმენადაკარგული, ვნება და ნება გამოცლილი, თუმცა ფიქრისა და განსჯის მეტი უბარი შეუძენია. ბალზაკის მიერ აღწერილ ახალ ბურჟუაზიას პრუსტი აკვირდება დაცემის ჟამს, როცა ის უკვე თავდამსხმელი კლასი [illegible] ორამედ თავდამცველია, ცდილობს [illegible] საკუთარი ტრადიციები და გადაიქცეს არისტოკრატიად; მას უკვე აღარ გააჩნია ილუზიები, დარჩენია მხოლოდ სევდა. პრუსტი უდიდესი ფსიქოლოგია, დახვეწილი, ნატიფი; ეს არის ხსოვნის პოეტი, რომელმაც შესძლო ერთი გადახედვით, ვითარცა ავონიაში მოეცვა სოციალური გაბატონებულის დასასრულის მთლიანი სურათი. პრუსტი ავტორია ლიტერატურული ძეგლისა, რომელიც თავის მხრივ აღმოჩნდა ბოლო პუნქტი; იგი ამთავრებს მთელ საუკუნეს და გვტოვებს ვითარცა კეთილშობილი მსახური, რომელსაც თან მიიქვს ოქროს გასაღები.

„ულისეც", ირლანდიელი ჯეიმზ ჯოისის წიგნიც, პოეტის ქმნილებაა, ოღონდ თავისებურად დემონური. მე მას XIX საუკუნის ნაგვიანევ ნაყოფად ვთვლი და ასე მგონია, თუ რომანტიზმის ეპოქის წყალქვეშა დინებები არ შეისწავლე, ერთ ფურცელსაც ვერ გაიგებ. ნეტავ გიქმა ხომ არ დაწერა? მაგრამ სიგიჟე გონების სენია, ხოლო ჯოისისეული მონოლოგი საგანგებოდ, ცივად და ოსტატურადაა აგებული გონებაგამოცლილ მონოლოგად. მთელ წიგნში გონიერების ნატამალსაც ვერ ნახავთ, შეუძლებელია რაიმემ დაგასნეულოთ, რამეთუ ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი გონი ავტორმა მთლიანად და გაბედულად მოისაგწმინდოს ასობით და ასობით ფურცელი ყოფილიყო ჭკუასუსტობის შედეგი, რომლის დროსაც გაგლეჯილი შემეცნება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში წარმოქმნის აზრის გონიერ წყობას; ასეთი წიგნის დაწერას სჭირდება მძლავრი გონება, რომელსაც უნარი შესწევს თანმიმდევრობით და ზედმიწევნით ფაქიზად გაწმინდოს ასობით და ასობით ფურცელი ყოველგვარი გარე ლოგიკური კავშირებისგან. თუ პრუსტის წიგნი ხსოვნის პოემაა, მაშინ ჯოისის წიგნისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა აღქმის პოემა, რომელსაც არ ბორკავს ლოგიკური სქემა, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, თავისუფალია ქაოტური ხმაშეწყობილი შეგრძნებებისა და შინაგანი ასოციაციების ასევე შეუწყობელი ქროს უშუალო გამოხატვისაგან. უაზრობაა ამ წიგნისგან მოვითხოვოთ, რომ იგი გასაგები იყოს, — არც ერთ მის სიტყვას არ მოაქვს არავითარი ცნობა, ზოგჯერ სიტყვები ფრაზებად ლაგდება და გვეჩვენება, თითქოს ისინი ლოგი-

ურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მალე ვხვდებით, რომ ისინი გვერდიგვერდ შემთხვევით აღმოჩნდნენ, რაღაც ეშმაკეული მექანიზმის მეშვეობით შეერთდნენ. ამ წიგნში ენა წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც გონებრივ ქაოსს წარმოქმნის, ეს არის პოეტის მიერვე მომზადებული ფსიქიკური დომხალის შემადგენელი ელემენტი.

პროუსტის რომანი, ეითარცა ეპილოგი, ამთავრებს მთელი ლიტერატურული საუკუნის განეითარებას, ჯოისის წიგნი კი არის გზა არსაით, XIX საუკუნის ლირიკული სოლიფსიზმის ჩიხი. პიროვნების უკიდურესი ინდივიდუალიზაცია და ჰერმეტიზაცია არ ეარაუდობს არავითარ წინასწარდადგენილ ჰარმონიას, ეს არის მოაზროვნე სუბიექტის მოხუცებულობის, მიხრწნილების მოწმობა, მისი გედის სიმღერა, რომელიც უმალ გვახსენებს — ნუ დავმალავთ ამას, — ყვავის ყრანტალს. გერმანულმა კულტურამ „ულისეს" უწოდა ანტიქრისტიანული წიგნი და მართლაც, წიგნში, რომელიც მოკლებულია ლოგიკას, არ არის და არც შეიძლება იყოს ეთიკა, ამ აზრით, მას შეიძლება ეწოდოს სატანური. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს — მორალური ფასეულობანი არსებობს ამავე სფეროში, რომელშიც არსებობს იდეები, ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან და ერთის გაქრობას გარდუვალად მოჰყვება მეორის მსხვრევა.

თანამედროვე ლიტერატურის ეს ერთი ნაწარმოები — „ულისე" ჯოისისა, სრულ წარმოდგენას გვიქმნის მოვლენაზე, რომელიც ახლა სიურრეალიზმად იწოდება (ეს მცდარი სახელწოდება მხოლოდ გზა-კვალს გვიბნევს), მის არსზე — ინდივიდუალობის სრულ დაშლაზე გონებრივი ჰორიზონტის უსასრულო შევიწროების შედეგად. სუბიექტივიზმის ავადმყოფური განვითარება გაგლეჯს ცნობიერებას და პიროვნებამ არ შეიძლება ამოწუროს საკუთარი თავი, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სახეთა კორიანტელი უკვე აღარ ერთდებიან ცნობიერების ნაკადში; ერთნი ამოიზრდებიან არსების სიღრმიდან, მეორენი, წარმოსდგებიან გარედან, მაგრამ ერთნიცა და მეორენიც ისწრაფვიან გათიშვისკენ, საკუთარ თავში ჩაკეტვისკენ, აღარ ქმნიან აზრისა და ეერეტისთვის არც ერთ ობიექტს, თუმცაღა ობიექტურობის უსიამოვნო სიცივეს მაინც ინარჩუნებენ.

ჯოისის მიერ აღმოჩენილ გზაზე სიარული, ერთი შეხედვით, უფრო ძნელია, ვიდრე „დაკარგული დროის ძიების" წაკითხვის მერე რომანების წერა. და მაინც ამ წიგნში, მიუხედავად მისი უკიდურესობისა და აბსურდულობისა, ანდა ეგებ მათი წყალობითაც კი, არის რაღაც მომავლისაკენ მიმართული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. როცა ესთეტიკური კოშმარი აუტანელი ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლოსაა გამოღვიძება. იგი დადგება და პოეტი დაბრუნდება ჯოჯოხეთური სიღრმეებიდან, რომ დანტეს მსგავსად და „rivedere le stelle", მას, შინაგან სამყაროთა მარადიულ ღრმეს, კვლავ გაეხსნება ბუნების სამყარო და გონების სასწაული.

რა ხდება ახლა პოეზიაში? იგი უკვე ახლა ჰგავს კარნოსა და ლამარტინის რომანტიკული საუკუნის შეუქცევად მსრბოლ დროს. ეტყობა, პოეზია განთავისუფლდა დროისგან. ახლა ლექსები გადატვირთულია კონცეფციებით, სახეები უკვე აღარ ერთდებიან ადრინდებულად ცნობიერების ნაკადში. ლირიკული პოეზია არასოდეს არ გამოირჩეოდა სახეთა ისეთი სიმდიდრით, როგორც დღეს, მაგრამ ახლა მისი სახეები მხოლოდ იდეებს ჰმოსავს და ადამიანის განცდილს ველარ გადმოსცემს. აღარ აქვს არავითარი გრძნობა, აკლია გულის სითბო და ემოციური სიღრმე. ეს ახალი ბაროკო, რომელიც ისევე გაუგებარია კრიტიკოსებისათვის, როგორც ძველი, წარმოადგენს დახლართულ და იდეებისგან ნაქსოვ რთულ ნახაზს. თავიანთ წინამორბედთა მსგავსად, თანამედროვე კულტერანისტები და კონსეპტისტები საერთო მნიშვნელად ირჩევენ არა გრძნობას, არამედ იდეას. აბა, სცადეთ, თანამედროვეთა ლექსებს რომ კითხულობთ — ვთქვათ, პოლ ვალერის საფრანგეთში, ანდა ხორხე გილიენს ჩვენში, — სცადეთ და მოძებნეთ მელოდია, ცოცხალი გრძნობით ნასაზრდოები მელოდია. მას იქ ვერ იპოვით. ეს სიცივე გაშინებთ კიდეც და ზიზღსაც გგვრით. ეგებ მათ სულ არ გააჩნიათ სული? მე თავად არც კი შეეყოყმანდებოდი, ამის მტკიცება რომ დამეწყო; თუ სული გულისხმობს ფსიქიკის იმ ცოცხალ სფეროს, ჩვენი სიზმრების იმ სათავეს, — ადამიანურს ,მეტისმეტად ადამიანურს, — სადაც, ჩვენ რომ გვგონია, შეგვეძლო ამ სამყაროს გავქცეოდით და ბოლოს და ბოლოს ჩვენი თავი გვეპოვა; მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ ეს სფერო, რაც უწინ პოეტისთვის ნიშნავდა ძალიან ბევრს, თუ არა ყველაფერს, უკვე აკრძალული ხდება. მასში თითქოს კი რჩება ყველაფერი, ის, რაც შეადგენს სულს — გულის მოძრაობა, სწრაფვები, გრძნობები, ვნებები, სიყვარული (მხედველობაში მაქვს არა საერთოდ სიყვარული), ყველაფერი, რაც ქმნის იმ შინაგან, ერთადერთ განუმეორებელ სამყაროს, ადამიანის ისტორიას, განუმეორებელ მოვლენებისაგან ნაქსოვს; და ყველაფერ ამასთან ერთად პოეტი დღეს განიცდის დაუძლეველ ზიზღს, უნდა განთავისუფლდეს ამისგან, რათა აფრინდეს რაღაც სულიერ სიმაღლემდე; აკი სულს მოკლებული პოეტი აუცილებლად არ

უნდა იყოს მოკლებული სულიერობას, პირიქით, ეს ხომ მისთვის ყველაზე აუცილებელია!

და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია მოვიშველიოთ გამოთქმა „წმინდა პოეზია", რაკი დავრწმუნდით, რომ სახეები პოეტისათვის იქცა მხოლოდ ინტელექტის წმინდა თამაშის ელემენტად. სწორედ ეს, ბოლოს და ბოლოს ვლინდება თანამედროვე პოეზიაში, რაგინდ სხვადასხვანაირი და დამაბნეველი არ უნდა იყოს მისი ფორმა. პოეტი ცდილობს განთავისუფლდეს hic et nunc (ახლა და აქ) იმ ფსიქოლოგიური დროისგან და კონკრეტული სივრცისაგან, რომელშიც ცხოვრობს. იგი ისწრაფვის გადააქციოს სახეები იდეების სიმბოლოებად, რამეთუ სწორედ ასეთი სახეები წარმოადგენს ფასეულობას კომბინაციათა დახვეწილი და ნატიფი ხელოვნებისთვის. ეს არის პოეზია პიროვნების გარეშე, დროის გარეშე, ადამიანის გარეშე — დეჰუმანიზებული, თუკი გავიხსენებთ ორტეგა ი გასეტის ზუსტ გამოთქმას; ეს არის არა იმდენად ესთეტიკური, რამდენადაც ლოგიკური ქმედების შედეგი და მხოლოდ ზერელე კრიტიკას შეუძლია არ დაინახოს იდეების გორგალი სახეთა ამ ლაბირინთში. მაგრამ სახეები ადრინდებულად არ გადმოსცემენ გრძნობას და ამოსებიან იდეებით, მესამე არ არსებობს, ხოლო გრძნობებს არ შეუძლიათ იარსებონ ადამიანის განცდის მიღმა. როცა თანამედროვე პოეზიაზე ელაპარაკობთ, ენებურად გვახსენდება, — აუცილებელ ცვლილებებს შევიტანთ, — კანტის არგუმენტი სკოლარული მეტაფიზიკის წინააღმდეგ და პოეტებს შევახსენებთ მტრედის იგავს, რომელმაც ჰაერის წინააღმდეგობა რომ იგრძნო, იფიქრა, უფრო ადვილი იქნება სიცარიელეში ფრენაო — აკი პოეზიის მტრედსაც მოუნდა დროისაგან განთავისუფლებულიყო, რათა აფრენილიყო მარადიულობისკენ; მაგრამ მას ისევე, როგორც კანტის მტრედს, არა გაეგებოდა რა საკუთარი ფრენის კანონებისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

ჰერმან ჰესე

გერმანულიდან
თარგმნა ბიორგი ბარამიძემ

ნოვალისი

ერიან წყნარი ბავშვები დიდი და შთაგონებული თვალებით, რომელთა გამოხედვა ძნელად ასატანია, მათ ხანმოკლე სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებენ და თანაბარის მოწიწებითა და თანალმობით ისე შეხცქერიან ვითარცა წარჩინებულ უცხოელს.

ასეთი ბავშვი იყო ნოვალისი. ბრბო მას ოდენ სახელით და მის ფსალმუნთა კრებულიდან ორი ან სამი სიმღერით იცნობს. ნოვალისს განათლებულ წრეებშიც კი ძვირად იცნობენ; ამის საბუთი ის გარემოებაა, რომ მის ქმნილებათა წინამდებარე გამოცემა პირველია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.

ძირისძირობამდე სიმპათიური და მომხიბლავი იყო ამ პოეტის გამოჩენა, ვისი სიმღერები და პოეტური სახელი დახვეწილი ამუსიკებით ეღერდა გერმანელ ხალხში, ისე, რომ ნაადრევად გარდაცვლილი პოეტის ქმნილება არც კი იყო ვიწრო ლიტერატურულ წრეს გაცდენილი და მის გარეთ ამოქმედებული. ნოვალისი ოცდარვა წლისა გარდაიცვალა და ადრეული გერ-

მანული რომანტიზმის საუკეთესო ჩანახატი საფლავში თან ჩაიტანა. მეგობართა ხსოვნაში იგი განსაბიერებულია თავისი მომხიბლავი ახალგაზრდული მშვენიერებით, მრავალსაყვარელი და შეუცვლელი, რომლის დაუსრულებელ შეწოქმედებასაც ისეთი იდუმალი ხიბლი აქვს, რაიც ძნელად თუ ექნება სხვა პოეტურ ქმნილებას.

იგი იყო ერთი უგენიალურესი დამფუძნებელთაგანი პირველი „რომანტიკული სკოლისა", რომელსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ხშირად ურევენ მის გვიანდელ უდღეურ ნაყარში და მასთან ერთადაა საბელგატეხილი და დავიწყებას მიცემული. სინამდვილეში კი გერმანული ლიტერატურის ისტორია ცოტას იცნობს ადრეული რომანტიზმისამებრ საინტერესოა და მომხიბლავ ეპოქებს, ამ ეპოქის ბედის წერა ადვილად გადმოიცემა რამდენიმე სიტყვით: ესაა მოკლე ისტორია ახალგაზრდა პოეტთა წრისა, რომელიც არტისტულად დაიღუპა მათი ეპოქის ძირითადმდინარეობაში, ფილოსოფიის არნახული მოძალების შედეგად. მაგრამ ხაკუთრივ ტრაგიკული ამ სკოლის ბედში ის არის, რომ მისი უდიდესი იმედი, მისი ერთადერთი პირველი რანგის პოეტი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ეს ახალგაზრდა ნოვალისი იყო.

გერმანიას ალბათ არასდროს არა ჰყოლია უფრო საინტერესო, უფრო ცოცხალი ლიტერატურული ახალგაზრდობა, ვიდრე იმ ეპოქაში. როცა ვილჰელმ შლეგელი თავის ორგანიზაციას აარსებდა, როცა მისი გენიალური, თუმცა დაბნეული ძმა ფრიდრიხი უდრეკ. მუყაით შლეირმახერთან ერთად ცხოვრობდა; როცა ადვილაღგზნებადმა, უმწეო ტიკმა მერყეევი ვაკენროდერი ჩამოიყვანა და პოეტად აქცია. შლეიერმახერი პატიოსნად აღტაცებულ სულში თავის ეპოქალურ „სიტყვებს" ატარებდა, უბნესი შლეგელი ოსტატურ კრიტიკათა ფილიგრინს აშალაშინებდა და თავის დიდგონებოვან კაროლინასთან ერთად შექსპირის ფასდაუდებელ თარგმანს იწყებდა: ათასობით წინაადმდეგობრივი გეგმითა და ეჭსტაზით მოცული ფრიდრიხ შლეგელი თავის განთქმულ ლუსინდას წერდა, რომელიც დღეს ვერავითარ სიამოვნებას ვეღარ გვანიჭებს; გოეთემ ყურადღებიანი მზერის მიპყრობა იწყო ძმათა წყვილისადმი; ნოვალისმა დამაბრმავებლად სწრაფი განვითარების შემდეგ ხელი უმაღლესი გვირგვინისაკენ გაიწოდა; ფიხტეს გვერდით ახლებურად და მნიშვნელოვნად გამოჩნდა ღრმასულის შელინგი. დილთაისა (შლეიერმახერის ცხოვრება) და ჰაიმის (რომანტიკული სკოლა გერმანიაში) გარდა ლიტერატურის ვერც ერთი ისტორიკოსი სწორად ვერ ჩახვდა იმ ეპოქის ხასიათებასა და თავისებურ ხიბლს. ათეული წლების მანძილზე „რომანტიკულის" ეტიკეტს ქვეშ უკრიტიკოდ იქნა გაერთიანებული და მორგებული მთელი ლიტერატურული ნაგავი.

და ჰაიმ სიტყვა რომანტიკულის ბოროტად გამოყენება და დილთაისა და ჰაიმის იმ ეპოქაზე დაწერილ [illegible] ბრალეა-მაო ცოდნა არ არის იმ თ[illegible] სრული დავიწყება ერთადერი, და [illegible] უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელმაც ნოვალისის ქმნილებანი მოიცვა. ნოვალისი, ძნელად ეკითხება. ვიდრე უახლესი ეპოქის რომელიმე გერმანელი მწერალი. მისგან ჩვენ თითქმის მხოლოდ ნაწყვეტები შემოგვრჩა, რომლებშიც პოეტი ხპეკულაციის ჩამოტოვებით გზის გაკაფვას იწყებს წმინდა პოეზიისაკენ. მიუხედავად ამისა ნოვალისის თხზულებათა კითხვა კარგი მკითხველისათვის ფრიად სარგებლიან საქმეს წარმოადგენს. ისინი აღძრავენ მზადებაში მყოფი ხელოვნების მიერი ხანის გრძნობას, იმ ხანისა, მის ეპოქასა და სკოლას რომ სჭირდებოდა და რაიც ყველაზე ძალუმად მასში იყო. კაცს მტკივნეულად ცოცხალი გრძნობა გიპყრობს: კიდევ ერთი ნაბიჯი, სიცოცხლის კიდევ ათი წელი და ჩვენ ერთი უკვდავი პოეტით მეტი გვეყოლებოდა, მაგრამ იძულებულნი ვართ ფრაგმენტებითღა დავკმაყოფილდეთ, რომელთა კითხვისას თვალწინ ისევ და ისევ წარმოგვიდგება ხოლმე ადრე გარდაცვლილ ჭაბუკის ტკივილამდე სიყვარულად მშვენიერი, მომღიმარი თავი;

ფრიად სამწუხაროა, რომ ჩვენ, მკაცრად რომ ვთქვათ, არ მოგვეპოვება პოეტის არც ერთი მთლიანად დასრულებული ქმნილება. ასეთი რამ ფასდაუდებლად ღირებული იქნებოდა. ტიკმა, მაგ. თავის ადრეულ სიჭაბუკეში ძვირფასი ფაქიზი ხიბლის მქონე რამდენიმე ზღაპარი დაწერა, მაგრამ ნოვალისის ერთ სტროფსაც კი, რომელიც მისი ფრაგმენტულობისა გამო ჩვენ ნაკლებ გვაკმაყოფილებს, უმაღლესი პოეზიის ბევრად უფრო მეტი ჯადო აქვს. მისი ქმნილების ცალკეულ ნაწყვეტებში და აგრეთვე მის ხიმღერებში სულისა და სინატიფის იგავმიუწვდომელი სურნელი დგას. მასთან მოიპოვება ისეთი სიტყვები სიყვარულის კოცნასავით რომ გვაღელვებენ და ისეთებიც, რომელთა კითხვისას სუნთქვას იკრავ, რათა მთლიანად მიეცე ამ წმინდა, თითქმის ზეციერ მშვენიერებას. ამასთან, მისი აზრები ატარებენ უმაწვილური, მომაჯადოებლად საყვარელი პიროვნულობის თბილ სუნთქვას, რაც არ უნდა არაგრძნობადი და სამყაროსაგან განდგომილი გვეჩვენებოდეს, ნოვალისი მაინც არ არის ასკეტი და სულთამხილველი. და მაინც მის პიროვნებაში არის რაღაც საოცარი და აუხსნელი, ისევე როგორც მის ცხოვრებასა და აღსასრულში, რომლის მოკლე აღწერილობაც ჩვენამდე მოღწეულია და რომელიც უცნაურის გულისამაჩუყებლობით მოგვწონს.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ნოვალისი, თუმცა ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც სიცოცხლითა და ინტერესით სავსე იყო; ხეირნობდა, საუბრობდა. ერთ დილით კი კლავირს უსმენს, ჯდება, იღიმება ძილბურანში წასული და კვდება. ისე ბომ არ არის, რომ ეს ფაქიზი, არაჩვეულებრივად ღრმა და ცოცხალი სული ტკივილისა და დამშვიდობების გარეშე წავიდა უმღერებელ სიმღერათა ქვეყანაში თავისი ნოხტალგიის ცისფერი მთებისკენ, მუსიკის ტაქტისა და მისი მხუბუქი ტონების თანხლებით? ადამიანურად იდუმალი ნოვალისში არის მისი მშვიდი ღიმილი, მისი ჭკვიანური მხიარულება, რომლის მიღმა მის სხეულსა და სულს იდუმალად ტანჯავდა მძიმე ტკივილი. ასეთს აღწერენ მას თავისი მეგობრები, ასეთად წარმოუდგება იგი მისი ნაწერებიდან ჩვენს შინაგან ზედვას, გამორჩეული ღირსების მქონე გამხდარი, კეთილშობილი სახე, რომელსაც თავის არსებაში არა აქვს არც ერთი ჩვეულებრივი შტრიხი, მაგრამ ყოველგვარ პათოსსაც მოკლებულია. როცა მასზე ვფიქრობ, მე მის მეგობრულად სერიოზულ სახეს სიკვდილისწინა მუსიკის ტონებში დახრილს ვხედავ, ამ სახეს აქვს უტყვი მგრძნობელობის მიმზიდველი შტრიხი; მასზე ვხედავ იმ ღიმილს, რომლის მხიარული გულუბვობა მისი დაუმთავრებელი შემოქმედებისა და დაუსრულებელი ცხოვრების უიდუმალესი ბიბლია.

ნოვალისის ნაწარმოებებში, რა სახითაც ისინი ჩვენს წინაშეა წარმოდგენილი ყველაფერი აშკარად ორ ნაწილადაა გაყოფილი — ფილოსოფიად და პოეზიად. მაგრამ მე ვფიქრობ პოეტის მიმართ უსამართლობას სჩადიან, როცა მაგ. რაიხის შეგირდის ანუ მიმნების მუსიკასა და ნატურფილოსოფიას ფილოსოფიად თვლიან. იგი ბევრად უფრო ღირებულია როგორც განწყობა, როგორც პოეზია და პოეტის რამდენიმე აფორიზმი გვაფიქრებინებს, რომ უკანასკნელ ხანს მას შეგნებული ჰქონდა თავის მიზანთან სიახლოვე. მის პოეტურ ფრაგმენტთა გვერდით განთქმული მწერლური მემკვიდრეობაც კი საშინლად ფხიზელ და ხელოვნურ რამედ გამოჩანს. ნოვალისში ისეთი მშვენიერი მგოხნური სული ცოცხლობდა, რომ მისი ნაწარმოებები წარმოგვიდგება როგორც ხოცარი სულიერი სიკვარბის ოდენ დაგუბება და გაფორმება და არა როგორც კეთება, გამოგონება და შენება. მისი შრომის ფრიად დახვეწილი წვრილმანების გვერდით პირდაპირ გამოუცნობია მისივე პირველნდელი ქმნილებების სრულიად არალიტერატურული სავსეობა, ხიწმინდე და ბავშვურობა. ალბათ საერთოდ არც ერთი სხვა გერმანელი არ ფლობდა ეგზომ სავსე პოეტურ სულს და ეს ერთიც მსხვერპლად შეეწირა თავისი ეპოქის ქანცისგამცლელ გონს. ის წლები ბომ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ნამდვილი დაბადების დროა. განსაკუთრებით ტიკი არის პირველი თანამედროვე წიგნთამწერალი; ასეროგად მოჩანს, ბევრი, მოქნილ გონებას გერმანიაში არც ერთი ადრეული საუკუნე არ იცნობს. ათენეიზმის დაფუძნებითა და ბერლინური სალონის დაარსებით ჩვენში იწყება ლიტერატურა როგორც ნივთი თავისთვის და მწერლობა როგორც პროფესია. აქედან მოკიდებული ჩვენ გვყავს რომანისტები, ჟურნალისტები, მთხრობელები, ფელეტონისტები და მთელი ეს ლიტერატურული გონები და გონუკები. თავდაპირველად რომანტიზმის სათუთი კვირტი მსხვერპლად შეეწირა ლიტერატურის ამ კეთებას; ნოვალისის ფაქიზი მცდელობანი დაუნდობლად იქნა გაჩანაგებული ოცი და ოცდაათიანი წლების ახალ რომანტიკოსთა მიერ, რაღა თქმა უნდა ამ ბანდაში არ შეგვყავს ისეთი უწმინდესი ნატურები როგორიცაა აშენდორფი.

დღეს აღარავინ უგდებს ყურს იმ მჭკნარ რომანტიზმს და რომანტიზმის წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლას აღარავინ თვლის რეაქციულ ელემენტად. მაგრამ თუ ვინმე დაუკვირდება ჩვენს თანამედროვეთა ნაღვლიან ნოსტალგიას „ახალი ხელოვნებისა" გამო, მაშინ ახალგაზრდულ ნრეებში დაიძებნება ისეთი განწყობანი და მისწრაფებანი, რომელნიც თვალნათლივი სიცხადით მოგვაგონებენ 1800-იანი წლების იმ აღგზნებულ პოეტურ ახალგაზრდობას.

დაბოლოს როგორც იქნა ხელთა გვაქვს ნოვალისის კიდევ ერთი გამოცემა. მხოლოდ მოწონება შეიძლება გამოიწვიოს იმან, თუ ჩვენი „ახალი რომანტიკოსები" თავის უნარსა და პოეტურ პატიოსნებას ამ მივიწყებული მიცვალებულის ქმნილებით გაზომავენ. ეგების გვყავს ვინმე, ვინაც გაუძლებს ამ დიდი, აღფრთოვანებული ბავშვური თვალების მზერას! ეგების წიგნის ბევრმა მკითხველმა ერთხელაცაა ჩამოიშოროს კითხვის მთელი მოდური ტექნიკა და ზედაპირულობა და გაბედოს იდუმალ სიღრმეში ჩაყვინთვა. კაცს ეს იმ სიმღერის მელოდიასავით ტკბილი და მტკივნეული მოეჩვენება, რომელიც ბავშვობაში მოუსმენია, ან იმ უკვავილის ხურნელს მოაგონებს ბავშვობისას მაშისეულ ბაღში რომ უყვარდა და დიდი ბანია რაც დავიწყებას მისცა.

დევიდ ლენგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა შალვა ყიფშიძემ

საქართველო გიორგი გრწყინვალის დროს

(1314—1346)

გიორგი V-ის, გრწყინვალედ წოდებულის, პოლიტიკური მოღვაწეობა ეთხვევა ახლო აღმოსავლეთის მოვლენებით სავსე პერიოდს. როდესაც გიორგი 1299 წელს პირველად ავიდა ტახტზე, სპარსეთის ილხანთა დინასტია უაზან მაჰმუდ ხანის წინამძღოლობით თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. უაზან მაჰმუდის იმპერია და მისი ვასალი სახელმწიფოები გადაჭიმული იყო ინდოეთის ოკეანიდან ხმელთაშუა და შავ ზღვებამდე. მას ექვემდებარებოდა ანატოლიის დიდი ნაწილი, რუმის სელჩუკთა სასულთნო და მცირე ხომხითი — ქრისტიანული სახელმწიფო. 1300 წელს კი მცირე ხნით დამასკოც დაიპყრო. ასეთი სტრატეგიული პოზიციებიდან სპარსელი მონღოლები მუდმივ საშიშროებას უქმნიდნენ ეგვიპტის მამლუქებსა და ოქროს ურდოს ხანებს.

მაგრამ მეფე გიორგის სიკვდილის დროს, 1346 წელს, საილხანოსგან მხოლოდ ნანგრევები დარჩა. მალიქ აშრაფ ჩობანიანი და მისი მარიონეტი ანუშირვან ხანი თავრიზიდან მართავდნენ მხოლოდ ცენტრალურ ირანს, აზერბაიჯანს, სომხეთს და აღმოსავლეთ საქართველოს. 1357 წელს, გიორგის სიკვდილიდან ათ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, ოქროს ურდოს ხანმა ჯანი-ბეგმა თავრიზი დაიკავა და დაუძლურებული საილხანო საბოლოოდ დაამხო.[1]

[1] ვ. მინორსკი, სტატია „თავრიზი" ისლამურ ენციკლოპედიაში. იაკობ მანანდიანი „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა" (სომხურად), III, ერევანი, 1952, გვ. 333.

მიუხედავად გიორგი V-ის ხანგრძლივი ზეობისა და იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, ამ პერიოდის ქართული წყაროები მეტად მცირერიცხოვანი და ძუნწია, განსაკუთრებით ხელისშემშლელია ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიის დიდი ქრონიკის „ქართლის ცხოვრების" ტექსტი წყდება დაახლოებით 1314 წელს, სწორედ გიორგის ტახტზე მეორედ ასვლისას.

ამის მიზეზი ორგვარია. პირველი, 1348 წლიდან 1348 წლამდე საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა. მას მრავალი საეკლესიო პირი—გადამწერი ემსხვერპლა, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ქართული ქრონიკები თავიანთ დროამდე მოეყვანათ.[2]

მეორე, 1388 წლის შემდეგ ქვეყანამ თემურლენგის ურიცხვი დამანგრეველი შემოხევა გადაიტანა, რამაც შეიწირა მრავალი მონასტრის ბიბლიოთეკა და ქრონიკის ქართველი აღმწერ-

[2] შავი ჭირი გაჩნდა ცენტრალურ აზიაში, ისიკ-ყულის ტბასთან, სემირეჩინსკის რაიონში, 1338—1339 წწ. დათარიღებული ნესტორიანული საფლავის სამარხებს ისევ შემორჩათ შავი ჭირის მსხვერპლთა ნაკვალევი. ყირიმის საპორტო ქალაქებში შავი ჭირი 1346 წელს გავრცელდა და დაახლოებით იმავე წელს შემოვიდა კავკასიაშიც. ახლო აღმოსავლეთში, ჩვეულებრივ, სიკვდილიანობა იმდენად დიდი იყო, რომ მთელი აღმოსავლეთის სარკინოზები და ბერძნები სასოწარკვეთას მიეცნენ. (რ. პოლიტერი, „შავი ჭირის შესახებ, № 1", მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ბიულეტენი, IV, № 4, ჟენევა, 1951).

ლებიც, რომლებიც შესაძლოა დამპყრობლებს ჩაუვარდნენ ხელთ.

ასე რომ, გიორგი V-ის ბიოგრაფია მხოლოდ და მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისით გვაქვს დათარიღებული. იგი შეადგინა ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული საისტორიო კომისიის მდივანმა ბერმა ეგნატაშვილმა,* რომელიც გამოსცემდა და ავრცელებდა ქართულ წყაროებს. ეგნატაშვილი წერს, რომ მან ვერ შეძლო ეპოვა სარწმუნო წყარო მეფე გიორგი V-ის ცხოვრების შესახებ! ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეგნატაშვილის მოსაზრებანი ამ მეფესთან დაკავშირებით სავსეა რიტორიკული მრავალსიტყვაობით.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეგნატაშვილის ცნობები მოკლებული იყოს ყოველნაირ ისტორიულ საფუძველს. მას მხოლოდ ორ-ნახევარი საუკუნე აშორებდა ამ პერიოდს და ხელთ ექნებოდა ისეთი დოკუმენტები და წყაროები, რომლებიც ახლა აღარ არსებობენ. მრავალი მოსაზრება, როგორც ამას ვნახავთ, ემთხვევა გიორგის თანამედროვე არაბი და სპარსი ისტორიკოსების ცნობებს, სხვა ადგილები კი მის მიერ წამოყენებული ვერსიებისა უნდა შემოწმდეს.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ისტორიის შესაბამისი ნაწილის შესახებ, რომელიც მოგვიანებით, XVIII ს-ში შეადგინა ვახუშტი ბატონიშვილმა. მისი შეხედულებანი გიორგი V-ის მეფობის შესახებ აგებულია მხოლოდ და მხოლოდ ეგნატაშვილისეული ანალების გაგრძელებაზე.

ანალების ბროსეულ ფრანგულ თარგმანში გიორგი ბრწყინვალისა და მისი შვილის, დავით IX-ის მეფობის პერიოდი ნასესხებია ვახუშტის ისტორიიდან, რაც, თავის მხრივ, ემყარება ეგნატაშვილის მონათხრობს.2

ქართული წყაროები გიორგი მეფის წარმომავლობისა და მისი მეფობის ადრეული წლების შესახებ ზუსტია. იგი იყო უმცროსი შვილი მეფე დიმიტრი თავდადებულისა, რომელსაც 1289 წელს თავი მოჭრეთა სპარსელმა ილხანმა არღუნმა. გიორგის უფროსი ძმა, მეფე დავით VIII, ტახტიდან გადააყენა ილხანმა ყაზან მაჰმუდმა 1293 წელს. დავითის ადგილი დაიჭირა გიორგიმ, რომელიც გაზარდა მესხეთის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ათაბაგმა. იგი მხოლოდ რამდენიმე თვეს მართავდა ქვეყანას. შემდეგ თავს დაატყდა ყაზანის უკმაყოფილება, რომელმაც მეფობიდან გადააყენა. ყაზანის მემკვიდრის, ილხან ულჯაითუ ხოდაბანდას დროს გიორგი ჩანს დავით VIII-ის მცირეწლოვანი შვილის რეგენტად, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მეფე გიორგი VI მცირე. 1314 წელს გიორგი მცირე ახპარეზიდან ქრება და მისი ბიძა, გიორგი ბრწყინვალე, მარტო მართავს სახელმწიფოს.

გიორგის მეფობის ხანა იყოფა ორ განსხვავებულ ნაწილად. პირველი მოიცავს პერიოდს 1327 წლამდე, როცა გიორგი მეფობდა თბილისში, როგორც მოკავშირე ილხან აბუ საიდისა და მისი უფლისწამძლე მინისტრის რეგენტ ჩობანისა. მეორე მონაკვეთში, 1327 წლიდან სიკვდილამდე, 1346 წლამდე, გიორგიმ, როგორც ჩანს, დაკარგა კონტროლი თბილისზე და მასთან ერთად მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე. მაგრამ ეს დანაკლისი მან დასავლეთ საქართველოს თავისი სკიპტრის ქვეშ მოქცევით აინაზღაურა.

ყველა წყარო ამტკიცებს გიორგი V-ისა და ამირა ჩობანის გულითად ურთიერთობას. ქართული წყაროების გაგრძელება ასახავს, თუ როგორ წავიდა გიორგი სპარსეთის დედაქალაქში, რათა პატივისცემა გამოეხატა ილჩან აბუ საიდისადმი ამ უკანასკნელის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით 1316 წელს. გიორგი ილბანის კარზე დიდი პატივით მიიღეს. ეს კარგი დამოკიდებულება რომ განმტკიცებინა, ჩობანმა საქართველოს გამგებლობაში კვლავ აღადგინა მესხეთის ანუ ხამცხე-საათაბაგოს პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც თავის დროზე ილბან აბაღამ ცალკე ავტონომიურ პროვინციად გამოყო სპარსეთის მთავრობის განმგებლობის ქვეშ.3

თბილისში დაბრუნების შემდეგ გიორგიმ ისარგებლა სპარსეთის მთავრობის კეთილგანწყობით. ქართველ მთავართა სეპარატისტული მიზნების აღმოსაფხვრელად გამოიძახა კახეთის, ჰერეთისა და სომხეთის უხრწნელი ერისთავები ცივის მთაზე შესახვედრად და გაანადგურა ისინი. აგრეთვე დაამარცხა და განდევნა კავკასიის ფერდობებიდან ოსთა მოთარეშე ტომე-

* დედანში ბერი ეგნატაშვილი გაგებულია, როგორც ბერი, მონაზონი და არა როგორც საკუთარი სახელი (მთარგმ. შენიშვნა).

1 ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ; ი. ა. ჯავახიშვილი, ტ. I, თბ., 1940. გვ. 5.

2 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ტ. I, ნაწ. I, სპბ, 1849, 644—650. შეესაბამება ვახუშტის საქართველოს ისტორიას, დ. ბაქრაძის გამოც., თბ., 1885, 276—281, გიორგი V-ის რამდენიმე ტრაქტატი, დაბეჭდილი ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველეებში", ტ. II თბ., 1913, შეიცავს მცირე ისტორიულ ინფორმაციას.

3 ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, 4—5.

ბი, რომელთაც დაეპყროთ ქართლი და დაეკავებინათ ქალაქი გორი.[1]

გიორგი V-ის მეფობისდროინდელი საქართველოს ისტორიის შესახებ ფუნდამენტურ ინფორმაციებს იძლევიან არაბი მწერალი ალ-კალკაშანდი და იმდროინდელი მეცნიერები (XIV-XV საუკუნეები). პირველი მეცნიერი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, იყო ვ. ფონ ტიზენჰაუზენი. მან 1886 წელს გამოაქვეყნა რუსული თარგმანი ალ-კალკაშანდის საქართველოს შესახებ დაწერილი ნაშრომისა, რომელიც ცნობილია როგორც სუბჰ ალაშა.[2]

ალ-კალკაშანდიმ, რომელიც 1418 წელს გარდაიცვალა, თავისი ნაშრომის ეს ნაწილი ააგო ამმად იბნ იაჰიას, იბნ ფადლ ალ-ლაჰის სახელით ცნობილი, ალ-უმარის შრომაზე „ალ-თარიფ ბილ-მუსტალაჰ ალ-შარიფი", რომელიც დაიწერა 741/1341 წელს. ალ-კალკაშანდი ამ ტრაქტატის გაგრძელებაში გვაცნობს XIV საუკუნით დათარიღებული თაკი ალ-დინ აბდ ალ-რაზმან ალ-კადავი ალ-მუჰიბბის წერილს, რომლის სათაურია „თაჯკიფ ალ-თარიფ ბილ-მუსტალაჰ ალ-შარიფი".[3]

როგორც მამლუკი სულთნის ალ-მალიქ ალ-ნასირ ნასირ ალ-დინ მუჰამედის 1292 — 1341) მდივანი, ალ-უმარი კარგად იყო გათვითცნობიერებული სპარსეთისა და საქართველოს საქმეებში. იგი გარდაიცვალა დამასკოში 749/1349 წელს 47 წლის ასაკში.[4]

პროფესორ ა. ხ. ტრიტონის დახმარებით შესაძლებელი გახდა ალ-კალკაშანდის ტიზენჰაუზენისეული რუსული თარგმანის ალ-კალკაშანდისა და მისი წყაროს ალ-უმარის კაიროში დაბეჭდილ გამოცემებთან შედარება. ალ-კალკაშანდის შრომის ინგლისურ თარგმანში ტექსტი დაყოფილი იყო იმისთვის, რომ ნათლად დაგვენახა, რომელი ნაწილი მიეკუთვნებოდა უფრო ადრინდელ წყაროებს.

ექსტრაქტი შრომისა „ალ-კალკაშანდი ქართველების შესახებ".

(კაიროს გამომც., ტ. VIII, 1334/1915, გვ. 27—29).

წერილობითი მიმართვის შესახებ აღმოსავლეთის (ურწმუნო მეფეებისადმი.

ისეთი ქრისტიანული ქვეყანა, ქრისტიანი მეფეები რომ მართავენ და ჩვენ (ე. ი. ეგვიპტეს) ოფიციალური მიმოწერა გვაქვს, ორია. პირველი გურჯების ანუ ქართველების სამეფოა, რომელიც შედგება მართლმადიდებელი ქრისტიანებისაგან.[5]

იგი (ალ-უმარი) ამბობს „ტარიფში".[6]

„მუსლიმანი მოსახლეობის ტერმინი არის „კურდი", ქრისტიანებისა კი „კურჯი".

იგი (ალ-უმარი) ამბობს: „ეს სამეფო მდებარეობს რუმისა (წინა აზია და სომხეთის მიწებთან. იგი მდიდარი მხარე და მნიშვნელოვანი სამეფოა. ეს სახელმწიფო გამოირჩევა ამ ორ ქვეყანას შორის. მას განაგებს მეფე და წარმოადგენს ძლიერ მონარქიას. მისი დედაქალაქია ქალაქი თბილისი. თბილისზე პროტექტორატი ჰქონდა ირანის სამეფოს ჰულაგუს შთამომავლობის სულთანს. მას ჰქონდა გავლენა ქვეყანაზე, თუმცა არ გაუჩანაგებია და არ დაურბევია იგი. მაგრამ ამ სულთანმა იქ სასაზღვრო მიწების დასაცავად და თავისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად შეინარჩუნა ათიათასიანი არმია. ქართველების მიწა მდიდა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1950, გვ. 289. გიორგის მიერ მთავრების დასჯის ფაქტში, რომელსაც ქართველი მეცნიერები მეფე გიორგის მმართველობის მეორე ნახევარში მოიხსენიებენ, უფრო დამაჯერებელია, რომ მან გამოიყენა ჩობანის დახმარება. საქართველოს, სომხეთისა და ღარბეკირის მონღოლი მმართველი 1316 წელს ცნობილია პრინც ერენჯენის სახელით (ვ. შპულერი, მონღოლები ირანში, ლაიპციგი, 1939, გვ. 52).

2 ვ. ტიზენჰაუზენი, ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ „Записки Вост. Отд. русского имп. археологического общества I, СПБ, 1988, 208-16.

3 ჩვეულებრივ მიეწერება იბნ-ნაზირ ალ-ჯაიშს. სხვადასხვა ხელნაწერი ამ შრომებისა ნახეთ: ვ. ტიზენჰაუზენი, ოქროს ურდოს ისტორიის ამსახველი მასალების კრებული, ტ. I, სპბ, 1884, 207—208, 331, 395. ალ-უმარის ტრაქტატი საქართველოს საქმეების შესახებ დაიბეჭდა კაიროში 1312 წ., გვ. 53-55. ის ნაწილი ალ-კალკაშანდის „სუბჰ ალაშასი", რომელიც შეეხება საქართველოს, მოცემულია კაიროში გამოცემული წიგნის VIII ტომში 1334/1915 წელს. შემდგომში ნახეთ ვ. ბიორკმანი, ისლამური ეგვიპტის სახელმწიფო კანცელარიის ისტორიის საკითხები, ჰამბურგი, 1928 (გერმანულ ენაზე).

4 იხილეთ მშვენიერი მონოგრაფია ამ მწერალზე, დაწერილი დ. ს. რაისის მიერ, ამასთან დაკავშირებით მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, პროფესორებს ბ. ლუისსა და ბ. ვიტეკს, რომ საკადრისი პატივი მივაგო სასარგებლო წინადადებებისა და რჩევებისათვის.

5 მცირე აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყანა, სავარაუდოა, რომ იყოს მცირე სომხითი კილიკიაში.

6 ამონაწერები ალ-უმარიდან ნახეთ: ალ ტარიფ ბილ-მუსტალაჰ ალ-შარიფი, კაირო 1312, 53—5.

რია ველებით, მისი მოსახლეობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის.* იგი (ალ-უმარი) ამბობს: „უკანასკნელი ცნობილი პიროვნება, რომელიც ამ მიწაზე ცხოვრობდა და რომლის დამხობაც ერთობ შემაძრწუნებელი ამბავია, იყო შაიხ მაჰმუდი, შვილი ჩობანისა. ის იყო მამაცი ადამიანი, რომელსაც ვერავინ დაუდებდა ტოლს. ის მტრების მიმართ სიმკაცრით გამოირჩეოდა. როდესაც მამამისს საქმეები ცუდად წაუვიდა, მან თავშესაფარი სულთან უზბეკ ხანთან (ოქროს ურდოში) მონახა. ამის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია, ბედის არენა მისთვის თავისუფალი არ ყოფილა. მან ველარ შეძლო შებრძოლებოდა მოახლოებულ სიკვდილს".1

ამის შემდეგ იგი (ალ-უმარი) ამბობს: „ქართველების არმია ბირთვია ჯვრის რელიგიისა. ქართველი ხალხი მამაცი და ქველია. ის მუსლიმანთა არმიის რეზერვი და მთავარი ძალაა. მუსლიმანთა გვარს სჯერა მათი და ეურდნობა მათ. განსაკუთრებით სჯერა მათი ჩობანის ოჯახს, მის შვილებსა და დანარჩენ შთამომავლობას, წარსულში ჩობანის კარგი დამოკიდებულების გამო ქართველებთან, რომლის დახმარებას ისინი მადლიერებით იღებდნენ. ჩობანი იყო ნამდვილი მეგობარი ქართველების მეფის ბრთლმასი (ან ბრთილმა-ბართლომე)2.

მან ბევრი სიკეთე დათესა ჩობანის მფარველობის ქვეშ. ჩობანი იყო მისი უველაზე ერთგული მეგობარი და თანამოაზრე. იგი მასთან საუბრობდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენებზე და ძნელბედობის ჟამს დახმარებასაც სთხოვდა, მხარს უჭერდა და საძნელოების გადალახვაში ეხმარებოდა".

იგი (ალ-უმარი) [illegible] „შენიშვნებს და ამბობს: „ეს ზემოხსენებული ბერძენი, როგორც მახსოვს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩემს დროს. იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი მეფე ქრისტიანთა და უველაზე დიდებული წინამძღოლი ბაპტისტებისა. მან მისწერა წერილი სასულთნოს ჯვრის მამათა მონასტრის თაობაზე და სთხოვდა აღეკვეთათ ყოველგვარი დამპყრობლური თარეში ამ მონასტერზე. გამოიცა ბრძანება მონასტრის ნამდვილ მფლობელებზე გადაცემის შესახებ. ეს ჩამორთმეული და მეჩეთად ქცეული მონასტერი წმინდა იერუსალიმის საზღვრებს მიღმა მდებარეობს. მრავალი სწავლულისა და ისლამის რელიგიურ პირთათვის კი ეს მეტად შეურაცხმყოფელი ფაქტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის მიზეზი უყურადღებობა არ ყოფილა. ამბობენ, რომ ქართველთა მეფე უველანაირი ხერხით შეეცადა დაეჯერებინა ჩობანი ფები დაედგა იმ მიწაზე".3

იგი (ელ-უმარი) აღნიშნავს, რომ ქართველი მეფისადმი მიმართვის სტილი შემდეგნაირი იყო: „ღმერთმა აკურთხოს აწ და მარადის ღირსეული დიდი მონარქი, გმირი, ვაჟკაცი, ლომი, სახელმოხვეჭილი, შემტევი, უშიშარი, მეუფე, გვირგვინოსანი, სწავლული, სამართლიანი მეფე, ბერძენ მეფეთა მიმდევარი, ქართველთა სულთანი, განძი წყლისა და ხმელეთის ქვეყნისა, რაინდთა ქვეყნების მცველი, წინაპართა ტახტისა და გვირგვინის მემკვიდრე, ბურჯი რუმისა და ირანის მიწებისა, შთამომავალი ელინებისა, სირიელი მეფეების კვინტესენცია, შთამომავალი ტახტისა და გვირგვინის შვილებისა, ქრისტიანობის გაბრწყინებელი, იესოს სარწმუნოების მომხრე, ნაკურთხი წინამძღოლი ქრისტიანი გმირებისა, რომელმაც განადიდა იერუსალიმი თავისი გულწრფელი მიზნით, ბურჯი ბაპტიზმის შვილებისა, რომის პაპის მშველელი, მუსლიმანების საყვარელი ადამიანი, მოკავშირეთა შორის საუკეთესო, მეგობარი მეფეთა და სულთანთა".

„ტარიფში" იგი იძლევა შემდეგ ლოცვას, რომელიც უნდა აღევლინოს მისთვის: „ღმერთ-

* დ. ლენგი კომენტარს არ უკეთებს ალ-უმარის ამ აშკარა შეცდომას. (მთარგმ.).

1 მაჰმუდი მეთაურობდა მონღოლთა გარნიზონს საქართველოში. იგი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს თავისმა ხელქვეითებმა 1327 წელს მამამისის დამარცხებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ. (ვ. ტიზენჰაუზენი, დასახ. ნაშრ. ჰაფიზი აბრუ, მონღოლ მეფეთა ცხოვრება ირანში II, პარიზის სპარსული ტექსტი გამოცემული კ. ბაიანის მიერ, II, პარიზი, 1937, 107).

2 ეს სახელი, რომელსაც შემდგომში მეცნიერები გიორგის დინასტიური გვარის ბაგრატიონის ან ზედმეტსახელის ბრწყინვალის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში უნდა იყოს დიდი ერისთავი ბურთელ სივნიელი დიდი სომხეთიდან. ბურთელი (ან ბივრთელი) იყო შვილი მთავარ ელიქუმ ორბელიანისა, რომელიც საქართველოსა და სომხითის გენერალსიმუსის წოდებას ატარებდა. ის ხშირად იხსენიება სომხურ ხელნაწერებში 1300-დან 1341 წლამდე, გარდაიცვალა 1348 წელს. (ნახეთ ლ. ს. ბაჩიკიანი, XIV ს. სომხური ხელნაწერების ნუსხები, 1950, ერევანი, 684). კარგად ჩანს, რომ აქ ალ-უმარი ურევს დიდგვაროვან ვასალს და მეფეს ერთმანეთში.

3 ეს ფრაზა, როგორც ბარონი როზენი სამართლიანად მიიჩნევს, უნდა ნიშნავდეს, რომ გიორგი ჩობანს აქეზებდა პალესტინის დასაპყრობად მამლუქების საშუალებით.

მა ხელი მოუმართოს მას (ქართველთა მეფეს) თავისი სამეფოს დაცვაში მეგობრობით და არა არმიით, შეთანხმებებისადმი ერთგულებით და არა თავისი ჯარით, არც თავისი სამხედრო ძლიერების გავრცელებით, რასაც ჩვენ ქველმოქმედებად მივიჩნევთ, რომელსაც იგი ეწევა და მასაც მიაჩნია, რომ აქვს, და არც კეთილთა და ფოლადის ცეცხლის დანთებით".

აღსანიშნავია, რომ იგი ხშირად „გულითადი მეგობარი მუსლიმანებისას" ნაცვლად ამბობს: „მუსლიმანების საყვარელი".

„ტარიფში" (ე. ი. ალ-მუჰიბბის მიერ შეკრებილი ალ-უმარის ტრაქტატის გაგრძელებაში) იგი ამბობს, რომ ქართველებს ორი მეფე ჰყავდათ. ერთი არის ზემოთ ნახსენები თბილისის მთავარი დავითი.1 მეორე მმართველი იყო სოხუმსა და აფხაზეთში, ყირიმის სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ორი ქალაქისა,* რომლებიც მოგვიანებით მოხსენიებულია ჩრდილოეთის გზებსა და ქვეყნებში. ამ დროს მათი მმართველი იყო დიიადანი.2

იგი ამბობს: „მიმართვის სტილი ერთიმეორისადმი იყო ნახევარგვერდიან ფურცელზე, მაგ.: ღმერთმა გაუხანგრძლივოს სიცოცხლე დიდ მეფეს, ღირსეულს, მნიშვნელოვანს, მამაცს, გმირს, განსხვავებულს, ხელმწიფეს, მესიის ხალხის პატივისმცემელს, ჯვრის ხეტის განძის მფლობელს, ქრისტიანული რელიგიის ღირსეულ შვილს, აფხაზების, ქართველებისა და ჯურჯანელების3 მეფეს, მეფეებისა და სულთნების მეგობარს.

ორივე მათგანი ცნობილია როგორც მეფე ქართველთა".

შემდეგ იგი (ალ-მუჰიბბი) ამბობს: „აწ გარდაცვლილი ყადი შიჰაბ ალ-დინ იბნ ჰფადლ ალ-ლაჰი (ალ-უმარი) აღნიშნავს ამ სტილის ხხვადახხვა ვარიაციას, მაგრამ ხაჭიროება არ მოითხოვს მათ აქ გამეორებას, რადგან ზემოთ მოხსენიებული მიმართვა მუდმივ ხმარებაში იყო მასთან მიმოწერიხას ამ უკანასკნელ დრომდე".

მაგრამ მე (ალ-ყალყაშანდი) მივუთითე: შიჰაბ ალ-დინ ფადლ ალ-ლაჰის (ალ-უმარის) დროს საქართველო დაუკავშირდა თათრებს, და ჩობანს, როგორც ეს ზემოთ იყო მითითებული, ამიტომ მიმართვის სტილი [illegible] დაიხვეწა და უფრო მკვეთრ[illegible] გახდა, როცა თათრების მიერ ირანისა და მისი ტერიტორიის მართვა შესუსტდა და მათი ძალადობა აღიკვეთა, ქართველთა მეფესთან მიმართვის სტილიც შეიცვალა, ადრინდელი მაღალფარდოვნება დაკარგა. გზებისა და ქვეყნებისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნულია, რომ თბილისი ირანის ქვეყნის განმგებლობის ქვეშ იყო, რომ მუსულმანებმა დაიპყრეს იგი, მაგრამ შემდგომში ქართველებმა დაიბრუნეს და დეპატრონენ. აქაურ დამპყრობ მთავარს დარქვა დამპყრობი („მუთამალლიქი") თბილისისა, როგორც სომხეთში სისის მთავარს ერქვა სისის დამპყრობი და კიპროსის მთავარს კიპროსის დამპყრობი.

ამ დროის არაბი ისტორიკოსების ნაწარმოებებში შეიძლება შევხვდეთ მრავალ საინტერესო ფაქტს, რომელიც შეეხება საქართველოსა და მამლუქთა სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობას.

ასე რომ, ზოგიერთ წყაროში ნახსენებია მეფე ვახტანგ მესამის გაგზავნილი ელჩები, რომლებიც 705/1305—1306 წლებში იყვნენ ეგვიპტეში. ალ-ყალყაშანდის ცნობით, ამ ელჩებს მოუთხოვიათ მიზგითად გადაქცეული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის უკან დაბრუნება და აღდგენა.4 ცნობა ამ უჩვეულოდ გადაწყვეტილი გარიგების შესახებ აღმოჩნდა ბაღრ ალ-დინ ალაინთან, რომელიც წერს, რომ ოქროს ურდოელი უზბეკ ხანი ჩიოდა ეგვიპტის სულთანთან 722/1322-1323 წლებში საქართველოს მეფის მიმართ კეთილგანწყობის გამო. უზბეკ ხანი აღშფოთებული იყო იმით, რომ საქართველოს მეფეს ნება ჰქონდა დართული

---

1 დავით IX, შვილი და მემკვიდრე გიორგი ბრწყინვალისა, რომელიც მეფობდა 1346—1360 წლებში.

* დ. ლენგი კომენტარს არ უკეთებს ალ-უმარის ამ შეცდომას. (მთარგმნელი).

2 დადიანი, მთავარი და რეგენტი სამეგრელოსი, ვრცელი ქართული პროვინციისა შავი ზღვის ნაპირზე.

3 დაბეჭდილ ტექსტში „ალ-ჯიბალ" „ბორცვი" აფხაზების მაგიერ „ჯურჯიანელები" — ეს კარგად და ზუსტად გადმოგვცემს ცდას გადაიტანოს დასავლური ტერმინი ქართველები დამატებად ჩვეულებრივ არაბულ ტერმინ „გურჯთან". აგრეთვე, შესაძლებელია, მას აქვს რაიმე კავშირი კასპიის ზღვასთან, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ გურგანის ანუ ჯურჯანის ზღვას, კიდევ უფრო მეტად კი — ხაზარების ზღვას.

4 ამ მოლაპარაკების დეტალები განხილულია ტიზენჰაუზენის ნაშრომში „ალ-ყალყაშანდის შენიშვნები საქართველოს შესახებ" გვ. 212—213 და დ. ა. ყიფშიძის ნაშრომში „პროხორის ცხოვრება, ლუკას და ნიკოლოზ დვალის წამება", კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, ლენინგრადი, 1927, 31—68. უკანასკნელი ნაშრომი გვაძლევს ქართველი ბერის ოსეთის მკვიდრის ნიკოლოზ დვალის წამების აღწერას, რომელიც სიკვდილით დასაჯეს დამასკოში 1314 წ. (დ. ლენგი წერს დვალიანი. მთარგ.)

იერუსალიმში მონასტრის აშენებისა, ხოლო უზბეკ ხანის ფავორიტს შაიხ ნუმანს „ნება არ მქონდა აეშენებინა იქ ალაჰის სადიდებელი ადგილი".[1]

ალ-მაკრიზი და სხვა მწერლები აღწერენ 716/1316—1317 წლებში ესპანეთის, კონსტანტინოპოლისა და ნუბიის გავლით ოქროს ურდოს, საქართველოს მეფის, ილხან აბუ საიდისა და მისი რეგენტის ამირა ჩობანის ელჩების ეგვიპტეში ჩახვლას. ელჩების ჩატანილმა ამბებმა იქ დიდი მოწონება დაიმსახურა და საჩუქრების გაცვლაც მოეწყო. ამასთან დაკავშირებით ალ-მაკრიზი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ 718 წლისათვის ერთი წლის ყოფნის ნება დართული ჰქონდა 8 უცხოელ ელჩს. ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი შეხვედრა ქართველ ელჩთან, რომელიც მოუწვევიათ სწორედ მამლუქი სულთნის ალ-მალიქ-ალ-ნასირის თათარ პრინცესაზე ქორწინების წინ, 720/1320 წელს ეგვიპტეში.[2]

როგორც ცნობილია, ალ-უმარი აღნიშნავდა, თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ხაილხანოს დომინიონების ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის დასაცავად. ეს მნიშვნელობა გაიზარდა აბუ-საიდისა და ოქროს ურდოელი უზბეკ ხანის ცუდი ურთიერთდამოკიდებულების დროს. ჰამდ ალ-ლაჰ მუსთაფი ყაზვინის „თარიხე გოზიდე", ისევე როგორც რაშიდ ადდინის გაგრძელება და სხვა ირანელი ისტორიკოსების ნაწარმოებები, აგვიწერს ოქროს ურდოს ჯარების ლაშქრობას ირანსა და შირვანში 718/1318-1319 წლებში, როდესაც უზბეკ ხანის არმიამ მტკვრის ნაპირებამდეც მიაღწია. მომდევნო წელს ამირა ჩობანმა გაილაშქრა უზბეკ ხანის წინააღმდეგ და აიძულა მის ჯარს გაქცეულიყო. 725/1325 წელს ჩობანმა ოქროს ურდოს ჯავრი იყარა და გაილაშქრა საქართველოდან დარუბანდამდე და მდინარე თერგსაც მიაღწია. მომდევნო წლებში მან დაარბია უზბეკ ხანის ტერიტორია და ირანში ნადავლით დატვირთული დაბრუნდა.[3]

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ალ-უმარის სიტყვებით, ჩობანი ეურდნობოდა გიორგის, როგორც „ყოველგვარი ცუდი ამბის თავიდან ამშორებელს". ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გიორგის აქტიურობა ამირ კურმიშის აჯანყების ჩაქრობაში, რომელიც საამხედრო გუბერნატორი იყო საქართველოში. 1318 წელს ეს პროვინცია შეეცადა უპირატესობა მოეპოვებინა ჩობანზე, განთავისუფლებულიყო მისი ვალდებულებებისაგან, რათა შემდგომ გამოეყოფოდა ხაილხანოს იმპერიას. მიუხედავად ამისა, გიორგიმ უარი თქვა ამ წამოწყების მხარდაჭერაზე და [illegible] ჩობანს ამირ კურმიშის [illegible] ინიციატიცია მაშინვე კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.[4]

ეპვგარეშეა, აბუ საიდისა და ჩობანისადმი გიორგი ბრწყინვალის მიერ გაწეულმა დიდმა სამსახურმა არანაკლები როლი ითამაშა ცნობილი დეკრეტის გამოქვეყნებისა და განხორციელების საქმეში, რომელიც ამოკვეთილია ქვაზე სომხეთის უძველეს ქალაქ ანისში მდებარე მანუჩერის მეჩეთში. (ამ დროისათვის ქალაქი ანისი საქართველოსთან ერთად ერთიან ადმინისტრაციულ რაიონს წარმოადგენდა), როგორც ჩანს, ბარტოლდის მიხედვით,[5] ეს დეკრეტი შეიძლება დათარიღდეს 1319 ან 1335 წლებით. აქ ლაპარაკია უზომო ხარკზე, რომელიც ადრეულ წლებში ედო „ქალაქ ანისს და საქართველოს სხვა პროვინციებს". ძალადობისა და ძალის ბოროტად გამოყენების შედეგად ქვეყნის კეთილდღეობა დაეცა. ამ დეკრეტმა გააუქმა აკრეფის სისტემის ფორმა, რომლითაც ანისი და მისი მეზობელი საქართველოს სხვა რაიონები ამ დროიდან განთავისუფლდა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აბუსაიდის მეფობის მთელ მანძილზე გიორგი V-ს პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ მამლუქი სულთნების წერილების შესავალ სიტყვებში გიორგი ბრწყინვალე იხსენიება როგორც „რომის პაპის მშვენელი". ეს ტიტული უფრო დიდია, ვიდრე ქართველობის წვლილი აღმოსავლეთის ქრისტიანობის დაცვაში. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიორგის ურთიერთობა ჰქონდა პაპთან 1321 წელს პაპმა იოანე XXII-მ მისწერა ავინიონიდან გიორგის, ეღიარებინა რომის სულიერი სუზერენული სახელმწიფო და მართლმადიდებლური ქართული ავტოკეფალი-

---

[1] ვ. ტიზენჰაუზენი, მასალების კრებული... I, 524.

[2] იქვე, 170, 437, 440, 520.

[3] ვ. ტიზენჰაუზენი, ოქროს ურდოს ისტორიის ამსახველი მასალების კრებული, ტ. II, (სპარსული წყაროები), რომაშევიჩის და ვოლინის გამ., მოსკოვი-ლენინგრადი, 1941, 92, 100, 101, 142—3.

[4] ვ. ბარტოლდი, ანისის მანუჩერის მეჩეთის სპარსული ლაპიდარული წარწერა, თარგმანი და გამოცემა ვ. მინორსკისა, 1951, 246; შპულერი, მონღოლები ირანში, გვ. 121 (გერმანულ ენაზე), ბროსე, საქართველოს ისტორია, I, ნაწ. I, 645, ეახუშტიზე დაყრდნობით, „საქართველოს ისტორია", გვ. 276; მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა", III, გვ. 320.

[5] „ციტშრიფტ დერ მორგენლენდიშენ გეზელშაფტ", 101, 1951, 246.

ური ორთოდოქსული ეკლესია დაექვემდებარებინა რომის კათოლიკური ეკლესიისათვის. წერილში პაპი გამოხატავდა სინანულს იმის გამო, რომ ქართული ეკლესია, როგორც მისი უწმინდესობა აღნიშნავდა, დაუმორჩილებლობის გამო მონაწილეობას აღარ იღებდა კათოლიკე სულიერი მამების განმწმენდ ლოცვებში. პაპი ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ ქართველებს კარგად არ აბასიათებდა ის, რომ პაპს უხდებოდა ზრუნვა მათი სულებისათვის. იგი კვლავ თავაზობდა მოეწვიათ კრება, სადაც ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდნენ რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის შეერთების საკითხს.[1]

ხიბრძნით შეზავებულ და გამამხნევებელ ამ მოწოდებას, ჩანს, არ მოუხდენია გავლენა არც საქართველოს მეფეზე და არც მართლმადიდებლურ იერარქიაზე[2]. ამ მარცხმა ვერ შეაჩერა რომის პაპი. 1828 წელს მან ასწია თბილისის ხტატუსი რომის კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსომდე და იმავე დროს დანიშნა დომინიკანელი იოანე ფლორენციელი თბილისის პირველ კათოლიკე ეპისკოპოსად. 19 წლის განმავლობაში აქტიური მოღვაწეობის შემდეგ იოანე ფლორენციელი გარდაიცვალა და 1849 წელს მისი ადგილი ბერტრან კოლლეტიმ დაიკავა.[3]

საქართველოს საქმეებისა და იერუსალიმში არსებული ქართული სამონასტრო გაერთიანებებისადმი დასავლეთის საქრისტიანოს შემდგომი ინტერესი ნათელი ხდება ამ პერიოდის პილიგრიმული ლიტერატურის საშუალებით. ეიმზ ვერონელი, რომელიც იერუსალიმში 1856 წელს ჩავიდა, მოგვითხრობს ქართველი ბერების წმინდა საფლავებისა და მათი მაჭულის შესახებ:

„ნუბიელთა სამლოცველოს მახლობლად, საფლავების ადგილას, არის ქართველთა ხამლოცველო. ქართველები შემოხილნი არიან სარკინოზთა მსგავსად, გარდა თავისა. იმიტომ, რომ სარკინოზები ატარებენ თეთრ ჩალმას. ეს არის დიდი თეთრი ტილო, გარშემო შემოხვეული. ხოლო ქართველები ატარებენ შავ ჩალმას და აღასრულებენ ბერძენთა წესს. ხაქართველო პროვინციაა, იგი თათრების ახლოსაა, მყავთ მეფე. არიან ძლიერი ადამიანები და მორწმუნე ქრისტიანები.

პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ, ისაა, რომ მთელ ასირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე მრავალი ქრისტიანია სულთნის მმართველობის ქვეშ. ყოველ წელს უბდიან სულთანს ხარკს, მრავალ და მრავალ ათასს. ამბობდნენ, რომ ქართველები, რომლებიც პროვინცია ხაქართველოდან არიან, თათართა ხაზღვრების მეზობლად, მათი მეფე კი უძლიერესი არის, თავგამოდებული ქრისტიანები არიან.

ისინი ბერძენთა წესისამებრ მსახურებენ".[4]

გიორგი ბრწყინვალის დროინდელი ხაქართველოს სოციალური ორგანიზაციის შესასწავლად მდიდარ ცნობებს გვაძლევს სამეფო კანონების კოდექსი.[5] ეს კოდექსი შეიქმნა სპეციალურად, რათა დაემყარებინა წესი და რიგი ხაქართველოს მშფოთვარე მთიანეთში, მაგრამ შემდგომში საერთო ხმარებაში შევიდა და ქვეყნის მთავარ კოდექსად იქცა. იგი შედგენილი იყო სპეციალური საბჭოსაგან, რომელშიც შედიოდნენ ხაქართველოს კათალიკოს—პატრიარქი ექვთიმე, სხვა საეკლესიო დიდებულები, სამეფო ვეზირები ანუ მინისტრები, პროვინციელი ერისთავები და მთავარი მოურავები ან ხაქალაქო და ხასოფლო პრეფექტები, აგრეთვე სხვადასხვა თემობრივი გაერთიანებების მეთაურები. კოდექსში წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალური ფენისა და კლასის ოფიციალური იერარქია გვეხმარება აღვადგინოთ მე-14 ს. ხაქართველოს სოციალურ-ადმინისტრაციული ხტრუქტურის ხურათი. ყურადღებას იმსახურებს „სისხლიანი გადასახადი", ანუ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დაწესებული ჯარიმა, რომელიც ეხებოდა ხაზოგადოების ყველა ფენას ხაზოგადოებრივი და კერძო დანაშაულისათვის. გიორგის კოდექსის მეორე ნაწილი არეგულირებდა ფეოდალისადმი ვასალის სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას, ფეოდალის მიწების გადაცემას, განკორწინებას, და ითვალისწინებდა მევახშეობის შეზღუდვას. საინტერესო დამახასიათებელი ნიშანი მევახშეობის შეზღუდვის შესახებ კანონში იმით აისახა, რომ ვინც ფულს ვახშით გაასესხებდა, გახამართლებული იქნებოდა როგორც სისხლის სამართლის დამ-

---

1 მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე. რომი, 1910. გვ. 440—5.

2 ბ. შპულერი, მონღოლები ირანში, გვ. 234.

3 მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია..., გვ.. 438—440. 1950. 33. 59

4 შემდეგში ეს ტექსტი ნახსენებია ქართველი ბერების ნაწერებში პალესტინაში არქიმანდრიტ ბ. ფერაძის დროს, „გეორგიკა", 4—5, ლონდონი, 1937.

5 რუსული ვერსია ფრენკელთან და ბიჭრაძესთან, „ეახტანგ მეექვსის კანონთა კრებული", თბილისი, 1887; ინგლისური ვერსია სერ ჯ. ო. უორდროპთან „მეფე გიორგი V ბრწყინვალის კანონები", ქართული ტექსტი და ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა ჯ. კარსტმა, 1938—40.

ნაშავე. ხოლო თუ რომელიმე ცოდვილი ფულს ვალშით მოითხოვდა, მაშინ დგინდებოდა მოგების 20-პროცენტიანი გადასახადი. მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით იყო ეს ფული გასესხებული!

გიორგი V-ს მეფობის დროს ან მისი მეფობიდან არც ისე შორეულ პერიოდში უნდა დამტკიცებულიყო სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს სამეფო სტრუქტურის შესახებ. ეს დოკუმენტი იყო „ხელმწიფის კარის გარიგება".[2]

ამ დოკუმენტის მხოლოდ ნაწილია დაცული, მას ავსებს ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში".[3] შესული ქართული სამეფო კარისა და ადმინისტრაციული აპარატის აღწერა.

„გარიგების" რედაქტორის, ან განსვენებული ეკვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით: „უეჭველია, რომ სხვა ბევრ დოკუმენტსა და ისტორიულ ქარტიაში გაფანტულია ცნობები ზემოხსენებული საკითხების შესახებ, მაგრამ სახელმწიფო წეს-წყობილების ასეთი სრულყოფილი, სისტემატური და მონდომებით ახსნილი სურათი, როგორიც „ხელმწიფის კარის გარიგებაშია", არსად არ არის. ეს დოკუმენტი მთლიანად რომ შენახულიყო, ჩვენ გვექნებოდა საქართველოს სახელმწიფოში ადმინისტრაციული და სოციალური ცხოვრების სრული აღწერა. მაგრამ ეს ჩვენამდე მოღწეული ნაწილიც ფასდაუდებელია და საკმარისად ხსნის XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის მრავალ მხარეს".[4]

„გარიგების" ყველაზე საინტერესო თავები მოგვითხრობს სამეფო კარის ეტიკეტზე, ისეთ ცერემონიებზე, როგორიცაა მეფის ჩაცმა და მორთვა, სამეფო სადილის შენიუ, აუდიენციები, ახალი წლისა და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. ამ ცერემონიების მრავალი ნიშანი მოგვაგონებს სენტ-სიმონის მიერ აღწერილ ვერსალში ლუი XIV-ის კარზე ჩატარებულ ცერემონიებს. მტკიცდება შეფედ კურთხევის ცერემონიალის ჩატარების ბრძანება, მინისტრების ვალდებულება-მოვალეობანი საგანგებოდ არის დადგენილი, ისევე როგორც პირადი მრჩევლის სისტემის ოქმები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტბეთის ეპისკოპოსი ამავე დროს შავშეთის მთავარიც იყო. ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოში ისევე როგორც დასავლეთის საქრისტიანოში, ზოგიერთ პროვინციას მართავდა მაღალი წოდების საეკლესიო პირი.[5] თავში, სადაც განხილულია მთავრისა და მისი არმიის მოვალეობის საკითხი, მოცემულია ტექნიკური დეტალები ქართული საომარი ძალების შეიარაღების შესახებ.[6] 1327 წელს, სპარსეთში ილხან აბუ საიდის მეფობის დროს, მოხდა ძალზე დრამატული ამბავი — სიკვდილით დასაჯეს პატივმოყვარე და ყოვლისშემძლე მინისტრი ჩობანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისივე ჯარისკაცებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს ჩობანის შვილი მაამუდი, რომელიც მართავდა მონღოლთა გარნიზონს საქართველოში. იგი შეცვალა ყუტლუღ-შაჰის შვილმა იკბალ-შაჰმა. 1334 წელს ეს პოსტი მიეცა შაიხ ჰასან ჯალაირი დიდს.[7]

რაც შეეხება გიორგი V-ის მეფობის მეორე პერიოდს, ჩობანის ჩამოგდების შემდეგ, არსებობს მკვეთრი აზრთა სხვაობა, ერთი მხრივ, ეგნატაშვილის მიერ მე-18 საუკუნეში გავრცელებულ ქართულ წყაროებსა და, მეორე მხრივ, სპარსი და არაბი მწერლებისა და მონეტების მონაცემებს შორის.

ქართველი ყამთააღმწერი ეგნატაშვილი არცოუ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ გიორგი V-მ განაგრძო დასავლეთ საქართველოს დაპყრობა. მან დაიპყრო შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე სამეგრელო და აფხაზეთი, აგრეთვე სხვა ქართული პროვინციები, აზერბაიჯანი, შირვანი და კასპიის ზღვის ნაპირები დერბენდამდე. როგორც ქართული ქრონიკების ავტორი ამბობს, მონღოლმა ნოინებმა დატოვეს საქართველო და ამ მიწაზე აღარასოდეს დაბრუნებულან. მთელი საქართველო და კავკასია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გიორგი ბრწყინვალის სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა.[8]

---

1 გიორგი V ბრწყინვალის კანონები, კოდექსი 46.

2 პირველად გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა, ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920. დიდი ნაწილი ამ მასალებისა შედის ი. ა. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში", თბ., 1928-9 და ვ. ე. ალენის წიგნის — „ქართველი ხალხის ისტორია", ლონდონი, 1932, თავში „ადმინისტრაცია და სამეფო კარი".

3 „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა", გამოაქვეყნა მარი ბროსემ, პეტერბურგი, 1842. გვ. 19—35 (ფრანგ. ენაზე).

4 „ხელმწიფის კარის გარიგება", გვ. XXXIV. ტრაქტატის ზოგიერთი თავი მთლიანად ეყრდნობა მე-11-12 ს. ს. ტრადიციებს.

5 ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 15.

6 ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 9.

7 შეიხ უვაისის ისტორია, თარგმანი ჯ. ბ. ვან ლუნისა 1954, გვ. 56—58.

8 ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 5; ბროსე, საქართველოს ისტორია, პეტერბურგი, I, გვ. 646—48, ვახუშტის შესაბამისად. საქართველოს ისტორია, გვ. 277—280

ამ პერიოდის არაბი და სპარსი მწერლები გაგაოცებენ თავიანთი შეუბამებელი და განსხვავებული თხრობით. როგორც ვნახეთ, ალ-ალაშანდი ამბობდა, რომ ამირა ჩობანის ჩამოგდებასთან და ილხანთა იმპერიის დაშლასთან ერთად საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი მკვეთრად დაეცა. ამის შემდეგ საქართველოს მეფეებისადმი ეგვიპტელების ოფიციალური მიმართვის ტექსტმა წერილობითი მიმოწერისას ადრინდელი მაღალფარდოვნება დაკარგა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ალ-უმარმა, რომელიც 1341 წერდა, შეცდომით მიიჩნია დიდი მთავრის ბურთველ სივნიელის პიროვნება გიორგი ბრწყინვალედ. ეს გვიჩვენებს, რომ ამ დროისათვის გიორგის აღარ ჰქონდა ურთიერთობა მამლუქის კართან.

ცნობა შინაამლილობის შესახებ, რაც გახდა აგრეთვე მიზეზი აღმოსავლეთ საქართველოში გიორგის ხელისუფლების შესუსტებისა, შეიძლება ვნახოთ ჰაფიზი აბრუს სპარსული ქრონიკის რაშიდ ად-დინის გაგრძელებაში. ამ მეცნიერის ცნობით, 1338 წელს საქართველო დაიპყრო ჩუბანიდთა ბელადმა შეიხ ჰასან მცირემ, თემურ ტაშის შვილმა. ჰასან მცირემ სულეიმან ხანი აირჩია როგორც ილხანთა დომინიონების მარიონეტი მმართველი სპარსეთში, „აზერბაიჯანსა და საქართველოშ". იმავე ავტორის ცნობით, 1342 წელს შეიხ ჰასან მცირეს აუჯანყდა მისივე ძმა მალიქ აშრაფი და საქართველოში გაიქცა, როცა ცოტა ხნის შემდეგ ჰასან მცირე მოკლეს, მალიქ აშრაფმა საქართველოს მმართველად ერთ-ერთი თავისი მომხრე დანიშნა[1].

ჩობანის სიკვდილის შემდგომ გიორგის მმართველობის მოულოდნელად დაკარგვის დამოწმება ნაპოვნია სომხური ხელნაწერების ხაიკლესიო წიგნთსაცავებში. მათში, როგორც ცნობილია, გადამწერებს უნდა ჩამოეთვალათ ყველა მონარქი, რომელიც მეფობდა სომხეთის მახლობელ ტერიტორიაზე ამ საბუთის აღწერის მომენტში. ცნობილია, რომ გიორგი V იხსენიებოდა არა „მარტო როგორც მეფე დიდი სომხითისა, სომხურ ევანგელისტურ ხელნაწერებში, რომლებიც 1323 წლით თარიღდებიან, იგი იხსენიება ილხან აბუ ხაიდის და მცირე სომხითის მეფის, ლევონის გვერდით.[2] მიუხედავად ამისა, 1330—1331 წლებით დათარიღებულ იმავე ხელნაწერებში გიორგი იხსენიება მხოლოდ როგორც საქართველოს მეფე.[3] 1332-დან 1346-მდე, გიორგის სიკვდილის წლამდე, 133 ცნობილ სომხურ ხელნაწერში საქართველოს მეფე საერთოდ არ იხსენიება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამირა ჩობანის დროს გიორგი სომხეთში ცნობილი იყო, როგორც სრულიად საქართველოს, ახევე დიდი სომხითის მეფედ. მაგრამ თავისი მეფობის ბოლო წლებში მან სომეხი მწერლების თვალში საერთოდ დაკარგა ყველანაირი პოლიტიკური მნიშვნელობა.

XIV საუკუნის ამბების აღწერისას სომეხი ისტორიკოსები უმთავრესად თავიანთ თანამედროვე სპარსელ მწერლებს ეყარებიან. ტრანსკავკასიის ისტორიის ილხანთა პერიოდის შესასწავლად განსაკუთრებით გამოსადეგია კირაკოს რშტუნიკელის (XV ს.) ქრონოლოგიური ცნობები და XIV—XVI საუკუნეების ორი ანონიმური სომხური ხელნაწერი, ახლახან გამოქვეყნებული სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ.[4] სომეხი ავტორები სრულებით არ ახსენებენ გიორგი V-ის საგმირო საქმეებს მონღოლების მიერ ტრანსკავკასიის დაპყრობის დროს. ამ პერიოდის სომხეთის ისტორიის მიხედვით, რომელიც მანანდიანის გამოკვლევაშია მოცემული, ცხადი ხდება, რომ სომხეთი ამ დროს საილხანოს დომინიონის ნადავლისათვის მებრძოლ პრეტენდენტებს რჩებოდა.[5]

1330-იანი წლებისათვის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და სპარსეთთან მისი ფინანსური დამოკიდებულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 740/1339—1340 წლებში შექმნილ ჰამდ ალ-ლაჰ მუსთაფი ყაზვინის გეოგრაფიულ ნაშრომში, რომელშიც შედის 1336 წლის (ხანთა 35-ე ერა) სტატისტიკური მონათხრობები. თუმცა, ზოგიერთი ავტორის ინფორმაცია წინადროინდელი მეცნიერების, მათ შორის იაკუთის შრომებიდანაა ამოღებული. იაკუთს, აბუ ხაიდის მეფობისდროინდელ სპარსული მთავრობის ხაზინადარს, ხაშუალება ჰქონდა ფაქტები ისეთი პირველწყაროებით აღეწერა, რაც სხვაგან არსად არ გვხვდება.

ჰამდ ალ-ლაჰის გადმოცემით, მის დროში, ესე იგი, 1326 წლისათვის, ხაილხანმა საქართველოს ხახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო 120 1/6 თუმანი, რაც ეკვივალენტურია 1,202,000 დინარისა ან 7,212,000 დირჰემისა, როგორც უნ-

---

1 ჰაფიზი აბრუ. მონღოლ მეფეთა ისტორია, თარგმანი ბაიანისა. II, გვ. 107—148.

2 ლ. ს. ყანიკიანი, „XIV ს. სომხური ხელნაწერები" (სომხურად), ერევანი, 1950, გვ. 182.

3 იქვე, გვ. 225—32.

4 ვ. ა. აკოფიანი, „13—18 საუკუნეების მეორეხარისხოვანი ქრონიკები". სომხურად. ტ. 1. ერევანი ,1951 წ. განსაკუთრებით საინტერესო ტაბულები ნახეთ 412-13 გვერდებზე.

5 იაკობ მანანდიანი, „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა" (სომხურად). III, 312—363 და ქრონოლოგიური ცხრილი 412—413.

და იყოს, მონღოლთა შემოჭრამდე გურჯისტანისა და აფხაზეთის მეფეების შემოსავალი 500 თუმანი იყო (ბუთი მილიონი დინარი ან ოცდათი მილიონი დირჰემი)[1]. თუმცა ჯამდ ალ-ლაჰის ცნობებს ადრეული პერიოდის შესახებ ვერ დავეყრდნობით, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი მოსაზრების აღნიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სპარსელმა მონღოლებმა 1336 წელს აღმოსავლეთ საქართველოდან ძველი გაერთიანებული საქართველოს მეფეების საერთო შემოსავლების მეოთხედი მიიღეს.

სპარსული ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე შთაბეჭდილების მისაღებად უნდა აღინიშნოს, რომ ჯამდ ალ-ლაჰის ცნობით, ილხანთა იმპერიის საერთო შემოსავალი ყაზან ხანის დროს 2,100 თუმანს აღწევდა. მიუხედავად ამისა, 1336 წელს შემოსავალი ამ თანხის ნახევარზეც კი ვერ აღწევდა. „ილხანთა ავტორიტეტის დაცემა პროვინციათა უმეტესობაში ჯარების შესვლა-გამოსვლასთან იყო დაკავშირებული. ასე რომ მოსახლეობის მიწების ათვისებაზეც კი ამბობდა უარს.[2]

აქედან გამომდინარე საქართველო 1330 წლის შემდგომაც ხელისმომცემი იყო საილხანოსათვის, მაგრამ შემცირებული მასშტაბით. მონღოლთა შემოსვლამდელი საერთო გადასახადი რუსუდან დედოფლის სახელმწიფო შემოსავლის მეოთხედსაც კი არ შეადგენდა და არც აღემატებოდა იმ თანხის ნახევარს, რასაც საქართველო უხდიდა ილხან ყაზანს (1295—1302). გადასახადის ასეთი შემცირება მიუთითებს იმ დამლუპველ ომებსა და სახელმწიფო შუღლზე, რომელიც თან ახლდა მონღოლთა იმპერიის დაცემას სპარსეთში.

XVIII საუკუნის ქართულ წყაროებში წინამდებარე მოვლენების ამსახველი ფაქტები არათანმიმდევრულია. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის, რომ ქართული წყაროების მიხედვით, 1346 წელს, გიორგი V-ის ხიკვდილის წელს, საქართველოს კონტროლის ქვეშ იყო მთელი ტრანსკავკასია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. არსებული მონეტები რომ არა, აზრი გიორგი ბრწყინვალის მოგვიანებითი მოღვაწეობის შესახებ შეიძლებოდა ეჭვქვეშ დაგვეყენებინა. XIV საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ორი ზარაფხანა დაარსდა. მთავარი ზარაფხანა თბილისში იყო, ხოლო ფილიალები — კარა აღაჯში ან ყარაღაჯში, კახეთში შირვანის საზღვართან.*

1958 წელს შესაძლებლობა მქონდა ნიუიორკში ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების მუზეუმის მთავარი კურატორის, დოქტორ ჯორჯ კ. მაილსის დახმარებით შემესწავლა მუზეუმის ორიენტალისტური მონეტების მდიდარი კოლექცია. ეჭვი გაჩენილა, იმან, რომ სპარსელ ილხანთა მონეტების კარტოთეკა შედგენილი იყო თვით დოქტორ მაილსის მიერ. შესწავლის შემდეგ შეიძლება დავადგინოთ, რომ თბილისში ილხანური დირჰემების სტანდარტი მუსლიმანური სარწმუნოებრივი ფორმულირებითა და თანამედროვე სპარსელი ილხანების ხელებით იყო მორთული. იგი შეუჩერებლივ იჭრებოდა ყაზან მაჰმუდ ხანის დროიდან (1301 წლიდან 1352 წლამდე), ე. ი., გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგაც კი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ ხელთ გვაქვს ულჯაითუს ხერია, რომელიც გრძელდება 705—715 წლებში, აბუ საიდისა — 717—735 წლებში. არფა-ხანისა — 736 წელს, შეიხ ჰასან ჯალაირ დიდის მარიონეტის მუჰამედ ხანისა — 738 წელს, პრინცესა სათი ბეგისა — 739 წელს, შეიხ ჰასან მცირე ჩუბანიდის მარიონეტის ხულეიმან ხანისა — 741 და მალიქ აშრაფის მარიონეტის ანუშირვან ხანისა— 745-დან 752 წლამდე.

ილხანთა ზარაფხანამ ყარაღაჯში, კახეთში, ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ 1887 წელს და ოც წელს ფუნქციონირებდა. ჩვენ გვაქვს 738 წელს აჭ მოჭრილი მუჰამედ ხანის მონეტა, 740—41 წელს — ხულეიმან ხანისა, 745-დან 756 წლამდე კი — ანუშირვანისა.[1]

ამ ერთი საუკუნის წინათ, როგორც გამჭრიახმა ნუმიზმატიკოსმა, გენერალმა ბარტოლომეიმ აღნიშნა, მე-14 საუკუნის მთელ პირველ ნახევარში საქართველოს რომ მონღოლთა უღელი ედგა, უველაზე ნათლად ამ მონეტებიდან

---

[1] ჯამდალაჰ მუსტაფი ყაზვინის „ნუზათ ალ-ყულუბის" გეოგრაფიული ნაწილი 740 წ." გ. ლი — სტრეინჯის თარგმანი.

[2] ნუზათ ალ-ყულუბი, გვ. 33; ბარტოლდი „ცაიტშრიფტ დერ მორგენლენდიშენ გეზელშაფტ" ტ. 101, გვ. 253—254.

* „კარა აღაჯი" იგივე ყარაღაჯი (შაი ხე). ამ სახელწოდების ნასოფლარი ახლაც არსებობს კახეთში, სიღნაღის რაიონში (მთარგმნელის შენიშვნა).

[1] ნახეთ ჯ. დე ბარტოლომეი, „წერილები ბატონ სორეს", № 14, რევიუ დე ლა ნუმიზმატიკუმ ბელგე. 1859—1864; კ. მ. ფრაენი, „მონღოლები", ლონდონი, 1881; ა. კ. მარკოვი, საიმპერატორო ერმიტაჟის მუსულმანურ მონეტათა ინვენტარული კატალოგი, პეტერბურგი, 1896; ე. ა. პახომოვი, აზერბაიჯანის და ამიერკავკასიის სამონეტო საკითხები, 1—4, ბაკო, 1926—1949.

ჩანსო.[1] ჩამოთვლილი მონეტები არ არის თავრიზში, ნახიჩევანში, არდაბილში, განჯაში და სხვა ქალაქებში მოჭრილი სტანდარტული მონეტების პირები ან იმიტაციები. ფულის მომჭრელთა სახელების გარდა, თბილისში მოჭრილი ვერცხლის და ორმაგი დირჰემები ერთნაირია, სხვა ილხანურ მონეტებთან შედარებით ამ მონეტების წონაც ერთნაირია.

ვისაც საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორია შეუსწავლია, ყველასთვის ცხადია, რომ ყოველი მეფე, რომელსაც მორჩილებაში ჰყავდა მთელი საქართველოს ჭარი და მეზობელი ტერიტორიები შავიდან კასპიის ზღვებამდე, გააგრძელებდა მონღოლი მთავრების სახელით შეუჩერებლივ გამომავალი მონეტების სერიების წინააღმდეგ ბრძოლას, იმ მთავრებისა, რომლებიც როგორც ქართველი ანალისტი ამტკიცებს, მათ განდევნეს სამეფოდან. რადგან ქართულ მონეტებზე აისახებოდა პოლიტიკური ორიენტაციის ყველანაირი ცვლილება, ამიტომ მოხალოდნელია, რომ თბილისურ მონეტებზე აღმოჩნდეს საქართველოს ახალი სტრატეგიული სტატუსის ამსახველი ფაქტები. ნუმიზმატიკური მასალა გვიჩვენებს, რომ მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი და მთელი აღმოსავლეთ საქართველო ჯერ კიდევ სპარსელი მონღოლების გავლენის ქვეშ იყო

იბადება კითხვა, რა მოუვიდა გიორგი V-ს მისი მფარველი ამირა ჩობანის ჩამოგდების შემდეგ 1327 წლიდან 1346 წლამდე, როცა გარდაიცვალა გიორგი. პასუხი არც ისე ძნელი მოსაძებნია. როგორც ცნობილია, როცა 1225 წელს ხვარაზმის სულთანი ჯალალ-ად-დინი თბილისში შეეიდა, რუსუდან დედოფალმა უკან დაიხია და თავისი ამალის ადგილსამყოფელად დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი გაიხადა. 1258 წელს, როცა რუსუდანის შვილმა დავით ნარინმა მონღოლი დამპყრობის, ხულაგუ ხანის რისხვა დაიმსახურა, იგივე გააკეთა, რაც დედამისმა. ამის მსგავს ამბავს ალწერს მეისტორიე, როდესაც გვიამბობს 1330 წელს გიორგი V-ის გადასვლის შესახებ თბილისიდან დასავლეთ საქართველოში. ქუთაისში დამკვიდრების შემდეგ მან ჯრუ მეფე ბაგრატი დააპატიმრა. შემდეგ გიორგიმ განაგრძო სხვა დიდი ფეოდალების დამორჩილება და მათი ადგილ-მამულები თავისი მმართველობის ქვეშ გააერთიანა.[2] ეს ამბავი უბრალო დამთხვევა არ არის. თავისი პროტექტორის, ჩობანის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ გონივრულად სცნო ეს ოპერაცია მონღოლთა გავლენის სფეროს მიღმა ჩაეტარებინა. ალბათ უნდა ითქვას, რომ ქართველი მეისტორიენიც იძლევიან დეტალებსა და თარიღებს, იმ ძირეულად ამბებისა, რომლებიც მოხდა 1330 და 1346 წლამდე დასავლეთ საქართველოში, და აღმოსავლეთ საქართველოს განვითარების უმნიშვნელო ფაქტებს ამ პერიოდში.

ტრაპიზონული წყაროები აღნიშნავენ საქართველოს ჩარევას ხასახლის გადატრიალებაში, რომელმაც მოიცვა ტრაპიზონი 1341 წელს და რომელსაც აგრეთვე თურქმენების მიერ ქალაქის გაძარცვა დაემთხვა. იმავე წლის ივლისში ალექსი II კომნინოსის ქალიშვილმა ანა ანახუტლუმ ქართველთა და ლაზთა ჯარების დახმარებით დაიკავა ტრაპიზონი და იმპერატრიცა ირენე ტახტიდან ჩამოაგდო.[3] ჩვენ არა გვქონია შესაძლებლობა გავარკვიოთ, ლაზებისა და ქართველების მონაწილეობა გიორგის გეგმის მიხედვით მოხდა, თუ ქართველები ამ გადატრიალებაში იბრძოდნენ როგორც პარტიზანები ან დაქირავებულები.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეროვნული ფული ქრისტიანული იკონოგრაფიით ამ პერიოდისათვის იჭრებოდა დასავლეთ და არა აღმოსავლეთ საქართველოში. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ილხანურ დირჰემებს თბილისში ჭრიდნენ, დასავლეთ საქართველოში მოჭრილი ვერცხლის ასპერები, რომლებიც ტრაპიზონის იმპერიაში მოჭრილის მსგავსი იყო, მიმოქცევაში არსებული ფულის დიდ ნაწილს შეადგენდა. ამ იმიტაციებზე პირველ მხარეს გამოსახულია იმპერატორი იოანე II ტრაპიზონელი, რომელიც 1280—1297 წლებში მეფობდა. მეორე მხარეზე კი — ტრაპიზონის მფარველი წმინდანი ეუგენიოსი. ეს მონეტები ისეთი ჯგუფის მონეტებს განეკუთვნება, როგორიცაა ქართული კირმანაული. ტერმინი წარმოქმნილია იმპერატორ (კირ) მანუელ I ტრაპიზონელის (1238—1263) სახელიდან. ვისი მეფობის დროსაც ტრაპიზონული ვერცხლის ასპერის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოსა და ანატოლიაში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოში მონეტების იმიტირებული პირები მანუელის ერთ-ერთი შთამომავ-

---

1 ჯ. დე ბარტოლომეი, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური წერილები ამიერკავკასიის შესახებ, პეტერბურგი, 1859, გვ. 108—109.

2 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I, გვ. 647—8., ვახუშტისეულ დაურდნობილი 277—278

3 ვ. მილერი, ტრაპიზონი — ეკანასკნელი ბერძნული იმპერია, ლონდონი, 1926, გვ. 49—52.

ლის, იოანე II-ის მონეტის ტიპისა იყო, მათ მაინც მანუელის სახელი შერჩათ.[1]

შუა საუკუნეების დოკუმენტებში ნახსენებია ქართული მონეტა გიორგაულის სახელით. XIV—XV საუკუნეების მესხი ამირსპასალარების ბექასა და აღბუღას კანონებზე დაყრდნობით, ილხანური დირჰემები (ყაზანაური თეთრი) გაუფასურდა. მის მაგივრად კი ხმარებაში შევიდა გიორგი ბრწყინვალის ვერცხლის მონეტები. ორი ამ სახის მონეტა ხუთ დანგ წმინდა ვერცხლს უდრიდა.[1] კირმანაულის მასა კი მერყეობდა 1,7-დან 2,2 გრამამდე (როგორც სხვადასხვა კოლექციიდან ამოღებული ნიმუშების მიხედვით დადგინდა). ამრიგად, თითოეული კირმანაულის საშუალო წონა დაახლოებით 1,9 გრამია, ანუ რომ, ორი ასეთი მონეტის საშუალო მასა (±8,8 გრამი) უთანაბრდება 5 დანგს, ან 3/8 მითქალს, ე. ი. ბექას და აღბუღას მიერ მოცემული გიორგაულის საერთო მასა კირმანაულისას უდრის. ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ გიორგი V-ის მოჭრილი გიორგაული მონეტები სინამდვილეში იმიტაციაა ტრაპიზონული ასპერისა, რომელიც საქართველოში კირმანაულის სახელით არის ცნობილი.

მონეტებზე დაკვირვებისას თითოეული მეცნიერი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად პოულობს არგუმენტს იმის დასამტკიცებლად, რომ კირმანაული და გიორგი ბრწყინვალის გიორგაული ერთია. ეს არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ მონეტის მეორე მხარეს ამოტვიფრული წმინდა ეუგენიოსის გამოსახულება მგავს ქართველთა წმინდანის, წმინდა გიორგის გამოსახულებას, რომელიც ნაპოვნია მრავალ სხვა ძველ ქართულ მონეტაზე. თუ ლეგენდებს დავეყრდნობით ფაქტიურად, ზოგიერთმა კირმანაულმა მონეტამ სახე შეიცვალა და თუ დავაკვირდებით, ამოვიცნობთ დაჭარაგმებულ ქართულ ასოებს „გ" და „ი" (გი) სიტყვისა „გიორგი". აქედან გამომდინარე, ქართველებმა მათთვის სრულიად უცნობი ტრაპიზონის წმინდანის — წმინდა ეუგენიოსის გამოსახულება შეცვალეს წმინდა გიორგით და შესაბამისად მათ უწოდეს კირმანაული — იმპერატორ მანუელის გამო და გიორგაული — იმ წმინდანის გამო, რომელიც მონეტის მეორე მხარეზე იყო გამოსახული.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ საქართველოს მდგომარეობა ილხანთა იმპერიის პერიოდში, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ გიორგი V-ის შვილსა და შთამომავალზე, მეფე დავით IX-ზე (1346—1360). ქართული წყაროების თანახმად, ამ [illegible] 1346—1348 წლებში, საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა. ამასთან ერთად მონღოლებმა დაარბიეს ქალაქი ბიჯნისი ანუ ბინი.[2] ტრაპიზონელ ხელისუფალთა მიხედვით, 1348 წელს ჭანმა ანუ ლაზმა მეომრებმა მონაწილეობა მიიღეს ტრაპიზონზე მოწყობილ ლაშქრობაში. ტრაპიზონელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი შეცვალეს ლაზთა სამეფო ოჯახის ჭანიშიდებმა. მათ დიდი კონსტებლისა და საიმპერატორო თასის მატარებლის წოდება მიიღეს.[3]

დავითის მეფობის უმეტეს წილში ილხანთა დომინიონებს კიდევ მართავდნენ მალიქ აშრაფი ჩუბანიდი და მისი მარიონეტი ანუშირვანი. XIV საუკუნის შუა პერიოდის საქართველოს, როგორც სპარსეთთან ფინანსურ დამოკიდებულებაში მყოფი სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ცნობები მოცემულია აბდ ალ-ლაჰ იბნ მუჰამმად იბნ ჭია, ალ-მაზანდარანის „რისალაი ფალაქიაში". 1363 წელს შეიხ უვეი ჯალაირის მეფობის დროს შექმნილი ეს დოკუმენტი არც ისე დიდი ხნის წინათ გამოაქვეყნა უოლტერ ჰინცმა.[4] ავტორი ცდილობს მოგვცეს სპარხეთის ბიუჯეტის ციფრობრივი მონაცემები 750/1348—1350 წლებში. ჰინცი ამ მონაცემებს ხარწმუნოდ არ მიიჩნევს. იგი ამტკიცებს, რომ ავტორი თან ერთავს შემოსავლის აღწერას ისეთი პროვინციებიდან, როგორიცაა გილანი, შირვანი, საქართველო და მცირე აზია, რომლებიც ამ დროს სრულიად არ უხდიდნენ გადასახადს უვეის შთამომავალ შეიხ ჰასან ჯალაირს. აქედან გამომდინარე, ჰინ-

---

1 აღბუღას კოდექსი, ჯ. კარსტის გამოცემა, სტრასბურგი, 1938, 16.

2 ი. რეტოვსკი, ყომენოსთა მონეტები ტრაპიზონიდან, (ნუმიზმატიკური კრებული), მოსკოვი, 1910 წ.; ვ. ეროკი, „ვანდალურ მონეტათა კატალოგი... ბრიტანეთის მუზეუმში", ლონდონი, 1911 წ. დ. კაპანაძე, „ე. წ. ტრაპიზონული ასპრების ქართული მიბაძვანი", „ვიზანტიისკი ვრემენნიკ". ტ. III, მოსკოვი, 1950 წ.

1 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I, გვ. 1, 649—50, ოგრეთვე ვახუშტი, გვ. 280—1; საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშია, I, თბილისი, 1950. გვ. 292; ი. ა. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1951, გვ. 178—179.

3 მ. მილერი, ტრაპიზონი, გვ. 53—54, 57.

4 „სპარსული სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილება 1363 წლისათვის", გამოაქვეყნა ვ. ჰინცმა, ვიესბადენი, 1952; და ადგილები იმავე ავტორისა „აღმოსავლური სახელმწიფო ფინანსური დაწესებულების ბიუჯეტი შუა საუკუნეებში", 1949, გვ. 131—134, „დერ ისლამი".

5 ვ. მინორსკი, თავრიზი, „ისლამური ენციკლოპედია", 101, 1951, გვ. 253—254.

ცი ამ ციფრებს მიაკუთვნებს აბუ საიდის მეფობის ხანას.

ასე რომ, ამ ნაშრომში მინცს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ 1350 წელს ალ-მაზანდარანის ჩამოთვლილი რეგიონები ამ დროისათვის უკვე გაერთიანებულები იყვნენ მალიქ აშრაფის და მისი მარიონეტის, ანუ — შირვანის მმართველობის ქვეშ.5 ნათელია, რომ ალ-მაზანდარანის ცნობები გადმოწერილია მალიქ აშრაფის სააღწერო წიგნებიდან, რომლებიც ჩალაირებმა ხელში ჩაიგდეს 1358 წელს, როდესაც მათ საბოლოოდ დაიპყრეს თავრიზი. ამიტომ ალ-მაზანდარანის მოცემული თარიღი (750/1349-50) უნდა მივიჩნიოთ ფინანსურ წლად.

750/1349-1350 წლებში ილხანთა სახელმწიფო შემოსავლის საერთო თანხა, ალ-მაზანდარანის ცნობით, შეადგენს 28, 264, 220 5/6 დინარს, ყაზან ხანის დროინდელი 21 მილიონის სანაცვლოდ. როდესაც ვამბობთ დინარს, მხედველობაში გვაქვს ვერცხლის დინარი, რომელიც ეკვივალენტურია ყაზანისა და აბუ საიდის მიერ მოჭრილი ექვსი დირჰემისა.1

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე-14 საუკუნის მეორე მეოთხედში კიდევ უფრო გაუარესებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ მკვეთრად შეამცირა სპარსული და ქართული მონეტების ვალუტა და საგრძნობლად გაზარდა ინფლაცია. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოყვანილია ილბანთა მიერ თბილისსა და ყარაღაჯში (საქართველო) მოჭრილი დირჰემების წონა. ცხრილი შედგენილია ზემოთ დახასელებული ნიუ-იორკელი მეცნიერის მიერ ნუმიზმატიკური მეცნიერების აკადემიის ფონდების მიხედვით: —

ახალი წ. ალ.-ით	გრ.
1301	2,14
1305	2,15
1312	2,08
1319	1,70
1324	1,38
1345	1,41
1349	1,26
1352	1,01

გახსოვდეთ, რომ ვერცხლის შემცველობა ყაზან ხანის მონეტებში, განსაკუთრებით რაშიდ ად-დინის2 მიერ ნახსენებ მონეტათა მოჭრის რეფორმის შემდეგ, ალბათ ეჭვეშ დაბეჭდილად მაღალი იყო. მალიქ აშრაფის ბოლო წლების მონეტების ნიმუშები მინარევებისგან [illegible] ამიტომ — კურსდაკარგული. 1300-წლიდან 1350 წლამდე, შეიძლება ითქვას, ვერცხლის ფულის ღირებულება დაბალხარისხოვანი ლითონის გამო 40 პროცენტით დაეცა

თუ ამ ფაქტს შევუდარებთ დირჰემის წონის დაკარგვას 2,15-დან 1,26 გრამამდე (წონის დაკარგვამ დაახლოებით 42 პროცენტს მიაღწია), უნდა ვიფიქროთ, რომ 1350 წლის დირჰემი ყაზანის დროინდელი დირჰემის ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენდა.

ამდენად, ალ-მაზანდარანზე დაყრდნობით, 750/1349—1350 წლების ილხანთა დომინიონების შემოსავლის ნამდვილი ღირებულება ყაზანის დროინდელი ვერცხლის კურსით უნდა მივიჩნიოთ 80% 28, 264, 220 5/6 დინარისა, რაც შეადგენს 8, 479, 266 1/4 დინარის მთლიან წონას და ღირებულებას.

ის, რომ საერთო შემოსავალი ყაზანის დროს 21,000,000 დინარს უტოლდებოდა, ნიშნავს, რომ სპარსეთის სახელმწიფოს შემოსავალი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაახლოებით 60 პროცენტით შემცირდა.

750/1349—1350 წლებში ილხანებმა ალ-მაზანდარანის მიხედვით, გადასახადის სახით გაიტანეს მხოლოდ 400,000 დინარი.3 თუ ამ თანხას შევადარებთ ჯამდ ალ-ლაჰ მუსთაფი ყაზვინის დროინდელ 1,202,000 დინარს, რასაც მონღოლები სულ რაღაც 13 წლის წინათ იღებდნენ, თვალნათლივ დავინახავთ მათ შორის დიდ კონტრასტს. თუ გავითვალისწინებთ ამ ინტერვალში მომხდარ ვალუტის გაუფასურებას, დავასკვნით, რომ 1330 წლიდან 1350 წლამდე ილხანთა შემოსავალი საქართველოდან 3/4-ით შემცირდა.

1357 წელს მალიქ აშრაფ ჩუბინიდი და მისი ჯარი განადგურდა ოქროს ურდოელი ჯანი ბეგის თავდასხმის შემდეგ. ოქროს ურდოელმა მონღოლებმა რომ საქართველოს მცირე ნაწილი დაიკავეს, ამის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება ჯანი ბეგის და მისი შთამომავლის ბირდი ბეგის სახელზე ქარაღაჯში 758 წელს მოჭრილი მონეტა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჯალაირიდების დინასტია, რომელმაც შეცვალა მალიქ აშრა-

1 ბარტოლდი „ცაიტშრიფტ დერ მორგენლენდიშენ გეზელშაფტ", 101, 1951, გვ. 253—254. ფრანჩესკო ბალდუჩი პეგოლოტი, გამოცემული ა. უვენსის მიერ. კემბრიჯი, 1936, გვ. 27. ის ფაქტი, რომ 6 დირჰემი=1 დინარს, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გიორგი ბრწყინვალის კანონთა კოდექსის XI მუხლში დაფიქსირებული სისხლის სამართლის გადასახადი 2000 დრაჰკანი (ე. ი. დირჰემი) ეკვივალენტურია 1,200 თეთრისა. (ე. ი. თეთრი მონეტები ანუ ასპერები იგივეა, რაც ვერცხლის დირჰემები).

2 ა. კ. არენდსი, ხელნაწერთა კრებული, III, მოსკოვი. 1946, 270—3.

3 ვ. ჰინცი, „ალტ ისლამი", 1949, გვ. 193.

ფის ჩუბანიდების დინასტია, ოქროს ურდოს ხანების მიერ საქართველოს დროებითი დაპყრობის შემდეგ, მცირე ხნით მართავდა თბილისის ჩათვლით მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. 757 და 758/1356—1357 წლებში მონეტები შეიხ მახან ჯალაირ დიდის სახელით იჭრებოდა ყარაღაჯში და არა თბილისში.[1]

ის ფაქტი, რომ 1357 წლიდან ამ სერიის არც ერთი მონეტა თბილისში აღარ იჭრებოდა, გვიჩვენებს, რომ ამ დროიდან ქართველებმა აჯობეს მალიქ აშრაფის რეჟიმს და სრულიად განდევნეს მონღოლები აღმოსავლეთ საქართველოდან.

დავით IX-ს მეფობის დროინდელი კულტურის ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს კახეთში (აღმოსავლეთ საქართველოში) წმინდა დავით გარეჯელის მონასტრის კედელზე 1352 წელს შესრულებული ოთხენოვანი წარწერა. ეს წარწერა შესრულებულია ქართულ, სომხურ, სპარსულ და უიგურულტრანსკრიპციიან მონღოლურ ენებზე. იგი გადმოგვცემს, რომ ვინმე ქრისტიანი ხარგის არსლანის ძე ცოლთან და შვილთან — ამირ ხაიდთან ერთად მივიდა წმინდა დავითის საფლავთან, რათა ელოცა თავისი ოჯახის ცოდვათა მოსანანიებლად. თარიღი მოცემულია ქართული, სომხური და მუსლიმანური წელთაღრიცხვით და ემთხვევა წმინდანის დღესასწაულის დღეს, 1352 წლის 22 მაისს. ეს წარწერა არა მარტო ეპიგრაფიკულადაა საინტერესო, არამედ გვიჩვენებს, ტრანსკავკასიაში ილხანთა პერიოდში ქრისტიანულ სახელებში როგორ შემოიჭრა თურქულ-სპარსული სახელები.[2]

საჭიროდ ვცანით, რომ ნაშრომისათვის დაგვერთო გიორგი V-ისა და მისი შვილის, დავით IX-ის მეფობის პერიოდის ქვემოთ მოტანილი მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა:

1299—1301	... გიორგი IV-ის პირველი გამეფება.
1310—1314	... გიორგი მეხუთე მეფობს როგორც რეგენტი მეფე გიორგი მცირესი.
1316	... გიორგი V-ის მეორე მეფობის დასაწყისი.
1310	... გიორგი მიემგზავრება სპარსეთის კარზე და ელჩებს გზავნის მამლუქ სულთანთან.
1318	...ოქროს ურდოელი უზბეკ ხანი
1319	... ამირა ჩობანი განდევნის უზბეკ ხანს და ჩაახშობს აჯანყებას მეფე გიორგის დახმარებით.
1320	... გიორგი გზავნის მეორე ელჩობას მამლუქ სულთანთან.
1321	... პაპი აქებებს გიორგის ქართული [illegible] ეკლესიის [illegible] შეერთებაში.
1328	... სომხურ ევანგელისტურ ნაწერებში გიორგი მოხსენებულია როგორც „მეფე ქართველთა და დიდ სომხთა".
1325	... ამირა ჩობანი საქართველოზე გავლით იპყრობს ოქროს ურდოს მიწებს.
1327	... ამირა ჩობანის დაცემა.
1329	... თბილისში რომაული საეპისკოპოსის დაარსება.
1330	... გიორგი იკავებს დასავლეთ საქართველოს და იპყრობს ქუთაისს
1334	... სიკვდილი სამცხის ათაბაგის სარგისისა, რომელიც შეცვალა მისმა შვილმა ყვარყვარემ.
1335	... ილხან აბუ საიდის სიკვდილი
1338	... აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა შეიხ მახან მცირის მიერ.
1341	... ქართველთა და ლაზთა ჯარების ჩარევა ტრაპიზონის ამბებში.
1342	... მახან მცირის ძმა მალიქ აშრაფ ჩუბანიანი იპყრობს აღმოსავლეთ საქართველოს.
1345	... სამეგრელოს მთავრის მამია დადიანის სიკვდილი და მისი შეცვლა მემკვიდრე გიორგით.
1346	... მეფე გიორგი ბრწყინვალის სიკვდილი და მისი შეცვლა მემკვიდრე დავით IX-ის მიერ.
1346—1348	... საქართველოს მოედო შავი ჭირი.
1348	... ლაზი მეომრები თავს ესხმიან ტრაპიზონს.
1357	... ოქროს ურდოელი ჯანი ბეგი იპყრობს აზერბაიჯანს და აღმოსავლეთ საქართველოს. იგი კლავს მალიქაშრაფს. ოქროს ურდოს მონეტები იჭრება საქართველოში, ყარაღაჯში, ჯალაირის მიერ ტრანსკავკასიის დაპყრობა და თბილისში ფულის მოჭრა.
1358	... ქართველების მიერ თბილისის დაბრუნება.
1360	... მეფე დავით IX-ის სიკვდილი.

[1] ე. ა. პახომოვი, აზერბაიჯანის საცალები, ფაქსიმილე 2, ბაქო, 1938, გვ. 472-473.

[2] ა. მ. ბელიქსეთ-ბეგი, მონღოლთა პერიოდის 1352 წლის გარეჯული ტეტრალინგვა. აღმოსავლური ეპიგრაფიკა .ფაქსიმილე VIII, მოსკოვი-ლენინგრადი, 1953 (წარწერა ფოტოსთან ერთად).

სულხან ჭორდანია

ჰერცოგის ოდისეა

ხელში მიჭირავს ამერიკის შეერთებული შტატების დროშისფერ ყდაში ჩასმული წიგნი. გარეკანზე ვკითხულობ წარწერებს: ჰერცოგი (სოლ ბელოუს დიდი, პრემირებული რომანი) № 1 ბესტსელერი. რამდენჯერაც მინდა, იმდენჯერ გადავშლი და დავხურავ მას; ისე გადავკეცავ, ხრაშუნი გაისმეს; მინდა თაროზე შემოვდებ. შუქს გამოვრთავ, სამუშაო კაბინეტიდან გამოვალ. სიბნელეში ულაჩინარი წიგნი თავად დაიღვრება სინათლედ. მისი სხივების უცნაური ძალა ჩემი სულის ულრმეს შრეებში შეაღწევს...

ამერიკა ახლა „ჰერცოგის" სახით მეშლება თვალწინ: გააზრებული, სისტემაში მოყვანილი, გადალეკილი, დალაგებული სიტყვებად, წინადადებებად, აბზაცებად, თავებად. მის პათოსსა და იდეას, მის განწყობილებას, ფილოსოფიასა და რწმენას, მის მისწრაფებასა და ყოველდღიურობას ჩემთვის სინამდვილის უსასრულო მოულოდნელობა და მრავალფეროვნება აქვს. ასე რომ არ იყოს, ალბათ, ლიტერატორი არ ვიქნებოდი:

„ჭკუას თუ გადავედი ჯანდაბას ჩემი თავი, გაიფიქრა ჰერცოგმა.

ზოგი ამბობდა ჰერცოგი გაგიჟდაო და ერთხანს თვითონაც ეჭვი ეპარებოდა სრულ ჭკუაზე იყო თუ არა. მაგრამ ახლა, მიუხედავად იმისა, რომ იხევ უცნაურად იქცეოდა, საკუთარ თავში დარწმუნებული, მხიარული, გამჭრიახი და ძლიერი იყო. ორიოდე თვის წინ რაღაც ავადმყოფობამ შეიპყრო, რის შემდეგ ვისღა აღარ წერდა წერილს ამ ქვეყანაზე. წერილებმა ხული ისე აუფორიაქეს, რომ როცა ივლისი ჩაილია ქალაქდებით სავსე ჩემოდნით ერთი ადგილიდან მეორისკენ დაიძრა. ჩემოდანი ჯერ მარტას ვინიედში წაიღო ნიუიორკიდან, მაგრამ იქ არ შეუოვნებულა და უმალ უკან დაბრუნდა; ორი დღის შემდეგ ჩიკაგოში გაფრინდა, ჩიკაგოდან კი სოფელს გაემგზავრა დასავლეთ მასაჩუსეტში. სოფელში მიმალული სულმოუთქმელად, ფანატიკურად წერდა წერილებს გაზეთებსა და საზოგადო მოღვაწეთ, მეგობრებს, ნათესავებსა და მკვლევრებს, საკუთარ მივიწყებულსა და ბოლოს სახელგანთქმულ მკვლევრებს.

ბერკშირში შუაზაფხული იდგა. ჰერცოგი მარტო ცხოვრობდა დიდსა და ძველ სახლში. ჭამაში ჩვეულებრივ ჭირვეული ახლა დაკონსერვებულ ცერცვს, ამერიკულ ყველსა და ქალალდში შეფუთულ პურს მიირთმევდა. დროდადრო ეოლოს კრეფდა გაბარდულ ბაღში. გონებადაფანტული, ფრთხილად წევდა მაღლა ბუჩქის ეკლიან ღეროებს. ძილით კი, უზეწრო ლეიბზე ეძინა — თავის მიტოვებულ საქორწინო ლოგინში — ან ჭამაკში, პალტომოხვეულს. ეზოში მაღალი ბალახი, ცრუ აკაცია და თესლზე ამოსული ნეკერჩხალი ეხვეოდა გარს. ღამე თვალს რომ ახელდა სულიერი სხეულის მსგავსი ვარსკვლავები სულ ახლოს იყვნენ; ცეცხლი რასაკვირველია; გაზები — მინერალები, სიმხურვალე, ატომები. მაგრამ მჭევრმეტყველნი ადამიანისთვის, პალტოში გახვეული რომ წევს ჭამაკში დილის ხუთ საათზე.

როცა ახალი აზრი გულს მოუწურავდა, ჩასაწერად სამზარეულოში, თავის შტაბში, მიდიოდა. აგურის კედლებზე თეთრი ხალებავი იქერცლებოდა და ჰერცოგი ხანდახან საბელოთი წმენდდა ხოლმე მაგიდიდან თაგვის ცურცლს; უკვირდა, რატომ უყვარდათ ასე მინდვრის თაგვებს ცვილი და პარაფინი. თაგვები ხვრელებს აკეთებდნენ პარაფინით დაფარულ კონსერვებში; ქატრუქამდე ღრღნიდნენ დაბადების დღისთვის ნაყიდ ხანთლებს. ერთმა ვირთხამ ისე გამოჭამა პურით სავსე კოლოფი, რომ საკუთარი სხეულის ფორმა დატოვა პურის ფენებში. ჰერცოგმა პურის მეორე ნახევარზე ჭემი წაუსვა და შეჭამა. ლუკმის გაყოფა ვირთხებთანაც არ ეთაკილებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი გონების რაღაც ნაწილი ღია იყო გარე სამყაროს-

თვის. დილით ყვავების ხმა ესმოდა. ხიბლავდა მათი უხეში ძახილი. შებინდებისას შაშვებს უსმენდა. ღამე მიკიოტი ჰყავდა მეგობრად. როცა გონებაში აღბეჭდილი წერილით აღგზნებული, ბაღში დაბორიალობდა. ხანგიმარ მილზე ახვეულ ვარდებს აკვირდებოდა, ან თუთებს — თუთის ხე გატენილი იყო ჩიტებით. დღეები ცხელი იყო, ხალამოები ალეწილი და მტვრიანი. უველაფერს ინტერესით უყურებდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს ნახევრად დაბრმავებულიყო. მისმა მეგობარმა ,მისმა ყოფილმა მეგობარმა, ,ვალენტინმა, და მეუღლემ, ყოფილმა მეუღლემ, ხმა დაუარეს ჰერცოგს ფსიქიკა შეერყეო. ნუთუ ეს სიმართლე იყო?".[1]

მხოლოდ უმაღლეს შემოქმედებით უნარსა და ალღოს შეუძლია დაინახოს ადამიანის ხულში უცნაურ წინააღმდეგობათა ამგვარი ერთობლიობა. მხოლოდ დიდ ტალანტს შეუძლია ისე მოგიხაზოს ხასიათი, ისე გამოკვეთოს პიროვნება წიგნის ერთ ფურცელზე, რომ უმალ გასაგები და ახლობელი გახადოს იგი შენთვის ყოველგვარი კომენტარისა და ახსნა-განმარტების გარეშე. ტრაგედიის, ხევდისა და სიმარტოვის რა ღრმა და მაინტრიგებელი საწყისია! რა საინტერესო შინაარსია და რა ლაკონურ, ნათელ ფორმაში! „ჰერცოგის" იდეაზე ახლა ბევრს არაფერს ვიტყვი. შეუწყნარებლობით, შურითა და ღალატით ღონეგამოცლილსა და ჰკუაზეგადასულ ინტელიგენტს, ადამიანს საერთოდ რომანებშიაც ხშირად ვხვდებით, ცხოვრებაშიც. იდეა ძველია. დიდი მწერალი ძველ იდეას განახლების სულით ამშვენებს.

დიახ, ჰკუაზეგადასული, უცნაური კაცის იდეა ერთი გახლავთ, მისი რეალური, ფიზიკური, მხატვრული განხორციელება კი უსახრულოდ მრავალრიცხოვანი. ჰამლეტის სიგიჟე შურისძიების, გულისწყრომისა და გარდაუვალი ტრაგედიის ბურუსითაა მოცული. ლამანჩელის უცნაურობას გულუბრყვილო ოპტიმიზმის, კარიკატურის, იუმორისა და უტოპიის შარავანდედი ედგას თავს, ჰერცოგის სულიერი მდგომარეობა კი ინტელექტის მარტვილობაა გულგრილობის, მოცილეობის, განუსჯელობის, სიხარბისა და თვალთმაქცობის გარემოცვაში. სამივე ხაშინლად რეალური და ხელშესახებია. სამივე მაძრწუნებს ადამიანის ბედილბლით.

არაფერი მეჩვენება კარგი წიგნის სიხუსტეთა გარჩევაზე ადვილად, თუმცა ვფიქრობ, უფრო იოლი სუსტი წიგნის ძაგება უნდა იყოს. ძნელი ისეთი ნაწარმოების ანალიზია, დიდი რომაა დეტალშიაც. მთლიანობაშიც „ჰერცოგზე" მსჯელობისას იძულებული ვიქნები სიტყვაკაზმული მწერლობის ეროი სახწაულიდან მეორეზე გადავიდე ხოლმე, რაც თავიდანვე მაფიქრებს, რომ დასახული მიზნის სიროულე გაცილებით ალემატება ჩემს შესაძლებლობებს. წინათგრძნობას ისიც მიმაგრებს, რომ სოლ[illegible]ზე, რამდენადაც ვიცი, [illegible] ჩვენი კრიტიკის მიერ...

ახლავე მესმის რეპლიკა, რატომ უნდა ვიკითხოო წიგნი ვიღაც გიუზე, ისიც შორეული ამერიკიდან. იმიტომ, რომ მოშე ჰერცოგის სიგიჟე განსაკუთრებული, ძნელად გასაგები, შეუცნობელი სიგიჟეა, პოეტური ბუნებისა და ხაოცარი ერუდიციის სიგიჟე.

„ძვირფასო გენერალო ეიზენჰაურ, ახლა, ალბათ, დროცა გაქვთ და სურვილიც იფიქროთ ისეთ რამეზე, რომლისთვისაც დრო არა გქონდათ, როცა პრეზიდენტი იყავით. ცივი ომის კირთი, ამაზე ბევრი დამეთანხმება, პოლიტიკური ისტერიის ხანა იყო, ხოლო მისტერ დალესის ვიზიტები და სიტყვები ადრე თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას წაგავდნენ თვალსაზრისთა ცვალებადობის დღევანდელ დღეს ამერიკული დაუზოგავობისა და ეთაებოლო მხარჯველობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ისე მოხდა, რომ რეპორტიორის ადგილზე აღმოვჩნდი მაშინ, როცა თქვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლაპარაკობდით ბირთვული ომის დაჩქარებასთან დაკავშირებულ რისკზე. **იმ დღეს მეორე ავენიუზე საწინდარი გადავიხადე ჭალზე, უფრო სწორად გაზის ძველ ლუსტრაზე. ლუდვილზე დახარჯული კიდევ ერთი ათი დოლარი.** მაშინაც იქ ვიყავი, როცა პრემიერ მინისტრმა ხრუშჩოვმა ფეხსაცმელი დაუშინა ტრიბუნას. ასეთ ატმოსფეროში, ასეთ კრიზისულ ვითარებაში დრო არ იყო იმ ხოგადი ხასიათის კითხვებისათვის, მე რომ მაინტერესებდა. **სინამდვილეში ამ კითხვებს სიცოცხლე შევალიე. მაგრამ რასა ვთხოვ აიკს ამის თაობაზე?** მისტერ ჰიუკიზ წიგნიდანა და იმ წერილიდან გამომდინარე, თქვენ რომ მას გაუგზავნეთ „სულიერი ღირებულების" შესახებ, ეფიქრობ დროს უქმად არ გახარჯავთ, როცა ვცდილობ თქვენი ყურადღება მივაპყრო ეროვნულ მიზანთა საანგარიშო მოხსენებაზე, რომელიც თქვენი პრეზიდენტობის ბოლო დღეებში გამოქვეყნდა. მაინტერესებს, კომისიაში ხალხი რომ შეიყვანეთ თუ იყო ღირსი თქვენი ნდობისა — საქციო საზოგადოების კანონმცოდნენი, გამოჩენილი ადმინისტრატორები, ის ჯგუფი, რომელთაც ახლა წარმოების პოლიტიკური მოღვაწეები ჰქვიათ. მისტერ ჰი-

[1] ტექსტის თარგმანი აქ და შემდგომ ჩემია (ს. ჟ.).

უკმა ალნიშნა თუ როგორ გრმალავდნენ არასასიამოვნო აზრებსა და შეხედულებებს, როგორ გამყოფებდნენ იზოლაციაში. თქვენ, ალბათ, დაინტერესდებით ვინა გწერთ ამ წერილს, თავისუფლად მოაზროვნე პიროვნება, ეროუდიტი, კიბმე უბედური თუ გიჟი. მოდი ვთქვათ, რომ ის გონიერი კაცია, რომელსაც სამოქალაქო წესრიგის საკგებლობისა სჯერა. ჭკვიანი კაცი, რომელსაც ყველა უფლები ჩამორთმეული აქვს, ერთგვარ ზიზღსა გრძნობს საკუთარი თავის მიმართ. ეს ზიზღი იმ ზიზღის ანარეკლია, რომელიც რეალური პოლიტიკური და სოციალური ძალაუფლების მქონეთ აქვთ უუფლებოთა მიმართ. ეროგული, ვარგისი პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც შთაგვაგონებდა სიძულვილს კომუნისტი მტრისადმი ის არ იყო, ჩვენ რაც გვჭირდებოდა. პასკალის ძველ დებულებას (1623—1662) იმის შესახებ, რომ ადამიანი ლერწამია, მაგრამ მოაზროვნე ლერწამი, აქცენტის შეცვლის შემთხვევაში დემოკრატიის თანამედროვე მოქალაქეც მიიღებს. ადამიანი აზროვნებს, ფიქრობს, მაგრამ ლერწმის შეგრძნება აქვს, ლერწამივით იხრება იქით, სითკენაც ცენტრში წარმოქმნილი ქარი უბერავს. **აიკი ამას ნამდვილად არ მიაქცევს ყურადღებას, ჰერცოგი შეეცადა სხვა კუთხით მიახლოვებოდა პრობლემას.** ტოლსტოი (1828—1910) ამბობს, შეფენი ისტორიის მონები არიანო, რაც უფრო მაღლა დგას პიროვნება ძალაუფლების საფეხურზე, მით უფრო შემოსაზღვრულია მისი მოქმედების სფერო. ტოლსტოის მიხედვით თავისუფლება სრულიად პიროვნულია. ის პიროვნებაა თავისუფალი. ვისი არსებობაც მარტივია, ალალი — რეალური. თავისუფლების ქონა ისტორიული შეფარგლულობისაგან გამოსვლას ნიშნავს. მაგრამ ჰეგელს სჯერა (1770—1831), რომ ადამიანის სიცოცხლის არსი ისტორიიდან გამომდინარეობს. ისტორია, ბუნებისმეტყველება — ის, რა გვაქცევს ადამიანებად. ესა და ჩვენს მიერ გააზრებული სიკვდილი: „by man came death". სიკვდილის გააზრება გვაიძულებს გავიანგრძლივოთ სიცოცხლე სხვების ხარჯზე. სწორედ ესაა ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავდაპირველი მიზეზი".

ჩემი სტატიის კონტექსტში საგანგებოდ აღარ შევჩერდები ჰერცოგის ეროუდიციის ხიღრმეხა და დიაპაზონზე. ეს საკითხი თავისთავად წამოყოფს თავს სხვა ფაქტებზე მსჯელობისას. ახლა კი აღვნიშნავ, რომ ჭკუაზე ნამდვილად გადასული ადამიანი, და ამაში, ალბათ, ბევრი დამეთანხმება, ძნელად თუ წარმართავს ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხასიათის მსჯელობას ასეთ დონეზე. დიახ, ჰერცოგის ფსიქიკის უცნაურობას ვერ დავადასტურებთ თვით ყველაზე რთულსა და პრობლემატურ ცხოვრებისეულ, პოლიტიკურ, ისტორიულსა თუ ფილოსოფიურ საკითხებზე მედიტაციისას. აქ, წერილი იქნება ეს თუ უშუალო ურთიერთობა, იგი ზედმიწევნით ლრმა — და ზოგჯერ ბანალურია. მოშე ჰერცოგის სიგიჟე ძირითადად იმაში ვლინდება, რომ მას წერილის [illegible] ადამიანი, დაუოკებელი [illegible] წერილს არასოდეს აგზავნის (ანდა როგორ გაუგზავნის, ვთქვათ, დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ფილოსოფოსებსა თუ საზოგადო მოღვაწეთ), წერილის წერას იწყებს მოულოდნელ, მოუზერხებელსა და გაუთვალისწინებელ გარემოებაში, ხშირად წერს მენტალურ, მხოლოდ გონებაში აღბეჭდილ ბარათებს. წერილის წერისას ყურადღება ეფანტება, გონების თვალი ხშირად გაურბის ძირითადთან დაუკავშირებელ, ძირითადისთვის უმნიშვნელო და უადგილო საგანზე, სიტუაციაზე, მოკმედებაზე, ანაზდად და ალოგიკურად ცვლის თემებსა და ადრესატებს.

ისევ მესმის რეპლიკა: „მიიღებს კია რომანის, ,ხეატვრული ნაწარმოების წასაკითხად განწყობილი ადამიანი ფილოსოფიური მსჯელობებითა და უამრავი გადახვევებით გადატვირთულ ტექსტს, შეასრულებს კია ასეთი ტექსტი სიტყვაკაზმული მწერლობის ესთეტიკურ, აღმზრდელობითსა და თავშესაქცევ ფუნქციებს?" სოლ ბელოუს ნობელის პრემია მიენიჭა და „ჰერცოგმა", ჩემი ღრმა რწმენით, აქ განსაკუთრებული როლი ითამაშა. ამერიკელმა მკითხველმა მიიღო იგი ყველა ენობრივ-კომპოზიციური და შინაარსობრივი უცნაურობით, ყველა ორიგინალობითა და ფილოსოფიური მსჯელობით. მიიღო იმიტომ, რომ მისმა ავტორმა ამ წიგნში ისეთი სტილი გამოიმუშავა და თხრობის ისეთი მანერა განავითარა, რომელმაც გრძნობის, ემოციისა და განწყობილების ათასნაირი ელფერის გადმოცემა შეხძლო. შეხძლო გადმოეცა ღვარძლიანი ირონია და სასოწარკვეთის სტიქიური ხმაური, სიყვარულის მოქნილი, ჰარმონიული, წკრიალა მელოდია და საკუთარ თავში ჩაკეტილი გულისწყრომის ჩურჩული, მშვიდი და ამაღლებული სიტყვა და სიბრაზისა და შურისძიების მძაფრი ხმა. „ჰერცოგში" სოლ ბელოუს სტილის ამოსავალ წერტილს გაფანტული გონებისა თუ აზროვნების, რეალობიდან ფილოსოფიურ მედიტაციებზე და პირიქით, ფილოსოფიური მედიტაციებიდან რეალობაზე, ყოველდღიურ წვრილმანზე გადასვლის ვირტუოზული ახახვა წარმოადგენს. წერილი წიგნში კურსივითაა გამოყოფილი, მაგრამ შრიფტის შეცვლის გარეშეც ნათელი

იქნებოდა თუ როდის ეხაუბრება რომანის მთავარი გმირი ადრესატს და როდის იხსენებს თავისთვის რაღაც დეტალს წარსულიდან, სად მთავრდება რეალობა და სად იწყება წერილი:

„მწვანე ზუსტად ისეთი იყო, მას რომ უნდოდა და ჭერცოგმაც უმალ აარჩია საუკეთესო ფუნჯები და აღფრთოვანებით ჩაუჯდა საქმეს სადარბაზო ოთახში. ძვირფასო როზანოვ, როიალის სახურავს ფიქრებში წასული ლებავდა. მწვანე ლია ფერისა იყო. მშვენიერი, როგორც ზაფხულის ვაშლი. საოცარ სიმართლეს ამბობ. არც ერთ წინასწარმეტყველს რომ არ უთქვამს, პირადი ცხოვრება ყველაფერზე მაღლა დგას. რელიგიაზე ერცელია. ქვეშმარიტება ბზეზე მაღალია. სული ვნებაა. I am the fire that ‚consumeth'.

●

„წარსულ ზაფხულს ბალახის თიბვისას ხათიბ მანქანას დაეყრდნობოდა ხოლმე დახიცხული და ფიქრობდა, რა იქნება ეცეს რომ მოვკვდე გულის შეტევით? სად დამმარხავენ? იქნებ სჯობს თვითონ ავირჩიო საფლავის ადგილი? ნაძვის ქვეშ? არა, სახლთან ძალზე ახლო იქნება. ახლა გაიფიქრა, რომ მადლენი დასაფლავების ნაცვლად კრემატორიუმში დაწვავდა. ეს ახსნა-განმარტებანი აუტანელი ქია, მაინც უნდა გაკეთდეს. მეჩვიდმეტე საუკუნეში აბსოლუტური ქვეშმარიტების ცხოველი ძიება იმით დამთავრდა, რომ კაცობრიობას თითქოს და საძყაროს გარდაქმნის შესაძლებლობა მიეცა. აზრს რაღაც პრაქტიკული ჩელი შეეხო. გონებრივი ერთსადაიმავე დროს რეალურიც გახდა. აბსოლუტების ძიებიდან გათავისუფლებამ ცხოვრება საამო გახადა. მხოლოდ ფანატიკოსი ინტელექტუალთა მცირე კლასი განაგრძობდა ისევ აბსოლუტებზე ნადირობას. ნაგრამ ჩვენი რევოლუციები ორის ტერორის ჩაცვლით გვიბრუნებენ მეტაფიზიკურ განზომილებას. პრაქტიკული საქმიანობის ყველა სახემ ასეთ კულმინაციას მიაღწია: ახლა ძველაფერი შეიძლება დაიღუპოს, ცივილიზაცია, ისტორია, მნიშვნელობა, ბუნება, ყველაფერს გავიხსენოთ კირკეგორე..."

●

ვუთხრა ეს რამონას? ზოგი ქალი ფიქრობს, ხერიოზუდი ხაუბარი არშიყობაა. ბავშვის გაჩენას მოინდომებს. ბავშვის გაზრდას მოინდომებს კაცთან, ჩემხავით რომ ლაპარაკობს. შრომა, შრომა, ნალდი, შესატყვისი შრომა... ჭერცოგი შეყოვნდა, თუმცა რამონა მუყაითი მუშაკი იყო. მისი ნიკის ფარგლებში, უყვარდა კიდეც თავისი სამუშაო. ჭერცოგმა ალერსიანად გაიღიმა მზით განათებულ ლეიბზე.

ძვირფასო მარკო,[1] ძველ სახლ-კარს დავუბრუნდი, ცოტა რომ დავკვენო და აქეურობას მივხედო. ყველაფერი მშვენიერია. იქნებ მოინდომო ჩემთან ცოტა ხანით დარჩენა. მხოლოდ მე და შენ — თავს ადვილად გავიტანთ — ბანაკის [illegible] ამბავს მშობლებთან შეხვედრის [illegible]. ჰოუომენლად ველოდები შენს ნახვას. შენი პატარა დაიკო გუშინ ვნახე ჩიკაგოში. ძალიან მხიარულია და ისევე ლამაზი, როგორც ყოველთვის. შენი ლია ბარათი მიიღო.

გახსოვს ჩვენი საუბრები სკოტის ექსპედიციაზე ანტარქტიკაში და როგორ ეჯობა ამუნდსენმა პოლუსის დაპყრობაში? ინტერესით მისმენდი ხოლმე. აი, რა მაღელვებდა ყოველთვის სკოტთან ერთი კაცი იყო, რომელმაც რაზმი მიატოვა, რათა დალუპულიყო და სხვებისთვის ბილეთი გადარჩენის შესაძლებლობა ავად იყო, ფეხებგადაყვლეფილი ჩაუფს ველარ მიყვებოდა. ისიც გახსოვს, როგორ წააწყდნენ შემთხვევით გაყინული სისხლის პაწია ბორცვს. მათ ბიერ დაქლული ჯეჯა ცხენის სისხლი იყო, და როგორ უმადლოდნენ ღმერთს, როცა გაალღვეს ბორცვი და დალიეს? ამუნდსენმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ ჯეჯა ცხენების ნაცვლად ძაღლები ჰყავდა. სუსტებს კლავდნენ და ძლიერებს აკვებენდნენ. ეს რომ არა, ექსპედიცია დაიღუპებოდა. ერთი რამ ყოველთვის მაოცებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები დამშეულნი იყვნენ, ძაღლის გვამს არ ეკარებოდნენ. იმისათვის რომ ძაღლს ძაღლი შეეჭამა, მოკლულს ატყავებდნენ.

●

მაგრამ ერთ ლამეს არეულ-დარეულ ოთახში, როცა ორივენი შიშველნი იყვნენ, ჭერცოგი ზენრის ქვეშ წიგნებს წააწყდა (რუსული ენციკლოპედიის დიდ, დამტვერილ ტომებს) და ცოლს უკმეხი შენიშვნა მიხცა. მადლენი წონასწორობიდან გამოვიდა. . კვილი მორთო. საწოლზე დაემხო. ზეწარსა და ხაბანს დაუწყო გლეჯა. წიგნები მიწაზე დაანარცხა, ფრჩხილებით ებდღვნა ბალიშებს და მოგუდული, ცხოველური ხმა ამოუშვა პირიდან. ჭერე ლეიბის პოლიეთილენულურ ხაფარს წააგლო ხელი და ახლა ამას დაუწყო გრეხა. უცნაური თეთრი ფუფუთობა გაუჩნდა პირის კუთხეებში. ჭერცოგმა წაქცეული ლამპარი წამოაყენა. „მადლენ, რაღაც უნდა დალიო.

---

[1] მარკო ჭერცოგის ვაჟიშვილია პირველი ცოლიდან. (ს. ც.)

რომ..." ჭკუა არ ეყო, ხელი გაუწოდა დახამშვიდებლად. ქალი წამში გაიმართა და ხახეში გაარტყა, ისე მოუქნელად, ჰერცოგს არც კი სტკენია. შერე მუშტები დაუშინა, ქალივით კი არა, ქუჩაში მოჩხუბარი კაცივით. ჰერცოგი შეტრიალდა და მუშტებს ზურგი შეუშვირა. ასე იყო საჭირო. ქალი ავად იყო.

იქნებ კარგიც ექნა, ხელი რომ არ შეეუბრუნე. რომ მეცემა შეიძლება ისევ შევყვარებოდი. მაგრამ უნდა გამოგიტყდე. ჩემი თავდაჭერილობა ამგვარი კრიზისის დროს უფრო აკოფებდა, თითქოს ვცდილობდი რელიგიურ ბრძოლაში დამემარცხებინა. ვიცი მას ადრინდელი ქრისტიანული რელიგიის სიყვარულის რიტუალებსა და მსგავს მაღალ მატერიებზე ესაუბრებოდი ხოლმე, მაგრამ ამ რიტუალის უმცირესი გამოვლინებაც კი ჩემს მიერ გიჟად აქცევდა. ფიქრობდა, ყალთაბანდი ვიყავი. მის პარანოიდულ გონებაში ჩემს პრიმიტიულ ელემენტებად ვიყავი დაშლილი. ამიტომაა რომ ვფიქრობ, ღვედით რომ გამეროზგა ჩემს მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლიდა. პარანოიდული შიზოფრენია, ალბათ, ველური გონების ჩვეულებრივი მდგომარეობაა. და თუკი ჩემი სული უდროოდ, უადგილოდ განიცდიდა ამ ძაფურ ემოციებს, ისე თუ ისე არაფრად ვაგდებდი მათ... წაიკითხე შენი წიგნი კალვინის ფსიქოლოგიურ რეალიზმზე. ვფიქრობ არ გეწყინება თუ ვიტყვი, რომ წიგნი ადამიანის ბუნების იუნგ, სულმდაბალსა და მონურ კონცეფციას ინვითარებს. ასე მესმის შენი პროტესტანტული ფრეიდიზმი.

ედვიგი წყნარად იჯდა და ოდნავ იღიმებოდა, როცა ჰერცოგი საწოლ ოთახში მოსხდარ ამბავზე ლაპარაკობდა. მერე თქვა: „როგორ ფიქრობ, რამ გადარია?"

„ალბათ, რაღაცამ წიგნებთან დაკავშირებით. მეცნიერულ საქმიანობაში ხელის შეშლამ. თუკი ვიტყოდი, საბლი ჭუჭყიანია, ყარს-მეთქი. ფიქრობდა, მის ინტელექტს ვკიცხავდი და საოჯახო საქმეებთან დაბრუნებას ვაიძულებდი. ამას პიროვნული უფლებების შელახვად სთვლიდა..."

როგორ სუნთქავს ეს პასაჟები თანამედროვეობის ხულით! ჩაწვდით მათ არსს და დამეთანხმეთ, რომ ესაა ტანჯვით დამძიმებული ხულის კვნესა, აუტანელი სასოწარკვეთილების ხმა, რომლის განსაკუთრებულობას საოცარ ელფერს სძენს ძალდაუტანელი, ლაღი და ჰაეროვანი გადასვლები რეალობიდან ილუზორულ სამყაროზე. ილუზორულ სამყაროდ მე აქ ჰერცოგის მიმართვებსა ვთვლი წარმოსახულ მსმენელთან, მოსაუბრეთთან, მოცილეთთანა თუ მეტოქეთთან. ზომიერების არაჩვეულებრივი გრძნობით დაჯილდოვებული სოლ ბელოუ ისე გადადის ერთი განზომილებიდან მეორეზე, რომ არა თუ არ აყოვნებს ძირითადი ამბის, ფაბულის განვითარებას, არამედ კიდევ უფრო მიმზიდველად და საინტერესოს ხდის მას, რამეთუ რეალობისა და ილუზიის ნებისმიერი ფრაგმენტი ერთიანი შინაგანი ძალითაა დაკავშირებული დანარჩენებთან, ცალკე კუნძული [illegible] კის, მთლიანობის ნაწილს წარმოადგენს. ყველაფერი ერთ ფოკუსში იყრის თავს და ერთ მიზანს ემსახურება. სტილის თავისებურების, ტექსტის ლინგვისტური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს გადასვლების მრავალფეროვნება: 1. წერილის კონტექსტში, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ყველგან კურსივითაა გამოყოფილი, წერილის ავტორის მიერ რაიმე ფრაგმენტის გახსენება რეალური ცხოვრებიდან, ე. ი. ეპისტოლარული ცნობიერების ნაკადისა და, ასე ვთქვათ, არაეპისტოლარული ცნობიერების ნაკადის მონაცვლეობა; 2. ავტორის სიტყვის კონტექსტში წერილის, ჰერცოგის ეპისტოლარული ცნობიერების შემოჭრა; 3. ავტორის სიტყვებით გადმოცემული მთავარი გმირის ცნობიერების ნაკადიდან მთავარი გმირის ეპისტოლარულ ფრაგმენტზე გადასვლა; 4. ჰერცოგის არაეპისტოლარული ცნობიერების გაგრძელება მისივე ეპისტოლარული ცნობიერებით; 5. წერილის შემდეგ ავტორის სიტყვაზე გადასვლა და მერე ერთ-ერთი მოქმედი პირის პირდაპირი თქმა ე. ი. დიალოგი ჰერცოგთან და მრავალი სხვა.

„მწერალი ცხოვრებას ახალი და ძველი იდეალების შეჯახების სიტუაციაში რომ გამოსახავს, ან თუნდაც მხოლოდღა ძველი, დრომოჭმული იდეალის მხილებას რომ ეწევა ისე, რომ ახალი იდეალის ნათლად დახატვას ვერ ახერხებს, ამით სიკეთისა და ბოროტების პრობლემას აყენებს, ოღონდ იმ სახით, როგორც ეს მოცემულ დროს ეხება — რადგანაც ეს იდეალები და მათი შეჯახება მაინცდამაინც მოცემულ ეპოქას ახასიათებს და არა ყოველ შესაძლო დროს. მიუხედავად ამისა, იგი, ეს მწერალი, ყველა დროისათვის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს ქმნის და, ამგვარად, მარადისობას ეზიარება — რადგანაც მარადისობა ადამიანს სხვაგვარად არ ეძლევა, თუ არა დროებით, ოღონდ სწორედ „დროული" იდეალის სახით".1 — წერს ზურაბ კაკაბაძე ჩელოვნების ნაწარმოების გაგებასთან

1 ზურაბ კაკაბაძე, ფილოსოფიური საუბრები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1988, გვ. 50—51.

დაკავშირებით. მე მინდა ერთი განსაკუთრებული ასპექტით კიდევ უფრო დავაკონკრეტო ეს აზრი და ვთქვა, რომ მარადისობასთან მწერლის ზიარებას იდეასთან ერთად ეპოქის შესაფერი მხატვრული ფორმაც განსაზღვრავს. კალიგულასდროინდელ რომში გამორიცხული იქნებოდა ქალისა და კაცის, ქმრისა და ცოლის ის ურთიერთმიმართება, ცოლქმრული დამოკიდებულების ის იდეა თუ იდეალი, რომელზეც ხოლ ბელოუ გვესაუბრება, მაგრამ ახევე გამორიცხული იქნებოდა იმ დროს მხატვრული ნაწარმოების ის ფორმა, რომლითაც მხატვარმა „ჰერცოგი" შემოგვთავაზა. ან რად გვინდა კალიგულასდროინდელი რომი, ავიღოთ დოსტოევსკის „ღარიბი ადამიანები". ხულ ერთი ხაუკუნე აშორებს მას ხოლ ბელოუს რომანისაგან, თითქოს და შინაარსობრივადაც ენათესავებიან ისინი ერთმანეთს. მხატვრული თვალსაზრისითაც აქვთ საერთო შენების წერტილი — ეპისტოლარული ფორმა — მაგრამ სხვაობა ხომ გაცილებით მეტია? მიუხედავად ამისა ორივე რომანი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს მიეკუთვნება.

„ჰერცოგის" კომპოზიციური სტრუქტურა თანამედროვე მაღალმხატვრული ამერიკული ფილმის ასოციაციას იწვევს ჩემში. როგორც კადრები კინოეკრანზე თუ ვიდეო-მაგნიტოფონში, ისე იცვლება სიტუაციები „ჰერცოგში" შინაგანი ხმის, შინაგანი ძონოლოგისა თუ მიმართვის, ავტორის სიტყვის, დიალოგისა და წერილის მრავალფეროვანი და ყოველთვის მეტნაკლებად მოულოდნელი მონაცვლეობით. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ხელოვნების ამგვარი დინამიურობა დიდად განისაზღვრება მოცემული ეპოქისა და ხაბელმწიფოსთვის დამახასიათებელი ტექნიკური პროგრესით (თუნდაც სივრცეში გადაადგილების არაჩვეულებრივი სისწრაფითა და მრავალი სხვ.). რაც თავისებურად აისახება შემოქმედის, მწერლის ინტელექტსა და ფსიქიკაში.

მხატვრულ ტექსტში მოულოდნელობის ეფექტით შექმნილი ესთეტიკური ინფორმაცია მხოლოდ სიტუაციების, რეალურისა და წარმოსახული სამყაროს მონაცვლეობით არ შემოიფარგლება. მოულოდნელი, ტექსტში სიახლის შემომტანი, ტექსტისა და, შესაბამისად, მკითხველის ინტერესის გამაცოცხლებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი დროულად და ზუსტად ნახმარი სიტყვა, მოსწრებული გამოთქმა, ჩართული წინადადება, ანტითეზა, გამეორება, ელიფსი, მეტაფორა, შედარება, ეპითეტი და, თუ გნებავთ, სასვენი ნიშანიც კი. შესანიშნავად ავსებს „ჰერცოგში" ცნობიერების ნაკადისა და რეალობის ურთიერთმიმართებას ხოლ ბელოუს მიერ არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ზუსტად და შთამბეჭდავად ნახმარი ტროპი, ენობრივი სახე: „ჰერცოგი ამბობს უკან ვბრუნდებიო, ირონიულად. აკი გითხარი უცნაური კაცია-მეთქი".

„ამისთვის ჩამოხვედით ამხელა გზაზე, რომ ეს გვითხრათ? შემეფერი, შემოდგომა. ცეცხლის დანთებას ვაპირებდი, ერთ სპეთში აციოდება, მე კი სტუმრებს ველოდები სადილზე. სახმელზე რას იტყვით? შოტლანდიური თუ სიმინდის ვისკი? ცურვა ხომ არ გირჩევნიათ?" სიხლერი ჰერცოგს სათნო, გაშლილი, შაეი თვალების ლიმილით მიესალმა. თვალები პატარა იყო და კბილებს შორის დრეჩოები ჩანდა; სიხლერი მელოტი იყო, ხშირი თმა კეფაზე ისე ჰქონდა გაშვერილი ,როგორც ხის დიდი სოკო. ხის ტანის დახავსულ მხარეს რომ იზრდება ხოლმე. ლიბი ბებერ, ჭკვიანსა და მშვიდ ძაღლს გაჰყვა ცოლად, ისეთს, ბლომად რომა აქვს ხოლმე შემონახული სიკეთისა და გულისხმიერების მარაგი".!

განა შეიძლება ვერ შენიშნო, ვერ გამოარჩიო, ვერ აღბეჭდო გონებაში ან კიდევ დაივიწყო რამოდენიმე სიტყვით, ეპითეტით, შედარებითა და მეტაფორით აღწერილი ადამიანის, მეორეხარისხოვანი ან შეიძლება სულაც ეფემერული პერსონაჟის ეს ოსტატურად გამოძერწილი პორტრეტი?! კეფაზე შემორჩენილი ხშირი თმის ხის სოკოსთან შედარება გენიალური დეტალია! არც იუმორნაზავი მეტაფორა: გულისხმიერი, მოხუცი ქმარი — მშვიდი, ერთგული, კეთილი ძაღლი სტოვებს მკითხველს ესთეტიკური განცდის გარეშე.

ანალიზისა და კვლევის მაძიებელმა სულმა ტექნიკური პროგრესის ხაოცარ ეპოქაში ბიოსფერო გახვრიტა და კოსმოსიდან დაიწყო ჩვენი პლანეტისა და ბედ-იღბლის დაფინებული ჭვრეტა.. კიდევ უფრო ადრე იგი დედამიწის იდუმალ წიაღში ჩავიდა და ამ წიაღის ფენებსა და შრეებზე დაადასტურა მისი თანდათანობითი ევოლუციის ფაქტი. ბუნების სახეობათა და გვართა ჯგუფებად დაყოფამ თავის მხრივ ნათელჰყო, რომ ეს ქვეყანა განვითარების შედეგია: უმარტივესი ფორმიდან — მინერალიდან უმაღლესამდე — ადამიანამდე. მაშასადამე სიცოცხლე, მის ნებისმიერ გამოვლინებაში, განვითარებაა, ე. ი. გადახვლა, სახეცვლილებაა მარტივიდან, დაბალ ფორმიდან უფრო რთულსა და უფრო მაღლისაკენ. ასე რომ, ის რაც არ ვითარდება ,ის რაც ფორმალურად და შინაარსობრივად არ იცვლება და მუდმივსა და ერთფეროვან უძრაობაშია — არ ცოცხლობს, მოკლებულია ორგა-

---

1 კურსივი ჩემია. ს. ქ.

ნული განვითარების ნაყოფიერ მარცვალს და მისი სიცოცხლეცა და სიკვდილიც შემთხვევითია. შემთხვევითობის კანონს ემორჩილება. იგივე ითქმის ხელოვნებაზე, მხატვრულ აზროვნებაზე, სიტყვაკაზმულ მწერლობაზე. მისი ყოველი შრე ბევრს რასმეს შეიცავს უფრო ღრმასა და ძველი შრიდან. მაგრამ ამისდა მიუხედავად განსხვავდება მისგან საკუთარი კოლორიტით, საკუთარი ფორმით, ხასიათით, გამომეტყველებით. ვინ აღწერს ან ვის ახსოვს მისი ისტორიული საწყისი, ჩაკარგული შეუცნობელი ბალღობის დანისლულ შორეთში, ვინ იტყვის სად ან როდის შეჩერდება მისი განვითარება, როგორი იქნება იგი ხვალ დღევანდელი დღიდან გამომდინარე?...

მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც თაყვანს სცემს ჰენრი ჯეიმსსა და მარკ ტვენს, მაგრამ უარყოფს ყოველგვარ ნიჭს დრაიზერის შემოქმედებაში. ვიცნობ ისეთსაც, დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიითა" და „ჯენი გერჰარდით" რომ მოიხიბლა ყმაწვილკაცობაში, ხოლო მას შემდეგ ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ და გულახდილად ამბობს „ვერაფერს ვხედავო არაჩვეულებრივსა და განსაკუთრებულს დოს-პასოსის, ჰემინგუეისა და ფოლკნერის ნაწარმოებებში. მაგრამ რამდენია ახლა ჩვენს შორის ისეთი, რომელიც დიდად აფასებს ჰენრი ჯეიმსს, მარკ ტვენსა და დრაიზერს, თაყვანს სცემენ დოს-პასოსს, ფოლკნერსა და ჰემინგუეის, მაგრამ წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს სოლ ბელოუს ამერიკულსა და მსოფლიო ლიტერატურაში. ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ იგი ვერ ამჩნევს ნიჭს სოლ ბელოუს რომანებში; არა: ის ვინც ჰენრი ჯეიმსიდან ფოლკნერამდე მივიდა, თავისთავად ხედავს იმაზე მეტს, ვინც სამუდამოდ მარკ ტვენის ტყვეობაში დარჩა; ჯეიმსიდან ფოლკნერამდე მოსული კაცი აღფრთოვანებულია სოლ ბელოუს შემოქმედებით. მაგრამ აღფრთოვანება ერთია, არსში წვდომა კი მეორე..

იყო დრო, როცა ლიტერატურულ- სტილისტური კრიტიკა კმაყოფილდებოდა მხატვრული ნაწარმოების ცალკეულ ადგილთა ესთეტიკური შეფასებით. წერდნენ, რომ ამა და ამ წიგნის ამა და ამ ადგილას ავტორი ოცებს მკითხველს დრამატიზმის ხიმძაფრით; ესა თუ ის მოქმედი პირი უაღრესად გამოკვეთილი და ხელშესახებია, მთავარი გმირი კი მართალია და უსახო; პროლოგი გამსჭვალულია ლირიზმით, ეპილოგი კი ხუსტია; რა ხაშინელი ხიღრმე და რა ძალა იგრძნობა ავტორის მსოფლმხედველობაში და რა საუცხოო აზრები და იდეებია განვითარებული საერთოდ მთელ რომანში! თანამედროვე კრიტიკა ამგვარი შეძახილით აღარ კმაყოფილდება. იყო უარესი დროც. დრო — როცა მხატვრულ ნაწარმოებს მხოლოდ სოციოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით იხილავდნენ და აფასებდნენ. მაგრამ არც იმ დროსა და არც იმდროინდელ კრიტიკაზე საუბარი არა მსურს...

„ჰერცოგის" ანალიზი იმ ასპექტის გაშუქებით დავიწყე, რომელსაც ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ჩვეულებისამებრ ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობს: ფორმის, ენობრივი სტილისა და კომპოზიციის ანალიზით. ვიმსჯელოთ რომანზე იმავე ასპექტში. რომანის კონტექსტში წერილისა და რეალობის ურთიერთშეღწევის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკეთ. აღინიშნა ისიც, რომ ხოლ ბელოუ არც თუ ისე ხშირად მიმართავს მეტაფორებსა და შედარებებს, მაგრამ მიმართავს მათ არაჩვეულებრივი სიზუსტით, ორიგინალობითა და ექსპრესიულობით. ახლა ამას ისიც მინდა დავუმატო, რომ მისი ლინგვოხტილისტიკის ძაეროვნებასა და სილაღეს ძირითადად ესა თუ ის (თუნდაც აშკარად წამყვანი და ხშირად ხმარებული) ენობრივი ხახეკი არა შობს, არამედ ფორმალური, მხატვრული, ესთეტიკური ელემენტების ურთიერთმოქმედებით კონსტრუირებული სისტემა. ამის დადასტურება ძნელი არ უნდა იყოს. ტექსტის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს სისლერის და ლიბის პორტრეტებს ავტორი აგვიწერს. ეს შთაბეჭდილება რამოდენიმე ბანს გრძელდება: „სახლის ზღვისპირა ნაწილში, შედარებით უფრო ნათელი რომ იყო, ლიბი ძალზე ლამაზი და ბედნიერი სჩანდა. გადატკეცილ სახისკანზე მზე მოჰკიდებოდა. ტუჩებზე ყავისფერი სალებავი ეცხო, მკლავზე ოქრო-წნული ბადე ჰქონდა შემოხვეული, ყელზე ოქროს მძიმე ძეწკვი ეკიდა. ოდნავ ასაკში შესულიყო" — მაგრამ ამას მოჰყვება ჰერცოგის აზრი ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე და იხევ ავტორის სიტყვა, რომლის შემდეგაც უკვე ძნელია დაბეჭითებით თქმა იმისა, ავტორი საკუთარი თვალით დანახული ლიბის პორტრეტს აგვიწერს თუ ჰერცოგის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს: „ოცდათერამეტისა ან ოცდაცხრამეტის იქნება, გაიფიქრა ჰერცოგმა, მაგრამ შავი, ახლო ჩამსხდარი თვალები, გონებადაფანტულ იერს რომ სძენდნენ (ლიბის ნატიფი და მოხდენილი ცხვირი ჰქონდა) უფრო კრიალა და წმინდა იყო ვინემ ჰერცოგს ოდესმე ენახა".

ერთი რამ აქ ნათელზე ნათელია: ქალის წლოვანების შეფასება ჰერცოგის შინაგანი სიტყვაა (გაფიქრება), მაგრამ ეკუთვნის თუ არა ლიბის თვალების დახასიათება მხოლოდ

და მხოლოდ ჰერცოგის შთაბეჭდილებებს — გარკვეული არ არის. არც არის, ალბათ, ეს საჭირო, რომანში არა ერთხელ ვხვდებით ისეთ ადგილებს, სადაც ჰერცოგის ხმა ავტორის ხმას ერწყმის და სადაც ორივენი ერთი თვალით უყურებენ მოვლენას და ერთნაირად აფასებენ მას. განხილული კონტექსტის საზღვრებს ოდნავ კიდევ თუ გავშლით, დავინახავთ, რომ ფორმალურად ამბავს ისევ ავტორი გვიყვება, თუმცა თხრობისა თუ აზროვნების მანერა ძალიანა ჰგავს ჰერცოგისას: „ქალი იმ წლოვანებაში იყო, როცა თავს იჩენს მემკვიდრეობის მოგვიანებითი ამოქმედება, აქა იქ გამოჩნდება წინაპართა ნაკლოვანებანი — ლაქა, ან ზედმეტად ჩაღრმავებული ნაოჭი, მის სილამაზეს კიდევ უფრო რომ ამშვენებს. სიკვდილი, მხატვარი, ძალზედ ნელი, თავის საქმიანობას უდგება. სისლერისთვის ამას ნაკლები მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის უკვე შეეგუა ყველაფერს, ისევ ისე ილაპარაკებდა ხმამაღლა რუსული აქცენტით და სიკვდილამდე დარჩებოდა მარჯვე ბიზნესმენად. დრო როცა მოუვიდოდა კეფაზე შემორჩენილი ბუჩქი თმის გამო გვერდზე მწოლიარეს მოუბდებოდა სიკვდილი". კურსივით გამოყოფილი ფრაზა-წერილი: „იდეები ,ადამიანებს რომ სპობენ ,ამ ქვეყანაზე" — კიდევ უფრო გვიმძაფრებს შეგრძნებას, რომ ამ სიტუაციის მთელ რიგ მომენტში ავტორი და მთავარი გმირი ერთი პიროვნებაა. მაგრამ ფორმალურად ასევე ბუნებრივად ავტორის სიტყვა მკვეთრადაა გამიჯნული ჰერცოგის ცნობიერების ნაკადისაგან და პირდაპირი თქმიდან. ფრაგმენტს წერილიდან იხევ ავტორის სიტყვა მოჰყვება: „მაგრამ როცა ჰერცოგი მასპინძელს ვისკიზე დაეთანხმა და მკაფიოდ გაიგო, თუ როგორ უთხრა მას მადლობა და დაინახა, როგორ დაჯდა ჩითით მორთულ სკამზე ფსიქოლოგიურმა ალღომ უკარნახა, რომ კაცი, რომლის სასაკვდილო სარეცელიც ფანტაზიაში ნახა შეიძლება სისლერი კი არა, და სხვა ვინმე იყო..." ეს წინადადება იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ნათლად გვეუბნება, რომ ავტორის სიტყვით წარმოდგენილი სურათი სისლერის სიკვდილისა, თურმე სინამდვილეში ავტორის ხილვა კი არ იყო, არამედ ჰერცოგის. ამის შემდეგ გარკვეულ მომენტამდე ეჭვი აღარ გვეპარება, რომ თხრობა ფაქტიურად ჰერცოგის შინაგანი მონოლოგია. ამ შეგრძნებას ამბის შინაარსობრივი არსიც გვიძლიერებს და ჰერცოგის მიერ დასმული კოფნა არყოფნის პრობლემაც. „შეიძლება: თვითონ კვდებოდა საკუთარ წარმოსახვაში. მას ჰყავდა ცოლი — ორი ცოლი — და თვითონაც ყოფილა ადრე ამგვარი სიკვდილშეკაზმული ფანტაზიების ობიექტი. ახლა: პირველი, რაც ადამიანს ესაჭიროება შინაგანი წონასწორობისათვის ისაა, რომ მას ნამდვილად უნდა ,სურდეს არსებობა. ამას სპინოზა ამბობს. ეს აუცილებელია ,ბედნიერებისათვის (felicitas). ადამიანს არ შეუძლია კარგად მოიქცეს (bene agere), ან ,კარგად იცხოვროს (bene vivere), თავად თუ არა სურს სიცოცხლე .მაგრამ თუკი, როგორც ფსიქოლოგია გვასწავლის, წარმოსახული ბედნიერება ბუნებრივი რამაა (დღეში ერთხელ მაინც თუ წარმოიდგენ მკვლელობას, ფსიქიატრი არ დაგჭირდება), არსებობის სურვილი კარგი ცხოვრების საკმარისი !საფუძველი არ უნდა იყოს. მაინც სიცოცხლეც მინდა თუ სიკვდილი?" გადასვლა ამის შემდეგ ავტორის სიტყვაზე მკვეთრი და ნათელია: „მაგრამ სალამოს წვეულებისას ამ კითხვას პასუხს ვერ გასცემდა და ჰერცოგმაც ჩაცივებული სიმინდის ვისკი გადაყლურწა წკრიალა ჭიქიდან. სასმელმა ისე აუწვა მკერდი, თითქოს ცეცხლის დახლართული ზონარი ყოფილიყო. ესიამოვნა. ქვევით ,ლიანეი და ანთებული დაისი მოჩანდა წყლის ზედაპირზე ,ორანი ბრუნდებოდა. მზე როგორც ,ჩავიდა, ,ბორანის განიერი ტანი უცებ აბრწყვიალდა ელექტრონათურებით. მშვიდ ცაში შეეულმფრენი მიიკვლევდა გზას ,მაიამის ,ორტისკენ, სადაც ,ქენედები ცხოვრობდნენ". ამას მოჰყვება ,ორი ,ელიფსური და ,ერთი ,კითხვითი წინადადება. შინაარსიდან და ფორმალური კრიტერიუმიდან გამომდინარე ხამივე ფრაგმენტი უნდა იყოს ჰერცოგის ცნობიერების ნაკადიდან: „დიდი პრობლემები იქ, ერთ დროს. ერის ძლევამოსილება. თუმცა რა ვიცით ჩვენ ამის შესახებ?" ხამივე წინადადება რომ ჰერცოგს ეკუთვნის ავტორის კომენტარის შემდეგ, არავითარ ეჭვს აღარ იწვევს: „გარდაცვლილი პრეზიდენტის გახსენებამ ჰერცოგს ანაზდად გული ატკინა". ავტორის კომენტარს ფრჩხილებში ჩასმული ჩართული წინადადება ან უფრო სწორედ ავტორის სიტყვისაგან განცალკევებული წინადადება მოჰყვება, რომელიც ისევ და ისევ მთავარი გმირის გამოუთქმელ აზრს ,შინაგან მონოლოგს წარმოგვიდგენს: „(რას ვეტყოდი ნეტავ პრეზიდენტს პირად საუბარში?)"

„ჰერცოგის" ენობრივი სტილის ანალიზს ამ. დენი დრო და უურადღებ იმიტომ დავუთმე, რომ დარწმუნებული ვარ მხატვრულობის, ნატიფი ფორმისა და დახვეწილი ტექნიკის გარეშე სიტყვაკაზმულ მწერლობაში ,არავითარ მოტივს, არავითარ რწმენას, არავითარ აზრს, თვით უველაზე უფრო მადალსა და ნათელ იდეას ,არავითარი ღირებულება არ გააჩნია. გვერდ-ნახევარზე ნაკლები განვიხილე. მე ენის გამომსახველ საშუალებათა ურთიერთმიმართე-

ბისა და ურთიერთშეპირობებულობის თვალსაზრისით (დავუშვათ, რომ ეს გვერდ-ნახევარი საკმარისად ასახავს რომანში განხორციელებულ სტილს საერთოდ. ხომ ამბობს დემოკრიტე: „ჩემთვის ერთი კაცი კაცობრიობაა, კაცობრიობა კი — ერთი კაცი") და იმ დასკვნამდე მივედი, რომ რომანი ამ მხრივ უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი, ადვილად აღსაქმელი და დინამიურია. და მიუხედავად იმისა, რომ აქ, ამ შემთხვევაში, პრიორიტეტს სინტაქსურ სტილისტიკას ვანიჭებ (ელიფსური წინადადებები, რიტორიკული შეკითხვა, განცალკევებული წინადადება, ავტორის სიტყვა, პირდაპირი თქმა, წარმოდგენილი თქმა, ცნობიერების ნაკადი, კურსივით გამოყოფილი ფრაგმენტი წარმოსახული წერილიდან, ავტორისა და მთავარი გმირის ზმათა თანაშერწყმა და, რაც მთავარია, ყველა კონსტრუქციის მარმონიული ურთიერთკავშირი) არც ლექსიკურ გამომსახველ საშუალებათა ფუნქციის უგულებელყოფას ვაპირებ, ვინაიდან ისინი თავის განსაკუთრებულ, განუმეორებელ მშვენიერებას, კონკრეტულობასა და ცხოვრებისეულ საგრძნობობას ანიჭებენ ტექსტს (მეტაფორა: სიკვდილი — მხატვარი; შედარება: ვისკი ჰერცოგის მკერდში — ცეცხლის დახლართული ზონარი; ეპითეტი — სიკვდილ-შეკაზმული (ფანტაზია); ალუზიები სპინოზაზე; ბარბარიზმები: felicitas, bene agere, bene vivere).

მე ვთქვი, რომ მხატვრული ნაწარმოების ისეთი ანალიზი, რომელიც ძირითადად ემოციურ შეძახილებისაგან შედგება, თანამედროვე კრიტიკას აღარ აკმაყოფილებს-მეთქი და რომ აქედან გამომდინარე მხატვრული ტექსტის ლინგვოსტილისტური შეფასება წინ გადადგმული ნაბიჯია. ახლა ამას ისიც უნდა დავუმატო, რომ არც წმინდა ლინგვოსტილისტური ანალიზი აკმაყოფილებს თანამედროვე კრიტიკას. არა მარტო ლიტერატურულ-კრიტიკული ესსეს, ნარკვევისა თუ სტატიის მკითხველი, არამედ ლინგვოსტილისტიკის კურსის მსმენელიც კი, სტუდენტი, ვისთვისაც ამ კურსის მოსმენა აუცილებელია, არ პატიებს მწერალს, არ პატიებს ლექტორს ლინგვოსტილისტური დეტალებითა და წვრილმანებით გატაცებას. იგი ელოდება მხატვრული ნაწარმოების ერთიან, გლობალურ განხილვას, ნაწარმოების იდეის გაშუქებას და განსაკუთრებით კი იდეისა და ფორმის ურთიერთმიმართების ახსნა-განმარტებას. „რამდენად უწყობს ხელს ამბის, შინაარსის, იდეის სიხეფორე, სიმწვავე, სიღრმე და სერიოზულობა ფორმის სინატიფეს და რამდენად ამართლებს მშვენიერი მხატვრული ფორმა იდეის ჭეშმარიტებას?" აი, კრიტიკისა და ლექტორისაკენ მიმართული ძირითადი კითხვა.

ამ კითხვასთან დაკავშირებით თუკი ვიტყვი, რომ „ჰერცოგის" პოეტიკის ზოგადი იერი ელეგიური, სევდიანი ხასიათისაა, მართალი ვიქნები, მაგრამ ოდნავადაც ვერ ავხსნი „ჰერცოგის" პოეტიკის არსს, ვინაიდან გაბატონებული ტონი თუ იერი მხატვრული ნაწარმოებისა სულაც არ წარმოადგენს მის რაობას, როგორც, ხშირ შემთხვევაში, [illegible] ელეგიურობა არ წარმოადგენს [illegible] სულისა და ხასიათის რაობას და მხოლოდ მიგვანიშნებს მასზე. ზოგი მკვლევარისგან განსხვავებით, ჰერცოგის მდგომარეობა რომ კომიკურად წარმოუდგენია,[1] ჩემთვის იგი ტრაგიკულის უმძაფრესი გამოხატულებაა და თუკი არის მაინც სახაცილოს რაღაც ელემენტი ამ მდგომარეობაში მყოფი კაცის გარშემო, იხილე იგი ჩახშობილი ხახოწარკვეთითა და ტკივილით, რომ მისი ცალკე გამოყოფა და მთავარი გმირის ბუნების დაზუსტება-დაკონკრეტებისა თუ დახასიათებისათვის გამოყენება გაუმართლებლად მიმაჩნია. ჰერცოგის მარცხი ცხოვრებაში და უბედურება იმიტომ არის ჩემთვის ტრაგიკულის სიმბოლო, რომ იგი განსაკუთრებულ, გამორჩეულ პიროვნებას ატყდება თავს განსაკუთრებულ ვითარებაში.

სანამ დეიზი მყავდა ცოლად ჰერცოგი პროფესორის თანაშემწის მყარი, რესპექტაბელური ცხოვრებით ცხოვრობდა. პირველი მეცნიერული ნაშრომი რომანტიზმზე ქრისტიანობის გავლენის პრობლემას მიუძღვნა. დეიზის რომ გაშორდა და მადლენი შეირთო ცოლად ახალ თემას მოჰკიდა ხელი. უნდოდა ისტორიის ისეთი წიგნი დაეწერა, სადაც მეოცე საუკუნის რევოლუციებსა და ხალხთა მასების ძვრებს დიდი და სერიოზული ყურადღება დაეთმობოდა. მაგრამ საქმე წინ ვერ წაწია. ათი წლის წინ ფიქრობდა, რომ კარგად ესმოდა ჰეგელის აზრი შეთანხმებულობასა და თავაზიანობაზე, მაგრამ ახლა რაღაც დაემართა, რაღაც უშლიდა ხელს. დამწუხრებული, ღონეგამოცლილი, ბრაზიანი და მოუთმენელი გახდა. ცოლთან უცნაური უთანხმოება გაუჩნდა. მადლენს ჯერ არ უნდოდა, რომ ჰერცოგი ჩვეულებრივი ლექტორი ყოფილიყო, უნივერსიტეტში სამუშაო მიატოვებინა და შორეულ ბერკშირში, სოფელში აყიდინა დიდი სახლი ჰერცოგის მამის დანაზოგი ფულით. ერთი წელი იცხოვრეს ჰერცოგმა და მადლენმა მეგობარ ოკახთან ერთად (ვალენტინ და ფოებ გერზბარჩებთან) ბერკშირში. მერე კი მადლენმა განაცხადა, რომ ძალზე ლამაზი, ძალზე ახალგაზრდა, ძალზე ენერგიული და გულზიარი იყო იმისთვის, რომ

1. Malcolm Bradbury, The Modern American Novel, Oxford New York, 1985, p. 137.

ბერკშირში გაეტარებინა წუთისოფელი. სლავური ენების შესწავლას უნდა დავუბრუნდეთ და თემა დავამთავროთ. ბერკშირი დატოვეს და ჰერცოგის მშობლიურ ქალაქში, ჩიკაგოში დასახლდნენ (მამის ოფლითა და სისხლით ნაშოვნი 20 ათასი დოლარი ობობებს, მინდვრის თაგვებსა და თხუნელებს ჩაბარდა!). ვალენტინ გერზბაჩი ჰერცოგის ავტორიტეტის წყალობით სამსახურში ეწყობა.

ჩიკაგოში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ მადლენმა გადაწყვიტა, რომ ჰერცოგის ცოლობა აღარ შეეძლო. განქორწინება მოითხოვა. მტკივნეული იყო განქორწინება ჰერცოგისათვის. ცოლი უყვარდა. პატარა ქალიშვილის მიტოვებაზე ფიქრიც არ უნდოდა. მეორე განქორწინების ტვირთი მეტად მძიმე აღმოჩნდა მისთვის. გრძნობდა, რომ იღუპებოდა. იშლებოდა, ჭკუაზე ცდებოდა. ფსიქიატრმა, რომელიც ცოლ-ქმარს მკურნალობდა, ურჩია ქალაქიდან გასულიყო. კოლეჯში დეკანთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ იგი სამუშაოს მაშინ დაუბრუნდებოდა, როცა თავს უკეთ იგრძნობდა. მადლენს აღარ ნახულობდა. ისე უცნაურად იქცეოდა და, რაც მთავარია, მადლენის აზრით, ისე სახიფათოდ, რომ გერზბაჩის პირით შემოუთვალა, სახლს არ მოახლოვებოდა. პოლიციას მისი ფოტოსურათი ჰქონდა და დააპატიმრებდა თუკი სახლის ახლომახლო შენიშნავდა...

ჰერცოგმა უველაფერი დაკარგა. დაკარგა ის, რასაც გულითა და სულით ელტვოდა, რასაც, ასე ვთქვათ, სიცოცხლე შეხწირა. საქმე, სამუშაო, სულის სიმშვიდე, ოჯახი, ცოლი და შვილი, ფული, სიმყუდროვე, მეგობრები. იმედი არ ულიმის მას, მომავალი არ აღელვებს, უსუსური და ჩაჩანაკი დაძრწის იგი ადამიანთა შორის, დაეხეტება იმ სამყაროში, რომელსაც ძეთილად ულიმოდა და რომელმაც ვერ გაიგო მისი ღიმილი. ისე მოჩანს იგი ხევდისა და ხიმარტოვის გარემოცვაში, როგორც სტიქია. მისი იდეალი, მისი ცხოვრების დედაარსი, მისი გონის სისავსე, მისი ნამდვილი რაობა, ასე ვთქვათ, მის გარეთაა...

„ოჯახი, ამბობს როზანოვი, ჩვეულებრივი ფაქტი არ გახლავთ. ოჯახი სულია, პოეზიაა, გარემო და პირობებია, რელიგიაა, რომელიც ისევე შეიცავს წვრილმანს, როგორც დიადს".[1] მისი აზრით თვით ორგანიზმის სტრუქტურამ მიაკუთვნა ადამიანი ოჯახს, ოჯახი ისეთი თავდაპირველი მოწოდებაა, რომლის სადაოდ გახდომა მთელი ბუნების სადაოდ გახდომაა, სამყაროს უარყოფაა. და არა მარტო ფიზიოლოგია. სულიცაა ოჯახი; ფიზიოლოგია აქ სულით აისახება, გამოიხატება სულში, პოეზიაში, ყვავილებში, იმედებში, მოგონებებში...[2] როზანოვს, მხატვრული სახეებით მოაზროვნე ფილოსოფოსს, შეეძლო ასე გამოეკვეთა და განეხაზვრა ოჯახის არსი და როლი პიროვნების ცხოვრებაში, მაგრამ მას არ შეეძლო, ეს მშვენივრად ჩამოყალიბებული დებულება გადმეცემა ფაბულად, სიუჟეტად, გაეზარდა. [illegible] ადამიანის სულიხა და საზოგადოების ჰეშმარიტსა და განსაცვიფრებელ სურათად. ეს სოლ ბელოუმ გააკეთა. ახლა ავიღოთ ჩემი პატარა რეზიუმე „ჰერცოგის" შინაარსისა. მისი „ტყუილი" ის უზარმაზარი მხატვრული ტილოა, რომელზეც იგი არაფერს ამბობს, მაგრამ რომელზეც ითქვა, რომელიც განხორციელდა, რომელმაც შეითავსა ფილოსოფია ,მორალი და სულის უმძაფრესი შინაგანი დრამა. აღებულია რამოდენიმე თვე ადამიანის ცხოვრებიდან, დაჭერილია ხანიათი, ფოტოგრაფიული სიზუსტითაა გამოსახული ფსიქოლოგია. მერე კი — ფარდა. მერე — დუმილი, მერე — სიჩუმე.

მე ვთქვი: „მადლენმა გადაწყვიტა, რომ ჰერცოგის ცოლობა აღარ შეეძლო. განქორწინება მოითხოვა. მტკივნეული იყო განქორწინება ჰერცოგისათვის". ამ მშრალ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ყოველდღე ისახება მავანთა და მავანთა პროტოკოლებში, ასე აცოცხლებს უზარმაზარი ნიჭი:

„უველაფერი შემოდგომის კაშკაში, გამჭვირვალე დღეს მოხდა. სახლის უკანა ეზოში ჰერცოგი ფანჯრის მეორე ჩარჩოს ამაგრებდა. პამიდვრებს უკვე შეხებოდა პირველი ყინვა. ბალახი ხშირი და რბილი იყო და იმ განსაკუთრებული მშვენიერებით ბზინავდა, რომელსაც მაშინ იძენს ხოლმე, როცა ცივი დღეები დგება და დილ-დილობით მიწას აბლაბუდა ედება, ნამი სქელია და დიდხანს არ ქრება. პამიდვრის ღეროებსა და ფოთლებს მუქი მოეკიდა და წითელი ნაყოფი დასკდა.

მადლენი უკანა ფანჯრიდან შენიშნა, როცა იგი ჯუნის ლოგინში აწვენდა, მოგვიანებით კი აბაზანაში მოჩხრიალე წყლის ხმა გაიგო. ახლა სამზარეულოს კარებიდან ეძახდა ქალი. ტბიდან მოვარდნილმა ქარმა ჰერცოგის ხელში ჩარჩოში ჩასმული მინა აათრთოლა. ჰერცოგმა ფრთხილად მიაყუდა ჩარჩო აივანზე და ტილოს ხელთათმანები წაიძრო, თუმცა ბერეტი არ მოუხდია, თითქოს და იგრძნო, რომ დაუყოვნებლივ მოუხდებოდა სამოგზაუროდ გაშურება.

მადლენს საშინლად ხძულდა საკუთარი მანა, მაგრამ მოხუცი ტყუილად არ იყო ცნობილი

[1] В. В. Розанов, Семейный вопрос в России. С.-Петербург, 1903, стр. 426.

[2] იქვე, გვ. 427.

იმპრესარიო — ზოგჯერ ამერიკის სტანისლავსკიხაც კი ეძახდნენ. ქალი ამ ამბისთვის განსაზღვრული თეატრალური ნიჭით მოემზადა. შავი მაღალყელიანი წინდები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და ინდური ფარჩით გაწყობილი ლავანდის კაბა ეცვა, რომელიც ცენტრალური ამერიკიდან გამოიწერა. ოპალის საყურეები და სამაჯურები ეკეთა, სუნამო უცხო; თმები ახლებურად დაეკარცხნა, კობტად გაეყო შუაზე და დიდი ქუთუთოები მოლურჯო კოსმეტიკით უპრიალებდა. თვალები ლურჯი ჰქონდა, მაგრამ თეთრი გარსის ცვალებადი ელფერი უცნაურ გავლენას ახდენდა ფერის ინტენსივობაზე. ცხვირი, კობტა და სწორ ხაზად რომ ეშვებოდა წარბებიდან ოდნავ უთრთოდა ხოლმე, როცა ძალზე ღელავდა. ჰერცოგს ეხეც კი უყვარდა. მადლენისადმი მის სიყვარულში მორჩილების სურნელება იყო. და ვინაიდან ქალი მბრძანებლობდა, კაცს კი უყვარდა, უნდა შეგუებოდა ამ სურნელებას. ცოლ-ქმრის დაპირისპირება უსუფთაო სასტუმრო ოთახში ორი ხახის ეგოიზმით იყო წარმოდგენილი და ჰერცოგიც ახლა ნიუ-იორკში საკუთარ დივანზე წამოწოლილი ორივეს ჭვრეტდა. ქალის ეგოიზმი ტრიუმფი იყო (დიდი ამბისთვის მოემზადა, იმის გაკეთებას აპირებდა, რაც კარგა ხანია გულით სწადდა: მომაკვდინებელი დარტყმა), მისი ეგოიზმი კი მორჩილება, უმოქმედობაში გარდასახული. წამება, რომელსაც მოელოდა, დაიმსახურა; დიდხანს და საშინლად სცოდავდა; ყველაფრის ღირსი იყო. ეს იყო და ეს.

ფანჯარაში შუშის თაროებზე ვენეციური და შვედური პაწია ბოთლების დეკორაციული კოლექცია იდგა. სახლს მოჰყვა. სინათლით გამსჭვალულ ბოთლებს ახლა მზე დაუფლებოდა. ჰერცოგი ხედავდა ტალღებს, ფერად ძაფებს, სპექტრულ გადაშკვეთ ზოლებსა და განსაკუთრებით კი თეთრად აგიზგიზებულ უზარმაზარ ლაქას კედლის შუაში მადლენის ზემოთ. ქალი ამბობდა, „ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება".

მისი სიტყვა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. წინადადებები გამართული იყო. ეს მონოლოგი წინასწარ დაემუშავებინა და როგორც ჩანდა ჰერცოგიც კარგა ხანია ელოდებოდა სპექტაკლის დაწყებას.

მათი ქორწინება დიდხანს ვერ გასტანდა. მადლენს იგი არასოდეს უყვარდა. ამას ეუბნებოდა ცოლი ქმარს. „გულსა მტკენს იმის თქმა, რომ არასოდეს მყვარებიხარ. არც არასოდეს მეყვარები". სთქვა მან. „ახე რომ, ერთად ყოფნა უაზრობაა".

ჰერცოგმა სთქვა: „ძალიან მიყვარხარ, მადლენ".

მადლენის ღირსება, ბრწყინვალება, გამჭრიახობა ნელ-ნელა გაიზარდა. სახეზე ხახხასა ფერი დაედო, წარბები და ხიზანტიური ცხვირი ზევით აეწია, აუმოძრავდა, ლურჯი თვალები უფრო მშვენიერი გაუხდა იმ ალმურის გამო, მკერდიდან და ყელიდან რომ ამოდიოდა და ნელ-ნელა მუქდებოდა. ინტელექტის აღტყინებამ მოიცვა. ჰერცოგს აზრად [illegible] რომ მადლენმა ისეთი მწარე [illegible] ისე სრულად დაიყორა ამპარტავნობა, რომ გონებრივი უნარი პირთამდე აევსო ძალღონით. მიხვდა ,ქალის სიცოცხლის უდიადესი წუთების მოწმე ხდებოდა.

„ნუ შეელევი ამ გრძნობას", სთქვა მადლენმა. „მჯერა ნამდვილია. ნამდვილად გიყვარვარ. ვფიქრობ, ისიც გესმის რა დამამცირებელია ჩემთვის დამარცხების აღიარება ამ ქორწინებაში. ყველაფერი შევწირე მას. ოჯახის დანგრევამ გამანადგურა.

გაანადგურა? არასოდეს ჰქონია ამაზე საუცხოო გამომეტყველება. იყო თეატრის ელემენტი ამ გამომეტყველებაში, მაგრამ ღვარძლი გაცილებით სჭარბობდა".

ფორმისა და შინაარსის ურთიერთშელწევის ანალიზი ისეთ მხატვრულ ნაწარმოებში, როგორიც „ჰერცოგია", სადაც ავტორის ხმა თითქოს და რაღაც განსაკუთრებულ რიტმულ მონაკვეთებში ერწყმის მთავარი გმირის ხმასა და განწყობილებას, სადაც ყველაფერი ერთ წელიწადში, ერთ კაცში იყრის თავს, ავტორის ხულის გაგებისა და განმარტების ცდუნებას იწვევს ჩემში. მინდა აღმოვაჩინო შემოქმედის ცხოვრების გაბატონებული იდეა, მისი ყოფიერების უღრმესი არსი ,მისი შინაგანი ჭვრეტა და პათოსი. ვფიქრობ, რომ კირკეგორეს აფორიზმი: „ქალი იტანჯება და შვილებს შობს, კაცი კი ტანჯვაში ბადებს აზრებს"[1] ეხმიანება რომანში განვითარებულ ზოგიერთ დებულებას. ხოლ ბელოუს ქალი „ჰერცოგში" კირკეგორისეული ქალის ანტი-იდეაა. ეს ის თანამედროვე დედაკაცია, რომელიც კაცმა შეაცდინა, ემანსიპაციით გარყვნა და რაღაც ნახევარ-ადამიანად აქცია. დანაშაულის თავი და თავი ისევ კაცია, ვინაიდან „ამ მჭადაგებელმა თვითონ არ იცის, რას ხრადის; თვითონ აკლია ვაუკაცურობა და იმის მაგივრად, რომ შეიძინოს ეს თვისება, ცდილობს ქალიც გააფუჭოს; რჩება რა თავისებურ ნახევარ-კაცად მას უნდა ქალიც აქციოს ამ სიმახინჯედ".[2]

და აი, კაცს, ჩვენთან მოშე ჰერცოგს, თავად

---

[1] Серен Киркегор. Наслаждение и долг, С.-Петербург, 1894, стр. 394.

[2] იქვე, გვ. 395.

უბდება პასუხისგება ჩადენილი დანაშაულისათვის. დგას ახლა იგი განათლებული დედაკაცის წინ მორცხვად, მარტოხული ფრინველი ლამეულ მდუმარებაში, არავის ეხმის მისი ხმა ცხოვრების ხმაურში, უსახრულია მისი სევდის მჭევრმეტყველება... მადლენის მიერ ევროპიდან გამოწერილი ძვირფასი კაბებისა და სამკაულების საფასურის გადახდა კი ისევ ჰერცოგს უხდება, ვინაიდან ანგარიშსწორების ჩეკები კვლავინდებურად მის სახელზე მოდის. ბინის ქირასაც თვითონ იხდის, თუმცა კარგა ხანია იქ მადლენი ცხოვრობს პატარა ჯუნითა და საყვარლით, ვალენტინ გერზბაჩით...

ეძღვნიასტეში ვკითხულობ: «Во многой мудрости много печали; и кто умножает познания — умножает скорбь». (I, 18). თითქოს და ჰერცოგზე იყოს ნათქვამი! მის ტანჯვას ახლა ისიც ემატება, რომ წერილით ატყობინებენ, თუ როგორ ჩაკეტა ვალენტინ გერზბაჩმა მისი ქალიშვილი მანქანაში, რათა მადლენთან ჩხუბის სცენას მოერიდებინა. ბავშვი დიდხანს იყო ჩაკეტილი .შეშინდა. ტირილით აიკლო იქაურობა. მეზობლებმა ბევრი ვერაფერი უშველეს.

ემვიანობა ნაწვიათ ცივილიზაციის ხანთელზე, მკვარტლიანი, ბნელი, მტკივნეული, ამბობს როზანოვი. იქ, სადაც ემვია, სიყვარული არ არის, არის მხოლოდ თავმოყვარეობა.[1] ცივილიზებულსა და გონიერ მოშე ჰერცოგს თავში არასოდეს მოსვლია ცოლისა ან ცოლის საყვარლის მოკვლა. მოკვლა კი არა და ცემაც არ იკადრა ქალისა. მაგრამ ახლა, როცა საქმე ბავშვის დაჩაგვრაზე მიდგა, მტკიცედ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა დამნაშავე. ღამე ჩუმად, შეუმჩნევლად შევიდა ეზოში. შვილის ნახვა მოუნდა. აბაზანიდან წყლის ჩხრიალი მოესმა. ჰერცოგი ცემენტის ბლოკზე შედგა და ფანჯრიდან წყლის ჭავლის ქვეშ, მცურავ სათამაშოებს შორის, საკუთარი ქალიშვილის ელექტროშუქით განათებული სხეული დაინახა: „მისი შვილი! მადლენს ჯუნის შავი თმები უფრო გრძლად მოეშვა და რეზინის ყაითნით შეეკრა. ჰერცოგი სინაზით დაილია. პირზე ხელი მიიდო, რათა ჩაეხშო ემოციით გამოწვეული ყოველგვარი ხმა. გოგონამ პირისახე ასწია, რათა ვიღაცას დალაპარაკებოდა. ჰერცოგმა ვერ დაინახა — ვის...

მერე უცნობის ხელმა ონკანი ჩაკეტა — კაცის ხელმა. გერზბაჩი. ჰერცოგის ქალიშვილის დაბანვას აპირებს! ახლა მისი წელიც გამოჩნდა... ჰერცოგმა დაინახა, როგორ აიკაპიწა გერზბაჩმა ქიშმირის ხპორტული პერანგის სახელოები ,როგორ გადაიწია უკან ხშირი კაშკაშა თმა, როგორ აიღო ხაპონი და როგორ უთხრა ჯუნის კეთილად: „კარგი, მორჩი მაიმუნობას", ვინაიდან ჯუნი ხითხითებდა, იგრიხებოდა, წყალს აჩეფუნებდა, აკავლებდა, პატარა თეთრ კბილებს კრეჭდა, ცხვირს მანკავდა, ცელქობდა. „ახლა დაწყნარდი", — თქვა გერზბაჩმა. ბავშვი წიოდა. მაგრამ გერზბაჩმა ნელით გამოუწმინდა ყურები და ნესტოები, [illegible] ხანე, გადაუწმინდა პირი. მბრძანებლურად, მაგრამ კეთილად ლაპარაკობდა და ბუზღუნითა და ღიმილით, ზოგჯერ კი სიცილით აბანავებდა — ხაკნიდა, ისევ ბანდა, სათამაშო ნავებს წყლით ავსებდა და ზურგზე ასხამდა. ბავშვი კი კიოდა და წრიალებდა. ნაზად ბანდა კაცი ბავშვს. შეიძლება გამომეტყველება ხელოვნური ჰქონდა. მაგრამ მას ხომ საერთოდ არა აქვს ბუნებრივი გამომეტყველება, გაიფიქრა ჰერცოგმა. სახე ძორძოხა ჰქონდა, — ვნებით გაულენთილი ხორცი, მკერდგადაღეღილი პერანგიდან ბანჯგვლიანი, მძიმე, რბილი სხეული მოუჩანდა. ნიკაპი ზორბა ჰქონდა, ქვის ნაჯახის მსგავსი, უხეში ნარალი. აქვე იყო მისი გრძნობიერი თვალები. თმის ხშირი ფაფარი და ძლიერი ხმა, მისთვის ჩვეული უცნაური გაიძვეროობითა და უხამსობით. ყველა ნაკვთი და ნიშანი, ჰერცოგს რომ სძულდა, თვალწინ ჰქონდა. მაგრამ დაბე, როგორ ეჭცევა ჯუნს, როგორ ასხამს ჩამჩით წყალს მხიარულად, კეთილად. თავზე დედამისის ყვავილებ-ამოტვიფრული ქუდი დაახურა; რეზინის ყვავილის ფურცლები ბავშვს თავზე გადაეკიმა... გერზბაჩმა ისევ მოუშვა ონკანი, რათა სუფთა წყალი გადაეღვარა ჯუნისთვის, მძიმედ წამოდგა და აბაზანის პირსახოცი გაშალა. ბავშვი ჯერ დინჯად და გულმოდგინედ გაამშრალა, მერე კი დიდი ბუმბულათი პუდრი წაუსვა. ჯუნიმ სიამოვნებისგან ხტუნვა დაიწყო. „გეყო გიჟობა", თქვა გერზბაჩმა, „ახლა პიჟამო ჩაიცვი".

ბავშვი გაიქცა. გერზბაჩის დაბრილ თავზე ისევ ლივლივებდა პუდრის თხელი ფოშფოში. მისი წითელი თმა ადი-ჩამოდიოდა. გერზბაჩი აბაზანას წმენდდა. ახლა შეეძლო მოშეს მისი მოკვლა. მარცხენა ხელით იარაღს შეეხო. იარაღი რუხულ ფულში იყო გახვეული. შეეძლო ესროლა გერზბაჩისათვის, როცა იგი გულმოდგინედ უსვამდა მართკუთხა ყვითელ ლრუბელს სადეზინფექციო ფხვნილს. რევოლვერში ორი ტყვია იყო...

მაგრამ ორივე იქვე დარჩება. ჰერცოგმა ეს კარგად იცოდა. ძალზე ფრთხილად ჩამოვიდა იგი თავისი ქანდარიდან და უხმოდ გადაკვეთა ეზო. სამზარეულოში შვილი დაინახა; ბავშვი დედას რაღაცას ეკითხებოდა, ჰერცოგი კარებიდან ვიწრო ჭუჩაში გავიდა. რევოლვერის გასროლა მხოლოდ გაფიქრება იყო".

[1] Семейный вопрос в России, стр. 513.

სენეკას მინდა დავესესხო ერთი ამბავი ძველების ცხოვრებიდან. ერთხელ, როცა სტილპონის მშობლიურ ქალაქს მტერი დეპატრონა, როცა ცოლ-შვილი ამოუჟლიტეს, თვითონ კი რაღაც ხახწაულით გადაურჩა სიკვდილს და ცეცხლის ჯოჯოხეთს თავი დააღწია, დემეტრემ, რომელსაც უამრავი ქალაქის განადგურების გამო პოლიორქეთი შეარქვეს, ჰკითხა, რაიმე ხომ არ დაგიკარგავსო. ამაზე სტილპონმა უპასუხა, რომ მთელი მისი ავლა-დიდება მასთან იყო. „აი, უშიშარი და მტკიცე ადამიანი, ამბობს სენეკა, გამარჯვებულიც კი დაამარცხა". მან სთქვა, რომ არაფერი დაუკარგავს და აიძულა მტერი ეჭვი შეპარვოდა საკუთარ გამარჯვებაში. „მთელი ჩემი ავლა-დიდება ჩემთანაა" — ჩემთანაა სამართლიანობა, სიკეთე, სათნოება, გონივრულობა, თვით უნარი იმისა, რომ არ ჩავთვალო სიმდიდრედ და კეთილდღეობად ის, რისი წართმევაც შესაძლებელია.! ადამიანები გაოცებით შესცქერიან სალამინდრას, როცა ის უვნებელი გამოდის ცეცხლიდან. მაგრამ განა გაცილებით უფრო საოცარი არაა ის, რომ მოშე ჰერცოგი არ გაამხეცა, არ გააბოროტა, არ აქცია მკვლელად ღალატმა, ტკივილმა, უსაზღვრო დამცირებამ, აღვირახსნილმა თვითნებობამ, ცილისწამებამ და აბუჩად აგდებამ?! სიკეთე მასშია და ამ სიკეთეს მას ვერაფერი წაართმევს. ჰერცოგს, გონიერსა და კეთილს, სტოიკის მსგავსად საკუთარი თავის გარდა არავინ სჭირდება. „აქაა მისი ბედნიერების ზღვარი". ეს კრედო არა მარტო „ჰერცოგის" ძირითადი იდეა უნდა იყოს, არამედ მისი ავტორის მთელი ცხოვრების შინაგანი ჭვრეტა და პათოსიც.

სიკეთე ჰერცოგის, სიძულვილი მადლენის ცხოვრების უძლიერესი ელემენტია, გაცილებით უფრო ღრმა, გაცილებით უფრო ორგანული, ვიდრე სხვა რაიმე იმპულსი ან კრედო. ორივე ელემენტისთვის სოლ ბელოუ შეხატყვის ენობრივ გამოხატულებას პოულობს. ჰერცოგის ფილოსოფიურ მედიტაციებს არც სილრმე აკლია, არც პოეტური ჰაეროვნება. სიგნებს კი მის გარშემო, ხაგანთა სამყაროს ფერს, ფორმას ,სუნსა თუ სიმკვრივეს გამოსახვის ლაკონურობა, სიტყვის ზუსტი და დროული გამოყენება მძლავრ ცხოველმყოფელობას ხძენს. ამიტომ არის, რომ ზოგი ეპიზოდი, ზოგი სიტუაცია რომანში სიმბოლური ექსპრესიულობით და სიმბოლური ობერტონებით ელერს: „დაფერდებულ ბოდვეის მძიმედ აწვა ზაფხულის ჩრდილი. ტროტუარზე ნახმარი მაგიდები და მბრუნავი სკამები, ძველი მწვანე, აკვარიუმისფერიანი, კამიანი მწნილის ფერი დოკუმენტის შესანახი ყუთები გამოეტანათ. აგერ ფინანსური ნიუ-იორკიც გამოჩნდა, მოწყენილი და უმზეო... პუერტო-რიკელი ტაქსის მძღოლი ისევ უბედობდა. როცა ჰერცოგმა ფული გადაუხადა, [illegible] ხანია ადარ უსმენდა, მაგრამ მექანიკურად / და მხიარულად პასუხობდა, წაიბურტყუნა, [illegible] ორატორული თავაშვებულებით: „მოგიყვანს ცხოვრებას, პროფესორო".

„ნახვამდის, ვალდეპანას".

ჰერცოგმა სასამართლოს დიდ, ნაცრისფერ შენობას მიაპყრო მზერა. მტვერი ტრიალებდა კიბის ფართო საფეხურებზე, ქვა გაცვეთილიყო. ჰერცოგი კიბეს აუყვა. საფეხურზე ქალის მიერ დაგდებულ იების კონას მოჰკრა თვალი. ბატარძალს თუ დაუვარდა. ცოტა სურნელი შერჩენოდა იების კონას, მაგრამ მან მასაჩუსეტი — ლუდევილი გაახსენა. ახლა იქ ფართოდ გაშლილი ტუის ყაყაჩოებია, ვასმინის ხუჩკები სურნელებას აფრქვევენ. მადლენი ტუალეტის ოთახს იახამნის დედორანტს აშხეფებდა ხოლმე. ჰერცოგს მოეჩვენა, რომ იებს ქალის ცრემლების სუნი ხდებოდა"...

თუკი ჟუნის ბანობის სცენაში (უდიდესი მხატვრული ძალის ხიმბოლურ ეპიზოდში) ჰერცოგის ხაქციელს „ზე-მე" (სუპერეგო) განსაზღვრავს, თუკი აქ სიკეთე, შემწყნარებლობა ადამიანების მორალური იმპერატივის დიქტატში მეფეობენ: „არ მოკლა კაცი. კეთილი რომაა ბავშვის მიმართ"! ჰერცოგისა და მადლენის დაცილების სიტუაციაში და განსაკუთრებით კი იების არომატის ქალის ცრემლებთან შედარებისას მის მოქმედებასა და განწყობილებას აშკარად „იგი", არაცნობიერი, ბიოლოგიურ ლტოლვათა ხფერო განაპირობებს. თითქოს ჰერცოგის ძვლის ტვინში დაედოს ბინა შეწყნარებლობისა და ბოროტების წინააღდეგობის იდეასა თუ ინსტინქტს („ტილოს ბელთათმანები წაიძრო, თუმცა ბერეტი არ მოუხდია, თითქოს და იგრძნო, რომ დაუყოვნებლივ მოუხდებოდა სამოგზაუროდ გაშურება"), თითქოს ადამიანის, ქალის, ცოლის სიყვარულს მას „მე", ეგო კი არ კარნახობს, არამედ ბიოლოგიურ ლტოლვათაგან მომდინარე თვითმყოფადობა შობს. ტკივილიცა და სიხარულიც, სიკეთეცა და ბოროტებაც, ღალატიცა და ერთგულებაც, ხევდაცა და სიხარულიც მშვენიერი, ესთეტიკურად გამართლებული ენობრივი ჭსოვილიდან ამოიზრდება. ქალის ცრემლებს საერთოდ არა აქვს არავითარი სუნი და მისი იების არომატთან გაიგივება და შედარება უდავოდ გაუცნობიერებელი, იმპულსური, ინსტინქტური გადაწყვეტილების შედეგია. ამ ენობრივ ხაბეს მეტაფორული აზროვნების უდიადეს

---

[1] Сенека. Нравственные письма к Люцилию. М., стр. 17—18.

ნიშუშად ვთვლი. მისი თავისთავადი, დამოუკიდებელი მხატვრული ძალა (შორეული ასოციაციები, მოულოდნელობის მაღალი ხარისხი, პირველადი ესთეტიკური მნიშვნელობა და სხვ.) კიდევ უფრო იზრდება გარემომცველი ენობრივი კონტექსტის გამო. კარგია ქალაქის სხარტი, ლაკონური და ზუსტი დახასიათება: დაფერდებულ ბროდვეიზე გაწოლილი ზაფხულის მძიმე ჩრდილი; ეპითეტები აკვარიუმისფერი, კამიანი მწნილის ფერი (ორიგინალში უკეთესად ჟღერს — aquarium green, dill — pickle green) საქმიანი ნიუ-იორკის ჩაფიქრებული (მოწყენილი), უმზეო უბანი; ელიფსური წინადადება: წამიერად სასეირო, ორატორული თავაშვებულება; ვულგარული: მიაწექ ცხოვრებას, პროფესორო; ლუდევილის პეიზაჟის გახსენება, წარმოდგენა, აღწერა. საერთოდ „ჰერცოგში" პეიზაჟის, ბუნებისა თუ ქალაქის ჩანახატებს არა მხოლოდ თავისთავადი მხატვრული ღირებულება აქვთ, არა მხოლოდ პაუზის, შეხვენების, ამოხუნთქვის საშუალებას აძლევენ მკითხველს დრამატული ვითარების, პოლემიკის, განსჯისა თუ ცნობიერების ნაკადის კონტექსტში, არამედ, ხშირად, ურთიერთმოქმედებენ რა მოქმედი პირის, პერსონაჟის, მთავარი გმირის განწყობილებასთან კეთილშობილსა და კეთილმყოფელ შარავანდედში ახვევენ მას. სოლ ბელოუს მიერ „ჰერცოგში" განვითარებული ხტილი მე კონცენტრირებული წრეების სახითა მაქვს წარმოდგენილი. უმცირესი წრე საკუთარ თავში იკეტება, უდიდესი მოიცავს ყველა ზომის წრეს, ანუ რომ ყველაფერი აუცილებლობის კანონითაა ერთიმეორესთან დაკავშირებული. ერთი წრე მთელი ნაწარმოებია. იგი რომანის პირველი წინადადებით, პირველი სიტუაციით იწყება და უკანასკნელი სიტყვითა და უკანასკნელი ეპიზოდით მთავრდება. თუკი დეტალი, ვთქვათ, „ალბალგათლილი კიტრისფერი თვალები", უმცირესი წრეა, „ჰერცოგის" პირველი და უკანასკნელი პარაგრაფები, შინაარსობრივად, ლოკალით, განწყობილებით, პათოსითა და იდეით უდიდეს წრეს ქრავენ:

„ჰერცოგმა შავგვრემანი პირისახე ისევ სახლისკენ მიაბრუნა. მერე გარს შემოუარა და წინა კარებიდან შევიდა. ცდილობდა გაეგო საგიუეთში მკურნალობაზე უარის თქმის გარდა თუ ჰქოდა კიდევ რაიმე საბუთი, რომ სალ ჰკუაზე იყო. იქნებ წერილების წერას შეწყვეტს? დიახაც რომ შეწყვეტს. წერილებს ბოლო მოეღება. ჯადო, ჰერცოგი რომ უკანასკნელ თვეებში მონუსხა, სინამდვილეში კარგავდა ძალას. სინამდვილეში ილეოდა. ჰერცოგმა ჭუდი ვარდებთანა და დღის შროშანებთან ერთად ნახევრად შელებილ როიალზე დადო და სამუშაო კაბინეტში შევიდა. ცალ ხელში წყვილი კვერთხის მსგავსად ღვინის ბოთლები ეჭირა. ჩანაწერებსა და ქაღალდებს გადაბიჯა და რეკამიეს ტახტზე წამოწვა. მერე გაიჭიმა, ბაერი ღრმად შეისუნთქა და ბვიარა მცენარის მიერ მორეულ ყალუზს მიაშტერდა. ესმოდა როგორ ფეხაკრეფით იატაკს მსახური ქალის ცოცები. ქალი მტვერს აყენებდა. უნდოდა [illegible] ბინის იატაკზე წყალი მოესხურა. [illegible] ოთახში უსაყვედურებდა კიდეც: „დანამე იატაკი. მისიზ ტედლ. ბაკანში საკმარისი წყალია". მაგრამ ახლა დუმდა. ახლა არაფერი ჰქონდა სათქმელი. ახლა სიტყვები გამოელია'

შესანიშნავი ფინალი, უნიკალური კომპოზიციური ჭარგვა, დასვენილი, ნატიფი, იმედის მომცემი. ავტორი მარტო სტოვებს თავის გმირს იმ გარემოში, რომელშიაც წარმოგვიდგინა და მკაცრი თვითანალიზის შედეგად ათქმევინა, რომ უვარგისი შვილი, მამა, ქმარი, ძმა, მეგობარი და მოქალაქე იყო, რომ არც მეცნიერად ვარგოდა, არც საყვარლად და რომ ცხოვრებაში ვერაფერს ვერ მიაღწია. სახიფათოა მარტო დარჩენილი უკეთური კაცი; ამ დროს ეუფლება ხოლმე მას განსაკუთრებული ძალით ბოროტი ზრახვები, ამ დროს უმზადებს იგი ხიფათს სხვებსა და საკუთარ თავს. ამ დროს ესტუმრება ხოლმე სამარცხვინო სურვილი, ამ დროს ამოდის ხოლმე მისი სულის ზედაპირზე ყველაფერი, რასაც შიში და სირცხვილი თრგუნავდა. სიმარტოვე ამძაფრებს კადნიერებას, აღვიძებს ავხორცობას, აცხარებს მრისხანებას.

მოშორებული ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებს, კოლეგებს, საზოგადოებას, თავის თავთან დარჩენილი მოშე ჰერცოგი კრიტიკულად აფასებს საკუთარი ცხოვრების გზას და სიკეთეს აძლევს უპირატესობას ადამიანებში, სულის სიმშვიდე რომ დაურღვიეს. თითქოს უჩვეულო, არაბუნებრივი ფაქტია, თითქოს არატიპიურსა და არარეალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ასეთი პოეტური ძალით შექმნილ სახეს, ანუ დამაჯერებლად, ცოცხლად წარმოდგენილ პერსონაჟს სოლ ბელოუს სამშობლოში პროტოტიპი უნდა ყოლოდა. როგორც მადონას იდეალი იყო ხელმისაწვდომი მხოლოდ შუა საუკუნეების იტალიელი ფერმწერისათვის, ვინაიდან იგი ყოველდღე ხედავდა მადონას ტიპს თავისი ქვეყნის მშვენიერსა და მომხიბვლელ ქალებში, ასევე მოშე ჰერცოგის უცნაური პორტრეტი გახდა ხელმისაწვდომი მხოლოდ სოლ ბელოუსთვის, ვინაიდან მის ნიჭსა და იდეალურ ქმნილებას მენატურე ჰყავდა თანამედროვე ამერიკაში.

მე შევიყვარე ეს პორტრეტი. ვაღიარე ესთეტიკურად, ვაღიარე ეთიკურადაც. ვაღიარე იმიტომ, რომ აღვიქვი იგი მთლიანობაში და

არა რაღაც ერთი განსაკუთრებული კუთხითა ან განსაკუთრებული, კერძო თვალსაზრისით.[1] ჰერცოგის მონუმენტური ფიგურა კი უამრავი კომპონენტისგან შედგება. იგი იმ წყალზე მდინარეს მაგონებს, მედიდურად რომ მოაქვს დიდ და პატარა მდინარეთა ხარკი. ლაღად მოაქანებს იგი ზვირთებს და მე, ვიცი რა მის უთვალავ მიტაცებებზე, ვერც ერთს ვერ ვადგენ ხელს, როცა გავცქერი მის გაშლილ სივრცეს...

რა ქმნის ადამიანს? შემთხვევა, მწერალს? ნიჭი და დიდსულოვნება, ჩაფიქრებული წიგნად, აკვიატებულ აზრად, მარადისობად. სოლ ბელოუს „ჰერცოგი" მკვდრეთით აღდგომაა. სადღაც ოცდამეერთე საუკუნეში შეწყდება მწერლის გულისცემა, მაგრამ მისი ნამდვილი მე, მოწყენილი და მხიარული, აღშფოთებული და მშვიდი, მოსაუბრე და მდუმარე განაგრძობს სიცოცხლეს წარწერების წარუშლელობაში.

1989

---

1 მხატვრული სახისა ან, თუნდაც ისტორიული პირის არა კომპლექსური, არა გლობალური არამედ ერთი კერძო, განსაკუთრებული ასპექტით, დეტალითა თუ თვალსაზრისით განხილვა არასოდეს გვაძლევს ობიექტურ სურათს. დეტალთა ურთიერთკავშირის, ეთიკურისა და ესთეტიკური ურთიერთშეღწევის, მთლიანობის უგულებელყოფას, მაგალითად, ბერტრანდ რასელი იქამდე მიჰყავს, რომ იგი „სერიოზულ" მორალურ ზადს პოულობს იესო ქრისტეს პიროვნებაში. იხ.: Б. Рассел, Почему я не христианин, М., 1958, стр. 22—25.

ნოდარ ნათაძე

რევოლუციის დიდი წინამორბედი

შარლ ლუი მონტესკიე დიდ ფრანგ განმანათლებელთა რიცხვს ეკუთვნის. იგი ერთი იმათგანია, ვინც არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას და კაცობრიობას საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება ასწავლა და, თუმცა არასდროს წამოსცდენიათ, საფრანგეთში მეფის ხელისუფლება დავამხოთო, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია მოამზადა. ვრცელი დარგი, რომელშიც მონტესკიეს აზრი ტრიალებდა, — სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, პოლიტოლოგია და ისტორია, ეკონომიზმი და კულტურის ფილოსოფია — მისი შექმნილი არ იყო. მას მყავდნენ დიადი წინამორბედნი. როგორიც იყვნენ პლატონი და არისტოტელე. მაკიაველი და თომას მორი, ჯამბატისტა ვიკო და ჯონ ლოკი. უფრო მეტიც. მრავალი საზოგადოებრივი პრინციპი და კონცეფცია, რომელიც მის ნაწერებში აზრის უთამამესი გაჭანების ნაყოფად ჩანს, არა მარტო გამოთქმული ჰქონდა მის რომელსამე წინამორბედს (ყველაზე მეტად — ლოკს), არამედ განხორციელებულიც იყო უკვე მის დროს ინგლისის ცხოვრებაში, რომელიც ინდუსტრიული განვითარებითაც და სოციალურითაც საფრანგეთს ერთი საუკუნით მაინც წინ უსწრებდა. მაგრამ თქმული ვერაფერს აკლებს მონტესკიეს, როგორც თეორეტიკოსის, ორიგინალობას და სიდიადეს. მისი ნააზრევი ხიბრძნის ზღვაა და ამ ზღვის ზედაპირს დიდად არ აჩნევია ის, რომ სხვადასხვა მხრიდან მრავალი წყალუხვი და მძლავრი მდინარე უერთდება. მონტესკიემ არა მარტო განავითარა, გაზარდა და განავრცო ის, რაც სხვათაგან მიიღო ან რაც მის დროს ევროპის ერთ განაპირა კუთხეში არსებობდა ან მხოლოდ ისახებოდა; მან არა მარტო ბრწყინვალე ლიტერატურული ფორმა მისცა ყოველივე ამას და იმდროინდელი ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის — საფრანგეთის კუთვნილებად გახადა, არამედ ახალ იდეებს სხვა სიღრმე და თეორიული ხიბუთიანობა მიანიჭა. ესაა მისი თეორიული ღვაწლი. ეს ახალი სოციალური და პოლიტიკური იდეები მან ნათელი და დამარწმუნებელი ფორმით საზოგადოებას თვალწინ დაუყენა როგორც გონების მიერ ნაკარნახევი უმაღლესი და უეჭველი ჭეშმარიტებები, რომლებიც ყოველი გონიერი ადამიანისაგან მოითხოვენ, რომ მათს ცხოვრებაში გატარებას ეცადოს. ესაა მისი ღვაწლი ისტორიის წინაშე, როგორც საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი შემამზადებლისა. ამ ჭეშმრიტებათა ძარღვი და საფუძველი თავისუფლების იდეა იყო — მუ. ქალაქეობრივისა. ანუ პირადისა, რაც ხელმწიფოს წინაშე პიროვნების თავისუფლებაში ვლინდება, და პოლიტიკურისა, რაც მდგომარეობს ადამიანის მონაწილეობაში ხელმწიფოს მართვის საქმეში.

ერთითაც და მეორითაც მონტესკიე თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის იდეური წინამორბედია. ამიტომაც იყო, რომ 1955 წელს მშვიდობის მსოფლიო ხაბჭომ ზეიმით აღნიშნა მისი გარდაცვალების 200 წლისთავი.

შარლ ლუი დე სეკონდა, ბარონი დე ლა ბრედი და დე მონტესკიე (1689-1755) დაიბადა ბრედის ციხე-დარბაზში, ქ. ბორდოს მახლობლად არც თუ მაღალი რანგის, მაგრამ არც თუ მცირე ფეოდალური გვარის წიაღში. პირველი განათლება მიიღო 1700-1705 წლებში, ისწავლა უუილის კოლეგიუმში, რომელიც პროგრესული სწავლებით გამოირჩეოდა, შემდეგ კი ბორდოს უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა სამართლის განხრით. 1708 წ. დაასრულა სწავლა და ადვოკატობა დაიწყო. ცოდნის სრულყოფის მიზნით პარიზში გადავიდა, მაგრამ 1718 წელს ბორდოში დაბრუნდა მამის გარდაცვალების გამო. 1718 წელს, ბიძის გარდაცვალების შემდეგ, მიიღო ბორდოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა, რომელიც ფაქტობრივად მემკვიდრეობითი იყო და, ძირითადად,

სამოსამართლო ფუნქციებს განაგებდა. მომდევნო წლებში გულმოდგინედ სწავლობდა რომის სამართალს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს: გეოლოგიას, ბიოლოგიას და ფიზიკას.

1721 წ. მონტესკიემ ანონიმურად გამოაქვეყნა „სპარსული წერილები" — წერილთა კრებული, რომელსაც თითქოსდა ევროპაში მოგზაური ორი სპარსი ერთმანეთს სწერს. ამ თხზულებაში ავტორმა დაუზოგავად გაამასხარავა ლუი XIV-ის დროინდელი ფრანგული საზოგადოება, მისი ყველა ფენა, ყველა რწმენა და ცრურწმენა. მონტესკიე ფეოდალურ-აბსოლუტისტური საფრანგეთის გესლიანი და გონებამახვილი კრიტიკოსია. აღმოსავლური დესპოტის პირობებში გაზრდილი ორი სპარსელის მიმოწერიდან ირკვევა, რომ საფრანგეთშიც, თურმე, იმაზე უკეთესი მდგომარეობა არ ყოფილა, ვიდრე მათ სამშობლოში. როგორც რაბლეისა და თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაზე გაზრდილი ფრანგი მკითხველის გემოვნება მოითხოვდა, „სპარსული წერილებიც" მოფრქვეულია უწმაწურობის ზღვარზე მდგომი ხალიხიანი ჰუმორით, რომელმაც მას, სოციალურ ხიმწვავეებთან ერთად, უდიდესი პოპულარობა მოუპოვა. ამ წიგნს კითხულობდნენ წინ, წიგნის დუქნებში, ქუჩებშიც კი. ერთი წლის მანძილზე ოთხჯერ გამოიცა. საყურადღებოა, რომ მას ერთნაირი კეთილგანწყობით შეხვდა ყველა, გარდა იმათი, ვისაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცენზორის მოვალეობა ეკისრებოდა — როგორც ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ფართო წრეები, ისე არისტოკრატიისა. წიგნი თამამი და გონებამახვილი არისტოკრატის კალმის ნებიერ თამაშად აღიქვეს და მეტი არაფრად — არისტოკრატისა, რომელიც თავს უფლებას აძლევს, იმაზე იოხუნჯოს და იმის სასაცილო ან აბსურდული მხარეები დაინახოს, რასაც მისი და მისი წოდების კეთილდღეობა ემყარება, რადგან იგი თავისი გონებითაც და თავისი მდგომარეობითაც უფრო მაღლა დგას უბირ ბრბოზე, რომელსაც წყობილების ყოველგვარი კრიტიკა აკრძალული აქვს.

„სპარსულ წერილთა" ავტორთა ვინაობა დიდ ხანს ვერ დაიმალა და მონტესკიემ სახელი გაითქვა. ამან უშველა პარიზის მაღალ საზოგადოებაში შესვლა, ყველაზე გამოჩენილ ინტელექტუალურ სალონთა მუდმივ სტუმრად გახდომა და მეფის კარის წრეებში შეღწევაც კი. მისი ინტელექტუალური ინტერესები ამ დროს ერთგვარ გაორებას განიცდის — ერთის მხრივ, იგი ბორდოს აკადემიის წინაშე გამოდის სერიოზული გამოკვლევით „ზოგადი ტრაქტატი მოვალეობათა შესახებ". მეორეს მხრივ, თავის ახალ ნაცნობთა გემოვნების შესაბამისად წერს გონებამახვილურ ნარკვევს ეროტიზმის თემაზე — „ბნიდის ტაძარს".

თუმცა არც მემკვიდრეობა ჰრგებია მცირე და 1715 წელს შერთული ცოლის მზითევმაც ნივთიერი მდგომარეობა დიდად გაუუმჯობესა, პარიზში ყოფნამ მწერლის ეკონომიკა შეარყია. 1726 წ. მან გაყიდა თავისი თანამდებობა ბორდოში (რაც მაშინ მიღებული იყო, რათა ძირითადად პარიზში დამკვიდრებულიყო. 1728 წ., მიუხედავად კარდინალ ფლერის წინააღმდეგობისა („სპარსულ წერილთა" ზოგი ადგილის გამო), გავლენიანი მეგობრების დახმარებით იგი საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. 1728-1731 წლებში იმოგზაურა ევროპაში განათლების გაფართოების მიზნით. განსაკუთრებით დიდხანს დარჩა ინგლისში და კარგად გაეცნო მის ინტელექტუალურსა და პოლიტიკურ წრეებს. პარლამენტის სხდომებსაც ხშირად ესწრებოდა. ამ ქვეყნის პოლიტიკურმა წყობამ, რომელიც იმ დროის ევროპის სხვა სახელმწიფოებისთვის წარმოუდგენელი იყო, წარუშლელი კვალი დატოვა მის გონებაში.

საფრანგეთში რომ დაბრუნდა, მონტესკიე ორი წლით თავის მამულში ჩაიკეტა სამუშაოდ. ეს მისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია. აქ მან დაწერა და 1734 წელს ამსტერდამში გამოაქვეყნა თავისი მეორე მთავარი ნაწარმოები „განაზრებანი რომის დიდებისა და დაცემის მიზეზთა შესახებ", სადაც ავტორის ძირითადი თეზისია, რომ რომის სიდიადის მთავარი მიზეზი მოქალაქეთა თავისუფლება იყო, მისი დაცემისა კი — ამ თავისუფლების დაკარგვა ან დათმობა მათ მიერ. ეს თხზულება სერიოზული ისტორიული გამოკვლევა იყო და საზოგადოებამაც მასში მხოლოდ მკვლევარისა და მეცნიერის განყენებული და უშუალო რეალობისაგან მოწყვეტილი სიბრძნე დაინახა. სამაგიეროდ „კანონთა გონში", რომელზეც მონტესკიემ, იქვე, თავის მამულში იმუშავა ოცი წლის მანძილზე და რომელიც მთელი მისი ცხოვრების ნაფიქრისა და ნაგრძნობის განზოგადება და თავმოყრა იყო, საზოგადოებამ იგრძნო აზროვნების ისეთი ძალა და როგორც ზნეობრივ, ისე მეცნიერულ პრინციპთა ისეთი სიმყარე, რომელიც ფეოდალური წყობის თვით საფუძვლებს უმიზნებდა და არყევდა მათ. როდესაც მონტესკიემ ეს შრომა დაამთავრა, იმ დროს კარგა გავრცელებული ტრადიციის თანახმად, მეგობართა წრე მიიწვია შინ მის მოსასმენად და აზრის გამოსათქმელად. მეგობრებმა ურჩიეს გამოქვეყნებისგან თავი შეეკავებინა. ავტორმა, საბედნიეროდ, არ შეისმინა მათი რჩევა და შრომა გამოაქვეყნა 1748 წელს ჟენევაში ორ ტომად. მართლაც, როდესაც მონტესკიემ თავისი უკვდავი თხზულება მკითხველს მიაწოდა,

მას ქებით კი აღარ შეხვდნენ, არამედ თავდაჭერილი სიფხიზლით. „საზოგადოება", ანუ საზოგადოების მაღალი ნაწილი, თითქოს ჯერ ზომავდა, უყურებდა, რა პოზიცია დაეჭირა ამ წიგნის მიმართ — უგულებელეყო იგი, მიეჩქმალა თუ შეეჩვენებინა. მაგრამ პოზიცია მაინც მალე გამოიკვეთა. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო წიგნის დევნის ფართო კამპანია, რომლის კულმინაციაც იყო ვატიკანის მიერ მისი შეტანა „ინდექსში" ანუ დაგმობილ წიგნთა სიაში. მანამდე, 1750 წელს მონტესკიემ გამოაქვეყნა თავისი ბრწყინვალე პასუხი კრიტიკოსებისადმი სათაურით „კანონთა გონის დაცვა". მტრულმა კამპანიამ ვერც მონტესკიეს სახელის, ვერც მისი პოპულარობის ზრდა ვერ შეაჩერა. მონტესკიე გარდაიცვალა 1755 წ., საყოველთაო პატივისცემით გარემოცული. ეს მოხდა საფრანგეთის რევოლუციამდე 34 წლით ადრე, როცა ასპარეზზე სულ ახალი ყაიდის ადამიანები — რევოლუციონერები, მონტესკიეს იდეების გულმხურვალე თაყვანისმცემელნი გამოვიდნენ, და ამ იდეათა პრაქტიკულ დამკვიდრებას შეუდგნენ.

მონტესკიეს აზროვნებას საზოგადოებრივ თემებზე მხოლოდ თეორიული ინტერესი კი არ კვებავს, არამედ მისი ეპოქის საზოგადოების ღრმა კრიზისის შეგნებაც.

მონტესკიეს დროს საფრანგეთის მოსახლეობა დაახლოებით 24 მილიონ სულს შეადგენდა. ამათში პირველ ორ წოდებას — თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას — მხოლოდ 450 ათასი ეკუთვნოდა. იმ დროის დაბალი ტექნოლოგიის კვალობაზე (მშრომელ კაცს იმაზე ბევრად მეტის შექმნა არ შეეძლო, ვიდრე თავის რჩენას სჭირდებოდა), გლეხობისა და ხელოსნების მასას ამ მცირე არამწარმოებელი მოსახლეობის შენახვაც კი უჭირდა, მით უმეტეს, რომ არისტოკრატიაში — როგორც საეროში, ისე სასულიეროში — ფუფუნების მადა ძალიან დიდი გახლდათ: მეფის სახახლის ზეიმები სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა; მეფეს ბერცოგები და მარკიზები ჰბაძავდნენ, იმათ — უფრო წვრილი აზნაურობა და ა. შ... ამის შედეგად მშრომელ გლეხობაშიც და ქალაქის მოსახლეობაშიც უკიდურესი სიღატაკე სუფევდა. ხალხს ხშირად ჭვავის პურიც არ ჰყოფნიდა წლის მანძილზე, ქოხში ხაწოლი და მაგიდა არ გააჩნდა. თუმცა ბატონყმობა, ანუ ბატონის საკუთრება გლეხის პიროვნებაზე, აღარ არსებობდა, მაგრამ არსებობდა უამრავი გამოსაღები, გადასახადი და ვალდებულება, მათ შორის დაუფარავად მძარცველურიც (მაგ. გლეხი ვალდებული იყო, საფქვავი მხოლოდ ბატონის წისქვილში წაეღო), რაც ექსპლოატაციას არა მარტო მძიმეს ხდიდა, არამედ დამამცირებელსაც.

ეს ეკონომიკური კრიზისი საფრანგეთისათვის მონტესკიეს დროს ახალი ამბავი არ იყო. მას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ კარდინალი რიშელიე, საფრანგეთის ფაქტობრივი მმართველი 1632-1642 წლებში, ამბობდა, „სამწუხაროდ ჩვენ ცხვრებს კი არ ვაჯრიხავთ, არამედ ვატყავებთო".

მესამე წოდების ნაწილი ბურჟუაზია იყო, — იმ დროს აღმავალი კლასი, რომელსაც კარგა მდიდარი ზედაფენაც ჰყავდა, არისტოკრატებზე არანაკლებად რომ შეეძლო ფულის ფლანგვა. მაგრამ არ ფლანგავდა სხვაგვარი მსოფლმხედველობისა და სხვაგვარი საცხოვრებელი პრინციპების გამო. ვაჭარსა და მრეწველ ბურჟუაზიას არსებული სახელმწიფო ხელისუფლება მისი საქმიანობის მარეგულირებლად ან თუნდაც მხოლოდ ექსპლოატატორად კი არ ეთვლინებოდა, არამედ მტაცებლად. სახელმწიფო ერეოდა წარმოებაშიც და ვაჭრობაშიც — ერეოდა მხოლოდ ანგარებიანი მიზნით, რომ რაღაც წამიერი მოგება გამოეძალა მეწარმისა და ვაჭრისაგან, რათა იგი წამსვე ფუფუნებაში გაეფლანგა. ამ ჩარევის ძირითადი ფორმა იყო აღებ-მიცემობის ან წარმოების ეკონომიკურად გაუმართლებელი შეზღუდვა ან პირიქით, ამდენივე გაუმართლებელი და დაუმსახურებელი შეღავათი იმისთვის, ვინც სათანადო თანხას გაიღებდა. ერთიც და მეორეც ეკონომიკურ თავისუფლებას არღვევდა და კაპიტალისტური განვითარების ბუნებრივ პროცესს დაბრკოლებას უქმნიდა. საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელსაც უკვე დიდი საშინაო და საგარეო საქმიანობა ჰქონდა გაჩაღებული, იბრძოდა იმ არტახებში, რომელიც მისთვის ფეოდალურ მონარქიას შეექმნა — იბრძოდა, მაგრამ ჯერ ოცნებაშიც ვერ მიდიოდა იმ აზრამდე, რომ ქვეყანაში სხვა წყობა იყო შესაძლებელი.

ასეთი შესაძლებლობის შეგნება ბურჟუაზიაშიც და ხალხის ფართო მასებშიც მხოლოდ გარედან — მოსახლეობის მოაზროვნე ფენიდან შეიძლებოდა შესულიყო და შევიდა კიდეც. ამ მოაზროვნე ფენამ გააცნო ხალხს, რომ სამეფო ხელისუფლებას დაქვემდებარებული ქვეყნების გარდა მსოფლიო ისტორია რესპუბლიკებსაც იცნობს და რომ მოქალაქეთა და ადამიანის ქველობა სწორედ იქ აყვავებულა უველაზე მეტად; რომ არსებობს არა მარტო აბსოლუტური მონარქია, როგორიც საფრანგეთი იყო ლუი XIV-ის დროიდან, არამედ კონსტიტუციურიც, სადაც მეფის ხელისუფლება შეზღუდულია; რომ ხალხს სახელმწიფო წყობის სხვადასხვა ფორმებს შორის არჩევანის უფლებაც აქვს და არჩევანის მოხდენის ძალაც.

ამ მოაზროვნეების — მათ შორის მონტესკიეს — დამსახურება იყო, რომ როდესაც საფრანგეთის რევოლუცია მოხდა, ფრანგმა ხალხმა თავის მმართველობის ფორმად **რესპუბლიკა** აირჩია და ხამოკალაქო ქველობის მაგალითებად რომაელთა ქველობა მიიჩნია.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა არგუმენტი, რაც მონტესკიეს აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ და კონსტიტუციურის სასარგებლოდ მოჰყავს, ან ყველა მისი გრძნობა, რომელიც ასეთი თეორიის წამოყენებისკენ უბიძგებს, იმ დროს პროგრესული კლასის — ბურჟუაზიის სულისკვეთებითაა განპირობებული ან მხოლოდ მეცნიერული აწონ-დაწონის შედეგია, ინგლისის მაგალითით შემაგრებული. ავტორის ამ განწყობილების შემუშავებაში ერთგვარი (თუმცა, არც ძალიან დიდი) როლი ითამაშა მის მშობელ არისტოკრატიულ წრეში ჯერ კიდევ ცოცხალმა შეხედულებებმაც, რომ ხელმწიფის მართვაში მეფე ანგარიშს უნდა უწევდეს თავადაზნაურობას, რომელიც მისი საყრდენია და ამავე დროს საშუალო საფეხურია მისა და ხალხს შორის, საზოგადოების ორგანიზაციის ქმედითი და აუცილებელი იარაღია. ავტორის მსჯელობაში გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფთა („კორპუსთა“,) როლზე მეფის ძალაუფლების ჯეროვან განხორციელებაში თავს იჩენს თავადაზნაურობის ამ ფუნქციის ხსოვნა, რომელიც ამ ფენამ მხოლოდ ლუი XIV-ის მიერ დამყარებული აბსოლუტიზმის პირობებში დაკარგა.

მონტესკიეს თეორიულ მემკვიდრეობაში სისტემური ხასიათი სამ მოძღვრებას აქვს: სახელმწიფო წყობის ფორმათა შესახებ, ძალაუფლებათა გაყოფის შესახებ და გეოგრაფიული გარემოს („კლიმატის“) როლის შესახებ საზოგადოების ცხოვრებაში.

მონტესკიე სახელმწიფო წყობის სამ ფორმას არჩევს: **რესპუბლიკას**, **მონარქიას** და **დესპოტიას**. რესპუბლიკა ისეთი წყობაა, რომელშიც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს ან მის რომელსაც ნაწილს. მონარქია ისეთი წყობაა, როცა სახელმწიფოს ერთი პიროვნება მართავს, მაგრამ მართავს კანონების მიხედვით, რომლებიც მასზე მაღლა დგანან და რომელთა წინააღმდეგაც იგი, რაც უნდა ძლიერ ეწადოს ან ესაჭიროებოდეს ეს, ვერ წავა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მონარქიაში მონტესკიე გულისხმობს **კონსტიტუციურ** მონარქიას, რომელიც მის დროს უკვე იყო მეტნაკლებად ჩამოყალიბებული ინგლისში, როგორც ინგლისის 1640-1660 წლების რევოლუციის შედეგი, როდესაც აჯანყებულებმა მეფეს ძალაუფლების უდიდესი ნაწილი დაათმობინეს პარლამენტის სასარგებლოდ. **დესპოტია** კი ისევ ერთის მმართველობაა, მაგრამ ისეთი, როცა კანონები არ არსებობენ, ან არსებობენ მხოლოდ ფორმალურად, და ის ერთი პიროვნება თავის მმართველობას ახორციელებს საკუთარი ხურვილისა და ინტერესებიდან მიხედვით და არა კანონთა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ მონტესკიეს კლასიფიკაცია არ ემთხვევა წყობათა — იმ დაყოფას, რომელიც მისი დროის აზროვნებისთვის ტრადიციული იყო: **დემოკრატიად** ანუ უმრავლესობის ძალაუფლებად („დემოს“ — ხალხი, „კრატია“ — ძალაუფლება), **არისტოკრატიად** ანუ უმცირესობის ძალაუფლებად („არისტოი“ — საუკეთესონი) და **მონარქიად** ანუ ერთის ძალაუფლებად („მონოს“ ერთი, „არხია“ მთავრობა, მეფობა). დემოკრატიასაც და არისტოკრატიასაც მონტესკიე ერთი და იმავე წყობის — რესპუბლიკის — ნაირსახეობებად თვლის, ხამაგიეროდ ერთის მმართველობაში ორ, პრინციპულად ხვადახვა ფორმას (მონარქიასა და დესპოტიას) არჩევს. მის თვალში ნაკლებ არსებითია ის, თუ ხალხის რა ნაწილს ეკუთვნის ხელისუფლება — უდიდესსა თუ უმცირესს, — ვიდრე ის, თუ როგორ ხორციელდება იგი — კანონთა მიხედვით თუ მათ გარეშე. მონტესკიე ამასაც კი ამბობს, რომ შეხაძლებელია დესპოტია ხორციელდებოდეს არა ერთი ადამიანის, არამედ ადამიანთა რაღაც გარკვეული სიმრავლის მიერ: მთავარია კანონების როლი და არა მმართველობის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა.

წყობის ორ პირველ ფორმაში რომელს ეკუთვნის ავტორის სიმპათია და რამდენად — რესპუბლიკას თუ მონარქიას? ეს ცოტა არ იყოს სათუთი საკითხია და მას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. მაგრამ ეს კი ხავსებით ნათელია, რომ მისი სიძულვილის მთელი ძალა დესპოტიაზეა მიმართული. დესპოტია ის წყობაა, რომლადაც გადაგვარდება მონარქია, თუ მას ხელს არ უწყობს მეფის პირადი ღირსებები — მისი სიკეთე, განსწავლულობა, ზრუნვა ქვეშევრდომებზე და სახელმწიფოზე და ა. შ. ან ქვეშევრდომთა ერთგულება თავისუფლებისადმი და მათი უნარი, რომ ძალმომრეობას წინააღმდეგობა გაუწიონ. მაგრამ ვინაიდან მეფის ასეთი მაღალი მორალური და ინტელექტუალური თვისებებით შემკულობა მხოლოდ შემთხვევითი თუ იქნება, — და, მით უმეტეს, წარმოუდგენელია, რომ ასეთი მაღალი თვისებებისა იყოს მეფეთა გრძელი ურთიერთმომდევნო წყება, ანუ მთელი დინასტია და დინასტიები, — მონტესკიეს კონცეფციიდან ბუნებრივი ლოგიკით გამომდინარეობს დასკვნა, რომ მონარქიის (ანუ კონსტიტუციური მონარ-

ქიის) მონარქიად შენარჩუნების პერსპექტივაც ფუჭია, თუკი ეს პერსპექტივა მხოლოდ მეფის თვისებებზე იქნება დამოკიდებული. ამგვარად, გადამწყვეტი უოფილა მეორე ფაქტორი — რომ ქვეშევრდომებს აღმოაჩნდეთ ის თვისებები, თავისუფლების ტრფობით დაწყებული, რაც მეფეს საშუალებას არ მისცემს დესპოტად გადაიქცეს.

ცხადია, ეს დასკვნა მონტესკიეს დროისთვის უაღრესად რევოლუციური იყო. იგი არა მარტო თვალწინ უშლიდა მკითხველს მონარქიული მმართველობის დესპოტიად გადაქცევის ფაქტობრივი აუცილებლობის პერსპექტივას და არა მარტო აიძულებდა მას, თვით განათლებული აბსოლუტიზმის წიაღშიც კი დესპოტიის ცალკეული ნიშნები დაენახა, არამედ იმის შეგნებასაც ანიჭებდა, რომ დესპოტიის ან მისი ცალკეული ნიშნების არსებობა მეფის გარდა ქვეშევრდომთა ბრალიცაა და რომ ეს უკანასკნელნი ამის გამო ბედს კი არ უნდა ემდუროდნენ, არამედ პირველ ყოვლისა თავის თავს.

ჩამოთვლილი სამი წყობა, მონტესკიეს შეხედულებით, თავ-თავისებურ ფსიქოლოგიურ პრინციპს ემყარება. უფრო ზუსტად, ეს ფსიქოლოგიური პრინციპები კი არაა, არამედ ადამიანის გულ-გონების რაღაცა გარკვეული უნარებია, რომლებიც ამა თუ იმ წყობის არსებობას შესაძლებელს ხდიან და მისი საყრდენი არიან. რესპუბლიკაში ასეთი პრინციპია ᲦᲕᲔᲚᲬᲝᲑᲐ (virtue, ქართულად ამ ცნებას ზოგჯერ „სათნოებადაც" თარგმნიან) — მაღალი მორალური თვისებები, როგორიცაა თავდადება, ვაჟკაცობა, პატიოსნება, ერთგულება, ხამართლიანობა, სიკეთე და ა. შ. თუ ადამიანებს ეს თვისებები არ ექნათ, რესპუბლიკა ვერ იარსებებს, რადგანაც მოქალაქეს სხვა ვერაფერი აიძულებს, რომ საკუთარი ინტერესები და ზოგჯერ სიცოცხლეც კი დათმოს, რათა საერთო ხაქმეს ემსახუროს. თქმული ეხება როგორც დემოკრატიას, ისე არისტოკრატიას. პირველში ეს თვისება სჭირდება მთელ ხალხს, რადგანაც თავისთავს და სახელმწიფოს მთელი ხალხი მართავს (თავის მიერვე დაყენებულ ხელმძღვანელთა მეშვეობით), მეორეში კი თუ მთელ ხალხს არა, მის იმ ნაწილს მაინც, რომელსაც ძალაუფლება აქვს და დანარჩენებს კანონთა მეშვეობით მართავს. ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ, რესპუბლიკისაგან განსხვავებით, მოქალაქეთა ქველობის გარეშეც გაძლებს, ვინაიდან ყველას მარეგულირებელი ნება აქ მოქალაქეებზე მაღლა დგას (იგი მეფეს ეკუთვნის) და მათ კანონების მეშვეობით მართავს. სამაგიეროდ მონარქიის პრინციპია ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ (honeur), იგივე ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲑᲐᲢᲘᲕᲘ, ანუ ის, რის მოფრთხილებახა და დაფასებახაც ადამიანის მიერ, თუკი ეს ადამიანი ამის გამო კეთილშობილურად და ზნეობრივად იქცევა, „თავმოყვარეობასა" და „სიამაყეს" ვუწოდებთ ხოლმე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს მოტივი ადამიანს ცუდი ან უფახური მოქმედებისაკენ უბიძგებს, — „ამპარტავნებას", „პატიუმოყვარეობას" და „კუდაბზიკობას". მონარქია მონტესკიეს თვალში ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ მონარქიაა, სადაც ტახტის გარშემო აზნაურობის მრავალრიცხოვანი ფენა განლაგებულა, რომელიც თავდადებით ემსახურება მას და ხახელმწიფოსთვის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი უსაფრთხოებისა და წესრიგის საყრდენს წარმოადგენს. ის წოდება, რომელსაც ზემოხსენებული ღირსება — ნამდვილიცა და ხხვადასხვა ჯილდოებსა და წოდებებში განსახიერებულიც — სიცოცხლეს და ქონებას ურჩევნია, რა თქმა უნდა, ე. წ. კეთილშობილთა კლასია ანუ თავად-აზნაურობაა. მის ამ თვისებას მონტესკიე, ერთის მხრივ, დიდი მოწიწებით იხსენებს და მასზე მსჯელობის დროს ღირსების მაძიებლობის გამო გადადგმული კეთილშობილური ნაბიჯების ამბავს იმოწმებს. მაგალითად, გადმოგვცემს ერთი ფრანგი ხარდლის ამაყ პასუხს საფრანგეთის მეფისადმი, რომელმაც მას ადგილობრივ ბუგენოტთა გაწყვეტა მოსთხოვა: ჩემი ხელქვეითები ჯარისკაცები არიან და არა ჯალათებიო. მეორე მხრივ, იგივე თვისება ავტორისთვის ლმობიერი ირონიის ხაგანიცაა, როდესაც ამბობს, რომ ამ წოდებაში ქონების გაფრთხილება ყველას ბუნებრივ მისწრაფებად მიაჩნია, ხოლო სიცოცხლის გაფრთხილება ხამარცხვინოდ ითვლება. ამგვარად, მონტესკიეს ემოციური დამოკიდებულება როგორც ამ კლასისადმი, ისე მონარქიისადმი საერთოდ ორგოფულია: იგი სიმპათიურიცაა და კრიტიკულიც. და თუ რესპუბლიკა მის თვალში ესოდენ მაღლა დგას, ვერც იმას ვიტყვით მაინც სრული რწმენით, რომ მისი სიმპათიები ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ამ წყობას ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება ᲓᲔᲡ�პᲝᲢᲘᲐᲡ („დიასპოტეს" — ბატონი, ხახლის უფროსი), მისი პრინციპია ᲨᲘᲨᲘ. იგი შიშზეა დაფუძნებული და მასში შემავალი ადამიანებისაგან მხოლოდ ის მოქმედებაა მოსალოდნელი და შესაძლებელი, რასაც ერთთ შიში უკარნახებს, მეორეთ კი სხვებისათვის შიშის ჩანერგვის სურვილი. იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში სხვა ავტორი, რომელსაც ისე მძაფრად და ისეთი ღრმა ანალიზის მოშველიებით გაეშათრახებინოს მმართველობის ეს ფორმა ,როგორც მონტესკიეს.

მმართველობის ამ ფორმებს რომ ეხილავს, მონტესკიეს მეცნიერის პოზიცია უჭირავს და არა შემფასებლის ან მამხილებლისა. იგი ხშირად წერს, ამა და ამ წყობას ესა და ეს ესაჭიროება, ამა და ამ წყობის დროს ესა და

ეს უნდა ხდებოდესო — მაგალითად, დესპოტიის დროს ადამიანებს ყოველ წუთს სიცოცხლის დაკარგვის საფრთხე უნდა ელოდეთ, ხელისუფლების განკარგულებათა კრიტიკის უფლება არ უნდა ჰქონდეთო და ა. შ., მაგრამ ავტორის ამ ობიექტივისტურმა კილომ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ამ მსჯელობით იგი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ, თუ ესა და ეს მოვლენა არ იარსებებს, წყობის მოცემული ფორმაც ვერ გაძლებს, და არა იმას, რომ ეს მართლაც საჭირო იყოს ადამიანის გონებისა და ზნეობის მოთხოვნათა თვალსაზრისით. ამ მოჩვენებითი ობიექტივიზმის მიღმა უძლიერესი ემოციური მუხტი, უდიდესი ანალიტიკური ძალა და სარკაზმი იმალება.

მონტესკიეს ხიბლავს ქველობა მისი უამრავი განშტოებითურთ, რომელმაც ანტიკური სამყაროდან ცნობილი მრავალი გმირობა წარმოშვა — სიმტკიცის, თავგანწირვის, პრინციპულობის მრავალი ამაღლებული ნიმუში შექმნა. ხიბლავს ღირსება და ხახელის ძიებაც, ეს ტიპიურად ფეოდალური თვისებები, რომლებიც მისი მშობელი ხაზოგადოების სული და გულია. მაგრამ ვინაიდან იგი მეცნიერია პირველ ყოვლისა და არა პოეტი, მის არჩევანს სხვადასხვა წყობათა შორის ვერ განსაზღვრავს მხოლოდ ამ უკანასკნელების პრინციპთა მიმზიდველობა ადამიანის გულისა და თვალისათვის, არამედ მან მხედველობაში უნდა მიიღოს მათი ის ობიექტური მიზანშეწონილებაც, რომელსაც გონება ადგენს. რომელია ის ობიექტური უპირატესობები, რაც მონტესკიესთვის ესოდენ ძვირფას ფორმებს — რესპუბლიკას და მონარქიას (ანუ კონსტიტუციურ მონარქიას) მისთვის საძულველ დესპოტიასთან შედარებით აქვთ? ამ უპირატესობათა შორის ავტორი, რაღა, თქმა უნდა, დაასახელებს მოქალაქეთა უსაფრთხოებასაც და კეთილდღეობასაც, ანუ მოცემული წყობის ეკონომიკურ ეფექტიანობას (მაგალითად, იტყვის, დესპოტიზმს დიდი დახასიათება არ სჭირდება: როდესაც ლუიზიანელ ველურს ნაყოფის შექმა ჰსურს, იგი ხეს ჭრის და ნაყოფს ისე წყვეტსო). მაგრამ პირველი და წამყვანი ხაზომი მისთვის მაინც თავისუფლებაა. ეს აზრი მონტესკიეს აზროვნების მთელ სისტემას გასდევს და ესეც ერთ-ერთი ძირითადი მომენტია, რომლითაც იგი საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედი გახდა.

ის, რომ თავისუფლება მართლაც უმაღლესია ადამიანისთვის მისაწვდომ ღირებულებათა შორის, ვერ დასაბუთდება. ეს უშუალოდ დასანახავი ჭეშმარიტება გახლავთ, რომელსაც ზოგი ხედავს და ზოგი — ვერა. მონტესკიესთვის ეს აზრი თავისთავად ცხად ჭეშმარიტებათა რიცხვს ეკუთვნის და სწორედ ამაში ემთხვევა ამ დიდი მოაზროვნის სულისკვეთება მომავალი მებრძოლი ხანკიულოტებისას, რომელთაც თავის სამშობლოსა და მის რევოლუციას მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვეს ოთხი-ხუთი ათეული წლის შემდეგ.

მონტესკიეს მეორე და მთავარი წვლილი თეორიული აზროვნების ისტორიაში ძალაუფლებათა გაყოფის თეორიის წამოყენება და დასაბუთება იყო. თუმცა ამაში წინამორბედიც ჰყავდა ჯონ ლოკის სახით, ეს თეორია ისტორიაში მაინც მონტესკიეს სახელით შევიდა იმ სიღრმითა და ისტორიული მასალის სიფართოვის გამო, რომლითაც მან მისი დამტკიცება სცადა.

ვერც ერთი სახელმწიფო წყობა, თავისთავად აღებული, ვერ იძლევა, მონტესკიეს აზრით, იმის გარანტიას, რომ ადამიანს თავისუფლება ექნება. ასეთი გარანტიის არსებობისათვის აუცილებელია ძალაუფლების იმგვარად მოწყობა, რომ იმას, ვის ხელშიც იგი არის, მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა ვერ მიეცეს და, შესაბამისად, საამისო ცდუნებაც ვერ გაუჩნდეს. ეს კი, ავტორის თანახმად, მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლების სხვადასხვა სახეობები განაწილებული იქნება სხვადასხვა ხელში იყოს საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლება და სამოსამართლო ხელისუფლება, რომელიც თვალს ადევნებს კანონთა შესრულებას და მათ დამრღვევებს სჯის. ეს სამი ხელისუფლება აწონასწორებს და აკავებს ერთიმეორეს, თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, მაშინ თავისუფლება ნებისმიერი ფორმის სახელმწიფო წყობის დროს დაიკარგება. რესპუბლიკაშიც კი შესაძლებელია, რომ ხალხს ძალაუფლება ჰქონდეს, ანუ ყველაფერს აკეთებდეს, რასაც მოინდომებს, მაგრამ თავისუფლება მაინც არ ჰქონდეს, არამედ ყოველი ცალკეული ადამიანი ყოველ წამს დანარჩენთა თვითნებობასა და მოპრიანებაზე იყოს დამოკიდებული, უმრავლესობის დაუსაბუთებელი და დაუფუძნებელი ნების სათამაშო იყოს. ეს დანარჩენები კანონსაც ისე დაადგენენ, როგორც ამ წუთს მოეხასიათებათ, თავის დადგენილს თვითონვე გაატარებენ ცხოვრებაში, როგორც უნდათ, და როგორც მათი სურვილისა და ინტერესის შესაფერი იქნება. მით უფრო მოხდება ეს მონარქიაში, სადაც მეფე კანონმდებელიც იქნება, კანონთა აღმასრულებელიც, ანუ მმართველი, და მოსამართლეც. ასეთი ვითარების შექმნის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ერთი გზა არსებობს: კანონმდებლის (ან კანონმდებელთა) მიერ დგინდებოდეს კანონები — ეს ხაყოველთაოდ

აუცილებელი, კონკრეტულად წარმავალ გარემოებათაგან დამოუკიდებელი საფუძველი ცხოვრებისა. შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებას ეს კანონები ხელთ ეძლეოდეს, როგორც მზა და შეუვალი, და, დასასრულ, არსებობდეს ცალკე სასამართლო უწყება, რომელიც არანაირად არ იქნება დამოკიდებული კანონმდებელსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, არამედ სუვერენულად განსჯის როგორც აღმასრულებლის, ისე მოქალაქის მოქმედების კანონებისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებობდეს საგოგადოებაში ის, რასაც მონტესკიე ნამდვილ თავისუფლებად მიიჩნევს — ის, რომ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა იმ მოქმედების შესრულებისა, რომლის შესრულებაც მას ჯერ არს, რომ ეწადოს, და არ იყოს იძულებული ის მოქმედება შეასრულოს, რომელიც ჯერ არს ,რომ არ ეწადოს, ანუ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანს იმის ქმნა უნდა შეეძლოს, რაც მართებულად მიაჩნია, და არ იყოს იძულებული ის ქმნას, რაც მართებულად არ მიაჩნია. იგივე პირობაა, მონტესკიეს აზრით, აუცილებელი იმის არსებობისთვისაც, რასაც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გულისხმობს „მოქალაქეობრივი თავისუფლების" ცნება — ადამიანთა სულიერი მშვიდობისათვის, რომელიც იმას ემყარება, რომ მოქალაქე დარწმუნებულია თავის უსაფრთხოებაში (წიგნი XI, თ. 6). მონტესკიე ხაზს უსვამს, რომ ამ სამი ხელისუფლების ერთსა და იმავე ხელში თავმოყრა თავისუფლებისთვის დამღუპველია იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვისი იქნება ეს ერთი ხელი — ერთი პიროვნებისა თუ დაწესებულებისა, რომელიც მოხელეთაგან, აზნაურთაგან ან უბრალო ადამიანთაგანაა შედგენილი. მონტესკიეს აზრით, მისი თანამედროვე ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ზომიერი მმართველობა სუფევს, რამდენადაც იქ პირველი ორი ხელისუფლება მეფეთა ხელშია, მესამე კი თვით მოქალქეებს აქვთ მინდობილი, თურქეთში, პირუკუ, სამივე ხელისუფლება სულთნის ხელშია, რის გამოც იქ უსაშინლესი დესპოტიაა გამეფებული.

„კანონთა გონში" გადმოცემული მესამე ძირითადი კონცეფცია ეხება ბუნების პირობების გავლენას მაცხოვრებელთა ხასიათზე, მიდრეკილებებზე და ტემპერამენტზე და, შესაბამისად, აქაურ ადამიანთა მიერ შექმნილი საზოგადოების რაგვარობაზეც. ამ მსჯელობაში ავტორი მექანიცისტური და ვულგარული მატერიალიზმის იმ ფორმისაკენ იხრება ისტორიის გაგებაში, რომელსაც „გეოგრაფიული მატერიალიზმის" სახელით ვიცნობთ. ამ მიმართულებითაც კი ავტორის მსჯელობა უფრო ცალმხრივია, ვიდრე გეოგრაფიული მატერიალიზმის თანმიმდევრულად გამტარებლისა შეიძლება იყოს. იგი ლაპარაკობს მხოლოდ ჰავისა და სხვა ბუნებრივი პირობების გავლენის შესახებ ადამიანთა ორგანიზმზე, მაგრამ არ ლაპარაკობს მათი გავლენის შესახებ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, მეტი ან ნაკლები შრომა დახარჯონ თავის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის — და მეტი ან ნაკლები ჭარბი პროდუქტი შექმნან. მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მონტესკიე არ ანიჭებს გეოგრაფიულ გარემოს გადამწყვეტ მნიშვნელობას ადამიანთა ისტორიული ცხოვრების წარმართვაში. მას კარგად ესმის, რომ ისტორიის ძირითადი ფაქტორები სხვაა, გარემოს ზეგავლენის ხფეროდ კი უფრო ზნეჩვეულებებსა და ყოველდღიურ ყოფას თვლის, ვიდრე ისტორიას ამ სიტყვის საკუთარი აზრით.

ამ სამი თემის გარდა სისტემური ხასიათი „კანონთა გონში", არსებითად, მხოლოდ ეკონომიკური თემისა და ფნაკული სამართლის წარმოშობის თემის განხილვა აქვს, მაგრამ ეს თემები კერძო გახლავთ და არც თავის დროზე, არც დღეს იმდენად საინტერესო არ ყოფილა და არ არის, რამდენადაც ამ წიგნში აღძრული სხვა საკითხები. „კანონთა გონის" მთავარი ღირებულება თავისი დროისათვის იმდენად ახალ სისტემატურად ჩამოყალიბებულ თეორიათა დასაბუთებაში არ იყო, რამდენადაც იმ აურაცხელ კერძო დაკვირვებებში საზოგადოების ცხოვრებისა და მისი მართვის მექანიზმებზე და ღრმა განზოგადებებისა და ანალიზებში ამ მიმართულებით, რაც ამ მსხვილტანიანი შრომის თითქმის ყოველ გვერდზეა უხვად მიმოფანტული. რევოლუციური იყო თვით ფაქტი საზოგადოების ,როგორც აუცილებელი ობიექტური კანონებისადმი დამორჩილებული მთელის, გააზრებისა და იმის ცდისა, რომ საზოგადოების საუკეთესო შეხაძლებლებელი წყობა მონახულიყო.

სხვა თემათაგან, რომელსაც ეს ვრცელი და მართლაც ენციკლოპედიური თხზულება ეხება, აქ ორსა შევეხებით: რელიგიისა და მონობისას.

განმანათლებელთა უმრავლესობის მსგავსად, მონტესკიე დეისტია, ანუ იმ მოძღვრების მიმდევარი, რომელიც აღიარებს ღმერთს, როგორც სამყაროს შემოქმედს, მის „პირველ ბიძგს", მაგრამ არ აღიარებს მას როგორც სამყაროს მმართველს. ამგვარად, ამ შეხედულების თანახმად, ბუნება არსებობს საკუთარი კანონების მიხედვით. ამგვარი რწმენა გზას უხსნის მეცნიერებას, როგორც ბუნების ობიექტური და რაიმე გარეშე ძალისაგან დამოუკიდებელი კანონების შესწავლას. ასეთი შეხე-

დულება, რა თქმა უნდა, მატერიალიზმი არ არის, მაგრამ უფრო ახლოა მასთან, ვიდრე რელიგიის ყველა ტრადიციული ფორმა.

მონტესკიეს არასოდეს გამოუთქვამს უარყოფითი დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი, მაგრამ ის პოზიტიურიც, რასაც იგი რელიგიის შესახებ ამბობს, მოწმობს გადაულახავი უფსკრულის არსებობას ერთის მხრივ ამ ავტორის შეხედულებებსა და მეორეს მხრივ, მორწმუნის ტრადიციულად მიღებულ შეხედულებებს შორის. მონტესკიეს მიაჩნია, რომ რელიგია განუზომელი მნიშვნელობის დადებით როლს თამაშობს დესპოტურ სახელმწიფოში, რამდენადაც იქ იგი ერთადერთი ძალაა, რომელსაც ძალუძს დესპოტს წინ აღუდგეს და მისი ნება არ შეასრულოს. ასე, მაგალითად, რომელსამე აღმოსავლურ ქვეყანაში დესპოტს შეუძლია თავის ქვეშევრდომს ყველაფერი წაართვას და ნებისმიერი მოქმედება ჩაადენინოს, თვით ყველაზე ამორალურის ჩათვლითაც კი, მაგრამ ვერ აიძულებს ,მას ღვინო დალიოს, ამ მსჯელობაშიც უკვე ჩანს, რომ ავტორი რელიგიას იხილავს როგორც მორწმუნის შეხედულებათა და რწმენათა სისტემას, და არა როგორც გონების მიერ ნაწვდომ ან ღვთის მიერ ადამიანთათვის გამოცხადებულ უმაღლეს ჭეშმარიტებას. (ამიტომაცაა, რომ იგი მხოლოდ საკუთარ რელიგიაზე კი არ მსჯელობს, არამედ სხვისაზედაც, ამ შემთხვევაში — მაჰმადიანობაზე). კიდევ უფრო რადიკალურად უპირისპირდება მონტესკიე ტრადიციულ დამოკიდებულებას რელიგიისადმი თავისი ცნობილი თეზისით, რომ ყველა რელიგია შეესაბამება იმ ქვეყნის ბუნებას, გეოგრაფიული გარემოს ჩათვლით, რომელშიც იგი არსებობს. ამგვარად, მონტესკიეს შეხედულებით გამოდის, რომ რელიგიის ღირებულება ადამიანთათვის რელატიური ყოფილა, და არა აბსოლუტური, და რელიგიის არსება ის კი არ ყოფილა, რომ მასში ჭეშმარიტებაა მოცემული, არამედ ის, რომ იგი გამოხადეგია. ეს, პრინციპში, იგივე პოზიციაა, რომელიც გამოთქმული აქვთ ვოლტერს თავის ცნობილ სიტყვებში — „ღმერთი რომ არ არსებობდეს, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონებაო" — რელიგია ისე საჭიროა ადამიანისთვის, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ჭეშმარიტებას არ შეიცავს, მისი ქონა აუცილებელიაო. ამ შეხედულებებთან დაკავშირებულია, თუმცა მათგან უშუალოდ არ გამომდინარეობს, მონტესკიეს მოთხოვნა, რომ სხვა რელიგიათა აღმსარებლებისადმი შემწყნარებელნი ვიყოთ, და, განსაკუთრებით, ჰუმანისტური მოთხოვნა, რომ უკუგდებული იქნეს მკრეხელობის დამსჯელ კანონთა სიმკაცრე.

მონტესკიეს ამგვარი პოზიცია რელიგიის მიმართ, რა თქმა უნდა, მკვეთრად უპირისპირდებოდა საყოველთაოდ გავრცელებულსა და მიღებულს მის დროს. მაგრამ იგი არ წარმოადგენდა მაინც უკიდურესობას ამ ეპოქისათვის. არსებობდა უფრო მკვეთრი პოზიციაც, ხრული ათეიზმისა და მატერიალიზმის სახით, რომელსაც ადგა, მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსი ჰელვეციუსი, მონტესკიეს პირადი მეგობარი და ერთი იმათგანი, ვინც მისი „კანონთა გონის" შინაარსი გამოქვეყნებამდე მოისმინა, მაგრამ ავტორს მისი საჯაროდ გამოტანა არ ურჩია. როგორც ვხედავთ, მონტესკიესთვის მხოლოდ იმიტომ კი არ ურჩევიათ „კანონთა გონის" გამოქვეყნებისგან თავის შეკავება, რომ მისი გაბედულებისა ეშინოდათ, არამედ ზოგს, პირუკუ, იმიტომ ჩაუთვლია უმჯობესად ეს გზა, რომ ავტორის პოზიცია საკმაოდ რადიკალური არ ეჩვენა.

მონობის თემას მიძღვნილი აქვს „კანონთა გონის" XV წიგნი.

მონობა ადამიანის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა, მისი ადამიანური არსის გამთელავი და გამაუქმებელი. „მონობა თავის ბუნებითვე ცუდია" — წერს მონტესკიე, „იგი არც ბატონობისთვისაა სასარგებლო და არც მონისთვის — პირველისთვის იმიტომ, რომ მას არაფრის ქმნა აღარ ძალუძს ქველობის შთაგონებით, მეორისთვის კი იმიტომ, რომ თავის მონებთან მას ყოველგვარი ცუდი ჩვევა გაუდის, რომ იგი შეუმჩნევლად ეგუება ყველა მოქალაქეობრივი ქველობის უგულებელყოფას,, რომ იგი ხდება ამაყი, ფიცხი, მრისხანე, ავხორცი, ულმობელი" (თ. I).

მონობა მონტესკიეს ეპოქაში ერთი უსაზიზღრესი ანაქრონიზმთაგანი იყო. თუმცა ანტიკური ცივილიზაცია მონების შრომაზე იყო დაშყარებული და მის დიდ მოაზროვნეებს ადამიანთა ურთიერთობის ეს ფორმა არ დაუგმიათ, მაგრამ იქ მას ის ფორმალური „ხაბუთი" მაინც ჰქონდა ადამიანთა გრძნობისა თუ გონების წინაშე, რომ მონის მდგომარეობა, თავდაპირველად მაინც, ტყვეობისგან წარმოდგებოდა ანუ მაინც გულისხმობდა ადამიანის იმ თავისუფალ გადაწყვეტილებას, რომ არათანასწორი (ან, ზოგჯერ, თანასწორი) ბრძოლის ნაცვლად თავისუფლების დაკარგვა აერჩია. მონტესკიეს დროს მონობას ეს უბადრუკი ხაბუთიც აღარ გააჩნდა. მონები ზანგები იყვნენ, რომლებსაც ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებული ევროპელები აფრიკის ტუე-ველში იჭერდნენ ნადირებივით და ახალ კონტინენტზე პლანტაციების დასამუშავებლად მიმყავდათ. ერთადერთ „ხაბუთად" ამ მონათმფლობელებისა და მონავაჭრებისათვის დასა-

მონებელ ადამიანთა „დაბალი განვითარებაღა" რჩებოდა, რასაც სარწმუნოებრივი პირთმონეობის მიერ ნაკრნახევ სხვა „საბუთებსაც" ურთავდნენ. მონტესკიეს გულმხურვალე სარკაზმმა საამარადისოდ გააკრა საამარცხვინო ბოძზე ადამიანებიც და აზროვნების მათებური წესიც. ამ წიგნის მე-ნ თავში მონტესკიე წერს:

„მე რომ დასაცავი მქონოდა უფლება, რომლის თანახმადაც ზანგები მონებად ვაქციეთ, აი რას ვიტყოდი:

„ევროპელი ხალხი ამერიკელი ხალხის განადგურების შემდეგ იძულებული იყო მონად ექცია აფრიკის ხალხები, რათა ისინი გამოეყენებინა ამდენი მიწების დასახნავად.

„შაქარი ძალიან ძვირი იქნებოდა, იმ მცენარეს, რომელიც მას იძლევა, მონები რომ არ ამუშავებდნენ.

„ადამიანები, რომლებსაც ლაპარაკი ეხება, თავიდან ფეხებამდე შავები არიან და იმდენად მიჭყლეტილი ცხვირი აქვთ, რომ თითქმის შეუძლებელია მათი შებრალება.

„შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ღმერთმა — უაღრესად ბრძენმა არსებამ — სული, და, მით უფრო კეთილი სული ჩადო მთლად შავ სხეულში.

„ძალზედ ბუნებრივია აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის ბუნებას მისი კანის ფერი განსაზღვრავს. „კანის ფერის მნიშვნელობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თმის ფერის მიხედვით, რომელსაც ეგვიპტელები, მსოფლიოს საუკეთესო ფილოსოფოსები, ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ სიკვდილს უსჯიდნენ ყველა წითურთმიანს, რომელიც ხელში ჩაუვარდებოდათ.

„ზანგები რომ საღ აზრს მოკლებულნი არიან, ამას მოწმობს ის, რომ ისინი შუშის ყელსაბამს ამჯობინებენ ოქროსას, რომელსაც ასე დიდად აფასებენ ცივილიზებული ერები.

„შეუძლებელია დავუშვათ, რომ ეს არსებები ადამიანები არიან, რადგან თუ ჩვენ მათ ადამიანებად მივიჩნევთ, ეს ეჭვს აღძრავს, რომ ჩვენ თვითონ არ ვყოფილვართ ქრისტიანები.

„პატარა გონებანი ძალზე აზვიადებენ აფრიკელებისადმი მიყენებულ უსამართლობას, რადგან, ეს უსამართლობა მართლაც რომ ასე დიდი იყოს, ნუთუ ევროპის არცერთ ხელმწიფეს, რომლებიც ერთმანეთს შორის ამდენ უსარგებლო შეთანხმებებს დებენ, აზრად არ მოუვიდოდა ერთი საერთო ხელშეკრულების დადება მოწყალეობისა და სიბრალულის სასარგებლოდ?"

ისევე, როგორც ყველა მისი დიდი თანამედროვე მოაზროვნე, მონტესკიეც რაციონალისტია. მას მიაჩნია, რომ ყველა ის ჭეშმარიტება, რომლებამდისაც კი იგი მისულა თავის კვლევა-ძიებაში, გონების ნაკარნახევია, გონებით დამტკიცებულია და მისი სხვა ადამიანთათვის ჩვენებაც შეიძლება სათანადო არგუმენტაციის ძალით (თავისუფლების ღირებულებაც, რომელიც ზემოთ გვქონდა, გონებისთვის უშუალოდ დასანახავი ჭეშმარიტება გახლავთ). მონტესკიე [illegible] რომ სახელმწიფო წყობაც და [illegible] ასევე, შესაძლებელია კარგი იყოს და იქნება კიდეც კარგი, თუ ყოველთვის ჩვენს გონებას დავეკითხეთ მათ თაობაზე და გონებამაც თავისი ეს მისია პირნათლად შეასრულა. ამაში მდგომარეობს მონტესკიეს **იდეალიზმი** საზოგადოებისა და მისი ისტორიის გაგების სფეროში.

ამისდა მიუხედავად მონტესკიესებური პოლიტიკური და ისტორიოგრაფიული რაციონალიზმი დიდი მობრუნების წერტილია ახალი დროის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი ეპოქალური მნიშვნელობის მქონე ორ სხვადასხვა მოძღვრებას შორის დგას. მის იქით, შუა საუკუნეებისკენ, ისტორიის **რელიგიური** გაგების ეპოქა ძევს — გაგებისა, რომლის თანახმადაც სოციალური ინსტიტუტები, კერძოდ კი ფეოდალური იერარქიული სახელმწიფო, ღვთის განგების შექმნილია და ამ უკანასკნელისადმი ერთგულება ღვთის მცნებათა ერთგულებაა, მის წინააღმდეგ წასვლა კი—ამ მცნებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი ღალატი. ამ თვალსაზრისს და მონტესკიეს თვალსაზრისს შორის გადაულახავი უფსკრულია: მონტესკიემ ხომ სახელმწიფო წყობა, როგორც ასეთი, და ყველა მისი ცალკეული ფორმა გონების სამსჯავროს წინაშე მიიყვანა. წაართვა მას ღვთაებრიობის შარავანდედი, რითაც იგი კრიტიკათვის მისაწვდომი გახადა, და მისი რაციონალურ საწყისებზე დაყენება მოითხოვა. ამ მხრივ 'მონტესკიეს, მართალია, შორეული წინამორბედებიც ჰყავდა ანტიკური ხანის მოაზროვნეთა სახით (პლატონი, არისტოტელი), რომლებიც მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო აგებულიყო სიბრძნის პრინციპებზე, ე. ი. რაციონალურ პრინციპებზე, და ან ფილოსოფოსებს ემართათ იგი, ან მისი მმართველები გაფილოსოფოსებულიყვნენ, მაგრამ XVIII საუკუნის ევროპისთვის ამგვარი მიდგომა საკითხისადმი მაინც ახალი გახლდათ.

მონტესკიეს აქეთ, პირიქით, ისტორიის იმ ხედვის საუფლოა, რომელიც ბეგელმა და მისმა მომდევნო ტრადიციამ დაამკვიდრა. ამ თვალსაზრისის თანახმად, ისტორია ობიექტური კანონების მიერ წარმართული პროცესია და სახელმწიფო წყობის ყოველი კერძო სახეც ამ პროცესის, ანუ ამ განვითარების, ერთ-ერთი ეპიზოდის განსახიერებაა. ამ წყობის რაგვარობა ის-

ტორიული აუცილებლობითაა ნაკარნახევი და მას ვერ განსაზღვრავს ის, თუ რას გვირჩევს გონება, როგორც ყველაზე უკეთესს. ისტორიის ამ მეორენაირ ხედვასაც მონტესკიეს კონცეფციისაგან უფსკრული აშორებს. მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მეორე უფსკრული ისე ფართო არ არის, როგორც პირველი. ჰეგელისთვის ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს, გონებისთვის მისაწვდომი და დასანახავი. ამდენად, გონება განზე არ რჩება იმის განსაზღვრისაგან, თუ რა უმჯობესია განვითარების, ანუ აღმავალი ცვალებადობის, ამ პროცესში, რომელსაც თავისი მიზანიც აქვს და რომლის ამა თუ იმ ეტაპის შეფასებას სათანადო საზომებიც ჭოეძებნება, გონების წინაშე წარდგენადი და შედარებადი. ამგვარად, ისტორიის ობიექტური კანონების არსებობა, ჰეგელის თვალსაზრისით, არ გამორიცხავს სუბიექტურ ჩარევას ისტორიის პროცესში: ადამიანი მართლაც არის ისტორიის შემოქმედი გარკვეული აზრით, იგი, მართლაც, ქმნის თავის საზოგადოებას იმისდა მიხედვით, თუ რას უკარნახებს მას მისი გონება და გრძნობა — ქმნის დიდი პოლიტიკური მოღვაწეც, რიგითი ადამიანიც და მოაზროვნეც, რომელიც როგორც პირველის, ისე მეორის ცნობიერებაზე ზეგავლენას ახდენს თავისი იდეებით.

მონტესკიეს არც ამ კანონთა, როგორც კანონთა, ცნება აქვს და არც, მით უმეტეს, წარმოების წესის, როგორც იმ ეკონომიკური ბაზისის, ცნება, რომელზედაც პოლიტიკური და კულტურული ზედნაშენი იგება. ასეთი ბაზისის ცნება სოციალურ აზროვნებაში მარქსმა შეიტანა. მაგრამ მონტესკიე მაინც ნათლად იცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ისტორიულ ამბებში შემთხვევითი ეპიზოდების გარდა ერთგვარი **აუცილებლობაც** ძევს — არის რაღაც მოვლენები, რომლებსაც შემთხვევითობა ვერ შეცვლის, რადგანაც მათ დიდი საფუძველი აქვთ, და არის **პროცესები**, რომლებიც შეუჩნეველია. მაგრამ გარდუვალი ძალით მოაქვთ თავისი შედეგი. ეს პროცესები, ძირითადად, ადამიანთა სულისკვეთების ცვალებადობის პროცესებია, და ამ ცვალებადობას მათი ქცევის ცვალებადობაც მოხდევს, რომელიც თავის მხრივ, მათი ბედის ცვლას იწვევს. ამ სულისკვეთებაზე მოქმედებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორად ან არასწორად შექმნილი კანონებიც.

მონტესკიეს „კანონთა გონი" ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა სახელგანოქმულ მოღვაწისა და კულტურტრეგერის დავით ბატონიშვილის (ბაგრატიონის) მიერ. ეს თარგმანი დასრულებულია პეტერბურგში 1815 წელს. ამ კოლოსალური შრომის გაწევა ქართველი ბატონიშვილის მიერ შემთხვევითი არაა. იგი სწერს თეიმურაზ ბატონიშვილს, რომ მონტესკიეს ეს შრომა „არს ერთიცა უმჯობესთა წერილთაგანი ევროპასა შინა". მართლაც, მონტესკიეს ნაწარმოებს მისი დროისათვის უკვე დამკვიდრებული ჰქონდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანთა აზრი და გონება, ვისაც კი სახელმწიფოს და სამართლის საკითხები — გულთან ახლოს მიეკარებოდა. ქართველი — ანტიდაგენციის ინტერესი ამ საკითხებისადმი, ბუნებრივია, მაქსიმალური იყო.

დავით ბატონიშვილის თარგმანი შესრულებულია მისი დროის ლიტერატურული ქართულით, რომელიც დიდად დაშორებულია იმავე ხანის სამეტყველო ენას და, მით უფრო, ძნელი აღსაქმელია, თანამედროვე არაფილოლოგი მკითხველისათვის (მთარგმნელი შენიშნავს: „ჰაზრი არ არის დაკარგული და მშვენიერ სიტყვაობას არ გამოვეძიე"). მისი ენის სიშორეზე ჩვენგან წარმოდგენას მოგვცემს თვით მისი სათაურიც კი — „გულისხმობს ყოფისათვის სჯულთასა". „გულისხმისყოფა" ძველ ქართულში „გაგებას" ნიშნავდა და „გონების" აღსანიშნავადაც იხმარებოდა, „სჯული" კი კანონს ნიშნავდა. ამგვარად, წიგნის სათაური „esprit des lois" „მთარგმნელს გადმოღებული აქვს როგორც „კანონთა გონება".

მთარგმნელი არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ტექსტისა და მისი იმ შენიშვნების გადმოქართულებით, რაც ზედ ავტორმა დაურთო, არამედ საკუთარი კომენტარებიც ჩაურთო ალაგ-ალაგ, და ზოგჯერ ავტორს ეკამათება კიდეც. მაგალითად, იგი უკმაყოფილოა მონტესკიეს მსჯელობისა XIV წიგნის 2-ე თავში იმაზე, რომ ჩრდილოეთის ხალხები მამაცნი არიან, სამხრეთელნი კი პირიქით. „აჰა სცთების ავტორი" — შენიშნავს ბატონიშვილი. „არავინ არს ეგრეთ შურისმგებელ გულმანკიერ, იჭვნეულ, მზაკვარ, მცბიერ და უუვარულ, ვითარცა ცივსა ბერსა შინა მცხოვრებნი ანუ ჩრდილოელნი", და შემდეგ: „სცთები, უფალო მონტესკუ! იარანალ რტიშჩევი და კნორინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეი ცხელისა კლიმატისანი. ნუუმე ზემონი სჯობდნენ ქვემოთა ბიჭად და ანუ სარდლად?" დავით ბატონიშვილის ამ მსჯელობიდან კარგად ჩანს, რამდენად შორია ქართველი ინტელიგენციისთვის ამ დროს ევროპის ის კულტურული ატმოსფერო, რომელსაც ისინი, ახე ვთქვათ, „შორით შესტრფიან?": მონტესკიეს კონცეფციის თვალსაზრისით, რომლის ქვეყანაც ამ დროს მთელ დედამიწასთან ეჯიბრობს და სხვადასხვა ურთიერთობას ამყარებს, ქართველები **სამხრეთელ ხალხებს** არ მიეკუთვნებოდნენ, არამედ **საშუალო სარტყელისას**.

ძველბერძნულიდან

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ

სიბრძნე ზირაქისა

„სიბრძნე ზირაქისა" ბიბლიურ წიგნთა შესაძე ნაწილს მიეკუთვნება, იაკეე როგორც „სიბრძნე სოლომონისა" და „იგავნი სოლომონისა". ამ რიგის ბიბლიური წიგნები დიდაქტიკური ხასიათისაა. თავად „სიბრძნე ზირაქისა" წარმოადგენს სამოძღვრებო შეგონებებს ყოველდღიური ყოფისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას პოეტურობა აკლია. ამ წიგნის ძირითადი ღირებება სწორედ ყაცობრივი ცხოვრების თითქმის ყოველგვარი გამოვლენის პოეტურ აღქმაში მდგომარეობს. წიგნი, როგორც ჩანს, შექმნილია ბერძნულ ენაზე, რადგან დღესდღეობით მისი ებრაული დედანი არ ჩანს. ბიბლიის წიგნების ძველ ქართულ ხელნაწერებში ჯერჯერობით მისი სრული ტექსტი არ აღმოჩენილა, თარგმანი შესრულებულია ძველი ბერძნული ენიდან.

თავი I

1. ყოველი სიბრძნე უფლისაგან (არის) და მასთანაა საუკუნოდ.
2. ქვიშა ზღვებისა და წვეთები წვიმისა და დღენი მარადისობისა ვინ აღრიცხოს?
3. ზეცის სიმაღლეს და მიწის სივრცელეს და უფსკრულსა და სიბრძნეს ვინ გამოიკვლევს?
4. ყოველთა უპირველესად წარმოიშვა სიბრძნე და მეცნიერება სიბრძნისა დასაბამიდან.
6. ძირი სიბრძნისა ვის გამოეცხადა? და ხელოვნებანი მისი ვინ შეიცნო?
8. ერთია ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე მჯდომარე.
9. უფალმა თავად შექმნა იგი და იხილა და აღრიცხა და მიმფინა იგი თავის ყველა საქმესა.
10. და ყველა ხორციელს მისი ნიჭის მიხედვით და მიმადლა იგი მის მოყვარულთა.
11. შიში უფლისა დიდება და პატივი [და] შვება და გვირგვინია სიხარულისა.
12. შიში უფლისა გულს დაატკბობს და შვებას, სიხარულსა და დღეგრძელობას მისცემს.
13. ბოშიშს უფლისა ბოლოს კეთილი იყოს და იკურთხოს თავისი აღსასრულის დღეს.
14. სიბრძნის სათავე — შიში უფლისა და მორწმუნეებს საშოდანვე თანდაჰყვათ (იგი).
15. და ადამიანებში საუკუნოდ დაიდო საფუძველი და მათ თესლს მიებარა.
16. სისავსე სიბრძნისა — შიში უფლისა და დაათრობს მათ მისი ნაყოფით.
17. მთელ მათ სახლს აავსებს [მათთვის] სასურველით და ხეჭურჭლეებს თავისი ქმნილებებით.
18. გვირგვინი სიბრძნისა — შიში უფლისა, ამყვავებელი მშვიდობისა და სიჯანსაღე განკურნებისა.
19. და იხილა და აღრიცხა იგი, ხელოვნება და ცოდნა მეცნიერებისა დააწვიმა და მისთა მფლობელთა დიდება აამაღლა.
20. ძირი სიბრძნისა — შიში უფლისა და წვეროები მისი — დღეგრძელობა.
21. ვერ შეძლებს გამართლებას უსამართლო სული, რამეთუ სიმძიმე მისი გულისწყრომისა დაცემს მას.
22. დროამდე დაითმენს სულგრძელი და ბოლოს მას სანაცვლოდ სიხარულს მიანიჭებს.

24. დრომდე დაფარავს თავის სიტყვებს და მრავალთა ბაგენი მის კეთილგონიერებას აღიარებენ.

25. სიბრძნის საუნჯეებში — იგავნი მეცნიერებისა, ცოდვილისათვის კი საძულველია ღვთისმსახურება.

26. უკეთუ სიბრძნე გსურს, მცნებანი დაიცავი და უფალი მას მოგმადლებს შენ.

27. რამეთუ სიბრძნე და განსწავლულობა — შიში უფლისა და მისთვის სათნო — სარწმუნოება და სიმშვიდე.

28. ნუ შეუორგულდები შიშს უფლისა და გაორებული გულით ნუ მიეახლები მას.

29. ნუ მლიქვნელობ კაცობრივი პირითა და უურადღებით იყავი ბაგეთა შენთა მიმართ.

30. თავს ნუ აიმაღლებ, რათა არ დაეცე და შენს სულს უპატიობა არ მოაწიო, რამეთუ უფალი გაამჟღავნებს საიდუმლოთა შენთა და საკრებულოში დაგამხობს შენ, რადგანაც არ მიეახლე უფლისა შიშით და გული შენი სავსეა მზაკვრობით.

თავი II

1. შვილო, უკეთუ უფალს მიეახლები დასამონებლად, სული შენი გაამზადე გამოხაცდელად.

2. გული შენი დაიმორჩილე, მოთმინებით აღიჭურვე და ნუ აჩქარდები განსაცდელის ჟამს.

3. მიეახლე მას და ნუ განშორდები, რათა ბოლოს ამაღლდე.

4. ყოველი, რაც შეგემთხვევა შენ, მიიღე და შენი დამდაბლების ცვალებადობათა შინა სულგრძელი იყავ;

5. რადგანაც ოქრო ცეცხლში გამოიცდება, კაცნი სათნონი კი მორჩილების ჭურაში.

6. ირწმუნე მისი და სანაცვლოდ შეგეწევა შენ. წარმართე გზანი შენი და მისი იმედი გქონდეს.

7. მოშიშნი უფლისა — მის წყალობას ელოდეთ და ნუ მიიქცევით, რათა არ დაეცეთ.

8. უფლის მოშიშთა გწამდეთ მისი და არ დაგეკარგებათ თქვენი საზღაური.

9. უფლის მოშიშთა იმედი გქონდეთ სიკეთისა, საუკუნო სიხარულისა და წყალობისა.

10. მიხედეთ ძველ ტომებსა და იხილეთ: ვინ ირწმუნა უფლისა და შერცხვენილ იქნა? ან ვინ იყო შიშსა მისსა და მიატოვა? ან ვინ მოუხმო მას და მან უგულებელჰყო?

11. რადგანაც უფალი შემბრალეა და მოწყალე, ცოდვათა შემნდობი და მხსნელი გასაჭირის ჟამს.

12. ვაი, გულით მხდალთა და ხელით უძლურთა და ცოდვილსა ორ გზასა ზედა მავალსა.

13. ვაი გულსა დაუძლურებულსა, რამეთუ არ სწამს, რის გამოც დაცული არ იქნება.

14. ვაი, თქვენ, მოთმინების დამკარგავთა, რას მოიმოქმედებთ, როცა უფალი მოგაკითხავთ?

15. მოშიშნი უფლისა ურწმუნონი არ იქნებიან მისი სიტყვების მიმართ და მისი მოყვარულნი მის გზებს დაიცავენ.

16. მოშიშნი უფლისა მის წყალობას ეძიებენ და მისი მოყვარულნი აღივსებიან რჯულითა.

17. მოშიშნი უფლისა გულთა მათთა გაამზადებენ და მის წინაშე სულთა დაიმდაბლებენ.

18. [რათა] ჩავვარდეთ უფლისა ხელში და არა ხელში ადამიანთა, რადგანაც რა დიადიცაა იგი, იმგვარივეა წყალობა მისი.

თავი III

1. მე, მამას, მისმინეთ, შვილნო, და ისე მოიქეცით, რომ გადარჩეთ.

2. რადგანაც უფალმა მამა შვილებზე აამაღლა და მსჯავრი დედისა დაამტკიცა ძეთა ზედა.

3. პატივისმცემელი მამისა ცოდვათაგან განიწმინდება.

4. და მადიდებელი დედისა თვისისა — ვითარცა შემკრები საუნჯისა.

5. პატივისმცემელი მამისა შვილებისაგან გაიხარებს და მისი ვედრების ჟამს მოუხმენენ.

6. მადიდებელი მამისა დღეგრძელი იქნება და მორჩილი უფლისა თავის დედას მოახვენებს.

7. ვითარცა ბატონებს, ისე დაემონება პშობელთა მისთა.

8. საქმით და სიტყვით პატივი ეცი მამასა შენსა, რათა შენზე მისი კურთხევა გადმოვიდეს;

9. რამეთუ კურთხევა მამისა შვილთა სახლებს განამტკიცებს, წყევლა დედისა კი საძირკვლამდე აღმოფხვრის.

10. ნუ განდიდდები უპატივცემულობით მამისა შენისა, რადგანაც შენთვის პატივი არ იქნება შეურაცხყოფა მამისა;

11. რამეთუ დიდება კაცისა მამის პატივისგანაა და დასაყვედრია შვილებისათვის დედა დამდაბლებული.

12. შვილო, მამას შენხან სიბერეში შეეწიე და ნუ დაამწუხრებ მას მისი სიცოცხლის ჟამს.

13. უკეთუ გონება მოაკლდეს, გულმოწყალება გქონდეს და მთელი შენი ძალით ნუ შეურაცხყოფ მას.

14. რადგანაც შეწყალება მამისა დავიწყებული არ იქნება და ცოდვათა სანაცვლოდ აშენდები შენ.

15. შენი გასაჭირის დღეს გაგიხსენებენ შენ და ვითარცა ყინული სიცხისაგან, ისე დადნება ცოდვანი შენი.

16. მიმტოვებელი მამისა — მგმობელია ღვთისა და განმარისხებელი დედისა თვისისა — უფლისაგან დაწყევლილია.

17. შვილო, საქმენი შენი მშვიდად წარმართე და სათნო კაცი შეგიყვარებს.

18. რამდენადაც დიდი ხარ, იმდენად დაიმდაბლე თავი შენი და იპოვი მადლს წინაშე უფლისა.

19. რამეთუ დიდია მეუფება უფლისა და მორჩილთაგან იდიდება.

21. შენთვის ფრიად ,ხაძნელოს ნუ ეძიებ და რაც შენს ძალას აღემატება, ნუ გამოიკვლევ.

22. რაც შენ გებრძანა, ის გულისხმაჰყავ, რამეთუ არ გჭირდება ის, რაც საიდუმლოა.

23. შენს მრავალ საქმეთაგან ზედმეტზე ნუ ზრუნავ, რამეთუ უმეტესი ნაწილი კაცობრივი ცოდნისა გაგიმეღავნდა შენ.

24. რადგანაც მრავალი აცდუნა მათმა განზრახულმა და უკეთურმა ოცნებამ დაღუპა გონება მათი.

26. გულქვას ბოლოს ბოროტი მიეგება და მოყვარული საფრთხისა — მასში ჩავარდება.

27. გულქვას სალმობანი დაამძიმებს და ცოდვილი ცოდვაზე ცოდვას მიუმატებს.

28. განსაცდელი ქედმაღლისათვის როდია განკურნება, რამეთუ ნერგი ბოროტებისა ფესვგადგმულია მასში.

29. გული გონიერი იგავს შეიმეცნებს და ყური მსმენელი სიბრძნის მწყურვალია.

30. აგიზგიზებულ ცეცხლს წყალი ჩააქრობს და ცოდვებს განწმენდს გულმოწყალება.

31. წყალობისათვის სამაგიეროს გამღები მომავალზე ზრუნავს და თავისი დაცემის ჟამს საყრდენს იპოვის.

თავი IV

1. შვილო, გლახაკის ქონებას ნუ მიიტაცებ და მთხოვნელს თვალს ნუ აარიდებ,

2. სულს მშიერისას ნუ დაამწუხრებ და ნუ განარისხებ კაცს მის სიგლახაკეს შინა.

3. განრისხებულ გულს ნულარ შეაძრწუნებ და მთხოვნელს მიცემას ნუ გადაუდებ.

4. შეწევნის მთხოვნელ დაჩაგრულს ფარს ნუ ეტყვი და პირს შენსას გლახაკისაგან ნუ მიიბრუნებ.

5. მთხოვნელს თვალს ნუ მოარიდებ და სიბრალულ ნუ მისცემ კაცს შენს დასაწყევლად,

6. რადგანაც ვედრებას იმისას, ვინც შენ გამწარებული სულით დაგწყევლის, შეისმენს დამბადებელი მისი.

7. მეგობრული იყავ საკრებულოსა შინა და მთავრისა წინაშე მოიდრეკე თავი შენი..

8. ყურნი შენი გლახაკს მიაპყრე და მას მშვიდად და ალერსით უპასუხე.

9. იმსენი უსამართლოდ დაჩაგრული უსამართლოს ხელისაგან და განსჯისას სულმოკლე ნუ იქნები.

10. იყავ ობოლთათვის ვითარცა მამა და დედისა მათისათვის ქმრისა მაგიერი და იქნები შენ ვითარცა ძე უზენაესისა, რომელიც უფრო შეგიყვარებს ვიდრე დედა შენი.

11. სიბრძნემ ძენი თავისი აამაღლა და შეეწია მძებნელთა მისთა.

12. მოყვარულს მისას სიცოცხლე უყვარს და რომელნიც მისთვის რიფრაფზე დგებიან — სიხარულით აღივსებიან.

13. მფლობელი მისი დიდებას დაიმკვიდრებს და სადაც არ უნდა მივიდეს, უფალი აკურთხებს.

14. რომელნიც მას მსახურობენ, წმინდას ემსახურებიან და მისი მოყვარულნი უფალსაც უყვარს.

15. მორჩილი მისი წარმარდებს განხეის და ვინც მას რწმენით მიეახლება, დამკვიდრდება.

16. რომელიც ირწმუნებს, დაიმკვიდრებს მას და მისი შთამომავალნი გახდებიან მფლობელნი მისი.

17. რამეთუ პირველად მრუდე (გზით) წარემართება მასთან ერთად, შიშსა და კრთომას მოაწევს მასზე და გააწამებს მას თავისი სწავლებით, ვიდრე არ ირწმუნებს სულსა მისსა და მას თავის მცნებათა შინა არ გამოსცდის.

18. და კვლავ მოაქცევს სიწრფელით თავისკენ, გაახარებს მას და განუცხადებს თავის ხაიდუმლოთა.

19. უკეთუ შეცდება, მიატოვებს მას და გადახცემს ხელთა მისი დამცემლისა.

20. მოუფრთხილდი დროს და [თავი] ბოროტისაგან დაიცავი და სულისა შენისა გამო არ შეგრცხვება.

21. რადგანაც არის სირცხვილი, რომელსაც ცოდვისაკენ მივყავართ და არის სირცხვილი — დიდება და მადლი.

22. ნუ თვალთმაქცობ წინაშე სულისა შენისა და ნუ გრცხვენია შენი დაცემისა გამო.

23. ნუ დააბრკოლებ სიტყვას საჭიროების ჟამს,

24. რამეთუ სიბრძნე სიტყვით შეიცნობა და ცოდნა — მეტყველებით ენისა.

25. წინ ნუ აღუდგები ჭეშმარიტებას და შენი უსწავლელობისა გრცხვენოდეს.

26. ნუ შეგრცხვება აღიარება შენი ცოდვებისა და ნუ შეაჩერებ დინებას მდინარისა.

27. უგუნურ კაცს თავს ნუ დაუდებ და ნუ მიიღებ სახეს ძლიერისა.

28. ვიდრე სიკვდილამდე იღვაწე სიმართლისთვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის.

29. ნუ იქნები კადნიერი ენითა შენითა და ზარმაცი და დაუდევარი საქმითა შენითა.

30. ნუ იქნები ვითარცა ლომი სახლსა შინა შენსა და სახტიკი მონათა შორის შენთა.

31. ნუ გექნება ხელი შენი გაწვდილი მისაღებად და მომუჭული გასაცემად.

თავი V

1. ნუ დაეყრდნობი ქონებას შენსას და ნუ იტყვი: „ჩემთვის საკმარისია".

2. ნუ შეუდგები შენს სულსა და შენს ძალას, რადგანაც წაგიყვანს წადიერებით გულისა შენისა.

3. და ნუ იტყვი: „ვინ დაშიმონებს მე?" რამეთუ შურისძიებელი უფალი! [შენზე] შურს იძიებს.

4. ნუ იტყვი: „შევცოდე და რა დამემართა?", რადგანაც უფალი სულგრძელია.

5. შეწყალების იმედით უშიშარი ნუ იქნები და ცოდვას ცოდვაზე ნუ დაურთავ.

6. და ნუ იტყვი, რომ „გულმოწყალება მისი დიდია და სიმრავლეს ჩემი ცოდვებისას შემინდობს", რამეთუ შეწყალებაცა და რისხვაც მასთანაა და ცოდვილთა ზედა გადმოვა გულისწყრომა მისი.

7. ნუ აყოვნებ მოქცევას უფლისაკენ და დღითი დღე ნუ გადადებ, რადგანაც მყისვე გარდმოვა რისხვა უფლისა და ჟამსა შურისძიებისასა წარიწყმიდები.

8. ნუ დაეყრდნობი ქონებას უსამართლოს, რადგანაც ვერ მოგიტანს შენ სარგებლობას განსაცდელის დღეს.

9. ნუ იქროლებ ყველა ქარში და ყოველი გზით ნუ ივლი, ვითარცა ცოდვილი ორენიანი.

10. იყავი მტკიცე შენს ცოდნაში და ერთი იყოს სიტყვა შენი.

11. იყავი სწრაფი მოსასმენად და პასუხი სულგრძელობით გაეცი.

12. თუ გაქვს ცოდნა, მოუვასს უპასუხე და თუ არა, ხელი შენი იყოს პირსა შენსა ზედა.

13. პატივი და უპატიობა სიტყვებშია და ენა ადამიანისა — დაცემაა მისი.

14. ნუ განითქმები დამსმენად და ენითა შენითა ნუ ჩაუსაფრდები, რადგანაც ქურდს სირცხვილი, ორენიანს კი ბოროტი საყვედური ერგება წილად.

15. ნურც დიდსა და ნურც მცირე [საქმეში] უგუნურებას ნუ გამოიჩენ და ნაცვლად მეგობრისა მტერი ნუ გახდები, რამეთუ ბოროტი სახელი სირცხვილსა და ყვედრებას დაიმკვიდრებს — ვითარცა ცოდვილი ორენიანი.

თავი VI

1. ნუ აიმაღლებ თავს ზრახვათა შინა სულისა შენისა, რათა არ დაიფლითოს სული შენი ვითარცა ხარი.

3. ფოთლებს შენსას შთანთქავ და ნაყოფსა შენსას წარწყმედ და დარჩები ვითარცა ხე გამხმარი.

4. სული ბოროტი მფლობელს თავისას დაღუპავს და მას მტრების დასაცინად აქცევს.

5. ტკბილი ხასა თავის მეგობართა რიცხვს გაზრდის, ამოდმეტყველი ენა კი კეთილმეტყველებას.

6. შენთვის მშვიდობისმყოფელნი მრავალნი იქნებიან, რჩევის [illegible] — ერთი ათასიდან.

7. თუ მეგობარს შეიძენ, განსაცდელსა შინა შეიძინე იგი და მყინ[illegible] მას,

8. რადგანაც არის მეგობარი მისთვის ხალირო ყამს, ვინც შენი [illegible] აგერდით არ დაგიდგება,

9. და არის მეგობარი, რომელიც მტრად გადაგექცევა და ბრძოლას გამოაცხადებს შენს დასაუვედრებლად,

10. და არის მეგობარი, გამზიარებელი ტაბლისა, მაგრამ არ დაგიდგება გვერდით შენი გასაჭირის დღეს.

11. და შენს კეთილთა შორის ისე იქნება, ვითარცა შენ და შენს მონებთან გულწრფელად იხაუბრებს,

12. მაგრამ თუკი დამდაბლდები, გადაგიდგება და დაიმალება პირისაგან შენისა.

13. მტრებს შენსას განშორდი და უფრთხილდი მეგობრებს შენსას.

14. ერთგული მეგობარი მძლავრი სიმაგრეა, მისმა მპოვნელმა საგანძური იპოვა.

15. ერთგული მეგობრის შემცვლელი არ არსებობს და მის სიკეთეს საზომი არ აქვს.

16. ერთგული მეგობარი ცხოვრების წამალია და მოშიშნი უფლისა იპოვიან მას.

17. უფლის მოშიში თავის მეგობრობას ისე წარმართავს, რომ როგორიც თვითონაა, იმგვარივე იყოს მახლობელი მისი.

18. შვილო, ხიყრმიდანვე იზრუნე სწავლაზე და იპოვი სიბრძნეს ჭალარით შემოსვამდე.

19. ვითარცა მხვნელი და მთესველი მიეახლე მას და მის კეთილ ნაყოფს დაელოდე, რადგანაც მისი დამუშავებისას მსუბუქად დაიღლები და ნაყოფთა მისთა კი სწრაფად იგემებ.

20. ის ფრიად მკაცრია უსწავლელთათვის და უგუნური მასთან ვერ დარჩება.

21. მისთვის ის იქნება ვითარცა მძიმე ლოდი გამოსაცდელი და არ დააყოვნებს მის გადაგდებას.

22. რამეთუ სიბრძნე თავისი სახელისამებრ არის და მრავალთათვის როდია განცხადებული.

23. მისმინე, შვილო, და მიიღე შეგონება ჩემი და ნუ უგულებელყოფ რჩევას ჩემსას.

24. და შენს ფეხთა ზედა მისი ბორკილები დაიდევ და ქედსა ზედა — ჯაჭვი მისი.

25. ბეჭი შენი მიუშვირე და იტვირთე იგი, და ნუ მოიძაგებ ბორკილთა მისთა.

26. ყოველითა სულითა შენითა მიეახლე მას და ყოველითა ძალითა შენითა დაიცავ გზანი მისნი.

27. გამოიკვლიე და ეძებე და შენ შეიცნობ მას და როცა მისი მფლობელი გახდები, ნუღა დატოვებ.

28. რამეთუ ბოლოს მასში იპოვი მოსვენებას და იგი სიხარულად მოგიბრუნდება შენ.

29. მისი ბორკილები შენთვის ძლიერი საფარველი იქნება, ხოლო ჯაჭვი მისი — შესაბოსელი დიდებისა.

30. რამეთუ სამკაული მისი ოქროსია, ხოლო ბორკილნი მისი — იაკინთისაგან დაწნული.

31. ვითარცა დიდების სამოსით, მისით იმგვარად შეიმოსები და გვირგვინს სიხარულისას დაიდგამ შენ.

32. უკეთუ ისურვებ, შვილო, განისწავლები და უკეთუ შენს სულს მიხცემ, გრძნეული გახდები.

33. თუ სიყვარულით მოუსმენ, შეითვისებ და თუ ყურს შენსას მიუპყრობ, ბრძენი იქნები.

34. მოხუცთა საკრებულოში დადექ და ვინც ბრძენია, მას მიეახლე.

35. ყველა საღმრთო მოთხრობის მოსმენა ისურვე და იგავნი მეცნიერებისა ვერ გაგისხლტებიან შენ.

36. უკეთუ მეცნიერს ისილავ რიერაკზე ადექი მისთვის და მისი კარის საფეხურნი შენმა ფეხებმა გაცვითოს.

37. შეიმეცნე ბრძანებანი უფლისა და ნიადაგ იმეორე მცნებანი მისი. იგი განამტკიცებს გულს შენსას და წყურვილი სიბრძნისა მოგეცემა შენ

თავი VII

1. ნუ ჩაიდენ ბოროტებას და არც შენ მოგეწევა ბოროტი.

2. განუდექი უსამართლოს და [ისიც] მიიქცევა შენგან.

3. შვილო, ნუ სთეს უსამართლო კვლებში და არ მოიმკი მას შვიდწილად.

4. ნუ ითხოვ უფლისაგან ძალაუფლებას და ნურც მეფისაგან საპატიო ადგილს.

5. თავს ნუ იმართლებ წინაშე უფლისა და წინაშე მეფისა ნუ ბრძენობ.

6. ნუ ცდილობ მსაჯული გახდე, რათა (არ აღმოჩნდეს), რომ არ შეგწევს ძალა უსამართლობის მოსპობისა და არ შეგეშინდეს ძლიერის სახისა და შენს სიწრფელეს ნაკლული არ დაადგეს.

7. ნუ სცოდავ წინაშე ქალაქის ბალბისა და ბრბოში თავს ნუ ჩაიგდებ.

8. ნუ შეიკრები ორგზისი შეცოდებით, რამეთუ უცოდველი ერთითაც ვერ იქნები.

9. ნუ იტყვი: „მოხედავს იგი სიმრავლეს ჩემი ძღვენისა და როცა მაღალ ღმერთს მივართმევ, შეიწირავს“.

10. სულმოკლე ნუ იქნები შენი ვედრებისას და მოწყალების გაცემას ნუ უგულებელყოფ.

11. ნუ დასცინი კაცს, სულგამწარებულს, რამეთუ არის დამშდაბლებელი და ამმაღლებელი.

12. ნუ თესავ ტყუილს შენს ძმაზე და იმავეს ნურცა მეგობარს გაუკეთებ.

13. ნუ გსურს შეთხზვა ყოველგვარი სიცრუისა, რამეთუ მისი გახშირება სიკეთისაკენ ვერ (წაგიყვანს).

14. ნუ მრავალსიტყვაობ მოხუცთა საკრებულოში და ნუ გაიმეორებ სიტყვას შენი ვედრების ჟამს.

15. ნუ შეიძულებ მძიმე სამუშაოს და მიწათმოქმედებას, რომელიც უზენაესისაგანაა დამკვიდრებული.

16. თავს ნუ ჩაირიცხავ ცოდვილთა კრებულში; გახსოვდეს, რისხვა არ დააყოვნებს.

17. ფრიად დაიმდაბლე სული შენი, რადგანაც ურჯულოთა სასჯელი ცეცხლი და მატლია.

18. ნუ გაცვლი მეგობარს ფულზე და ნურცა სისხლისმიერ ძმას ოქროზე სუფირისა.

19. ნუ მიატოვებ ცოლს, ბრძენსა და კეთილს, რამეთუ მადლი მისი ოქროზე მეტია.

20. ბოროტს ნუ უყოფ მონას, რომელიც ბეჯითად შრომობს, ნურც დაჭირავებულს, სულით შენს ერთგულს.

21. გონიერი მონა შეიყვაროს სულმა შენმა და ნუ მოაკლებ მას თავისუფლებას.

22. გყავს შენ საქონელი? მიხედე მას და თუ შენთვის სასარგებლოა, დარჩეს შენთან.

23. გყავს შენ შვილები? ასწავლე მათ და ყრმობიდანვე მოახრევინე ქედი მათი.

24. გყავს შენ ასულნი? იზრუნე მათ სხეულებზე და მათ წინაშე პირმხიარული ნუ იქნები.

25. ასული გაათხოვე და იქნები აღმასრულებელი დიდი საქმისა და გონიერ კაცს მიეცი იგი.

26. გყავს ცოლი შესაფერისი სულისა? ნუ გაძევებ მას და ხაძულველს ნუ მიენდობი.

27. ყოვლითა გულითა შენითა განადიდე მამა შენი და, ნუ დაივიწყებ ტკივილებს დედისას.

28. გახსოვდეს, რომ მათგან დაიბადე და რას მიხცემ შენ მათ სანაცვლოდ ამისა?

29. ყოველითა სულითა შენითა გწამდეს უფალი და პატივი ეცი მღვდელთა მისთა.

30. ყოვლითა ძალითა შეიყვარე შემქმნელი შენი და მსახურთა მისთა ნუ მიატოვებ.

31. გეშინოდეს უფლისა და პატივი ეცი მღვდელს და მიეცი მას თავისი წილი, ვითარცა გემცნო შენ: დასაბამი და ცოდვისათვის და მისაცემელი მხარეთა და შესაწირავი განწმენდისა და დასაბამი წმინდანთა.

32. და გლახაკს გაუწოდე ხელი შენი, რათა აღსრულდეს შენი კურთხევა.

33. მადლი მისაცემელისა მიაგე ცოცხალს, მაგრამ წყალობას მკვდარსაც ნუ მოაკლებ.

34. ნუ დაეკლდები მტირალთა და მგლოვიარეებთან ერთად იგლოვე.

35. ნუ აჭიანურებ ავადმყოფი ადამიანის მიხედვას, რამეთუ ამგვარნი შეგიყვარებენ.

36. ყველა შენი განზრახვისას აღსახრული შენი გაიხსენე და აღარ შესცოდებ საუკუნოდ.

თავი VIII

1. ნუ ებრძვი ძლიერ კაცს, რათა ოდესმე მის ხელში არ ჩავარდე.

2. ნუ გაეჯიბრები მდიდარ კაცს, რამეთუ ვერასოდეს დაუპირისპირდები შენი წონით, რადგანაც მრაჟალი დაღუპა ოქრომ და მეფეთა გულნიც მიდრიკა.

3. ნუ ებრძვი ენაბრავალ კაცს და მის ცეცხლს შეშას ნუ მიუშატებ.

4. ნუ გაერთობი უხწავლელთან, რათა არ შეურაცხყო წინაპარნი შენნი.

5. ნუ აუვედრი ცოდვისაგან მოქცეულ კაცს, გახსოვდეს, რომ ყველანი წყევლასა შინა ვართ.

6. ნუ შეურაცხყოფ კაცს მისი სიბერის ჟამს, რამეთუ ჩვენც დავბერდებით.

7. ნუ იხარებ მკვდარზე, გახსოვდეს, რომ ყველანი მოკვდებით.

8. ნუ უგულებელყოფ ბრძენთა მონათხრობს და მათ იგავებში იცხოვრე, რათა მათგან შეიძინო ცოდნა და სამსახური ძლიერთა (ისწავლო).

9. ნუ უგულებელყოფ მონათხრობს მოხუცთა, რამეთუ მათაც თავიანთ მამათაგან ისწავლეს და მათგან ისწავლი განსჯას და პასუხის გაცემას შესაფერისად ეამისებ.

10. ნუ გაანთებ ცოდვილის ნაკვერჩხლებს, რათა მისი ცეცხლის ალით არ დაიწვა.

11. ნუ აღდგები წინააღმდეგ თავხედისა, რათა არ დაჯდეს პირისა შენისა ზედა ვითარცა ხაფანი.

12. ნუ მიასესხებ ძლიერ კაცს და თუ მიასესხებ, იქნები ვითარცა წარმწყმედელი.

13. თავს ნუ იდებ, რაც შენს ძალას აღემატება და თუ თავს იდებ, იზრუნე ვითარცა გარდამხდელმა.

14. ნუ განსამართლდები მსაჯულთან ერთად, რადგან მას მისი პატივისამებრ მიუსჯიან.

15. თამამთან ერთად გზას ნუ დაადგები, რათა ტვირთად არ აიკიდო, რამეთუ იგი თავისი ნებისამებრ მოიქცევა და უგუნურება მისი დაგღუპავს.

16. გულფიცხს ბრძოლას ნუ გაუმართავ და უდაბნოს მახთან ერთად ნუ გადაივლი, რამეთუ სისხლი მიხთა თვალთათვის არაფერია და სადაც შეწევნა არ გექნება, იქ დაგცემს შენ.

17. ხელოვანთან ნუ ითათბირებ, რადგანაც ვერ შეძლებს ხიტყვის შენახვას.

18. უცხოს წინაშე დახამალს ნუ ჩაიდენ, რადგანაც არ იცი, რას გააკეთებს.

19. ყველა კაცს გულს ნუ უჩვენებ, რამეთუ ხანაცვლოდ მადლს არ მოგაგებს.

თავი IX

1. ნუ ეჭვიანობ ქალზე შენი წიაღისა და ნუ მოძღვრავ მას შენსავე საწინააღმდეგოდ ბოროტი აღზრდით.

2. ნუ მისცემ ცოლს შენს ხელს, რათა იგი წინ არ აღუდგეს უფლებას შენსას.

3. ნუ გაემართები შესახვედრად მეძავი ქალისა, რათა მის მახეში არ გაეება.

4. მომღერალთან დიდხანს ნუ შერჩები, რათა მისმა ხელოვნებამ არ დაგატყვევოს.

5. ქალწულს ნუ უთვალთვალებ, რათა არ შეგაცდინოს მშვენიერებამ მისმა.

6. ნუ მისცემ მეძავებს სულს შენსას, რათა არ დაღუპო სამემკვიდრეო შენი.

7. თვალებს ნუ აცეცებ ქალაქის ქუჩებში და მის უკაცრიელ უბნებში ნუ დახეტიალობ.

8. თვალი მოარიდე კეთილაღნაგ ქალს და სხვის სილამაზეს ნუ უთვალთვალებ. მშვენებით ქალისა მრავალნი შეცდნენ და მისგან ინთება სიყვარული ვითარცა ცეცხლი.

9. ქმრიან დედაკაცთან არანგზით არ დაჯდე და ნუ დარჩები მასთან ნადიმზე ღვინის სმისას, რათა შენი სული მისკენ არ მიიქცეს და ხელით წარწყმედისაკენ არ დაექანო.

10. არ მიატოვო ძველი მეგობარი, რამეთუ ახალი მას ვერ შეედრება. ღვინო ახალი — მეგობარი ახალი, თუკი დაძველდა, სიხარულით შესვამ მას.

11. ნუ გშურს დიდება ცოდვილისა, რადგან არ იცი, რა გახდება მომაქცეველი მისი.

12. ნუ მოიწონებ უწმინდურთა სიქველეს, გახსოვდეს, რომ ისინი ვიდრე ჯოჯოხეთამდე არ გამოსწორდებიან.

13. შორს დაიჭირე თავი კაცისაგან, ვისაც მოკვლის უფლება აქვს, რადგანაც არ გაგიჩნდეს შიში სიკვდილისა და თუ დაუახლოვდები, შეცდომა არ დუშვა, რათა არ წარგტაცოს სიცოცხლე შენი. იცოდე, რომ საფრთხის შუაგულში დაადგები და ქალაქის ქონგურებიანი კედლის მილმა დადიხარ.

14. შენი ძალისამებრ გამოიცანი მოყვასნი და რჩევა ბრძენთაგან გამოიკითხე.

15. გონიერებთან იმსჯელე და უზენაესის კანონით იყოს ყოველი მონათხრობი შენი.

16. ტაბლა შენი სამართლიან კაცებს გაუზიარე და სიამაყე შენი ღვთის შიშში იყოს.

17. ნაკეთობა ხელოვანთა ოსტატობით შეიქება, ხალხის წინამძღოლის სიბრძნე კი სიტყვით (წარმოჩნდება).

18. ქალაქისათვის საშიშია კაცი ენაჭარტალა და შეიძულებს იგი სიტყვაში თავდაუჭერელს.

თავი X

1. ბრძენი მსაჯული თავის ხალხს აღზრდის და მმართველობა გონიერისა განმტკიცდება.

2. როგორიცაა მსაჯული ხალხისა, იმგვარივეა მსახურნი მისნი და როგორიცაა მეუფე ქალაქისა, იმგვარივეა მცხოვრებნი მისნი.

3. უსწავლელი მეფე თავის ხალხს დაღუპავს, მმართველთა სიბრძნით კი ქალაქი აშენდება.

4. უფლის ხელშია მეუფება ქვეყანისა და საჭირო [კაცს] დროულად აღაზევებს მასზე.

5. უფლის ხელშია გაზაკეთილობა კაცისა და [იგი] თავის დიდებას აღბეჭდავს [illegible] მწიგნობარისა.

6. ყოველ უსამართლობაზე ნუ განურისხდები მოყვასს და ნუ შეურაცხყოფ ნურავის საქმით.

7. უფლისთვისაც და ადამიანებისთვისაც სძულველია ამპარტავნება და უსამართლობა დანაშაულია ორივეს წინაშე.

8. მეუფება ხალხიდან ხალხზე გადადის უსამართლობათა, თავხედობათა და ანგარებათა გამო.

9. რად ქედმაღლობს მიწა და ფერფლი? რამეთუ სიცოცხლეშივე ამოვაფრქვიე შიგნეული მისი.

10. ხანგრძლივ სნეულებას მკურნალი ადუჩად იგდებს და ეი, დღეს მეფეა, ხვალ კი აღესრულება.

11. როცა ადამიანი კვდება, ქვეწარმავალია, მხეცთა და მატლთა ხვედრად იქცევა [იგი].

12. დასაბამი ამპარტავნებისა — განშორებაა ღვთისაგან ადამიანისა და განდგომა დამბადებლისაგან მისი გულისა.

13. რამეთუ დასაბამი ამპარტავნებისა ცოდვაა და ვისაც იგი აქვს, სიხაძაგლეს ამოანთხევს. ამის გამო უფალი მრავალ განსაცდელს უმზადებს და ბოლოს კიდეც დაამხობს მას.

14. უფალმა დაამხო ტახტი მრავალთა და მათ ნაცვლად მშვიდნი დასვა.

15. უფალმა ძირფესვიანად მოთხარა ხალხები და მათ სანაცვლოდ მორჩილნი დააფუძნა.

16. ზოგიერთნი გაანძო და წარწყმიდა ისინი და ქვეყანაზე მოხსო სახსენებელი მათი.

18. ადამიანთათვის არ შექმნილა ამპარტავნება და არც რისხვა გულისწყრომისა ქალთა ნაშობთათვის.

19. თესლი პატიოსანი, რომელია? თესლი კაცისა.
    თესლი პატიოსანი რომელია? მოშიშნი უფლისა.
    თესლი უპატიოსნო რომელია? თესლი კაცისა.
    თესლი უპატიოსნო რომელია? დამრღვევნი მცნებებისა.

20. ძმათა შორის უფროსი პატივდებულია მათგან, — ასევე მოშიშნი უფლისანი წინაშე თვალთა მისთა.

22. მდიდრისა, დიდებულისა თუ ღარიბისა — სიამაყე — უფლის შიშია.

23. უსამართლობაა შეურაცხყოფა გონიერი გლახაკისა და არა ჭერ არს ხოტბის შესხმა ცოდვილი კაცისათვის.

24. დიდებულიც, მსაჯულიცა და მმართველიც პატივდებულია, მაგრამ არცერთი მათგანი არაა უმეტესი მოშიშზე უფლისა.

25. ნუ ბრძენობ, რათა გააკეთო საქმე შენი და თავს ნუ განიდიდებ შენი გასაჭირის ჟამს.

27. მშრომელი, რომელსაც ყოველივე უხვად აქვს, სჯობია მოხეირნე მკვეხარას, ვისაც პურიც კი უჭირს.

28. შვილო, სიმშვიდით განადიდე სული შენი და მიაგე მას პატივი მისი ღირსებისამებრ.

29. შემცოდეს წინაშე საკუთარი სულისა ვინ გამართლებს? და ვინ განადიდებს შეურაცხმყოფელს თავისი სიცოცხლისა?

30. გლახაკს პატივს სცემენ ცოდნისა გამო, მდიდარს კი მისი სიმდიდრის წყალობით ადიდებენ.

31. სიგლახაკეში პატივდებული რამდენად უფრო განდიდდება სიმდიდრეთა შინა? და სიმდიდრეში უპატიო, რამდენად უფრო უპატიო იქნება სიგლახაკეში?

თავი XI

1. სიბრძნე, თავმდაბლისა აამაღლებს მას და დიდებულთა შორის დასვამს.

2. ხოტბას ნუ შეასხამ კაცს მისი სილამაზის გამო და ნუ შეიძაგებ მისი გარეგნობით.

3. პატარაა მფრინავთა შორის ფუტკარი, მაგრამ ყველაზე ტკბილია ნაყოფი მისი.

4. სამოსით შემოსილს თავი ნუ მოგაქვს და დიდების დღეს ნუ ამაღლდები, რადგანაც საკვირველია ხელმენი უფლისა და კაცთათვის დაფარულია საქმენი მისნი.

5. მრავალნი ტირანნი დასხდნენ მიწაზე, მან კი, ვისგანაც არ მოელოდნენ, გვირგვინი ატარა.

6. მრავალნი მმართველნი შეურაცხყოფილნი იქმნენ, ხოლო დიდებულნი სხვათა ხელებს მიეცნენ.

7. ვიდრე არ გამოიძიებ, ნუ გაკიცხავ, ჯერ დაფიქრდი და შემდეგ შერისხე.

8. ვიდრე არ მოისმენ, ნუ უპასუხებ და სიტყვას შუაში ნუ გაუყვეტინებ.

9. საქმეზე, რომელიც შენთვის საჭირო არაა, ნუ კამათობ და ცოდვილთა დასჯაში მონაწილეობას ნუ მიიღებ.

10. შვილო, ხელს ნუ მოკიდებ მრავალ საქმეს, რადგან ხელმეთა სიმრავლეში უცოდველი ვერ დარჩები და თუ გამოეკიდები მათ, ვერ დაეწევი და გაქცევითაც ვერ გაექცევი.

11. ერთი მშრომელია, ოფლს ღვრის და ჩქარობს, მაინც უკან რჩება;

12. სხვა ზარმაცია, შეწევნის მთხოვნელი, ძალ-ღონით ¦ უსტი და სიღატაკეში ყელამდე ჩაფლული, მაგრამ უფლის თვალმა სასიკეთოდ შეხედა და მან წამოაყენა იგი სიმდაბლისაგან მისისა.

13. და აამაღლა იგი და მრავალნი გაოცდნენ მის გამო.

14. სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი, სიღატაკე და სიმდიდრე — უფლისაგანაა.

17. წყალობა უფლისა ღვთისმოსავებს ეძლევა და კურთხევა მისი კეთილად გამყვებათ ხაუკუნოდ.

18. ზოგი მდიდარია თავისი სიფრთხილისა და მომჭირნეობისა გამო და ეს ნაწილია მისი ხაზღაურისა.

19. ბოლოს ის იტყვის: „ვიპოვე მოხვენება, ახლა დავტკბები ჩემი სიკეთით" და არ კი იცის, როდის მოაწევს ეამი, როცა ქონებას სხვებს დაუტოვებს, ხოლო თავად აღეხრულება.

20. მტკიცედ იდექი შენს აღთქმაზე და მისი [ერთგული] დარჩი და ხაქმესა შენსა შინა დაბერდი.

21. ნუ გაგაოცებს საქმენი ცოდვილისა, გწამდეს უფლისა და უერთგულე ხაქმესა შენსა. რამეთუ ადვილია უფლის თვალში — სწრაფი და უეცარი გამდიდრება გლახაკისა.

22. კურთხევა უფლისა ხაზღაურია ღვთისმოსავისათვის და მოკლე ხანში აყვავებს წყალობა მისი.

23. ნუ იტყვი: „კიდევ რა მჭირდება მე და ამიერიდან კიდევ რა სიკეთე უნდა შევიძინო?"

24. ნუ იტყვი: „ხაკმარისია ჩემთვის და ამიერიდან კიდევ რაღა ბოროტება უნდა განვიცადო?"

25. ბედნიერების დღესა შინა დაივიწყება ბოროტებანი და დღესა გასაჭირისასა არ იხსენებენ ბედნიერებას.

26. რადგანაც ადვილია უფლისათვის აღსასრულის დღეს მიაგოს კაცს მისთა საქმეთათვის.

27. წუთიერი ტანჯვა დამვიწყებელია ტკბობათა და ადამიანის აღსასრულისას განცხადდება ხაქმენი მისნი.

28. ნურავის ჩათვლი ბედნიერად ვიდრე სიკვდილამდე, რადგანაც კაცი მისი შვილებისაგან შეიცნობა.

29. ყველა კაცს ხახლში ნუ შემოუშვებ, რამეთუ დიდია მზაკვრობა ცბიერისა.

30. მახეში მონადირებული კაკბის მსგავსია გული ამპარტავანისა და ვითარცა მზვერავი დაცემას უთვალთვალებს.

31. გადააქცევს რა სიკეთეს ბოროტებად, მახეს დააგებს და რჩეულებს ლაქას დაამჩნევს.

32. ცეცხლის ნაპერწკლისგან მრავლდება ნაკვერჩხალი და კაცი ცოდვილი ხეფანგს სისხლზე დაიგებს.

33. ერიდე ბოროტს — უკეთურ საქმეთა ოსტატს, რათა ოდესმე ხაუკუნო ლაქით არ მოგსვაროს შენ.

34. ჩაისახლე უცხოს და იგი აგაღელვებს შენ შფოთით და უცხოს გაგხდის შენიანთათვის.

თავი XII

1. უკეთუ სიკეთეს აკეთებ, შეიცანი ვისთვის აკეთებ და მოგენიჭება მადლი სიკეთისათვის შენისა.

2. კეთილი უყავ ღვთისმოსავს და სანაცვლოს იპოვი, თუ მისგან არა, უზენაესისაგან მაინც.

3. არ იქნება სიკეთე მისთვის, ვინც განუწყვეტლად ხრადის ბოროტებას და ვინც მოწყალებას სიხარულით არ იძლევა.

4. მიეცი ღვთისმოსავსა და ცოდვილს ნუ შეეწევი.

5. კეთილი უყავ თავმდაბალს და ნუ აძლევ უწმინდურს, დაუკავე მას პური და არ მისცე, რათა მისით არ გძლიოს შენ, რადგანაც მიიღებ ორმაგ ბოროტებას ყველა სიკეთისათვის, რასაც მას გაუკეთებ.

6. რადგანაც მოიძულა უზენაესმა ცოდვილნი და უწმინდურებს სასჯელს მიაგებს.

7. მიეცი კეთილს და ცოდვილს ნუ შეეწევი.

8. არ გამოიცნობა მეგობარი სიკეთესა შინა და არ დაიფარება მტერი გასაჭირის ჟამს.

9. ადამიანის ბედნიერებისას მტერნი მისნი მწუხარენი არიან, გასაჭირის ჟამს კი მეგობარიც გაეყრება.

10. ნუ ენდობი მტერს შენსას სამარადისოდ; რამეთუ ვითარცა სპილენძი, ისე ეანგდება ბოროტება მისი.

11. და თუკი დამდაბლდა და ქედწახრილმა იარა, სული შენი აღმართე და დაიცავი მისგან და ეყავ მას ვითარცა სუფთა სარკე და შეიცნობ, რომ ბოლომდე როდი განწმენდილა ჟანგისაგან.

12. ნუ დააყენებ მას შენს გვერდით, რათა არ ჩამოგაგდოს და შენს ადგილზე არ დადგეს. ნუ დაისვამ მას მარჯვენით შენსა, რათა ოდესმე არ მოისურვოს სავარძელი შენი, თორემ ბოლოს ჩასწვდები ჩემს სიტყვებს და სინანულით გაიხსენებ შეგონებათა ჩემთა.

13. ვინ შეიწყალებს გველით დაგესლილთა და ყველა იმათ, ვინც მხეცებს მიეახლა?

14. ახევე მავალს ცოდვილ კაცთან ერთად და გამზიარებელს მისი ცოდვებისა?

15. დროებით დარჩება შენთან, მაგრამ მერყეობას თუკი დაიწყებ, ველარ დაითმენს.

16. მტერი ბაგითა მისითა გატკბობს, გულში კი იზრახავს ორმოში ჩაგაგდოს შენ. მტერი თვალითა მისითა იტირებს, მაგრამ თუკი დრო იპოვა, სისხლით ვერ გაძღება.

17. უკეთუ თავს უბედურება დაგატყდება, შენზე ადრე გაჩნდება იქ და ვითარცა შემწე შენს დაგიდგებს.

18. თავს გადააქნევს, ხელებს შემოჰკრავს, ბევრს იჩურჩულებს და სახეს შეიცვლის.

თავი XIII

1. ვინც ფისს შეეხება, გაისვრება და ვინც ამპარტავანს დაუახლოვდება, დაემსგავსება მას.

2. ნუ ასწევ ტვირთს შენზე აღმატებულს და შენზე ძლიერსა და მდიდარს ნუ დაუახლოვდები.

რა ურთიერთობა აქვს თიხის ჭოთანს ქვაბთან? ეს უკანასკნელი დაეჯახება და გატეხს მას.

3. მდიდარმა უსამართლობა ჩაიდინა და თვითონვე გაწყრა, გლახაკი შეურაცხყვეს და თავად ივედრება შეწყალებას.

4. თუკი დასჭირდები, გამოგიყენებს შენ, ხოლო თუ გაგიჭირდა, მიგატოვებს.

5. თუ გექნება, შენთან იცხოვრებს, შენ დაგახარჯვინებს და თვითონ კი თავს არ შეიწუხებს.

6. გაგალატაკებს რა და გაცდუნებს შენ, გაგიცინებს და იმედს მოგცემს, ალერსიან საუბარს გაგიბამს და გკითხავს: რაზე ხომ არ გჭირდება შენ?

7. და შეგარცხვენს შენ თავისი გამასპინძლებით, ვიდრე ორჯერ ან სამჯერ არ გაგძარცვავს და საბოლოოდ არ იცინებს შენზე. შემდგომად ამისა, დაგინახავს რა, მოგერიდება და მბოლოდ თავსლა დაგიქნევს.

8. უფრთხილდი, რომ არ შეცდე და არ დამდაბლდე შენი უგუნურობით.

9. როცა ძლიერი მიგიბმობს, თავი აარიდე და უფრო მიგიწვევს შენ.

10. თავს ნუ მოაბეზრებ, რათ არ მოგიშოროს და ნურც ძალიან განზე გადგები, რათა დავიწყებული არ იქნე.

11. ნუ მისცემ თავს ნებას ესაუბრო მას, როგორც თანასწორს და მის მრავალსიტყვაო-

ბას ნუ მიენდობი, რადგანაც გრძელი ხაუბრით შეგაცდენს შენ და თითქოსდა ხუმრობით გამოგცდის.

12. შეუბრალებელია საკუთარი თავის მიმართ, ვინც არ გაუფრთხილდება სიტყვებს და თავს ვერ დაიცავს ბოროტებისა და ბორკილებისაგან.

13. გაუფრთხილდი და ერიდე ფრიად, რამეთუ შენს დაცემასთან ერთად [illegible] ბრალებენ.

14. ყველა ცხოველს უყვარს თავისი მსგავსი და ყოველ კაცს — მახლობელი მისი.

15. ყოველი ხორციელი თავისი მოდგმის მიხედვით ერთდება [illegible] თავისივე მსგავსისაკენ მიისწრაფვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. რა აქვს საერთო მგელს კრავთან? ასევე ცოდვილს ღვთისმოსავთან?

17. რა [illegible] მშვიდობა აფთრისა ძაღლთან და მშვიდობა მდიდრისა გლახაკთან?

18. მოსანადირებელი ლომებისა — გარეული ვირები უდაბნოში, ასევე საძოვარია მდიდართათვის გლახაკნი.

19. საძულველია თავმდაბლობა ამპარტავნისათვის, ასევე საძულველია მდიდრისათვის ღარიბი.

20. მდიდარმა თუ წაიბორძიკა, მეგობრები შეაშველებენ ხელს, დაცემულ გლახაკს კი მეგობრებიც მიატოვებენ.

21. მდიდარმა თუ [illegible] ბევრი [illegible] ხელს, [illegible] გლახაკს კი [illegible].

22. [illegible] მდიდარს [illegible] [illegible] [illegible]

17. ყოველი ხორციელი ძველდება ვითარცა ტანსაცმელი. რამეთუ დასაბამიდან განსაზღვრულია: „სიკვდილით მოკვდები"

18. ვითარცა მწვანე ფოთოლი დაბერულ ხეზე — ერთი ვარდება, ხოლო მეორე იშლება. ასევე მოდგმა ხორციისა და სისხლისა. — ერთი აღესრულება, მეორე კი იბადება.

19. ყოველი ნაკეთობა ბრწყინადია და ქრება და მასთან ერთად კვდება შემქმნელიც მისი.

20. ნეტარია კაცი, რომელიც სიბრძნით იწვრთნება და ვინც თავისი გონებით ეზიარება მას.

21. ვინც თავის გულში მის გზებს მოიაზრებს, იგი შეიცნობს დაფარულთა მიზეზთა.

22. მისდიე მას უკან ვითარცა მდევარმა და მისსავე გზებზე ჩაუსაფრდი.

23. ვინც მის ფანჯრებში შეიხედავს, ის მის კარებთანაც მოისმენს.

24. ვინც მისი სახლის მახლობლად დაივანებს, ის ჩაჭედებს ლურსმანს მის კედლებში.

25. მის ახლოს აღმართავს თავის კარავს და კეთილ სავანეში განისვენებს.

26. მის ჭერქვეშ დასვამს თავის შვილებს და მის რტოებქვეშ დაიმკვიდრებს.

27. მისით დაიფარავს თავს სიცხისაგან და მის დიდებასა შინა იცხოვრებს

თავი XV

1. მოშიში უფლისა ასე მოიქცევა და მტკიცე რწმენითა მოიხვეჭს მას:

2. და მიეგებება მას ვითარცა დედა და მიიღებს ვითარცა მეუღლე უცოდველი.

3. ასაზრდოებს მას გონების პურით და შეასმევს წყაროს სიბრძნისა.

4. მისით განმტკიცდება და აღარ შეირყევა. მიეკვრება მას და აღარ შერცხვება.

5. და აამაღლებს მას თავის მახლობლებზე და გააღებინებს პირს შეკრებილთა შორის.

6. სიხარულისა და შვების გვირგვინს აპოვნინებს და საუკუნო სახელს დაუმკვიდრებს მას.

7. ვერ მისწვდებიან მას კაცნი უგუნურნი და ვერც კაცნი ცოდვილნი იხილავენ მას.

8. შორსაა იგი ამპარტავანებისაგან და კაცნი ცრუნი ვერ შეიცნობენ.

9. უხიამოვნოა ქება ცოდვილის პირით [თქმული], რამეთუ უფლისაგან რიდი გამოგზავნილი.

10. რადგანაც ქება სიბრძნით ითქმება და უფალი კეთილად წარმართავს მას.

11. ნუ იტყვი, რომ „ღვთის გულისათვის განვუდექი", რამეთუ რაც [მან] შეიძულა, არ უნდა გააკეთო.

12. ნუ იტყვი, რომ „ღმერთმა შეცდინა", რადგანაც არ აკლია მას ცოდვილი კაცი.

13. ყოველივე სიბინძეგლე შეიძულა უფალმა და არც მიხთა მოშიშთა უხდა უყვარდეთ.

14. მან დასაბამიდანვე შექმნა ადამიანი და დატოვა იგი ანაბარად მისი ზელისა.

15. უკეთუ მოისურვებ, დაიცავ მცნებებს და კეთილ რწმენასაც შეინახავ.

16. მან დაგიდო შენ წინ ცეცხლი და წყალი და საითკენაც გენებოს, გაიწოდე ხელი შენი.

17. ადამიანის წინაშეა სიცოცხლე და სიკვდილი და რომელსაც მოისურვებს, იგი მიეცემა.

18. რამეთუ დიდია სიბრძნე უფლისა, ძლიერია მისი მეუფება და ყოველივეს ხედავს.

19. თვალნი მისნი მოშიშთა ზედაა და იცის მან ყოველი საქმე კაცისა.

20. უსჯულოება არავისთვის დაუდგენია მას მცნებად და არც არავისთვის მიუცია უფლება ცოდის ჩადენისა.

თავი XVI

1. ნუ მოისურვებ სიმრავლეს უვარგის ძეთა და ნურც უსჯულო შვილებით ხარობ.

2. მათი გამრავლება ნუ გაგახარებს, უკეთუ არა აქვთ შიში უფლისა.

3. არ ირწმუნო მათი სიცოცხლე და ნუ და ეურდნობი სიმრავლეს მათსას. რამეთუ ზოგჯერ ერთი სჯობს ათასს და უშვილოდ გადაგება უსჯულო შვილთა ყოლას.

4. რადგანაც ერთი გონიერისაგან ქალაქი აშენდება, ტომი უსჯულოთა კი მოოხრდება.

5. მრავალი ამგვარი რამ იხილეს თვალებმა ჩემმა და ამაზე უარესი მოისმინეს ყურებმა ჩემმა.

6. ცოდვილთა საკრებულოში ცეცხლი გაჩაღდება, ურჩ ხალხში კი რისხვა აინთება.

7. არ შეიწყალა [უფალმა] ძველი გოლიათები, რომელნიც თავიანთი ძალით იმედით განუდგნენ მას.

8. არ დაინდო ლოთის სახლეულიც, რომელიც მოიძულა ამპარტავნებისათვის მისისა.

9. არ შეიწყალა ხალხი წარწყმედილი, რომელიც მედიდურობდა თავისი ცოდვებით.

10. ასევე, როგორც ეკვსახი ათასი კაცი, ერთად რომ გულქვაობამ შეერიბა.

11. თუნდაც ერთი იყოს ქედფიცხელი, მაინც საკვირველი იქნება. იგი რომ დაუსჯელი დარჩეს, რამეოუ წყალობაცა და რისხვაც უფალთანაა და შეწყალებაც ხელეწიფება და რისხვის გადმოღვრაც.

12. რამდენადაც დიდია წყალობა მისი, იმდენად დიდია მხილებაც მისი და კაცი მისი საქმეების მიხედვით განსჯის.

13. ვერ გაექცევა [მას] ცოდვილი ნაძარცვით და დათმენა კეთილმორწმუნეთა [illegible] ამაო.

14. ადგილს მიუჩენს ყოველ მოწყალებას და ყოველი თავის საქმეს [illegible] მხილებს.

15. ნუ იტყვი, რომ „დავემალები უფალს და სიმაღლიდან ვინ გამიხსენებს მე? ვერც კი შემამჩნევს ხალხის სიმრავლეში, რადგანაც რა არის სული ჩემი ზღვარდაუდებელ ხამყაროში?"

16. აჰა, ზეცა და ზეცა ზეცისა, უფსკრული და მიწა ირყევიან მისი მზერის ქვეშ.

17. მთანიცა და საფუძველიც დედამიწისა ერთნაირად ირყევა ძრწოლით, როდესაც მათ მოხედავს.

18. და ეს ვერ გაუგია გულს და გზებს მისას ვინ მოიაზრებს?

19. ვითარცა ქარი, რომელსაც ადამიანი ვერ დაინახავს, ასევე მისთა საქმეთა უმრავლესობაც დაფარულია.

20. „ვინ მოგვითხრობს საქმენი მისი სამართლიანობისა? ან ვინ დაელოდება მათ? რამეოუ შორსაა აღთქმა".

21. ამგვარად განსჯის ლატაკი გულითა და კაციც, უგუნური და ცდუნებული, ამგვარად ფიქრობს.

22. „ურო დამიგდე მე, შვილო, და ისწავლე მეცნიერება და ჩემი სიტყვები გულით შეისმინე.

23. მე გაჩვენებ შენ ზომიერ აღზრდას და ზუსტ ცოდნასაც გადმოგცემ.

24. უფლის განაჩენით დასაბამიდანვეა საქმენი მისნი და მათი შესაქმიდანვე დაყო მან ნაწილნი მათნი.

25. სამარადისოდ მოაწესრიგა საქმენი თვისი, რომელთა დასაბამი მათსავე შობაშია, არცა სწყურიათ და არცა იღლებიან და არცა სწყვეტენ თავიანთ მოქმედებას.

26. არცერთი მათგანი არ აიწროვებს მასთან ახლომყოფს და არასოდეს აღუდგება წინ უფლის სიტყვათა.

27. შემდგომ ამისა უფალმა მიწას გადმოხედა და აღავსო იგი თავისი სიკეთით.

28. ყოველი ცხოველის ხულმა დაფარა პირი მისი და მისკენ მიიქცევა ყოველივე.

თავი XVII

1. უფალმა მიწისაგან შექმნა ადამიანი და კვლავ მასვე დაუბრუნა იგი.

2. განსაზღვრული დღეები და ჟამი მისცა მათ და უბოძა მეუფება დედამიწაზე მყოფთა ზედა.

3. მათი ბუნებისდა მიხედვით შემოსა ისინი ძალით და შექმნა ისინი მსგავსად თავისი სახისა.

4. ჩაუნერგა მისი შიში ყოველ ხორციელს, რათა ემეუფა ცხოველთა და ფრინველთა ზედა.

5. მისცა მათ აზრი, ენა და თვალები, უურები და გული, რათა შეეცნოთ ისინი.

6. აღავსო ისინი ხელოვნებით ცოდნისა და აჩვენა მათ კეთილიცა და ბოროტიც.

7. დაადგა თვალი თვისი მათ გულებს და უჩვენა მათ სიდიადე თავის საქმეთა,

8. რათა ადიდონ სახელი წმიდისა და მისი საქმეების სიდიადეზე მოუთხრონ.

9. წინ დაუდვა მათ ცოდნა და კანონი ცხოვრებისა დაუმკვიდრა.

10. საუკუნო აღთქმა დადო მათთან და უჩვენა სასჯელნი მისი.

11. სიდიადე დიდებისა იხილეს თვალებმა მათმა და დიდებულება მისი ხმისა გაიგონეს უურებმა მათმა.

12. და უთხრა მათ: „ერიდეთ ყოველგვარ უსამართლობას" და ამცნო თითოეულს მოვალეობა მოყვასის მიმართ.

13. გზანი მათნი ყოველთვის მის წინაშეა და ვერ დაემალებიან მის თვალებს.

14. ყოველ ხალხს დაუდგიმა წინამძღოლი, ხოლო ისრაელი უფლის ხვედრია.

15. მათი ყველა საქმე, ვითარცა მზე, მის წინაშეა და მარადის მათ გზებზეა თვალები მისი.

20. ვერ დაუფარეს მას თავიანთი უსამართლობანი და ყველა მათი ცოდვა უფლის წინაშეა.

22. ვითარცა ბეჭედი, მასთანაა გულმოწყალება კაცისა და ვითარცა გუგას, დაიცავს იგი მადლს ადამიანისა.

23. შემდგომად ამისა, აღდგება იგი, სამაგიეროს მიუზღავს მათ და მათ მიერ გაკეთებულს უკანვე დაუბრუნებს.

24. ხოლო რომელნიც ინანიებენ, მოაქცია და გაამხნევა ისინი, რომელთაც მოაკლდათ ღონე თმენისა.

25. მოიქეცი უფლისაკენ და ცოდვანი დათმე, ევედრე მას და ცდუნებანი შეამცირე.

26. ამაღლდი უზენაესისაკენ, უსამართლობას განშორდი და ფრიად შეიძულე სიხაძაგლე.

27. ვინ განადიდებს უფალს ჯოჯოხეთში, თუ არა ცოცხალნი და ქების შემსხმელნი.

28. მკვდრისაგან, ვითარცა არარსებულისაგან წარწყმდება ქების შესხმა. [მხოლოდ] ცოცხალი და ჯანმრთელი განადიდებს უფალს.

29. რა დიდია გულმოწყალება უფლისა და შეწყალება მისკენ მიქცეულია.

30. არ შეიძლება, რომ ადამიანებში ყოველივე იყოს, რადგანაც უკვდავი როდია ძე კაცისა.

31. რაა უფრო ნათელი მზეზე? მაგრამ მასაც აკლდება [სინათლე] და ბოროტს განიზრახავს ხორცი და სისხლი.

32. მაღალი ზეცის ძალას თავად ადევნებს თვალყურს, ხოლო ყოველი კაცი მიწა და ფერფლია.

თავი XVIII

1. საერთოდ, ყოველივე მან შექმნა, ვინც საუკუნოდ ცოცხლობს;

2. მხოლოდ უფალია მართალი.

4. არავის მისცა ძალა მისი საქმეების გადმოცემისა და მის დიდებულ საქმეთა ვინ გამოიკვლევს?

5. ძალა მისი სიდიადისა ვისგან განიზომება? და ვის შეუძლია გადმოსცეს გულმოწყალება მისი?

6. არ შეიძლება [მისი] არც დამცრობა და არც განდიდება და შეუძლებელია კვლევა უფლის საკვირველ საქმეთა.

7. როცა ადამიანი დაასრულებდა, მაშინ იწყებს და როცა შეწყვეტს, მაშინ გაოცდება (დააკლდება).

8. რაა კაცი და რა არის სარგებელი მისი? რა არის სიკეთე მისი და რა ბოროტება მისი?

9. რიცხვი ადამიანის დღეთა მრავალია — ასი წელი.

10. ვითარცა ზღვაში წვეთი წყლისა და მარცვალი ქვიშისა, ასევე მცირეა მარადისობის დღისათვის წლები მისი.

11. ამიტომაც სულგრძელია უფალი [კაცთა] მიმართ და მიაფენს მათზე თავის წყალობას.

12. ხედავს და იცის, რომ მწუხარეა აღსასრული მათი, ამიტომაც გაამრავლა თავისი წყალობა.

13. თანაგრძნობა ადამიანისა მისი მახლობლისკენაა [მიმართული], თანაგრძნობა უფლისა კი — ყოველი ხორციელისაკენ. ამხელს, ზრდის და ასწავლის და მოაქცევს ვითარცა მწყემსი თავის სამწყსოს.

14. შეიწყალებს მათ, ვინც მის შეგონებას შეიწყნარებს და იმათაც, რომელნიც მისი კანონებისაკენ იხწრაფვიან.

15. შვილო, ქველმოქმედებისას საყვედურს ნუ იტყვი და ყოველი გაცემისას გულსატკენ სიტყვას.

16. განა ხიცხეს ცვარი არ აგრილებს? ასევე სჯობია სიტყვა მოწყალებას.

17. ლამაზ ხაჩუქარზე მაღლა ხომ სიტყვა დგას? კეთილშობილ კაცს კი ორივე ეკნება.

18. უგუნური უმადურობით აყვედრის და წყალობა გულღვარძლიანისა თვალებს დააშრობს.

19. ვიდრე საუბარს დაიწყებდე, მოიფიქრე და [საკუთარ თავზე] დასნეულებამდე იზრუნე.

20. განსამართლებამდე გამოიძიე თავი შენი და [მისი] დადგომის ჟამს იპოვი შეწყალებას.

21. ვიდრე დაუძლურდებოდე, დაიმდაბლე თავი შენი და შეცოდებათა ჟამს მოიქეცი.

22. ნუ დაბრკოლდები აღთქმის დროზე შეხასრულებლად და განსამართლებას ნუ გადასდებ ვიდრე სიკვდილამდე.

23. ლოცვის დაწყებამდე მოამზადე თავი შენი და ნუ იქნები ვითარცა კაცი, გამომცდელი უფლისა.

24. გახსოვდეს რისხვა აღსასრულის დღეს და ჟამი შურისძიებისა, როცა უფალი პირს მიიბრუნებს.

25. სიმაძღრისას ჟამი შიმშილობისა გახსოვდეს, გამდიდრებისას კი სიღატაკე და გაჭირვება.

26. განთიადიდან სალამომდე იცვლება ჟამი და ყოველივე სწრაფწარმავალია წინაშე უფლისა.

27. კაცი ბრძენი ყოველთვის ფრთხილად იქნება და ცოდვათა ჭეშმარიტებაში შეცდომას მოერიდება.

28. ყოველი გონიერი შეიცნობს სიბრძნეს და მის მპოვნელსაც ხოტბას შეასხამს.

29. სიტყვით გონიერნი თავადაც დაბრძენდნენ და დააფრქვიეს ნატიფი იგავები.

30. ნუ აჰყვები შენს გულისთქმათა და ხორვილებისაგან თავი შეიკავე.

31. თუ ხელს შენსას კეთილად განაწყობ ვნებებისადმი, იგი გაგზდის შენ გასართობად შენი მტრებისა!

32. შვებას ნუ მიეცემი დიდი ფუფუნებით და მის ნადიმებს ნუ შეეჩვევი.

33. ნუ გალატაკდები ხესხით [გამართული]ნადიმებით, როდესაც ქისა ცარიელი გაქვს.

თავი XIX

1. მუშა მემთვრალე ვერ გამდიდრდება და მცირე (საქმეთა) არად ჩამგდები თანდათან დაეცემა.

2. ღვინო და ქალები რუვნიან გონიერთა, მეძავეებთან დაახლოებული კი უფრო თავხედდება.

3. მღილი და მატლი დაიმკვიდრებენ მას და სული თავხედი წარწყმდება.

4. ვინც მალემრწმენია, ჭკუამსუბუქია და ვინც სცოდავს, თავისი სულის წინაშე სცოდავს.

5. ვინც ხიამეთა გულით მიეცემა, განიკითხება.

6. და ლაყბობის მოძულე შეამცირებს ბოროტებას.

7. ნურასოდეს გაიმეორებ სიტყვას და არაფერი დაგაკლდება შენ.

8. ნურც მეგობარსა და ნურც მტერს ნუ მოუთხრობ და თუ შენთვის ცოდვა არ არის, ნუ გაამელავნებ.

9. რადგანაც მოგისმენს შენ და მოგერიდება და დროთა განმავლობაში შეგიძულებს შენ.

10. მოისმინე სიტყვა? დაე, შენთან ერთად მოკვდეს, ნუ გეშინია, არ აგაფეთქებს შენ.

11. სულელი სიტყვისაგან იმგვარ ტკივილს განიცდის, როგორსაც მშობიარე ჩვილისაგან.

12. ვითარცა ისარი ბარძაყში გარჭობილი, ასეევეა სიტყვა წიალისათვის სულელისა.

13. გამოჰკითხე მეგობარს, იქნება მას არ ჩაუდენია [ეს] და თუ ჩაიდინა, დაე, მომავალში ნულარ ჩაიდენს.

14. გამოჰკითხე მახლობელს, იქნება არ უთქვამს და თუ თქვა, დაე, ნულარ გაიმეორებს.

15. გამოჰკითხე მეგობარს, რამეთუ ხშირად იბადება ცილისწამება და ყველა სიტყვას ნუ ირწმუნებ.

16. ზოგი [სიტყვით] სცოდავს, მაგრამ არა სულით და ენით ვის არ შეუცოდავს?

17. გამოჰკითხე მახლობელს შენსას ვიდრე დაემუქრებოდე და უზენაესის კანონს გზა მიეცი.

20. ყოველგვარი სიბრძნე — უფლის შიშია და ყოველ სიბრძნეში აღსრულებაა კანონისა.

22. და არ არის სიბრძნე ცოდნა ბოროტისა და არ არის გონება იქ, სადაც ცოდვილთა ბჭობაა.

23. არის მზაკვრობა და იგი სიხაძაგლეა და არის უგუნური სიბრძენს მოკლებული.

24. გონებით მწირი, მაგრამ ღვთის პოშიში სჯობს ცოდნაშოჯარბებულს, მაგრამ კანონის გადამლახველს.

25. არსებობს დახვეწილი მზაკვრობა, მაგრამ იგი უსამართლოა და არის გადამქცეველი მადლისა მსჯავრის გამოსატანად.

26. არის ცბიერი ,მწუხარებით თავჩაქინდრული, მაგრამ შიგნით სავსეა ვერაგობით.

27. სახეს მალავს და თავს მოიყრუებს, მაგრამ სადაც ვერ მოიფიქრებ, იქ მიგასწრებს შენ.

28. და თუკი ძალის ნაკლებობა დაგაბრკოლებს, რათა შეხცოდოს, ბოროტად მაშინ მოგეცევა, ლოს რომ იპოვის.

29. კაცი გარეგნობით გამოიცნობა, ხოლო გონიერი შეხვედრისას სახით.

30. სამოსელი, ხიცილი და ნაბიჯები ადამიანისა მოგვითხრობენ მასზე.

თავი XX

1. არსებობს მხილება, რომელიც უდროოა და ზოგჯერ ისაა გონიერი, ვინც დუმს.

2. მხილება სჯობია [ფარულ] გულიხწყრომას.

3. რამეთუ დამცირებული საჯაროდ მხილებისას თავს შეიკავებს [...]

4. ვითარცა საჭურისი ,რომელსაც ხურს ქალწული გახრწნას, ამგვარივეა სამსჯავროთა ძალდატანებით გამმართველი.

5. ზოგი დუმს და აღმოჩნდება, რომ ბრძენია, ზოგი კი საძულველია ბევრი ლაყბობის გამო.

6. ზოგი დუმს, რადგან პასუხი არა აქვს, ზოგი კი იმიტომ დუმს, რომ დროს შეპყურებს.

7. კაცი ბრძენი დრომდე ჩუმად იქნება, პატივმოყვარე და უგუნური კი დროს არ მოუცდის.

8. ხიტყვამრავალს შეიძაგებენ და სხვის შეშყურესაც მოიძულებენ.

9. ხდება, რომ კაცს წარმატება აქვს უკეთურებათა შინა, ხოლო ზარალისას შენაძენი.

10. არსებობს საჩუქარი, რომელიც შენ სარგებლობას ვერ მოგიტანს და არსებობს საჩუქარი, რომლისთვისაც საზღაური ორმაგი გექნება.

11. არსებობს დამცირება პატივის გულისათვის, მაგრამ არის ისეთიც, ვინც დამდაბლებისგან ასწია თავი.

12. ზოგი მცირეთი ბევრს ყიდულობს, მაგრამ ამისათვის შვიდჯერ მეტს გადაიხდის.

13. ხიტყვით ბრძენი [ყველასათვის] ძვირფასი ხდება. მადლი სულელთა კი იკარგება.

14. წყალობა უუგუნურისა შენ ხელს არ მოგცემს, რამეთუ მას ნაცვლად ერთისა [მისაღებად] მრავალი თვალი აქვს.

15. ცოტას მოგცემს და მრავალჯერ დაგაყვედრის და პირს დააღებს ვითარცა მაცნე. დღეს რომ ხეხხად აძლევს, ხვალ უკან ითხოვს. საძულველია ამგვარი კაცი.

16. სულელი ამბობს: „არ მყავს მე მეგობარი და არც მადლიერია ვინმე ჩემი სიკეთისათვის".

17. ისინი, ვინც ჩემს პურს ჭამენ, ენით პირფერობენ, რა ბშირად და რამდენი დასცინებს მათ?!

18. უმჯობესია შებრკოლება მიწისაგან, ვიდრე ენისაგან. ამგვარად ჩქარა მოაწევს დაცემა ბოროტთა.

19. კაცი უსიამოვნო უდროო იგავია, რომელიც მუდამ პირზე აკერია უმეცართა.

20. საძაგელია იგავი, სულელის პირით თქმული, რადგანაც არ იტყვის მას შესაფერისად ყამისა.

21. ზოგი ცოდვისაგან თავს იკავებს სიღატაკისა გამო და ამ თავშეკავებისას როდი იწუხებს.

22. ზოგი მორცხვობით ღუპავს თავის სულს და წარიწყმედს მას უგუნურისაგან პირფერობით.

23. ზოგი სირცხვილის გამო ჰპირდება მეგობარს და უმიზეზოდ იძენს მტერს მისი სახით.

24. ადამიანის ბოროტი ნაკლია სიცრუე, რომელიც პირზე აკერიათ მუდამ უმეცარებს.

25. ქურდი სჯობია მას, ვინც მუდამ ტყუის, თუმცა ორივენი წარწყმედას მოიმკიან.

26. საქციელი ცრუ კაცისა — უპატიოსნოა და სირცხვილი მისი მასთანაა საუკუნოდ.

27. სიტყვით ბრძენი თავს აიმაღლებს და კაცი გონიერი დიდებულებს მოეწონება.

28. მიწათმოქმედი თავის ზვინს აამაღლებს და დიდებულთა მაამებელს შეიწყალებენ, თუნდაც უსამართლოდ.

29. გამასპინძლება და საჩუქრები ბრძენთაც კი უბრმავებენ თვალებს და დაათმობინებენ მხილებას ვითარცა აღვირნი პირსა შინა.

30. სიბრძნე დაფარული და საუნჯე დამალული — რაა სარგებელი ორივესაგან?

31. სჯობია კაცი, დამფარველი თავისი სისულელისა, კაცს, რომელიც თავის სიბრძნეს მალავს.

თავი XXI

1. შვილო, შესცოდე? მეტად ნუღარ მიუმატებ, არამედ ადრინდელთათვის ევედრე.

2. გაექეცი ცოდვას ვითარცა პირს უხსენებლისა, რადგან თუკი მიეახლები, გიკბენს შენ. კბილები მისი — კბილები ლომისა — ადამიანთა სულებს მოაკვდინებენ.

3. ყოველი ურჯულოება — ვითარცა მახვილი ორლესული, მისი ჭრილობა არ იკურნება.

4. დაშინება და თავხედობა სიმდიდრეს მოაოხრებს, ასევე მოოხრდება სახლი ამაყ-ნიჰა.

5. ლტაკის პირით თქმული ვედრება მხოლოდ მის უურებამდე აღწევს, მაგრამ სწრაფად უახლოვდება სასჯელი მისი.

6. მოძულე მხილებისა ცოდვილის კვალზეა და მოშიში ღვთისა — გულით მოიქცევა.

7. შორიდან შეიცნობა ძლიერი ენითა, მაგრამ გონიერი ხედავს სად წაიბორძიკებს იგი.

8. ხვეული ფულით ამშენებელი თავისი სახლისა — ვითარცა შემკრები ქვებისა თავისი უბედურებისათვის.

9. თავყრილობა ურჯულოთა — ვითარცა გროვა ძენძისა და აღსასრული მათი — ცეცხლის ალია.

10. გზა ცოდვილთა მოხწორებულია ქვებისაგან, მაგრამ მის ბოლოში უფსკრულია ჯოჯოხეთისა.

11. დამცველი რჯულისა თავის აზრებს ფლობს და დაგვირგვინება უფლის შიშისა — სიბრძნეა.

12. ვერ ვანისწავლება ის, ვინც უნიჭოა. მაგრამ არის ნიჭიერება გამმრავლებელი სიმწარისა.

13. ცოდნა ბრძენისა იზრდება მსგავსად წყალდიდობისა და რჩევა მისი — ვითარცა წყარო სიცოცხლისა.

14. შიგნეული სულელისა მსგავსია გატეხილი ჭურჭლისა, ვერავითარ ცოდნას ვერ დაიჭერს.

15. უკეთუ გონიერი მოისმენს ბრძნულ სიტყვას, შეაქებს მას და თავადაც შეითვისებს. თავქარიანმა მოისმინა იგი და არ მოეწონა და თავის ზურგს უკან მოისროლა.

16. მოთხრობა სულელისა — ვითარცა ტვირთი გზაზე. გონიერის ბაგეებზე კი მადლი იპოვება.

17. პირს ბრძენისა შეკრებისას მოსძებნიან და მის სიტყვებს გულით მოიაზრებენ.

18. ვითარცა სახლი დანგრეული — ამგვარია სიბრძნე სულელისათვის და ცოდნა უგუნურისა — უაზრო სიტყვებია.

19. უგუნურისათვის დამოძღვრა ბორკილებია ფეხებზე და ჯაჭვი მარჯვენა ხელსა ზედა.

20. სულელი სიცილის დროს ხმას აიმაღლებს, კაცი ჭკვიანი კი ძლივს წყნარად გაიღიმებს.

21. განსწავლა გონიერისათვის — ვითარცა მოოთულობა ოქროსი და ვითარცა ძვირფასი სამკაული მარჯვენა მკლავზე.

22. სულელის ფეხები სახლისკენ მიიჩქარის, მრავლისგანმცდელ კაცს კი შერცხვება ხალხისა.

23. უგუნური სახლში კარებიდან შეიჭვრეტს, კაცი აღზრდილი კი გარეთ დადგება.

24. უზრდელობაა ადამიანისათვის — კარებიდან მოხმენა. გონიერი კი შეწუხდება ამგვარი ურცხვობით.

25. უგუნურთა ბაგენი უჩვეულოს მოგვითხრობენ, გონიერთა სიტყვები კი სასწორზე იწონება.

26. სულელთა პირზეა გული მათი, ბრძენთა პირი კი — მათ გულშია.

27. სატანის წყევლისას უწმინდური თავის სულს იწყევლის.

28. მაბეზღარა ბილწავს თავის სულს და სადაც არ უნდა იცხოვროს, შეიძულებენ.

თავი XXII

1. ჭუჭყიანი ქვის მსგავსია ზარმაცი და ყოველი უსტვენს მის უპატიობაზე.

2. ხარის ნეხვის მსგავსია ზარმაცი, ყოველი, რომელიც მას აიღებს, ხელს დაიფერთხავს.

3. სასირცხვილოა მამისათვის შეძენა უზრდელი ძისა, ქალიშვილი კი დასამცირებლად იბადება.

4. გონიერი ქალწული ქმარს შეიძენს, ხოლო ურცხვი მწუხარებაა მშობლისათვის.

5. ქალი უტიფარი არცხვენს მამასაც და ქმარსაც და ორივესგან დამცირდება.

6. უდროო დროს თბრობა იგივეა, რაც მუსიკა ტირილის ჟამს, შოლტები და სიბრძნის სწავლება კი ყოველთვის დროულია.

9. მასწავლებელი სულელისა —ვითარცა შემწებებელი ნამსხვრევებისა, არ გამოვიძებელი მძინარისა ღრმა ძილისაგან.

10. უამბო სულელს იგივეა ჟამბო მთვლემარეს, რომელიც ბოლოს იკითხავს: „რა მოხდა?"

11. იტირე მიცვალებულზე, რამეთუ მოაკლდა ნათელი და იტირე სულელზეც, რადგანაც გონება აკლია. მიცვალებულზე უფრო ტკბილად იტირე, რამეთუ განსვენა, უკეთური სიცოცხლე სულელისა კი სიკვდილზე მეტია.

12. მიცვალებული შვიდ დღეს დაიტირე, სულელი და უწმინდური კი მისი სიცოცხლის ყოველ დღეს.

13. უგუნურთან ნუ მრავალსიტყვაობ და უმეცართან ნუ მიბვალ. მოერიდე მას, რათა უსიამოვნება არ შეგემთხვეს და არ წაიბილწო მასთან შეჯახებით. აარიდე მას თავი და ხიმშვიდეს მოიპოვებ და აღარ შეგაწუხებს უგუნურება მისი.

14. რა არის მძიმე ტყვიაზე? და რა არის სახელი მისი, თუ არა სულელი?

15. უფრო ადვილია მოკიდება ქვიშისა, მარილისა და რკინის ზოდისა, ვიდრე უგუნური კაცისა.

16. ვითარცა მტკიცედ შეკრული ხის სარტყელი სახლისა შერყევისას არ დაირღვევა, ასევე გული, დაყრდნობილი გონივრულ რჩევაზე, არ შეშინდება [საფრთხის] ჟამს.

17. გული, დამტკიცებული გონივრულ განსჯაზე, ვითარცა ნაძერწი ხამშვენისი გათლილ კედელზე.

18. როგორც მაღალზე დადგმული საბრჯენები ვერ გადაურჩება ქარს, ასევე მხდალი გული ვერ გაუძლებს შიშს უგუნური განსჯისას.

19. დაჭრილი თვალი ცრემლებს გადმოღვრის, დაჭრილი გული კი გრძნობებს წარმოაჩენს.

20. ფრინველებისაკენ გასროლილი ქვა განდევნის მათ და მაძაგებელი მეგობრისა დაარღვევს მეგობრობას.

21. თუკი მეგობარზე იშიშვლე მახვილი, იმედს ნუ დაკარგავ, რამეთუ შეიძლება ჩაბრუნება.

22. თუკი მეგობარზე პირი დააღე, ნუ გეშინია, რადგანაც შეიძლება შერიგება. მხოლოდ ძაგება, ქედმაღლობა, ხაიდუმლოს გამჟღავნება და მზაკვრული ბოროტმოქმედება განდევნის ყველა მეგობარს.

23. ნდობა მახლობლისა მისი ხიღატაკის ჟამს მოიპოვე, რათა მასთან ერთად იშვებდე მისი ხიკეთის ჟამს. მასთან დარჩი მწუხარებისას, რათა მის მემკვიდრეობაში წილი დაიდო.

24. ცეცხლის გაჩენამდე ღუმელში ალმური და კვამლია, ასევე დაღვრამდე სისხლისა — ლანძღვა-გინებანი.

25. მეგობრის დაცვისა არ შემრცხვება და მის პირისაგან არ დავიმალები.

26. და თუკი მის გამო ბოროტება შემემთხვევა მე, ყველა ვინც გაიგებს, მოერიდება მას.

27. ვინ მომცემს მე მცველს პირისათვის ჩემისა და კეთილგონიერების ბეჭედს ჩემი ბაგეებისათვის, რათა მათგან არ დავეცე და ჩემმა ენამ არ დამღუპოს მე?

(გაგრძელება იქნება)

მარსელ ბერ დე ტიურიკი გ. პეროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა ნინო მაღალაშვილმა

რაულ დიუფი

თანამედროვე ფერწერაში რაულ დიუფის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება ჭეშმარიტი შრომის ნაყოფი იყო, ის მაინც არ ყოფილა ამა თუ იმ სკოლის მეთაური. მხატვარი მთელი არსებით ღვიძლი შვილია თავისი ეპოქისა, შვილი თანამედროვე მეცნიერების გარიჟრაჟისა, ახალგაზრდა ჯადოქრული საუკუნისა, ახლად შობილი მხრბოლავი ეპოქისა, რომელთაც მიაგო მან ყველაზე მახვილგონივრული, ყველაზე მეცნიერული და ყველაზე ნათელი რამ, რაც კი სულს იქით ებადა.

1900 წელს პარიზში ჩასულ სტიპენდიანტს, რომელიც შეგნებულად ესწრაფვოდა სახვითი ხელოვნების სკოლაში სწავლის დაუფლებას, კარიერის დასაწყისიდანვე იმპრესიონიზმის დაღი დაესვა, თუმცა აშკარად სურდა მისგან განთავისუფლება. მომდევნო წლებში მხატვრის შემოქმედებაში შეინიშნება როგორც ფოვიზმის თანდათანობითი გავლენა, რომლის ბრწყინვალე მოგონება მის არსებაში სამუდამოდ დამკვიდრდა, ისე კუბიზმისა, რამაც განამტკიცა მისი სტრუქტურული ფორმები. და ბოლოს, მან განიცადა სეზანის ცდუნებათა ზეგავლენა, რასაც იმ დროისათვის ვერც ერთი მხატვარი ვერ გაექცეოდა.

დიუფი ყველა მიმართულებაში ბრწყინვალეა, მაგრამ საკუთარ თავს მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ, უშუალოდ კი 1920 წელს პოულობს. ამ დროს მიიღო მან პოლ პუარესა და შემდეგ ბიანქინის დაკვეთა, რაც დაკავშირებული იყო ჭსოვილზე სატვიფრო ხელოვნების განახლება-აღორძინებასთან.

ამან გაათავისუფლა მხატვრის პალიტრა ადრეული გავლენებისაგან. მან მოიწადინა საკუთარ მოლბერტთან დაბრუნება და, ახალი რწმენით გამდიდრებული, ისარივით გაიჭრა წინ და მაყურებელს წარუდგინა თავისი შესანიშნავი სერიები: ვანსი, ნიცა, სიცილია, მაროკო, ეტლების დოღი, კარნავალი, დარბაზობა, რეგატები, მკა, ატელიები, დიდი ორკესტრები. ყოველივე ეს შერწყმულია მის პორტრეტებთან, ნატურმორტებთან, დიდ კომპოზიციებთან და მისი ცხოვრების კაპიტალური შრომის — „ელექტრობის ფერიის" ისტორიასთან (1937 წ.). სამოცი მეტრი სიგანისა და ათი მეტრი სიმაღლის პანოზე გადაშლილია ადამიანური ყოფის ულამაზესი თავგადასავალი, ამაღლებული ფერწერა და თვალისთვის წარმტაცი დღესასწაული.

რაულ დიუფის ორიგინალობა მისი ხილვების სიმძაფრეში გამოიხატება, რომელიც მთავარი მიზნისაკენ არის მიმართული და რომელსაც ცოცხლად აღგვიდგენს ტილოებზე. მისი პირადი აღმოჩენები ფერის საკითხებთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს. მან განდევნა ატმოსფეროში გაბნეული იმპრესიონისტული შუქი და იგი ლოკალური ტონით შეცვალა, რომლის ფერთა ინტენსივობა მაქსიმუმამდე აიყვანა. რაულ დიუფის ფერწერაში სინათლეს თავისი საკუთარი ცხოვრება გააჩნია, რომელიც ოსტატურად არის გადმოცემული და, ფოვისტების საწინააღმდეგოდ, ხოტბას ასხამს ცხოვრების სინამდვილეს.

ჯადოქარი, თუ შეიძლება ითქვას, გამომგონებელი მხატვარი, თანამედროვე აკვარელიდან დაწყებული, რომელსაც სრულყოფილად დაეუფლა, ჩაწვდა თავისი ცხოვრების ძირითად არსს, — სახელდობრ, ჰაერის გამჭვირვალობას, რომლისკენაც მუდამ მიიმტვოდა შემოქმედი. ვგულისხმობთ მის პერპინიანის „ატელიეს"; ამ ფაქიზი სულისა და მოუღლელი მკლავის ადამიანმა დაგვიტოვა ჭეშმარიტად მართალი შემოქმედება, ერთსა და იმავე დროს

ტრადიციულიცა და ნოვატორულიც და მიუხედავად მრავალი წლის ავადმყოფობისა და ტანჯვისა, ბოლომდე ატარა ხელოვნების მაღალ ტვირთი.

რაულ დიუფი დაიბადა 1877 წლის 8 ივნისს ჰავრში, ფერწერისა და მუსიკის მოყვარულთა მრავალხულიან ოჯახში. მხატვრის მშობლებს სურდათ, რომ მათი ვაჟიშვილი ხელობას დაუფლებოდა. 14 წლისა რაული თავს ანებებს სწავლას და ჯავის საიმპორტო კიოფეში ვაჭრობის მუშაკის კარიერისათვის ეწყობა, ხოლო საღამოს საათებში ესწრება ლექციებს სახვითი ხელოვნების მუნიციპალურ სკოლაში, აქ იგი თავისი სკოლის ამხანაგთან, ოტონ ფრიშთან ერთად წარმატებით ეუფლება ხელოვნების საწყისებს.

1900 წელს, საშუალო საშსახურის მოხდის შემდეგ, წარჩინებული სწავლისათვის რაულ დიუფის სახვითი ხელოვნების ეროვნული სკოლის სტიპენდია ენიშნება. იგი ესწრება ლექციებს ბონას ატელიეში, სადაც კვლავ ხვდება ოტონ ფრიშს. მისი ხელოვნების პირველი გამოფენა მოეწყო 1901 წელს ფრანგ მხატვართა სალონში, 1903 წელს — დამოუკიდებელთა სალონში, სადაც 1914 წლამდე აგზავნიდა თავის ყველაზე გამორჩეულ და ფანტაზიანელოვანს ტილოებს, და ბოლოს, 1905 წელს — საშემოდგომო სალონში, იმავე დროს აღმოაჩენს იმპრესიონისტებს — პისაროს, ჯონგკაინდისა და მონეს ქმნილებებს და აღტაცებულია მათი შემოქმედებით. მხატვარი შედის ფერმწერთა ჯგუფშიც, რომელიც ბერტა ვეილთან აწყობს გამოფენებს. დიუფის პირველი დიდი გამოფენაც ვეილთან მოეწყო.

იმ წლებშივე მხატვარი ეცნობა „ფოვისტების" ჯგუფს: მატისს, მარკეს, ვან დონგენს, ბრაკს, დერენს, ვლამინკს, ფრიშს და პარიზის რამდენიმე ცნობილ მხატვარს; განიცდის მატისის ძლიერ გავლენას. 1908 წელს ჰოლ ჰუარე, რომელმაც ხელოსნური დარგის ხელოვნება განაახლა, რაულ დიუფის მხატვრულ ქსოვილებს უკვეთს, რისთვისაც მხატვარი საგანგებო ესკიზებს ქმნის. ამ ნამუშევრებს დიდი წარმატება ხვდათ. პუარეს დახმარებით დიუფი სატვიფრო ატელიეს ხსნის. 1911 წელს მხატვარი ასრულებს გრავიურების სერიას გიიომ აპოლინერის ბესტიარიუმისათვის. მომდევნო წელს დიუფი იწყებს ბიანქინი — ფერიეს ლიონის ფირმაში თანამშრომლობას და იქ ქსოვილზე ორნამენტების სერიებს ქმნის.

1914 წელს დიუფის ჯარში იწვევენ, ხოლო 1917 წელს ამწესებენ ომის მუზეუმის ბიბლიოთეკაში. 1920 წელს დროებით ეწყობა ვანსში და იქ პეიზაჟების მთელ სერიას ასრულებს. ოთხელმა ერთი ნაწილი მომდევნო წელს წარადგენა ახალგაზრდა ბერნჰეიმის გამოფენაზე. 1922 წელს თავის ახლო მეგობარ პიერ კორტიონთან ერთად მიემგზავრება სიციალიაში და რამდენიმე ხანს ტაორმინის ახლოს დამყოფს. სწორედ ეს მეგობარი გახდება მხატვრის ოცეულობაზე სანდო ბიოგრაფი. [illegible] დიუფი მაროკოს ათვალიერებ[illegible] ციდანასა და მაროკოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა ერთგვარი ახალი ძიების მხატვრის ტილოებსა და ნახატებში.

მხატვრულ ქსოვილზე მუშაობის შემდეგ დიუფი ძალებს ცდის გამოყენებითი ხელოვნების დარგში, კერძოდ კერამიკაში — და მონაწილეობს 1925 წლის პარიზის დეკორატიული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაში. 1930 წელს აშენდება Palm Beach-ის ბალეტის დეკორაციებს, რომელიც შატლეში იყო წარმოდგენილი. ხუთადასხვა გამომცემლებისათვის ამბრუაზ ვოლარის დასურათებულ წიგნთა ვანთქმულ სერიაში ქმნის ილუსტრაციათა მთელ ჯგუფს. მათ შორის 84 გოავიურას ეეენ მონფორის „ლამაზი ბავშვისათვის."

პარიზსა და მარსელში, ჟენევასა და ნიცაში, დოვილსა და კანში გატარებულ წლებს ეძღვნება ზეთის ხელებავებით შესრულებული ტილოები და აკვარელით შექმნილი ნამუშევრები. 1937 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენისათვის „ელექტრობის ფერიის" სათაურით იწყებს დიდი კომპოზიციის შექმნას ზეთის ხელებავებით. ორას ორმოცდაათი პანო შეადგენს ათი მეტრი სიმაღლისა და ათოცი მეტრი სიგანის ერთ უზარმაზარ პეიზაჟს.

1938 წელს დიუფი ჩერ ვენეციაში, შემდეგ პიტსბურგსა და ბოლოს შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, სადაც კარნეგის პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის მონაწილე ხდება. 1940 წელს, გერმანელთა შემოსევის შემდეგ, მათგან თავის დაღწევის მიზნით, დიუფი ცხოვრობდა ნიცაში, შემდეგ სერენში და ბოლოს პერპინიანში, სადაც მეგობარი ექიმი მკურნალობს მტანჯველი პოლიართრიტისაგან. ; იმავე ხანებში იგი ეცნობა ლუი კარეს, რომლისთვისაც ხატავს ორი დიდი გობელენის ესკიზებს: „მშვენიერი ზაფხული" და „ვენერას დაბადება". 1940 წელს პარიზში, ლუი კარეს გალერეაში მოეწყო მისი დიდი პერსონალური გამოფენა.

1950 წელს ბოსტონში ეცნობა ავადმყოფობის მკურნალობის ახალ ხერხებს, ხოლო მომდევნო წელს ნიუ-იორკში აწყობს თავის ორ გამოფენას.

მისი ყველაზე დიდი გამოფენა გაიხსნა 1952 წელს ქენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში (დაახლოებით 800 ტილო);

ბიენალზე მას მიენიჭა ფერწერის დიდი საერთაშორისო ჯილდო.

გარდაიცვალა 1958 წლის 28 მარტს ფორკალკიერში, პროვანსის უოფილ დედაქალაქში, სადაც დაბინავდა შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ.

რაუულ დიუფი არის უბრალო და უშუალო მხატვარი. მისი ნათელი, შუქმფენი, დინამიკური და მთრთოლვარე ფერწერა, ნატიფი გრაფიკული სქემის ფონზე იჭრება კომპოზიციის უოველ ნიუანსში.

ყველაფერი მუსიკალურ რიტმსა და დახვეწილ ხაზს მისდევს, რომელიც მხატვრის მიერ თითქოს წინასწარ არის გამიზნული და მოფიქრებული, როგორც მელოდიის განვითარება. მუსიკოსთა ოჯახში დაბადებული დიუფი (სამი ძმა და ხუთი და: ორი ძმა მუსიკოსი, მესამე კი — მხატვარი გახდება) თავის ხელოვნებაში რაღაც მოცარტულ მოხდენილობას ინარჩუნებს, თუმცა მიზნად არასოდეს არ დაუსახავს მუსიკალური ფერწერის განუსაზღვრელი მგრძნობელობით დატვირთული ის პროგრამა, რომელიც, ჩვეულებრივ, ფერწერის უარუოფით მთავრდება.

ტერმინი „მოცარტული მოხდენილობა" გაანპირობებს დიუფის შრომისაგან მიღებულ ყველაზე უშუალო შთაბეჭდილებას: ბავშვური იერის, სპონტანური სიხარულის, სიხარულისადმი თავისუფლების გახსნილ და სხივმომფენ გრძნობათა გამჭვირვალობას. თუმცა მისი ხელოვნების ეს მოჩვენებითი უმანკოება მთლიანად არ ხსნის მხატვრის სტილის საიდუმლოებას: საჭიროა უფრო ღრმად შეიჭრა მხატვრის სულში და თვალი გადაავლო იმ გზას, რომელიც მხატვარმა განვლო, რათა აღმოაჩინო მისი განუწყვეტელი ფიქრისა და შრომის ყველაზე იდუმალი მოტივები. ახალგაზრდა მხატვარი დაინტერესებული იყო ჯერ იმპრესიონიზმით, ხოლო შემდეგ ბუდენით, რომელიც, მონეს მსგავსად, წარმოშობით ჰავრიდან იყო.

ამ სახელებს შეიძლება დაემატოს ნორმანდიული პეიზაჟების შემქმნელი სისლეი, დიდ ბულვართა ხედების ოსტატი — პისარო და ცხენოსანთა შეჯიბრების მხატვარი — დეგა. მაგრამ მხატვრის პირველსავე ტილოებში იგრძნობა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც დიუფის უპირისპირებს იმპრესიონისტებს. ეს უკანასკნელნი, რომლებიც პოზიტივიზმისაკენ მიილტვიან, ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ სინათლეს მის ყველაზე მრავალფეროვან გამოცხადებებში, გაბატონდნენ მასზე, აღადგინონ მისი სუბსტანცია. მათგან განსხვავებით, დიუფის ურჩევნია ჩაეჭიდოს საკუთარი პეიზაჟების ხაზთა და ფორმათა რიტმს, სიუჟეტებისა და სინათლის თამაშს და მათგან აღძრულ შთაგონებებს.

იმპრესიონისტები ცდილობდნენ რეალობაში შეჭრას და მის შეცნობას უტეუარი ოპტიკური ინტუიციით, ახალგაზრდა დიუფისათვის რეალობა უფრო შორეული, აუცილებელი და მუდამ მომაჯადოებელი. მაგრამ განსხვავებული მიმართების საბაბი იყო [illegible] მოჩენამ. ვინაც 1905 წელს [illegible] „ფუფუნება, სიმშვიდე და ავხორცობა" გამოფინა, დიდი გარდატეხა შეიტანა დიუფის ევოლუციაში. მატისმა მიუთითა დიუფის, თუ როგორ განთავისუფლებულიუო იმპრესიონისტული მემკვიდრეობისაგან: გაემუქებინა ფერები და გაემდიდრებინა ისინი ლირიზმით.. უფრო ინტენსიური გაეხადა ტონები... ხაჭიროა გავხდეთ „ველურები", ასე ვთქვათ. „ფოვისტები", მაგრამ ძალზე ცივილიზებულნი, რომლებიც ტრადიციასა და აკადემიას უკუაგდებენ.

პარიზი, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, ის ქურა გახლდათ, საიდანაც ცდუნებები მოედინებოდნენ. სწორედ იმ წლებში, როდესაც ფოვისტები ვან გოგით იუვნენ შთაგონებულნი, თავს იჩენს კუბიზმის პირველი ცდები, ხერას მეცნიერული დივიზიონიზმი, ტულუზ ლოტრეკის მშრალი და მძაფრი გრაფიზმი, ნაბი[1]-ების თეორიები, რომლებიც ლივლივით დანავარდობენ ცახა და დედამიწას შორის; ბუნდოვანი მისტიციზმი და გოგენზე მოგონებები ასაზრდოებენ მათ თეორიებს.

„ფოვისტების" გაცნობამ დიუფიზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს ახალგაზრდული კადნიერება ჩანს მისი ფერების ალმაფრენაში, პეიზაჟთა გაუბრალოებაში, რომელთა შინაარსი გამსჭვალულია საყოველთაო დღესასწაულის იერით: დროშებით მოროული ქუჩები, კაშკაშა ფერებით დახატულ სახლთა მხიარული ფასადები, ფერადი ჭოლგები, სოფლის მეჯლისები, რეგატები, პლაჟის ტერასები, ქარში აფრიალებული იალქნები.

ეს თემები სხვა „ფოვისტებსაც" ეკუთვნით: ფრიშს, ბრაკს, დერენს, ვან დონგენს, მარკესს, ვლამინკს და განსაკუთრებით მატისს, ფრანგული ფერწერის ექსპერიმენტით მოხიბლულს და სხვებზე უფრო ერთგულს ამ ფერთა მიმართ. ხსენებულმა მხატვრებმა მალე დაყარეს ფარ-ხმალი, რადგან იმპრესიონიზმს ნიადაგი

---

1 ნაბი — წინასწარმეტყველი, ღმერთით შთაგონებული ადამიანი. ეს სახელი დაირქვეს ახალგაზრდა დამოუკიდებელმა მხატვრებმა, რომლებიც ცდილობდნენ ოფიციალური განათებისაგან თავის დაღწევას (მთარგმნელის შენიშვნა).

გამოეცალა და დახაბამისი მიეცა ახალი ხელოვნების აღმავლობას.

დიუფისათვის, ისე როგორც სხვა მხატვრებისათვის, საჭირო იყო გამოცდილების მიღება და უფრო ინტიმური და პირადი შთაგონებით გახსნა. დიუფის ფანტაზია დაეხეტება რეალობასთან შესახვედრად, რაღაც იგავის მსგავსს რომ მოგვითხრობს ნებისმიერ პეიზაჟში, ინტერიერსა თუ კომპოზიციაში.

ამით ახსნება ხატვის ახალი ხერხებისადმი მუდმივი ლტოლვა და, დასაწყისში, ფოვისტების საწინააღმდეგოდ, მისი, თითქმის ფარული, გადასვლა კუბიზმში. 1908-1913 წლებში დიუფის მიერ შექმნილი ტილოები კუბიზმის დაღს ატარებს, მაგრამ ყოველივე ამას მხატვარი ამდიდრებს ახალ ღირებულებათა გაძლიერების გზით. როგორც მხატვართა ახალი თაობის უმრავლესობას, დიუფისაც ამ გზას სეზანის შრომითი მაგალითი უკაფავს, სეზანისა, ვინც მოცულობისა და ფორმის ხელახალ დაპყრობას წლები შეალია.

ჭრისტიან ზერვო წერს: „ყველაფერი, რაც კუბიზმმა თავის წარმოშობისთანავე დაადგინა, დიუფის ბუნებამ იმთავითვე არ მიიღო, როგორც გარედან შენაძენი რამ, მაგრამ მოგვიანებით კვლავ იპოვა იგი თავისი ინსტინქტის მძიმე დაძაბვის შედეგად".

სტილი, რომელიც დიუფის კუბიზმისაგან აშორებდა, დაძლეულ იქნა საკუთარი თავის ხელმეორედ აღმოჩენის ნელი პროცესისა და ღრმა დაფიქრების შედეგად, რაშაც მხატვარს საშუალება მისცა შეეკრიბა მისი ხელოვნებისათვის ყველაზე უფრო ახლო მდგომი ელემენტები: ძეიზაჟები იქმნება ტიპიურად კუბისტური ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით. იმ წლებში დიუფი ძალზე დაუახლოვდა ბრაკს და მასთან ერთად მიდის ესტაკში, რათა სეზანის ხსოვნისათვის თაყვანი ეცა. იცვლება მისი პალიტრა, ტონები უფრო მოყრუებულია, მაგრამ შთააგონებენ სინათლის ვარიაციების უფრო მტკიცე ფორმას, რომელიც შეკუმშულია მხუბუქ, შეკვეცილ, თითქოს თამაშით გაწოხანწორებულ უპერსპექტივო სივრცეში.

ფოვისტების მხედველობის არესა, რომელიც ფერის წარმოჩენისაკენ იყო მიდრეკილი, და კუბისტური მხედველობის არეს შორის, სივრცის ახალ გეომეტრიას რომ შთააგონებდა ხელოვანს, დიუფიმ, სიბედნიეროდ, შეაჩნია ის, რასაც ბუნების უშუალო დაკვირვება შთააგონებდა, ამან განაახლა ბისი ცოდნისა და შთაგონების წყარო.

უკვე 1920 წლისათვის დიუფის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილი დაზუსტებას იწყებს. იგი ქმნის განსხვავებულ გეგმებს, ახდენს რიტმთა მონაცვლეობას.

იმპრესიონისტებისა და დივიზიონისტების დამახასიათებელ შუქ-ჩრდილთა მონაცვლეობისა და ფერთა ლაქების განლაგების ადგილი დიუფისთან უკვე დაძლეულია მისი ფერწერის ტიპიური ელემენტის — რიტმის წყალობით.

მუსიკალური ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ: როგორც კი მის კომპოზიციას თვალს გადავავლებთ, ყველა ვგრძნობთ, თითქოს საქმე „andante"-ს ან „allegro"-ს ეხებოდეს.

ვანსის, სიცილიისა და მაროკოს პეიზაჟები მის ხამყაროში იმ სასიხარულო ზმანებებს იწვევენ, ახახული რომ იყო მხოლოდ რამდენიმე ტონით: ტაორმინას ზღვის სილურჯის ვარიაციებით, ყვითელი ფერის პროვანსული პეიზაჟებით, ყაყაჩოებითა და ლიღილოებით მოფენილი პურის ყანებით, რომლებზაც უზარმაზარი ქაქლები გადაჭკვეთენ ხოლმე, და ბოლოს მაროკოში აღმოჩენილი ლეგენდარული აღმოსავლეთის ირეალური ფერებით.

ეს ბუნებრივი მიდრეკილება გაქცევისაკენ და მოჩვენებითი სიმარტოვე, რომელთაც იგი ხორცს ასხამდა თავის ჩანაფიქრს და თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარ სულს, განარიდებდა იმ ხიფათისაგან, რომელიც გამოიხატებოდა ზეციისაკენ ლტოლვაში, მის იდეალურ კუნძულთან მიხაღწევად მიწისაგან მოწყვეტა იყო საჭირო და ამასთან უარის თქმა ყოველგვარ სენტიმენტალურ მწუხრზე. მის ულურჯეს ცას ბზარი არა აქვს; მისი დიდი წინამორბედის ვატოს „იასამნის ფერის მელანქოლია" დიუფისათვის უცნობია (ლონგი).

თავის პორტრეტებში მხატვარი შთაგონებით ხატავს ადამიანებს დეკორატიული ხაზის მოდულაციის გზით; ასეთებია, მაგალითად, „იოაკიმ გასკე" ან „მადამ დიუფი", რომლებშიაც გამოსახულებანი ხაზის მოძრაობის მეშვეობით რიტმთა დაუოკებელ სწრაფვას არიან მიდევნებულნი.

ამ პორტრეტებში ჩანს მხატვრის პოზიციის უცნაურობა თავის თანამედროვე ფრანგ მხატვართა მიმართ. დიუფი რუოს ანტიპოდია. ორთავე სწრაფად შეიცნობა მათი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური აღქმის გამო. ერთი — ნათელ, წყნარ, ელიზეურ,[1] ბედნიერებით აღვსილ, ვარდისფერ ლაჟვარდოვან სამყაროში დაფარფატებს („და კიდევ, რაც არ უნდა გა-

---

1 ელიზეუმი — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში: რჩეულ გმირთა მარადიული სამყოფელი, ნეტართა ადგილი, ამ მითს ქრისტიანულმა რელიგიამ სამოთხე შეარქვა (წთარგმნელის შენიშვნა).

ვაკეთო. მე მხოლოდ ჩემი შინაგანი სიხარულის პატარა ნაწილაკს გაძლევთ"), მეორე — მკაცრი, პირქუში, ადამიანური მდგომარეობისათვის მტანჯველი ტკივილით ესწრაფვის რელიგიურ ტრანსცენდენტურობას, როგორც განთავისუფლებას... ეინი, რითაც მან მიაღწია თავისი ხელწერის არსებით გაუბრალოებას, — არის დასტური მისი ზედმეტი სიმკაცრისა.

ძალიან ხშირად მისი ფერწერული სიუჟეტები ვითარდება შინაგანი ლოგიკის მიხედვით, როგორც ერთი თემის ვარიაციები: ზღვის პეიზაჟები, სერიიდან: „ბატვირთო გემები ზღვაში", თითქოს ირეალურია, იგი მხატვრის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია შექმნილი. სინათლის ზოლიდან ზღვის ზენიტში მუქი ფერის ბოლქვი გამოკრთის, რაც აბნელებს წყალს. თუმცა მზის ათინათი დაჰყურებს მაღლით. ეს განსხვავდება მატისის ხელწერისაგან, რომელიც სინათლის ილუზიას არა ნათელი ტონებით, არამედ ინტენსიური შავი ფერის ვარიაციით ქმნის.

ეს უაღრესად საგულისხმო ხერხია, თითქოს მიღწეული შორეული კარაგმებით ან იდეოგრამებით, რომლებშიაც ფანტაზია აღიკვამს და აერთებს გამოსახულებათა ნიშნებს. ეს ნიშნები ირხევა ატმოსფეროს უკიდეგანო სიცარიელეში, გამოკრთის ირეალურად. მხატვრის ეს ხერხი გამოიყენება მის სხვა დამახასიათებელ სიუჟეტებში, რეგატებში, დარბაზობებში, საველე სამუშაოებში, ცხენოსანთა შეჯიბრებებში, ატელიეთა ინტერიერებში, კონცერტებში, მუსიკალურ ინსტრუმენტებში, კომპოზიტორთა: ბახის, მოცარტის, შოპენისა თუ დებიუსის პორტრეტებში.

წინაპარ მხატვართაგან დიუფი უპირატესობას ანიჭებს რენუარს. მან ასევე გადაულო ამ მხატვრის დიდ სურათს: „ცეკვები ლე მულენ დე ლა გალეტის" სამეჯლისო სახლში. ორთავე მხატვართან ეს ერეს ორი სხვადასხვა ეპოქის, ტიპიური ფრანგული „სიცოცხლის სიხარულის" დამტკიცებაა: რენუარის სურათი — იმპრესიონიზმის სრული გამარჯვების პერიოდში უფრო მეტი ცხოველმყოფელობით მოგვაგონებს ფლობერისა და მოპასანის ხელოვნებას; დიუფის სურათი მუსიკალურ „cappricio"-ს წარმოგვისახავს. ეს წარმოსახვა, ორი ეპოქის მიჯნაზე, ანუ თანამედროვე ხელოვნების ნახტომის შემდეგ, თავისი წარმოსახვითი მგრძნობიარობით განცალკევებულად დგას.

სიცოცხლის ბოლო წლებში დიუფი კვლავ ფიქრობს პირად „თეოლოგიაზე", რითაც იგი განსაზღვრავდა თავისი ხელოვნების კანონებს. მისი ფერწერა კიდევ უფრო დახვეწილი, ფერი უფრო გამჭვირვალე ხდება. იგი მიელტვის მატერიისაგან გამიჯნულ შორეულ სიწმინდეს; რიტმი ორგანულად შეერწყმის სტილს — ამ მანამდე უცნობ ხერხს, ფერი — ტემბრის იშვიათ გამომსახველობას, როგორც კანის პერიოდის ადელი რენუარი, დიუფიც დიდი ხელიერი ძალით ებრძვის სნეულების შეტევებს. მან ხელოვნებაში მპოვა ახალი სიხარული იმ სილამაზის მოძიების გზით, რომელზეც ოცნებობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1989 № 4
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

რაულ დიუფი. ანემონები

რაულ დიუფი. დარბაზობა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
3.9. 1/114
0/13
76182